ჯონ ფაულზი

კოლექციონერი

ფალიანტი
ბიბლიოთეკა

ჯონ ფაულზი

კოლექციონერი

ინგლისურიდან თარგმნა

გია ბერაძემ

1

როცა სკოლა-პანსიონიდან შინ ბრუნდებოდა, თითქმის ყოველდღე ვხედავდი ხოლმე, რადგან მათი სახლი ზუსტად ქალაქის საბჭოს შენობის პირდაპირ იდგა. ის და მისი უმცროსი და ხშირად გადიოდნენ სახლიდან, ხანდახან ახალგაზრდა კაცებთან ერთადაც, რაც მე, რა თქმა უნდა, არ მომწონდა. როცა დროდადრო დავთრებისგან ვთავისუფლდებოდი, ფანჯარასთან დავდგებოდი ხოლმე, მქრქალ მინებს მიღმა მათ სახლს გადავყურებდი და ხანდახან მას ვხედავდი. საღამოს ჩემს დაკვირვებებს დღიურში ვიწერდი. თავიდან X-ით მოვიხსენიებდი, შემდეგ კი, მისი სახელი რომ გავიგე - მ-თი. რამდენჯერმე ქუჩაში შევხვდი, ერთხელ კი ზუსტად მის უკან აღმოვჩნდი რიგში კროსფილ-სტრიტზე მდებარე საჯარო ბიბლიოთეკაში. ერთხელაც არ გამოუხედავს ჩემკენ, მე კი მის კეფასა და გრძელ ნაწნავს შევყურებდი. ღია ფერის თმა ჰქონდა, აბრეშუმივით რბილი, თითქოსდა თუთის აბრეშუმხვევიას პარკი ყოფილიყოს. ნაწნავს, თითქმის წელამდე რომ სცემდა, ხან წინ გადაიგდებდა და ხან უკან, ხანაც

თავზე იხვევდა. სანამ ჩემი სტუმარი გახდებოდა, მხოლოდ ერთხელ მომეცა საშუალება, მისი გაშლილი თმა მენახა. სუნთქვა შემეკრა, ისეთი მშვენიერი იყო, სირინოზივით მშვენიერი.

ერთ შაბათ დღეს ბუნების ისტორიის მუზეუმში წავედი და უკან დაბრუნებისას ის ჩემს ვაგონში აღმოჩნდა. ჩემგან სამი სკამის იქით იჯდა გვერდულად და წიგნს კითხულობდა. ასე რომ, მთელი ოცდათხუთმეტი წუთი შემეძლო მისთვის მეცქირა. რომ ვუყურებდი, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს პეპლის იშვიათ ეგზემპლარს ვიჭერდი, ფრთხილად, ფრთხილად ვუახლოვდებოდი, გული ამოვარდნაზე მქონდა, რომ იტყვიან. მასზე ყოველთვის ისეთი სიტყვებით ვფიქრობდი, როგორიცაა „მოუხელთებელი", „იშვიათი" და „უნატიფესი" - სხვებისგან განსხვავებული იყო, ძალიან ლამაზებისგანაც კი. მისი სილამაზის დანახვას ნამდვილი შემფასებელი სჭირდებოდა.

სანამ სკოლაში დადიოდა, მის შესახებ მხოლოდ ის ვიცოდი, რომ მამამისი დოქტორი გრეი იყო და კიდევ ქერცლფრთიანთა სექციის შეხვედრაზე ყური მოვკარი, დედამისი ხშირად სვამსო. ერთხელაც დედამისს მაღაზიაში გადავეყარე და მისი ლაპარაკი გავიგონე. გადაპრანჭული ხმა ჰქონდა და სახეზე მაკიაჟის სქელი ფენა ედო. მიხვდებოდი, მსმელი ტიპი რომ იყო.

მერე ჩვენმა ადგილობრივმა გაზეთმა დაწერა, რომ მან ლონდონის სამხატვრო სასწავლებლის სტიპენდია მოიპოვა. ძალიან ჭკვიანიაო, წერდნენ. სახელიც ისეთივე მშვენიერი ჰქონია, როგორიც თვითონ იყო - მირანდა. ახლა უკვე ვიცოდი, რომ ხელოვნებას სწავლობდა ლონდონში. გაზეთის ამ სტატიამ თითქოს რაღაც შეცვალა, თითქოს დაგვაახლოვა, თუმცა, რა თქმა უნდა, ერთმანეთს არ ვიცნობდით.

არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ პირველი დანახვისთანავე მივხვდი, რომ ის ერთადერთი იყო. რა თქმა უნდა, გიჟი არა ვარ და ვიცოდი, რომ ეს მხოლოდ ოცნება იყო და ოცნებადვე დარჩებოდა, რომ არა ის ფული. დღენიადაგ მასზე ვოცნებობდი, ვთხზავდი ამბებს, რომლებშიც მას

ვხვდებოდი, ისეთ რამეებს ვაკეთებდი, რაც მის აღტაცებას იწვევდა, ვქორწინდებოდი მასზე და რაღაც ასეთები. ცუდი არაფერი გამივლია გულში. ეს მხოლოდ შემდეგ... მაგრამ ამას მოგვიანებით აგიხსნით.

ჩემს ოცნებებში ის ხატავდა, მე კი ჩემი კოლექციით ვიყავი დაკავებული. წარმოვიდგენდი, როგორ ვუყვარდი, როგორ მოსწონდა ჩემი კოლექცია, როგორ ხატავდა და აფერადებდა მას. როგორ ვმუშაობდით ერთად ლამაზი, თანამედროვე სახლის ვეებერთელაფანჯრიან დიდ ოთახში, რომელშიც ვითომ ქერცლფრთიანთა სექციის შეხვედრა იმართებოდა და მე არ ვდუმდი, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე, რომ რაიმე არ წამომეროშა, და ჩვენ, მე და ის, მასპინძლები ვიყავით, რომელთაც ყველა პატივისცემით ეპყრობოდა. თვით სილამაზის განსახიერება იყო - ღია ფერის თმით, ნაცრისფერი თვალებით - და, კაცები, რა თქმა უნდა, შურით სკდებოდნენ.

ოცნების კოშკები მხოლოდ მაშინ მენგრეოდა, როცა მას ერთ ბიჭთან ერთად ვხედავდი, თავხედ ტიპთან - აი ისეთთან, სკოლას რომ დაამთავრებენ და მერე სპორტული მანქანით დასეირნობენ. ერთხელ ტოტალიზატორში რიგში ვიდექი ფულის შესატანად, მას კი ფული გამოჰქონდა. გავიგონე, ხუთიანებით მომეცითო, თქვა. არადა, სულ ათი გირვანქა სტერლინგი ჰქონდა ასაღები. აი ასე იქცევიან ეს ტიპები. ჰოდა, ხანდახან ვხედავდი, როგორ ჯდებოდა მირანდა მის მანქანაში, როგორ დასეირნობდნენ ქალაქში ერთად. ასეთ დროს თანამშრომლებთან ურთიერთობა მეძაბებოდა და ენტომოლოგიური დაკვირვებების დღიურში ნიშანი X არ შემქონდა (ეს ყველაფერი მანამდე ხდებოდა, სანამ ლონდონში წავიდოდა. შემდეგ ის ბიჭი მიატოვა). ასეთ დღეებში ცუდ რაღაცებს წარმოვიდგენდი ხოლმე: ის ტიროდა და მუხლებში მივარდებოდა. ერთხელ ისიც კი წარმოვიდგინე, რომ სახეში გავარტყი - ისე, როგორც ეს ერთმა ბიჭმა გაიკეთა რომელიღაც ტელესპექტაკლში. იქნებ სწორედ მაშინ დაიწყო ეს ყველაფერი.

ორი წლის რომ ვიყავი, მამაჩემი ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ეს

937-ში მოხდა. მამიდა ენი ყოველთვის ამტკიცებდა, რომ მამა დედაჩემმა გაალოთა. სინამდვილეში რა მოხდა, ახლაც არ ვიცი, მაგრამ დედაჩემი მალე წავიდა და მამიდა ენთან დამტოვა - არაფერს დაეძებდა, ოღონდ კი თავისუფლად და მხიარულად ეცხოვრა. ერთხელ, ბავშვობაში, ჩემმა მამიდაშვილმა, მეიბლმა (გახურებული ჩხუბის დროს) მითხრა, დედაშენი ქუჩის ქალია და უცხოელთანერთად გაიქცაო. იმდენად შტერი ვიყავი, პირდაპირ მამიდა ენისკენ გავექანე და ვკითხე, ასე იყო თუ არა. რა თქმა უნდა, როცა მას სურდა რაიმე დაემალა, ამას მშვენივრად ახერხებდა და მაშინ ასეც მოიქცა. ახლა კი ჩემთვის სულ ერთია და დედაჩემის ნახვა (თუკი ჯერ კიდევ ცოცხალია) არ მინდა. საერთოდ არ მაინტერესებს. მამიდა ენი ხშირად ამბობდა, კიდევ იოლად დავაღწიეთ თავი დედაშენსო და მეც ასე ვფიქრობ.

ასე რომ, მამიდა ენიმ და ძია დიკმა აღმზარდეს თავიანთ ქალიშვილთან - მეიბლთან ერთად. მამიდა ენი მამაჩემის უფროსი და იყო.

5 წლის ვიყავი, ძია დიკი რომ გარდაიცვალა. ეს 950 წელს მოხდა. ერთად წავედით ტრინგის წყალსაცავში სათევზაოდ და, როგორც ყოველთვის, გავიყარეთ: მე ბადე და რაღაცები ავიღე და წავედი. როცა მომშივდა და უკან დავბრუნდი, იმ ადგილას, სადაც ის დავტოვე, ხალხი დამხვდა შეჯგუფებული. ვიფიქრე, ალბათ ვეებერთელა თევზი დაიჭირა-მეთქი, მაგრამ თურმე დამბლა დასცემოდა. სახლში წაიყვანეს, მაგრამ უკვე ვეღარ ლაპარაკობდა და ხეირიანად ვერც გვცნობდა.

ის დღეები, რომლებიც ერთად გავატარეთ, - სულ ერთადაც არა, რადგან მე ყოველთვის პეპლების დასაჭერად მივდიოდი, ის კი ნაპირზე იჯდა ხოლმე თავისი ანკესით, თუმცა ყოველთვის ერთად ვსადილობდით და წყალსაცავისკენ და მერე, უკან - სახლისკენ, ერთად ვმგზავრობდით - ის დღეეები უდავოდ საუკეთესო იყო ჩემს ცხოვრებაში (გარდა იმ დღეებისა, რომლებზეც ვაპირებ მოგითხროთ). პატარა ბიჭი რომ ვიყავი, მამიდა და მეიბლი პეპლების გამო დამცინოდნენ, ძია დიკი კი ყოველთვის მხარს მი-

ჭერდა და აღფრთოვანებული იყო იმით, რომ პეპლებს მარჯვედ ვამაგრებდი ფიცარზე. ჩემსავით უხაროდა ახალი ეგზემპლარის იმაგოს გამოყვანა. ყოველთვის იჯდა და უყურებდა, როგორ იჩეკება პეპელა ჭიის პარკიდან, როგორ შლის და იშრობს ფრთებს, როგორ ფაქიზად მოსინჯავს მათ. თავის ფარდულში მუხლუხოს ქილებისთვის ადგილიც კი გამომიყო. როცა პრიზი ავიღე ფრიტილარიების კოლექციისათვის, მთელი ერთი გირვანქა სტერლინგი მომცა იმ პირობით, რომ მამიდას არ გავუმხელდი. აღარ გავაგრძელებ, მამასავით იყო ჩემთვის. როცა ჩეკი გადმომცეს, ის იყო ერთადერთი პიროვნება, რა თქმა უნდა, მირანდას გარდა, რომელიც თვალწინ დამიდგა. საუკეთესო ანკესსა და სხვა მოწყობილობებს ვუყიდდი - ყველაფერს, რასაც კი ისურვებდა, მაგრამ ეს უკვე შეუძლებელი იყო.

დოღის ტოტალიზატორს მას შემდეგ ვთამაშობდი, რაც ოცდაერთი წელი შემისრულდა. ყოველ კვირაში ხუთ შილინგს ვდებდი. ბებერი ტომი და კრატჩლი ჩვენი განყოფილებიდან და კიდევ რამდენიმე გოგონა ერთად დებდნენ დიდ თანხას და სულ მეუბნებოდნენ, შემოგვიერთდიო, მაგრამ მე მარტოხელა მგლად ვრჩებოდი. არც ბებერი ტომი მომწონდა არასოდეს და არც კრატჩლი. ბებერი ტომი გულისამრევი ტიპია, სულ ადგილობრივ საბჭოზე მიედ-მოედება რაღაცებს და მისტერ უილიამსს, მთავარ ბუხჰალტერს, ეპირფერება. კრატჩლიც ბინძური ვინმეა, თანაც სადისტი. შემთხვევას არ უშვებს ხელიდან, სიტყვა არ ჩამიკრას პეპლებზე, განსაკუთრებით - გოგონების თანდასწრებით. „ფრედი რაღაც დაღლილი ჩანს, ალბათ რომელიღაც სახეობის პეპელასთან ვნებიანი უიკენდი გაატარა". ან კიდევ: „ვინ იყო ის ჭრელი ქალბატონი, ვისთან ერთადაც გუშინ ღამით დაგინახე?" - ბებერი ტომი ჩაიხითხითებს და ჯეინიც, კრატჩლის გოგო, კანალიზაციის განყოფილებაში რომ მუშაობს და სულ ჩვენს ოფისში ტრიალებს, აკისკისდება. მირანდას სრული ანტიპოდია. ვულგარულ ქალებს ვერ ვიტან, განსაკუთრებით - გოგონებს. ასე რომ, როგორც გითხარით, მე მუდამ მარტო ვთამაშობდი.

73 09 გირვანქა სტერლინგის და კიდევ რამდენიმე შილინგისა და პენსის ჩეკი მივიღე. როგორც კი ტოტალიზატორის მესვეურებმა სამშაბათს დამიდასტურეს, რომ ყველაფერი რიგზე იყო, მისტერ უილიამსს დავურეკე. გაბრაზდა, და თანაც როგორ, რომ ასეთნაირად ვტოვებდი სამსახურს, თუმცა თქვა, ძალიან გამიხარდა და დარწმუნებული ვარ, სხვებსაც გაუხარდათო. რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ ცრუობდა. ისიც კი შემომთავაზა, რომ ამ ფულით ქალაქის საბჭოს ხუთპროცენტიანი ობლიგაციები შემეძინა! ჩვენი ქალაქის საბჭოში ზოგიერთმა საერთოდ დაკარგა ზომიერების გრძნობა.

ტოტალიზატორის მესვეურებმა მირჩიეს სადმე წავსულიყავი, სანამ მითქმა-მოთქმა მიწყდებოდა და ასეც მოვიქეცი: ლონდონში გავემგზავრე მამიდა ენისთან და მეიბლთან ერთად. ბებერ ტომს 500 გირვანქის ჩეკი გავუგზავნე და ვთხოვე, კრატჩლისა და სხვებისთვის გაენაწილებინა. მათს სამადლობელ წერილებს არ ვუპასუხე. ჩანდა, რომ ძუნწად ჩამთვალეს.

სიხარული მხოლოდ მირანდამ ჩამიმწარა. სწორედ მაშინ ჩამოვიდა არდადეგებზე, როცა ეს ფული მოვიგე. ის იმ დიად დღეს - შაბათს - დავინახე დილით. ლონდონში ყოფნისას, მთელი იმ დროის განმავლობაში, როცა ფულს ვხარჯავდი, მეგონა, მას ვეღარასოდეს ვნახავდი. ხან ვფიქრობდი, ახლა ხომ მდიდარი ვარ და ცოლად რატომ არ უნდა გამომყვესმეთქი, მაგრამ ვიცოდი, რომ ეს სასაცილო იყო. ადამიანები სიყვარულით ქორწინდებიან, განსაკუთრებით კი მირანდას მსგავსი გოგონები. ხანდახან ისიც კი მიფიქრია, რომ თავიდან ამომეგდო, დამევიწყა, მაგრამ ეს ხომ შენზე არ არის დამოკიდებული. ეს თავისთავად გემართება. აი მე კი არ დამემართა.

თუ წამგლეჯი და უზნეო ხარ, და ადამიანების უმრავლესობა ახლა სწორედ ასეთია, როცა ხელში ბევრი ფული ჩაგივარდება, შეგიძლია კარგი დრო ატარო. მაგრამ უნდა ვთქვა, რომ მე ასეთი არასოდეს ვყოფილ-

ვარ, სკოლაში ერთხელაც არ დავსჯილვარ. მამიდა ენი ნონკონფორმისტია ეკლესიაში, ან სადმე სხვაგან, ძალით არასოდეს წავუყვანივარ, მაგრამ სახლში, რომელშიც გავიზარდე, შესაფერისი ატმოსფერო იყო, თუმცა ძია დიკი პაბში ხანდახან ერთ-ორ ჭიქას გადაჰკრავდა ხოლმე. ის კი არა და, ჯარიდან რომ დავბრუნდი, მამიდამ (ბევრი ჩხუბისა და დავიდარაბის შემდეგ) სიგარეტის მოწევის ნებაც კი დამრთო, თუმცა, რა თქმა უნდა, არ მოსწონდა, რომ ვეწეოდი. ხომ ამხელა თანხა მოვიგე, ის მაინც გამუდმებით წუწუნებდა, ფული ასე არ უნდა ფანტოო. ამის გამო მეიბლი ერთხელ მაგრად ეჩხუბა (ეგონა, მე არ მესმოდა), თუმცა ასე იყო თუ ისე, ფული ჩემი იყო და ვთქვი კიდეც, ჩემი ფულია და მე ვიცი, როგორ დავხარჯავ-მეთქი. თუ მამიდას რაიმე სურდა, შეეძლო ეთქვა, თუ არა და მისი ნება იყო. ნონკონფორმისტების განაწესში საჩუქრების შესახებ არაფერია ნათქვამი.

ამას იმიტომ გიყვებით, რომ როცა გერმანიაში, ჯარის ფინანსურ ნაწილში ვმსახურობდი, ერთი-ორჯერ კი დავლიე, მაგრამ ქალებთან არასოდეს მქონია საქმე და სანამ მირანდა გამოჩნდებოდა, მათზე მაინცდამაინც არც ვფიქრობდი. ვიცი, რომ გოგონებს არ მოვწონვარ. კრატჩლის მსგავსი ტიპები უხეშებად და პრიმიტიულებად მიმაჩნია, გოგონებს კი მზე და მთვარე ამოსდით მათზე. ჩვენთან, საბჭოში, ზოგიერთი გოგო ისე ეპრანჭება კრატჩლის, პირდაპირ გული აგერევა. ეს უხეში, ცხოველური რაღაც ჩემში არ არის (და კარგია, რომ არ არის. ჩემი აზრით, ჩემნაირი ბევრი რომ იყოს, სამყარო უკეთესი იქნებოდა).

როცა ფული არა გაქვს, ყოველთვის გგონია, რომ მქონდეს, ყველაფერი სხვანაირად იქნებოდაო. რაღაც აუცილებელზე მეტის ფლობის სურვილი არასოდეს მქონია, მაგრამ სასტუმროში ადვილად შეამჩნევდი, რომ მთელი პატივისცემა ჩვენ მიმართ მოჩვენებითი იყო, სინამდვილეში კი მათ ვეზიზღებოდით, რადგან ამდენი ფული გვქონდა და არ ვიცოდით, როგორ გამოგვეყენებინა. რაც უნდა ფული მეფრიალებინა, მათთვის მაინც კლერკი ვიყავი. რაც არ უნდა გვეთქვა, რაც არ უნდა გვეკეთებინა,

ჩვენს თავს გავთქვამდით. ნათლად ჩანდა, რას ფიქრობდნენ: ჩვენ ვერ გაგვაბრიყვებთ, კარგად ვიცით, ვინც ხართ. ჯობია საიდანაც მოსულ-ხართ, იქ წახვიდეთ.

მახსოვს, ერთ საღამოს მდიდრულ რესტორანში წავედით სავახშმოდ. რესტორანი იმ სიაში იყო, ტოტალიზატორის მესვეურებმა რომ მოგვცეს. ძალიან გემრიელი საჭმელები იყო და ყველაფერი შევჭამეთ, მაგრამ გემო თითქმის ვერაფერს ჩავატანე, რადგან ხალხი რაღაცნაირად გვიყურებდა და ეს გულის ამრევი უცხოელი ოფიციანტებიც ისე გვექცეოდნენ, თით-ქოს დარბაზში ყველა და ყველაფერი ზემოდან დაგვცქეროდა და გვეუბ-ნებოდა, თქვენი აღზრდით და წარმოშობით აქაურობას არ ეკუთვნითო. ამას წინათ სტატია წავიკითხე სკოლის შესახებ. ამაზე ნამდვილად შე-მიძლია ლაპარაკი. მე რომ მკითხონ, ლონდონი მხოლოდ მათთვისაა, ვინც კერძო სკოლა დაამთავრა ან თავს ისე აჩვენებს, თითქოს იქ სწავ-ლობდა და თუკი თანდაყოლილი მანერები და სათანადოდ დაყენებული ხმა არ გაქვს, არაფრის იმედი არ უნდა გქონდეს. მე, რა თქმა უნდა, მდიდრების ლონდონს ვგულისხმობ - ვესტ-ენდს.

ერთ საღამოს, სწორედ იმ რესტორნიდან დაბრუნების შემდეგ, მე-ლანქოლიური განწყობილება დამეუფლა და მამიდა ენის ვუთხარი, ცო-ტას გავისეირნებ-მეთქი. მივსეირნობდი და უცებ ვიგრძენი, რომ ქალი მომინდა, ანუ იმის თქმა მინდა, გამიჩნდა სურვილი მცოდნოდა, რომ მე ქალთან ნამყოფი ვარ. ჰოდა, ავკრიფე ტელეფონის ნომერი, რომელიც ერთმა ბიჭმა მომცა ჩეკის გადმოცემის ცერემონიაზე. თუ მოგინდება, იცი, რაზეც გეუბნები, გქონდეს ყოველი შემთხვევისთვისო, მითხრა.

ქალის ხმამ მიპასუხა: „მე დაკავებული ვარ". სხვა ნომერს ხომ ვერ მეტყვით-მეთქი, ვთხოვე და ორი ნომერი მომცა. ტაქსი გავაჩერე და მე-ორე მისამართი ვუთხარი. დაწვრილებით არ მოგიყვებით, რა მოხდა, თუმცა იმას კი გეტყვით, რომ არაფერი გამომივიდა. ზედმეტად ვნერვიუ-ლობდი, ვცდილობდი, თავი ისე მომეჩვენებინა, თითქოს ყველაფერში გარკვეული ვიყავი, მაგრამ, რა თქმა უნდა, მან ეს შეამჩნია. ხნიერი იყო,

ხნიერი და თანაც საშინელი - საშინელი გარეგნობითაც და ქცევითაც. ნათრევი ქალი იყო, ძალიან ვულგარული, იმ ეგზემპლარის მსგავსი, რომლის შენს კოლექციაში ქონასაც არ ისურვებდი. გავიფიქრე, ახლა მირანდა რომ მხედავდეს-მეთქი. როგორც გითხარით, ვცდილობდი კარგად გამომსვლოდა, მაგრამ ვერ შევძელი, თუმცა ძალიანაც არ მომინდომებია.

იმ უხეშ ტიპებს არ მივეკუთვნები, მუჯლუგუნებით რომ მიიკვლევენ გზას. მე ყოველთვის, როგორც იტყვიან, უფრო მაღალი მისწრაფებები მქონდა. კრატჩლი ამბობდა, ახლა თუ გინდა რამეს მიაღწიო, მიმწოლი უნდა იყოო. კიდევ ამბობდა, აი ბებერ ტომს შეხედეთ, პირფერობამ რა ჯიღაც დაადგაო. კრატჩლი, როგორც გითხარით, მეტისმეტი ფამილარობის უფლებას აძლევდა თავს. თუმცა მანაც იცოდა, ვისთან ეპირფერა, რომ რამეს გამორჩენოდა - მისტერ უილიამსთან, მაგალითად. ცოტა გამოცოცხლდი, კლეგ, მითხრა ერთხელ მისტერ უილიამსმა (მაშინ ცნობათა ბიუროში ვმუშაობდი), ადამიანებს უყვართ, როცა გაუღიმებ ხოლმე, გაეხუმრები. კრატჩლივით ყველა ამ ნიჭით არ ვიბადებით, მაგრამ რატომაც არ უნდა სცადო, იქნებ გამოგივიდეს კიდეც. ამან ძალიან გამაღიზიანა. უნდა ითქვას, ქალაქის საბჭო ყელში მქონდა ამოსული და იქიდან მაინც წამოსვლას ვაპირებდი.

მე არ შევცვლილვარ და ეს შემიძლია დავამტკიცო. მიზეზი, რომლის გამოც მამიდა ენი ყელში ამომივიდა ის იყო, რომ დამაინტერესა იმ წიგნებმა, რომელთა ყიდვა სოჰოს მაღაზიებში შეიძლებოდა - წიგნებმა შიშველი ქალებით და ასეთი რამეებით. ჟურნალების დამალვას კიდევ მოვახერხებდი,აი წიგნებს კი ვერ ვყიდულობდი, რადგან შეიძლებოდა მას ენახა. ფოტოგრაფია ყოველთვის მაინტერესებდა და, რა თქმა უნდა, ფოტოაპარატი მაშინვე ვიყიდე - „ლეიკა", საუკეთესო, ტელეობიექტივითა და ყველაფრით. ჩემთვის მთავარი იყო ცოცხალი პეპლები გადამეღო - სახელგანთქმული ბოფუას მსგავსად. მაგრამ ამას გარდა, ადრე, ჯერ კი-

დევ სანამ კოლექციის შეგროვებას დავიწყებდი, ისეთ რამეს გადავწყდომივარ ტყეში თუ მინდორში... არ დაიჯერებთ, ისეთ რამეებს სჩადიან ეს წყვილები და ადგილსაც ისეთს ირჩევენ - შერცხვეთ მაინც რაღაცის! ჰოდა, ესეც მქონდა გუნებაში.

რა თქმა უნდა, იმ ქალთან ურთიერთობამ წონასწორობიდან გამომიყვანა, თუმცა სხვა რამეებიც იყო. მაგალითად, მამიდა ენის ავსტრალიაში გემით წასვლა მოესურვა, რომ ვაჟიშვილი და ძია სტივი - თავისი უმცროსი ძმა - და მისი ოჯახი ენახა. ისიც მოინდომა, მეც თან გავყოლოდი, მაგრამ, როგორც გითხარით, მე მასთან და მეიბლთან ერთად ყოფნის სურვილი აღარ მქონდა. არა, იმის თქმა კი არ მინდა, რომ შემძულდნენ, მაგრამ ყველასთვის ნათელია და შეიძლება უფრო მეტადაც, ვიდრე ჩემთვის, თუ რას წარმოადგენდნენ ისინი. საცოდავი, პატარა ადამიანები, რომლებსაც სახლიდან ფეხი არ გაუდგამთ. მაგალითად, ისინი ჩემგან ყოველთვის ელოდნენ, რომ ყველაფერი მათთან ერთად მეკეთებინა და თუ ისე მოხდებოდა, რომ თუნდაც ერთი საათი მათთან არ ვიქნებოდი, ანგარიში ჩამებარებინა, თუ სად ვიყავი და რა გავაკეთე. იმის შემდეგ, რაზეც უკვე მოგიყევით, განვაცხადე, რომ ავსტრალიაში მათთან ერთად წასვლას არ ვაპირებდი. მაინცდამაინც თავი არ მოუკლავთ, მე მგონი, ბოლოს და ბოლოს გაიაზრეს, რომ ფული ჩემი იყო და არა მათი.

მირანდას საძებნელად პირველად მას შემდეგ წავედი, რაც საუტჰემპტონიდან მამიდა ენი გავაცილე. ზუსტად რომ ვთქვა, ეს 0 მაისს მოხდა. კვლავ ლონდონში ვიყავი. რაიმე კონკრეტული გეგმა არ მქონდა, მამიდა ენისა და მეიბლს ვუთხარი, შეიძლება საზღვარგარეთ გავემგზავრო-მეთქი, მაგრამ ჯერ თვითონაც არ ვიცოდი, რას ვიზამდი. მამიდა ენი დამფრთხალი ჩანდა, გამგზავრების წინა ღამით საგანგებო საუბარი ჰქონდა ჩემთან - მითხრა, რომ იმედი ჰქონდა, არ დავქორწინდებოდი, ანუ მანამ, სანამ ის ჩემს საცოლეს არ ნახავდა. ფული, რა თქმა უნდა შენიაო, მითხრა, და შენი ცხოვრებაც შენ გეკუთვნისო, ძალიან გულუხვი ხარო და

ასეთი რამეები, მაგრამ ვხედავდი, გვარიანად ეშინოდა, რომ მე დავქორწინდებოდი და ისინი მთელ იმ ფულს დაკარგავდნენ, რომელიც თურმე ასე ერცხვინებოდათ. თუმცა მას არ ვადანაშაულებ, ეს ბუნებრივია, განსაკუთრებით, როცა ინვალიდი ქალიშვილი გყავს. მე ვფიქრობ, მეიბლისნაირები უმტკივნეულოდ უნდა მოაკვდინო, თუმცა ეს საქმეს არ ეხება.

ვფიქრობდი, რა გამეკეთებინა (ყველაფერი წინასწარ მოვამზადე, საუკეთესო აღჭურვილობა შევიძინე, რაც კი ლონდონში მოიძევებოდა). გადავწყვიტე, სადმე ისეთ ადგილას წავსულიყავი, სადაც იშვიათი სახეობები და აბერაციები იქნებოდა, რომ კოლექციისთვის შესაფერისი სერიები მეშოვა. ანუ ასეთ ადგილას ჩავსულიყავი, დავრჩენილიყავი, რამდენ ხანსაც მსურდა, პეპლები შემეგროვებინა და სურათები გადამეღო. სანამ ჩემები გაემგზავრებოდნენ, მანქანის მართვა ვისწავლე (კურსებზე ვიარე) და სპეციალური აღჭურვილობის მქონე ფურგონიც შევიძინე. ბევრი სახეობა იყო ისეთი, ჩემი კოლექციისთვის რომ მინდოდა. კოლექციონერების უმრავლესობას ასეთი შესაძლებლობა ცხოვრებაში ერთხელ თუ მიეცემა. ჰო, კიდევ ჩრჩილები მაინტერესებდა. ახლა შემეძლო საკუთარი თავისთვის ამის უფლება მიმეცა.

იმის თქმა მინდა, რომ, როცა ფული ავიღე, მისი სტუმრად მოყვანა არ დამიგეგმავს. ეს მოულოდნელად მოხდა.

მამიდა ენისა და მეიბლისაგან განთავისუფლების შემდეგ, რა თქმა უნდა, ყველა ის წიგნი შევიძინე, რომელიც მინდოდა. მათში ისეთი რამეებიც ვნახე, რაზეც, კაცმა რომ თქვას, წარმოდგენაც არ მქონდა. საზიზღრობა იყო. ვიფიქრე, აი სასტუმროს ოთახში ვარ გამოკეტილი ამ ხარახურასთან ერთად და ეს ყველაფერი სულაც არ ჰგავს იმას, რასაც მირანდაზე ვოცნებობდი-მეთქი. უცებ მივხვდი, რომ ჩემს ფიქრებში ის მთლიანად გამოვრიცხე ჩემი ცხოვრებიდან, თითქოს სულ რაღაც რამდენიმე მილის მანძილზე არ ვცხოვრობდით ერთმანეთისაგან (მე უკვე პედინგტონში მდებარე სასტუმროში ვიყავი გადასული). იმდენი დროც არ

მქონდა, რომ სულ მეძებნა, სად ცხოვრობდა. თუმცა ყველაფერი საკმაოდ ადვილი აღმოჩნდა. მას სლეიდის სამხატვრო სასწავლებლის სატელეფონო წიგნში მივაკვლიე და ერთ დილას ჩემი ფურგონით გარეთ დაველოდე. ერთადერთი ფუფუნების საგანი, რისი შეძენის უფლებაც ჩემს თავს მივეცი, ეს ფურგონი იყო. იმიტომ ვიყიდე, რომ სოფლად მგზავრობისას მთელი ჩემი აღჭურვილობის გადატანა შემძლებოდა. ფურგონს უკანა განყოფილებაში ასაკეცი საწოლი ჰქონდა, რომელიც შეგეძლო გაგეშალა და ზედ დაგეძინა. ყიდვისას ისიც ვიფიქრე, ასეთ ფურგონს თუ ვიყიდი, მამიდა ენისა და მეიბლის ტარება აღარ მომიწევს, როცა უკან დაბრუნდებიან-მეთქი. იმ განზრახვით არ მიყიდია, რისთვისაც მერე გამოვიყენე. ეს აზრი მოგვიანებით მომივიდა, ერთბაშად, როგორც გენიალური გაელვება.

პირველ დილას ვერ დავინახე, მაგრამ მეორე დღეს, როგორც იქნა, გამოჩნდა სხვა სტუდენტებთან, ძირითადად ბიჭებთან, ერთად. გულმა ბაგაბუგი დამიწყო, ლამის ცუდად გავხდი. ფოტოაპარატი მომზადებული მქონდა, მაგრამ გადაღება ვერ გავბედე. სულაც არ იყო შეცვლილი,ჩვეულებისამებრ მსუბუქად მიაბიჯებდა, როგორც ყოველთვის დაბალქუსლიანი ფეხსაცმელები ეცვა და გოგონების უმრავლესობისგან განსხვავებით რწევა-რწევით არ მიდიოდა. სიარულისას ეტყობოდა, რომ არ ფიქრობდა იმ ბიჭებზე, თან რომ ახლდნენ. ჩიტივით უზრუნველი ჩანდა. ერთ ახალგაზრდას ესაუბრებოდა, შავი თმა რომ მოკლედ შეეჭრა, ქოჩორი კი დაეტოვებინა - აშკარად ხელოვანის ტიპი იყო. სულ ექვსნი იყვნენ, მაგრამ შემდეგ მან და ახალგაზრდა კაცმა ქუჩა გადაჭრეს. მე მანქანიდან გადმოვედი და მათ ავედევნე. შორს არ წასულან - იქვე, კაფეში შეუხვიეს.

მეც კაფეში შევედი - მოულოდნელად, არ ვიცი, რატომ, თითქოს ჩემი ნების წინააღმდეგ, ძალით შემათრიეს. იქ ბევრი ხალხი იყო: სტუდენტები, ხელოვანები და ასეთები. ბიტნიკებს ჩამოჰგავდნენ. მახსოვს უცნაური სახეები და სურათები კედლებზე. რაღაც აფრიკულის მსგავსი.

იმდენი ხალხი და ისეთი ხმაური იყო და მეც ისე ვნერვიულობდი, რომ თავიდან ის ვერც დავინახე. მეორე დარბაზის ბოლოში იჯდა. მე სკამზე ჩამოვჯექი დახლთან, საიდანაც შემეძლო მისთვის მეყურებინა. ხშირად ვერ ვბედავდი მისკენ გახედვას და თანაც მეორე დარბაზი მკრთალად იყო განათებული.

უცებ დავინახე - ჩემ გვერდით იდგა. თავი ისე მეჭირა, თითქოს გაზეთს ვკითხულობდი, ამიტომ ვერ შევნიშნე, როდის ადგა. ლოყები მიხურდა, გაზეთს ჩავჩერებოდი, მაგრამ სიტყვებს ვერ ვარჩევდი. მისკენ თვალის გაპარებასაც ვერ ვბედავდი, ის კი ისე ახლოს იდგა, თითქმის მეხებოდა. ლურჯ-თეთრი, უჯრედებიანი კაბა ეცვა, შიშველი მკლავები მზისგან გარუჯვოდა. გრძელი თმა ზურგზე ჰქონდა ჩამოშლილი.

გავიგონე, თქვა: „ჯენი, გროშიც არ გვაბადია. იქნებ ორი სიგარეტი კიდევ მოგვცე ნისიად, ჩვენო მფარველო ანგელოსო". დახლს მიღმიდან გოგონამ უპასუხა: „არა, დამთავრდა ნისიები" თუ რაღაც ამგვარი და მან თქვა: „ხვალამდე, გეფიცები" და შემდეგ: „დიდი მადლობა" - როცა გოგონამ ორი სიგარეტი გაუწოდა. ეს ყველაფერი ხუთიოდე წამს გაგრძელდა და ის კვლავ თავის კავალერს დაუბრუნდა, მაგრამ მისი ხმის გაგონება საკმარისი იყო, რომ ჩემთვის ოცნების საგნიდან რეალურ, ხორცშესხმულ ადამიანად ქცეულიყო. ვერც კი ვიტყვი, რა იყო ასეთი განსაკუთრებული მის ხმაში. რა თქმა უნდა, ეს კულტურული, განათლებული ადამიანის ხმა იყო, მაგრამ არა პრეტენზიული, გადაპრანჭული. ის არც იხვეწებოდა და არც მოითხოვდა სიგარეტს, უბრალოდ თხოვდა - მსუბუქად, ძალდაუტანებლად და შენ არ გიჩნდებოდა ის საზიზღარი შეგრძნება, რომ ვიღაც მაღალ ფენას ეკუთვნის და ვიღაც დაბალს. შეიძლება ითქვას, ის ისევე ლაპარაკობდა, როგორც დადიოდა.

რაც შემეძლო სწრაფად გადავიხადე ფული, მანქანისკენ გავიქეცი, შემდეგ - სასტუმრო „კრემორნი" და ჩემი ოთახი. მართლა ძალიან აღელვებული ვიყავი. ნაწილობრივ იმიტომ, რომ მას სიგარეტის ფულიც კი არ

ჰქონდა და იძულებული იყო ესესხა, მე კი სამოცი ათასი გირვანქა სტერლინგი მქონდა (ათი ათასი მამიდა ენის მივეცი) და მზად ვიყავი ეს ფული მის ფეხებთან მომეფანტა. სწორედ ასეთი შეგრძნება მქონდა. ყველაფერს გავაკეთებდი, ოღონდ კი უფრო ახლოს გამეცნო, დავმეგობრებოდი, მესიამოვნებინა მისთვის, დაუფარავად შემძლებოდა მისი ცქერა და თვალთვალი არ დამჭირვებოდა. აი როგორ მოვიქეცი: ავიღე ხუთი გირვანქა, რომელიც თან მქონდა, კონვერტში ჩავდე, დავაწერე „სლეიდის სამხატვრო სასწავლებელი, მის მირანდა გრეის" თუმცა, რა თქმა უნდა, არ გამიგზავნია. გავგზავნიდი, მისი სახის დანახვა რომ შემძლებოდა, როცა კონვერტს გახსნიდა.

სწორედ ამ დღიდან დავიწყე ოცნება, რომელიც შემდეგ ავიხდინე. თავიდან წარმოვიდგენდი, რომ მას ვიღაც კაცი ესხმოდა თავს და მე ვშველოდი. შემდეგ როგორღაც ეს თავდამსხმელი მე თვითონ ვხდებოდი, ოღონდ არაფერს ვუშავებდი, მხოლოდ დავატყვევებდი, ჩემი ფურგონით სადღაც, განმარტოებულ სახლში მიმყავდა და მერე იქ მყავდა ტყვედ, თუმცა კარგად ვეპყრობოდი. ის თანდათან გამიცნობდა და შემიყვარებდა და მერე მშვენიერ, თანამედროვე სახლში ვცხოვრობდით ერთად. ვქორწინდებოდით, მერე ბავშვები და ყველაფერი.

ეს აზრები ისე ამეკვიატა, ღამეები არ მეძინა, დღისით კი, რას ვაკეთებდი, აღარ მახსოვდა. ისევ „კრემორნში" ვიყავი, ნომრიდან არ გამოვდიოდი. ეს უკვე ოცნება აღარ იყო, უკვე წარმოვიდგენდი, რომ ეს ყველაფერი შეიძლებოდა მართლა მომხდარიყო (რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ ეს მხოლოდ ჩემს ოცნებებში ხდებოდა) და უკვე იმაზე დავიწყე ფიქრი, რა საშუალებები და გზები არსებობდა, რომ ეს განმეხორციელებინა, როგორ გავაკეთებდი ამ ყველაფერს და ასეთი რამეები. ვფიქრობდი, ჩვეულებრივი გზით მას ვერასოდეს გავიცნობ-მეთქი, მაგრამ თუკი ჩემთან იქნებოდა, თუკი ჩემს კარგ თვისებებს დაინახავდა, ის გამიგებდა. სულ მეგონა, რომ გამიგებდა.

კიდევ ის იყო, რომ საუკეთესო გაზეთების კითხვა დავიწყე, იმავე მიზეზის გამო ნაციონალურ გალერეასა და „ტეიტში" დავდიოდი. იქ სიარული მაინცდამაინც არ მომწონდა. ეს იმას ჰგავდა, თითქოს ბუნების ისტორიის მუზეუმის ენტომოლოგიის დარბაზში უცხოური ეგზემპლარების ვიტრინას ვათვალიერებდი - გასაგებია, რომ ლამაზია, მაგრამ შენთვის როგორღაც უცხოა. იმას ვგულისხმობ, რომ ისე არ იცნობ, როგორც ბრიტანულს. მაგრამ იქ იმიტომ დავდიოდი, რომ მასთან ლაპარაკი შემძლებოდა, რომ უმეცრად არ ჩავეთვალე.

საკვირაო გაზეთის ერთ ნომერში, „იყიდება სახლების" რუბრიკაში,მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი განცხადება ვნახე. სპეციალურად არ მიძებნია, უბრალოდ, გაზეთს რომ ვფურცლავდი, თვალში მომხვდა. „შორს ხმაურიანი ბრბოსგან" - სულ ეს იყო. შემდეგ გრძელდებოდა:

„ძველი კოტეჯი, მომხიბლავი, განმარტოებული ადგილი, დიდი ბაღი, ლონდონიდან ერთი საათის სავალზე, უახლოესი სოფლისგან ორი მილის დაშორებით ..."

და ა.შ. მეორე დილას უკვე მანქანით მივიჩქაროდი მის სანახავად. უძრავი ქონების აგენტს დავურეკე ლუისში და შევუთანხმდი, რომ კოტეჯში დამხვედროდა. სასექსის რუკა ვიყიდე. ასეა: როცა ფული გაქვს, პრობლემები არ არის.

რაღაც დაფხავებულ ქოხს ველოდი. კოტეჯი მართლაც ძველი ჩანდა, გარედან თეთრად შეღებილი, შავი კოჭებით, ძველებური კრამიტით გადახურული. მთლად განმარტოებით იდგა. რომ მივედი, ჩემ შესახვედრად უძრავი ქონების აგენტი გამოვიდა. მეგონა, უფრო ხნიერი იქნებოდა, ის კი ჩემი ხნის აღმოჩნდა - გულს რომ გაგიწყალებს, ისეთი ტიპი. უმარილოდ ხუმრობდა, ძალიან ცდილობდა ეჩვენებინა, რომ ყიდვა-გაყიდვა მის ღირსებაზე დაბლა იდგა, რომ სახლის გაყიდვა სხვაა და დახლთან ვაჭრობა - სხვა. მეტისმეტად ცნობისმოყვარე იყო და შეკითხვებით თავი მომაბეზრა, მაგრამ ვიფიქრე, რადგან მოვედი, ბარემ ყველაფერს წესიე-

რად დავათვალიერებ-მეთქი. ოთახები დიდი ვერაფერი შვილი იყო, მაგრამ თანამედროვე მოწყობილობებით: ელექტრობით, ტელეფონით და ა.შ. აღჭურვილი. ადრე გადამდგარი ფლოტის ადმირალის თუ ვიღაცის საკუთრება ყოფილა, რომელიც მომკვდარა და შემდეგ ვინც სახლი შეიძინა, ისიც მოულოდნელად მომკვდარა, ჰოდა, ისევ უძრავი ქონების ბაზარზე გამოუტანიათ გასაყიდად.

კიდევ ვიმეორებ, იქ იმ განზრახვით არ წავსულვარ, რომ მენახა, საიდუმლო სტუმრისთვის რამდენად მოსახერხებელი ადგილია-მეთქი. ვერც კი ვიტყვი, რა განზრახვა მქონდა.

უბრალოდ, არ ვიცი. რასაც შემდეგ აკეთებ, ბუნდოვანს ხდის იმას, რაც ადრე გააკეთე.

ბიჭი ცდილობდა გაეგო, კოტეჯი ჩემთვის მინდოდა თუ არა. ვუთხარი, რომ მამიდისთვის მინდოდა. ეს სიმართლე იყო. ვუთხარი, მინდა, რომ ეს მისთვის სიურპრიზი იყოს, როცა ავსტრალიიდან დაბრუნდება-მეთქი და ასეთი რამეები.

და ფასი რამდენად მისაღებიაო, მკითხა.

ვუთხარი, რომ, ის-ის იყო, დიდი ფულის პატრონი გავხდი - ეს იმიტომ, რომ დამემცირებინა, გამესრისა. უკვე კიბეზე ჩავდიოდით, როცა მთავარი რამ მითხრა. უკვე უარის თქმას ვაპირებდი, ეს ის არ არის, რაც მე მსურს, უფრო დიდ სახლს ვეძებ-მეთქი, მინდოდა მეთქვა, რათა საბოლოოდ გამენადგურებინა, და ამ დროს მეუბნება:

- ეს არის სულ... და კიდევ სარდაფები.

სარდაფში რომ მოხვედრილიყავი, სახლის უკანა კარიდან უნდა გასულიყავი. მან ყვავილების ქოთნის ქვემოდან გასაღები გამოიღო და კარი გააღო - სწორედ უკანა გასასვლელის გვერდით. ელექტროდენი, რა თქმა უნდა, გათიშული იყო, მაგრამ თან ფარანი ჰქონდა. სარდაფში შესულებს ნესტი და სიცივე შემოგვეგება. ქვის საფეხურებს ჩავუყევით. მან ფარნის შუქი გარშემო მიმოატარა. კედლები ვიღაცას თეთრად შეეღება, მაგრამ, ეტყობოდა, ძალიან დიდი ხნის წინ. საღებავი ადგილ-ადგილ

აქერცლილიყო და ამიტომ კედლები ლაქებით აჭრელებულს ჰგავდა.

- მთელ სიგრძეზე გასდევს სახლს, - თქვა მან, - და კიდევ ეს.

ფარანი მიანათა და კუთხეში კარი დავინახე, იმ კარის პირდაპირ, რომლიდანაც ჩვენ შემოვედით. კარს იქით კიდევ დიდი სარდაფი იყო, ოთხი საფეხურით ქვემოთ იმ სარდაფიდან, სადაც ვიდექით. ჭერი უფრო დაბალი ჰქონდა და კამაროვანი - იმის მსგავსი, ეკლესიის სარდაფებში რომ გვხვდება ხანდახან. საფეხურები დიაგონალურად ეშვებოდა და ოთახი სახლის მთავარი ნაწილისგან თითქოს სადღაც გვერდზე იყო გასული.

- ზედგამოჭრილია ორგიებისთვის, - თქვა მან.

- ეს რისთვისაა? - ვკითხე. მის სულელურ ხუმრობას ყურადღება არ მივაქციე.

მიპასუხა, ალბათ იმისთვის, რომ რადგან კოტეჯი განმარტოებით დგას, პროდუქტის დიდი მარაგის სადღაც შენახვა იყო საჭირო, ან შესაძლოა კათოლიკური სამლოცველო ყოფილიყოო. მოგვიანებით ერთ-ერთმა ელექტრიკოსმა მითხრა, რომ ეს კონტრაბანდისტების თავშეყრის ადგილი იყო, როცა ისინი ნიუ-ჰეივენიდან ლონდონში დადიოდნენო.

სარდაფიდან ამოვედით. როცა მან კარი ჩაკეტა და გასაღები ყვავილების ქოთნის ქვეშ ამოდო, მომეჩვენა, რომ ეს ყველაფერი არც ყოფილა. ეს ორი სამყარო იყო. და მერეც სულ ასე იყო. გავიღვიძებდი და თითქოს ეს ყველაფერი სიზმარი იყო, სანამ კვლავ იქ არ ჩავიდოდი.

საათზე დაიხედა.

- დამაინტერესა სახლმა, - ვთქვი მე, - ძალიან დამაინტერესა. - ისე ვნერვიულობდი, რომ მან გაკვირვებით შემომხედა. ვყიდულობ ამ სახლს-მეთქი, ვუთხარი. აი ასე, ძალიან უბრალოდ. მე თვითონ გამიკვირდა, იმიტომ რომ ადრე ყოველთვის რაღაც მოდერნისტულზე ვოცნებობდი - ისეთზე, თანამედროვეს რომ ეძახიან და არა მიყრუებულ ადგილას მდგომ ძველ სახლზე.

ბიჭი გაშტერებული იდგა, გაოგნებული იმით, რომ სახლის ყიდვა

მსურს,რომ მე ფული მაქვს. თითქმის ყველა ასე იყო.

ის უკან, ლუისში დაბრუნდა. კიდევ არიან სახლის ყიდვის მსურველები და ისინი უნდა მოვიყვანოო, თქვა. მე ვუთხარი, ბაღში დავრჩები და ვიფიქრებ, სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებ-მეთქი.

კარგი ბაღი იყო, მინდვრამდე აღწევდა, იქ კი ბლომად იონჯა ამოსულიყო - სამოთხე პეპლებისთვის. ჩრდილოეთით მინდორი ბორცვის ძირამდე მიდიოდა, აღმოსავლეთით, გზის ორივე მხარეს, ტყე იყო, გზა კი ხეობის გავლით ზემოთ, ლუისისკენ მიემართებოდა. დასავლეთით მინდვრები იყო გადაშლილი. ბორცვიდან დაახლოებით მილის სამ მეოთხედზე ფერმერის სახლი იდგა - ეს იყო უახლოესი შენობა. სამხრეთით შესანიშნავი ხედი იშლებოდა, თუ არ ჩავთვლით სხლტესა და ხეებს. გარაჟიც კარგი იყო.

სახლისკენ გავემართე, გასაღები ავიღე და კვლავ სარდაფში ჩავედი. სარდაფის სიღრმეში მდებარე ოთახი მიწის ქვემოთ, ხუთი-ექვსი ფუტის სიღრმეზე იქნებოდა. ნესტი იდგა, კედლები ისე სველი იყო, როგორც ხე ზამთარში. კარგად ვერ ვხედავდი, რადგან მხოლოდ სანთებელა მქონდა. ცოტა შეგეშინდებოდა კიდეც, მაგრამ მე ცრუმორწმუნე არა ვარ.

ვიღაცამ შეიძლება თქვას, გაუმართლა, რომ პირველივე ცდაზე ასეთი ადგილი იპოვაო, მაგრამ ადრე იქნებოდა თუ გვიან, მაინც ვიპოვიდი. მე ხომ ფული მქონდა. მქონდა ძლიერი ნება და სასაცილოა, მაგრამ ის, რასაც კრატჩლი „მარიფათს“ ეძახდა. საბჭოში მუშაობისას ეს მარიფათი არც გამომიჩენია, რადგან იქ არაფერში მჭირდებოდა, მაგრამ ერთი მაჩვენა, კრატჩლი როგორ მოახერხებდა იმას, რაც მე მოვახერხე, რისი განხორციელებაც მე შევძელი გასულ ზაფხულს. იმის თქმა კი არ მინდა, ესა ვარ და ისა ვარ-მეთქი, მაგრამ ამის გაკეთება ადვილი არ იყო.

ამას წინათ გაზეთში „დღის გამონათქვამი“ ამოვიკითხე: „მიზანი გონებისთვის იგივეა, რაც წყალი სხეულისთვის“. ჩემი მოკრძალებული აზრით, ეს სრული ჭეშმარიტებაა. როცა მირანდა ჩემი ცხოვრების მიზნად იქცა, აღმოჩნდა, რომ არავისზე ნაკლები არ ვყოფილვარ.

განცხადებაში მითითებულ ფასზე ხუთასი გირვანქით მეტის გადახდა მომიწია, რადგან კონკურენტები გამომიჩნდნენ. ვისაც შეეძლო, ყველამ გამყვლიფა: მიწის ამზომავმა, მშენებელმა, დეკორატორებმა, ლუისელმა მეავეჯეებმა. მაგრამ ეს არ მანაღვლებდა, ფული არ იყო მთავარი. მამიდა ენის გრძელ წერილებს ვუპასუხე და იმის ნახევარი ფასი მივწერე, რაც სინამდვილეში გადავიხადე.

ელექტრიკოსებს სარდაფში ელექტრობა გავაყვანინე, სანტექნიკოსებს კი - წყალი და კანალიზაცია. ვამბობდი, რომ ფოტოგრაფიისა და სადურგლო საქმეებისთვის სახელოსნო მჭირდებოდა. არც ვცრუობდი. სადურგლო საქმე იქ მართლაც იყო, რამდენიმე სურათიც უკვე გადაღებული მქონდა და მათი გამჟღავნება ფოტოგრაფთან არ შეიძლებოდა. ისეთი არაფერი - უბრალოდ, წყვილები.

აგვისტოს ბოლოს მუშები წავიდნენ და სახლში გადავედი. თავი სიზმარში მეგონა, მაგრამ ამან მალე გამიარა. არც ისე მარტო ვიყავი, როგორც მოველოდი. ჯერ მებაღე გამომეცხადა, ბაღში უნდა ვიმუშაო, ყოველთვის აქ ვმუშაობდიო. საზიზღრად იქცეოდა, როცა ვაგდებდი. შემდეგ სოფლის მღვდელი მოვიდა და უხეშად მომიწია მასთან საუბარი. განვუცხადე, რომ მსურდა ყველას თავი დაენებებინა ჩემთვის, რომ ნონკონფორმისტი ვიყავი და არაფერი საერთო არ მინდოდა მქონოდა სოფელთან და მის მრევლთან. შეწყვიტა თავისი მიეთმოეთები და კუდამოძუებული გაიძურწა. კიდევ იმ ხალხის მოცილება მომიწია, მოძრავი დახლებით პროდუქტი რომ დაჰქონდათ. ვუთხარი, რომ ყველაფერს ლუისში ვყიდულობდი.

ტელეფონიც გამოვართვევინე.

წესად დავიდე, რომ ჭიშკარი ჩამეკეტა. გისოსებიანი ჭიშკარი იყო, მაგრამ საკეტი ჰქონდა. ერთი-ორჯერ დავინახე, ვაჭრებმა გადმოიხედეს, მაგრამ მალე, ეტყობა, ყველა მიხვდა, ვისთანაც ჰქონდათ საქმე და თავი დამანებეს. უკვე შემეძლო საქმეს შევდგომოდი.

არანაკლებ ერთი თვის მუშაობა დამჭირდა, რომ ყველაფერი გეგმის

მიხედვით მომემზადებინა. სულ მარტო ვიყავი. გამიმართლა, რომ ნამდვილი მეგობრები არ მყავდა (ქალაქის საბჭოს თანამშრომლებს მეგობრებს ვერ დაარქმევდი - არც მათ ვახსოვდი და არც მე მახსოვდა ისინი).

ადრე მამიდა ენის ვეხმარებოდი ხოლმე და რაღაც-რაღაცების გაკეთება მიწევდა. ძია დიკი მასწავლიდა. მაგალითად, ცოტ-ცოტა სადურგლო საქმე მეხერხებოდა და ასეთი რამეები. არ მინდა ტრაბახი გამომივიდეს, მაგრამ ოთახი საკმაოდ კარგად მოვაწყვე. როცა ყველაფერი ისე გამოშრა, როგორც საჭირო იყო, იატაკზე რამდენიმე ფენად წყალგაუმტარი ქეჩა დავაფინე, შემდეგ კი ლამაზი, კაშკაშა ფორთოხლისფერი ხალიჩა კედლიდან კედლამდე (კედლები თეთრად გადავაღებინე). ოთახში საწოლი, კომოდი, მაგიდა, სკამები და კიდევ რაღაც-რაღაცები დავდგი: ერთ კუთხეში - შირმა, მის იქით კი პირსაბანი, ტუალეტი და ასეთი რამეები... პატარა, განცალკევებული ოთახი გამოვიდა. ვიყიდე წიგნის თაროები და ბევრი წიგნი ხელოვნებაზე, რამდენიმე რომანიც, რომ მყუდრო, შინაურული გარემო შექმნილიყო. შეიქმნა კიდეც. ნახატების ყიდვა ვერ გავრისკე - ვიცოდი, შეიძლებოდა მეტად დახვეწილი გემოვნება ჰქონოდა.

ერთი პრობლემა, რა თქმა უნდა, კარები და ხმაური იყო. მის ოთახში კარის კარგი მუხის ჩარჩო იყო, მაგრამ თვითონ კარი არ იყო და მე მომიწია გაკეთება და მორგება. ეს ყველაზე მეტად გამიძნელდა. პირველად გაკეთებულმა არ ივარგა, მაგრამ მეორე უკეთესი გამოდგა. მასავით პატარაგოგოს კი არა, კაცსაც გაუჭირდებოდა მისი გატეხა. ხის ორდუიმიან ფიცრებს მეტალის ფურცლები გადავაკარი, რომ ფიცრამდე ვერ მიეღწია. ერთ ტონამდე იქნებოდა და მისი ჩამოკიდება ხუმრობა საქმე არ იყო, მაგრამ ესეც შევძელი. გარედან ათდუიმიანი ურდული ჩამოვკიდე და კიდევ ერთი ჭკვიანური აზრი მომივიდა. ძველი ფიცრებისგან რაღაც წიგნების კარადის მსგავსი შევაკოწიწე ინსტრუმენტებისა და რაღაცებისათვის და ის კარის ნიშში ჩავდგი, ისე, რომ ერთი შეხედვით, უბრალოდ, ნიშია კედელში, ნიშში კი - ხის თაროები. მაგრამ კარადას გასწევ და კარიც

გამოჩნდება! ის დანიშნულებაც ჰქონდა, რომ ხმა გარეთ აღარ გასულიყო. ბაღიდან სარდაფში შემავალ კარსაც შიგა მხრიდან ურდული გავუკეთე. ურდული უკვე ჰქონდა, მაგრამ მე მსურდა, რომ საერთოდ ვერავის შევეწუხებინე. და კიდევ სიგნალიზაციაც დავაყენე - უბრალო, ღამით ქურდებისგან თავდასაცავად.

პირველ სარდაფში კი რაც გავაკეთე, ის იყო, რომ ელექტროღუმელი დავდგი და კიდევ სამზარეულოსთვის საჭირო სხვა მოწყობილობები. ცოტა უცნაურად გამოჩნდებოდა, ვინმე ცნობისმოყვარეს რომ დაენახა, როგორ ვივლიდი სულ ზემოთ და ქვემოთ საჭმელ-სასმლით და ჯამ-ჭურჭლით. მაგრამ რადგან კარი სახლის უკანა მხარეს იყო, მაინცდამაინც არ ვღელავდი - უკანა კარი ტყეებისა და ველებისკენ გადიოდა. ბაღი ხომ ორი მხრიდან მაღალი კედლით იყო შემოღობილი, დანარჩენი კი - ხშირი სხლტით, რომლის იქით ვერაფერს დაინახავდი. ყველაფერი თითქმის იდეალურად იყო. იმასაც ვფიქრობდი, სარდაფში ჩამავალი შიგა კიბეც გამეკეთებინა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ძალიან ძვირი ჯდებოდა, თანაც შემეშინდა, საეჭვოდ არ გამოჩნდეს-მეთქი. მუშებს ხომ ვერ ენდობი. ყველაფერი უნდათ, რომ იცოდნენ.

მთელი ამ დროის განმავლობაში არ ვფიქრობდი, რომ სერიოზულად ვაპირებდი რაიმეს. ვიცი, რომ ეს უცნაურად ჟღერს, მაგრამ ნამდვილად ასე იყო. ჩემთვის ვიმეორებდი, რომ არასდროს ასეთ რამეს არ გავაკეთებდი, რომ ეს მხოლოდ ჩემს წარმოსახვაში ხდებოდა და წარმოსახვაშიც არ მოხდებოდა, რომ არა ფული და თავისუფალი დრო. ჩემი აზრით, ბევრი იმათგანი, ვინც ახლა შეიძლება თავისთვის უწყინარად ცხოვრობს, იმავეს გააკეთებდა, რაც მე გავაკეთე, ფული და თავისუფალი დრო რომ ჰქონოდა. იმის თქმა მინდა, რომ აიშვებდნენ, თვალთმაქცობას შეწყვეტდნენ და გააკეთებდენ იმას, რასაც ახლა ჰგონიათ, რომ არ გააკეთებენ. ერთი ჩემი მასწავლებელი ხშირად იმეორებდა, ძალაუფლება რყვნისო და ფული ხომ ძალაუფლებაა.

კიდევ ის გავაკეთე, რომ ლონდონში მისთვის ბევრი ტანსაცმელი ვიყიდე. მაღაზიაში მირანდას ტანის გამყიდველი გოგონა დავინახე და ვთხოვე, თქვენი ზომის ტანსაცმელი შემირჩიეთ-მეთქი. ის ფერები შევარჩიე, რომელსაც მირანდა იცვამდა და ყველაფერი ვიყიდე, რაც მაღაზიაში შემომთავაზეს. მოვიგონე, ჩემი მეგობარი გოგონა ჩრდილოეთიდან მოდის, გზაში მთელი ბარგი მოჰპარეს და მინდა აქ სიურპრიზი დავახვედრო-მეთქი და ასეთი რამეები. არ მგონია, რომ დამიჯერა, მაგრამ რას დაეძებდა. იღბლიანი დილა ჰქონდა, თითქმის ოთხმოცდაათი გირვანქის საქონელი გაყიდა.

ჩემ მიერ გამოჩენილი სიფრთხილის ზომების შესახებ გაუჩერებლად შემიძლია ვილაპარაკო. მის ოთახში საათობით ვიჯექი ხოლმე და თავს ვიმტვრევდი, რა შეეძლო მოეფიქრა იქიდან თავის დასაღწევად. ვუშვებდი, რომ შესაძლოა ელექტრობაში გარკვეული ყოფილიყო - ახლანდელი გოგონები რაში აღარ ერკვევიან. ამიტომ სულ რეზინისძირიანებს ვიცვამდი, სანამ გამომრთველს შევეხებოდი, ყოველთვის ყურადღებით ვათვალიერებდი. სპეციალური ნაგავსაწვავი დავამონტაჟე, რომ მისი ოთახიდან არანაირი ნაგვის გატანა არ დამჭირვებოდა. ჭუჭყიანი ტანსაცმლისაც კი. არავითარი სარეცხი. რა იცი, რას რა მოჰყვება.

ბოლოს ლონდონში დავბრუნდი, სასტუმრო „კრემორნში“. რამდენიმე დღე ვეძებდი, მაგრამ ვერსად მოვკარი თვალი. ძალიან ვღელავდი, მაგრამ თავის დანებებას არ ვაპირებდი. ფოტოაპარატი თან არ დამქონდა, რადგან ძალიან სარისკო იყო - ბევრად დიდ ფსონზე მიდიოდა თამაში, ვიდრე, უბრალოდ, ქუჩაში სურათის გადაღებაა. ორჯერ კაფეში შევედი. პირველ დღეს იქ თითქმის ორი საათი გავატარე. თავი ისე მეჭირა, თითქოს წიგნს ვკითხულობდი, მაგრამ ის არ გამოჩენილა. რაღაც ველური აზრები მომდიოდა თავში, რომ შესაძლოა მოკვდა, ან ხელოვნების შესწავლას თავი დაანება. და აი, ერთხელ, როცა უორენ-სტრიტზე მეტროს ვაგონიდან გამოვდიოდი (არ მინდოდა ჩემი ფურგონი ვინმეს ზედმეტად

მოხვედროდა თვალში), ის დავინახე - ჩრდილოეთიდან მომავალი მატარებლიდან მეორე პლატფორმაზე გადმოვიდა. ყველაფერი იოლად მოხდა. უკან გავყევი და ვნახე, რომ კოლეჯში მივიდა. მეორე დღეს მეტროს სადგურთან დაველოდე. ეტყობა, ყოველთვის მეტროთი არ მგზავრობდა სახლისკენ, რადგან ორი დღე არ შემხვედრია, მაგრამ მესამე დღეს დავინახე, რომ გზა გადაჭრა და სადგურისკენ გაემართა. ასე გავარკვიე, საიდან მოდიოდა: ჰემპსტედიდან. მომდევნო დღეს ჰემპსტედში, სადგურთან დაველოდე. როცა გამოვიდა, უკან გავყევი და დაახლოებით ათი წუთი ვიარეთ პატარა ქუჩებში, სანამ მის სახლამდე მივედით. ის ჭიშკარში შევიდა, მე კი გვერდით ჩავუარე და ნომერი და ქუჩის სახელი დავიმახსოვრე.

იმ დღეს კარგად ვიმუშავე.

„კრემორნიდან“ ამ ამბამდე სამი დღით ადრე წამოვედი და ყოველდღე სასტუმროებს ვიცვლიდი, რომ კვალზე არ დამდგომოდნენ. ფურგონშისაწოლი, ღვედები და შარფები მომზადებული მქონდა. ქლოროფორმის გამოყენებას ვაპირებდი, რომლითაც ადრეც მისარგებლია დაჭერილი პეპლების დასახოცად. ერთმა ნაცნობმა ბიჭმა მომცა - ქალაქის ლაბორატორიაში მუშაობდა. ქლოროფორმი არ ძველდება, ძალას არ კარგავს, მაგრამ უფრო გულდამშვიდებული რომ ვყოფილიყავი, გადავწყვიტე მასში ცოტა ნახშირბადის ტეტრაქლორიდი შემერია, ნტქ-ს რომ ეძახიან. მისი შეძენა ხომ ყველგან შეიძლება.

ჰემპსტედის რაიონი უამრავჯერ მქონდა მოვლილი და მის ყოველ კუთხე-კუნჭულს ხუთი თითივით ვიცნობდი. ყველაფერი მზად იყო. ახლა ყურადღებით უნდა ვყოფილიყავი და ბედნიერ შემთხვევას დავლოდებოდი, რომ გასაკეთებელი გამეკეთებინა. იმ დღეებში საკუთარ თავს ვერ ვცნობდი. ყველაფერი გავთვალე, ყველაფერი გავითვალისწინე, თითქოს მთელი ცხოვრება ასეთ რამეებს ვაკეთებდი, თითქოს მთელი ცხოვრება საიდუმლო აგენტი თუ დეტექტივი ვიყავი.

ბოლოს, ათი დღის შემდეგ, ეს მოხდა - ისე როგორც ხანდახან პეპ-ლებზე ნადირობისას ხდება ხოლმე. მიდიხარ გარკვეულ ადგილას, სადაც იცი, რომ იშვიათი ეგზემპლარებია, უცდი, არა და არ ჩანან და შემდეგ, როცა უკვე აღარც კი ეძებ, აგერ, შენ წინ, ყვავილზე დასკუპებულა, თით-ქოს ხონჩით მოგართვესო, რომ იტყვიან.

იმ საღამოსაც მეტროს სადგურთან ვიდექი, ფურგონი კი მოშორებით, მოსახვევში მქონდა დაყენებული. ამინდი კარგი იდგა, თუმცა ჰაერი ჩა-ხუთული იყო, მერე კი ჭექა-ქუხილი ატყდა და წვიმა წამოვიდა. თავი მაღაზიას შევაფარე და ვხედავ, ის გვირაბის კიბით ამოდის. თავსხმა წვი-მაა, მას კი არც ლაბადა, არც ქურთუკი, მხოლოდ ჯემპრი აცვია. კუთხეს შემოურბინა და სადგურის მთავარი შესასვლელისკენ წავიდა. მეც იქით გავემართე. ირგვლივ უამრავი ხალხი ირეოდა. დავინახე, ტელეფონის ჯიხურში იყო შესული, შემდეგ გამოვიდა და იმის მაგივრად, რომ, რო-გორც ყოველთვის, ზემოთ, ბორცვისკენ წასულიყო, სხვა ქუჩას გაუყვა. უკან გავყევი, თან ვფიქრობდი, არაფერი გამოვა-მეთქი - ვერ გამეგო, რას აპირებდა. უცებ შესახვევისკენ გაიქცა, სადაც კინოთეატრი იყო და შიგ შევიდა. მივხვდი, რაც მოხდა. როგორც ჩანდა, სახლში დარეკა, ძლიერი წვიმაა და კინოში შევალ, სანამ გადაიღებსო. მივხვდი, რომ შანსი მეძ-ლეოდა, თუკი ვინმე არ შეხვდებოდა. როცა კინოში შევიდა, მივედი, რომ მენახა, სეანსი რამდენ ხანს გრძელდებოდა. აღმოჩნდა - ორ საათს. გავ-რისკე, თითქოს მინდოდა განგებას გავეჩერებინე და ეს არ მომხდარიყო: კაფეში შევედი და ვივახშმე. შემდეგ მანქანა ისეთ ადგილას დავაყენე, საიდანაც კინოს გამოსასვლელი ჩანდა. თავადაც არ ვიცოდი, რისი მო-ლოდინი მქონდა, შესაძლოა მას მეგობართან ჰქონდა შეხვედრა დათ-ქმული. თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს ბობოქარი ტალღა მიმაქანებდა, შეიძლებოდა რაღაცას მივენარცხებინე, შეიძლებოდა გამეცურა.

კინოდან მარტო გამოვიდა, ზუსტად ორი საათის შემდეგ. წვიმამ თითქმის გადაიღო. ცა მოღრუბლული იყო და ბინდდებოდა. დავინახე, ჩვეული გზით ბორცვისკენ გაემართა. მანქანა დავძარი, გადავუსწარი და

იმ ადგილას გავაჩერე, სადაც ვიცოდი, რომ აუცილებლად გაივლიდა. გზაგასაყარი იყო, საიდანაც მისი სახლისკენ მიმავალი ქუჩა იწყებოდა. ქუჩის ერთ მხარეს ხეები და ბუჩქები იყო ჩაყოლებული, მეორე მხარეს კი, გაბარდულ ნაკვეთში, უზარმაზარი სახლი იდგა. მე მგონი, იქ არავინ ცხოვრობდა. უფრო ზევით კიდევ იდგა დიდი სახლები. თავიდან კარგად განათებულ ქუჩაზე მოდიოდა, ასე რომ, ყველაზე მოსახერხებელი ადგილი ეს იყო.

ლაბადის ჯიბეში სარქველიანი ტომსიკა მქონდა ჩაკერებული და იქ ვინახავდი ქლოროფორმითა და ნახშირბადის ტეტრაქლორიდით გაჟღენთილ ტამპონს. ტომსიკას სარქველი მჭიდროდ ეხურებოდა და სუნი გარეთ აღარ გამოდიოდა, ტამპონი სისველეს ინარჩუნებდა და საჭიროების შემთხვევაში მის გამოყენებას შევძლებდი. ორი ქოლგიანი მოხუცი ქალი გამოჩნდა (ისევ ჟინჟღლავდა), პირდაპირ ჩემკენ ამოუყვნენ გზას. ეს კი ნამდვილად არ მაწყობდა. ვიცოდი, სადაც იყო, უნდა გამოევლო და თითქმის ხელი ჩავიქნიე. რაც შეიძლებოდა დაბლა დავიხარე და მათ ჩაიარეს. ენის გაუჩერებლად რატრატებდნენ. მგონი, არც კი დავუნახივართ მე და ჩემი ფურგონი. თუმცა მანქანები იმ რაიონში ყველგან იდგა. ერთი წუთი გავიდა. მანქანიდან გადმოვედი და უკანა კარი გავაღე. ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა. ვხედავ, უკვე მომიახლოვდა, კინაღამ გავუშვი მომენტი, რამდენიმე ნაბიჯში იყო მანქანასთან და სწრაფად მოდიოდა. ცოტა უფრო ნათელი ღამე რომ ყოფილიყო, არ ვიცი, რას ვიზამდი, მაგრამ ბნელი ღამე იყო, ქარიანი, და ხეები შრიალებდნენ. მის უკან არავინ ჩანდა. პირდაპირ ჩემკენ მოდიოდა. უცნაურია, თავისთვის ღიღინებდა.

როცა გვერდით უნდა ჩაევლო, უკაცრავად, ძაღლებში ხომ ვერ ერკვევით-მეთქი, ვკითხე.

გაკვირვებული შეჩერდა.

- რატომ მეკითხებით?

- საშინელებაა. ეს-ესაა ძაღლი გავიტანე. პირდაპირ ბორბლებში ჩამივარდა. არ ვიცი, როგორ მოვიქცე. ჯერ ცოცხალია, - ვითომდა ძალიან აღელვებულმა ფურგონის უკანა კარში შევიხედე.

- ოჰ, საწყალი ძაღლი, - თქვა მან.

მომიახლოვდა, რომ მანქანაში შეეხედა. ასეც ვიმედოვნებდი.

- სისხლი არ მოსდის, - ვთქვი მე, - მაგრამ მოძრაობა არ შეუძლია.

გაღებულ უკანა კართან მივიდა, რომ მანქანაში შეეხედა. გავიწიე,ვითომცდა იმისთვის, რომ საშუალება მიმეცა ახლოდან ენახა და უკნიდან დავუდექი. გადაიხარა და მანქანაში თავი შეყო. მიმოვიხედე, არავინ ჩანდა, ტამპონი ამოვიღე და ხელები შემოვაჭდე. კრინტი არ დაუძრავს - ეტყობა, ძალიან გაუკვირდა. ტამპონი ცხვირ-პირზე ავაფარე. სუნმა ჩემამდეც კი მოაღწია. რაც შემეძლო მაგრად ჩავბღუჯე, მისი სუნამოს სუნი მცემდა. გააფთრებით იბრძოდა, მაგრამ ძალა არ ჰქონდა. კიდევ უფრო პატარა ტანისა იყო, ვიდრე ჩანდა. რაღაც ბუყბუყის მსგავსი ხმები გამოსცა. კვლავ გზას გავხედე. ვფიქრობდი, ახლა წინააღმდეგობის გაწევას დამიწყებს და ან ტკივილის მიყენება მომიწევს მისთვის, ან უნდა გავიქცე-მეთქი. უცებ როგორღაც მოეშვა. აქამდე ვცდილობდი შებოჭილი მყოლოდა, რომ გამეკავებინა, ახლა კი იმიტომ მეჭირა, რომ არ დაცემულიყო. ნახევრად ფურგონში შევწიე, შემდეგ წინა კარი გავაღე და უკვე იქიდან შიგნით შევაჩოჩე. ორივე კარი წყნარად დავკეტე. ავწიე და საწოლზე დავაწვინე. ის ჩემი იყო. უცებ ძალიან ავღელდი. ხომ მივაღწიე საწადელს! ჯერ პირი ავუკარი, შემდეგ საწოლზე მივაკარი ღვედებით, აუჩქარებლად, პანიკის გარეშე, გეგმის მიხედვით. მერე მძღოლის ადგილზე გადავბობღდი. სულ ერთი წუთი დამჭირდა. გზას ავუყევი, ნელა, აუჩქარებლად, წყნარად. ტყეპარკისკენ შევუხვიე და შეგულებულ ადგილას გავაჩერე. კვლავ უკან გადავედი და ამჯერად სათანადოდ დავაბი - შარფები და რაღაცებიც გამოვიყენე, ისე, რომ არ ტკენოდა, მაგრამ ყვირილი ან ბრაგაბრუგის ატეხა არ შესძლებოდა. ჯერ გრძნობაზე არ იყო მოსული, მაგრამ სუნთქავდა - მძიმედ, ცოტა გაცივებულივით, მაგრამ ვიცოდი,

რომ კარგად იყო.

რედჰილთან, როგორც დაგეგმილი მქონდა, ტრასიდან მიყრუებულ გზაზე გადავუხვიე, მანქანა გავაჩერე და უკან გადავედი, რომ მისთვის დამეხედა. ფარანი ყველაზე სუსტ სინათლეზე ავანთე, რომ მისი სახე დამენახა. გაღვიძებული იყო. მის დიდ თვალებში შიში არ ჩანდა, პირიქით, თითქოს სიამაყეც კი იგრძნობოდა. თითქოსდა გადაწყვეტილი ჰქონდა არაფრის დიდებით არ შეშინებოდა.

ვუთხარი, რომ არ ენერვიულა, რომ არაფერს დავუშავებდი. თვალმოუცილებლად მიყურებდა.

უხერხულობა ვიგრძენი. არ ვიცოდი, რა მეთქვა. ვკითხე, ხომ კარგად იყო, ხომ არაფერი სჭირდებოდა, მაგრამ ეს სასაცილოდ ჟღერდა. სინამდვილეში მინდოდა მეკითხა, გარეთ გასვლა ხომ არ გსურთ-მეთქი.

თავი აქეთ-იქით გადააქნია. მივხვდი, იმის თქმა უნდოდა, რომ ალიკაპი ტკივილს აყენებდა.

ვუთხარი, რამდენიმე მილით ვართ დაშორებული სოფლიდან და კივილს აზრი არა აქვს, თუ დაიკივლებთ, პირს ისევ აგიკრავთ-მეთქი.

- გაიგეთ? - ვეკითხები.

თავი დამიქნია. შარფი გავხსენი და ჩვარი მოვაშორე. როგორც კი ეს გავაკეთე, თავი რამდენადაც შეეძლო ზევით ასწია, გვერდზე გადაიხარა და არწყია. საზიზღრობა იყო - ქლოროფორმისა და ნარწყევის სუნი. არაფერი თქვა, მხოლოდ ამოიკვნესა. თავგზა ამებნა, არ ვიცოდი, რა მექნა. უცებ ვიგრძენი, სახლში უნდა წამეყვანა და თან რაც შეიძლებოდა სწრაფად. პირი ისევ ავუკარი. გაიბრძოლა, გავიგონე, პირაკრულმა როგორ თქვა: „არა, არა!“ საშინელება იყო, მაგრამ ჩემს თავს ვაიძულე ამის გაკეთება, ვიცოდი, რომ საბოლოო ჯამში ასე უკეთესი იყო. შემდეგ საჭეს მივუჯექი და წავედით.

სახლში დაახლოებით თერთმეტის ნახევარზე მივედით. მანქანა გარაჟში დავაყენე და გარეთ გამოვედი, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ ჩემი არყოფნისას არაფერი მომხდარა. ის კი არა, რომ რაიმეს ველოდი,

მაგრამ ხომ იცით, ეშმაკს არ სძინავს. მის ოთახში ჩავედი. ყველაფერი რიგზე იყო. მაინცდამაინც ჩახუთულიც არ იყო, რადგან კარი ღიად მქონდა დატოვებული. ერთხელ, ღამით, იქ მეძინა კიდეც, რათა მენახა, ჰაერი თუ კმარა-მეთქი. კმაროდა. ყველაფერი მომზადებული მქონდა ჩაის მოსადუღებლად და ასეთი რამეებისათვის. ოთახში მყუდრო, შინაურული ატმოსფერო სუფევდა.

ბოლოს ეს დიადი წამიც დადგა. გარაჟში შევედი და ფურგონის უკანა კარი გავაღე. როგორც მთელი დანარჩენი ოპერაცია, ეს ნაწილიც გეგმის მიხედვით წავიდა. ღვედები შევხსენი, წამოვაჯინე. ფეხები, რა თქმა უნდა, არ გავუხსენი. ისევ გაბრძოლებას შეეცადა და იძულებული გავხდი ამეხსნა, რომ თუ არ გაჩერდებოდა, ქლოროფორმი კიდევ მქონდა (ვაჩვენე), მაგრამ თუ წყნარად იქნებოდა, მისთვის ტკივილის მიყენებას არ ვაპირებდი. ამან იმოქმედა. ხელში ავიყვანე. სულაც არ იყო ისე მძიმე, როგორც მეგონა. ქვემოთ მისი ჩაყვანა არ გამჭირვებია, თუმცა მისი ოთახის კართან ისევ გაიბრძოლა, მაგრამ აქ ველარაფერს გახდებოდა. ლოგინში ჩავაწვინე. ახლა კი ყველაფერი რიგზე იყო.

სახე გაჰფითრებოდა. ლურჯი ჯემპრი ნარწყევით ჰქონდა მოსვრილი. საშინლად გამოიყურებოდა, მაგრამ მის თვალებში შიში არ ჩანდა. უცნაური იყო. ის უბრალოდ მიყურებდა, მიცდიდა.

ვუთხარი, რომ ეს მისი ოთახი იყო. თუ რასაც ვეტყოდი, შეასრულებდა, მისთვის ტკივილის მიყენებას არ ვაპირებდი. ყვირილს აზრი არ ჰქონდა, მაინც ვერავინ გაიგონებდა - არც არავინ იყო, რომ გაეგონა. ახლა მივდიოდი და თუ ჩაი ან კაკაო მოუნდებოდა, სენდვიჩები და ნამცხვრები ბუფეტში იყო და შეეძლო მიერთვა (ჰემპსტედში ვიყიდე, როცა ის კინოში შევიდა).

- ხვალ დილით დავბრუნდები, - დავუბარე.

ვხედავდი, რომ უნდოდა ალიკაპი მომეშორებინა მისთვის, მაგრამ ეს არ გავაკეთე. მხოლოდ ხელები შევუხსენი და მაშინვე გავედი ოთახიდან.

კარი დავკეტე და ურდული დავადე, სანამ ჩვრის მოცილებას ცდილობ-და.გავიგონე, დამიძახა, დაბრუნდიო. შემდეგ კიდევ ერთხელ, მაგრამ უფ-რო ხმადაბლა. მერე კარი მოსინჯა - არც ისე ძლიერად. შემდეგ კარზე ბრახუნი დაიწყო რაღაც მყარი საგნით - მგონი, სავარცხლით. დიდ ხმას არ გამოსცემდა, მაგრამ კარის ნიშში ის ვითომც კარადა მაინც ჩავდგი და დავრწმუნდი, რომ გარეთ არაფერი ისმოდა. კიდევ ერთ საათს გავჩერდი გარე სარდაფში, ისე, ყოველი შემთხვევისთვის - ამის აუცილებლობა არ იყო, ოთახში ისეთი არაფერი ჰქონდა, რითაც კარის გამომტვრევას შეძ-ლებდა, საკმარისი ძალაც რომ ჰქონოდა. ფინჯნები და ლამბაქები პლას-ტმასის იყო, ჩაიდანი და დანა-ჩანგალი - ალუმინის.

ზემოთ ავედი და დავწექი. როგორც იქნა, ის სტუმრად მყავდა, მეტი არც არაფერი მინდოდა. დიდხანს არ დამეძინა, ბევრ რამეზე ვფიქრობ-დი. ცოტა ის მაეჭვებდა, ფურგონზე არ აეღოთ კვალი, მაგრამ ჩემი ფურ-გონის მსგავსი ასობით დადიოდა. სინამდვილეში მხოლოდ ის ორი ქოლ-გიანი მოხუცი ქალი მადარდებდა, გვერდით რომ ჩამიარეს.

ვიწექი და ვფიქრობდი, რომ იმასაც, ქვემოთ, ალბათ არ ეძინა. წარ-მოვიდგინე, როგორ ჩავიდოდი მასთან დილით, ვანუგეშებდი, დავამშვი-დებდი. აღგზნებული ვიყავი და შესაძლოა ოცნებებში ცოტა შორს წავე-დი, მაგრამ ეს არ მაღელვებდა. ვიცოდი, რომ ჩემი სიყვარული მისი ღირ-სების შესაფერისი იყო. ამ ფიქრებში ჩამეძინა.

შემდეგ ის მეუბნებოდა, რა ცუდად მოვიქეცი და რომ მე უნდა გამეც-ნობიერებინა, რა გავაკეთე. მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ იმ საღა-მოს ბედნიერი ვიყავი, თითქოს რაღაც დიადი საქმე აღვასრულე, ევერეს-ტზე ავედი ან მტრის ზურგში გმირობა ჩავიდინე. ბედნიერად ვგრძნობდი თავს, მე ხომ საუკეთესო ზრახვები მქონდა მის მიმართ. ის ამას ვერასო-დეს მიხვდა.

რომ შევაჯამოთ, ეს იყო უბედნიერესი საღამო ჩემს ცხოვრებაში (იმას თუ არ ჩავთვლით, როცა ტოტალიზატორში მოვიგე), თითქოს Polyommatus semiargus დამეჭიროს ან Iსსორია ლატჰონია. ასეთი რამ

მხოლოდ ერთხელ ხდება ცხოვრებაში, ან, უფრო ხშირად, იმ ერთხელაც არ ხდება. ეს ისეთი რამაა, რაზეც უფრო ოცნებობ, ვიდრე ელი, რომ აგიხდება.

მაღვიძარა არ დამჭირვებია, გაცილებით ადრე გამეღვიძა. სარდაფში ჩავედი და კარი ჩავკეტე. ყველაფერი დაგეგმილი მქონდა. მის კარზე დავაკაკუნე და დავუძახე, ადგომის დროა-მეთქი. ათ წუთს დაველოდე, შემდეგ ურდული გავწიე და შევედი. ჩანთა დავუბრუნე, რომელიც მანამდე, რა თქმა უნდა, კარგად გავჩხრიკე. ისეთი არაფერი აღმოჩნდა, რაც შეეძლო გამოეყენებინა, ფრჩხილების ქლიბისა და სამართებლის პირის გარდა, რომლებიც ამოვიღე.

სინათლე ენთო. სავარძელთან იდგა ჩაცმული და დაჟინებით მიყურებდა. შიშის ნატამალი არ ჩანდა მის თვალებში. მტკიცედ, თავდაჯერებულად გამოიყურებოდა. უცნაურია, რომ სულაც არ აღმოჩნდა ისეთი, როგორადაც წარმომედგინა. თუმცა, რა თქმა უნდა, აქამდე ასე ახლოს არასოდეს მენახა.

ვუთხარი, იმედია, კარგად გეძინათ-მეთქი.

- სად ვარ და თქვენ ვინ ხართ. რატომ მომიყვანეთ აქ? - თქვა ცივად, მაგრამ არააგრესიულად.

- ამას ვერ გეტყვით.

- მოვითხოვ ახლავე გამათავისუფლოთ. ეს საშინელებაა.

ვიდექით და ერთმანეთს ვუყურებდით.

- გზიდან ჩამომეცალეთ, უნდა წავიდე. - და პირდაპირ ჩემკენ, პირდაპირ კარისკენ წამოვიდა. ფეხი არ მომიცვლია. წამიერად გამიელვა, ჩემზე თავდასხმას ხომ არ აპირებს-მეთქი, მაგრამ თვითონაც დაინახავდა, რომ ეს სისულელე იქნებოდა. მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, მისთვის არაფერი დამეთმო. ძალიან ახლოს შეჩერდა და თქვა: - გზა მომეცით.

ვუთხარი, რომ ჯერ ვერ წავიდოდა და კარგი იქნებოდა, თუ არ მაიძულებდა კვლავ ძალა გამომეყენებინა.

ცივად, ზიზღით შემომხედა, შემდეგ შებრუნდა და თქვა:

- არ ვიცი, ვინ გგონივართ. თუ ფიქრობთ, რომ მდიდარი მშობლები მყავს და დიდ გამოსასყიდს მოგცემენ, უსიამოვნო სიურპრიზი გელით.

- ვიცი, ვინც ხართ, ფული არაფერ შუაშია, - ვუთხარი.

აღარ ვიცოდი, კიდევ რა მეთქვა. ძალიან ვნერვიულობდი - როგორც იქნა ის, ხორცშესხმული, ჩემთან მყავდა. მინდოდა მისი სახისთვის მეცქირა, მშვენიერი თმისთვის, მისი პატარა, ნაზი სხეულისთვის, მაგრამ ისეთი სახით მიყურებდა, რომ ვერ შევძელი. უცნაური სიჩუმე ჩამოვარდა.

უცებ ბრალდების ტონით მითხრა:

- თქვენ გგონიათ, არ ვიცი, ვინ ხართ?

ვიგრძენი, რომ ვწითლდებოდი და ამას ვერაფერს ვუხერხებდი. ეს ჩემს გეგმებში არ შედიოდა. ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ მიცნობდა.

- ქალაქის საბჭო, - თქვა წყნარად.

- ვერ გავიგე, რას მეუბნებით, - ვუპასუხე.

- თქვენ ულვაში ამ ბოლო დროს მოუშვით, - მითხრა.

ვერ მივხვდი, როგორ მიცნო. ვიფიქრე, რომ ალბათ სადმე ქალაქში დამინახა რამდენჯერმე, ან თავისი ფანჯრიდან. ეს არ გამითვალისწინებია. თავში ყველაფერი მერეოდა.

- თქვენი ფოტო იყო გაზეთში, - თქვა მან.

საშინლად ვერ ვიტან, როცა გამომააშკარავებენ, არ ვიცი, რატომ. ასეთ შემთხვევებში ყოველთვის ვცდილობ, მომხდარს ახსნა მოვუძებნო, რაღაცებს ვთხზავ, რომ თავი გავიმართლო. უცებ გამოსავალს მივაგენი.

ვუთხარი, რომ მე მხოლოდ ბრძანებებს ვასრულებდი.

- ვის ბრძანებებს? - მკითხა.

- ამას ვერ გეტყვით.

თვალს არ მაცილებდა. დისტანციას იცავდა ჩემთან. ვფიქრობ, შიშობდა, თავს არ დავსხმოდი.

- ვის ბრძანებებს? - გაიმეორა.

ვცადე, ვინმე მომეფიქრებინა, მაგრამ ვერ გეტყვით, რატომ და ერთადერთი გვარი, რომელიც მეხსიერებაში ამომიტივტივდა (ისეთი, რომელიც მასაც შეიძლებოდა სცოდნოდა) მისტერ სინგლტონი იყო - მენეჯერი იმ ბანკისა, სადაც, ვიცოდი, მამამისს ფული ჰქონდა შეტანილი. ის იქ რამდენჯერმე დავინახე, მისტერ სინგლტონს ესაუბრებოდა.

- მისტერ სინგლტონის ბრძანებებს, - ვთქვი მე.

ამან გააოგნა. მე სწრაფად განვაგრძე. ვუთხარი, ამის თქმის უფლება არ მქონდა, რომ გაიგოს, მომკლავს-მეთქი.

- მისტერ სინგლტონის? - იკითხა, თითქოს კარგად ვერ გაიგონაო.

- ის ის არ არის, ვინც თქვენ გგონიათ, - ვთქვი მე.

უცებ სავარძლის სახელურზე ჩამოჯდა, თითქოს მუხლები მოეკეცაო. თითქოს ეს უკვე მეტისმეტი იყო მისთვის.

- იმის თქმა გინდათ, რომ მისტერ სინგლტონმა გიბრძანათ ჩემი მოტაცება?

თავი დავუქნიე.

- მაგრამ მის ქალიშვილს ვიცნობ. მისტერ სინგლტონი... რა სიგიჟეა, - თქვა მან.

- პენჰერსტროუდელი გოგონა თუ გახსოვთ?

- რომელი პენჰერსტროუდელი გოგონა?

- აი ის, სამი წლის წინ რომ გაუჩინარდა.

ეს მე მოვიფიქრე. იმ დილით ჩემი გონება სხარტად მუშაობდა. ასე ვთვლიდი.

- ალბათ იმ დროს სკოლაში ვიყავი. რა შეემთხვა?

- არ ვიცი. მხოლოდ ის ვიცი, რომ ეს მან გააკეთა.

- რა გააკეთა?

- არ ვიცი. არ ვიცი, მას რა შეემთხვა, მაგრამ რაც მოხდა, მისი გაკეთებული იყო. ამის შემდეგ მასზე არავის არაფერი სმენია.

- სიგარეტი გაქვთ? - უცებ მეუბნება.

ძალიან უგერგილოდ გამომივიდა. ჯიბიდან სიგარეტი და სანთებელა

ამოვიღე, მასთან მივედი და გავუწოდე. არ ვიცოდი, უნდა მომეკიდებინა თუ არა. იმ წამს ეს როგორღაც სულელურად მომეჩვენა.

ვუთხარი, თქვენ არაფერი გიჭამიათ-მეთქი.

სიგარეტი ისე ეჭირა, როგორც ნამდვილ ლედის. ჯემპრი გაეწმინდა. ძალიან ჩახუთული ჰაერი იყო.

ყურადღება არ მომაქცია. უცნაური იყო. ვიცოდი, ხვდებოდა, რომ ვატყუებდი.

- თქვენ ამბობთ, რომ მისტერ სინგლტონი სექსუალური მანიაკია და გოგონებს იტაცებს, თქვენ კი მას ეხმარებით?

ვუთხარი, რომ სხვა გზა არ მქონდა. რომ ბანკიდან ფული მოვიპარე და თუ გაიგებდნენ, ციხეში მომიწევდა ჩაჯდომა. ასე რომ, მას გამოჭერილი ვყავდი.

მთელი ამ დროის განმავლობაში თვალმოუცილებლად მიყურებდა. დიდი, ნათელი თვალები ჰქონდა, ცნობისწადილით სავსე (მაგრამ, რა თქმა უნდა, არა მომაბეზრებლად ცნობისმოყვარე).

- თქვენ დიდი ფული მოიგეთ. ხომ ასეა?

ახლა მივხვდი, რომ გავები. უხერხულად ვიგრძენი თავი და წამომახურა.

- რატომ არ გადაიხადეთ იმ ფულით, თუ ასეა? რამდენი იყო? სამოცდაათი ათასი გირვანქა? ნუთუ მეტი მოიპარეთ? თუ უბრალოდ, ისე, გასართობად ეხმარებით?

- არის რაღაცები, რისი თქმაც არ შემიძლია. მე მთლიანად მის განკარგულებაში ვარ.

ის წამოდგა, კაბის ჯიბეებში ხელებჩაწყობილი. სარკეში ჩაიხედა (სარკე, რა თქმა უნდა, მეტალის იყო და არა მინის) - ისე, მრავალფეროვნებისთვის.

- რას მიპირებს?

- არ ვიცი.

- ახლა სად არის?

- უნდა მოვიდეს, ველოდები.

ცოტა ხნით გაჩუმდა, შემდეგ სახის გამომეტყველება ისეთი გაუხდა, თითქოს თავში რაღაც საზარელმა აზრმა გაუელვაო. თითქოს დაიჯერა, რომ რაც ვუთხარი, შესაძლოა მართალიც ყოფილიყო.

- ჰო, რა თქმა უნდა. და ეს, ეტყობა, მისი სახლია საფოლკში.

- დიახ, - ვთქვი მე. ჩემი აზრით, ჭკვიანურად ვუპასუხე.

- მას საფოლკში სახლი არა აქვს, - თქვა ცივად.

- თქვენ შეიძლება არ იცით, - ვთქვი მე. მაგრამ ძალიან არადამაჯერებლად.

ისევ აპირებდა რაღაცის თქმას, მაგრამ ვიგრძენი, უნდა შემეწყვეტინებინა. არ მეგონა, ასეთი გამჭრიახი თუ იქნებოდა. ჩვეულებრივ ადამიანებს არ ჰგავდა.

- იმის საკითხავად მოვედი, საუზმედ რას მიირთმევთ. არის ფაფა, კვერცხი...

- არავითარი საუზმე არ მინდა, - თქვა მან. - რა საზიზღრობაა ეს ვიწრო ოთახი. რა ნარკოზი იყო ის?

- არ მეგონა, გულს თუ აგირევდათ. მართლა არ მეგონა.

- მისტერ სინგლტონს უნდა ეთქვა თქვენთვის, - აშკარად ჩანდა, რომ ჩემი შეთხზული ამბავი არ დაიჯერა. დამცინოდა.

აჩქარებით ვკითხე, ჩაის დალევდა თუ ყავას. ყავასო, მიპასუხა, მაგრამ იმ პირობით, თუ ჯერ მე დავლევდი მისი თანდასწრებით. ამით დავამთავრე და გარე სარდაფში გამოვედი. სანამ კარს დავკეტავდი, მეუბნება:

- სანთებელა გრჩებათ.

- კიდევ მაქვს (სინამდვილეში არ მქონდა).

- გმადლობთ, - თქვა მან. უცნაური იყო, თითქოს გაიღიმა კიდეც.

„ნესკაფე“ მოვამზადე და შევუტანე. მიყურა, როგორ დავლიე და შემდეგ თვითონაც დალია. განუწყვეტლივ შეკითხვებს მისვამდა, უფრო

სწორად, ვგრძნობდი, რომ შეიძლებოდა შეკითხვა დაესვა, მოულოდნელი შეკითხვა - ისეთი, რომ გამოვეჭირე. მაგალითად, რამდენ ხანს უნდა დარჩენილიყო აქ, რატომ ვიყავი ასეთი კეთილი მის მიმართ. პასუხები მომზადებული მქონდა, მაგრამ ვიცოდი, რომ ისინი მთლად დამაჯერებელი არ იქნებოდა. მასთან სწრაფად რაღაცების შეთხზვა ადვილი არ იყო. ბოლოს ვუთხარი, მაღაზიებში მივდივარ და მითხარით, რა გსურთ, ყველაფერს გიყიდით-მეთქი.

- ყველაფერს? - მკითხა.

- გონივრულის ფარგლებში, - ვუპასუხე.

- მისტერ სინგლტონმა გიბრძანათ ასე?

- არა, ეს ჩემგან არის.

- მე მხოლოდ ის მსურს, რომ აქედან გავიდე, - თქვა მან. მეტი ვერაფერი ვათქმევინე. ეს საშინელება იყო. უცებ დადუმდა. არაფერზე აღარ მპასუხობდა. იძულებული გავხდი მარტო დამეტოვებინა.

საუბარი არც სადილობისას ისურვა. სადილი გარე სარდაფში მოვამზადე და შევუტანე. თითქმის არაფერი უჭამია. ისევ შეეცადა ჩემს გაბითურებას. ყინულივით ცივი იყო, მაგრამ წარბიც არ შევიხარე.

იმ საღამოს, ვახშმის შემდეგ, რომელსაც ისევ თითქმის არ მიჰკარებია, წავედი და კართან დავჯექი. კარგა ხანს იჯდა და ეწეოდა, თვალებდახუჭული, თითქოს ჩემი ყურებით დაიღალაო.

- მე ბევრი ვიფიქრე. რაც მისტერ სინგლტონზე მითხარით, რა თქმა უნდა, მოგონილია. ერთი სიტყვაც არ მჯერა. ჯერ ერთი, ის ამის გამკეთებელი არ არის და კიდეც რომ იყოს, თქვენ არ აგიყვანდათ სამუშაოდ. თან ეს ფანტასტიკური მომზადება ყველაფრის... არა, ის არ არის.

ხმა არ ამომიღია. თვალს ვერ ვუსწორებდი.

- თქვენ ბევრი წვალება დაგჭირდათ. მთელი ეს ტანსაცმელი, ეს წიგნები ხელოვნებაზე. ვიანგარიშე და მხოლოდ წიგნები ორმოცდასამი გირვანქა დაგიჯდათ, - თითქოს თავის თავს ესაუბრებოდა. - მე თქვენი ტყვე ვარ, მაგრამ თქვენ გსურთ, რომ ბედნიერი ტყვე ვიყო. მხოლოდ ორი რამ

შემიძლია ვივარაუდო: გამოსასყიდისთვის მომიტაცეთ, ბანდის წევრი ხართ, ან რაღაც ასეთი.

- არ ვარ, ხომ გითხარით.

- თქვენ იცით, ვინც ვარ და ისიც გეცოდინებათ, რომ მამაჩემი მდიდარი კაცი არ არის. ასე რომ, მიზეზი გამოსასყიდი არ უნდა იყოს.

შემზარავი იყო იმის მოსმენა, რომ მან ეს ყველაფერი გაიაზრა.

- დარჩა მხოლოდ ერთი რამ - სექსი. - დაჟინებით მიყურებდა.

ცხადია, ეს შეკითხვა იყო. შევცბი.

- სრულიადაც არა. დიდი პატივისცემა მაქვს თქვენ მიმართ. მე ასეთი არა ვარ. - მოკლედ და გარკვევით ვუთხარი.

- მაშინ გიჟი ყოფილხართ, - თქვა მან. - სასიამოვნო და კეთილი, მაგრამ გიჟი. - შემდეგ განაგრძო - აღიარებთ, რომ მისტერ სინგლტონის ამბავი შეთხზულია?

- მინდოდა ფრთხილად ამეხსნა თქვენთვის, - ვუპასუხე.

- აგეხსნათ რა? - მკითხა. - ძალადობა? გაუპატიურება?

- მე ეს არასოდეს მითქვამს, - ვუპასუხე. მასთან საუბრისას სულ თავის დაცვა მიწევდა. ადრე, ჩემს ოცნებებში, ყოველთვის პირიქით იყო.

- აქ რატომ ვარ?

- მინდა ჩემი სტუმარი იყოთ.

- თქვენი სტუმარი!

წამოდგა, სავარძლის უკან დადგა და მის ზურგს მიეყრდნო. თვალს არ მაცილებდა. ლურჯი ჯემპრი გაიხადა, იდგა, მუქი მწვანე კაბა ეცვა, სკოლის ფორმის მსგავსი და ყელთან ღილშეხსნილი თეთრი ბლუზა. თმა დაეწნა. სახე მომხიბლავი. მამაცი გამოხედვა. არ ვიცი, რატომ, უცებ წარმოვიდგინე, რომ მუხლებზე მიზის, ძალიან წყნარი, მე კი მის ფაფუკ ქერა თმას ვეფერები, რომელიც ბოლომდე გაუშლია, - ისე, როგორც მოგვიანებით ვნახე.

უცებ ვუთხარი, მიყვარხართ-მეთქი. გამაგიჟა.

- ვხედავ, - თქვა მან. უჩვეულო, სერიოზული ხმით.

შემდეგ ჩემკენ აღარ გამოუხედავს.

ვიცი, რომ სიყვარულში გამოტყდომა ძველმოდურად გამოიყურება და ამას არც ვაპირებდი, ყოველ შემთხვევაში - მაშინ. ოცნებებში ყოველთვის ისე ხდებოდა, რომ დგებოდა დღე, როცა ჩვენ ერთმანეთს თვალებში ვუყურებდით, ვკოცნიდით და არაფერს ვამბობდით. ჯარში ერთი ბიჭი, სახელად ნობი, რომელმაც ყველაფერი იცოდა ქალების შესახებ, ამბობდა: ქალს არასდროს უნდა უთხრა, რომ გიყვარს, მაშინაც კი, როცა მართლაგიყვარსო. თუკი აუცილებელია, „მე შენ მიყვარხარ“ უთხრა, ეს ხუმრობის ტონით უნდა თქვა, თუ გინდა, რომ ქალები დაგდევდნენო. მაგრად უნდა დადგე, რომ შენსას მიაღწიოო. რა სულელურად გამომივიდა. ასჯერ მაინც გავაფრთხილე საკუთარი თავი, რომ ეს არ უნდა მეთქვა, დაე, ბუნებრივად მოხდეს ორივე მხრიდან-მეთქი, მაგრამ როცა ის უკვე ჩემთან იყო, თავგზა მებნეოდა და ხშირად ვამბობდი ისეთ რამეებს, რაც არ უნდა მეთქვა.

რა თქმა უნდა, ყველაფერი არ მომიყოლია. ვუთხარი, რომ ქალაქის საბჭოში ვმუშაობდი, ხშირად ვხედავდი მას და მასზე ვოცნებობდი, ვაკვირდებოდი, როგორი მანერები ჰქონდა, როგორ დადიოდა; ვუთხარი, რამდენს ნიშნავდა ის ჩემთვის, რომ ვიცოდი, ფულის მოგების მიუხედავად, არასდროს გამოიხედავდა ჩემკენ; რომ მარტო ვიყავი. ბოლოს გავჩერდი. ის საწოლზე იჯდა და ნოხს დასცქეროდა. კარგა ხანს ვდუმდით. მხოლოდ ვენტილატორის ზუზუნი ისმოდა გარე სარდაფიდან.

თავს დარცხვენილად ვგრძნობდი. მთლად აწითლებული ვიყავი.

- თქვენ ფიქრობთ, რომ თუ აქ ტყვედ გეყოლებით, შემიყვარდებით?

- მინდა, რომ კარგად გამიცნოთ.

- სანამ აქ ვარ, თქვენ ჩემთვის მხოლოდ გამტაცებელი იქნებით. ხვდებით ამას?

ავდექი. აღარ მინდოდა მასთან დარჩენა.

- დაიცადეთ, - თქვა და ჩემკენ წამოვიდა. - გპირდებით. მე მესმის

თქვენი. მართლა მესმის. გამიშვით. არავის ვეტყვი და არც არაფერი მოხდება.

პირველად იყო, რომ კეთილად შემომხედა. ისეთი მეტყველი თვალები ჰქონდა, ისე აშკარად მეუბნებოდნენ, მენდეო, თითქოს სიტყვებით ეთქვას. თვალები თითქოს უცინოდა. ძალიან აღგზნებული იყო.

- თქვენ შეგიძლიათ. ჩვენ შეგვიძლია მეგობრები ვიყოთ. მე თქვენ დაგეხმარებოდით, - ქვემოდან ამომხედა. - ჯერ კიდევ არ არის გვიან.

სიტყვებით ვერ გადმოგცემთ, ამ დროს რას ვგრძნობდი. დიდ ტკივილს მაყენებდა. მეტის ატანა აღარ შემეძლო. კარი დავკეტე და ისე წავედი, არც გამოვმშვიდობებივარ.

ვერავინ გაიგებს, ყველას ეგონება, იმის მიღწევას ვცდილობდი, რასაც ყველა ცდილობს. ზოგჯერ, მის გამოჩენამდე, როცა წიგნებში სურათებს ვათვალიერებდი, მეც ასე ვფიქრობდი, ხან კი თავადაც არ ვიცოდი, რა მინდოდა. მაგრამ მისი გამოჩენის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. აღარ ვფიქრობდი იმ წიგნებზე და იმაზე, რომ სურათებს გადავუღებდი სხვადასხვა პოზაში. ასეთი რამეები უკვე გულს მირევდა და, ვიცოდი, მასაც გულს აურევდა. იყო მასში რაღაც ისეთი კარგი, რომ შენც კარგი უნდა გამხდარიყავი, ის თითქოს ამას ელოდა შენგან. იმის თქმა მინდა, რომ მას შემდეგ, რაც ის გამოჩნდა, ყველაფერი დანარჩენი საძაგლობად მეჩვენებოდა. ის ისეთი ქალი არ იყო, რომელსაც პატივს არ სცემდი და სულ ერთი იქნებოდა, როგორ მოიქცეოდი. არ შეიძლებოდა მისთვის პატივი არ გეცა. მასთან ყოველთვის ფრთხილად უნდა ყოფილიყავი.

იმ ღამით თითქმის არ მძინებია. გაოგნებული ვიყავი იმით, რაც მოხდა; იმით, რომ პირველივე დღეს ამდენი რამე ვუთხარი და მან ასე გამაბითურა. რამდენჯერმე ისიც კი გავიფიქრე, ლონდონში დამებრუნებინა, როგორც მთხოვდა, შემდეგ კი საზღვარგარეთ გავმგზავრებულიყავი. მაგრამ მისი სახე წარმომიდგა თვალწინ და ნაწნავი, არათანაბრად დაწნული და ზურგზე ოდნავ გვერდულად გადაგდებული. კიდევ მისი დგომა,

სიარული, მისი მშვენიერი, ნათელი თვალები და მივხვდი, რომ ამის გამ-კეთებელი არ ვიყავი.

საუზმედ ამჯერად ცოტაოდენი შვრიის ფაფა და ყავა მიირთვა - ისე, რომ არც ერთს ხმა არ ამოგვიღია. დილით რომ მივედი, უკვე ამდგარი და ჩაცმული იყო, ლოგინიც სხვანაირად მიელაგებინა. როგორც ჩანდა, ლო-გინში ეძინა. როცა უკვე წასვლას ვაპირებდი, მითხრა:

- თქვენთან საუბარი მინდოდა.

შევჩერდი.

- დაჯექით, - მითხრა. საფეხურებთან მდგარ სკამზე ჩამოვჯექი.

- იცით, რა, ეს სიგიჟეა. თუ თქვენ გიყვარვართ ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მაშინ არ შეიძლება ჩემი აქ ტყვედ ყოფნა გსურდეთ. ხე-დავთ, რა საშინელ დღეშიც ვარ. ჰაერი... ღამით სუნთქვა მიჭირს და თა-ვის ტკივილი მაღვიძებს. აქ დიდხანს თუ გამაჩერებთ, მოვკვდები, - ძა-ლიან შეწუხებული ჩანდა.

- ეს ძალიან დიდხანს არ გაგრძელდება. გპირდებით.

ადგა და კომოდთან მივიდა. დაჟინებით მომაჩერდა.

- რა გქვიათ? - მკითხა.

- კლეგი, - ვუპასუხე.

- არა, სახელს გეკითხებით.

- ფერდინანდი.

სწრაფად შემომხედა თავისი გამჭოლი მზერით.

- ტყუით, - თქვა. გამახსენდა, რომ პიჯაკის ჯიბეში საფულე მედო ოქ-როსფერი ინიციალებით. ამოვიღე და ვაჩვენე. საიდან უნდა სცოდნოდა, რომ „ფ“ ფრედერიკს ნიშნავს. ყოველთვის მომწონდა სახელი ფერდინან-დი, მანამდეც კი, სანამ მირანდას გავიცნობდი. არის ამ სახელში რაღაც უცხოური, გამორჩეული. ძია დიკი მეძახდა ხოლმე ფერდინანდს ხუმრო-ბით. ლორდი ფერდინანდ კლეგი, მარკიზ დე ფარვანა. ასეთი ტიტული მომიგონა.

- ასეთი სახელი დამარქვეს, - ვუთხარი მე.

- ალბათ ფერდის გეძახიან, ან ფერდს.

- მხოლოდ ფერდინანდს.

- იცით, რა, ფერდინანდ, არ ვიცი, თქვენ ჩემში რას ხედავთ. არ ვიცი, რატომ გიყვარვართ. შესაძლოა სადმე სხვაგან შემყვარებოდით კიდეც. მე... - შეჩერდა, ეტყობოდა, აღარ იცოდა, რა ეთქვა. ეს მისთვის უჩვეულო იყო. - მე რბილი, კეთილი მამაკაცები მომწონს. მაგრამ ამ სარდაფში ვერაფრით შეგიყვარებთ. აქ საერთოდ ვერავის შევიყვარებდი. ვერასდროს.

ვუთხარი, რომ მხოლოდ მისი გაცნობა მინდოდა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში კომოდზე იჯდა და ყურადღებით მიყურებდა, რომ გაეგო, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა მისი ნათქვამი ჩემზე. დავეჭვდი. მივხვდი, რომ მამოწმებდა.

- ვინ იტაცებს ადამიანებს გასაცნობად!

- მე ძალიან მინდა თქვენი გაცნობა. ლონდონში ამის შესაძლებლობა არ მომეცემოდა. მე ხომ არც ისეთი ჭკვიანი ვარ, რომ... სხვა კლასს ვეკუთვნი. ლონდონში ზედაც არ შემხედავდით.

- არ არის მართალი. მე სნობი არა ვარ. პირიქით, სნობებს ვერ ვიტანი. ადამიანებს პირველი შთაბეჭდილებით არასდროს განვსჯი.

- მე თქვენ არ გადანაშაულებთ, - ვუთხარი.

- მძულს სნობიზმი! - ძალიან გაცხარდა. თავისებური მანერა ჰქონდა, ზოგიერთ სიტყვას მკვეთრად, ხაზგასმით წარმოთქვამდა. - ლონდონში ჩემი საუკეთესო მეგობრების ნაწილი მუშათა კლასს ეკუთვნის, მუშის ოჯახიდანაა. ჩვენ შორის ამას არავინ აქცევს ყურადღებას.

- ჰო, პიტერ კეიტსბის მსგავსები, - ვუთხარი (ეს ის ბიჭი იყო, სპორტული მანქანით).

- პიტერი? აღარც მახსოვს, ბოლოს როდის ვნახე. ერთი მდიდარი ლენჩი ტიპია.

თვალწინ წარმომიდგა, როგორ ჯდებოდა იმ ბიჭის მდიდრულ მანქანაში და აღარ ვიცოდი, დამეჯერებინა თუ არა მისთვის.

- ჩემზე ალბათ გაზეთები წერენ.

- არ ვიცი, არ მინახავს.

- შეიძლება დიდი ხნით ჩაგსვან.

- მიღირს. თუნდაც სამუდამო მომცენ, მიღირს.

- მე გპირდებით, გეფიცებით, რომ თუ გამიშვებთ, არავის ვეტყვი. რაღაცას მოვიგონებ და ყველას როგორმე ავუხსნი. ისე მოვაწყობ, რომ ხშირად შევხვდეთ ერთმანეთს, რამდენჯერაც გინდათ, როცა გინდათ, გარდა იმ დროისა, როცა ვმუშაობ. არავის არასდროს არაფერი ეცოდინება ამის შესახებ ჩვენ გარდა.

- არ შემიძლია, - ვუპასუხე, - ახლა არ შემიძლია.

როგორ მევედრებოდა! ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს გულქვა მეფე ვიყავი.

- თუ გამიშვებთ, აღტაცების გრძნობა გამიჩნდება თქვენ მიმართ. ვიფიქრებ, მთლიანად მის ხელში ვიყავი და ის რაინდი გამოდგა, ნამდვილი ჯენტლმენის შესაფერისად მოიქცა-მეთქი.

- არ შემიძლია, - ვუთხარი მე. - ნუ მთხოვთ. გთხოვთ, ნუ მეხვეწებით.

- ვიფიქრებ, რომ ასეთი ადამიანის ახლოს გაცნობა ეღირება. - კომოდზე ჩამომჯდარი დაჟინებით მიყურებდა.

- ახლა უნდა წავიდე, - ვთქვი და ისე სწრაფად წამოვედი, რომ ზედა საფეხურზე წავფორხილდი. კომოდიდან წამოხტა და გაჩერდა. კარში მდგომს უცნაური გამომეტყველებით ამომყურებდა.

- ძალიან გთხოვთ, - თქვა რბილად, საამოდ. ძნელი იყო უარის თქმა.

ეს იმას ჰგავდა, პეპელას რომ დასდევდე, იშვიათ ეგზემპლარს, ბადე არ გქონდეს და ორი თითით გიწევდეს დაჭერა, ცერით და საჩვენებლით (ეს ყოველთვის კარგად გამომდიოდა). ნელ-ნელა ეპარები და აი უკვე თითებში გყავს. ახლა თორაქსი უნდა მოუწეწკო, ის კი თრთის, თრთის. ეს უფრო ძნელია, ვიდრე მისი ეთერიან ბოთლში მოკვდინება, მირანდას შემთხვევაში კი ეს ბევრად უფრო რთული იყო, რადგან მე მისი სიკვდილი არ მინდოდა. თუ რამე არ მინდოდა, ეს მისი სიკვდილი იყო.

ხშირად ამბობდა ხოლმე, თუ როგორ ვერ იტანდა კლასობრივ განსხვავებას, მაგრამ მე ასე ადვილად არ ვტყუვდები. ადამიანი იმით კი არ ავლენს საკუთარ თავს, თუ რას ამბობს, არამედ იმით, თუ როგორ ამბობს. დანახვისთანავე თვალში გეცემოდა მისი სიფაქიზე და ხვდებოდი, როგორ იყო აღზრდილი. ზოგიერთებივით მანჭვა-გრეხა არ უყვარდა, მაგრამ მაინც ყველაფერი ზედ ეწერა. როგორც კი რაიმეს არასწორად გავაკეთებდი ან ვიტყოდი, სარკასტული და მოუთმენელი ხდებოდა. შეწყვიტეთ კლასობრივ განსხვავებაზე ფიქრიო, მეუბნებოდა - როგორც მდიდარი ეტყვის ღარიბს, ფულზე ფიქრი შეწყვიტეო.

არა, რაიმეში კი არ ვადანაშაულებ. შესაძლოა ზოგჯერ განგებ ამბობდა და აკეთებდა იმ შემაცბუნებელ რამეებს, რათა ჩემთვის ეჩვენებინა, რომ სულაც არ იყო დახვეწილი. მაგრამ საკუთარ თავს ვერსად გაექცევი. როცა გაბრაზდებოდა, ყველაფერს პირში მომახლიდა ხოლმე.

კლასობრივი ბარიერი ჩვენ შორის ყოველთვის არსებობდა.

იმ დილით ლუისში წავედი. მაინც მინდოდა გაზეთებისთვის გადამეხედა. ბევრი გაზეთი ვიყიდე. მის შესახებ ყველგან ეწერა. იაფფასიან გაზეთებში დიდი სტატიებიც კი ეძღვნებოდა, ორგან ფოტოც იყო. უცნაური იყო მათი კითხვა. რაღაც ისეთებიც კი გავიგე, რაც ადრე არ ვიცოდი.

გაუჩინარდა 20 წლის სტუდენტი მირანდა გრეი (თმა ქერა, გრძელი). მირანდა გრეიმ შარშან ლონდონის სლეიდის სამხატვრო სასწავლებლის მთავარი სტიპენდია მოიპოვა. ცხოვრობდა მისამართზე: ჰემნეტ-როუდი 29,ჩრდ-დას. 3, დეიდასთან, კ. ვენბრაფ-ჯონსთან ერთად. სწორედ მან შეატყობინა პოლიციას ნათესავის გაუჩინარების შესახებ გუშინ, გვიან ღამით.

სამშაბათს, ლექციების შემდეგ, მირანდამ დეიდას დაურეკა და გააფრთხილა, რომ კინოში მიდიოდა და შინ რვის შემდეგ დაბრუნდებოდა.

მას შემდეგ იგი აღარ გამოჩენილა.

გვერდით მისი დიდი ფოტო იყო წარწერით: ეს გოგონა ხომ არ გინახავთ?

მეორე გაზეთმა გულიანად გამაცინა:

ამ ბოლო დროს ჰემპსტედის მცხოვრებლები სულ უფრო და უფრო ღელავენ ე.წ. „ავტომგლების" გამო. მირანდას კურსელი და ახლო მეგობარი პირს ბრაფტონი ჩვენს კორესპონდენტს იმ კაფეში შეხვდა, რომელსაც ხშირად სტუმრობდა ხოლმე მირანდასთან ერთად. ბრაფტონის თქმით: „სამშაბათს მირანდა მშვენიერ ხასიათზე იყო. დავთქვით, რომ იმ დღეს გამოფენაზე წავიდოდით. მირანდამ იცის ლონდონი რაც არის და უცხო ადამიანს მანქანაში არაფრით ჩაუჯდებოდა. მომხდარით ძალიან შეშფოთებული ვარ".

სლეიდის სასწავლებლის წარმომადგენელმა განაცხადა: „მირანდა ერთ-ერთი ყველაზე წარჩინებული სტუდენტია მეორეკურსელებს შორის. დარწმუნებული ვართ, რომ მის გაუჩინარებას სრულიად უწყინარი ახსნა აქვს. არტისტული ბუნების ადამიანები არაპროგნოზირებადი არიან, განსაკუთრებით - ახალგაზრდობაში".

საქმე კვლავ საიდუმლოებითაა მოცული. გთხოვთ ყველას, ვინც მირანდა სამშაბათ საღამოს ნახა, ან ჰემპსტედის რაიონში რაიმე საეჭვო შენიშნა, პოლიციას შეატყობინოთ.

შემდეგ აღწერილი იყო, რა ეცვა და ასეთი რამეები და ფოტოც ახლდა. სხვა გაზეთი წერდა, რომ პოლიცია ჰემპსტედ-ჰიტის ყველა ტბორის შემოწმებას აპირებდა. მეორე იუწყებოდა, მირანდა და პირს ბრაფტონი არაოფიციალურად დანიშნულები არიანო. გავიფიქრე, ეს ის ბიტნიკი ხომ არ არის, მასთან ერთად რომ დავინახე-მეთქი. კიდევ ერთი გაზეთი კი წერდა: „ის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სტუდენტია, რომელიც ყოველთვის მზად არის სხვების დასახმარებლად". ყველა გაზეთი აღნიშნავდა, რომ ის ძალიან ლამაზია და ფოტოებს აქვეყნებდა. შეუხედავი რომ ყოფილიყო, ბოლო გვერდზე სულ ორიოდ სტრიქონით დაკმაყოფილდებოდნენ.

როცა ჩემი ფურგონით უკან ვბრუნდებოდი, მანქანა გზის განაპირას

გავაჩერე და ყველაფერი წავიკითხე, რაც გაზეთებში ეწერა. არ ვიცი რატომ, მაგრამ ძალაუფლების შეგრძნება გამიჩნდა. ამდენი ხალხი ეძებდა, პასუხი კი მხოლოდ მე ვიცოდი. გზა განვაგრძე და მტკიცედ გადავწყვიტე მისთვის არაფერი მეთქვა.

მასთან რომ შევედი, პირველად სწორედ გაზეთებზე მკითხა. აინტერესებდა, წერდნენ თუ არა მის შესახებ. ვუთხარი, გაზეთები არ მინახავს და არც ვაპირებ. ყველაფერი რასაც ისინი წერენ, სრული სისულელეა-მეთქი. აღარაფერი უთქვამს.

გაზეთები მისთვის მერეც არ მიმქონდა, არც რადიოს ვასმენინებდი და არც ტელევიზორს ვაყურებინებდი. ადრე, სანამ ჩემთან სტუმრად აღმოჩნდებოდა, ხელში ერთი წიგნი ჩამივარდა - „გესტაპოს საიდუმლოებანი“ - წამებისა და ასეთი რამეების შესახებ, რაც ომის დროს ხდებოდა და რომ პატიმრისთვის ერთ-ერთი მთავარი სიძნელე გარე სამყაროსგან მოწყვეტა იყო. იმის თქმა მინდა, რომ პატიმრებს სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში ამყოფებდნენ, ერთმანეთთან საუბრის საშუალებასაც კი არ აძლევდნენ და სწორედ მათი ძველი სამყაროსგან მოწყვეტა ტეხდა მათ მორალურად. მე, რა თქმა უნდა, მისი გატეხა არ მინდოდა - გესტაპოს მსგავსი ზრახვები არ მქონდა, მაგრამ ვფიქრობდი, რომ აჯობებდა, თუ ის გარე სამყაროს მოწყვეტილი იქნებოდა, რადგან მაშინ მეტს იფიქრებდა ჩემზე. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრჯერ მთხოვა, გაზეთები და რადიო არასდროს მიმიტანია მისთვის. პირველ დღეებში არ მინდოდა სცოდნოდა, რას აკეთებდა პოლიცია მის მოსაძებნად, რადგან ეს მხოლოდ გაანერვიულებდა. ეს, ჩემი მხრივ, შეიძლება ითქვას, სიკეთეც კი იყო.

იმ საღამოს სადილი მოვუმზადე - გაყინული წიწილა შევუწვი და ბარდასთან და თეთრ საწებელთან ერთად მივართვი. ჭამა და, მგონი, მოეწონა. ვკითხე, თუ შეიძლება ცოტა ხნით დავრჩე-მეთქი.

- თუ ასე გსურთ, - მიპასუხა. საწოლზე იჯდა, დაკეცილი საბანი კე-

დელზე ბალიშივით მიედო და ზურგით ეყრდნობოდა. ფეხები თურქულად ჰქონდა ამოკეცილი. ცოტა ხანს ეწეოდა და მე რომ ვუყიდე, იმ რეპროდუქციების ალბომს ათვალიერებდა.

- ფერწერაზე რა იცით?

- იმდენიც არაფერი, რომ ცოდნა დაერქვას.

- ასეც ვიცოდი. წინააღმდეგ შემთხვევაში უდანაშაულო ადამიანს არ დაატყვევებდით.

- კავშირს ვერ ვხედავ, - ვუპასუხე.

წიგნი დახურა.

- მომიყევით თქვენ შესახებ. მითხარით, რას აკეთებთ თავისუფალ დროს.

- ენტომოლოგი ვარ. პეპლების კოლექციონერი.

- რა თქმა უნდა, - თქვა მან. - გამახსენდა, გაზეთში ეწერა. და ახლა მეც ჩამრთეთ თქვენს კოლექციაში.

ჩანდა, ეს როგორღაც ართობდა და ვუპასუხე, ფიგურალურად ასეც შეიძლება ითქვას-მეთქი.

- ფიგურალურად კი არა, პირდაპირი მნიშვნელობით. ამ პატარა ოთახსმიმაჯაჭვეთ, თითქოს ქინძისთავი დამარჭვეთ და ახლა შეგიძლიათ მოხვიდეთ და დატკბეთ.

- ასე არ არის.

- იცით, რომ მე ბუდისტი ვარ? მეზიზღება ყველა, ვინც კლავს, თუნდაც მწერს.

- წიწილი კარგად მიირთვით, - ვუთხარი. ამჯერად გამოვიჭირე.

- ამის გამო ჩემი თავი მეზიზღება. უკეთესი ადამიანი რომ ვიყო, ვეგეტარიანელი ვიქნებოდი.

ვუთხარი, რომ თუ მთხოვდა, პეპლების კოლექციონერობას თავს დავანებებდი, რომ ყველაფერს შევუსრულებდი, რასაც მთხოვდა.

- გარდა იმისა, რომ აქედან გაფრენის ნება მომცეთ.

- გთხოვთ ამაზე ნუ ვილაპარაკებთ. აზრი არა აქვს.

- მე მაინც ვერ მექნებოდა პატივისცემის გრძნობა იმ ადამიანის მიმართ, განსაკუთრებით მამაკაცის მიმართ, რომელიც მხოლოდ ჩემს საამებლად გააკეთებდა რამეს. ვისურვებდი მას მხოლოდ ის გაეკეთებინა, რასაც თვითონ ჩათვლიდა მნიშვნელოვნად.

ყოველთვის ცდილობდა დავეგესლე. თითქოს სულ უწყინარ რამეებზე ვსაუბრობდით და უცებ - თითქოს ზურგში დანა ჩაეცეს. ხმა არ ამომიღია.

- რამდენ ხანს უნდა ვიყო აქ?

- არ ვიცი, - ვუპასუხე. - გააჩნია.

- რას?

არაფერი ვუპასუხე. არ შემეძლო.

- რას გააჩნია, შემიყვარდებით თუ არა?

გაკაპასებული იყო.

- თუ ამას გააჩნია, მაშინ სიკვდილამდე აქ უნდა ვიყო.

არ ვუპასუხე.

- წადით, - მითხრა. - წადით და იფიქრეთ იმაზე, რაც გითხარით.

მომდევნო დილით პირველად შეეცადა გაქცევას. სახტად არ დავრჩენილვარ, მაგრამ ეს ჩემთვის კარგი გაკვეთილი იყო. საუზმის შემდეგ მითხრა, კედლის კუთხესთან საწოლის ფეხი მორყეულია, ქანჩია მომძვრალი და მეშინია არ წაიქცესო. ბოთესავით დავუჯერე, საწოლთან მივედი, რომ შემეკეთებინა და როგორც კი დავიხარე, ისე ძლიერად მიბიძგა, წონასწორობა დამაკარგვინა და კარისკენ გაიქცა. კიბე ერთ წამში აირბინა. ხელი არ შემიშლია. კარზე სპეციალური კავი იყო გამოდებული, რომ არ მიხურულიყო და კიდევ სოლი, დაზღვევისათვის, რომლის ამოღებასაც ცდილობდა, როცა მასთან მივირბინე. გაიქცა - მიშველეთ, მიშველეთ, მიშველეთ! - კიოდა და საფეხურებზე არბოდა გარე კარისკენ, რომელიც, რაღა თქმა უნდა, ჩაკეტილი იყო. კარს მივარდა და დაეჯაჯგურა, მერე ბრაგუნი ატეხა, თან კიოდა. ამ დროს ჩავბღუჯე. ძალიან არ მინდოდა ამის გაკეთება, მაგრამ რაღაც ხომ უნდა მეღონა. წელზე შემოვხვიე ერთი

ხელი, მეორე კი პირზე ავაფარე და ქვემოთ, მისი ოთახისკენ წავათრიე. რაც შეეძლო იბრძოდა, ფეხებს იქნევდა, მაგრამ ძალიან პატარა იყო და მეც, შეიძლება დევგმირი არა ვარ, მაგრამ სუსტიც არ მეთქმის. ბოლოს მოდუნდა და ხელი გავუშვი. ერთ წუთს გაჩერდა, შემდეგ მომვარდა და სილა გამაწნა. დიდად არ მტკენია, მაგრამ საშინელი შოკი იყო ჩემთვის. ასეთ რამეს ნამდვილად არ ველოდი. მე ხომ სავსებით კეთილგონივრულად მოვიქეცი, სხვა ჩემს ადგილზე შეიძლება წონასწორობიდან გამოსულიყო. მერე ოთახში შევიდა და კარი მიიჯახუნა. მინდოდა შევყოლოდი და მეთქვა, რა როგორ იყო, მაგრამ ძალიან გაბრაზებული ჩანდა, მზერა ზიზღით ჰქონდა სავსე. ამიტომ კარი ურდულით დავკეტე და ნიშში კარადა ჩავდგი.

ამ ყველაფერს ის მოჰყვა, რომ ჩემთან ლაპარაკი შეწყვიტა. სადილობისას სიტყვა არ დაუძრავს, თუმცა შევეცადე გამოვლაპარაკებოდი და ვუთხარი, რაც მოხდა, მოხდა-მეთქი. ზიზღით შემომხედა მხოლოდ. საღამოსაც იგივე განმეორდა. როცა მაგიდის ასალაგებლად მივედი, თეფში მომაწოდა და ზურგი შემაქცია. აშკარად მაგრძნობინა, რომ ჩემი იქ ყოფნა არ სურდა. ვფიქრობდი, გაუვლის-მეთქი, მაგრამ მეორე დღეს მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. არა თუ არ ლაპარაკობდა, ჭამაც შეწყვიტა.

- ნუ იზამთ ამას, - ვუთხარი, - აზრი არა აქვს.

მაგრამ პასუხი არ გამცა. არც კი შემომხედა.

იგივე განმეორდა შემდეგ დღესაც. არც ჭამდა და არც ლაპარაკობდა. ველოდი, როდის ჩაიცვამდა ჩემ ნაყიდ ტანსაცმელს, მაგრამ ისევ თავისი თეთრი ბლუზა და შალის უჯრედებიანი კაბა ეცვა. უკვე მართლა ვნერვიულობდი, არ ვიცოდი, რამდენ ხანს ძლებს ადამიანი უჭმელი. ფერმკრთალი და მისუსტებული ჩანდა. სულ საწოლზე იჯდა, ჩემკენ ზურგშექცევით და ისე საცოდავად გამოიყურებოდა, არ ვიცოდი, რა მეღონა.

მეორე დღეს საუზმედ ყავა, გახუხული პური, ფაფა და ჯემი ჩავუტანე. მაგიდაზე დავდგი და ცოტა ხანს შევიცადე, რომ სუნი ეგრძნო.

შემდეგ ვუთხარი, არ ველი თქვენგან გაგებას, არ ველი, რომ შემიყვა-რებთ, ისე როგორც ადამიანების უმრავლესობას უყვარდება-მეთქი, რომ მხოლოდ ის მინდოდა, ცდილიყო გაეგო ჩემთვის, რამდენადაც შეეძლო და ცოტაოდენი კეთილგანწყობა გამოეჩინა ჩემ მიმართ.

არც განძრეულა.

ვუთხარი, მოდი, მოვრიგდეთ: გეტყვით, როდის შეგეძლებათ წასვლა, მაგრამ გარკვეული პირობებით-მეთქი.

არ ვიცი, ეს რატომ ვთქვი. მე ხომ ვიცოდი, რომ მას არასოდეს გავუშ-ვებდი. თუმცა ეს მთლად მტკნარი სიცრუეც არ იყო. ხანდახან მიფიქ-რია,რომ იმ დროისთვის, როცა შევთანხმდებოდით, გავუშვებდი, პირობა პირობაა და ასეთი რამეები. სხვა დროს ვფიქრობდი, რომ მის გაშვებას ვერ შევძლებდი.

შემობრუნდა და მომაჩერდა. ამ სამი დღის განმავლობაში პირველად გამოამჟღავნა სიცოცხლის ნიშანწყალი.

ვუთხარი, რომ ჩემი პირობა იყო ეჭამა, ელაპარაკა ჩემთან, როგორც ადრე, და გაქცევას არ ცდილიყო.

- ბოლო პირობაზე არასოდეს დავთანხმდები.

- და პირველ ორზე? - ვკითხე (ვიფიქრე, კიდევაც რომ შემპირებოდა არ გავიქცევიო, სიფრთხილის ზომების მიღება მაინც საჭირო იქნებოდა, ასე რომ, ეს უაზრო პირობა იყო).

- თქვენ არ გითქვამთ, როდის.

- ექვს კვირაში, - ვუთხარი.

ისევ ზურგი შემაქცია.

- მაშინ ხუთში, - ვთქვი ცოტა ხნის შემდეგ.

- ერთი კვირა დავრჩები. ერთი დღეც არ გადაშორდება.

ვუთხარი, რომ ამაზე არაფრით დავთანხმებოდი და ისევ შებრუნდა. ტიროდა. ვხედავდი, მხრები როგორ უთრთოდა. მასთან მისვლა მომინდა და საწოლისკენ წავედი, მაგრამ მკვეთრად შემობრუნდა, ალბათ იფიქრა,

თავს მესხმისო. თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე, ლოყები - სველი. მართლა ძალიან ცუდად იმოქმედა ჩემზე, ასეთ მდგომარეობაში რომ დავინახე.

- თვითონ განსაჯეთ, - ვუთხარი, - ახლა ხომ იცით, ჩემთვის რასაც ნიშნავთ, ნუთუ გგონიათ, მთელ ამ სამზადისს იმისთვის გავწევდი, რომ მხოლოდ ერთი კვირა დარჩენილიყავით აქ.

- მძულხართ, მძულხართ.

- სიტყვას გაძლევთ, - ვუთხარი, - როგორც კი დრო ამოიწურება, როცა მოისურვებთ, წასვლას შეძლებთ...

არ მთანხმდებოდა. უცნაურია. იჯდა, მიყურებდა და ტიროდა. სახე ერთიანად აწითლებოდა. ვიფიქრე, რომ ჩემზე თავდასხმას აპირებდა. ეტყობოდა, ამის გაკეთება უნდოდა, მაგრამ თვალები ამოიმშრალა, სიგარეტს მოუკიდა და თქვა:

- ორი კვირა.

მე ვუთხარი, თქვენ ორს ამბობთ, მე - ხუთს, ერთ თვეზე შევთანხმდეთ, თოთხმეტ ნოემბერს უწევს-მეთქი.

მცირეოდენი პაუზის შემდეგ თქვა:

- ოთხი კვირა თერთმეტ ნოემბერს უწევს.

მისი მდგომარეობა მაღელვებდა, მინდოდა სწრაფად შევთანხმებულიყავით, ამიტომ ვუთხარი, მართალია, კალენდარულ თვეს ვგულისხმობდი, მაგრამ დაე, ოცდარვა დღე იყოს - სამ დღეს გაჩუქებთ-მეთქი.

- დიდად გმადლობთ, - თქვა. რა თქმა უნდა, სარკასტულად.

ყავიანი ფინჯანი გავუწოდე. გამომართვა.

- მეც მაქვს რამდენიმე პირობა, - თქვა მან, სანამ ყავას დალევდა. - სულ ამ სარდაფში ვერ ვიცხოვრებ. სუფთა ჰაერი და დღის სინათლე მჭირდება. ცხელი აბაზანა, დროდადრო მაინც. ხატვისთვის საჭირო ნივთები, რადიო ან ფირსაკრავი. კიდევ აფთიაქში მინდა რაღაცები ვიყიდო. მინდა ახალი ხილი და სალათები. და კიდევ ცოტა ვარჯიშის საშუალება მინდა მქონდეს.

- გარეთ რომ გაგიშვათ, გაიქცევით, - ვუთხარი.

უცებ წელში გასწორდა. ისე სწრაფად შეიცვალა, აქამდე, ეტყობა, ცოტათი მსახიობობდა.

- იცით, პატიოსანი სიტყვა რას ნიშნავს?

ვუპასუხე, რომ ვიცოდი.

- შეგიძლიათ ჩემს პატიოსან სიტყვას ენდოთ და სუფთა ჰაერზე გამიშვათ. გპირდებით, რომ არ ვიყვირებ და არც გაქცევას შევეცდები.

ვუთხარი, ისაუზმეთ და ვიფიქრებ ამაზე-მეთქი.

- არა! მე ხომ ისეთს არაფერს გთხოვთ. თუ ეს სახლი მართლა განმარტოებით დგას, ეს თქვენთვის სრულებითაც არაა სარისკო..

- განმარტოებით კი დგას, - ვუთხარი, - მაგრამ ვერ გადამიწყვეტია.

- ისევ შიმშილობას ვიწყებ, - და შებრუნდა. წნეხში ვყავდი, როგორც იტყვიან.

- ხატვისთვის საჭირო ნივთები, რა თქმა უნდა, გექნებათ, - ვუთხარი. ამისთვის მხოლოდ თქვენი თქმა იყო საჭირო. და ფირსაკრავი. ნებისმიერი ფირფიტა, რომელსაც ისურვებთ. ყველაფერი.

- და სუფთა ჰაერი? - თქვა შემოუბრუნებლად.

- ეს მეტისმეტად სახიფათოა.

სიჩუმე ჩამოვარდა. სიტყვებზე უფრო მეტყველი. ბოლოს დავნებდი.

- შეიძლება ღამით. ვნახოთ.

- როდის? - შემობრუნდა.

- მოვიფიქრებ. თქვენი შებორკვა მომიწევს.

- მე ხომ პატიოსანი სიტყვა მოგეცით.

- ან ასე, ან საერთოდ არა.

- აბაზანა?

- რაღაცას მოვახერხებ.

- ცხელი აბაზანის მიღება მინდა, ნორმალურ აბაზანაში. არ შეიძლება ამ სახლში არ იყოს.

ერთ-ერთი, რაზეც ბევრი მიფიქრია, ის იყო, თუ როგორ დავათვალიერებინებდი სახლს, ავეჯსა და ყველაფერს. მინდოდა ზემოთყოფილიყო. როცა მასზევოცნებობდი, ყოველთვის ზემოთ ვიყავით ერთად და არა სარდაფში. ასეთი ვარ, იმპულსური, ხანდახან ისეთ რისკზე მივდივარ, სხვები რომ არ წავიდოდნენ.

- ვნახოთ, - ვუთხარი, - ჯერ ყველაფერი უნდა მოვამზადო.

- მე ხომ სიტყვა მოგეცით და სიტყვას არ გავტეხ.

- მჯერა, - ვთქვი.

ასე მოვრჩით.

ამით, ასე ვთქვათ, სიტუაცია განიმუხტა. მე კიდევ უფრო მეტი პატივისცემა გამიჩნდა მის მიმართ, მას კი ჩემ მიმართ. პირველი, რაც გააკეთა, ის იყო, რომ ჩამოწერა ნივთები, რომლებიც სჭირდებოდა. ლუისში წასვლა მომიწია, სადაც მხატვრების მაღაზიაში სპეციალური ქაღალდი, სხვადასხვანაირი ფანქრები და კიდევ რაღაცები ვიყიდე: სეპია, ტუში, სხვადასხვა ზომისა და ფორმის ფუნჯები. მერე აფთიაქში დეზოდორანტები და ასეთი რამეები შევიძინე. ქალისთვის საჭირო ნივთების ყიდვა სახიფათო იყო, ჩემთვის ხომ არ მენდომებოდა, მაგრამ გავრისკე. პროდუქტების სია მქონდა მისი ჩამოწერილი: ახალდაფქული ყავა, ბევრი ხილი, ბოსტნეული და მწვანილი - ეს მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ყოველ შემთხვევაში, შემდეგ თითქმის ყოველდღე წერდა სიას, თუ რა უნდა გვეყიდა; მასწავლიდა, როგორ უნდა მომემზადებინა. ეს იმას ჰგავდა, კაცს რომ ცოლი ჰყავს, მაგრამ ინვალიდი და ამიტომ თვითონ უწევს საყიდლებზე სიარული. ლუისში ფრთხილად ვიყავი, ერთსა და იმავე მაღაზიაში ორჯერ ზედიზედ არასოდეს შევდიოდი, რათა არ ეფიქრათ, რომ მეტისმეტად ბევრს ვყიდულობ ერთი ადამიანისთვის.

იმავე დღეს ფირსაკრავიც ვიყიდე. პატარა, მაგრამ მას ძალიან მოეწონა. არ მინდოდა გაეგო, რომ მუსიკაში საერთოდ ვერ ვერკვეოდი. ვნახე ფირფიტა, რომელიღაც ორკესტრი მოცარტს უკრავდა და ვიყიდე. შენაძენმა გაამართლა - მოეწონა და მასთან ერთად მეც მოვეწონე მისი

ყიდვისთვის. ერთ დღეს, დიდი ხნის შემდეგ, ჩვენ ერთად ვუსმენდით ამ მუსიკას და ის ტიროდა. იმის თქმა მინდა, რომ თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე. შემდეგ თქვა, მოცარტი კვდებოდა, როცა ამას წერდა და იცოდა, რომ კვდებოდაო. ჩემთვის ყველა მუსიკა ერთნაირია, ის კი, რა თქმა უნდა, ძალიან მუსიკალური იყო.

მომდევნო დღეს კვლავ წამოჭრა აბაზანისა და სუფთა ჰაერის საკითხი. არ ვიცოდი, რა მექნა. არაფერს შევპირებივარ. აბაზანაში ავედი, რომ რამე მომეხერხებინა. აბაზანას ფანჯარა ბაღისკენ ჰქონდა, სარდაფის კართან ახლოს. ასე რომ, უსაფრთხო იყო. ბოლოს რამდენიმე თამასა ავიღე და ჩარჩო შევფიცრე. სამდუიმიანი ხრახნებით დავამაგრე. ახლა ვერც სინათლით სიგნალის მიცემას შეძლებდა და ვერც გარეთ გაღწევას. ან ვინ იქნებოდა გარეთ გვიან ღამით.

ასე რომ, აბაზანას მივხედე.

შემდეგ წარმოვიდგინე, რომ ის ჩემთან ერთად ამოდის კიბეზე და ვფიქრობდი, რომელი ადგილი შეიძლებოდა ყოფილიყო სახიფათო. ქვედა სართულზე ყველა ფანჯარას შიგა დარაბა ჰქონდა, რომლებიც ადვილად იხურებოდა და იკეტებოდა კიდეც (მოგვიანებით ბოქლომები დავადე). ასე რომ, ფანჯრიდან ვერავის ყურადღებას ვერ მიიპყრობდა და ვერც სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფის მოყვარული შეძლებდა შემოხედვას. სამზარეულოში ყველაფერი შევამოწმე, რომ დანა და ასეთი რამეები ხელმისაწვდომი არ ყოფილიყო. ყველაფერზე ვიფიქრე, რა შეიძლებოდა გაეკეთებინა, როგორ შეეძლო ცდილიყო გაქცევას და თავი მშვიდად ვიგრძენი.

ვახშმის შემდეგ ისევ შემომიტია აბაზანასთან დაკავშირებით. ვაცალე, სანამ ისევ გაიბუტებოდა და შემდეგ ვუთხარი, კარგი, გავრისკავ, მაგრამ თუ პირობას დაარღვევთ, სულ აქ მოგიწევთ ყოფნა-მეთქი.

- მე პირობას არასოდეს ვარღვევ.

- პატიოსან სიტყვას მაძლევთ?

- პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ გაქცევას არ შევეცდები.

- და არც სიგნალს მისცემთ.

- და არც სიგნალს მივცემ.

- ხელები უნდა შეგიკრათ.

- მაგრამ ეს შეურაცხმყოფელია.

- მე მაინცდამაინც ვერც დაგადანაშაულებდით, პირობა რომ დაგერღვიათ.

- მაგრამ მე... აღარ დაამთავრა, მხრები აიჩეჩა მხოლოდ, შებრუნდა და ხელები უკან დაიწყო. შარფი მქონდა მომზადებული, რადგან თოკი უფრო ატკენდა. მაგრად შევუკარი, მაგრამ არც ისე, რომ ტკენოდა, მერე პირის აკვრაც მინდოდა, მაგრამ თქვა, ჯერ ბანაობისთვის საჭირო ნივთებს ავიღებო და ზოგი ის ტანსაცმელი აირჩია, მე რომ ვუყიდე, რამაც ძალიან გამახარა.

მისი ნივთები ავიღე და კიბეს ავუყევი გარე სარდაფისაკენ. მან მოიცადა, სანამ კარს გავაღებდი და მას შემდეგ, რაც ყველაფერი მოვათვალიერე და დავრწმუნდი, რომ საშიში არაფერი იყო, ამოსვლის უფლება მივეცი.

ძალიან ბნელოდა, მაგრამ ცა მოწმენდილი იყო და რამდენიმე ვარსკვლავის გარჩევა შეიძლებოდა. ხელი მაგრად ჩავჭიდე და ხუთი წუთი ასე გავჩერდით. მესმოდა, როგორ სუნთქავდა. ძალიან რომანტიკული იყო. ჩემ გვერდით იდგა, თავით მხრებამდეც ვერ მწვდებოდა.

- ხმა არსაიდან ისმის, ამითაც შეგიძლიათ დარწმუნდეთ, როგორ ვართ მოწყვეტილი ყველაფერს, - ვუთხარი.

ხუთი წუთი გავიდა და სახლისკენ წავედით (ძალით მომიწია წაყვანა). სამზარეულოსა და სასადილოს გავლით ჰოლში შევედით და იქიდან კიბით სააბაზანოში ავედით.

- კარიარ იკეტება, - ვუთხარი, - მიხურვითაც კი არ იხურება ბოლომდე, რადგან ძელაკი მივაჭედე, მაგრამ თქვენს მარტოობას არაფერი დაარღვევს, იმ პირობით, თუ სიტყვას შეასრულებთ. მე აქ ვიქნები.

კიბის თავთან წინასწარ სავარძელი დავდგი.

- ახლა ხელებს გაგიხსნით, თუ სიტყვას მომცემთ, რომ ალიკაპს არ მოიშორებთ. თავი დამიქნიეთ.

თავი დამიქნია და ხელები შევუხსენი. ხელები მოისრისა - მგონი, უფრო ჩემს ჯიბრზე და აბაზანაში შევიდა.

ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მესმოდა, როგორ ბანაობდა, ყველაფერი ჩვეულებრივად იყო, მაგრამ რომ გამოვიდა, ელდა მეცა - პირი აკრული აღარ ჰქონდა. ეს პირველი შოკი იყო. მეორე ის იყო, როგორ გამოიყურებოდა. ახალ ტანსაცმელში, მხრებზე გადმოშლილი ახალდაბანილი თმით. თითქოს უფრო ნაზი გახდა, უფრო ახალგაზრდაც კი. თუმცა სინაზე და სილამაზე არც მანამდე აკლდა. ალბათ სულელურად გამოვიყურებოდი, რადგან, ერთი მხრივ, ჩანდა, რომ ალიკაპის გამო ვუბრაზდებოდი, მეორე მხრივ, სერიოზულად ვერც ვბრაზობდი, ისეთი ლამაზი იყო.

ძალიან სწრაფად თქვა:

- მომისმინეთ, საშინლად ამტკივდა. მე ხომ სიტყვა მოგეცით. კიდევ ერთხელ გპირდებით. შეგიძლიათ ისევ ამიკრათ პირი, თუ გსურთ - აი გამომართვით. მაგრამ მე ხომ აქამდეც შემეძლო დამეყვირა და არ დავიყვირე.

ალიკაპი გამომიწოდა. ისეთი მზერა ჰქოდა, რომ ამის გაკეთება ვერ შევძელი. ვუთხარი, მხოლოდ ხელებს შეგიკრავთ-მეთქი. თავისი მწვანე კაბა ეცვა, მაგრამ ის ზედატანიც ჩაეცვა, მე რომ ვუყიდე და, ჩანდა, ახალი საცვლებიც.

ხელები უკან გავუკარი.

ვუთხარი, ვწუხვარ, რომ ასე ვეჭვიანობ, მაგრამ თქვენ ხართ ერთადერთი, ვისთვისაც ცხოვრება მიღირს-მეთქი. ასეთი რამეების თქმის დრო არ იყო, ვიცოდი, მაგრამ ისე ახლოს იდგა ჩემთან, რომ თავი ვეღარ შევიკავე.

ვუთხარი, თუ თქვენ წახვალთ, თავს აღარ ვიცოცხლებ-მეთქი.

- თქვენ ავად ხართ.

ჩემთვის ჩავიფრუტუნე.

- სიამოვნებით დაგეხმარებოდით.

- თქვენ მე გიჟად მთვლით იმის გამო, რაც გავაკეთე. გიჟი არ ვარ. თქვენს მეტი არავინ მყავს და არც არასდროს მყოლია. მხოლოდ თქვენ.

- ეს ყველაზე უარესი ავადმყოფობაა, - თქვა და სახე ჩემკენ მოაბრუნა. ეს საუბარი მაშინ შედგა, როცა ხელებს ვუკრავდი. ქვემოთ დაიხედა. - ვწუხვარ თქვენ გამო, - მითხრა.

შემდეგ სხვა ტონით თქვა:

- სარეცხის საქმე როგორ იქნება? რაღაცები გავრეცხე, შემიძლია აქ სადმე ჩამოვკიდო თუ სამრეცხაოში დაგაქვთ?

ვუთხარი, სამზარეულოში ჩამოვკიდებ, სამრეცხაოში არაფრის წაღება არ შეიძლება-მეთქი.

- ახლა რა ვქნათ? - მიმოიხედა. ხანდახან ონავრული გამოხედვა ჰქონდა. თითქოს რაღაც ეშმაკობა მოუფიქრებიაო, მაგრამ არა სიბოროტით, არამედ, უბრალოდ, გამოსაჯავრებლად.

- სახლს არ დამათვალიერებინებთ?

პირველად დავინახე მის სახეზე ნამდვილი ღიმილი. არაფერი დამრჩენოდა გარდა იმისა, რომ მეც გამეღიმა.

- ახლა გვიანია, - ვუთხარი.

- ძალიან ძველი სახლია? - ისე თქვა, თითქოს ჩემი სიტყვები არც გაეგონოს.

- კართან ქვა დევს წარწერით 62.

- ეს ნოხი აქ არ ვარგა, ფერში არ ეხამება. დაწნული ჭილოფი უნდა იყიდოთ ან რაღაც ამგვარი. ეს ნახატები კი საშინელებაა!

კიბესთან მივიდა, რომ ახლოდან შეეხედა. ეშმაკური გამომეტყველება ჰქონდა.

- საკმაოდ ძვირი დამიჯდა, - ვთქვი.

- ფულით ვერ შეაფასებ.

ვერც კი გადმოგცემთ, რა უცნაური იყო: ერთად ვდგავართ და ის აკრიტიკებს, როგორც ტიპური ქალი.

- შეიძლება ოთახებში შევიხედო?

საკუთარ თავს აღარ ვეკუთვნოდი. ამ სიამოვნებაზე უარის თქმა ვერ შევძელი. კარებს ვაღებდი და მასთან ერთად ზღურბლზე ვჩერდებოდი. ოთახებს ვაჩვენებდი, მამიდა ენისთვის მომზადებულს, მეიბლისთვის მომზადებულს, თუკი ისინი ოდესმე მესტუმრებოდნენ, და ჩემსას. მირანდა თითოეულ მათგანს ყურადღებით ათვალიერებდა. ფარდები, რა თქმა უნდა, ჩამოფარებული იყო. სულ ახლოს ვუდექი და თვალს ვადევნებდი, რომ რამე ხრიკის გაკეთება არ ეფიქრა.

როცა ჩემი ოთახის კართან შევჩერდით, ვუთხარი, ფირმა დავიქირავე მის გასაკეთებლად-მეთქი.

- ძალიან აკურატული კი ხართ.

ძველი ნახატები დაინახა, პეპლების. ანტიკვარულ მაღაზიაში მქონდანაყიდი.

- მე შევარჩიე, - ვთქვი.

- თქვენს სახლში მხოლოდ ესენია ღირებული.

კომპლიმენტებამდეც კი მივიდა საქმე და, ვაღიარებ, ძალიან ნასიამოვნები ვიყავი.

მერე თქვა: როგორი სიწყნარეა. მანქანების ხმა საერთოდ არ ისმის. მე მგონი, ჩვენ სადღაც ჩრდილოეთ ესექსში ვართ. - ვიცოდი, რომ მცდიდა, ყურადღებით მიყურებდა.

- სწორად მიხვდით, - ვუთხარი, გაკვირვება გავითამაშე.

უცებ ამბობს: რა უცნაურია, შიშისგან უნდა ვცახცახებდე, მე კი თქვენთან უსაფრთხოდ ვგრძნობ თავს.

- მე თქვენ არასოდეს მოგაყენებთ ტკივილს. თუ არ მაიძულებთ.

ყველაფერი ისე იყო, როგორც ყოველთვის იმედი მქონდა, რომ იქნებოდა. ჩვენ თანდათან უკეთ ვეცნობოდით ერთმანეთს. ის იწყებდა ჩემ გაგებას, ჩემ დანახვას - ისეთისას, როგორიც სინამდვილეში ვიყავი.

- ბაღში შესანიშნავი ჰაერიიყო. ვერც კი წარმოიდგენთ. აქაც, ზემოთაც, კარგი ჰაერია. ის ხომ თავისუფალია. ჩემგან განსხვავებით, - თქვა

და სწრაფად წავიდა, კიბეს ჩაუყვა, მე მივყევი. ქვემოთ, ჰოლში შეჩერდა.

- შეიძლება აქაურობა დავათვალიერო?

რაც არის, არის-მეთქი, ვიფიქრე. თან დარაბები ჩაკეტილი იყო და ფარდებიც ჩამოფარებული. დარბაზში შევიდა და თვალიერება დაიწყო. დადიოდა, ნივთებს აკვირდებოდა, ხელები კი უკან ჰქონდა გაკრული, გაგეცინებოდა კაცს.

- ეს მართლა არაჩვეულებრივი ოთახია. საცოდაობაა, რომ ათასი ხარახურით გამოგიტენიათ. რა საძაგლობაა! - და ერთ-ერთ სავარძელს ფეხი უბიძგა. ეტყობა, სახეზე დამეწერა, რასაც ვგრძნობდი (შეურაცხყოფილი ვიყავი), იმიტომ რომ თქვა:

- თქვენც ხომ ხედავთ, რომ ეს პრეტენზიული ლამპები კედელზე საშინელებაა. და ეს ფაიფურის იხვები რაღაა (ახლა შენიშნა). მართლა გაბრაზებულმა შემომხედა, მერე ისევ იხვებს შეხედა.

- ხელები მტკივა. თუ წინააღმდეგი არ იქნებით, წინ გამიკარით, მრავალფეროვნებისთვის.

არ მინდოდა მისთვის ხასიათი გამეფუჭებინა, თანაც მის თხოვნაში ცუდი ვერაფერი დავინახე. როგორც კი ხელები შევუხსენი (ყოველგვარი უსიამოვნებისთვის მზად ვიყავი), შემობრუნდა და ხელები გამომიწოდა, რომ შემეკრა. ასეც მოვიქეცი. შემდეგ კი პირდაპირ გამაოგნა. მივიდა ბუხართან, რომლის თავზეც ის იხვები ეკიდა - სულ სამი იყო, თითოში ოცდაათი შილინგი მქონდა მიცემული - და სიტყვის თქმაც ვერ მოვასწარი, ისე ჩამოგლიჯა და ბუხარს მიანარცხა. სულ ნამსხვრევებად აქცია.

- უღრმესი მადლობა, - რაც შემეძლო სარკასტულად ვუთხარი.

- ეს სახლი ისეთი ძველია, მას სული აქვს, და არ შეიძლება ისე მოექცე, როგორც თქვენ მოექეცით ამ არაჩვეულებრივ ოთახს, ასეთ ლამაზსა და ხანდაზმულს. მასში ხომ ადამიანებს უცხოვრიათ, თაობებს, ნუთუ ამას ვერ გრძნობთ?

- სახლის მოწყობის არავითარი გამოცდილება არა მაქვს, - ვუთხარი.

უცნაურად შემომხედა, გვერდით ჩამიარა და მოპირდაპირე ოთახში

შევიდა, რომელსაც მე სასადილოს ვეძახდი, თუმცა ფირმის ხალხი, რომელმაც ის მომიწყო, მას ორმაგი დანიშნულების ოთახს ეძახდა. ნახევარი ოთახი მუშაობისთვის იყო განკუთვნილი. იქ ჩემი სამი კარადა იდგა, რომლებიც მაშინვე შეამჩნია.

- ჩემსავით მსხვერპლ პეპლებს არ მაჩვენებთ?

რა თქმა უნდა, ამაზე უკეთესს ვერაფერს ვინატრებდი. ორი ყველაზე საინტერესო უჯრა გამოვაღე, ერთი და იმავე სახეობის წარმომადგენლებით. არაფერი სერიოზული. უბრალოდ, საჩვენებლად.

- იყიდეთ ისინი?

- რა თქმა უნდა, არა, - ვუთხარი. - ყველა მე დავიჭირე ან გამოვჩეკე და დავამაგრე ფიცარზე. რანჟირებაც ჩემია. ყველაფერი მე გავაკეთე.

- კარგი ნამუშევარია.

ვაჩვენე ყუთი სხვადასხვა პეპლით. ძალიან ლამაზი ვარ. ცერონეუს-ი და ვარ. ტიტჰონუს-ი მაქვს. ჩემი ვარ. ცერონეუს-ი ლონდონის ბუნების ისტორიის მუზეუმში გამოფენილსაც სჯობს. მეამაყებოდა, რომ შემეძლო მისთვის რაღაც მეჩვენებინა და ამეხსნა. აბერაციის შესახებ არაფერი სმენოდა.

- ძალიან ლამაზებია, - თქვა მან. - და სევდიანები.

- სევდიანი ყველაფერი შეიძლება იყოს. გააჩნია, როგორ შეხედავ, - მივუგე.

- გააჩნია, როგორ შეხედავ! მაგრამ ეს ხომ თქვენ გააკეთეთ! რამდენი პეპელა დახოცეთ! - უჯრის იქითა მხრიდან მიყურებდა, თვალი თვალში გამიყარა.

- თქვენ თვითონ ხედავთ.

- ვერა, ვერ ვხედავ. მე ვფიქრობ ყველა იმ პეპელაზე, რომლებიც გამოიჩეკებოდნენ, ამათთვის სიცოცხლე რომ არ მოგესწრაფათ. მე ვფიქრობ ყველა იმ სიცოცხლით მფეთქავ მშვენიერებაზე, თქვენ რომ დახოცეთ.

- ამაზე რა უნდა ვთქვა.

- თქვენ არც კი უზიარებთ მათ ვინმეს, არავის აჩვენებთ. თქვენ ძუნწის მსგავსად მთელი ეს მშვენიერება უჯრაში დაახვავეთ და გამოკეტეთ.

ძალიან იმედგაცრუებული დავრჩი. რაღაც სისულელეებს ლაპარაკობდა.რა მნიშვნელობა აქვს რამდენიმე პეპლის მოკვლას, მთელი სახეობა ხომ არ ნადგურდება.

- მეცნიერები მეზიზღება, - თქვა მან. - მეზიზღება ადამიანები, რომლებიც აგროვებენ, კლასებად ყოფენ, სახელებს არქმევენ და შემდეგ ივიწყებენ ყველაფერს მათ შესახებ. ხელოვნებაშიც ასეა. დაარქმევენ მხატვარს იმპრესიონისტს, ან კუბისტს, ან რაღაცას, შემდეგ უჯრაში ჩადებენ და მასში ცოცხალ ადამიანს, პიროვნებას, მხატვარს ვეღარ ხედავენ. რანჟირება კარგად გაგიკეთებიათ, - ისევ შეეცადა გულისხმიერი ყოფილიყო.

ვუთხარი, რომ ფოტოებსაც ვიღებდი, მქონდა სახლის უკან, ტყეში გადაღებული ფოტოები, ზღვის გადმოსვლა ჯებირზე სიფორდში. მშვენიერი ფოტოები იყო, მე თვითონ გავადიდე. მაგიდაზე დავაწყვე, რომ დაეთვალიერებინა.

სურათებს დახედა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

- მაინცდამაინც ვერაფერი შვილია, - ვთქვი მე, - დიდი გამოცდილება არა მაქვს.

- ესენი ხომ მკვდარია, - უცნაურად შემომხედა, გვერდულად. - მხოლოდ ესენი კი არა, ყველა ფოტო მკვდარია. როცა ხატავ რაიმეს, ის ცოცხალია და როცა სურათს უღებ, მკვდარია.

- როგორც ფირფიტაზე ჩაწერილი მუსიკა, - ვთქვი.

- ჰო, იშრიტება და კვდება.

შეკამათებას ვაპირებდი, მაგრამ განაგრძო: ეს კარგი ფოტოებია, რამდენადაც შეიძლება ფოტო კარგი იყოს.

ცოტა ხნის შემდეგ ვუთხარი, მინდა სურათები გადაგიღოთ-მეთქი.

- რატომ?

- იმიტომ, რომ თქვენ, როგორც იტყვიან, ფოტოგენური ხართ.

თავი დახარა, შემდეგ ამომხედა და მითხრა:

- კარგი, თუ ასე გსურთ. ხვალ იყოს.

ძალიან ავღელდი. რაღაცები უკეთესობისკენ იცვლებოდა. გადავწყვიტე, რომ დრო იყო, ქვემოთ ჩამეყვანა. წინააღმდეგობა არ გაუწევია, მხრები აიჩეჩა მხოლოდ, პირი ამაკვრევინა და ყველაფერი ისე კარგად წავიდა, როგორც ადრე.

ქვემოთ რომ ჩავედით, ჩაი მოესურვა (განსაკუთრებული, ჩინური ჩაი მაყიდვინა). ალიკაპი მოვხსენი. გარე სარდაფში გავიდა (ხელები ისევ შეკრული ჰქონდა) და ნახა, სად ვუმზადებდი საჭმელს. ხმა არ ამოგვიღია. ყველაფერი კარგად იყო. გაზქურაზე ჩაიდანი დუღდა და ის გვერდით მყავდა. რა თქმა უნდა, თვალს არ ვაშორებდი. როცა ჩაი ადუღდა, დედიკო ვინ იყოს-მეთქი, ვკითხე.

- რა საშინელი გამოთქმაა!

- რა არის მასში ასეთი საშინელი?

- იმ თქვენს ველურ იხვებს ჰგავს. რაღაც პროვინციულია, უგემოვნო, მკვდარი, გაცვეთილი და არაფრის მთქმელი. ნუთუ ამას ვერ გრძნობთ?!

- მე მგონი, ჯობია დედიკო თქვენ იყოთ.

როგორღაც უცნაურად გაეღიმა, თითქოს ის-ის იყო უნდა გაეცინა, მაგრამ შეწყვიტა, შებრუნდა და თავისი ოთახისკენ წავიდა. ლანგრით უკან მივსდიე. ჩაი დაისხა, მაგრამ ჩანდა, რაღაცით გავაბრაზე. ჩემკენ არ იხედებოდა.

- თქვენი წყენინება არც მიფიქრია, - ვუთხარი.

- ჩემს ოჯახზე ვფიქრობ. სულაც არ ექნებათ მხიარული ჩაის სმა ამ საღამოს.

- ოთხი კვირა, - ვთქვი.

- ნუ მომაგონებთ ამას.

არაპროგნოზირებადი იყო, სხვა ქალების მსგავსად. ამ წუთში რომ გაიცინებდა, მეორე წუთში ბრაზობდა.

- საზიზღარი ხართ და თქვენთან ყოფნა მეც საზიზღრად მაქცევს.

- ეს დიდხანს არ გაგრძელდება.

შემდეგ ისეთი რამ თქვა, რაც ქალისგან არასოდეს გამიგონია. ამან მართლა თავზარი დამცა.

ვთქვი, რომ ასეთი სიტყვები არ მიყვარდა, რომ ეს საძაგლობა იყო.

შემდეგ ისევ გაიმეორა, უკვე ყვირილით.

ხანდახან ვერც გაიგებდი, ხასიათი ასე სწრაფად რატომ ეცვლებოდა.

მეორე დილით ჩვეულებრივად იყო, თუმცა ბოდიში არ მოუხდია. და კიდევ, მის ოთახში რომ იდგა, იმ ორი ვაზის ნამსხვრევები კიბის საფეხურებზე ეყარა. როცა საუზმით ხელში მის ოთახში შევედი, როგორც ყოველთვის, უკვე ამდგარი იყო და მიცდიდა.

პირველ რიგში სურდა გაეგო, ვაძლევდი თუ არა დღის სინათლის ხილვის საშუალებას. ვუთხარი, რომ წვიმდა.

- რატომ არ შეიძლება მეორე სარდაფში გავიდე და გავიარ-გამოვიარო? ცოტა გავარჯიშება მჭირდება.

გვარიანად ვიდავეთ, ბოლოს შევთანხმდით, რომ თუ დღის განმავლობაში სიარული სურდა, მაშინ პირი აკრული უნდა ჰქონოდა. მე ვერ გავრისკავდი - ხომ შეიძლებოდა სახლის უკან ვინმე გამოჩენილიყო! რა თქმა უნდა, ამის ალბათობა დიდი არ იყო, ბაღის ჭიშკარსაც და გარაჟის ჭიშკარსაც ყოველთვის ბოქლომი ედო. ღამით მხოლოდ ხელების შეკვრაც საკმარისი იქნებოდა. ვუთხარი, აბაზანას კვირაში ერთზე მეტად ვერ დაგპირდებით-მეთქი. და არავითარი დღის სინათლე. მეგონა, ისევ გაიბუტებოდა, მაგრამ თანდათან დაიწყო მიხვედრა, რომ გაბუტვით ვერაფერს მიაღწევდა და ჩემი პირობების მიღება მოუხდა.

შეიძლება მეტისმეტად მკაცრად ვექცეოდი, მეტისმეტად გადავიხარე სიმკაცრის მხარეს, მაგრამ სიფრთხილე უნდა გამომეჩინა. მაგალითად, შაბათ-კვირას გზაზე მეტი მანქანა მოძრაობდა, განსაკუთრებით -კარგ ამინდში, ხუთი წუთი არ გავიდოდა, რომ მანქანას არ ჩაევლო. როცა ჩემს სახლს ჩაუვლიდნენ, ხშირად სვლას შეანელებდნენ ხოლმე, ხანაც მანქანას უკან დახევდნენ, რომ აქაურობისთვის თვალი კარგად შეევლოთ.

ზოგს იმის თავხედობაც ყოფნიდა, წინა ჭიშკარში ფოტოაპარატი შემოეყო და სურათები გადაეღო. ამიტომ შაბათ-კვირას მას ოთახის დატოვების ნებას არ ვაძლევდი.

ერთ დღესაც, ის-ის იყო მანქანით ჭიშკრიდან გამოვედი და ლუისისკენ მივდიოდი, რომ ვიღაც კაცმა, რომელიც ასევე მანქანით იყო, გამაჩერა. მკითხა, მე ვიყავი თუ არა ამ სახლის მესაკუთრე. მეტი რომ აღარ შეიძლება, ისეთი კულტურული ვინმე იყო, ისე ლაპარაკობდა, თითქოს ყელში ქლიავი ჰქონდა გაჩხერილი. „მე მაგარ ვინმეებს ვიცნობ“-ტიპები ხომ იცით. ჰოდა, ბევრი ილაპარაკა სახლის შესახებ, იმაზე, რომ სტატიას წერდა ჟურნალისათვის და ფოტოების გადაღების ნებართვა მთხოვა, განსაკუთრებით სამლოცველოს გადაღება აინტერესებდა.

- აქ არავითარი სამლოცველო არ არის, - ვთქვი.

- მაგრამ, კეთილო, ეს ხომ შეუძლებელია. ის საგრაფოს ისტორიაში მოიხსენიება. ათობით წიგნში.

- აა, თქვენ ის ძველი სარდაფი გაქვთ მხედველობაში, - ისე ვთქვი, თითქოს მხოლოდ ახლა გავიგე, რას მეუბნებოდა. - ის ახლა ამოქოლილია, აგურითაა ამოშენებული.

- მაგრამ ეს ხომ ისტორიული ძეგლია. თქვენ ამის გაკეთების უფლება არ გაქვთ.

ვუთხარი, არსად წასულა, უბრალოდ ახლა აღარ ჩანს, მე ასე დამხვდა-მეთქი.

მერე სახლის შიგნიდან დათვალიერება მოინდომა. ვუთხარი, რომ ძალიან ვჩქარობდი და ვერ დაველოდებოდი. დღე დამინიშნეთდა მოვალო, მითხრა. ვიუარე, იმ მოტივით, რომ ამას ძალიან ბევრი მთხოვდა. ის მაინც თავისას იჟინებდა, ზედმეტ ცნობისმოყვარეობას იჩენდა, დამემუქრა კიდეც, ისტორიული ძეგლების დაცვის საზოგადოებიდან (თუ რაღაც ამგვარიდან) მივიღებ დათვალიერების ნებართვას, ისინი მხარს დამიჭერენო. ერთდროულად აგრესიულიც იყო და პირმოთნეც. ბოლოს, როგორც

იქნა, წავიდა. ეს ყველაფერი ბლეფი იყო, მაგრამ ასეთი რამეებიც არ უნდა დამეტოვებინა უყურადღებოდ.

იმ საღამოს რამდენიმე ფოტო გადავუღე. ჩვეულებრივი ფოტო, როცა იჯდა და კითხულობდა. ძალიან კარგი გამოვიდა.

მცირე ხანი გავიდა და ერთ დღესაც მან მე დამხატა. სამაგიერო პატივი მცა. სავარძელში ჯდომა და კუთხისკენ ყურება მომიწია. ნახევარი საათის შემდეგ უცებ ნახატი დახია - ისე, რომ ხელის შეშლა ვერ მოვასწარი (ხშირად ხევდა ხოლმე დახატულს. არტისტული ბუნების გამოხატულება იყო, ალბათ).

- მე მომეწონებოდა, - ვუთხარი, მაგრამ არც კი მიპასუხა. მხოლოდ ის მითხრა, არ გაინძრეთო.

ხანდახან რაღაცას ამბობდა. ეს უმეტესად პირადი ხასიათის შენიშვნები იყო.

- ძალიან ძნელია რაღაცის დაჭერა თქვენში. როგორღაც უსახური ხართ, ისეთი ნაკვთებით, აღწერას რომ არ ექვემდებარება. მე თქვენ ისე აღგიქვამთ, როგორც ობიექტს და არა როგორც პიროვნებას.

მოგვიანებით ამბობს:

- მახინჯი არა ხართ, მაგრამ საშინელი მიმიკა გაქვთ. ყველაზე უარესი თქვენში ქვედა ტუჩია. ის გამხელთ. - შემდეგ, როცა ზემოთ ავედი, სარკეში ჩავიხედე, მაგრამ ვერ გავიგე, რას გულისხმობდა.

ხანდახან, მოულოდნელად, უცნაურ შეკითხვას დამისვამდა:

- ღმერთი გწამთ?

- მაინცდამაინც არა.

- ჰო, თუ არა?

- არ ვფიქრობ ამაზე. არ მგონია, ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს.

- ეს თქვენ ხართ სარდაფში გამომწყვდეული.

- და თქვენ გწამთ?

- რა თქმა უნდა, მწამს. მე ხომ ადამიანი ვარ.

მინდოდა საუბარი განმეგრძო, მაგრამ შეწყვიტეთ ყბედობაო, მითხრა.

განათება არ მოსწონდა და ბუზღუნებდა:

- სულ ამ ხელოვნური განათების ბრალია. არ შემიძლია ასე ხატვა. ეს მატყუარა სინათლეა.

ვიცოდი, საითაც უმიზნებდა და ხმას არ ვიღებდი. შემდეგ ისევ - შესაძლოა არა მაშინ, როცა პირველად მხატავდა, ზუსტად არ მახსოვს, რომელ დღეს - უცებ მიცხადებს:

- გაგიმართლათ, რომ თქვენს მშობლებს არ იცნობდით. ჩემები მხოლოდ ჩემი დისა და ჩემ გამო არ გაიყარნენ.

- საიდან იცით?

- იქიდან ვიცი, რომ დედაჩემმა მითხრა. და მამაჩემმაც. დედაჩემი ძუკნაა. საშუალო ფენის საძაგელი, პრეტენზიული ძუკნა. თანაც ლოთი.

- მსმენია.

- მეგობარს ვერ მოიპატიჟებდი სახლში.

- ცუდია, - ვთქვი მე. სწრაფად შემომხედა, მაგრამ ეს სარკასტულად სულაც არ მითქვამს. ვუთხარი, რომ მამაჩემიც სვამდა და დედაჩემიც.

- მამაჩემი სუსტი ადამიანია, უნებისყოფო, მაგრამ ძალიან მიყვარს. იცით, რა მითხრა ერთხელ? მითხრა, არ ვიცი, ორმა ცუდმა მშობელმა ორი ასეთი კარგი გოგონა როგორ გავაჩინეთო. ჩემს დას უფრო გულისხმობდა. ის მართლა ჭკვიანი გოგოა.

- თქვენც მართლა ჭკვიანი ხართ. თქვენ ხომ მთავარი სტიპენდია მოიპოვეთ.

- მე, უბრალოდ, კარგად ხატვას ვახერხებ. შეიძლება ჩემგან ნიჭიერი მხატვარიც დადგეს, მაგრამ დიდი - არასოდეს. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია.

- ასე გადაჭრით ვერ იტყვით, - ვუთხარი.

- არასაკმარისად ეგოცენტრული ვარ ამისთვის. მე ქალი ვარ და საყრდენი მჭირდება. - არ ვიცი რატომ, მაგრამ მოულოდნელად საუბრის

თემა შეცვალა და თქვა:

- ჰომოსექსუალი ხომ არ ხართ?

- რა თქმა უნდა, არა, - ვთქვი და, ცხადია, გავწითლდი.

- ამაში სამარცხვინო არაფერია. ბევრი კარგი კაცია ჰომოსექსუალი.

შემდეგ თქვა:

- თქვენ გინდათ, რომ მე დამეყრდნოთ. მე ვგრძნობ ამას. ეს დედათ-ქვენს უკავშირდება. თქვენ ჩემში დედას ეძებთ.

- არ მჯერა ამ სისულელეების, - ვუპასუხე.

- ჩვენ ვერასოდეს შევეწყობით ერთმანეთს. ჩვენ, ორივე, საყრდენს ვეძებთ.

- თქვენ შეგიძლიათ ფინანსურად მე დამეყრდნოთ.

- თქვენ კი მე - ყველაფერ დანარჩენში? ღმერთმა დამიფაროს.

შემდეგ:

- აი ესეც, - თქვა და ნახატი გამომიწოდა. მართლა კარგი იყო. გავოც-დი, ისე მგავდა. ნახატზე თითქოს უფრო ღირსეულად, უფრო უკეთესად გამოვიყურებოდი, ვიდრე ცხოვრებაში.

- ხომ არ გაყიდდით ამას? - ვკითხე.

- ამაზე არ მიფიქრია, მაგრამ რატომაც არა. ორასი გინეა?

- კარგი.

ისევ სწრაფად შემომხედა.

- ორას გინეას გადამიხდით ამაში?

- ჰო, - ვუპასუხე. - ეს ხომ თქვენ დახატეთ.

- მომეცით, - ნახატი გავუწოდე და უცებ სახტად დავრჩი: ვხედავ, და-ხევა დაიწყო.

- გთხოვთ, ნუ იზამთ ამას, - ვუთხარი. შეჩერდა, მაგრამ ნახატი უკვე ნახევრად გახეული იყო.

- მაგრამ ეს ხომ ცუდია, ცუდი, ცუდი! - და უცებ ნახატი მესროლა. - ინებეთ. უჯრაში ჩადეთ, პეპლებთან ერთად.

ლუისში შემდეგი წასვლისას კიდევ რამდენიმე ფირფიტა ვუყიდე -

ყველაფერი, რაც მოცარტის ვიშოვე. მოცარტი, როგორც ჩანდა, ძალიან მოსწონდა.

მომდევნო დღეს ხილის ვაზა დახატა, დაახლოებით ათჯერ, შემდეგ ყველა ნახატი შირმაზე გააკრა და მთხოვა საუკეთესო შემერჩია. ვუთხარი, ყველა ლამაზია-მეთქი, მაგრამ დაიჟინა და მეც ალალბედად ერთ-ერთს დავადე ხელი.

- ეს ყველაზე უარესია, - თქვა. - ეს თუმცა კარგი, მაგრამ მაინც მოსწავლის ნამუშევარია. ერთ-ერთი მათგანი კი, ვიცი, მართლა კარგი გამოვიდა, ასჯერ უკეთესი, ვიდრე დანარჩენები. თუ სამ ცდაზე მიაგნებთ მას, თქვენ დაგიტოვებთ, საჩუქრად, როცა აქედან გავალ, თუკი საერთოდ გავალ. თუ ვერ მიაგნებთ, ათი გინეის გადახდა მოგიწევთ.

მის გადაკრულებს ყურადღება არ მივაქციე და სამჯერ ვცადე გამოცნობა, მაგრამ უშედეგოდ. ერთი, რომელიც ძალიან კარგი იყო, ნახევრად დაუმთავრებელი მომეჩვენა. ვერც იტყოდი, რა ხილი ეხატა და ვაზაც გადახრილი იყო.

- აქ მე ხილის შესახებ რაღაცის თქმის ზღურბლზე ვარ მხოლოდ. ჯერ კიდევ ვერ მითქვამს, მაგრამ გიჩნდება აზრი, რომ არსს მიახლოებული ვარ. გრძნობთ ამას?

- ვერა, მართალი გითხრათ, - ვუპასუხე.

წავიდა და თაროებიდან სეზანის ალბომი ჩამოიღო.

- აი, - მითხრა და ერთი ფერადი სურათი მაჩვენა - ლანგარი ვაშლებით. - ის არა მხოლოდ ამ ვაშლების შესახებ ამბობს ყველაფერს, არამედ საერთოდ ყველა ვაშლის შესახებ, ყველა ფორმის და ფერის შესახებ.

- მჯერა თქვენი, - ვუთხარი. - ყველა თქვენი ნახატი კარგია.

მხოლოდ გამომხედა.

- ფერდინანდ, თქვენთვის კალიბანი უნდა დაერქმიათ, - მითხრა.

სამი თუ ოთხი დღე იქნებოდა გასული მისი აბაზანაში პირველად ყოფნის შემდეგ, რომ უცებ მოუსვენრობამ შეიპყრო. ვახშმის შემდეგ გა-

რე სარდაფში აქეთ-იქით დაიწყო სიარული, ხან საწოლზე ჩამოჯდებოდა, ხან უცებ ადგებოდა. მე მის იმდღევანდელ ნახატებს ვათვალიერებდი - ჩემი ნაყიდი ალბომებიდან გაკეთებულ ასლებს. ყველა ძალიან კარგი იყო, კარგად მიმსგავსებული.

უცებ ამბობს: არ შეიძლება გავისეირნოთ? პატიოსანი სიტყვა რომ მოგცეთ.

- წვიმს და სიცივეა, - ვუთხარი.

ოქტომბრის მეორე კვირა იდგა.

- სადაცაა შევიშლები ამ გამოკეტილში. არ შეიძლება, უბრალოდ, ბაღში გავიაროთ?

ჩემთან მოვიდა, ძალიან ახლოს, რასაც ადრე ყოველთვის თავს არიდებდა და ხელები გამომიწოდა, შესაკრავად. თმები ჩამოშვებული ჰქონდა და მუქი ლურჯი ბაფთით შემოჭერილი, რომელიც მე მაყიდვინა. ყოველთვის მშვენიერი თმა ჰქონდა, უფრო ლამაზი თმა არასოდეს მინახავს. ხშირად მისი შეხების სურვილი ამიტანდა ხოლმე - უბრალოდ ხელის შეხების, მოსინჯვის. ამის შესაძლებლობა მაშინ მიჩნდებოდა, როცა პირს ვუკრავდი.

გარეთ გავედით. უცნაური ღამე იყო, მთვარე ღრუბლებს ამოჰფარებოდა, ღრუბლები მოძრაობდნენ, მაგრამ ქვემოთ სიოც არ იძვროდა. გარეთ რომ გავედით, რამდენიმე წუთი მხოლოდ ღრმად სუნთქავდა. მისი ხელი ავიღე დიდი მოწიწებით და ღობესა და გაზონს შორის ბილიკზე წავუძეხი. სხლტეს ჩავუარეთ, ბაღში გავედით, და შემდეგ ზემოთ, ბაღჩაში. როგორც ადრე ვთქვი, არასოდეს გამჩენია ბინძური სურვილი, რომ სიტუაციით მესარგებლა. ყოველთვის დიდი პატივისცემით ვექცეოდი (სანამ არ გააკეთა ის, რაც გააკეთა). მაგრამ შესაძლოა სიბნელის ბრალი იყო, იმის, რომ ასე ახლო-ახლო, გვერდიგვერდ მივდიოდით და სახელოზე მის ხელს ვგრძნობდი, მართლა მომინდა მისი მოხვევა და კოცნა. ერთიანად ვკანკალებდი. რაღაც უნდა მეთქვა, სანამ სულ არ ამებნეოდა თავგზა.

- ალბათ არ დამიჯერებდით, რომ მეთქვა, ბედნიერი ვარ-მეთქი.

მას, რა თქმა უნდა, პასუხის გაცემა არ შეეძლო.

- თქვენ გგონიათ, რომ მე სათანადოდ არაფრის შეგრძნება არ შემიძლია. არ იცით, რომ მე ღრმად ვგრძნობ, მაგრამ ამ გრძნობების თქვენსავით გამოხატვა არ შემიძლია და თუ შენი გრძნობების გამოხატვა არ შეგიძლია, არ ნიშნავს, რომ ეს გრძნობები ღრმა არ არის, - ვუთხარი. მთელი ამ დროის განმავლობაში ტოტების ქვეშ, სიბნელეში მივდიოდით.

- მხოლოდ იმას გთხოვთ, - ვუთხარი, - გაიგოთ, როგორ მიყვარხართ, როგორ მჭირდებით, როგორი ღრმაა ჩემი სიყვარული. საკუთარ თავზე ძალდატანებაც კი მიწევს, ხანდახან.

თავის ქება არ მინდოდა, მაგრამ მსურდა წუთიერად მაინც ჩაფიქრებულიყო იმაზე, თუ რას გააკეთებდა ნებისმიერი სხვა კაცი ჩემ ადგილას, ასეთი ძალაუფლება რომ ჰქონოდა.

ისევ გაზონთან მივედით, მეორე მხრიდან და შემდეგ სახლთან. გზაზე მიმავალი მანქანის ხმა მოისმა, მოახლოვდა, მოახლოვდა, მერე ჩაიარა და დაიკარგა. ხელით მაგრად მეჭირა.

სარდაფის კართან მივედით. ვკითხე, კიდევ სურდა თუ არა ბაღში სიარული.

ჩემდა გასაკვირად, თავი გადააქნია.

ბუნებრივია, ქვემოთ ჩავიყვანე. როცა ხელები გავუხსენი და ალიკაპი მოვაცილე, თქვა:

- ჩაის დავლევდი. გთხოვთ წახვიდეთ და მომიტანოთ. კარი ჩაკეტეთ. მე აქ დავრჩები.

ჩაი მოვუმზადე. როგორც კი დავბრუნდი და დავუსხი, მეუბნება:

- მინდა რაღაც გითხრათ. ეს უნდა ითქვას.

ვიჯექი და ვუსმენდი.

- თქვენ გინდოდათ იქ, ბაღში, ჩემთვის გეკოცნათ.

- მომიტევეთ, - ვთქვი და ვიგრძენი, რომ, როგორც ყოველთვის, ვწითლდებოდი.

- პირველ ყოვლისა, მინდა მადლობა გადაგიხადოთ, რომ ეს არ გააკეთეთ, რადგან მე არ მსურს, თქვენ მაკოცოთ. მე ვაცნობიერებ, რომ თქვენს ხელში ვარ, ვაცნობიერებ, რომ ძალიან გამიმართლა, რადგან ამ მხრივ თქვენ წესიერად იქცევით.

- ეს აღარ განმეორდება, - ვუთხარი.

- აი ამის შესახებ მინდოდა მეთქვა. თუკი ეს კიდევ მოხდება, ან კიდევ უარესი რამ, და თქვენ ვერ შეძლებთ თავის შეკავებას. მინდა პირობა მომცეთ...

- ეს აღარ განმეორდება, - ვთქვი.

- სიტყვა მომეცით, რომ ამას მზაკვრულად არ გააკეთებთ. იმის თქმა მინდა, რომ არ არის საჭირო გამთიშოთ, ან ისევ ქლოროფორმი გამოიყენოთ ან რაიმე ასეთი. მე არ შეგეწინააღმდეგებით, ნებას მოგცემთ გააკეთოთ, რაც გსურთ.

- ეს აღარ განმეორდება, - ვთქვი. - თავს ვეღარ ვფლობდი. მიჭირს ახსნა.

- მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ თუ თქვენ ამას გააკეთებთ, აღარასოდეს, აღარასოდეს მოგექცევით პატივისცემით. აღარასოდეს, აღარასოდეს დაგელაპარაკებით. გასაგებია?

- სხვას არც არაფერს მოველოდი, - ვთქვი. - უკვე ჭარხალივით წითელი ვიყავი.

ხელი გამომიწოდა და მე ჩამოვართვი. არ მახსოვს, როგორ გამოვედი ოთახიდან. იმ ღამეს ადგილს ვერ ვპოულობდი.

ყველა დღე ერთნაირი იყო: რვა საათის შემდეგ სარდაფში ჩავდიოდი, საუზმეს ვუმზადებდი, ვედრო გამქონდა, ხანდახან ცოტას ვსაუბრობდით, ის საყიდლების სიას წერდა (ხანდახან სახლში ვრჩებოდი, მაგრამ უმეტესად ლუისში დავდიოდი ახალი ბოსტნეულისა და რძის საყიდლად, რომელიც მას ძალიან უყვარდა). თითქმის ყოველ დილას სახლს ვალაგებდი, ვასუფთავებდი - ეს მაშინ, როცა ლუისიდან ვბრუნდებოდი. შემ-

დეგ სადილსვუმზადებდი, მერე ჩვეულებრივ ვსაუბრობდით, ან ის რომელიმე ფირფიტას დადებდა, ან ვიჯექი და ვუყურებდი, როგორ ხატავდა. ჩაის ყოველთვის მარტო სვამდა. არ მახსოვს, როგორ მოხდა და რატომ, ჩვენ თითქოს დაუწერელი ხელშეკრულება დავდეთ, რომ, როცა ის ჩაის სვამდა, ჩვენ ერთად არ უნდა ვყოფილიყავით. შემდეგ ვახშამი, ნავახშმევს კი შედარებით ხანგრძლივად ვსაუბრობდით. ხანდახან თვითონ სურდა, რომ მასთან დავრჩენილიყავი, გარე სარდაფში გავლა-გამოვლა უნდოდა, ხანაც ვახშმის შემდეგ მაშინვე მთხოვდა, მარტო დამეტოვებინა.

ფოტოებს ვუღებდი, როცა კი ამის ნებას მაძლევდა და მანაც გადამიღო რამდენიმე სურათი. ბევრ პოზაში გადავიღე, რა თქმა უნდა, ტაქტიანად. მინდოდა, რომ სათანადო ტანსაცმელი ჩაეცვა, მაგრამ არ მსურდა ეს მეთხოვა. ყოველთვის მეუბნებოდა, არ ვიცი, რად გინდათ ეს სურათები, თქვენ ხომ ყოველდღე შეგიძლიათ ჩემი ნახვაო.

ასე რომ, არაფერი განსაკუთრებული არ ხდებოდა. იყო საღამოები, როცა უბრალოდ ერთად ვისხედით. წარმოდგენაც კი მიჭირს, რომ ეს აღარასოდეს განმეორდება. თითქოს მთელ ქვეყანაზე მხოლოდ ჩვენ ორნი ვიყავით. ვერავინ ვერასოდეს მიხვდება, როგორი ბედნიერები ვიყავით - ანუ, ცხადია, ბედნიერი მე ვიყავი, მაგრამ იყო ისეთი წუთებიც, როცა მგონია, ისიც, მიუხედავად ყოველივე იმისა, რასაც ამბობდა, დამეთანხმებოდა, რომ ასე იყო. შემეძლო მთელი ღამე ვმჯდარიყავი და მისთვის მეცქირა; მისი თავის ფორმისთვის, ელეგანტურად, მერცხლის კუდივით ჩამოშლილი თმისთვის - ვუალს ჰგავდა, ან ღრუბლის ქულას, აბრეშუმის აბურდული ძაფებივით დაჰფენოდა ზურგზე, თავისუფლად, დაუდევრად, მაგრამ საყვარლად. ნეტავ სიტყვები მაპოვნინა, რომ მისი აღწერა პოეტივით შემეძლოს. როცა თმა შუბლზე ძალიან ჩამოეშლებოდა, უკან გადაიგდებდა ხოლმე, როგორღაც უბრალოდ, ბუნებრივი მოძრაობით. ხანდახან მინდოდა მეთქვა, კიდევ ჩამოუშვი თმა, რომ ეს მოძრაობა გა-

იმეორო-მეთქი, მაგრამ, რა თქმა უნდა, მესმოდა, ამის თქმა რა სისულელე იქნებოდა. ყველაფერი, რასაც აკეთებდა, ასეთივე დახვეწილი იყო: წიგნის გადაფურცვლა, ადგომა, დაჯდომა, დალევა, მოწევა - ყველაფერი. ისეთი რამეებიც კი, რაც ულამაზოდ ითვლება - დამთქნარება, გაზმორება, - მომხიბლავად გამოსდიოდა. სიმართლე ითქვას, ულამაზოდ საერთოდ არაფრის კეთება არ შეეძლო - მეტისმეტად მშვენიერი იყო საამისოდ.

ძალიან სუფთაც იყო. მისგან ყოველთვის სასიამოვნო სინედლის სურნელი მოდიოდა, ზოგიერთი ქალისგან განსხვავებით. ჭუჭყს ისევე ვერ იტანდა, როგორც მე, თუმცა ამაზე დამცინოდა ხოლმე. ერთხელ მითხრა, სურვილი, ირგვლივ ყველაფერი ყოველთვის სუფთად გქონდეს, სიგიჟის ნიშანიაო. თუ ასეა, მაშინ ორივე გიჟები ვიყავით.

რა თქმა უნდა, ყოველთვის ასეთი სიმშვიდე არ სუფევდა. რამდენჯერმე გაქცევას შეეცადა, რაც უკვე ბევრ რამეს ამბობს მის შესახებ. საბედნიეროდ, ყოველთვის ფხიზლად ვიყავი.

ერთხელაც კინაღამ მაჯობა ჭკუით. საოცრად ცბიერი იყო. მასთან რომ შევედი, ავად დამხვდა, საშინლად გამოიყურებოდა. რამდენჯერმე ვკითხე, რა მოხდა, რა დაგემართათ-მეთქი, ის კი წევს, გეგონება ტკივილისგან კვდებაო.

- ბრმა ნაწლავის შეტევა მაქვს, - ამოღერღა ბოლოს.

- რა იცით? - ვეკითხები.

- მეგონა, ღამით მოვკვდებოდი, - ისე თქვა, იფიქრებდი, ლაპარაკი ძალიან უჭირსო.

ვუთხარი, შეიძლება სხვა რამეა-მეთქი.

მაგრამ ის კედლისკენ შებრუნდა და ამოიკვნესა მხოლოდ: ოჰ, ღმერთო.

როცა გონს მოვეგე, ვიფიქრე შეიძლება იგონებს-მეთქი.

ამ დროს წელში ორად მოიხარა, თითქოს სპაზმებისგანო, შემდეგ საწოლზე წამოჯდა, შემომხედა და მითხრა, ყველაფრის პირობას მოგცემთ,

ოღონდ კი ექიმი მომიყვანეთ ან საავადმყოფოში წამიყვანეთო.

- ჩემი საქმე წასულია, - ვუთხარი, - თქვენ ხომ მათ ყველაფერს ეტ-ყვით.

- მე გპირდებით, გპირდებით, - მეუბნება, ძალიან დამაჯერებლად. კარგად შეეძლო თამაში, ნამდვილი მსახიობივით.

- ჩაის მოგიმზადებთ, - ვუთხარი. დრო მინდოდა მომეგო, რომ რაიმე მომეფიქრებინა, მაგრამ ის ისევ მოიკუნტა.

იატაკი ნარწყევით იყო მოსვრილი. გამახსენდა მამიდა ენის ნათქვა-მი, ბრმა ნაწლავის შეტევით შეიძლება ადამიანი მოკვდესო. სწორედ ერ-თი წლის წინ მეზობლის ბიჭს დაემართა და მამიდაჩემი ამბობდა, ძალი-ან დააყოვნეს, გასაკვირია, რომ გადარჩაო. ამიტომ რაღაც უნდა მეღონა.

ვუთხარი, რომ ქვემოთ, ახლოში, სახლია, სადაც ტელეფონი უდგათ, გავიქცევი და დავრეკავ-მეთქი.

- საავადმყოფოში წამიყვანეთ, - მითხრა, - ეს უფრო უსაფრთხო იქ-ნება თქვენთვის.

- რა განსხვავებაა, - ვუპასუხე, თითქოს სასოწარკვეთილი ვიყავი. დამთავრდა. მშვიდობით, სასამართლოში შეხვედრამდე, ვთქვი. მეც კარ-გი მსახიობი ვარ.

შემდეგ გარეთ გავვარდი, თავგზადაკარგულივით. ოთახის კარიც და გარეთა კარიც ღია დავტოვე და იქ დავიცადე. წუთიც არ იქნებოდა გა-სული, რომ გარეთ გამოვარდა. ისეთივე ავადმყოფი იყო, როგორიც მე. არაფერი მომხდარა, შემომხედა მხოლოდ და უკან შებრუნდა. ზიზღით შევხედე, ისე, უბრალოდ, შესაშინებლად.

განწყობილება ისე სწრაფად ეცვლებოდა, რომ ხშირად ფეხს ვერვუწ-ყობდი. მოსწონდა, რომ ვცდილობდი ავყოლოდი (ერთ დღეს თქვა, საბ-რალო კალიბანი, სულ მირანდას კუდში მიჩანჩალებსო). ხან კალიბანს მეძახდა, ხან - ფერდინანდს. ზოგჯერ ბრაზიანი და უკმეხი იყო, დამცი-ნოდა და მასხრად მიგდებდა, ისეთ შეკითხვებს მისვამდა, რომ ვერ მეპა-სუხა, ზოგჯერ კი გულისხმიერი ხდებოდა, ვგრძნობდი, ჩემი ისე ესმოდა,

როგორც არავის ძია დიკის სიკვდილის შემდეგ და ყველაფერს ვპატიობ-დი.

ბევრი წვრილმანი მახსოვს.

ერთხელ ვისხედით და ის ნახატებს მათვალიერებინებდა, ზოგიერთი ნახატის საიდუმლოებებს მანდობდა - საიდუმლოებებს, რომელთაც ნა-ხატზე ვერ დაინახავ, თუ არ იცი მათ შესახებ. ის მათ პროპორციისა და ჰარმონიის საიდუმლოებებს ეძახდა. გვერდიგვერდ ვისხედით, შუაში წიგნი გვედო და ნახატების შესახებ მელაპარაკებოდა. საწოლზე ვისხე-დით (მან დივნის ბალიშები და გადასაფარებელი მაყიდვინა - დღისით დასაგებად). ახლო-ახლო, მაგრამ ერთმანეთს არ ვეხებოდით. იმის შემ-დეგ, რაც ბაღში მოხდა, ვფრთხილობდი. მაგრამ უცებ მეუბნება, რა გახე-ვებული ზიხართ, ნუ გეშინიათ, არ მოგკლავთ, თუ თქვენი სახელო ჩემსას შეეხებაო.

-კარგი, - ვთქვი, მაგრამ არ გავნძრეულვარ.

შემდეგ თვითონ მოიწია ჩემკენ, ისე, რომ ჩვენი მკლავები და მხრები ერთმანეთს შეეხო. შეუჩერებლად ლაპარაკობდა ნახატებზე, რომლებსაც ვათვალიერებდით, და მეგონა, იმაზე აღარ ფიქრობდა, ერთმანეთს რომ ვეხებოდით, მაგრამ უცებ, რამდენიმე გვერდის შემდეგ, შემომხედა.

- თქვენ მე არ მისმენთ.

- როგორ არა, გისმენთ, - ვუთხარი.

- არა, არ მისმენთ. იმაზე ფიქრობთ, რომ მე მეხებით. გახევებული ხართ. მოდუნდით.

არაფერი გამომივიდა. მისი სიტყვების შემდეგ კიდევ უფრო დავიძაბე. ადგა. ვიწრო ლურჯი კაბა ეცვა, ჩემი ნაყიდი, დიდი შავი ჯემპრი და თეთ-რი ბლუზა - ეს ფერები ნამდვილად უხდებოდა. ჩემ წინ გაჩერდა და ცო-ტა ხნის შემდეგ თქვა:

- ო, ღმერთო! - შემდეგ კედელთან მივიდა და მუშტები დასცხო. ხან-დახან ასე იქცეოდა.

- ერთი მეგობარი მყავს, რომელიც ყოველი შეხვედრისას მკოცნის,

მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს - მის კოცნას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ის ყველას კოცნის. ის თქვენი ანტიპოდია. თქვენ ვერავისთან ვერ ახერხებთ კონტაქტის დამყარებას, ის კი ყველასთან ახერხებს. თქვენ ორივე არანორმალურები ხართ.

გავიღიმე. ხშირად ვიღიმებოდი ხოლმე, როცა თავს მესხმოდა. ერთგვარი თავდაცვის იარაღი იყო.

- ნუ იღიმებით ასე გულისამრევად.

- და სხვა რაღა დამრჩენია. თქვენ ხომ ყოველთვის მართალი ხართ.

- მე სულაც არ მინდა, რომ ყოველთვის მართალი ვიყო. მითხარით, რომ ვცდები.

- მაგრამ თქვენ მართალი ხართ, - ვუთხარი. - თქვენ იცით, რომ მართალი ხართ.

- ოჰ, ფერდინანდ, - თქვა მან და კიდევ ორჯერ გაიმეორა: ფერდინანდ, ფერდინანდ, თითქოს ზეცას შესთხოვდა რაღაცას და ტკივილისგან გატანჯულის როლს თამაშობდა. ამაზე გამეცინა, მაგრამ ის უცებ დასერიოზულდა ან შეიძლება თავი მომაჩვენა.

- ეს ცოტა რამეს არ ნიშნავს, ეს საშინელებაა, რომ თქვენ არ შეგიძლიათ მომექცეთ, როგორც მეგობარს. დაივიწყეთ ჩემი სქესი. მოდუნდით.

- ვეცდები, - ვუთხარი. მაგრამ ჩემ გვერდით აღარ დაჯდა. კედელს მიეყრდნო და სხვა წიგნის კითხვა დაიწყო.

ერთხელ, როცა მის ოთახში ვიყავით, უცებ დაიკივლა. სრულიად უმიზეზოდ. კედელზე მის ნახატს ვკიდებდი და მინდოდა შემეხედა, შორიდან როგორ გამოჩნდებოდა, ის კი საწოლზე იჯდა და უცებ დაიკივლა - ძარღვებში სისხლის გამყინავი კივილი იყო. შევხტი, მკვეთრად შემოვბრუნდი და სურათის მისაწებებელი ლენტი ხელიდან გამივარდა, ის კი, ვითომც არაფერი, იცინის.

- რა მოხდა? - ვკითხე.

- უცებ მომინდა გემოზე დამეკივლა, - მითხრა.

არაპროგნოზირებადი იყო.

ყოველთვის აკრიტიკებდა ჩემი საუბრის მანერას. მახსოვს, ერთხელ თქვა:

- იცით, თქვენ რას აკეთებთ? გინახავთ, წვიმა რომ საღებავს გადარეცხავს? ამას უშვრებით თქვენ ინგლისურ ენას. ყოველ ჯერზე, როცა კი პირს გააღებთ, სიტყვას ფერს უკარგავთ.

ბევრი მაგალითის მოყვანა შემიძლია, თუ როგორ მექცეოდა.

ერთ დღეს კიდევ მშობლებზე ჩამოაგდო სიტყვა და დამიყოლია. მთელი დღეები ჩამჩიჩინებდა, თუ რა დღეში იქნებოდნენ ისინი, როგორ იდარდებდნენ მასზე და რა სულმდაბლობა იყო ჩემი მხრივ, მათ რომ არ ვატყობინებდი. ვუთხარი, რომ ვერ გავრისკავდი, მაგრამ ერთხელ, ვახშმის შემდეგ, მეუბნება, გეტყვით, ეს როგორ გააკეთოთ ყოველგვარი რისკის გარეშეო.

- ხელთათმანებს ჩაიცვამთ, ქაღალდსა და კონვერტებს „ვულვორტსში“ იყიდით. მიკარნახებთ წერილის ტექსტს, წახვალთ უახლოეს ქალაქში და გაგზავნით. შეუძლებელია კვალი აიღონ. „ვულვორტსის“ მაღაზიები მთელ ქვეყანაშია მოდებული.

გამუდმებით ამაზე მელაპარაკებოდა და ერთ დღეს გავაკეთე, რასაც მირჩევდა - რამდენიმე კონვერტი და ქაღალდი ვიყიდე. საღამოს ფურცელი მივეცი და ვუთხარი, დაეწერა.

„მე უსაფრთხოდ ვარ. არაფერი მემუქრება“, - ვუკარნახე.

წერს და ბუზღუნებს:

- რა საშინელი სტილია! მაგრამ არ დავეძებ.

- იმას დაწერთ, რასაც გეტყვით, - ვუპასუხე და განვაგრძე: „ჩემს ძებნას ნუ შეეცდებით. ეს შეუძლებელია“.

- შეუძლებელი არაფერია, - თქვა მან. - უკმეხად, როგორც ყოველთვის.

„ჩემზე ერთი ჩემი მეგობარი ზრუნავს“, განვაგრძე და შემდეგ ვუთხარი, სულ ეს არის, ხელი მოაწერეთ-მეთქი.

- არ შეიძლება მივწერო, რომ მისტერ კლეგი მოკითხვას უთვლით?

- ძალიან სასაცილოა, - ვუთხარი. მან კიდევ რაღაც მიაწერა და ფურცელი გამომიწოდა.

„შეხვედრამდე, მიყვარხართ, ნანდა“, წავიკითხე.

- ეს რა არის? - ვკითხე.

- პატარაობის მეტსახელია. ყველა მიხვდება, რომ მართლა ჩემი დაწერილია.

- მე მირანდას ვამჯობინებ, - ვთქვი. - ეს ყველაზე მშვენიერი სახელი იყო ჩემთვის. როცა კონვერტზე ხელი მოაწერა, მასში ფურცელი ჩავდე და ბედად შიგ ჩავიხედე. კონვერტის ძირზე ქაღალდის პატარა ნაგლეჯი იდო. ზომით თამბაქოს გასახვევი ქაღალდის ნახევარიც არ იქნებოდა. არ ვიცი, როგორ მოახერხა, ეტყობა, ადრე ჰქონდა მომზადებული და კონვერტში შეუმჩნევლად ჩააცურა. ამოვიღე და მირანდას შევხედე. წარბიც არ შეუხრია, სკამის საზურგეს მიეყრდნო და მომაჩერდა. უწვრილესად დაეწერა, კარგად წამახული ფანქრით, მაგრამ ასოები მკაფიოდ ჩანდა. მეორე წერილს არ ჰგავდა. წავიკითხე:

დ. მ. მომიტაცა გიჟმა. ფ. კლეგმა, ქალაქის საბჭოს კლერკმა, ტოტალიზატორში ფული რომ მოიგო. ტყვედ ვყავარ სარდაფში, განცალკევებით მდგომი კოტეჯი, თარიღი გარედან 62. ბორცვიანი ადგილი ლონდონიდან ორი საათის სავალზე. ჯერჯერობით უსაფრთხოდ ვარ. მეშინია. მ.

მართლა გაბრაზებული და თავზარდაცემული ვიყავი. რა მექნა, არ ვიცოდი. ბოლოს ვკითხე, ჩემი გეშინიათ-მეთქი? არაფერი თქვა, თავი დამიქნია მხოლოდ.

- კი მაგრამ, რა გავაკეთე ასეთი?

- არაფერი. სწორედ ამიტომ მეშინია.

- ვერ გავიგე.

ძირს დაიხედა.

- სულ იმის შიში მაქვს, რომ რაღაცას იზამთ.

- მე ხომ დაგპირდით და კიდევ გპირდებით, - ვუთხარი. - თქვენ შეურაცხყოფილად თვლით თავს, როცა თქვენი პატიოსანი სიტყვის არ

მჯერა. ჩემი დაპირება რატომ არ უნდა ფასობდეს?

- მაპატიეთ.

- მე თქვენ გენდობოდით, - ვუთხარი, - მეგონა, გრძნობდით ჩემს კეთილგანწყობას. არ მინდა თავი გამოგაყენებინოთ. სულ არ დავეძებ თქვენს წერილს.

წერილი ჯიბეში ჩავიდე.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. ვიცოდი, მიყურებდა, მაგრამ მე არ გავხედე. უცებ მომიახლოვდა, წინ დამიდგა და ხელები მხრებზე დამადო, ასე რომ, სხვა გზა არ მქონდა, უნდა შემეხედა. თვალებში მიყურებდა და იძულებული ვიყავი თვალი გამესწორებინა. ახსნა მიძნელდება, მაგრამ როცა გულწრფელი იყო ჩემ მიმართ, სულს ისე მიფორიაქებდა, ცვილივით ვრბილდებოდი მის ხელში.

მეუბნება:

- თქვენ ახლა პატარა ბიჭივით იქცევით. გავიწყდებათ, რომ აქ ძალით გყავართ გამომწყვდეული. ვაღიარებ, რომ ბოროტად არ იყენებთ ამ ძალას, მაგრამ მაინც მეშინია.

- სანამ თქვენ თქვენს სიტყვას შეასრულებთ, მეც შევასრულებ ჩემსას, - ვუთხარი. რა თქმა უნდა, გაწითლებული ვიყავი.

- მაგრამ მე ხომ თქვენთვის არასოდეს მომიცია სიტყვა, რომ გაქცევას არ შევეცდებოდი.

- თქვენ ერთი სული გაქვთ, როდის დადგება ის დღე, როცა აღარ მნახავთ. მე ხომ ისეთივე არარაობა ვარ თქვენთვის, როგორიც ვიყავი.

სანახევროდ შეტრიალდა.

- მე ერთი სული მაქვს, როდის იქნება ამ სახლს რომ აღარ ვნახავ და არა თქვენ.

- და კიდევ გიჟიო, რომ წერთ. ფიქრობთ, გიჟი ისე მოგეპყრობოდათ, როგორც მე გეპყრობით? გეტყვით, გიჟი რასაც იზამდა. დიდი ხნის წინ მოგკლავდათ. გგონიათ, სამზარეულოს დანით გამოგეკიდებით ან რაღაც

ამგვარი? (იმ დღეს მართლა ყელში მყავდა ამოსული) სულ გამოშტერ-დით? კარგი, თქვენ ფიქრობთ, არანორმალური იმიტომ ვარ, რომ აქ ძა-ლით გაკავებთ. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ იცით, რას გეტყვით? უამ-რავი ასეთი არანორმალური აღმოჩნდებოდა, ადამიანებს ფული და დრო რომ ჰქონდეთ. ახლაც გაცილებით მეტია, ვიდრე ჰგონიათ. პოლიციამ იცის ამის შესახებ, მაგრამ ეს ისეთი დიდი ციფრია, გამხელას ვერ ბედა-ვენ.

დაჟინებით მიყურებდა. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ სრულიად უცხოები ვიყავით ერთმანეთისთვის. ალბათ უცნაურად გამოვიყურებო-დი. ადრე ასეთი რამ არასოდეს მითქვამს.

- ასე ნუ მიყურებთ, - მითხრა. - თქვენში ის მაშინებს, რაზეც თქვენ თვითონ წარმოდგენა არა გაქვთ. არ იცით, რომ ის თქვენშია.

- და რა არის ეს? - ვკითხე. ჯერაც გაბრაზებული ვიყავი.

- არ ვიცი. ის სადღაც ამ სახლშია მიმალული, ამ ოთახში, ამ სიტუ-აციაში და დადარაჯებულია, რომ თავს დაგესხას... ჩვენ ერთად ვეწინა-აღმდეგებით მას.

- ეს მხოლოდ სიტყვების რახარუხია.

- ჩვენ ვერ გვექნება ყველაფერი ის, რაც გვსურს. ადამიანის წესიერე-ბა იმაში გამოიხატება, რომ ამას ეგუება.

- ყველა იმას იღებს ცხოვრებისგან, რისი მიღებაც შეუძლია. და თუ ადამიანს ბევრი რამ აკლდა ცხოვრებაში, ის ამის კომპენსირებას ნების-მიერი გზით ცდილობს, სანამ უმართლებს. თქვენ ამას ვერ გაიგებთ.

მან ისე გამიღიმა, როგორც ბევრად უმცროსს უღიმიან:

- თქვენ კარგი ფსიქიატრი გჭირდებათ.

- ერთადერთი მკურნალობა, რაც მე მჭირდება, ის არის, რომ თქვენ ისე მექცეოდეთ, როგორც მეგობარს.

- გექცევით კიდეც ასე, ნუთუ ვერ ხედავთ?

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც მან დაარღვია.

- ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს ყველაფერი ძალიან შორს წავიდა?

- არა.

- არ გამიშვებთ?

- არა.

- თქვენ შეგიძლიათ პირი ამიკრათ, შემკრათ და ლონდონში წამიყვანოთ. არავის ვეტყვი.

- არა.

- მაგრამ ხომ უნდა იყოს რაღაც, რაც გსურთ ჩემგან.

- მე მხოლოდ ის მინდა, რომ თქვენ ჩემთან იყოთ. სულ.

- საწოლში?

- მე ხომ გითხარით, არა.

- მაგრამ თქვენ ეს გსურთ?

- არ მინდა ამ თემაზე ლაპარაკი.

ამაზე გაჩუმდა.

- ჩემს თავს ნებას არ მივცემ იმაზე ვიფიქრო, რაც ვიცი, რომ ცუდია, - ვუთხარი. - მიმაჩნია, რომ ეს არ არის ლამაზი.

- ექსტრაორდინარული ბრძანდებით.

- გმადლობთ.

- თუ გამიშვებთ, თქვენი ნახვა მომინდება, იმიტომ რომ ძალიან მაინტერესებთ.

- თითქოს ზოოპარკში წასულხართ, არა?

- მინდა ვეცადო და გაგიგოთ.

- ამას ვერასოდეს შეძლებთ (უნდა გამოვტყდე, მსიამოვნებდა, რომ ასეთი გაუგებარი, იდუმალი ვჩანდი. ვგრძნობდი, ეს მას დაანახვებდა, რომ ყოვლისმცოდნე არ იყო).

- ვფიქრობ, მართლა ასეა.

უცებ ჩემ წინ მუხლებზე დაეცა და ხელები სამჯერ მიიტანა შუბლთან აზიელი მონა ქალივით.

- ო, დიადო, იდუმალო მბრძანებელო, შეისმინეთ თქვენი მხევლის მდაბალი თხოვნა და მიუტევეთ მას.

- მოვიფიქრებ, - ვუპასუხე.

- ცაწკალი მონა ზალიან წუხდეს ცუდი წერილის გამო.

გამეცინა, თავი ვერ შევიკავე. ყველაფრის გათამაშება შეეძლო.

ისევ მუხლებზე იდგა, მაგრამ ხელებით იატაკს დაყრდნობილი. სერიოზულად შემომხედა, პირდაპირ თვალებში.

- წერილს ხომ გაგზავნით?

კიდევ ერთხელ ვათხოვნინე და შევპირდი. კინაღამ ყველაზე დიდი შეცდომა დავუშვი ჩემს ცხოვრებაში.

მეორე დღეს ლონდონში წავედი. მეყო სისულელე, მისთვის მეთქვა ამის შესახებ და მან საყიდელი ნივთების სია ჩამოწერა. საკმაოდ გრძელი სია (როგორც მოგვიანებით მივხვდი, ეს იმიტომ, რომ დიდხანს ვყოფილიყავი დაკავებული). რაღაც განსაკუთრებული, უცხოური ყველი დამაბარა, სოჰოში გერმანული სოსისი უნდა მეყიდა, რომელიც მას უყვარდა, ასევე რამდენიმე ფირფიტა, ტანსაცმელი და რაღაცები. კიდევ რომელიღაც მხატვრის სურათი, მაინცდამაინც მისი და არა რომელიმე სხვა მხატვრის. იმ დღეს ძალიან ბედნიერი ვიყავი, ღრუბლის ნაფლეთიც არ ჩანდა ჩვენს ურთიერთობაში. ვფიქრობდი, რომ შესაძლოა დაავიწყდა კიდეც ოთხკვირიანი ვადის შესახებ, თუ არ დაავიწყდა, ყოველ შემთხვევაში მიხვდა, რომ ასე მალე არ გავუშვებდი. ოცნებას მივეცი თავი.

სახლში მხოლოდ საღამოს ჩაის დროს დავბრუნდი და, რა თქმა უნდა, პირდაპირ მასთან ჩავედი. მაშინვე მივხვდი, რომ რაღაც ვერ იყო რიგზე. ჩემი დანახვა სრულიადაც არ გახარებია და ჩემს ჩამოტანილ ნივთებს არც კი გახედა.

მალევე მივხვდი, რაც მომხდარიყო. უკვე ოთხი ქვა ჰქონდა მორყეული, გვირაბის გაყვანას აპირებდა. საფეხურებზე მიწა ეყარა. ერთი ქვა ადვილადგამოვიღე. მთელი ამ ხნის განმავლობაში საწოლზე იჯდა და ჩემკენ არ იყურებოდა. იმ ქვის იქით კიდევ ქვა იდო, ასე რომ, საშიში არაფერი იყო, მაგრამ იმას კი მივხვდი, რისთვის განიზრახა ეს თამაში - სოსისები, განსაკუთრებული ნახატები და ყველაფერი. დროის გაწელვა

უნდოდა.

- თქვენ გაქცევას შეეცადეთ, - ვუთხარი.

- მოკეტე! - დამიყვირა მან. იმ საგნის ძებნა დავიწყე, რითაც ეს ყველაფერი გააკეთა. უცებ რაღაცამ თავთან ჩამიქროლა და იატაკზე გაიწკრიალა. ჟანგიანი ექვსდუიმიანი ლურსმანი იყო. არ ვიცი, საიდან ჩაუვარდა ხელში.

- დღეს ბოლოჯერ იყო, რომ ასე დიდხანს დაგტოვეთ მარტო, - ვუთხარი. - უკვე აღარ გენდობით.

ზურგი შემაქცია, ისე, რომ არაფერი უთქვამს. ძალიან შევშინდი, ისევ შიმშილობა არ დაიწყოს-მეთქი და აღარაფერი მითქვამს, ისე დავტოვე. მოგვიანებით ვახშამი ჩავუტანე. არ გამომელაპარაკა და კვლავ მარტო დავტოვე.

მეორე დღეს უკვე ჩვეულებრივად იყო, თუმცა არ მესაუბრებოდა. ერთ სიტყვას იტყოდა და გაჩერდებოდა, იმ გაქცევის შესახებ კი, კინაღამ რომ მოაწყო, არასოდეს სიტყვა აღარ დაუძრავს, მაგრამ მაჯაზე საკმაოდ დიდი განაკაწრი დავუნახე. სახე ტკივილისგან ეღმიჭებოდა, როცა ფანქრის დაჭერას ცდილობდა სახატავად.

წერილი არ გამიგზავნია. პოლიციელები ზოგჯერ საოცარ გამჭრიახობას იჩენენ. როცა ქალაქის საბჭოში ვიყავი, ერთი ჩემი თანამშრომელი ბიჭის ძმა სკოტლენდ-იარდში მუშაობდა. სულ მცირე მტვერი და უკვე გეტყოდნენ, ვინ ხარ და საიდან.

როცა მკითხა, რა თქმა უნდა, გავწითლდი. ვუთხარი, იმიტომ ვწითლდები, რომ ვიცი, არ მენდობით-მეთქი და ასეთი რამეები. თითქოს დამიჯერა. შეიძლება ეს ჩემი მხრივ მაინცდამაინც სწორი არ იყო მისი მშობლების მიმართ, მაგრამ იმის მიხედვით, რაც მათზე ჰქონდა მოყოლილი, დიდი ხვითოები არ უნდა ყოფილიყვნენ. და საერთოდაც, ყველაფერზე ხომ ვერ იფიქრებ. პირველ რიგში საქმე, როგორც იტყვიან.

ასევე მოვიქეცი, როცა მოინდომა ფული გამეგზავნა ატომური ბომბის საწინააღმდეგო მოძრაობისათვის. ჩეკი გამოვწერე და ვუჩვენე, მაგრამ

არ გავგზავნე. მტკიცებულება მომთხოვა (ქვითარი), მაგრამ ვუპასუხე, რომ ანონიმურად გავგზავნე. ეს იმიტომ გავაკეთე (ჩეკის გამოწერას ვგულისხმობ), რომ თავი უკეთ ეგრძნო. ვერავითარ აზრს ვერ ვხედავ ფული ფლანგო იმ საქმეში, რისიც არ გწამს. ვიცი, რომ მდიდრები ვიღაცებს ფულს ურიცხავენ, მაგრამ, ჩემი აზრით, ამას იმიტომ აკეთებენ, თავიანთი სახელი დაბეჭდილი ნახონ, ან გადასახადებისგან დაიძვრინონ თავი.

ყოველთვის, როცა აბაზანას იღებდა, ფანჯარაზე ფიცრების აკვრა მიწევდა. არ მინდოდა ფიცრები სულ აკრული დამეტოვებინა. ყველაფერი კარგად მიდიოდა. ერთხელ, ძალიან გვიან (უკვე თერთმეტი იყო), ალიკაპი აბაზანაში შესვლის წინ მოვხსენი. ძლიერი ქარი იყო, ლამის გრიგალში გადაზრდილიყო. როცა ქვემოთ ჩავდიოდით, სასტუმრო ოთახში (ამ ოთახს დარბაზს აღარ ვეძახდი, ისე დამცინოდა ამისთვის) მოინდომა გაჩერება. ხელები, რა თქმა უნდა, შეკრული ჰქონდა, ასე რომ, არაფერი ცუდი არ იყო მოსალოდნელი. ელექტროღუმელი ჩავრთე (მეუბნებოდა, ხელოვნური შეშა მდარე გემოვნების მაჩვენებელია, ნამდვილი შეშით უნდა დაანთო ცეცხლიო. შემდგომში ასეც ვიქცეოდი). ცოტა ხანს იქ დავყავით. ნოხზე იჯდა და ახალდაბანილ თმას იშრობდა. მე კი, რა თქმა უნდა, მას მივჩერებოდი. სლაქსი ეცვა, ჩემი ნაყიდი და ძალიან მომხიბლავად გამოიყურებოდა. სულ შავებში იყო, გარდა პატარა წითელი შარფისა. მთელი დღე, სანამ თავს დაიბანდა, ორი ნაწნავით დადიოდა. ერთ-ერთი ყველაზე დიდი სიამოვნება ჩემთვის ის იყო, მენახა, როგორ ვარცხნილობას გაიკეთებდა ამა თუ იმ დღეს. ღუმელთან ჩამოშვებული, გაშლილი თმით იჯდა - ასე კი ყველაზე მეტად მომწონდა.

ცოტა ხნის შემდეგ ადგა და ოთახში გაიარ-გამოიარა. მოუსვენრობა ეტყობოდა, მხოლოდ ერთ სიტყვას ამბობდა: „მოწყენილობაა“. ისევ და ისევ იმეორებდა. უცნაურად ჟღერდა ეს სიტყვა გარეთ მოზუზუნე ქარის ფონზე.

უცებ ჩემ წინ შედგა.

- გამართეთ, რაიმე გააკეთეთ.

- რა გავაკეთო? - ვკითხე. - სურათი ხომ არ გადაგიღოთ? - მაგრამ ეს არ უნდოდა.

- არ ვიცი. იმღერეთ, იცეკვეთ. რაღაც მოიფიქრეთ.

- ცეკვა არ ვიცი. არც სიმღერა.

- რაიმე სასაცილი ამბავი მომიყევით.

- რომ არ ვიცი, - ვუთხარი. მართლაც ასე იყო. არაფერი მომაფიქრდა.

- ანეკდოტები მაინც გეცოდინებათ. მე მეგონა, ყველა კაცმა იცოდა უწმაწური ანეკდოტები.

- კიდეც რომ ვიცოდე, მაინც არ მოგიყვებოდით.

- რატომ?

- იმიტომ, რომ ისინი კაცებისთვისაა განკუთვნილი.

- თქვენი აზრით, ქალები რაზე ლაპარაკობენ? თუ გინდათ დავნაძლევდეთ, რომ თქვენზე მეტი უწმაწური ანეკდოტი მეცოდინება.

- არ გამიკვირდებოდა, - ვუთხარი.

- ვერცხლისწყალივით ხართ. შეუძლებელია თქვენი მოხელთება.

უკან დაიხია, უცებ სავარძლის ბალიშს წაავლო ხელი, შემობრუნდა,აისროლადა ფეხი პირდაპირ ჩემკენ დაარტყა. რა თქმა უნდა, გამიკვირდა. ავდექი. მეორე ბალიშითაც იგივე გააკეთა, მერე მესამით, რომელიც ამცდა და პატარა მაგიდიდან სპილენძის ჩაიდანი გადმოაგდო.

- დაწყნარდით, - ვუთხარი. - რა გჭირთ?

- გაინძერი, შე კუვ! - დაიყვირა (მე მგონი ციტატა იყო, რომელიღაც წიგნიდან). შემდეგ კი, თითქმის დაუყოვნებლივ, ბუხრის თაროზე მდგარ დოქს დასტაცა ხელი და მესროლა. მგონი, „დაიჭირეთო“, იყვირა, მაგრამ ვერ მოვასწარი და დოქი კედელს შეასკდა.

- დაწყნარდით, - ვუთხარი.

მაგრამ ამ დოქს მეორე მოჰყვა. მთელი ამ დროის განმავლობაში იცინოდა, მის საქციელში ღვარძლიანობა არ იგრძნობოდა, ჩანდა, რომ უბრალოდ ბავშვივით ანცობდა. კედელზე, ფანჯარასთან ახლოს ლამაზი,

მწვანე თეფში ეკიდა, რომელზეც სოფლის სახლი იყო გამოსახული. კედლიდან ჩამოგლიჯა და ნამსხვრევებად აქცია. არ ვიცი რატომ, მაგრამ ეს თეფში ყოველთვის მიყვარდა და მისი გატეხა ძალიან არ მესიამოვნა. უხეშად, მართლა გაბრაზებით დავუყვირე, ახლავე შეწყვიტეთ-მეთქი.

ის კი თავისას განაგრძობდა - ცერა თითი ცხვირთან მიიტანა, ცხვირი დამანჭა და ენა გამომიყო. ქუჩის ბიჭივით იქცეოდა.

ვუთხარი, მეტი მოგეთხოვებათ-მეთქი.

- „მეტი მოგეთხოვებათ", - გამომაჯავრა მან.

შემდეგ მეუბნება:

- აქეთ რომ გამოიწეოდეთ, - თქვენ უკან რომ თეფშებია, იმათაც მივწვდებოდი, - კედელზე, კართან ახლოს, ორი თეფში ეკიდა. - ან იქნებ თქვენ თვითონ გსურთ მათი დამტვრევა.

- შეწყვიტეთ, - ისევ ვუთხარი. - კმარა უკვე.

მაგრამ უცებ სავარძელსა და ჩემ შორის გაძვრა და თეფშებისკენ გავარდა. გზა გადავუღობე, შეეცადა გაშლილ მკლავს ქვემოთ გამძვრომოდა, მაგრამ იდაყვში ჩავავლე ხელი.

უცებ შეეცვალა განწყობილება.

- ხელი გამიშვით, - მითხრა სავსებით მშვიდად. რა თქმა უნდა, არ გავუშვი. მეგონა, ისევ თავისას აგრძელებდა, მაგრამ შემდეგ ისევ გაიმეორა - ხელი გამიშვით, - და ამჯერად ისეთი საშინელი ხმით, რომ მაშინვე გავუშვი. ცოტა ხნის შემდეგ მეუბნება:

- ცოცხი მოიტანეთ. დავგვი.

- მე თვითონ დავგვი, ხვალ.

- მე მინდა, რომ დავალაგო, - ჭირვეულად, ქედმაღლურად თქვა.

- მე დავალაგებ.

- თქვენი ბრალია ეს ყველაფერი.

- რა თქმა უნდა.

- ყველაზე სრულყოფილი მეშჩანი ხართ, ვინც კი ოდესმე შემხვედრია.

- მართლა?

- მართლა. თქვენ გეზიზღებათ მაღალი ფენები მათი სნობიზმისა და ქედმაღლური ტონისათვის, დაყენებული მანერებისათვის. ხომ ასეა? და თქვენ კი რით უპირისპირდებით მათ? საცოდავი, უბადრუკი უარით უხამსი ფიქრების, უხამსი ნივთებისა და უხამსი ქცევებისადმი. იცით, რომ ყველაფერი, რაც კი დიადია ხელოვნების ისტორიაში, ყველაფერი, რაც კი მშვენიერია ცხოვრებაში ან ის არის, რასაც თქვენ უხამსობას ეძახით, ან იმ გრძნობებისგანაა ნაშობი, რომლებსაც თქვენ უხამსობად მონათლავდით. ვნებებისგან, სიყვარულისგან, სიძულვილისგან, ჭეშმარიტებისგან. იცით ეს?

- არ ვიცი, რაზე ლაპარაკობთ, - ვუთხარი.

- მშვენივრად იცით. რატომ იმეორებთ განუწყვეტლივ ამ სულელურ სიტყვებს: უხამსი, წესიერი, მართებული, უმართებულო. ასე რატომ გაწუხებთ, რა არის მართებული და რა არა. იმ მოხუც შინაბერას ჰგავხართ, რომელსაც ჰგონია, რომ ქორწინება სიბილწეა და საერთოდ ყველაფერი სიბილწეა ამქვეყნად ძველ, დამტვერილი ავეჯით გამოტენილ ჩახუთულ ოთახში ბაცი ჩაის დალევის გარდა. რატომ გინდათ სიცოცხლეს სული გამოაცალოთ? რატომ გინდათ მშვენიერება მოკლათ?

- მე არასოდეს მქონია თქვენნაირი შესაძლებლობები. აი ამიტომ.

- მაგრამ თქვენ შეგიძლიათ შეიცვალოთ. ახალგაზრდა ხართ. ფული გაქვთ. შეგიძლიათ ისწავლოთ. თქვენ კი რა გააკეთეთ? პატარა ოცნებები გქონდათ, იმის მსგავსი, პატარა ბიჭებს რომ აქვთ და ღამღამობით მასტურბირებენ. თავში გაქვთ ჩაჭედილი, რომ კარგად უნდა მომეპყროთ, მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარ თავს დაუმალოთ, რომ ჩემი აქ ყოფნა საზიზღრობაა, საზიზღრობა.

უცებ გაჩერდა. შემდეგ ამბობს:

- მაგრამ რა აზრი აქვს ამის ლაპარაკს. თქვენთვის ეს ყველაფერი ჩინურია.

- მესმის, - ვუთხარი, - რომ განათლებული არა ვარ.

თითქმის დაიყვირა:

- ასეთი შტერი როგორ ხართ, ასეთი ტვინგაუკუღმართებული. თქვენ ხომ ფული გაქვთ და სულელი სულაც არ გეთქმით. შეგეძლოთ ისეთი გამხდარიყავით, როგორსაც ისურვებდით. მხოლოდ წარსული უნდა ჩამოიბერტყოთ, მოკლათ საკუთარ თავში მოგონება მამიდაზე, სახლზე, რომელშიც ადრე ცხოვრობდით და ხალხზე, რომლებთანაც ცხოვრობდით. ახალი ადამიანი უნდა გახდეთ.

სახე წინ წამოსწია და გაბრაზებული მიყურებს, აქაოდა ამის გაკეთებაადვილად შეგიძლიათ, თქვენ კი არ აკეთებთო.

- მიზანიც ასეთი უნდა, - ვთქვი.

- გეტყვით, მე რით შემიძლია დაგეხმაროთ. თქვენ შეგეძლოთ... შეგეძლოთ ნახატები შეგეგროვებინათ. მე გირჩევდით, რა და სად გეძებნათ, გაგაცნობდით ხალხს, რომლებიც გასწავლიდნენ, როგორ შეგეგროვებინათ ხელოვნების ნიმუშები. აბა, იფიქრეთ, რამდენ გაჭირვებულ მხატვარს შეგეძლოთ დახმარებოდით, იმის მაგივრად, რომ პეპლები გეჭლიტათ სულელი სკოლის მოსწავლესავით.

-ბევრი ძალიან ჭკვიანი ადამიანი აგროვებს პეპლებს, - ვთქვი.

- ოჰ, ჭკვიანი... რაში არგიათ ეგ ჭკუა. მერედა, ისინი ადამიანები არიან?

- რას გულისხმობთ? - ვკითხე.

- თვითონ უნდა მიხვდეთ. მე ამის ახსნა არ შემიძლია.

შემდეგ მეუბნება:

- რატომ ხდება, რომ ჩვენი საუბარი ყოველთვის დარიგებებით მთავრდება. ვერ ვიტან ამას. მე ჭკუას გარიგებთ, თქვენ კი მუდამ ახერხებთ დამისხლტეთ და ერთი ნაბიჯით ჩამომრჩეთ.

დროდადრო ასე შემომიტევდა ხოლმე. რა თქმა უნდა, ვპატიობდი, თუმცა იმ მომენტში მტკივნეული ასატანი იყო. მას უნდოდა, რომ მე სრულიად სხვა ადამიანი გავმხდარიყავი, ისეთი, როგორიც ვერასოდეს

გავხდებოდი. მაგალითად, იმ საღამოს შემდეგ, როცა მითხრა, რომ შემეძლო ნახატები შემეგროვებინა, ამაზე ბევრს ვფიქრობდი. წარმოვიდგენდი, რომ ნახატებს ვაგროვებ, დიდი სახლი მაქვს, კედლებზე სახელგანთქმული მხატვრების ნახატები კიდია, ხალხი მოდის მათ სანახავად. რა თქმა უნდა, მირანდაც აქ არის. მაგრამ ყოველთვის ვიცოდი, რომ ეს სისულელე იყო. მე არასდროს არაფერს შევაგროვებდი პეპლების გარდა. ნახატები ჩემთვის არაფერს ნიშნავს. მათი შეგროვება არ მსურდა, ამიტომ ეს ჩემთვის უაზრობა იქნებოდა. ის ამას ვერასოდეს მიხვდა.

მან კიდევ რამდენჯერმე დამხატა. ძალიან კარგი პორტრეტები გამოვიდა, მაგრამ იყო მათში რაღაც, რაც მე არ მომწონდა. ის იმდენად გარეგნულ მიმსგავსებასა და ნაკვთების წარმოჩენაზე არ ზრუნავდა, რამდენადაც ცდილობდა ხასიათი გადმოეცა, ამიტომ ხანდახან ისეთი წვეტიანი ცხვირით მხატავდა, იფიქრებდით, არ მიჩხვლიტოსო. ვიწრო, უსიამო პირს მიხატავდა, იმაზე უარესს, ვიდრე სინამდვილეში მაქვს - მე ხომ ვიცი, რომ ლამაზი არ მეთქმის. ფიქრსაც ვერ ვბედავდი იმაზე, რომ ოთხი კვირა დასასრულს უახლოვდებოდა; არ ვიცოდი, რა შეიძლებოდა მომხდარიყო. უბრალოდ, ვფიქრობდი, რომ ვიკამათებდით, გაიბუტებოდა, მაგრამ ვაიძულებდი ოთხი კვირა კიდევ დარჩენილიყო - იმის თქმა მინდა, რომ ვფიქრობდი, ჩემს ხელშია და რაც მე მინდა, იმას გააკეთებსმეთქი. დღიდან დღემდე ვცხოვრობდი, არაფერს ვგეგმავდი. უბრალოდ, ველოდი. პოლიციის მოსვლასაც არ გამოვრიცხავდი. ერთ ღამეს საშინელი რამ მესიზმრა, თითქოს ისინი მოვიდნენ და სანამ ოთახში შემოვიდოდნენ, იძულებული ვიყავი, ის მომეკლა. თითქოს ეს ჩემი მოვალეობა იყო, რომელიც უნდა შემესრულებინა, მე კი მხოლოდ დივნის ბალიში მქონდა მის მოსაკლავად. ვცემ და ვცემ ბალიშით, ის კი იცინის. მერე ზედ დავახტი და გავგუდე. მიჩუმდა, მაგრამ როგორც კი ბალიში ავიღე, ისევ გაიცინა, ვითომ მხოლოდ თავს გაჩვენებდი მკვდრადო. ოფლში ვცურავდი, როცა გამომეღვიძა. პირველად იყო, რომ დამესიზმრა, თითქოს ვინმე მოვკალი.

წასვლის შესახებ დათქმულ დრომდე რამდენიმე დღით ადრე დაიწყო საუბარი. სულ იმეორებდა, კაციშვილს არ ვეტყვი ამის შესახებო და მეც იძულებული ვიყავი მეთქვა, რომ მჯეროდა მისი, თუმცა ვიცოდი, რომ მაშინაც კი, თუ მართლა არ აპირებდა თქმას, პოლიცია და მშობლები ადრე თუ გვიან მაინც ათქმევინებდნენ. ხშირად ამბობდა, რომ ჩვენ ვიმეგობრებდით, სურათების შეძენაში დამეხმარებოდა, გამაცნობდა ხალხს, რომლებიც ჩემზე იზრუნებდნენ. იმ დღეებში ძალიან კეთილგანწყობილი იყო ჩემ მიმართ, თუმცა საამისო მიზეზიც ჰქონდა.

ბოლოს ის საბედისწერო დღე - 0 ნოემბერი (მისი გათავისუფლების დღე იყო) დადგა. ყავა რომ შევუტანე, პირველი რაც მითხრა, ის იყო, ხომ არ აღგვენიშნაო.

- სტუმრები ხომ არ მოგვეწვია? - ვუთხარი. ვიხუმრე ვითომ, თუმცა სახუმარო განწყობილება სულაც არ მქონდა, კაცმა რომ თქვას.

- მხოლოდ მე და თქვენ, იმიტომ რომ... ჩვენ ხომ მშვიდობიანად გავიარეთ მთელი ეს პერიოდი. ასე არ არის?

შემდეგ დასძინა:

- ზემოთ, სასადილო ოთახში. კარგი?

მეტი რა გზა იყო, დავთანხმდი. სია ჩამომიწერა, თუ რა მეყიდა ლუისის ყველაზე მდიდრულ მაღაზიაში და მთხოვა, ხერესს და ერთ ბოთლ შამპანურს ხომ არ იყიდდიო. მე, რა თქმა უნდა, შევპირდი. ასეთი აღგზნებული არასოდეს მენახა. მე მგონი, მეც აღგზნებული ვიყავი. მეც იმას ვგრძნობდი, რასაც ის.

რომ გამეცინებინა, ვუთხარი, რა თქმა უნდა, საღამოს კაბაში გამოეწყობით-მეთქი. მან მიპასუხა:

- ნეტა კი მქონდეს ლამაზი კაბა. და კიდევ ცხელი წყალი, რომ თავი დავიბანო.

ვუთხარი, რომ კაბას ვუყიდდი. მხოლოდ ეთქვა, რა ფერის ერჩივნა და ლუისში მოვძებნიდი.

უცნაურია, ყოველთვის ფრთხილი ვიყავი და აი... გავწითლდი. შემომხედა და გამიცინა.

- დიდი ხანია, ვიცი, რომ ლუისში დადიხართ. დივნის ბალიშზე იარლიყი დაგრჩათ. მე ვისურვებდი ან შავს ან ღია ნაცრისფერს, ან მოიცათ... თავის საღებავების ყუთთან მივიდა და ფერები შეაზავა, როგორც ადრე, როცა უნდოდა რაღაც განსაკუთრებული ფერის შარფი მეყიდა მისთვის.

- აი ასეთი ფერის და უბრალო, მუხლებამდე რომ იყოს, უფრო გრძელი არა. სახელოები კი ასეთი (დამიხატა) ან სულ უსახელოებო,რაღაც ამის მსგავსი, ან ასეთი.

ყოველთვის მომწონდა, როგორ ხატავდა - სწრაფად, მსუბუქად; იფიქრებდი, ერთი სული აქვს, როდის დაამთავრებს იმის დახატვას, რაც ჩაფიქრებული აქვსო.

ბუნებრივია, რომ იმ დღეს გულდამძიმებული ვიყავი. სხვას ჩემს ადგილზე მოქმედების რაღაც გეგმა ექნებოდა, მე კი არც ვიცი, რას ვფიქრობდი, იმაშიც კი არა ვარ დარწმუნებული, რომ შეთანხმების შესრულებას არ ვაპირებდი, მიუხედავად იმისა, რომ ეს შეთანხმება ძალით გამომგლიჯეს, იძულებით მიცემული პირობა კი სულაც არაა პირობა, როგორც ამბობენ.

სინამდვილეში ბრაიტონში წავედი და ბევრი ძებნის შემდეგ ერთ პატარა მაღაზიაში სწორედ ისეთ კაბას წავაწყდი, როგორიც მას სურდა. ზედვე ეტყობოდა უმაღლესი კლასი. თავიდან გაყიდვაც კი არ უნდოდათ გასინჯვის გარეშე, თუმცა სწორედ მისი ზომა იყო. როცა იმ ადგილისკენ მივდიოდი, სადაც ფურგონი მქონდა დაყენებული, საიუველირო მაღაზიას ჩავუარე და უცებ აზრად მომივიდა, რომ გაუხარდებოდა, საჩუქარს თუ ვუყიდდი. ისიც ვიფიქრე, როცა საქმე საქმეზე მიდგება, იქნებ მასთან საუბარი გამიადვილდეს-მეთქი. ვიტრინაში შავ ხავერდზე ყელსაბამი იდო - საფირონი ბრილიანტებით, გულის ფორმის. იმის თქმა მინდა, რომ ყელსაბამი გულის ფორმით იდო. შიგნით შევედი, ძალიან ძვირი აღმოჩ-

ნდა - სამასი გირვანქა. კინაღამ გამოვბრუნდი, მაგრამ ჩემი არსების უფრო გულუხვმა ნაწილმა იმძლავრა. რაც უნდა იყოს, ფული არ მაკლდა. გამყიდველმა ქალმა ყელსაბამი მოისინჯა. მართლაც ძალიან ლამაზად და მდიდრულად გამოიყურებოდა. ქალმა მითხრა, მართალია, პატარა ქვებია, მაგრამ ყველა წმინდა წყლისაა და ვიქტორიანული სტილისო. გამახსენდა, ერთხელ მირანდა ამბობდა, ვიქტორიანული სტილის ნივთები მომწონსო და ამან საბოლოოდ გადამაწყვეტინა ყიდვა. რა თქმა უნდა, რაღაც პრობლემა იყო ჩეკთან დაკავშირებით, რომელსაც გამყიდველი თავიდან არ იღებდა, მაგრამ ჩემს ბანკში დავარეკვინე და მაშინვე სხვანაირად აჭიკჭიკდა. ცხადია, მასთან დაყენებული ხმით რომ მესაუბრა და მეთქვა, ლორდი ფუნა ვარ-მეთქი, ან რაიმე ამგვარი, ნიძლავს ჩამოვალ... მაგრამ ახლა ამის განხილვის დრო არ მაქვს.

უცნაურია, ერთ რაღაცას მეორისკენ როგორ მიჰყავხარ. როცა ყელსაბამს ვყიდულობდი, ბეჭედი დავინახე, რამაც მაფიქრებინა, მეთხოვა მისთვის ცოლად გამომყოლოდა და თუ უარს მეტყოდა, მაშინ მისი კვლავ ჩემთან დატოვება მომიწევდა. ეს კარგი გამოსავალი იქნებოდა. მე ხომ ვიცოდი, რომ არ დამთანხმდებოდა და „ჰო“-ს არ მეტყოდა. ჰოდა, ბეჭედი ვიყიდე. უბრალოდ, საჩვენებლად. საკმაოდ კარგი ბეჭედი იყო, მაგრამ არცთუ ძალიან ძვირი. სახლში დაბრუნებულმა ყელსაბამი გავრეცხე (არ მსიამოვნებდა იმაზე ფიქრი, რომ ის სხვა ქალის სხეულს შეეხო) და ისეთ ადგილას შევინახე, რომ ხელსაყრელ მომენტში ადვილად შემძლებოდა მისი ამოღება. შემდეგ ყველაფერი ისე მოვამზადე, როგორც მას სურდა: ყვავილები და ღვინო - პატარა მაგიდაზე. მაგიდა ისე გავაწყვე, გრანდ-ოტელს შეშურდებოდა. რა თქმა უნდა, ჩვეული სიფრთხილის ზომების მიღება არ დამვიწყებია. შევთანხმდით, რომ მასთან შვიდ საათზე ჩავიდოდი და ამოვიყვანდი. იმის შემდეგ, რაც ნაყიდი ნივთების შეკვრა ჩავუტანე, მე ის აღარ უნდა მენახა - სწორედ ისე, როგორც ქორწინების წინ ხდება.

ჩემი გადაწყვეტილება ის იყო, რომ მისთვის ზემოთ ამოსვლის ნება

დამერთო, ამჯერად ისე, რომ არც ხელები შემეკრა და არც პირი ამეკრა - მხოლოდ ამ ერთხელ. გადავწყვიტე გამერისკა, მაგრამ თვალი არ მომეცილებინა მისთვის და ყოველი შემთხვევისთვის ქლოროფორმი მზად მქონოდა. ვთქვათ, ვინმეს კარზე რომ დაეკაკუნებინა, სამზარეულოში წამშივე მივაძინებდი, შევბორკავდი და პირს ავუკრავდი, შემდეგ კი კარის გაღებაც შემეძლო.

შვიდ საათზე ჩემი საუკეთესო კოსტიუმი და პერანგი ჩავიცვი, საგანგებოდ ნაყიდი ახალი ჰალსტუხი გავიკეთე და მასთან ჩავედი. წვიმდა და ეს კარგი იყო, რადგან რისკს ამცირებდა. დაახლოებით ათ წუთს მაცდევინა და შემდეგ გამოვიდა. კინაღამ მუხლები მომეკეცა. წამიერად ისიც კი გავიფიქრე, ეს ის არ არის-მეთქი, ისე განსხვავებულად გამოიყურებოდა. მე რომ ვაჩუქე, ის სუნამო დაესხა და სახეც პირველად ჰქონდა შეღებილი მთელი იმ დროის განმავლობაში, რაც ჩემთან ცხოვრობდა. ის კაბა ეცვა და ძალიან უხდებოდა - კრემისფერი, ძალიან უბრალო, მაგრამ ელეგანტური, უსახელოებო და ღია ყელით. ახალგაზრდული, გოგოს შესაფერისი კაბა სულაც არ იყო და ის ნამდვილი ქალივით გამოიყურებოდა. თმა კეფაზე დაემაგრებინა, ადრინდელისგან განსხვავებით და ძალიან ელეგანტურად. ამ ვარცხნილობას „იმპერიას“ ეძახდა. ზუსტად ისეთი იყო, მოდელი გოგონა რომ გინახავთ ჟურნალში. გამაოგნებელი შეეძლო ყოფილიყო, როცა მოისურვებდა. მახსოვს, თვალებიც კი განსხვავებული ჰქონდა. მათ გარშემო შავი ხაზები შემოევლო და უფრო ასაკოვნად, გამოცდილად გამოიყურებოდა. გამოცდილად სწორედ რომ ზუსტი სიტყვაა. თავი უხერხულად, მოუხეშავად მაგრძნობინა. ისეთი გრძნობა მქონდა, როგორიც მაშინ გაქვს, როცა უყურებ,ჭიის პარკიდან როგორ ჩნდება იმაგო, ფრთებს მართავს, შენ კი იცი, რომ მისი მოკვლა მოგიწევს.იმის თქმა მინდა, რომ მშვენიერება თავგზას გირევს, უკვე აღარ იცი, რა გააკეთო, როგორ მოიქცე.

- აბა, - თქვა მან და შეტრიალდა, თავი შემათვალიერებინა.

- ძალიან კარგია, - ვთქვი.

- სულ ეს არის? - წარბებაწეულმა შემომხედა. მართლა გულისწამღებად გამოიყურებოდა.

- მშვენიერია, - ვუთხარი. არ ვიცოდი, კიდევ რა მეთქვა. მინდოდა თვალმოუცილებლად მეცქირა მისთვის, მაგრამ არ შემეძლო. როგორღაც შეშინებულიც ვიყავი.

იმის თქმა მინდა, რომ ჩვენ თითქოს უფრო დავშორდით ერთმანეთს, ვიდრე ოდესმე და სულ უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი, რომ მისი გაშვება არ შემეძლო.

- აბა, - ვთქვი. - ავიდეთ ზემოთ?

- თოკისა და ალიკაპის გარეშე?

- ეს დრო წავიდა, - ვუპასუხე. - დამთავრდა ეს ყველაფერი.

- მე ვფიქრობ, რომ ეს ორი დღე - დღევანდელი და ხვალინდელი - ერთ-ერთი საუკეთესო იქნება თქვენს ცხოვრებაში, იმის გამო, რის გაკეთებასაც აპირებთ.

- ერთ-ერთი ყველაზე უარესი, - თავი ვერ შევიკავე.

- არა, ეს ახალი ცხოვრების დასაწყისია, ახალი პიროვნების დასაწყისი. - ხელი გამომიწოდა, ჩემი ხელი აიღო და კიბეზე ამიძღვა.

წვიმდა და მან მხოლოდ ერთხელ, ღრმად შეისუნთქა ჰაერი, სანამ სამზარეულოში შევიდოდა, შემდეგ კი სასადილო ოთახის გავლით დარბაზში გავედით.

- მშვენიერია, - თქვა მან.

- მგონი, თქვენ თქვით, რომ ეს სიტყვა არაფერს ნიშნავს, - ვუთხარი.

- ზოგი რამ მართლაც მშვენიერია. შეიძლება ხერესი დავლიო?

ჭიქები შევავსე. ასე ვიდექით, ის მაცინებდა, ისე იქცეოდა, თითქოს ხალხით სავსე ოთახში ვიყავით, თითქოს ვიღაცებს ხელის დაქნევით ესალმებოდა, მიყვებოდა მათ შესახებ, მათ კი ჩემი ახალი ცხოვრების შესახებ; შემდეგ ფირფიტა დადო და მსუბუქი მუსიკა აჟღერდა, ის კი მშვენიერი იყო. ისეთი შეცვლილი ჩანდა, თვალები უციმციმებდა. და კიდევ

ფრანგული სუნამო - ოთახი სურნელით აივსო, და ნამდვილი შეშის სითბოთი, ბუხრიდან რომ მოდიოდა. იმის დავიწყება მოვახერხე, თუ რის გაკეთებას ვაპირებდი მოგვიანებით. რაღაც ანეკდოტებიც კი მოვუყევი, სულელური, მაგრამ მაინც გაეცინა.

კიდევ ერთი ჭიქა დალია და მეორე ოთახში გავედით, სადაც ვეცადე საჩუქარი მალულად დამედო გვერდით, მაგრამ მაშინვე შეამჩნია.

- ეს ჩემთვისაა?

- აიღეთ და ნახეთ, - ვუთხარი.

შესაფუთი ქაღალდი მოაცილა, შიგ კი მუქი ლურჯი ფერის ტყავის კოლოფი იყო. კოლოფი გახსნა და არაფერი თქვა. დიდხანს ხმაამოუღებლად უყურებდა.

- ნამდვილია? - შეშინებული იყო, მართლა შეშინებული.

- რა თქმა უნდა. მართალია, პატარა ქვებია, მაგრამ ძალიან მაღალი ხარისხის.

- ფანტასტიკურია, - თქვა მან. შემდეგ ყუთი გამომიწოდა. - არ შემიძლია ამ საჩუქრის მიღება. მე ვხვდები, მგონი, ვხვდები, რატომ მაჩუქებთ ამას და ძალიან გიფასებთ, მაგრამ... ამის მიღება არ შემიძლია.

- მე მინდა, რომ აიღოთ.

- მაგრამ... ფერდინანდ, თუ ახალგაზრდა კაცი გოგონას ასეთ საჩუქარს აძლევს, ეს მხოლოდ ერთ რამეს შეიძლება ნიშნავდეს.

- რას? - ვკითხე.

- ასეთ შემთხვევაში ადამიანებს ბინძური აზრები უჩნდებათ.

- მე მინდა, რომ ის თქვენი იყოს. გთხოვთ.

- გავიკეთებ, მაგრამ მხოლოდ ამ საღამოს. ისე მოვიქცევი, თითქოს ჩემი იყოს.

- ის თქვენია, - ვუთხარი.

- გამიკეთეთ, - თქვა მან. - ვინც სამკაულს აჩუქებს ქალს, მანვე უნდა გაუკეთოს.

დგას და მიყურებს, ძალიან ახლოა. შებრუნდა, ყელსაბამი ავიღე და

ყელზე გავუკეთე. შებნევა ერთი ხათაბალა იყო, თითები მიკანკალებდა. პირველად იყო, რომ მის კანს შევეხე, გარდა მისი ხელებისა. ისეთი სურნელი ასდიოდა, შემეძლო მთელი საღამო ასე ვმდგარიყავი. ისეთი იყო, თითქოს ჟურნალის მოდელი გაცოცხლებულიყოს. ბოლოს ჩემკენ შემობრუნდა და შემომხედა.

- მომიხდა?

თავი დავუქნიე მხოლოდ. არაფრის თქმა არ შემეძლო. მინდოდა რაღაც კარგი მეთქვა, რაიმე კომპლიმენტი.

- გინდათ ლოყაზე გაკოცოთ?

არ ვუპასუხე, მაგრამ მან ხელი მხარზე დამადო, ცოტა აიწია და ლოყაზე მაკოცა. ლოყა ალბათ ცეცხლივით გახურებული მქონდა. ისეთი აწითლებული ვიყავი, სადაცაა ალი ავარდებოდა ჩემგან.

შემდეგ ცივი ქათამი მივირთვით და კიდევ რაღაცები. შამპანური გავხსენი. ძალიან კარგი აღმოჩნდა, გამიკვირდა. ვიფიქრე, ნეტავ ერთი ბოთლი კიდევმეყიდა-მეთქი. მსუბუქი დასალევი იყო და არც ძალიან მათრობელა. ბევრი ვიცინეთ, ენამახვილობდა, ვითომც ხალხს ესაუბრებოდა, თუმცა იქ არავინ იყო.

ვახშმის შემდეგ სამზარეულოში ყავა ერთად მოვამზადეთ. (რა თქმა უნდა, თვალი მეჭირა მასზე) და დარბაზში შევიტანეთ. ფირსაკრავი ჩართო და ჯაზის ფირფიტა დადო, რომელიც მე ვუყიდე. დივანზე გვერდიგვერდ ვისხედით.

შემდეგ შარადა ვითამაშეთ. ის ჟესტებით, სხეულის მოძრაობებით სხვადასხვა საგანს, სიტყვის ნაწილებსა და მთელ სიტყვებს გამოხატავდა და მე უნდა გამომეცნო, რას მიჩვენებდა. ვერაფერი მოთამაშე გამოვდექი, არც გამოხატვა გამომდიოდა და არც მიხვედრა. მახსოვს, მან პეპელა გაითამაშა, მიჩვენებდა და მიჩვენებდა, მე კი მაინც ვერ გამოვიცანი. თვითმფრინავი და ყველა ჩიტი ვუთხარი, რაც კი მომაგონდა და ბოლოს სავარძელში ჩაესვენა და მითხრა, უიმედო ხართო. თამაშს ცეკვები მოჰყვა. ცდილობდა სამბა ესწავლებინა ჩემთვის, მაგრამ ეს მასთან შეხებას

ნიშნავდა და ისე დავიბენი, ვერაფრით ტაქტში ვერ ავყევი. უეჭველად იფიქრებდა ჩემზე, ჩლუნგიაო.

შემდეგ ის იყო, რომ ერთი წუთით გასვლა მოუნდა. ეს არ მომეწონა, მაგრამ ვიცოდი, რომ ახლა თავის ოთახში ვერ გავუშვებდი. მისი ზემოთ გაშვება მომიწია, სააბაზანოში, მე კი კიბის თავში დავდექი და ვუთვალთვალებდი, რამე არ ეეშმაკა სინათლესთან დაკავშირებით (ფანჯარა შემოფიცრული არ იყო - აქ კი მივქარე), მაგრამ ფანჯარა მაღალზე იყო და ისე აძრომას, რომ მე არ გამეგონა, ვერ მოახერხებდა, თანაც გადახტომაც ძალიან მაღლიდან მოუწევდა. თუმცა მალე გამოვიდა და კიბის თავში მდგარი დამინახა.

- მაინც არ მენდობით, ხომ? - ცოტა უხეშად მითხრა.

ვუთხარი, ამაში არ არის საქმე-მეთქი.

დარბაზში დავბრუნდით.

- აბა, სხვა რა?

- ახლა გაქცევა რომ მოგეხერხებინათ, მაინც შეგეძლოთ გეთქვათ, რომ აქ გამომწყვდეული მყავდით, მაგრამ თუ მე თვითონ მიგიყვანთ სახლში, შემეძლება ვთქვა, რომ მე გაგათავისუფლეთ. ვიცი, რომ ეს სისულელეა, - ვუთხარი. რა თქმა უნდა, ვთამაშობდი, მაგრამ ძალიან რთული სიტუაცია იყო.

შემხედა და შემდეგ თქვა:

- მოდი, ვისაუბროთ. მოდით, გვერდით დამიჯექით.

მივედი და დავჯექი.

- რას აპირებთ?

- არ მინდა ამაზე ფიქრი, - ვუთხარი.

- ჩემს ნახვას მოინდომებთ?

- რა თქმა უნდა, მოვინდომებ.

- ლონდონში გადასვლა საბოლოოდ გადაწყვიტეთ? ჩვენ, ერთობლივად, თქვენგან თანამედროვე ადამიანი უნდა შევქმნათ, რომლის გაცნობა ყველასთვის საინტერესო იქნება.

- მე თქვენ შეგარცხვენთ თქვენს მეგობრებთან.

ეს ყველაფერი არარეალური იყო. ვხვდებოდი, რომ ისიც ჩემსავით თვალთმაქცობდა. თავი მტკიოდა, ყველაფერი ცუდად მიდიოდა.

- მე ბევრი მეგობარი მყავს. იცით, რატომ? იმიტომ რომ მათი არასოდეს მრცხვენია. ისინი სხვადასხვანაირები არიან და თქვენ სულაც არ ხართ მათ შორის ყველაზე უცნაური. მაგალითად, ერთი ძალიან ამორალურია, მაგრამ შესანიშნავი მხატვარია და ამდენად ვპატიობთ. მას არ რცხვენია. თქვენც ასე უნდა იყოთ. არ უნდა გრცხვენოდეთ საკუთარი თავის. ეს ძნელი არ არის, თუ მოინდომებთ. მე დაგეხმარებით.

ჩავთვალე, რომ ახლა დროული იქნებოდა. ასე იყო თუ ისე, მეტის ატანა აღარ შემეძლო.

- ძალიან გთხოვთ, გამომყევით ცოლად, - ვუთხარი. ბეჭედი ჯიბეში მზად მქონდა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

- ყველაფერი, რაც გამაჩნია, თქვენია, - ვუთხარი.

- ადამიანები სიყვარულით ქორწინდებიან, - მიპასუხა.

- მე თქვენ არაფერს გთხოვთ. ისეთს არაფერს გთხოვთ, რისი გაკეთებაც არ გენდომებათ. შეგიძლიათ გააკეთოთ, რასაც მოისურვებთ, სწავლა იქნება, ხელოვნება თუ სხვა რამ. მე არაფერს მოგთხოვთ, გარდა იმისა, რომ ჩემი გვარი ატაროთ და ჩემს სახლში იცხოვროთ.

იჯდა და ნოხს მისჩერებოდა.

- თქვენი საკუთარი ოთახი გექნებათ და შეგეძლებათ ყოველ ღამით კარი ჩაკეტოთ, - ვუთხარი.

- მაგრამ ეს ხომ საშინელებაა! ეს არაადამიანურია! ჩვენ ერთმანეთს ვერასოდეს გავუგებთ. ჩვენი გულები სამყაროს განსხვავებულად აღიქვამენ.

- გული მეც მაქვს, რომ იცოდეთ.

- იცით, რა? მე საგნებსა და ცხოვრებისეულ მოვლენებს აღვიქვამ როგორც ლამაზსა და ულამაზოს. ვერ გაიგეთ? მე ისე კი არ ვფიქრობ მათზე,

როგორც კარგზე ან ცუდზე, არამედ როგორც ლამაზსა და მახინჯზე. ბევრი კარგი რამ მახინჯია და ბევრი საძაგელი რამ - ლამაზი.

- ეს მხოლოდ სიტყვების თამაშია, - ვუთხარი. დაჟინებით მიყურებდა, შემდეგ გაიცინა, ადგა, ბუხართან მივიდა და გაჩერდა. მართლა ლამაზი იყო, მაგრამ როგორღაც უცხო, აღმატებული.

- მე მგონი, თქვენ უბრალოდ პირს ბრაფტონზე ხართ შეყვარებული, - მინდოდა რაიმეთი განმეცვიფრებინა. მართლა ძალიან გაუკვირდა.

- თქვენ საიდან იცით მის შესახებ?

ვუთხარი, რომ გაზეთებში წავიკითხე. წერდნენ, რომ თქვენ არაოფიციალურად დანიშნულები ხართ-მეთქი.

მაშინვე მივხვდი, რომ ასე არ იყო. გაეცინა.

- მეტი კაცი რომ არ იყოს ამქვეყნად, მაგას მაინც არ გავყვებოდი. უმალ თქვენ გამოგყვებოდით.

- ჰოდა, მე გამომყევით.

- თქვენ იმიტომ ვერ გამოგყვებით, რომ არ შემიძლია ცოლად გავყვე კაცს, რომლის მიმართ არ მაქვს შეგრძნება, რომ მთლიანად მას ვეკუთვნი, რომ ჩვენ ერთმანეთს ვეკუთვნით გონებით, გულით, სხეულით.

- მე მთლიანად თქვენ გეკუთვნით.

- არა, არ არის ასე! სიახლოვე ორმხრივი უნდა იყოს. ორივე უძღვნის საკუთარ თავს და ორივე იღებს ამ საჩუქარს. თქვენ მე იმიტომ არ მეკუთვნით, რომ მე არშემიძლია მიგიღოთ. მე ვერაფერს მოგცემთ სამაგიეროდ.

- მე ხომ ბევრი არაფერი მინდა.

- ვიცი. თქვენ მხოლოდ ის გინდათ, რასაც მე ჩემი ნებისა და სურვილისგან დამოუკიდებლად გავცემ. ჩემი გარეგნობა, საუბარი, მოძრაობა. მაგრამ მე არა მხოლოდ ეს ვარ. ჩემში სხვა რამეებიც არის, რაც უნდა გავაჩუქო და მე მათი თქვენთვის მოძღვნა არ შემიძლია, იმიტომ რომ არ მიყვარხართ.

მე ვუთხარი, მაშინ ეს ყველაფერს ცვლის, ხომ ასეა-მეთქი. ავდექი.

თავი მისკდებოდა. მაშინვე მიხვდა, რასაც ვგულისხმობდი, სახეზე შე-ვატყვე, მაგრამ თავი ისე მომაჩვენა, თითქოს ვერ გაიგო.

- რას გულისხმობთ?

- იცით, რასაც ვგულისხმობ.

- კარგი, გამოგყვებით ცოლად. გამოგყვებით. როცა გინდათ.

- ჰა, ჰა.

- სწორედ ეს არ გსურდათ, რომ მეთქვა?

- ფიქრობთ, არ ვიცი, რომ მოწმეები და ასეთი რამეები არ გჭირდე-ბათ?

- და რა?

- ერთი სიტყვაც არ მჯერა თქვენი, - ვუთხარი.

ისეთნაირად შემომხედა, გული კინაღამ ამერია. თითქოს ადამიანი კი არ ვიყავი, არამედ უცხოპლანეტელი, რაღაც გაუგებარი. არც დაცინვა იგრძნობოდა. ინტერესით მიყურებდა.

- გგონიათ ამ თეთრი ძაფით ნაკერ რაღაცებს ვერ ვხედავ?

- ფერდინანდ, - მხოლოდ ეს თქვა, თითქოს მევედრებოდა. ვიცოდი მისი ხრიკები.

- ნუ გამიჭირეთ საქმე ამ ფერდინანდის ძახილით, - ვუთხარი.

- თქვენ ხომ დამპირდით. სიტყვას ხომ არ გატეხთ.

- ყველაფერს გავაკეთებ, რაც მომესურვება.

- მაგრამ მე არ ვიცი, ჩემგან რა გინდათ. როგორ შემიძლია დაგიმტკი-ცოთ, რომ თქვენი მეგობარი ვარ, თუკი ამის შანსს არ მომცემთ.

- მოკეტეთ, - ვუთხარი.

ამ დროს უცებ ამოქმედდა. ვიცოდი, რომ ასე მოხდებოდა და ამისათ-ვის მზად ვიყავი. რისთვისაც მზად არ ვიყავი ის იყო, რომ სწორედ მაშინ გზაზე მანქანა ჩაივლიდა. როცა მანქანა სახლს მოუახლოვდა, მან ცეც-ხლისკენ ფეხი გაიშვირა, თითქოსდა გასათბობად და უცებ ღუმლიდან ცეცხლწაკიდებული შეშა ნოხზე გადმოაგდო, იმავდროულად დაიწივლა და ჯერ ფანჯრისკენ გაიქცა, შემდეგ კი, როცა დაინახა, რომ დარაბები

ურდულით იყო ჩაკეტილი, - კარისკენ. ამ დროს დავეწიე. ქლოროფორმის უჯრიდან ამოღება ვერ მოვასწარი, აქ სწრაფად მოქმედება იყო საჭირო. მაგრად ჩავბღუჯე, ცდილობდა ხელიდან გამსხლტომოდა, ფრჩხილებით მკაწრავდა და მფხოჭნიდა. მისი ლოლიავის თავი არ მქონდა, ხელებზე მივცხე და პირზე ხელი ავაფარე. ცდილობდა ჩემი ხელი მოეშორებინა, მკბენდა, წიხლებს იქნევდა, მაგრამ უკვე დაპანიკებული ვიყავი, ხელები მხრებზე შემოვაჭდე და კარადისკენ წავათრიე, რომლის უჯრაშიც ქლოროფორმი მქონდა მომზადებული. მაშინვე მიხვდა, რას ვუპირებდი და შეეცადა დამსხლტომოდა, იგრიხებოდა, თავს აქეთ-იქით აქნევდა, მაგრამ ტამპონი ამოვიღე და მთელი ძალით მივაჭირე სახეზე. რა თქმა უნდა, მთელი ამ დროის განმავლობაში გაფაციცებული ვიყავი, რაიმე ხმა ხომ არ ისმის-მეთქი, თან ნოხზე დაგდებულ შეშას ვუყურებდი, რომელიც ისევ იწვოდა - მთელი ოთახი კვამლში იყო გახვეული. როგორც კი მიყუჩდა, იატაკზე დავუშვი და ცეცხლის ქრობა დავიწყე. შეშას ყვავილების ვაზით წყალი დავასხი. მართლაც სწრაფად მოქმედება იყო საჭირო. გადავწყვიტე, სანამ დრო მქონდა, ქვემოთ ჩამეყვანა და ასეც მოვიქეცი. საწოლზე დავაწვინე და კვლავ ზემოთ გამოვიქეცი - უნდა დავრწმუნებულიყავი, რომ ცეცხლი ჩაქრა და ახლომახლო არავინ იყო.

წინა კარი გავაღე. თითქოს არაფერი, სულიერი არ ჭაჭანებდა, ასე რომ, ყველაფერი კარგად იყო.

ამის შემდეგ ისევ ქვემოთ ჩავედი.

ისევ გათიშული იწვა ლოგინში. კაბა მხარზე ჩამოსძვრომოდა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ავღელდი, ათასნაირი აზრი მომივიდა, ასე მწოლიარე რომ დავინახე. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ დავუმტკიცე, ვინ იყო აქ ბატონ-პატრონი. მხარზე ჩამომძვრალ კაბას ვუყურებდი, ერთი წინდა ბოლომდე უჩანდა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ერთი ამერიკული ფილმი გამახსენდა (ან შეიძლება რომელიმე ჟურნალში ვნახე). იქ კაცს მთვრალი გოგო მიჰყავს სახლში, გახდის და ლოგინში ჩააწვენს. არავითარი უხამ-

სობა - ლოგინში აწვენს და მეტი არაფერი და დილით გოგოს კაცის პიჟამაში ეღვიძება.

მეც ასე მოვიქეცი. კაბა და წინდები გავხადე, მაგრამ რაღაცები დავუტოვე, ლიფი და სხვა, აბა ბოლომდე ხომ არ... პირდაპირ ნახატივით იყო, გადასაფარებელზე იწვა, თითქმის უყველაფროდ, თითქოს პლაჟზე წოლილიყოს ბიკინიში. მამიდა ენი ამბობდა, ახლანდელ ქალებს თეთრეულის ნაცვლად თასმები აცვიათ და ამიტომაცაა, ბევრს კიბო რომ ემართებაო.

ის შანსი მომეცა, რომელსაც დიდი ხანია, ველოდი. ფოტოაპარატი ავიღე და რამდენიმე სურათი გადავუღე. კიდევ გადავუღებდი, მაგრამ შეინძრა და ამიტომ სწრაფად შევწყვიტე და ოთახიდან გავედი.

მაშინვე დავიწყე სურათების გამჟღავნება და ბეჭდვა. ძალიან კარგი გამოვიდა. მხატვრული არა, მაგრამ საინტერესო.

იმ ღამით არ მძინებია, ისეთ მდგომარეობაში ვიყავი. დროდადრო ვფიქრობდი, მასთან ჩავსულიყავი, ისევ ქლოროფორმით მიმეძინებინა და სურათებიგადამეღო. ასეთ ცუდ რამესაც კი ვფიქრობდი. სინამდვილეში ასეთი სულაც არა ვარ, მხოლოდ იმ საღამოს მეტაკა რაღაც იმ ყველაფრის გამო, რაც მოხდა და ნერვული დაძაბულობის გადამკიდე. შამპანურმაც ცუდად იმოქმედა და მისმა სიტყვებმაც. ეს იყო, როგორც იტყვიან, ყველა გარემოების კულმინაცია.

შემდეგ კიდევ ბევრი რამ იყო, მაგრამ ძველებურად ვეღარ გაგრძელდებოდა. მომხდარმა როგორღაც დაამტკიცა, რომ ჩვენ ვერასდროს შევძლებდით დაახლოებას. ის ვერასდროს შეძლებდა ჩემს გაგებას და, ვფიქრობ, მასაც შეეძლო ეთქვა, რომ მე ვერასდროს შევძლებდი ან მოვინდომებდი მის გაგებას.

შემდეგ, როცა ამაზე ვფიქრობდი, მივხვდი, რომ ის, რაც მე გავაკეთე, აი რომ გავხადე, არც ისე ცუდი იყო. ბევრი ვერ მოახერხებდა საკუთარი თავის გაკონტროლებას, მხოლოდ ფოტოების გადაღებას, ასე რომ, ეს ჩემს სასარგებლოდაც კი მეტყველებდა.

ვფიქრობდი, როგორ მოვქცეულიყავი და გადავწყვიტე, რომ წერილის მიწერა საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა. აი რა დავწერე:

ვწუხვარ გუშინდელი ღამის გამო. გავბედავ და ვიტყვი, თქვენ ახლა ფიქრობთ, რომ ვერასდროს შეძლებთ ჩემს პატიებას.

მე მართლაც ვთქვი, რომ ძალას არასოდეს გამოვიყენებდი, თუ არ მაიძულებდით. ვფიქრობ, უნდა აღიაროთ, რომ თქვენი საქციელით მაიძულეთ ამის გაკეთება...

გთხოვთ გაიგოთ, რომ მე მხოლოდ ყველაზე აუცილებელი გავაკეთე, კაბა გაგხადეთ, რადგან ვშიშობდი, რომ ისევ ცუდად გახდებოდით.

ეს ისეთი პატივისცემით გავაკეთე, როგორიც კი შესაძლებელი იყო აღნიშნულ შემთხვევაში. გთხოვთ დამიფასოთ, რომ ისე შორს არ წავედი, როგორც სხვა შეიძლებოდა წასულიყო ჩემს ადგილას.

მეტს აღარაფერს ვიტყვი, გარდა იმისა, რომ აქ ერთხანს კიდევ მეყოლებით.

გულწრფელად თქვენი, და ა.შ.

მიმართვა საერთოდ არ დამიწერია. ვერ მოვიფიქრე, როგორ მიმემართა. „ძვირფასო მირანდა“ მეტისმეტად ფამილარული ჩანდა.

ქვემოთ ჩავედი და საუზმე ჩავუტანე. ისე გამოვიდა, როგორც ვფიქრობდი. როცა შევედი, სავარძელში იჯდა. დაჟინებით მიყურა. მივესალმე, მაგრამ არ მიპასუხა. რაღაცა ვკითხე, მგონი, ხრამუნა პური გირჩევნიათ თუ სიმინდის ბურბუშელა-მეთქი. დუმდა და მიყურებდა, ამიტომ საუზმე და ლანგარზე დადებული წერილი დავუტოვე, გარე სარდაფში გავედი და მოვიცადე. როცა შევბრუნდი, საუზმე ხელუხლებელი დამხვდა, წერილი - გაუხსნელი. ისევ იჯდა და მიყურებდა. ვიცოდი, ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა. ჩემზე გაბოროტებული იყო და ამას აღარაფერი შეცვლიდა.

ასე რამდენიმე დღეს გაგრძელდა. რამდენადაც ვიცი, მხოლოდ წყალს სვამდა და ისიც ცოტას. ყოველდღიურად, დღეში ერთხელ მაინც, როცა

საჭმელი ჩამქონდა და ის უარს ამბობდა, ვცდილობდი გადამერწმუნებინა. წერილი ისევ შევუტანე და ამჯერად წაიკითხა. ყოველ შემთხვევაში შეეხო მაინც, რადგან წერილი დახეული დამხვდა. ყველაფერი ვცადე: ხან ალერსიანად ველაპარაკებოდი, ხან ბრაზიანად, ნაწყენად ვაჩვენებდი თავს, ხან ვეხვეწებოდი - არაფერი გამოვიდა. უმეტესად ზურგშექცევით იჯდა და თითქოს არც ესმოდა, რას ვეუბნებოდი. რა აღარ მივუტანე, უცხოური შოკოლადი, ხიზილალა, საუკეთესო საჭმელი, რაც კი შეიძლება იყიდო (ლუისში), მაგრამ ყველაფერი ყოველთვის ხელუხლებელი მხვდებოდა.

უკვე მართლა ავფორიაქდი. მაგრამ ერთხელ, როცა დილით შევედი, საწოლთან იდგა, ჩემგან ზურგშექცევით, თუმცა, როგორც კი შევედი, შემოტრიალდა და დილა მშვიდობისაო, მითხრა. რაღაც უცნაური, ღვარძლიანი ხმა ჰქონდა.

- დილა მშვიდობისა, - ვუთხარი. - სასიამოვნოა თქვენი ხმის ისევ გაგონება.

- მართლა? მალე აღარ იქნება სასიამოვნო. ინატრებთ, ნეტა არასდროს გამეგონაო.

- ამას ვნახავთ, - ვუპასუხე.

- მე თქვენ მოგკლავთ. როგორც ვხვდები, თქვენთვის სულ ერთია, მე აქ თუნდაც შიმშილისგან სული გამძრობია. იქნებ სწორედ ეს გინდათ.

- როგორც ჩანს, ამ ბოლო დღეებში თქვენთვის საჭმელი საერთოდ არ შემომიტანია.

ამაზე არაფერი ჰქონდა სათქმელი, მხოლოდ იდგა და მიყურებდა,თავისებურად.

- იცოდეთ, რომ უკვე მე კი არ გყავართ ტყვედ, თქვენი სიკვდილი გყავთ ტყვედ.

- მაინც ჯობია ისაუზმოთ, - ვუთხარი.

ამ დღიდან მოყოლებული ნორმალურად ჭამდა, მაგრამ ძველებურად

აღარაფერი იყო. თითქმის არ ლაპარაკობდა და თუ მაინც რამეს იტყოდა, ყოველთვის უკმეხად, იქედნურად. ყოველთვის ისეთი გაღიზიანებული იყო, რომ მასთან გაჩერება აღარ შეიძლებოდა. თუ იმაზე ერთი წუთით მეტს შევჩერდებოდი, რაც აუცილებელი იყო, მაფურთხებდა ხოლმე, რომ გარეთ გავსულიყავი. ერთ დღეს, იმ საუბრიდან მალევე, თეფშით გახუხული პურები შევუტანე ცერცვის ნამცხვართან ერთად, მან კი თეფში აიღო და პირდაპირ მე მესროლა. მომინდა ერთი კარგად გამელაწუნებინა. უკვე ყელში მქონდა ამოსული ყველაფერი და მთელ ამ ამბავში აზრს ვეღარ ვხედავდი. მე ხომ ყველაფერი ვცადე, მაგრამ იმ საღამოს შემდეგ ბოღმა ჰქონდა ჩახვეული. როგორც ჩანდა, ჩიხში ვიყავით შესული.

შემდეგ, ერთ დღეს, მან მართლა მთხოვა რაღაც. უკვე ჩვევად მქონდა, მაშინვე დამეტოვებინა, როგორც კი ივახშმებდა, რომ ყვირილი არ დაეწყო, მაგრამ ამჯერად მითხრა, ერთ წუთს შეჩერდითო.

- აბაზანის მიღება მინდა.

- დღეს არ გამოვა, - ვუთხარი. ამისთვის მზად არ ვიყავი.

- და ხვალ?

- ხვალ რატომაც არა. პატიოსან სიტყვას თუ მომცემთ.

- რა თქმა უნდა, პატიოსან სიტყვას გაძლევთ. - საზიზღრად, გამქირდავი ხმით თქვა. კარგად ვიცოდი მისი პატიოსანი სიტყვა რასაც ნიშნავდა.

- და კიდევ გარე სარდაფში უნდა გავიარ-გამოვიარო. - მკვეთრი მოძრაობით ხელები გამომიწვდინა. რა თქმა უნდა, შევუკარი. პირველად შევეხე ამ ბოლო დღეებში. როგორც ყოველთვის, ბაღისკენ გამავალი კარის კიბის საფეხურზე ჩამოვჯექი, მან კი აქეთ-იქით სიარული დაიწყო, რაღაც უცნაურად, თავისებურად, როგორც იცოდა. ძალიან ქარიანი დღე იყო - ქვემოთ, სარდაფშიც კი ისმოდა, როგორ უბერავდა ბაღში. აქ მისი ნაბიჯების ხმა, ზემოთ კი ქარის. დიდხანს ხმა არ ამოუღია. არ ვიცი რატომ, მაგრამ ვიცოდი, რომ ლაპარაკი უნდოდა.

- ტკბებით სიცოცხლით? - მოულოდნელად მეკითხება.

- მაინცდამაინც არა, - ვუპასუხე. ვფრთხილობდი.

კიდევ ოთხჯერ თუ ხუთჯერ გაიარ-გამოიარა. მერე ღიღინი დაიწყო.

- კარგი მელოდიაა, - ვთქვი.

- თქვენ მოგწონთ?

- ჰო.

- მაშინ მე უკვე აღარ.

ორჯერ თუ სამჯერ კიდევ გაიარ-გამოიარა.

- მომიყევით რამე.

- რაზე?

- პეპლებზე.

- რა მოგიყვეთ პეპლებზე?

- რატომ აგროვებთ მათ კოლექციას, სად პოულობთ. მიდით. ილაპარაკეთ.

შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ მოყოლა დავიწყე. ყოველთვის, როცა შევჩერდებოდი, განაგრძეთ, ილაპარაკეთო, მეუბნებოდა. ალბათ მთელი ნახევარი საათი ვილაპარაკე, სანამ არ გამაჩერა და მითხრა, საკმარისიაო. მერე თავის ოთახში შევიდა. ხელები შევუხსენი. მაშინვე თავის საწოლზე ჩამოჯდა ჩემგან ზურგშექცევით. ჩაის ხომ არ დალევთ-მეთქი, ვკითხე. არ მიპასუხა. უცებ მივხვდი, რომ ტიროდა. მისი ტირილი ყოველთვის ცუდად მოქმედებდა, ვერ ვიტანდი, როცა ასეთ უბედურ დღეში ვხედავდი. ახლოს მივედი და ვუთხარი, მითხარით, რა გინდათ, ყველაფერს გიყიდით-მეთქი. მკვეთრად შემობრუნდა. ტიროდა, მაგრამ თვალები უელავდა. ადგა, მომიახლოვდა და რამდენჯერმე გამიმეორა, გაეთრიეთ აქედანო. საშინელება იყო. გიჟს ჰგავდა.

მეორე დღეს ძალიან წყნარად იყო. კრინტი არ დაუძრავს. ფანჯრები შევფიცრე, ყველაფერი მოვამზადე და მას შემდეგ, რაც გარე სარდაფში სიარული მოილია (ამჯერად უხმოდ), მაგრძნობინა, რომ მზად იყო ზევით წამოსულიყო. პირი ავუკარი, ხელები შევუკარი და ზემოთ ავედით. აბაზანა მიიღო, ჩემთან მოვიდა და მაშინვე ხელები გამომიშვირა, რომ

ისევ შემეკრა და ალიკაპი გამეკეთებინა.

სამზარეულოდან პირველი ყოველთვის მე გამოვდიოდი, ხელით კი მისი მხარი მეჭირა - მაინც, ყოველი შემთხვევისთვის, მაგრამ იქ საფეხური იყო, რომელზეც ერთხელ მეც წავბორძიკდი და შეიძლება ამიტომაც იყო, რომ როცა დაეცა, ბუნებრივად ჩავთვალე; ბუნებრივად ჩავთვალე ისიც, რომ სავარცხლები, ბოთლები და რაღაცები, რაც პირსახოცში გამოხვეული მოჰქონდა (ხელები წინ ჰქონდა გაკრული, და არა უკან, ამიტომ თავის ნივთებს მკერდზე იკრავდა), ხელიდან გაუვარდა და ხმაურით დაცვივდა, წამოდგა, ყველაფერი ბუნებრივი ჩანდა, დაიხარა და მუხლების სრესა დაიწყო, მე კი, ნამდვილი სულელივით, ძირს დაყრილი ნივთების ასაღებად დავიხარე. რა თქმა უნდა, ხალათით მეჭირა, ხელი არ გამიშვია, მაგრამ თვალი კი მოვაცილე და ეს საშინელი შეცდომა იყო.

ძლიერი დარტყმა ვიგრძენი საფეთქელში. საბედნიეროდ, მთლად საფეთქელში არ მომხვედრია, მხარზე მომხვდა და თანაც დარტყმის ძალაქურთუკის საყელომ შეასუსტა. ასე იყო თუ ისე, წავიქეცი, გვერდზე დავეცი და ვეცადე შემდეგი დარტყმა ამეცილებინა. წონასწორობა დაკარგული მქონდა და მის ხელებს ვერ ვწვდებოდი, თუმცა მისი ხალათი ისევ ხელით მეჭირა. შევხედე, ხელში რაღაც ეკავა და ძველი ნაჯახი ვიცანი. ბაღში ვიყენებდი ხოლმე და სწორედ იმ დილით ვაშლის ხეს ტოტი მოვაჭერი, რომელიც წინა ღამით ქარმა მოტეხა. მაშინვე გონება გამინათდა - მივხვდი, სად დავუშვი შეცდომა. სამზარეულოს ფანჯრის რაფაზე დამრჩა და, ეტყობა, თვალი მოჰკრა. ერთი შეცდომა და შეიძლება ყველაფერი დაკარგო.

მის ხელში აღმოვჩნდი. სასწაული იყო, ბოლო რომ არ მომიღო. ისევ მომიქნია, მხოლოდ სანახევროდ მოვასწარი ხელის აფარება და საშინელი დარტყმა ვიგრძენი, თავში თითქოს რაღაცამ გაიჟღრიალა და მომეჩვენა, რომ სისხლმა გადმოხეთქა. არ ვიცი, როგორ მოვახერხე, ალბათ ინსტინქტმა მიკარნახა, დავუსხლტი და წიხლი ჩავაზილე. ლამის ზედ დამეცა. ქვას მოხვედრილი ნაჯახის ხმა გავიგონე.

ნაჯახს მივწვდი, ხელიდან გამოვგლიჯე და შორს, გაზონისკენ მოვისროლე. მერე ხელები გავუკავე, რომ ალიკაპი არ მოეძრო, მას ხომ სწორედ ეს უნდოდა. ისევ მომიწია მასთან ბრძოლა, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე წამით. ეტყობა, მიხვდა, წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა. თავისი შანსი უკვე გაუშვა. ერთბაშად შეწყვიტა ბრძოლა და სარდაფის კარისკენ გავათრიე, მერე კი ქვემოთ, ოთახისკენ. უხეშად ვექცეოდი, მაგრამ თავს ძალიან ცუდად ვგრძნობდი, სახეზე სისხლი ჩამომდიოდა. ოთახში შევაგდე,უცნაურად მიყურებდა, სანამ კარი მივუჯახუნე. მერე კარს ურდული დავადე. ხელებშეკრული და პირაკრული დავტოვე. ჭკუას ისწავლის-მეთქი, ვიფიქრე.

ზემოთ ავედი და ჭრილობა ჩამოვიბანე. ჩემი სახე რომ დავინახე, მეგონა, გონებას დავკარგავდი - მთლად სისხლით ვიყავი მოთხვრილი. მაგრამ გამიმართლა, რომ ნაჯახი დაბლაგვებული იყო და თავმა აისხლიტა. ნაჭდევი საზიზღრად გამოიყურებოდა, მაგრამ ჭრილობა ღრმა არ იყო. ტილოს ნაჭერი მივიდე და დიდხანს ვიჯექი ასე. გაკვირვებული დავრჩი ჩემი თავით. არ მეგონა, თუ სისხლის ყურებას გავუძლებდი.

ცხადია, ძალიან გამწარებული ვიყავი. ცოტა შეუძლოდ ვგრძნობდი თავს, თორემ არ ვიცოდი, რას ვუზამდი. ეს ის უკანასკნელი წვეთი იყო, რომელმაც ფიალა აავსო, როგორც იტყვიან. თავში აზრები მერეოდა, არ ვიცოდი, როგორ მოვექცეოდი, თუკი ასე გააგრძელებდა. თუმცა ახლა ამაზე ლაპარაკს რაღა აზრი აქვს.

მეორე დილით ქვემოთ ჩავედი. თავი ისევ მტკიოდა და მზად ვიყავი სასტიკად მოვქცეოდი, თუ ისევ თავისას გააგრძელებდა. მაგრამ, როცა შევედი, გაკვირვებისგან კინაღამ პირი დავაღე. პირველი, რაც გააკეთა, ის იყო, რომ ადგა და მკითხა, თავი როგორ გაქვთო. ისეთნაირად მკითხა, მივხვდი, რომ ცდილობდა სხვანაირი, კეთილი ყოფილიყო ჩემ მიმართ.

- გამიმართლა, რომ არ მოვკვდი.

ძალიან ფერმკრთალი იყო და სერიოზული. ხელები გამომიწოდა.

ალიკაპი მოეშორებინა, მაგრამ, ჩანდა, ხელებშეკრულს ეძინა (ისევ ხალათი ეცვა, არ გამოუცვლია). ხელები შევუხსენი.

- მაჩვენეთ თქვენი ჭრილობა.

უკან დავიხიე. გვარიანად დაშინებული ვყავდი.

- ახლა ხომ არაფერი მაქვს ხელში. ჩამოიბანეთ ჭრილობა?

- ჰო.

- დეზინფექცია გაუკეთეთ?

- ახლა ყველაფერი წესრიგშია.

წავიდა, თაროდან „დეტოლის“ ფლაკონი აიღო, ბამბა დაასველა და უკან დაბრუნდა.

- ახლა რა გაქვთ ჩაფიქრებული? - ვუთხარი.

- მინდა ეს წაგისვათ. დაჯექით, დაჯექით, რომ გეუბნებით, - ისეთნაირად თქვა, მაშინვე მიხვდებოდი, გულში ცუდი არაფერი ედო. უცნაურია, ხანდახან ხვდებოდი, რომ არ გატყუებდა, არ შეეძლო ტყუილი ეთქვა.

ჭრილობიდან სახვევი შემხსნა, ჯერ ბინტი, შემდეგ სალბუნი, ძალიან ფრთხილად, რბილად. ვიგრძენი, ხელები როგორ აუთრთოლდა, როცა ეს ყველაფერი დაინახა. მაინცდამაინც სასიამოვნო სანახაობა არ იყო, მაგრამ ძალიან ფრთხილად მომწმინდა და ისევ სალბუნი დამადო.

- დიდი მადლობა, - ვუთხარი.

- ძალიან ვწუხვარ, რომ ეს ჩავიდინე... რაც ჩავიდინე. და მინდა მადლობა გითხრათ, რომ სამაგიერო არ გადამიხადეთ. თქვენ ამის ყველანაირი უფლება გქონდათ.

- ადვილი არ იყო თავის შეკავება, ისე მოიქეცით.

- არ მინდა ამის შესახებ ლაპარაკი. უბრალოდ, გეუბნებით, რომ ვწუხვარ.

- მიღებულია თქვენი ბოდიში.

- გმადლობთ.

ყველაფერი ეს როგორღაც ოფიციალურად თქვა. შებრუნდა, რომ საუზმე ეჭამა, მე გარე სარდაფში დაველოდე. როცა კარზე დავაკაკუნე, რომ გამეგო, შეიძლებოდა თუ არა ჭურჭლის ალაგება, უკვე ჩაეცვა და ლოგინიც, როგორც საჭიროა, ისე გაესწორებინა. ვკითხე, რამე ხომ არ გინდათ-მეთქი და არაო, მიპასუხა. შემდეგ მითხრა, რომელი საცხი მეყიდა ჩემი ჭრილობისთვის და ლანგარი გამომიწოდა. ტუჩები შეუთრთოლდა, თითქოს გაეღიმა. ვითომ ბევრი არაფერი, მაგრამ სინამდვილეში დიდი ცვლილება მოხდა. ლამის ვიფიქრე, ღირდა ჩემი ჭრილობა ამად-მეთქი. მართლა ბედნიერი ვიყავი. იმდილით მომეჩვენა, რომ მზემ ისევ გამოანათა.

ორი თუ სამი დღე გავიდა და დიდი ვერაფერი. ბევრს არაფერს ამბობდა, მაგრამ არც ღვარძლიანი და გამქირდავი იყო. შემდეგ, ერთ დღეს, ნასაუზმევს, მითხრა, დაჯექითო, ისე როგორც ადრე მეუბნებოდა. თითქოს ჩემი დახატვა უნდოდა, მაგრამ მივხვდი, რომ ეს მხოლოდ საბაბი იყო და სინამდვილეში ჩემთან ლაპარაკი სურდა.

- მინდა, რომ დამეხმაროთ, - მითხრა.

- განაგრძეთ, - ვუთხარი.

- ერთი მეგობარი მყავს, გოგონა, რომელიც ერთ ახალგაზრდა კაცს უყვარს.

- განაგრძეთ, - ვუთხარი. შეჩერდა. მე მგონი, იმიტომ, რომ ენახა, წამოვეგებოდი თუ არა ანკესზე.

- მას ისე უყვარს ეს გოგონა, რომ მოიტაცა და დატყვევებული ჰყავს.

- რა საოცარი დამთხვევაა.

- ჰო, არა? ჰოდა, მას უნდა თავი გაითავისუფლოს, მაგრამ არავითარი ზიანის მიყენება არ სურს იმ კაცისთვის. უბრალოდ, არ იცის, როგორ მოიქცეს. თქვენ ხომ არ ურჩევდით რამეს?

- მოთმინებას, - ვუთხარი.

- რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ იმ ახალგაზრდა კაცმა გოგონა გაათავისუფლოს?

- ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

- კარგი, თავი დავანებოთ ამ თამაშს. მითხარით, რა უნდა გავაკეთო, რომ გამათავისუფლოთ.

ვერ შევძელი პასუხის გაცემა. ვიფიქრე, თუ ვეტყვი სამუდამოდ ჩემ-თან დარჩით-მეთქი, მაშინ ისევ იქ მივიდოდით, საიდანაც დავიწყეთ.

- ცოლ-ქმარი ვერ გავხდებით. თქვენ მე არ მენდობით.

- ჯერჯერობით არა.

- და თუ ამის გარეშე დავწვები თქვენთან?

ხატვა შეწყვიტა. არ მინდოდა ამაზე მეპასუხა.

- რას იტყვით?

- არ მეგონა,თუ თქვენც ასეთი იყავით, - ვუთხარი.

- მე, უბრალოდ, ვცდილობ ჩემი გათავისუფლების ფასი გავიგო.

თითქოს ახალ სარეცხ მანქანაზე ყოფილიყოს საუბარი, ისე არკვევდა დადებით და უარყოფით მხარეებს.

- თქვენ იცით, მე რასაც მოვითხოვ, - ვუთხარი.

- სწორედ ეგ არ ვიცი.

- ძალიან კარგად იცით.

- ოჰ, ღმერთო. მისმინეთ. მიპასუხეთ ან კი, ან არა. გინდათ ჩემთან დაწოლა?

- სანამ ასეთი ურთიერთობა გვაქვს, არა.

- როგორი ასეთი ურთიერთობა?

- მე ვფიქრობდი, რომ ძალიან ჭკვიანი ხართ.

ღრმად ამოისუნთქა. მომწონდა, ცოტა რომ გავაღიზიანებდი.

- თქვენ ფიქრობთ, რომ მე მხოლოდ აქედან გაქცევის საშუალებებს ვეძებ და რაც არ უნდა გავაკეთო, ამ მიზანს ემსახურება, ასეა?

- ჰო, - ვუთხარი.

- და რომ იგრძნოთ, ასე სხვა რამის გამო ვიქცევი? ვთქვათ იმიტომ, რომ მომწონხართ? ან იმიტომ, რომ მე ეს მსურს? მაშინ მოგინდებოდათ?

- ის, რის შესახებაც თქვენ ლაპარაკობთ, მე შემიძლია ლონდონში ვიყიდო, როცა მოვისურვებ, - ვუთხარი მე.

ამაზე კი მოკეტა. ისევ ხატვა დაიწყო.

ცოტა ხნის შემდეგ მითხრა: თქვენ მე აქ იმისთვის არ გყავართ, რომ სექსუალურად მიმზიდველად მიგაჩნივართ.

- მე თქვენ ძალიან მიმზიდველად მიმაჩნიხართ, - ვუთხარი. - ყველა ქალზე უფრო მიმზიდველად.

- თქვენ ჩინურ ყუთს ჰგავხართ. ერთ ყუთს ამოიღებ, შიგ მეორეს ნახავ და ასე დაუსრულებლად.

შემდეგ ხატვა განაგრძო და მეტი აღარ გვისაუბრია. რაღაცის თქმას შევეცადე, მაგრამ მითხრა, პოზას აფუჭებთო და გავჩერდი.

მე ვიცი, ბევრი რასაც იფიქრებს. ისინი ჩემს საქციელს უცნაურად ჩათვლიან. ვიცი, ბევრი კაცი ჩემს ადგილას მხოლოდ იმაზე იფიქრებდა, რომ სიტუაციით ესარგებლა და საამისოდ უამრავი შესაძლებლობა იყო. შემეძლო იმ ტამპონით მიმეძინებინა და შემდეგ რასაც მინდოდა, გავუკეთებდი. მაგრამ მე ამ ტიპის ადამიანი არ ვარ, ნამდვილად არ ვარ. ის იმ მუხლუხოსავით იყო, დასაჭუპრებლად სამი თვე რომ უნდა კვებო, ის კი ცდილობს ეს რამდენიმე დღეში მოახერხოს. ყოველთვის ისე ჩქარობდა, რომ ვიცოდი, კარგი არაფერი გამოვიდოდა. ახლა ყველა ცდილობს ყველაფერი რაც შეიძლება სწრაფად მიიღოს. როგორც კი რაღაცაზე გაიფიქრებენ, მაშინვე უნდათ, რომ ხელში ეჭიროთ. მაგრამ მე ასეთი არა ვარ, მე სხვანაირი ვარ, ძველმოდური. მსიამოვნებს მომავალზე ფიქრი; მსიამოვნებს, როცა ყველაფერი თავის დროზე ხდება. როგორც ძია დიკი იტყოდა ხოლმე, მოჩქარეს მოუგვიანდესო. ეს მაშინ, როცა დიდი თევზის გამოთრევას ცდილობდა.

რაც მან ვერასოდეს გაიგო ის იყო, რომ ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მისი ჩემ გვერდით ყოფნა იყო. თუ ის ჩემ გვერდით იქნებოდა, მეტი არაფერი მინდოდა. არაფრის გაკეთება აღარ იქნებოდა საჭირო. მე,

უბრალოდ, მინდოდა ის ჩემთან მყოლოდა და ბოლოს და ბოლოს ყველაფერი წყნარადყოფილიყო.

ორი თუ სამი დღე გავიდა. ძალიან ცოტას ლაპარაკობდა, მაგრამ ერთ დღეს, სადილის შემდეგ, თქვა:

- გამოდის, მე სამუდამო პატიმარი ვარ. ასე არ არის?

ვხედავდი, რომ ეს ისე, უბრალოდ თქვა. ამიტომ არაფერი ვუპასუხე.

- ხომ არ აჯობებს, ჩვენი მეგობრობა განვაახლოთ?

- ო კეი, - ვუპასუხე.

- დღეს საღამოს აბაზანის მიღება მინდა.

- ო კეი.

- შეიძლება ზემოთ დავსხდეთ? აღარ შემიძლია ამ ოთახში ყოფნა. ჭკუიდან გადავდივარ, ისე მინდა აქედან გასვლა.

ვნახოთ-მეთქი, ვუთხარი.

მართლაც, ბუხარი დავანთე და ყველაფერი მოვამზადე. კიდევ ერთხელ გადავამოწმე, ახლომახლო რაიმე ისეთი ნივთი ხომ არ დამრჩა, რომლითაც თავს დამესხმებოდა. რა საჭიროა თვალთმაქცობა, რა თქმა უნდა, ძველებურად აღარ ვენდობოდი.

ის ზემოთ, აბაზანის მისაღებად წავიდა და თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივად იყო. რომ გამოვიდა, ხელები შევუკარი, ალიკაპი არ გამიკეთებია და ქვემოთ ჩავყევი. შევამჩნიე, რომ ბლომად ფრანგული სუნამო დაესხა და ადრინდელივით თმა მაღლა ჰქონდა აწეული. მეწამული ხალათი ეცვა, თეთრით გაწყობილი, ჩემი ნაყიდი. ხერესის დალევა მოინდომა, რომელიც მაშინ ბოლომდე არ გამოგვიცლია (ნახევარი ბოთლი კიდევ იყო დარჩენილი). ღვინო დავუსხი. ბუხართან იდგა, ცეცხლს მისჩერებოდა და ხან ერთ შიშველ ფეხს გაიშვერდა გასათბობად, ხან - მეორეს. ასე ვიდექით და ვსვამდით. ხმას არ ვიღებდით, მაგრამ ერთი-ორჯერ უცნაურად შემომხედა, თითქოს რაღაც ისეთი იცოდა, რასაც მე ვერ ვხვდებოდი. ამან ძალიან ამანერვიულა.

შემდეგ კიდევ ერთი ჭიქა გამოცალა და ძალიან სწრაფად, ერთი წუთიც არ იქნებოდა გასული, კიდევ დამისხითო, მთხოვა.

- დაჯექით, - მითხრა.

დივანზე დავჯექი, მის მითითებულ ადგილზე. ცოტა ხანს მიყურა, შემდეგ მოვიდა და ჩემ წინ დადგა. ზემოდან დამყურებდა, როგორღაც უცნაურად და ხან ერთ ფეხს ეყრდნობოდა, ხან - მეორეს. შემდეგ უცებ ნახევრად შებრუნდა და ჩემსმუხლებზე დაეშვა. სახტად დავრჩი. როგორღაც მოახერხა შეკრული ხელები ჩემს თავს უკან გადაეტანა და... შემდეგი უკვე ის იყო, რომ ტუჩებში მკოცნიდა. მერე თავი მხარზე დამადო.

- ნუ ხართ ასე გახევებული, მოეშვით, მოდუნდით.

გაოგნებული ვიყავი. ამას კი ნამდვილად არ მოველოდი.

- ხელები შემომხვიეთ, - მითხრა. - ასე. ხომ კარგია? ძალიან მძიმე ხომ არა ვარ? - და თავი ისევ მხარზე მომაყრდნო, მე კი წელზე შემოვხვიე ხელი. ძალიან თბილი იყო, სუნამოს სუნი ასდიოდა და ხალათი ღრმად ჰქონდა ჩახსნილი, კალთა კი მუხლებს ზემოთ გახსნოდა, მაგრამ, ეტყობოდა, ამას არაფრად აგდებდა, თითქოს ვერც ამჩნევდა. ფეხები დივანზე შეაწყო.

- რა ხდება? - ვკითხე.

- თქვენ ისეთი დაძაბული ხართ. მოდუნდით, ნუ ღელავთ.

შევეცადე მოვდუნებულიყავი. წყნარად იჯდა, მაგრამ ვიცოდი, რომ ამ სიტუაციაში რაღაც ისე არ იყო, როგორც საჭიროა.

- რატომ არ მკოცნით?

აქ კი მივხვდი, რომ რაღაც ჰქონდა განზრახული. არ ვიცოდი, რა მექნა. თავზე ვაკოცე.

- ასე არა.

- არ მინდა, - ვუთხარი.

ფეხები ჩამოიღო, თუმცა ისევ მუხლებზე მეჯდა, და შემომხედა.

- არ გინდათ?

განზე გავიხედე. ეს ძნელი იყო, რადგან შეკრული ხელები ჩემს კისერზე ჰქონდა შემოხვეული. არ ვიცოდი, რა მეთქვა, რომ გამეჩერებინა.

- რატომ არ გინდათ? - მკითხა. დამცინოდა.

- შეიძლება ძალიან შორს შევტოპო, - ვუპასუხე.

- შეიძლება მეც.

ვიცოდი, რომ ისევ დამცინოდა, მასხრად მიგდებდა.

- ვიცი, როგორიც ვარ, - ვუთხარი.

- მაინც როგორი?

- არა ისეთი, როგორებიც თქვენ მოგწონთ.

- არ იცით, რომ დგება ხოლმე მომენტი, როცა ყველა კაცი მიმზიდველი ხდება? ჰა? - თავზე ხელი მომითათუნა, აქაოდა ასეთი სულელი როგორ ხარო.

- აქამდე არ ვიცოდი, - ვუპასუხე.

- ახლა ხომ გაიგეთ. ხელს რა გიშლით?

- ის, თუ სად შეიძლება ამან მიგვიყვანოს.

- სულ არ მაინტერესებს, სად შეიძლება ამან მიგვიყვანოს. ასეთი მიუხვედრელი როგორ ხართ - და უცებ ისევ კოცნა დამიწყო. მისი ენაც კი ვიგრძენი.

- ხომ კარგია? - მეკითხება.

ცხადია, მომიწია თქმა, რომ კარგი იყო. არ ვიცოდი, სინამდვილეში რა ჰქონდა განზრახული და ეს მანერვიულებდა. ამასთან მისმა კოცნამაც ხომ გამანერვიულა და გამანერვიულა.

ჰოდა, მოდით, მაკოცეთ, ნუ გეშინიათ. - ჩემი თავი თავისკენ მიიზიდა. კოცნა მომიწია. ძალიან სასიამოვნო ტუჩები ჰქონდა, ნაზი.

ვიცი, რომ სისუსტე გამოვიჩინე. პირდაპირ უნდა მეთქვა მისთვის, შეეწყვიტა ეს საზიზღრობა. დიდი სისუსტე გამოვიჩინე. თითქოს არ მინდოდა და ყველაფერს ჩემი ნების საწინააღმდეგოდ ვაკეთებდი.

თავი ისევ მხარზე მომაყრდნო, ამიტომ მის სახეს ვეღარ ვხედავდი.

- აქამდე არავისთვის გიკოცნიათ? პირველი ქალი ვარ, რომელსაც

აკოცეთ?

- ნუ სულელობთ.

- მოდუნდით და ნუ ნერვიულობთ. ნუ გრცხვენიათ. - შემდეგ თავი ასწია და კოცნა დამიწყო. თვალები დახუჭული ჰქონდა. რა გასაკვირია, სამი ჭიქა ხერესი ჰქონდა დალეული. შემდეგ კი მართლა ისეთი შემაცბუნებელი რამ მოხდა, რომ აღარ ვიცოდი, რა მექნა. საშინლად აღვიგზენი, არადა ყოველთვის ვიცოდი (ადრე ჯარში სამსახურისას გამეგონა), რომ ნამდვილმა ჯენტლმენმა ყოველთვის უნდა აკონტროლოს თავი მთავარ მომენტამდე, ამიტომ უბრალოდ არ ვიცოდი, რა მექნა. ვიფიქრე, არ ეწყინოს-მეთქი და შევეცადე სწორად დავმჯდარიყავი, რომ არაფერი შეენიშნა. როცა ტუჩები მომაცილა, მკითხა:

- რა მოხდა? რამე ხომ არ გატკინეთ?

- ჰო, - ვუთხარი. ჩემი მუხლებიდან გადაჯდა და შეკრული ხელების მარყუჟისგან თავიც გამომითავისუფლა, მაგრამ კვლავ ძალიან ახლოს იყო.

- ხელებს ხომ არ შემიხსნით?

დივნიდან ავდექი. ისე ვიყავი დარცხვენილი, რომ ფანჯრისკენ წავედი და ფარდები მივწი-მოვწიე, თითქოს ვასწორებდი. მთელი ამ დროის განმავლობაში მაკვირდებოდა. დივანზე მუხლებით იდგა, საზურგეს მიყრდნობილი და მიყურებდა.

- ფერდინანდ, რა მოხდა?

- არაფერი, - ვუპასუხე.

- აქ საშიში არაფერია.

- არც მეშინია.

- მაშინ ჩემთან მოდით და სინათლე ჩააქრეთ. ბუხრის სინათლეც საკმარისი იქნება.

ისე მოვიქეცი, როგორც მითხრა. სინათლე გამოვრთე, შემდეგ წავედი და ფანჯარასთან დავდექი.

- მოდით ჩემთან, - დათაფლული ხმით მითხრა.

მივუგე, ეს ის არ არის, თქვენ მხოლოდ თამაშობთ-მეთქი.

- ვთამაშობ?

- თვითონაც იცით.

- მოდით და ნახავთ, რას ვთამაშობ.

ფეხი არ მომიცვლია. მთელი ამ დროის განმავლობაში ვიცოდი, რომ ეს საშინელი შეცდომა იყო. ადგა და ბუხართან მივიდა. აღგზნებამ უკვე გამიარა. რაღაცნაირი სიცივე ვიგრძენი შიგნით. გასაკვირი იყო.

- მოდით და აქ დაჯექით, - მითხრა.

- აქაც კარგად ვგრძნობ თავს, - ვუპასუხე.

უცებ ჩემკენ წამოვიდა, სულ ახლოს მოვიდა, შეკრული ხელებით ჩემი ხელი აიღო და ბუხრისკენ წამიყვანა. არ გავძალიანებივარ. როცა ბუ-ხართან მივედით, ხელები გამომიწოდა და ისე შემომხედა, რომ შევუხსე-ნი. მაშინვე მომიახლოვდა და ისევ მაკოცა. ამისთვის თითქმის ფეხის წვერებზე მოუწია აწევა.

ამ დროს მართლაც რაღაც შოკისმომგვრელი გააკეთა.

თვალებს ვერ ვუჯერებდი, ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და ხალათი ბოლომდე შეიხსნა, შიგნით კი არაფერი ეცვა. მთლად შიშველი იდგა. ერ-თი გავხედე სწრაფად და მაშინვე თვალი მოვაცილე. ის კი იდგა, იღიმოდა და იცდიდა. გასაგებია, რომ ჩემგან შემდეგ ნაბიჯს ელოდა. მერე ხელები ასწია და თმის სარჭების მოხსნა დაიწყო, რომ თმა ჩამოეშვა. ამ ყველა-ფერს განგებ აკეთებდა, რომ ჩემი პროვოცირება მოეხდინა. ასე იდგა, მთლად შიშველი, ბუხრის ცეცხლის ათინათი დასთამაშებდა სხეულზე. თვალებს არ ვუჯერებდი, არადა, უნდა დამეჯერებინა, მაგრამ ვერ ვიჯე-რებდი, რომ ეს მართლა ხდებოდა, რომ ის მართლა ის იყო.

საშინელება იყო, ცუდად გავხდი და ამაკანკალა. ვიფიქრე, ნეტა ახლა აქედან სადმე გადამკარგა-მეთქი. ეს იმ მეძავ ქალთან ყოფნაზე უარესი იყო. ის ქალი ხომ მე საერთოდ არაფრად მიმაჩნდა, მირანდასთან კი აღარ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი.

ასე ვიდექით ბუხართან, ის წინ მედგა, მერე თავი გადააქნია და თმა

მხრებზე ჩამოეშალა. სირცხვილით ვიწვოდი. ჩემთან მოვიდა და პიჯაკი გამხადა, შემდეგ ჰალსტუხი შემხსნა, შემდეგ პერანგის ღილები გამიხსნა ერთიმეორის მიყოლებით. თითქოს ცვილი ვიყავი მის ხელში. შემდეგ პერანგის გახდა დამიწყო.

მთელი ამ დროის განმავლობაში ვფიქრობდი, შეწყვიტეთ, შეწყვიტეთ, ეს არ არის სწორი, მაგრამ მეტისმეტად სუსტი ვიყავი საიმისოდ, რომ ეს მეთქვა. შემდეგ მთლად გახდილი აღმოვჩნდი მის წინ და ის მომეკრა, მომეხვია, მაგრამ მე გავხევდი, მე თითქოს მე არ ვიყავი, ის კი - ის. ვიცი, რომ ისე არ მოვიქეცი, როგორც ნორმალური მამაკაცები იქცევიან ასეთ შემთხვევაში, მე არ გავაკეთე ის, რასაც ჩემგან მოელოდნენ, მან კი ზოგი ისეთი რამ გააკეთა, რომელზეც არაფერს ვიტყვი, გარდა იმისა, რომ მისგან ამას არაფრით ველოდი. ჩემ გვერდით დივანზე დაწვა, მაგრამ მე მთელი შიგნეული მეწვოდადა ყელშიც რაღაც მქონდა მობჯენილი.

იდიოტად მაგრძნობინა თავი. მე ვიცი, რაც იფიქრა. იფიქრა, რომ ეს იყო, რის გამოც პატივისცემით ვექცეოდი. მინდოდა მისთვის მეჩვენებინა, რომ შემეძლო ამის გაკეთება, რათა დამემტკიცებინა, რომ არა ამის გამო, არამედ ნამდვილად პატივს ვცემდი მას. მინდოდა გაეგო, რომ ეს ყველაფერი შემიძლია, მაგრამ არ მინდა, რომ ჩვენ ამაზე მაღლა ვდგავართ, რომ ეს საზიზღრობაა.

კარგა ხანს ვიწექით ასე გვერდიგვერდ და ვდუმდით. ვგრძნობდი, რომ მას ვძულდი, რომ სიმახინჯის განსახიერებად მთვლიდა.

ბოლოს დივნიდან ადგა, ჩემ წინ ჩაიმუხლა და თავზე ხელი გადამისვა.

- ბევრ კაცს ემართება ხოლმე ასე. ამას არა აქვს მნიშვნელობა, - ისე თქვა, გეგონებოდათ ამაზე გამოცდილ ქალს ქვეყანაზე ვერ ნახავო.

შემდეგ ბუხართან მივიდა, ხალათი ჩაიცვა, ცეცხლთან დაჯდა და მომაჩერდა. ტანსაცმელი ჩავიცვი. ვუთხარი, ვიცი, ამას ვერასოდეს გავაკეთებ-მეთქი. რაღაც გრძელი ამბავი შევთხზე, რომ შევცოდებოდი. სულ

ტყუილები ველაპარაკე. არ ვიცი, დამიჯერა თუ არა, რომ თითქოს ძლიერი ლტოლვა მქონდა საწინააღმდეგო სქესის მიმართ, სქესობრივი აქტის ჩატარება კი არ შემეძლო. თითქოს სწორედ ამიტომ იყო, რომ მას ვერ გავუშვებდი.

- მაგრამ ნუთუ სულ არ გსიამოვნებთ, როცა გეხებით? მე მგონი, თქვენ გსურდათ ჩემთვის გეკოცნათ.

- საქმე ისაა, ამას მერე რა მოჰყვებოდა.

- ჩემი ბრალია. ძალიან დაგაფრთხეთ, ეს არ უნდა გამეკეთებინა.

- თქვენი ბრალი არ არის, ვუთხარი. უბრალოდ, მე სხვა ადამიანებს არ ვგავარ. ეს არავის ესმის.

- მე მესმის.

- სიზმარში ხშირად ვხედავ, ამას როგორ ვაკეთებ, მაგრამ რეალურად ეს არასდროს განხორციელდება.

- ტანტალოსის მსგავსად, - თქვა და მერე ამიხსნა, ტანტალოსი ვინ იყო.

შემდეგ დიდხანს ხმა აღარ ამოუღია. ძალიან მომინდა ქლოროფორმით მიმეძინებინა, ქვემოთ ჩამეყვანა და ამ ყველაფრისგან გავთავისუფლებულიყავი. მარტო ყოფნა მინდოდა.

- კი მაგრამ, რომელმა ექიმმა გითხრათ, რომ ამის გაკეთებას ვერასოდეს შეძლებთ?

- ჩვეულებრივმა ექიმმა (რა თქმა უნდა, ვცრუობდი. არავითარ ექიმთან არ ვყოფილვარ).

- ფსიქიატრმა?

- ჰო, ფსიქიატრმა. როცა ჯარში ვმსახურობდი.

- მე თუ მნახულობთ სიზმარში?

- რა თქმა უნდა.

- და როგორ გესიზმრებით?

- სხვადასხვანაირად.

- ეროტიკული ხასიათის სიზმრებია?

აი ასეთ რამეებს მეკითხებოდა. აღარ მორჩა.

- მაგალითად, მესიზმრება, რომ გეხვევით, - ვთქვი მე. - ეს არის სულ. რომ ჩვენ ერთად გვძინავს, გვერდიგვერდ, გარეთ კი ქარი და წვიმაა. და რაღაც ასეთები.

- გინდათ ეს გავაკეთოთ? აი ახლავე რომ ვცადოთ.

- ვიცი, რომ არაფერი გამოვა.

- მე გავაკეთებ ამას, თუ თქვენ გსურთ.

- არ მინდა, - ვუპასუხე. - ნეტავ საერთოდ არ წამოგეწყოთ ეს ყველაფერი.

აღარაფერი თქვა. დიდხანს დუმდა.

- თქვენი აზრით, რატომ გავაკეთე ეს?

- ყოველ შემთხვევაში, სიყვარულის გამო - არა.

- გითხრათ, რატომაც? - ის წამოდგა. - თქვენ უნდა გააცნობიეროთ, რომ მე ამაღამ მთელ ჩემს პრინციპებს ვუღალატე. ჰო, რა თქმა უნდა, იმისთვის, რომ თავისუფლება მეყიდა, მე, რა თქმა უნდა, ვფიქრობდი ამაზე, მაგრამ მე ნამდვილად მინდა, რომ დაგეხმაროთ. უნდა დამიჯეროთ. მე მინდოდა მეჩვენებინა თქვენთვის, რომ სექსი - ეს მხოლოდ ქმედებაა, ისეთივე, როგორიც სხვა ქმედებები. სიბინძურე არ არის, როცა ორი ადამიანი ერთმანეთს სხეულს უძღვნის. ეს ცეკვას ჰგავს, თამაშს ჰგავს. ეს არის და ეს. - ჩანდა, ფიქრობდა, რომ მე რაღაც უნდა მეთქვა, მაგრამ ლაპარაკი ვაცალე. - მე ისეთი რამ გავაკეთე თქვენთვის, რაც არასოდეს, არც ერთი მამაკაცისთვის არ გამიკეთებია და მიმაჩნია, რომ თქვენ ჩემ წინაშე ვალში ხართ.

რა თქმა უნდა, მაშინვე მივხვდი, საითკენ მიდიოდა. ძალიან ოსტატურად ახვევდა ხოლმე თავის განზრახვას სიტყვების კორიანტელში. გაიძულებდა მის მოვალედ გეგრძნო თავი, თითქოს თავიდან ყველაფერი მას არ წამოეწყოს.

- გთხოვთ, თქვით რაიმე.

- რა?

- თუნდაც ის, რომ გაიგეთ, რაც ახლა გითხარით.

- გავიგე.

- და ეს არის სულ?

- არ მაქვს ლაპარაკის თავი.

- ეს ხომ ადრეც შეგეძლოთ გეთქვათ. შეგეძლოთ თავიდანვე შეგეჩერებინეთ.

- მე ხომ ვცადე, - ვუთხარი.

ბუხრის წინ ჩაიჩოქა.

- საოცარია. ჩვენ უფრო შორს ვართ ერთმანეთისგან, ვიდრე ოდესმე.

ვუთხარი, თქვენ ადრეც ვერ მიტანდით, ახლა კი ვფიქრობ, გეზიზღებით-მეთქი.

- მე თქვენ მეცოდებით. მეცოდებით, ასეთი რომ ხართ და კიდევ იმიტომ, რომ ვერ ხედავთ, მე როგორი ვარ.

- მე შემიძლია იმის დანახვა, თქვენ როგორი ხართ. ტყუილად ფიქრობთ, რომ არ შემიძლია.

ეს ძალიან მკვახედ ვუთხარი. კმაროდა უკვე. სწრაფად შემობრუნდა ჩემკენ, შემდეგ დაიხარა და თავი ხელებში ჩარგო. ცოტა წაუტირა კიდეც - მე მგონი, თვალთმაქცობდა. ბოლოს ძალიან წყნარი ხმით მითხრა:

- თუ შეიძლება ქვემოთ ჩამიყვანეთ.

ქვემოთ დავეშვით. როცა ჩავედით, ხელები შევუხსენი და უკვე წამოსვლას რომ ვაპირებდი, მითხრა:

- ჩვენ ხომ შიშვლები ვიყავით ერთმანეთის პირისპირ. ჩვენ არ შეგვიძლია, არ უნდა გავხდეთ კიდევ უფრო უცხო ერთმანეთისთვის.

გიჟს ვგავდი, როცა მისგან გამოვედი. ამის ახსნა არ შემიძლია. მთელი ღამე არ მძინებია. სულ თვალწინ მედგა, როგორ ვიდექი შიშველი, როგორ ვიწექი, ჩემი ქცევა მახსენდებოდა და წარმოვიდგენდი, ის ამას როგორ დაინახავდა. თითქოს აშკარად ვხედავდი, როგორ დამცინოდა, იქ, ქვემოთ. როცა ამაზე ვფიქრობდი, მთელი სხეული მიხურდა, ალბათ ვწითლდებოდი კიდეც. გათენება არ მინდოდა, მინდოდა სულ სიბნელე

ყოფილიყო.

რამდენიმე საათი ვიარე ზემოთ, მერე ფურგონი გამოვიყვანე და ზღვისკენ წავედი. ძალიან სწრაფად მივდიოდი - არ დავეძებდი, რა მოხდებოდა.

ნებისმიერ რამეზე ვიყავი წამსვლელი, მის მოკვლაზეც არ დავიხევდი უკან. სწორედ იმ ღამის გამო იყო ყველაფერი, რაც შემდეგ მოხდა.

გამოდიოდა, რომ შტერი იყო, მთლად შტერი. რა თქმა უნდა, სინამდვილეში ასე არ იყო, უბრალოდ, მას არ ესმოდა, მე როგორი სიყვარული მჭირდებოდა, ვერ ხვდებოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო ჩემთან. უამრავი საშუალება არსებობდა, რომ ჩემთვის ესიამოვნებინა.

ის ისეთივე იყო, როგორიც სხვა ქალები. მისი გონება მხოლოდ ერთი რამისკენ იყო მიმართული.

მის მიმართ არანაირ პატივისცემას აღარ ვგრძნობდი. ძალიან გამაბრაზა და დიდხანს გამყვა ეს სიბრაზე.

იმიტომ რომ მე ძალიან კარგადაც შემეძლო იმის გაკეთება.

იმ სურათებს (ქლოროფორმით მიძინებისას რომ გადავუღე) ხანდახან ვათვალიერებდი. მათთან შემეძლო დიდი ხანი გამეტარებინა. ისინი ენას არ მიბრუნებდნენ.

აი ეს იყო, რაც მან ვერასოდეს გაიგო.

დილით, როცა მასთან ჩავედი, ყველაფერი ისე იყო, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. სიტყვა არ უთქვამს გუშინდელის შესახებ და არც მე მიხსენებია რაიმე. საუზმე ჩავუტანე. მითხრა, რომ ლუისში არაფრის ყიდვა არ სჭირდებოდა. გარე სარდაფში იარა ცოტა ხანს, შემდეგ კი ჩავკეტე და წამოვედი. ზემოთ ავედი და დავიძინე.

საღამოს ყველაფერი სხვანაირად იყო.

- მინდა დაგელაპარაკოთ.

- გისმენთ, - ვუთხარი.

- მე ყველაფერი ვცადე, რაც შემეძლო. ახლა მხოლოდ ერთი რამ დამრჩენია - ისევ შიმშილობა უნდა დავიწყო. ვიშიმშილებ მანამ, სანამ არ

გამათავისუფლებთ.

- გმადლობთ, რომ მაფრთხილებთ, - ვუთხარი.

- მხოლოდ იმ შემთხვევაში არ...

- აჰა, ე. ი. „მხოლოდ იმ შემთხვევაში“ მაინც არსებობს.

- მხოლოდ იმ შემთხვევაში არ ვიშიმშილებ, თუ შეთანხმებას მივაღწევთ.

თითქოს რაღაცას უცდიდა.

- არ ვიცი, რა შეთანხმებაზეა ლაპარაკი, - ვუთხარი.

- მე შეგუებული ვარ იმას, რომ თქვენ აქედან მალე არ გამიშვებთ, მაგრამ იმას არ ვარ შეგუებული, რომ ისევ ამ სარდაფში ვიცხოვრო. თუ ტყვე ვარ, ზემოთ მაინც ვიყო ტყვე. დღის სინათლე და სუფთა ჰაერი მჭირდება.

- სულ ეს არის? - ვთქვი.

- სულ ეს არის.

- ალბათ ამ საღამოდან გინდათ, - ვუთხარი.

- რაც შეიძლება მალე.

- მე მგონი, დურგლის მოყვანა იქნება საჭირო და კიდევ დეკორატორების.

ამოიხვნეშა. ეტყობა, მიხვდა, როგორც იქნა.

- ასე ნუ მელაპარაკებით. გთხოვთ, ასე ნუ მელაპარაკებით. - რაღაც უცნაურად შემომხედა. - რა საჭიროა ეს სარკაზმი. მე თქვენი წყენინება არ მინდოდა.

ამას უკვე აღარაფერი შეცვლიდა. მან მთელი რომანტიკა ჩაკლა ჩემში და ისეთივე გახდა ჩემთვის, როგორიც სხვა ქალები. პატივს აღარ ვცემდი. კარგად ვიცოდი მისი ოინები. საკმარისი იყო ამ სარდაფიდან გამომეშვა და ჩათვალე, რომ გაქცეული იყო.

მაგრამ მაინც ვიფიქრე, რომ არ მჭირდებოდა მისი ეს შიმშილობები და რაღაცები. ამიტომ ჯობდა დროის მოგებაზე მეზრუნა.

- რამდენ ხანში? - ვკითხე.

- შეგიძლიათ ერთ-ერთ საძინებელში გამაჩეროთ. ხომ შეიძლებაფანჯრები აჭედოთ და შეფიცროთ. იქ დავიძინებდი. შემდეგ იქნებ ნება მოგეცათ ხელებშეკრული და პირაკრული ხანდახან ფანჯარასთან ახლოს დავმჯდარიყავი. სულ ეს არის, რასაც გთხოვთ.

- სულ ეს არის, - ვთქვი მე. - და ხალხი რას იფიქრებს, აჭედილ ფანჯრებს რომ დაინახავს?

- მირჩევნია შიმშილით მოვკვდე, ვიდრე ამ სარდაფში დავრჩე. ბოლოს და ბოლოს შეგიძლიათ ჯაჭვით დამაბათ. ნებისმიერი რამ მოიფიქრეთ, ოღონდ დღის სინათლის ხილვისა და სუფთა ჰაერის სუნთქვის საშუალება მომეცით.

- ვიფიქრებ ამის შესახებ, - ვუთხარი.

- არა, ახლავე მიპასუხეთ.

- თქვენ გავიწყდებათ, ვინ არის აქ უფროსი.

- ახლავე.

- ახლა არაფრის თქმა არ შემიძლია. ამას მოფიქრება სჭირდება.

- ძალიან კარგი, ხვალ დილამდე. ან მეტყვით, რომ შემიძლია ზემოთ ვიცხოვრო, ან საჭმელს აღარ შევეხები და ეს მკვლელობის ტოლფასი იქნება. - მართლა გამძვინვარებული იყო და საზიზღრად გამოიყურებოდა. მე, უბრალოდ, შემოვბრუნდი და წამოვედი.

იმ ღამით ყველაფერი კარგად მოვიფიქრე. ვიცოდი, რომ დროის მოგება იყო საჭირო. თავი ისე უნდა მომეჩვენებინა, თითქოს თანახმა ვიყავი.

და კიდევ მოვიფიქრე რაღაც, რისი გაკეთებაც შემეძლო, თუ საქმე საქმეზე მიდგებოდა.

მეორე დილით ქვემოთ ჩავედი. ვუთხარი, რომ ყველაფერი მოვიფიქრე, რომ მისიც მესმოდა და ყოველმხრივ შევხედე ყველაფერს და ასეთი რამეები. ვუთხარი, რომ ზემოთ ერთი ოთახის გადაკეთება შეიძლებოდა, მაგრამ ამას ერთი კვირა დასჭირდებოდა. მეგონა, გაიბუტებოდა, მაგრამ არ შემწინააღმდეგებია.

- მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ თუკი ეს კიდევ ერთი გადავადებაა, მე შიმშილობას დავიწყებ.

- ხვალვე დავიწყებ კეთებას, - ვუთხარი, - მაგრამ ბევრი ხის მასალა და საკეტები დამჭირდება. მათ შოვნასაც ხომ დრო უნდა.

როგორღაც მკაცრად შემომხედა, მაგრამ მე მხოლოდ ვედრო ავიღე და წამოვედი.

ამის შემდეგ ნორმალურად ვეწყობოდით, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ სულ თვალთმაქცობა მიწევდა. ბევრს არ ვსაუბრობდით, მაგრამ გამქირდავად აღარ მელაპარაკებოდა.

ერთ საღამოს მთხოვა, აბაზანის მიღება მინდა და თან ოთახსაც ვნახავ, რა არის უკვე გაკეთებულიო. ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა და ფიცრები მოვამზადე - ყველაფერი ისე მოვაწყვე, რომ ჰგონებოდა, სერიოზულად ვიყავი დაკავებული ფანჯრის შეფიცვრით (ეს უკანა საწოლი ოთახი იყო). მითხრა, რომ სურდა ამ ოთახში ძველი, უინძორული სავარძელი დამედგა (სწორედ ისე, როგორც ადრე მთხოვდა რაღაცებს). მეორე დღეს მართლაც ვიყიდე სავარძელი, სარდაფში ჩავუტანე და ვაჩვენე. მითხრა, აქ არ არის საჭირო, მისი ადგილი ზემოთაა და მთელი ეს ნივთები (ავეჯი იგულისხმა), რომლებიც სარდაფშია, ზემოთ არ დამჭირდება, აქვე დატოვეო. ეტყობა, მას შემდეგ, რაც ოთახი და ხრახნის ხვრელები უკვე გაბურღული ნახა, დაიჯერა, რომ იმდენად სულელი ვიყავი, ზემოთ ავიყვანდი.

გეგმა ასეთი იყო - მასთან უნდა ჩავსულიყავი, ზევით ამეყვანა, იქ გვევახშმა და შემდეგ მას მთელი ამ დროის განმავლობაში პირველი ღამე უნდა გაეტარებინა ზემოთ, დილით კი დღის სინათლეს ნახავდა.

ხანდახან გამხიარულდებოდა და ამაზე მეცინებოდა. კი მეცინებოდა, მაგრამ როცა ის დღე დადგა, ძალიან ავნერვიულდი.

პირველი, რაც მითხრა, როცა მასთან საღამოს ექვს საათზე ჩავედი, ის იყო, რომ სურდო გადაედო ჩემგან, რომელიც მე ლუისის საპარიკმახეროში ავიკიდე.

გამხიარულებული იყო, ხუმრობდა, უფროსობდა, ფარულად დამცინოდა, მაგრამ კარგად ხომ ის იცინის, ვინც ბოლოს იცინის.

- ეს ის ნივთებია, რომლებიც ამაღამ დამჭირდება, დანარჩენი კი შეგიძლიათ ხვალ ამოიტანოთ. ყველაფერი მზად არის?

ეს უკვე სადილობისას მკითხა და ვუპასუხე, მზადაა-მეთქი.

- მაშინ წავიდეთ. ხელები უნდა შემიკრათ?

- არის ერთი საკითხი, - ვუთხარი. - ერთი პირობა.

- პირობა? - ყბა ჩამოუვარდა. მაშინვე ყველაფერს მიხვდა.

- მე ბევრი ვიფიქრე, - ვუთხარი.

- მერე? - თვალები ცეცხლივით უელავდა.

- მინდა რამდენიმე სურათი გადაგიღოთ.

- სურათი. მაგრამ თქვენ ხომ უკვე ბევრი სურათი გადამიღეთ.

- ასეთ სურათებს არ ვგულისხმობ.

- არ მესმის, - თქვა, მაგრამ ვხედავდი, რომ მშვენივრად ესმოდა.

- მე მინდა სურათები გადაგიღოთ ისეთს, როგორიც იყავით იმ საღამოს.

საწოლის კიდეზე ჩამოჯდა.

- განაგრძეთ.

- სურათებზე ისე უნდა გამოიყურებოდეთ, თითქოს პოზირება გსიამოვნებთ, - ვუთხარი. ისეთი პოზა უნდა მიიღოთ, როგორსაც მე გეტყვით.

საწოლის კიდეზე იჯდა და დუმდა. ერთი სიტყვაც არ უთქვამს. ვფიქრობდი, გაბრაზდება მაინც-მეთქი. ის კი იჯდა და ცხვირს იხოცავდა მხოლოდ.

- და თუ ამას გავაკეთებ?

- მაშინ მეც პირობის ჩემს ნაწილს შევასრულებ, - ვუთხარი. - თავი ხომ უნდა დავიცვა რაღაცით. მინდა რამდენიმე ისეთი ფოტო მქონდეს თქვენი, რომ თქვენ შეგრცხვეთ, ისინი სხვამ რომ ნახოს.

- თქვენ გულისხმობთ, რომ გინდათ უხამს პოზებში გადამიღოთ სურათები, რათა აქედან გაქცევის შემთხვევაში ვერ გავბედო პოლიციას მივმართო?

- ჰო, დაახლოებით ასეა. თუმცა რატომ უხამსი სურათები. მხოლოდ ისეთები, რომელთა გამოქვეყნება არ გენდომებათ. უბრალოდ, მხატვრული ფოტოსურათები.

- არა.

- მე მხოლოდ იმის გაკეთებას გთხოვთ, რაც ამას წინათ ყოველგვარი თხოვნის გარეშე გააკეთეთ.

- არა, არა და არა.

- ახლა კი მივხვდი, რაც გაქვთ განზრახული.

- მე ვიცი, რომ რაც მაშინ გავაკეთე, არ იყო სწორი, მაგრამ სასოწარკვეთილი ვიყავი იმის გამო, რომ ჩვენ შორის მხოლოდ ღვარძლი, ეჭვი და სიძულვილია. ეს კი სხვა რამეა. ეს სიბილწეა.

- განსხვავებას ვერ ვხედავ.

ადგა და ოთახის სიღრმეში შევიდა, ჩემგან მოშორებით გაჩერდა.

- თქვენ ხომ ეს ერთხელ უკვე გააკეთეთ და რა იქნება, რომ კიდევ ერთხელ გააკეთოთ.

- ღმერთო, ღმერთო, ეს ხომ საგიჟეთია, - თქვა და ოთახი ისე მოათვალიერა, თითქოს მე იქ არ ვიყავი და ვიღაც სხვას მიმართავდა ან კედლის გატანას აპირებდა.

- თქვენ ან ამას გააკეთებთ, ან საერთოდ ჩაკეტილში მოგიწევთ ყოფნა. არავითარი გასეირნება, არავითარი აბაზანები. საერთოდ არაფერი.

ვუთხარი, რომ ერთხანს ახერხებდა ჩემს მოტყუებას, ახლა კი აღარ გამოუვიდოდა. მხოლოდ ერთი აზრი გაქვთ აკვიატებული - როგორმე ხელიდან დამისხლტეთ და პოლიცია დამაყენოთ თავს-მეთქი.

ვუთხარი, რომ ჩვეულებრივი ქუჩის ქალი იყო, რომ აქამდე იმიტომ ვაფასებდი, ვფიქრობდი სხვებზე უკეთესი იყო და იმაზე მაღლა იდგა,

რაც ჩაიდინა. რომ სხვებისგან განსხვავებული მეგონა, ის კი ყველასნაირი აღმოჩნდა. ყველაფერს იკადრებთ, ოღონდ კი თქვენსას მიაღწიოთ-მეთქი.

- შეწყვიტეთ, შეწყვიტეთ, - იყვირა და ცრემლები წამოუვიდა.

- ლონდონში მასეთს რამდენსაც მინდა, იმდენს ვიშოვი, თანაც უფრო გამოცდილს და რასაც მინდა იმას გავაკეთებინებ-მეთქი.

- თქვენ საზიზღარი, ბინძური, ბოროტი ნაძირალა ხართ.

- მლანძღეთ, მლანძღეთ, სწორედ თქვენი სტილია, - ვუთხარი.

- თქვენ ყველა ადამიანურ კანონს, ყველა წესიერ ადამიანურ ურთიერთობას ფეხქვეშ თელავთ. ტალახში სვრით ყველაფერს კეთილშობილს, რაც ქალსა და კაცს შორის ხდება.

- ამას თქვენ ამბობთ? მაგას ჯობია გაიხსენოთ, ვინ გაშიშვლდა. ის მიიღეთ, რაც დაიმსახურეთ.

- გაეთრიეთ აქედან! გაეთრიეთ!

მართლა გულით ყვიროდა.

- ჰო თუ არა, - ვუთხარი.

შებრუნდა, მაგიდიდან ტუშის ბოთლი აიღო და მესროლა.

სულ ეს იყო. ოთახიდან გავედი, კარი ჩავკეტე და ურდული დავადე. ვახშამი აღარ მივუტანე. დაე ჭკუა ესწავლა. წიწილა მივირთვი, რომელიც ყოველი შემთხვევისთვის მქონდა ნაყიდი და ცოტა შამპანური დავაყოლე. რაც მომრჩა, ნიჟარაში ჩავასხი.

ბედნიერად ვგრძნობდი თავს, მივხვდი, რომ ადრე სისუსტეს ვიჩენდი, ახლა კი სამაგიეროს ვუხდიდი ყველაფერ იმის გამო, რაც მითხრა და რასაც ფიქრობდა ჩემზე. ზემოთ გავიარ-გამოვიარე, მისთვის გამზადებულ ოთახში შევიხედე, გამეცინა კიდეც, ის რომ წარმოვიდგინე, ქვემოთ დარჩენილი. ვიფიქრე, ახლა ის ჩემ ქვემოთ არის ამ სიტყვის ყველა მნიშვნელობით და ასეც დარჩება-მეთქი. შეიძლება ადრე არც იმსახურებდა ასეთ რამეს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ასე მოიქცა, ნამდვილად იმსახურებდა. ახლა მართლა მქონდა მიზეზი მისთვის ჭკუა მესწავლებინა.

ბოლოს, როგორც იქნა, ჩამეძინა. მანამდე ძველი ფოტოები ვნახე, რაღაც წიგნები გადავათვალიერე და რაღაც იდეებითაც აღვიჭურვე. ერთ წიგნს წავაწყდი, „ფეხსაცმელები“ ერქვა - ძალიან საინტერესო ფოტოებით, უფრო გოგონების ფეხების, სხვადასხვანაირი ფეხსაცმელებით, ზოგიერთ ფოტოზე კი მხოლოდ ქამრები და ფეხსაცმელები იყო. მართლა უჩვეულო სურათები - ნამდვილი ხელოვნება.

დილით, როცა სარდაფში ჩავედი, დავაკაკუნე და, ჩვეულებრივ, მოვიცადე. შესვლისას გაკვირვებული დავრჩი. ის ისევ ლოგინში იწვა, პირდაპირ ტანსაცმლით, მხოლოდ გადასაფარებელი ეფარა. უცებ ვერც კი გაიაზრა, სად იყო და ვინ ვიყავი. უბრალოდ, ვიდექი და ვუცდიდი, ადრინდებულად თავს როდის დამესხმოდა, მაგრამ საწოლის კიდეზე ჩამოჯდა, მოიხარა, ხელები მუხლებს ჩამოაყრდნო და სახე ხელებში ჩამალა, აქაოდა გარშემო ყველაფერი კოშმარია და გამოღვიძებაც არ მინდაო.

მერე დაახველა. მკერდისმიერი ხველება იყო. საშინლად გამოიყურებოდა.

გადავწყვიტე, არაფერი მეთქვა. წავედი და საუზმე მოვუტანე. ყავა დალია და ფაფა ჭამა, ასე რომ, შიმშილობის საკითხი მოიხსნა. მერე ისევ ადრინდელ მდგომარეობას დაუბრუნდა. მოიხარა და თავი ხელებს ჩამოაყრდნო. ვიცოდი, ეს ყველაფერი თამაში იყო, ჩემთვის თავი რომ შეეცოდებინა. მართალია, ნაცემი ძაღლივით გამოიყურებოდა, მაგრამ მაინც ჩავთვალე, რომ ეს პოზა იყო, რათა იძულებული გავეხადე, მუხლებზე დავმდგარიყავი მის წინაშე და პატიება მეთხოვა, ან რაღაც მსგავსი სისულელე.

„კოლდრექსი“ ხომ არ მოგიტანოთ-მეთქი, ვკითხე. ვიცოდი, რომ გაცივებული მართლა იყო.

თავი დამიქნია - ისე, რომ არ შემოუხედავს, თავი ისევ ხელებში ჰქონდა ჩარგული. წამლების მოსატანად წავედი. როცა დავბრუნდი, იმავე პოზაში დამხვდა. ადვილი მისახვედრი იყო, რაღაც დიდი სპექტაკლის

თამაში წამოიწყო, ვითომ იბუტებოდა. გაიბუტება, გაიბუტება და გაუვლის-მეთქი, ვიფიქრე. მე ცდა შემიძლია. ვკითხე, რაიმე ხომ არ უნდოდა. თავი გადააქნია და წამოვედი.

სადილის დროს, ქვემოთ რომ ჩავედი, ისევ ლოგინში იწვა. მხოლოდ გადმომხედა საბნის ზემოდან და მითხრა, ცოტაოდენ წვნიანს შევჭამ და ჩაის დავლევო. რაც მითხრა, ყველაფერი მივუტანე და წამოვედი. ვახშმის დროსაც დაახლოებით იგივე განმეორდა. „ასპირინი“ მთხოვა. თითქმის არაფერი უჭამია. მაგრამ ეს ხომ ის თამაში იყო, რაც ადრეც ჰქონდა ნათამაშები.

მთელი დღის განმავლობაში ერთმანეთისთვის ოცი სიტყვაც არ გვითქვამს.

მეორე დღესაც იგივე იყო. რომ შევედი, ლოგინში იწვა, მაგრამ არ ეძინა. შემომხედა.

როგორ ხართ-მეთქი. არ მიპასუხა. იწვა თავისთვის.

ვუთხარი, თუ მაგ საწოლში წოლით და რაღაც ხრიკებით ცდილობთ რაიმე გამომტყუოთ, ძალიან ცდებით-მეთქი.

ამან აიძულა ხმა ამოეღო.

- თქვენ ადამიანი არ ხართ. პატარა მნძრეველა მატლი ხართ.

ისეთი სახე მივიღე, თითქოს არც გამეგონოს. წავედი და საუზმე მოვუმზადე. როცა ყავა შევუტანე, მითხრა:

- ახლოს არ მოხვიდეთ ჩემთან, - მის ხმაში საშინელი ზიზღი იგრძნობოდა.

- დავუშვათ და მარტო დაგტოვეთ აქ, - ვუთხარი, რომ გამეღიზიანებინა. - რა მოგივათ?

- ნეტავ იმის ძალა მომცა, რომ თქვენი მოკვლა შემეძლოს. მოგკლავდით. მორიელივით გაგსრესდით. გავაკეთებ კიდეც ამას, როცა უკეთ გავხდები. პოლიციაში როგორ წავიდოდი, ციხე თქვენთვის ძალიან მსუბუქი სასჯელი იქნება. ჩემი ხელით მოგკლავდით.

ვიცოდი, იმიტომ ბრაზობდა, რომ სპექტაკლი ჩაუფლავდა. სურდო

ხომ მეც მქონდა, სერიოზული არაფერი იყო.

- ძალიან ბევრს ლაპარაკობთ. გავიწყდებათ, ვინ არის აქ უფროსი. უცებ რომ ავდგე და დავივიწყო თქვენი აქ ყოფნა? ვერავინ ვერასოდეს გაიგებს.

ამაზე არაფერი უთქვამს, თვალები დახუჭა მხოლოდ.

მარტო დავტოვე, ლუისში წავედი და პროდუქტები ვიყიდე. სადილობის დროს მასთან შევედი, ვითომ ეძინა. ვუთხარი, სადილი მზადაა-მეთქი. ოდნავ შეინძრა მხოლოდ. მეტი არაფერი მითქვამს, მარტო დავტოვე.

ვახშმობის დროს ისევ ლოგინში დამხვდა, მაგრამ ახლა წამომჯდარიყო და თავის შექსპირს კითხულობდა, რომელიც ადრე მე ვუყიდე.

უკეთ გრძნობთ თავს-მეთქი? ვკითხე. სარკასტული ტონით, რა თქმა უნდა. კითხვა განაგრძო, ისე, რომ არაფერი მიპასუხა. კინაღამ ხელიდან გამოვგლიჯე წიგნი, რომ ჭკუა მესწავლებინა, მაგრამ თავი შევიკავე. ნახევარი საათის შემდეგ, როცა მე თვითონ ვივახშმე და უკან დავბრუნდი, ვნახე, რომ ხელი არაფრისთვის ეხლო. როცა ეს ფაქტი აღვნიშნე, მითხრა:

- გული მერევა. ძალიან ცუდად ვგრძნობ თავს. მე მგონი, გრიპი მაქვს.

თუმცა ისეთი სიშტერე გამოიჩინა, რომ ცოტა ხნის მერე დაამატა:

- როგორ მოიქცევით, ექიმი რომ დამჭირდეს?

- ვნახოთ, დრო გვაჩვენებს, - ვუპასუხე.

- როცა ვახველებ, მტკივა.

- გაცივებული ხართ, მეტი არაფერი, - ვუთხარი.

- არა, ეს გაცივება არ არის, - პირდაპირ ყვირილზე გადავიდა.

- რა თქმა უნდა, გაცივებაა, და მორჩით მაგ მსახიობობას. კარგად ვიცი თქვენი თამაში.

- არ ვმსახიობობ.

- რას ამბობთ. თქვენ ხომ ცხოვრებაში არასოდეს გითამაშიათ.

- ოჰ, ღმერთო, თქვენ ხომ კაცი არ ხართ. რა იქნებოდა, კაცი ყოფილიყავით.

- აბა ერთი გაიმეორეთ, რა თქვით, - ვუთხარი. ვახშმად ნახევარი ბოთლი შამპანური მქონდა დალეული, რომელიც ლუისის ერთ პატარა მაღაზიაში ვიყიდე და საიმისო განწყობილება არ მქონდა, მისი სისულელეები მეთმინა.

- გეუბნებით, რომ თქვენ კაცი არ ხართ.

- ეგრე, არა?! - ვუთხარი. - ახლავე ლოგინიდან წამოხტით, აბა, სწრაფად, ადექით ფეხზე. ამიერიდან მე ვიძლევი აქ ბრძანებებს.

საკმარისად მქონდა ნათმენი. ბევრი ჩემს ადგილზე ამდენს არ მოითმენდა. საწოლთან მივედი, საბანი გადავხადე, მკლავში ხელი ჩავავლე და გამოვწიე. გამიძალიანდა, გააფთრებით მებრძოდა, მკაწრავდა, ცდილობდა სახემდე მომწვდომოდა.

ჭკუას გასწავლით-მეთქი, ვუთხარი.

ჯიბეში თოკი მედო. ცოტა წვალება მომიწია, მაგრამ მალე ხელებიშევუკარი და პირიც ავუკარი. შეიძლება მაგრად მომივიდა შეკვრა, მაგრამ მისი ბრალი იყო. საწოლზე მივაბი მოკლე თოკით, მერე წავედი, ფოტოაპარატი და განათების მოწყობილობა მოვიტანე. რა თქმა უნდა, მებრძოდა, თავს აქეთ-იქით აქნევდა, მზერით მბურღავდა, რომ იტყვიან, ხანაც მოდუნდებოდა და თავს ისე მაჩვენებდა, თითქოს გონებას კარგავდა, მაგრამ მე არ ვეშვებოდი. ტანსაცმელი გავხადე. თავიდან არ უნდოდა იმის გაკეთება, რასაც ვეუბნებოდი, ბოლოს კი სწორედ ისეთ პოზაში დგებოდა და წვებოდა, როგორც ვუბრძანებდი (არ ვუღებდი, სანამ საჭირო პოზას არ მიიღებდა). ასე რომ, სურათები გადავიღე. მანამდე ვიღებდი, სანამ ნათურები არ დაჯდა.

ჩემი ბრალი არ იყო. საიდან უნდა მცოდნოდა, რომ უფრო ავად იყო, ვიდრე გამოიყურებოდა. გაცივებული ჩანდა და მეტი არაფერი.

იმ ღამით ფოტოები გავამჟღავნე და დავბეჭდე. საუკეთესო ის სურათები იყო, რომლებზეც სახე მოვაჭერი. რა თქმა უნდა, აკრული პირით მაინცდამაინც კარგად ვერ გამოიყურებოდა. ყველაზე კარგად იმ ფოტო-

ებზე გამოვიდა, სადაც მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები აცვია და ზურგით დგას. საწოლის ზურგზე მიბმული ხელები საინტერესო რაკურსს ქმნიდა, როგორც იტყვიან. უნდა ითქვას, შედეგით ძალიან ნასიამოვნები ვიყავი.

მეორე დღეს რომ შევედი, ფეხზე დამხვდა, ხალათი ეცვა, თითქოს მე მელოდა. რაც მან გააკეთა, ძალიან გასაკვირი იყო. ნაბიჯი წინ გადმოდგა და ჩემ წინ მუხლებზე დაეცა. გეგონებოდა, მთვრალი იყო. შევამჩნიე, სახე ისე ჰქონდა აწითლებული, პირდაპირ უვარვარებდა. ქვემოდან ამომხედა, ტიროდა, ისტერიკამდე იყო მისული.

- მე ძალიან ავად ვარ. ფილტვების ანთება მაქვს. ექიმი უნდა მომიყვანოთ.

ვუთხარი, წადით და დაწექით-მეთქი, მე კი გამოვბრუნდი, რომ მისთვის ყავა მომემზადებინა.

როცა შევედი, ვუთხარი, თვითონაც იცით, რომ ავად არა ხართ, ფილტვების ანთება რომ გქონდეთ, ფეხზე დგომას ვერ შეძლებდით-მეთქი.

- ღამით სუნთქვა მიჭირს და აი აქ ძალიან მტკივა, მხოლოდ მარცხენა გვერდზე შემიძლია წოლა. იქნებ სიცხე გამიზომოთ და თვითონ ნახავთ, რამდენიც მექნება.

გავუზომე და 38,9 ჰქონდა. მაგრამ ვიცოდი, რომ ტემპერატურის ხელოვნურად მომატებაც შეიძლება.

- აქ ძალიან ჩახუთული ჰაერია.

- ჰაერი აქ სრულიად საკმარისია, - ვუთხარი. მისი ბრალი იყო. მან წამოიწყო თავიდან ის თამაში.

ასე იყო თუ ისე, მაინც წავედი ლუისში და აფთიაქში ჰიპერემიის საწინააღმდეგო წამალი ვიყიდე, კიდევ რაღაც გრიპის საწინააღმდეგო ტაბლეტები და ინჰალატორი. წამლებზე უარი არ უთქვამს, როცა მივუტანე. საღამოს შეეცადა ვახშამი ეჭამა, მაგრამ ვერ შეძლო, გული აერია. ძალიან ცუდად გამოიყურებოდა და პირველად დავიჯერე, რომ შეიძლება მართლა ავად ყოფილიყო. სახე აწითლებული და გაოფლიანებული

ჰქონდა, დანამულ შუბლზე თმა მისწებებოდა, მაგრამ ეს განგებაც ხომ შეეძლო გაეკეთებინა.

ნარწყევი მოვწმინდე, წამლები მივეცი და ის-ის იყო წასვლას ვაპირებდი, რომ გამაჩერა და მთხოვა, ლოგინზე ჩამოვმჯდარიყავი, რათა ხმამაღლა ლაპარაკი არ დასჭირვებოდა.

- ნუთუ გგონიათ, რომ იმის შემდეგ, რაც თქვენ გააკეთეთ, ოდესმე დაგელაპარაკებოდით, საშინლად რომ არ ვიყო ავად?

- თქვენ გამაკეთებინეთ ის, რაც გავაკეთე, - ვუთხარი.

- ხომ ხედავთ, რომ მართლა ავად ვარ.

- ეს უბრალო გრიპია, - ვუთხარი. - ლუისში ბევრს აქვს ახლა.

- ეს გრიპი არ არის. ფილტვების ანთება მაქვს. ან რაღაც უარესი. ძალიან მიჭირს სუნთქვა.

- მალე კარგად იქნებით, - ვუთხარი. - ეს ყვითელი ტაბლეტები გიშველით. აფთიაქში მითხრეს, საუკეთესო საშუალებააო.

- თუ ექიმს არ გამოუძახებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ მკლავთ.

- გეუბნებით, რომ ყველაფერი კარგად იქნება. უბრალოდ, ცოტა სიცხემ აგიწიათ. - ექიმის ხსენებაზე ისევ დავეჭვდი.

- თუ არ შეწუხდებით, იქნებ სახე ცხვირსახოცით მომწმინდოთ.

უცნაური იყო - სახე მოვწმინდე და პირველად ამ ბოლო დღეების განმავლობაში ცოტა შემეცოდა. წესით, ეს ქალს უნდა გაეკეთებინა. იმის თქმა მინდა, რომ ასეთ დროს ქალს ქალი სჭირდება გვერდით. მადლობა გადამიხადა.

- ახლა წავალ, - ვუთხარი.

- არ წახვიდეთ. მე მალე მოვკვდები. - შეეცადა მკლავში ხელი ჩაევლო.

- ნუ სულელობთ, - ვუთხარი.

- მომისმინეთ, უნდა მომისმინოთ, - და უცებ ტირილი აუვარდა. ვხედავდი, თვალები ცრემლით როგორ ევსებოდა. მერე ბალიშზე აქეთ-იქით

დაიწყო თავის ქნევა. როგორც გითხარით, მაშინ უკვე მეცოდებოდა, ამიტომ საწოლზე ჩამოვჯექი, ცხვირსახოცი მივეცი და ვუთხარი, ნუთუ გგონიათ, ექიმს არ გამოვიძახებდი, სერიოზულად რომ იყოთ ავად-მეთქი. ისიც კი ვუთხარი, რომ ისევ მიყვარდა და რომ მართლა ვწუხდი და კიდევ ასეთი რამეები, მაგრამ ცრემლები ისევ ღვარად სდიოდა და, მგონი, აღარც მისმენდა. მაშინაც კი არ მისმენდა, როცა ვუთხარი, რომ წინანდელ დღესთან შედარებით გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა, რაც, რა თქმა უნდა, მთლად სიმართლეს არ შეეფერებოდა.

ბოლოს თანდათან დაწყნარდა. ცოტა ხანს თვალდახუჭული იწვა და შემდეგ, როცა შევინძერი, მითხრა:

- რაღაც რომ გთხოვოთ, შემისრულებთ?

- რა? - ვკითხე.

- თუ შეგიძლიათ, ჩემთან დარჩით და სარდაფის კარი ღია დატოვეთ. სუნთქვა მიჭირს.

რაც იყო, იყო, დავთანხმდი და მის ოთახში სინათლე ჩავაქრე, ასე რომ, სინათლე მხოლოდ გარე სარდაფიდან შემოდიოდა და ვენტილატორი მუშაობდა. კარგა ხანს ვიჯექი მის გვერდით. რაღაც უცნაურად, აჩქარებით დაიწყო სუნთქვა, თითქოს კიბეზე არბოდა, შემდეგ რამდენჯერმე დაილაპარაკა, პირველად თქვა, „გთხოვთ, ნუ იზამთ ამას“, შემდეგ თითქოს ჩემი სახელი ახსენა, მაგრამ როგორღაც გაურკვევლად - ჰოდა, მეც მივხვდი, რომ ჩაეძინა და იმის შემდეგ, რაც რამდენჯერმე დავუძახე და არ გამომეპასუხა, ოთახიდან გავედი და კარი ჩავკეტე. მერე მაღვიძარა მოვმართე, რომ დილით ადრე ავმდგარიყავი. ვფიქრობდი, რა ადვილად ჩაეძინა-მეთქი. საიდან უნდა მცოდნოდა. მე მეგონა, კარგია, რომ ჩაეძინა-მეთქი, რომ აბებმა თავისი საქმე გააკეთა და მეორე დილით უკეთ იქნებოდა, რომ ყველაზე უარესი უკვე ჩავლილი იყო. იმასაც კი ვფიქრობდი, მისი ავადმყოფობა კარგიც კია-მეთქი, რადგან ავად რომ არ გამხდარიყო, ის ძველი რაღაცები შეიძლება კიდევ განმეორებულიყო.

იმის თქმა მინდა, რომ ეს ყველაფერი ჩემთვის მოულოდნელად მოხდა. ვიცი, რომ რაც მეორე დღეს გავაკეთე, შეცდომა იყო, და იმ დღემდე კი, მეგონა, რასაც ვაკეთებდი, ყველაფერს კარგად ვაკეთებდი და უფლებაც მქონდა, გამეკეთებინა.

2

14 ოქტომბერი?

ეს უკვე მეშვიდე ღამეა.

სულ ერთსა და იმავეზე ვფიქრობ. მათ რომ იცოდნენ. ნეტავ მათ იცოდნენ.

აღშფოთების გაზიარება მაინც რომ შემეძლოს.

აი ვცდილობ ამ ბლოკნოტს გავუზიარო რაც მოხდა. ბლოკნოტი ამ დილით მიყიდა. კეთილიც კია.

მშვიდად.

სულის სიღრმეში სულ უფრო და უფრო მეშინია, მაგრამ ვცდილობ სიმშვიდე შევინარჩუნო.

არანაირი საძაგლობა. არავითარი სექსი. მაგრამ მისი თვალები - ეს გიჟის თვალებია. ნაცრისფერი, სადღაც მათ სიღრმეში ჩაკარგული ასევე ნაცრისფერი სინათლით. თავიდან სულ თვალს ვადევნებდი, მეგონა, ეს

სექსთან იყო დაკავშირებული. მისკენ ზურგით მხოლოდ მაშინ ვდგებოდი, როცა უკნიდან არ შეეძლო თავს დამსხმოდა და სულ გაფაციცებული ვიყავი. ყოველ წამს ვცდილობდი ზუსტად მცოდნოდა, ოთახის რომელ ნაწილში იმყოფებოდა.

ძალაუფლება. ისეთ ხელშესახებ რეალობად იქცა.

მე ვიცი, რომ ატომური ბომბი საშინელებაა. მაგრამ ახლა ვფიქრობ, რომ ასეთი სისუსტეც საშინელებაა.

ნეტავ ძიუდოს ილეთები ვიცოდე - იძულებულს გავხდიდი შეწყალება ეთხოვა ჩემთვის.

ეს მიწისქვეშა აკლდამა ისე ჩახუთულია, კედლები თითქოს მსრესენ. წერისას სულ ვაყურადებ, ხომ არ მოდის. ჩემი ფიქრები ცუდ ნახატებს ჰგავს, მაშინვე რომ უნდა დახიო.

უნდა ვცადო, უნდა ვცადო, უნდა ვცადო გაქცევა.

ეს ერთადერთი რამ არის, რაზეც ფიქრი შემიძლია.

უცნაური რამეა. ის მნუსხავს. მის მიმართ საშინელ ზიზღს, სიძულვილს ვგრძნობ, ამ ოთახის ატანა არ შემიძლია. სახლში ახლა ყველა გაგიჟებული იქნება, აქაც ვგრძნობ, რა დღეში იქნებიან.

როგორ შეუძლია მე ვუყვარდე. როგორ შეიძლება გიყვარდეს ადამიანი, რომელსაც არ იცნობ.

სასოწარკვეთილი ცდილობს მასიამოვნოს. შეშლილები ალბათ სწორედ ასეთები არიან, ისინი ხომ ყველაფერში არ არიან შეშლილები და ნორმალური ადამიანების მსგავსად მათაც თავზარი ეცემათ, როცა რაღაც საშინელებას ჩაიდენენ.

მხოლოდ ეს ბოლო ორიოდე დღეა, რაც ასე შემიძლია ვიმსჯელო მასზე.

მთელი გზა ლონდონიდან აქამდე ერთი გაბმული კოშმარი იყო. გული მერეოდა, თან მეშინოდა, რომ პირაკრული გავიგუდებოდი. შემდეგ გულისრევა ვეღარ შევიკავე. შიშით ვფიქრობდი, რომ მალე სადღაც ბუჩქებში შემათრევდნენ, გამაუპატიურებდნენ და მომკლავდნენ. ბოლოს,

როცა ფურგონი გაჩერდა, დარწმუნებული ვიყავი, რომ სწორედ ეს მოხდებოდა. ალბათ ამიტომაც ამერია გული და არა მხოლოდ იმ საშინელი ქლოროფორმის გამო (სულ მახსენდებოდა პენი ლესტერის მიერ სკოლის დორტუარში მოყოლილი საზარელი ისტორიები იმის შესახებ, თუ როგორ გადარჩა დედამისი, როცა იაპონელებმა გააუპატიურეს, და საკუთარ თავს ვუმეორებდი, „წინააღმდეგობა არ გაუწიო, წინააღმდეგობა არ გაუწიო“ და კიდევ, ერთხელ ვიღაცამ ლედიმონტში თქვა, ქალის გაუპატიურებას ორი კაცი სჭირდება, თუ ეს ერთმა შეძლო, გამოდის, რომ ქალსაც უნდოდაო). ახლა კი ვიცი, რომ ის ასე არ მოიქცევა. ან ქლოროფორმს გამოიყენებს, ან რაღაც ამდაგვარს, მაგრამ იმ ღამით საკუთარ თავს სულ ვუმეორებდი, რომ წინააღმდეგობა არ გამეწია.

მადლობა ღმერთს, ცოცხალი გადავრჩი. მე ხომ საშინელი მშიშარა ვარ, არ მინდა მოვკვდე. მთელი არსებით მიყვარს სიცოცხლე. ადრე ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ სიცოცხლე ასე მწყუროდა. თუკი ოდესმე აქედან გავაღწევ, უკვე სხვა ადამიანი ვიქნები.

ჩემთვის სულ ერთია, ის რას მიზამს, ოღონდ კი ცოცხალი გადავრჩე.

სულ იმ საზიზღარ, ენითუთქმელ რამეებზე ვფიქრობ, რაც მას შეუძლია გამიკეთოს.

ყველაფერი მოვათვალიერე, ვეძებდი რაღაც ისეთს, რაც იარაღად შეიძლება მოიხმარო, მაგრამ ვერაფერი ვიპოვე, მისი გამოყენების ძალა და უნარი კიდეც რომ მქონდეს.

ყოველ ღამით სკამს ვაყუდებ რკინის კარზე, რომ გავიგონო მაინც, ოთახში შემოსვლას უჩუმრად თუ შეეცდება.

საზიზღარი, პრიმიტიული პირსაბანი და ტუალეტი.

დიდი გლუვი კარი, არც კლიტის ჭუჭრუტანა, არაფერი.

სიჩუმე. ახლა ცოტათი შევეგუე ამას. მაგრამ ეს საშინელებაა. ჩამიჩუმი არ ისმის. ისეთ შეგრძნებას გიჩენს, რომ სულ რაღაცას უცდი.

ცოცხალი ვარ, თუ ამას სიცოცხლე ჰქვია.

წიგნების კოლექცია ხელოვნების შესახებ. თითქმის ორმოცდაათი

გირვანქის ღირებულების იქნება, დავითვალე. იმ პირველ ღამეს უცებ მივხვდი, რომ ისინი აქ ჩემთვისაა, რომ მე სულაც არ ვარ შემთხვევითი მსხვერპლი.

და კიდევ ეს კარადა, თეთრეულითა და ტანსაცმლით სავსე: პერანგები, კაბები, ფერადი წინდები, საცვლების საოცარი კომპლექტი, პარიზულიუიკენდისთვის რომ გამოდგება, ღამის ხალათები. ყველაფერი დაახლოებით ჩემი ზომის იყო, ცოტა დიდი, მაგრამ ჩემი ფერები. მითხრა, ვხედავდი, რა ფერებს იცვამდითო.

თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა ჩემს ცხოვრებაში. მასში ჯ.პ.-ს არსებობა უჩვეულო ამბავი იყო. ამაღელვებელი. აღმგზნები.

შემდეგ კი აი ეს.

ცოტა ხანს შუქში მეძინა, ლოგინის გაუშლელად. ჩაის ან კაკაოს დავლევდი სიამოვნებით, მაგრამ შემეშინდა, რამე არ ჰქონოდა მათში ჩაყრილი. შიში, რომ შეიძლება საჭმელში რაღაც ჩამიყაროს, ახლაც მაქვს.

შვიდი დღე. გეგონება, შვიდი კვირა გავიდაო.

ისეთი უწყინარი და აღელვებული ჩანდა, როცა ქუჩაშიგამაჩერა. მითხრა, ძაღლი გავიტანეო. ვიფიქრე, ჩვენი მისტი არ იყოს-მეთქი. ისეთი გარეგნობის კაცია, არანაირი ეჭვი რომ არ გაგიჩნდება. არაფერი „მგლური“ არ ეტყობოდა.

ეს სამყაროს კიდიდან უფსკრულში გადავარდნას ჰგავდა. თითქოს დედამიწას უცებ კიდე გაუჩნდა.

ყოველ ღამით ვაკეთებ იმას, რაც უკვე წლებია არ გამიკეთებია. ვწევარ და ვლოცულობ. მუხლებზე არ ვდგები. დარწმუნებული ვარ, ღმერთს მუხლმოდრეკილები სძულს. მე ვწევარ და შევთხოვ მას, რომ ანუგეშოს დ. და მ. და მინი და კეროლაინი, რომლებიც ალბათ დამნაშავედ გრძნობენ თავს ჩემ წინაშე და სხვებიც, რომლებისთვისაც ცუდი არ იქნება, თუ იწუხებენ ჩემზე (ან ვინმეზე), მაგალითად, პირსი და ანტუანეტა. შევთხოვ მას დაეხმაროს ამ უბადრუკს, რომელსაც დამონებული ვყავარ. შევთხოვ, რომ მე დამეხმაროს. ის არ დაუშვებს, რომ გამაუპატიურონ,

მტანჯონ, მომკლან. შევთხოვ მას სინათლეს.

ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. დღის სინათლეს.

არ შემიძლია, ფიზიკურად არ შემიძლია ამ სრული სიბნელის ატანა. ღამის ლამპა მიყიდა. სინათლეში მძინავს, საწოლის გვერდით ღამის ლამპას ანთებულს ვტოვებ. მანამდე სინათლეს არ ვაქრობდი.

ყველაზე ცუდი დილით გაღვიძებაა. გამეღვიძება და წამიერად მგონია, სახლში ვარ, ან კეროლაინთან. შემდეგ უცებ მარტყამს. მახსენდება, სად ვარ.

არც კი ვიცი, ღმერთი მწამს თუ არა. მგზნებარედ შევთხოვდი დახმარებას ფურგონში, როცა ვფიქრობდი, რომ მოვკვდებოდი (ეს იმას ადასტურებს, რომ არ გწამსო, თითქოს ჩამესმის ჯ.პ.-ს ხმა). ეს კია, რომ ლოცვა რაღაცას გიმსუბუქებს.

ასეთი ნაწყვეტ-ნაწყვეტი, დანაწევრებული ჩანაწერი გამომდის. კონცენტრირებას ვერ ვახერხებ. რამდენ რამეზე ვფიქრობდი და ახლა თავში არაფერი მომდის.

მაგრამ ასეთ დროს უფრო მშვიდად ვარ. თუნდაც მხოლოდ ილუზია იყოს. როგორც მაშინ, როცა ანგარიშობ, რამდენი ფული დახარჯე და რამდენი დაგრჩა.

15 ოქტომბერი

მშობლები არ ჰყოლია, მამიდამ აღზარდა. შემიძლია წარმოვიდგინო, როგორია: გამხდარი ქალი, ფერმკრთალი სახით, საზიზღარი, მაგრად მოკუმული პირით, ბოროტი, ნაცრისფერი თვალებით. უგემოვნო, ჩალისფერი ქუდი ახურავს, ჩაიდნის შალითასავით. გაფაციცებული ებრძვის ჭუჭყსა და მტვერს. მისთვის ჭუჭყი და მტვერია ყველაფერი მისი ვიწრო, შმორიანი, დახავსებული სამყაროს გარეთ.

ვუთხარი, რომ იგი ცდილობდა ეპოვა დედა, რომელიც არასოდეს ჰყოლია, მაგრამ, ცხადია, არ მომისმინა.

ღმერთი არ სწამს. ეს მიჩენს სურვილს, რომ მე მწამდეს.

ჩემ შესახებ ვესაუბრე. კიდევ დ-სა და მ-ს შესახებ. არაფრის მთქმელი ხმით ვუყვებოდი. დ-ს შესახებ იცოდა, მე მგონი, მთელმა ქალაქმა იცის.

გენიალური თეორია შევქმენი: უნდა დავეხმარო მას, რომ თავი წამებულად არ იგრძნოს.

ციხეში გატარებული დრო. უსასრულოდ გაწელილი დრო.

პირველი დილა. კარზე დააკაკუნა და ათ წუთს დაიცადა (ყოველთვის ასე აკეთებს). ვერ ვიტყვი, რომ სასიამოვნო ათი წუთი იყო. ყველა ის მანუგეშებელი ფიქრი, რომლებიც ღამის განმავლობაში შევაკოწიწე, უცებ სადღაც გამებნა და მარტო დავრჩი. ვიდექი სარდაფში და ჩემს თავს ვეუბნებოდი, თუკი ის ამას გააკეთებს, წინააღმდეგობას ნუ გაუწევ-მეთქი. ვაპირებდი მეთქვა მისთვის, რაც უნდოდა გაეკეთებინა, ოღონდ ნუ მომკლავდა. რომ თუ არ მომკლავდა, კიდევ შეეძლებოდა ამის გაკეთება. თითქოს მრავალჯერადი გამოყენების ნივთს ვუკეთებდი რეკლამას.

მაგრამ ყველაფერი სხვანაირად მოხდა. შემოვიდა და კართან უხერხულად გაჩერდა ბრიყვული გამომეტყველებით და უცებ ვიცანი, რადგან ქუდი აღარ ეხურა. ეტყობა, მე ადამიანების ნაკვთებს გაუცნობიერებლად ვიმახსოვრებ. ქალაქის საბჭოში მუშაობდა საქმის მწარმოებლად. ზღაპრული თანხა მოიგო ტოტალიზატორში. მისი ფოტო გაზეთში იყო გამოქვეყნებული. მაშინ ვთქვით, რომ ნაცნობი სახე ჰქონდა.

შეეცადა უარეყო, როცა ეს ვუთხარი, მაგრამ გაწითლდა.

სულ იოლად მოახერხებდი, რომ თავის დაცვაზე გადასულიყო. სახეზე თითქოს თანდაყოლილი წყენა ჰქონდა აღბეჭდილი. როგორც ცხვარს. არა,უფრო ჟირაფს - გრძელ, მოუხეშავ ჟირაფს. შეკითხვები დავაყარე. არ უნდოდა ეპასუხა და ისღა დარჩენოდა, ისეთი სახე მიეღო, თითქოს მე ამ შეკითხვების დასმის უფლება არ მქონდა.

არასოდეს ჰქონია გოგოსთან ურთიერთობა, ყოველ შემთხვევაში

ისეთთან, როგორიც მე ვარ.

უმანკო ყმაწვილი.

ექვს ფუტამდე იქნება. რვა-ცხრა დუიმით ჩემზე მაღალია. ძალიან გამხდარია და ამიტომ კიდევ უფრო მაღალი ჩანს. აყლაყუდაა. დიდი ხელები აქვს, უსიამო, ხორციანი და მოვარდისფრო. კაცის ხელებს არ ჰგავს. მაჯებიც ძალიან მსხვილი აქვს. ხორხი - წინგამოწეული, ნიკაპი - უშველებელი. ქვედა ტუჩი - შეწეული.

ნესტოები - წითელი. ხმაზე ეტყობა, პოლიპებით იტანჯება. უცნაური ინტონაცია აქვს, უკულტურო ადამიანის ინტონაცია, რომელიც კულტურულად ლაპარაკს ცდილობს. ამის გამო მუდამ რაღაც უსიამოვნება ხვდება. სახე მეტისმეტად ჩამოგრძელებული აქვს. თმა - შავი, ხვეული, მაგრამ უხეში, მუდამ საგულდაგულოდ გადავარცხნილი. ყოველთვის სპორტული სტილის ქურთუკი აცვია და ფლანელის შარვალი. ჰალსტუხი ქინძისთავით აქვს დამაგრებული. მანჟეტებზე საკინძებიც კი უკეთია.

სწორედ ის არის, რასაც ხალხი „სასიამოვნო ახალგაზრდას“ ეძახის.

აბსოლუტურად უსქესო (ასე გამოიყურება).

დგომის თავისებური მანერა აქვს, ჩამოშვებული ან ზურგზე დაწყობილი ხელებით, თითქოს წარმოდგენა არა აქვს, რა მოუხერხოს მათ. მოკრძალებით დგას და ჩემს ბრძანებებს ელოდება.

თევზის თვალები. მხოლოდ გიყურებენ. მეტი არაფერი. არანაირი გამომეტყველება.

მისი ქცევის მანერა მაიძულებს ჭირვეული ვიყო. მდიდარ, უკმაყოფილო კლიენტს ვემსგავსები, ის კი - ქსოვილების მაღაზიის გამყიდველს.

ეს მისი სტილია. ვითომ დამცირებული. მუდამ მობოდიშე.

მე ვზივარ, ვჭამ, ვკითხულობ, ის კი მიყურებს. თუ ვეტყვი, წადი-მეთქი, მიდის.

თითქმის ორი წელი ფარულად მითვალთვალებდა. უიმედოდ იყო ჩემზე შეყვარებული. თავს სრულიად მარტო გრძნობდა, იცოდა, რომ მე

მუდამ მასზე „მაღლა“ ვიქნები. საშინელება იყო. ისე მოუხეშავად, მძიმედ ლაპარაკობდა. ყოველთვის რაღაცას მიედ-მოედება, პირდაპირ არაფერს იტყვის და სულ თავს იმართლებს. ვიჯექი და მხოლოდ ვუსმენდი. ყურება არ შემეძლო.

გული გადამიშალა. მთელ ამ საშინელ ნარინჯისფერ ნოხს დაფარავდა მისი დორბლები. როცა დაამთავრა, ცოტა ხანს კიდევ ვისხედით. მერე წასვლა დააპირა და ვუთხარი, რომ ყველაფერი მესმოდა და არავის არაფერს ვეტყოდი, თუკი შინ წამიყვანდა, მაგრამ ოთახიდან გავიდა. ვეცადე მეჩვენებინა, რომ მესმის მისი და თანავუგრძნობ, მაგრამ, მგონი, დავაფრთხე.

მეორე დილით ისევ ვცადე. გავიგე, რა ერქვა (რა ბოროტი დამთხვევაა!) გონივრულად ვიქცეოდი, ქვემოდან ზემოთ ავყურებდი, ვთხოვდი, მაგრამ ამჯერადაც მხოლოდ დავაფრთხე.

სადილობისას ვუთხარი, რომ ვხედავდი, თვითონაც დარცხვენილი იყო იმით, რაც ჩაიდინა და ჯერ კიდევ არ იყო გვიან. მის ცნობიერებაში შეღწევას ცდილობ და ის თითქოს გეხმაურება, მაგრამ სინდისის ქენჯნას საერთოდ არ განიცდის. „ჰო, მრცხვენია, - ამბობს. - მე ვიცი, რომ უნდა მრცხვენოდეს“. ვუთხარი, ბოროტი ადამიანი არ ჩანხართ-მეთქი. მიპასუხა, ეს პირველი ბოროტი საქციელია, რაც კი ცხოვრებაში ჩამიდენიაო.

შეიძლება ასეცაა. გამოდის, თავს ინახავდა ამისთვის.

ხანდახან მეჩვენება, რომ ძალიან ჭკვიანურად იქცევა. ეშმაკურად. ცდილობს ჩემი თანაგრძნობა გამოიწვიოს და საქმე ისე წარმოაჩინოს, რომ ის რაღაც მესამე ძალის გავლენის ქვეშაა.

იმ საღამოს არ ვცდილვარ წესიერად მოვქცეოდი, მკვახედ და ღვარძლიანად ველაპარაკებოდი. ჩვეულებრივზე უფრო ნაწყენი გამომეტყველებით მისმენდა. ძალიან ემარჯვება შეურაცხყოფილი სახის მიღება.

ამ თავისი წყენის საცეცებით ცდილობს შემეხოს.

მუდმივად იმეორებს, რომ „ჩემს წრეს“ არ ეკუთვნის.

მე ვიცი, რაც ვარ მისთვის. პეპელა, რომლის დაჭერაზე ყოველთვის

ოცნებობდა. მახსოვს ჯ.პ. ამბობდა (მაშინ პირველად შევხვდი), კოლექ-ციონერები ამქვეყნად ყველაზე უარესი ცხოველები არიანო. ცხადია, ხე-ლოვნების ნიმუშების კოლექციონერებს გულისხმობდა. მე წესიერად ვერც გავიგე, ვიფიქრე, უბრალოდ, ჩემი და კეროლაინის განცვიფრებას ცდილობს-მეთქი. მაგრამ, ცხადია, ის მართალია. კოლექციონერობა არის ანტისიცოცხლე, ანტიხელოვნება, ანტიყველაფერი.

ვწერ ამ საშინელ, სამარისებურ სიჩუმეში, ისე, თითქოს თავს ნორმა-ლურად ვგრძნობდე. არ არის ასე. ისე ცუდად ვარ, ისე მეშინია, ისე მარ-ტო ვარ. გაუსაძლისია მარტოობა. ყოველთვის, როცა კარი გაიღება, მინ-და მივირბინო და გარეთ გავვარდე, მაგრამ ვიცი, რომ გაქცევის მცდე-ლობები მომავლისთვის უნდა გადავდო. ჭკუით უნდა ვაჯობო, ყველაფე-რი კარგად დავგეგმო.

უნდა გადავრჩე.

16 ოქტომბერი

შუადღეა. ახლა, წესით, ცოცხალი ნატურის კლასში უნდა ვიჯდე. ნუ-თუ სამყარო ისევ არსებობს, მზე ისევ ანათებს?! წუხელ ღამით მომეჩვე-ნა, რომ უკვე მოვკვდი. ეს სიკვდილია. ეს ჯოჯოხეთია. ჯოჯოხეთში ხომ სხვა ადამიანები არ იქნებიან, ან მხოლოდ ერთი იქნება, მისნაირი და ეშ-მაკიც ეშმაკს არ ემსგავსება, შეიძლება საკმაოდ მიმზიდველიც კი იყოს, მაგრამ მისი მსგავსი იქნება.

ამ დილით ის დავხატე. იმედი მქონდა, რომ მისი სახის ნაკვთების ზუსტად გადმოტანას შევძლებდი, მაგრამ ძალიან ცუდი გამომივიდა. მას კი მოეწონა. მითხრა, რომ იმ ნახატში ორას გინეას გადამიხდიდა. ნამ-დვილი გიჟია.

ჩემ გამო. ეს მე ვარ მისი სიგიჟე.

წლების განმავლობაში ეძებდა, რაში გამოევლინა თავისი სიგიჟე და

მე მიპოვა.

არ შემიძლია ასეთ უჰაერო გარემოში წერა. თან არავის ვწერ. როცა ვხატავ, ყოველთვის წარმოვიდგენ, რომ ვიღაც, ვთქვათ ჯ.პ. მიდგას მხარსუკან.

ყველას მშობლები ისეთები უნდა იყვნენ, როგორიც ჩვენ გვყავს, მაშინ დები მართლა დები იქნებოდნენ ერთმანეთისთვის, - ისეთები, როგორიც მე და მინი ვართ.

ძვირფასო მინი.

უკვე ერთ კვირაზე მეტია აქ ვარ და ძალიან მენატრები, და კიდევ სუფთა ჰაერი მენატრება და ახალი სახეები იმ ხალხისა, ასე რომ მაღიზიანებდნენ მეტროში და ახალი რაღაცები, ყოველდღე, ყოველ საათს რომ ხდებოდა. ნეტავ მაშინ შემძლებოდა მათი დანახვა, მათი სიახლის დაფასება. ყველაზე მეტად დღის სინათლე მენატრება. დღის სინათლის გარეშე სიცოცხლე არ შემიძლია. ხელოვნურ სინათლეზე ყველა ხაზი ტყუის, ლამის სრული სიბნელე მოგანატროს.

მე ჯერაც არ მომიყოლია შენთვის, თუ როგორ შევეცადე გაქცევას. მთელი ღამე ამაზე ვფიქრობდი, დაძინება ვერ შევძელი, ისეთი ჩახუთულიჰაერი იყო. თან მუცელიც მტკიოდა (ის რაც შეუძლია ცდილობს გემრიელი საჭმელი მოამზადოს, მაგრამ ძალიან ცუდი მზარეულია). მოვიგონე, რომ საწოლს რაღაც სჭირდა და როცა დაიხარა, შევბრუნდი და გავიქეცი, მაგრამ კარის დაკეტვა ვერ მოვასწარი, რომ ის ოთახში ჩამეკეტა და გარე სარდაფში დამიჭირა. სამაგიეროდ, კლიტის ჭუჭრუტანიდან დღის სინათლე დავინახე.

ყველაფერი კარგად აქვს მოფიქრებული. ღია კარს სპეციალური ურდულით ამაგრებს. მაგრამ მაინც ღირდა. მხოლოდ კლიტის ჭუჭრუტანაში დანახული დღის სინათლე შვიდი დღის განმავლობაში. მან გაითვალისწინა, რომ მის ოთახში ჩაკეტვასა და გაქცევას შევეცდებოდი.

შემდეგი სამი დღის განმავლობაში ჩემი ზურგის ყურება მოუწია, ხა-

ნაც - ჩემი გაბრაზებული სახის. ვშიმშილობდი. მეძინა. როცა დარწმუ-ნებული ვიყავი, რომ არ შემოვიდოდა, ვდგებოდი და ცოტას წავიცეკვებ-დი, ვკითხულობდი წიგნებს ხელოვნებაზე და წყალს ვსვამდი, მის მოტა-ნილ საჭმელს კი არ ვეკარებოდი.

ამით ვაიძულე, რაღაც დათმობებზე წასულიყო. მისი პირობა იყო ექ-ვსი კვირა. ერთი კვირის წინ ექვსი საათიც უსაშველოდ ბევრი იქნებოდა. ტირილი დავიწყე და ოთხ კვირამდე ჩამოვიყვანე. მასთან ყოფნა ახლაც ისე მზაფრავს, როგორც თავიდან. ამ საზიზღარი პატარა აკლდამის ყო-ველი სანტიმეტრი შევისწავლე. მგონია, რომ თანდათან ისე შემომეკვრე-ბა, როგორც ნიჟარა - ლოკოკინას. მაგრამ ჯანდაბას ოთხი კვირა. ექვსზე ნაკლები ხომ მაინც არის.

მე მგონი, საერთოდ აღარ შემრჩა არც ენერგია, არც ნებისყოფა.

მინი, გუშინ ზემოთ ამიყვანა. პირველ ყოვლისა სუფთა ჰაერი, გაშ-ლილი სივრცე და არა ეს ჩახუთული აკლდამა. თავს ზემოთ ვარსკვლა-ვები და საოცარი, საოცარი ჰაერი, თუმცა ნესტიანი და ცივი, მაგრამ მა-ინც საოცარი.

ვიფიქრე, იქნებ გაქცევა მოვახერხო-მეთქი, მაგრამ ჩემი მკლავი მაგ-რად ჰქონდა ჩაბღუჯული. თან პირაკრული და ხელებშეკრული ვიყავი. ისეთი სიბნელე იყო, სიბნელე და სიცარიელე. შუქი არსაიდან აღწევდა, მხოლოდ სიბნელე. კიდევაც რომ მომეხერხებინა გაქცევა, არ ვიცოდი, სა-ით გავქცეულიყავი.

ძალიან ძველი სახლია. შეიძლება ხის სახლი იყოს, შიგნით ყველგან ხის კოჭებია, იატაკი ჩაზნექილია, ჭერი კი ძალიან დაბალი. მართლა მშვენიერი ძველებური სახლია, მაგრამ აუტანლად „კარგი გემოვნებით“ მოწყობილი, - ქალების ჟურნალების სტანდარტებით. ფერების შემზა-რავი შეხამება, ავეჯის სტილების აღრევა, პროვინციული გემოვნება, ვი-თომცდა სიძველეები, სპილენძის საშინელი სამშვენისები. და ნახატებს ხომ ნუღარ იკითხავ! ალბათ არც კი დამიჯერებ, ამ ნახატების მთელი უბადრუკობა რომ აღგიწერო. მითხრა, რომ სახლის ავეჯით გაწყობა და

გაფორმება რომელიღაც ფირმამ ითავა. ეტყობა, მთელი ხარახურა მოიცილეს, რაც კი თავის საწყობებში ნახეს.

აბაზანით ძალიან ვისიამოვნე. ვიცოდი, რომ შეიძლებოდა შემომვარდნოდა (კარს საკეტი არ ადევს, მოხურვითაც კი ვერ მოხურავ - იატაკზე ხის ძელაკია ხრახნებით დამაგრებული), მაგრამ როგორღაც ვიცოდი, რომ ამას არ იზამდა. ისეთი კარგი იყო - ცხელი წყლით სავსე აბაზანას ვხედავდი, ნორმალურ უნიტაზს. ლამის აღარც კი დავეძებდი, რას იზამდა. რამდენიმე საათს ვაცდევინე კარს მიღმა. წინააღმდეგობა არ გაუწევია. „კეთილი“ იყო.

მოვიფიქრე ხერხი, თუ როგორ მივაწვდინო ვინმეს ხმა. შუშის ბოთლში ნაწერს ჩავდებ და ტუალეტში ჩავუშვებ. ბოთლს ჭრელ ლენტს შემოვაკრავ. იქნებ ვინმემ ნახოს. ვინმემ, სადმე, ოდესმე. შემდეგ ჯერზე ასეც მოვიქცევი.

ვაყურადებდი, მანქანები თუ მოძრაობენ-მეთქი, მაგრამ ერთსაც არ ჩაუვლია. ბუს კივილი გავიგონე და კიდევ თვითმფრინავმა გადაიფრინა.

ნეტავ იცოდნენ ადამიანებმა, რის თავზე დაფრინავენ.

ყველა ასე დავფრინავთ, ყველა ჩვენ-ჩვენი თვითმფრინავით.

აბაზანის ფანჯარა შეფიცრული იყო, დიდი ხრახნებით დამაგრებული. ვეძებდი ისეთ რამეს, რაც შეიძლებოდა იარაღად გამომეყენებინა. ყველგან ვეძებე - აბაზანის ქვეშ, მილების უკან. არსად არაფერი აღმოჩნდა. კიდეც რომ მეპოვა, მაინც არ ვიცოდი, როგორ გამომეყენებინა. ჩვენ გამუდმებით თვალს ვადევნებთ ერთმანეთს და შანსს არ ვუტოვებთ მაინცდამაინც ძლიერადაც არ გამოიყურება, მაგრამ ჩემზე ბევრად ძლიერი კი იქნება. მხოლოდ მოულოდნელ თავდასხმას თუ ექნება აზრი.

ყველაფერი ჩაკეტილი და ჩარაზულია, ზოგი რამ - ორმაგადაც. სარდაფში ჩასასვლელ კარზე ქურდებისგან თავდასაცავი სიგნალიზაციაც კია დაყენებული.

ყველაფერი გათვალისწინებული აქვს. ვიფიქრე, თეთრეულში ნაწერს ჩავდებ-მეთქი, მაგრამ სამრეცხაოში არაფერს გზავნის. როცა ზეწრების

შესახებ ვკითხე, მითხრა:

- ახლებს გიყიდით, ოღონდ მითხარით, როდის დაგჭირდებათ.

ისევ უნიტაზში ჩაშვება თუა ერთადერთი იმედი.

მინი, მე შენ არ გწერ, ჩემს თავს ვესაუბრები.

როცა აბაზანიდან მისი ნაყიდი ერთ-ერთი ხალათით გამოვედი, - ყველაზე ნაკლებად საშინელი შევარჩიე - ის ადგა (მთელი ამ ხნის განმავლობაში აბაზანის კართან იჯდა). თავი მეჯლისზე მისულ გოგონად ვიგრძენი, მარმარილოს დიდებულ კიბეზე რომ ეშვება. გაშტერდა. ალბათ იმიტომ, რომ „თავის“ ხალათში დამინახა, გაშლილი თმით.

ან შეიძლება, უბრალოდ, ელდა ეცა, ალიკაპის გარეშე რომ დამინახა. ასე იყო თუ ისე, გავუღიმე, მიველაქუცე და ნება დამრთო ალიკაპის გარეშე გამევლოდა მიმეხედ-მომეხედა. კუდში დამდევდა, ვგრძნობდი, რომ ერთი, ოდნავ „არასწორი“ ნაბიჯი და თავს დამესხმოდა.

ზემო ოთახები მშვენიერია, მაგრამ ჩახუთული, უსიცოცხლო. რაღაც უცნაური, მკვდარი სუნი დგას. ქვემოთა ოთახი, ის რომ „დარბაზს“ ეძახის (მისი საუბრის სტილია), ძალიან ლამაზია - სხვებზე ბევრად დიდი. სხვა ოთახებისგან განსხვავებით, კვადრატის ფორმა აქვს. ჭერში უზარმაზარი კოჭია გადებული, რომელიც სამ ვერტიკალურ ძელს ეყრდნობა და ოთახს ორ თანაბარ ნაწილად ყოფს. ნიშები კედელში, არასწორი კუთხეები, სხვა, მომცრო კოჭები. მთელ ამ მშვენიერებას კი ავეჯი სპობს. არაჩვეულებრივი, ძველებური ბუხრის თავზე ფაიფურის ველური იხვი ეკიდა. ამის ატანა აღარ შემეძლო. ხელები გავახსნევინე და წინ შევაკვრევინე, მერე იხვი კაუჭიდან ჩამოვხსენი და ბუხარს მივანარცხე.

ამან ძალიან გაანაწყენა, თითქმის ისევე, როგორც იმ სილამ, მაშინ რომ გავაწანი, როცა გაქცევის ნება არ მომცა.

მაიძულებს შევიცვალო, მაიძულებს სურვილი გამიჩნდეს მის გარშემო ვიცეკვო, შევაცბუნო, განვაცვიფრო, სახტად დავტოვო. ისეთი გონებაჩლუნგია, წარმოსახვის უნარს მოკლებული, უსიცოცხლო. როგორც თუთიის თეთრა. ვგრძნობ, რომ ჩემი ნების წინააღმდეგ ვემორჩილები მის

ტირანიას. მაიძულებს სახე ვიცვალო, სპექტაკლი გავითამაშო, ვიპრანჭო და ვიგრიხო. უძლური ადამიანების ტირანია. ჯ.პ.-მ ერთხელ როგორღაც თქვა:

- უსახური ადამიანები ცივილიზაციის წყევლაა.

მაგრამ ის იმდენად უსახურია, რომ ეს უსახურობა გამორჩეულს ხდის.

სურათებს მიღებს, ჩემი „პორტრეტის“ შექმნა უნდა.

შემდეგ პეპლების ჯერი დადგა. ჩემი აზრით, საკმაოდ ლამაზებია, ჰო, საკმაოდ ლამაზადაა შერჩეული და დალაგებული, მათი პაწია ფრთები ერთი და იმავე კუთხითაა გაშლილი. ძალიან შემეცოდნენ საბრალო მკვდარი პეპლები, ისეთივე მსხვერპლები, როგორიც მე ვარ. ყველაზე მეტად იმ პეპლებით ამაყობს, რომლებსაც „აბერაციებს“ ეძახის.

ქვემოთ (გარე სარდაფში) ნება დამრთო მეყურებინა, როგორ ამზადებდა ჩაის. რაღაც სისულელე თქვა და გავიცინე, უფრო სწორად, მომინდა გაცინება.

საშინელებაა.

უცებ გავაცნობიერე, რომ მეც ჭკუიდან ვიშლები, რომ ის ბოროტი და ვერაგია. ცხადია, მისთვის მნიშვნელობა არა აქვს, რას ვამბობ მასზე, არც იმას, მისი საცოდავი იხვი რომ მივაფშვენი, იმიტომ რომ თავისთან ვყავარ. ვიცინი მასთან ერთად და ჩაის ვუსხამ, თითქოს მისი საუკეთესო მეგობარი ან შეყვარებული ვიყო.

შევაგინე. დედაჩემის შვილი ვარ. ძუკნა.

აი ასეა, მინი, ძალიან მინდა გვერდით მყავდე და ამ სიბნელეში შენთან ლაპარაკი შემეძლოს. ნეტავ ვინმესთან ლაპარაკი შემეძლოს, თუნდაც რამდენიმე წუთით. ისეთ ვინმესთან, ვინც მიყვარს. ჩემი ნაწერის მიხედვით ბევრად უფრო ნათელი და მხიარული გეგონება აქაურობა, ვიდრე სინამდვილეშია.

ისევ ტირილი მინდა.

რა უსამართლობაა.

17 ოქტომბერი.

ისე შევიცვალე, რომ საკუთარი თავი მძულს.

მეტისმეტად ბევრ რამეს ვთანხმდები. თავიდან ვფიქრობდი, საკუთარი თავი მეიძულებინა პრაქტიკული ვყოფილიყავი და არ დამეშვა, რომ ჩემი ქცევა მის არანორმალურობას განესაზღვრა. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ყველაფერი მოფიქრებული და გათვლილი ჰქონდა. მიაღწია იმას, რომ სწორედ ისე ვიქცევი, როგორც მას სურს.

ეს არ არის უბრალოდ უცნაური სიტუაცია. ეს უცნაური სიტუაციის კიდევ უფრო უცნაური ვარიაციაა. იმის თქმა მინდა, რომ ახლა მის ხელში ვარ. ყველაფერი, რასაც ის აკეთებს, მოულოდნელია. მაიძულებს ყოვლად უსაფუძვლო მადლიერების გრძნობა მქონდეს მის მიმართ. ისეთი მარტოსული ვარ. როგორც ჩანს, ეს კარგად აქვს გაცნობიერებული. ამით სარგებლობს და ყველანაირად ცდილობს მაგრძნობინოს, რომ მასზე ვარ დამოკიდებული.

ზღვრამდე ვარ მისული, სულაც არ ვარ ისე მშვიდად, როგორც ერთი შეხედვით ჩანს (ჩემი ნაწერი გადავიკითხე).

კიდევ აუტანლად ბევრი დროა გასაყვანი. უსასრულო, უსასრულო, უსასრულო დრო.

რასაც მე ვწერ, თავადვე არაბუნებრივად მეჩვენება. ორი ადამიანის ფუჭ საუბარს ჰგავს.

ხატვის დროს სხვაგვარადაა. ხაზს გაავლებ და იცი, სწორად გაავლე თუ არა. წერისას კი დაწერ და მაშინ სიმართლედ გეჩვენება, მაგრამ მერე გადაიკითხავ და...

გუშინ საღამოს ჩემთვის ფოტოს გადაღება უნდოდა. ნება დავრთე რამდენიმე გადაეღო. ვიფიქრე, დაუდევრობის გამო ჩემი ფოტო იქნებ

სადმე მაგიდაზე დარჩეს და ვინმემ ნახოს-მეთქი. მაგრამ, მე მგონი, სრულიად მარტო ცხოვრობს. ყველაფრიდან ჩანს, რომ ასეა. ეტყობა, მთელი ღამე იმ სურათების გამჟღავნებასა და ბეჭდვაში გაატარა (სახელოსნოში ნამდვილად არ მიიტანდა). მე - პრიალა ქაღალდზე გადატანილი. ფოტოაპარატის სინათლის გაელვება მაღიზიანებდა, თვალებს მტკენდა.

დღეს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, იმას თუ არ ჩავთვლით, რომ ერთგვარ შეთანხმებას მივაღწიეთ ვარჯიშის თაობაზე. დღის სინათლე ჯერ არ მეღირსება, მაგრამ გარე სარდაფში შემიძლია ვიარო. ძალიან ცუდ ხასიათზე ვიყავი და არც დამიმალავს. სადილის შემდეგ ვუთხარი, წასულიყო და ვახშმის შემდეგაც წასვლა ვთხოვე. ორივეჯერ მორჩილად წავიდა. რასაც ეუბნებიან, აკეთებს.

ფირსაკრავი მიყიდა და ფირფიტები და კიდევ ის ყველაფერი, რაც ჩემ მიერ ჩამოწერილი საყიდლების სიაში იყო. უნდა, რომ სულრაღაცებს ყიდულობდეს ჩემთვის, ნებისმიერი რამ შემიძლია ვთხოვო. თავისუფლების გარდა.

ძვირფასი შვეიცარიული საათი მაჩუქა. ვუთხარი, სანამ აქ ვარ, ვატარებ და წასვლისას დაგიბრუნებთ-მეთქი. კიდევ უფრო ადრე ვუთხარი, რომ ამ ნარინჯისფერ ნოხს ვეღარ ვიტანდი და რამდენიმე ინდური და თურქული ნოხი იყიდა. სამი ინდური, და ერთი, შედარებით დიდი თურქული - მშვენიერი მეწამული, ვარდისფერი, ნარინჯისფერი და სეპიასფერი მოხატულობით და თეთრი არშიებით (ასე თქვა, „მათ“ მხოლოდ ეს ჰქონდათო, ასე რომ, მისი გემოვნება არაფერ შუაშია).

ჩემი საკანი უფრო ასატანი გახდა. იატაკი რბილია, გეგონება ზამბარაზე ადგამდე ფეხს. ყველა მახინჯი საფერფლე და კერამიკული ვაზა დავამსხვრიე. მახინჯი საგნები არსებობას არ იმსახურებენ.

იმდენად აღმატებული ვარ მასზე. ვიცი, რომ ეს ამაზრზენად, თვითკმაყოფილად ჟღერს, მაგრამ მართლა ასეა. ცხადია, ეს აღზრდის შედეგია. განათლება, სკოლა, noblesse oblige.

მიმაჩნია, რომ ჩემი ვალია ვუჩვენო, როგორ უნდა ცხოვრობდეს და

იქცეოდეს წესიერი ადამიანი.

ის თავად სიმახინჯეა. სიმახინჯეს კი ვერაფერს უშველი.

სამი ღამის წინ უცნაური შეგრძნება მქონდა. სასიამოვნო ღელვამ მომიცვა, როცა ეს მიწისქვეშეთი დავტოვე. მეჩვენებოდა, რომ თითქმის მთლიანად ვფლობდი სიტუაციას. უცებ მომეჩვენა, რომ ეს ყველაფერი გრანდიოზული თავგადასავალი იყო, რომლის შესახებაც ერთ დღეს ყველას მოვუყვებოდი. თითქოს ჭადრაკი ვეთამაშე სიკვდილს და მოულოდნელად გავიმარჯვე. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ სასიკვდილო საფრთხის წინაშე ვიდექი და ახლა ყველაფერი უკან დარჩა, რომ ამიერიდან ყველაფერი კარგად იქნებოდა, რომ ის ჩემს გაშვებას აპირებდა.

სიგიჟეა.

მას რაღაც სახელი უნდა მოვუძებნო. კალიბანს დავარქმევ.

პიერო. მთელი ღამე პიერო დი კოზიმოსთან ერთად გავატარე. ვკითხულობდი მის შესახებ. მისი ნახატების რეპროდუქციებს ვათვალიერებდი, ვცხოვრობდი მათში. როგორ შეიძლება ნამდვილ მხატვრად გახდომის იმედი მქონდეს, როცა ასე სუსტი ვარ გეომეტრიაში, საერთოდ მათემატიკაში. კალიბანს უნდა ვაყიდვინო სათანადო წიგნები. გეომეტრიას უნდა მივხედო. თანამედროვე ხელოვნების შესახებ ეჭვები გამიქარწყლდა. წარმოვიდგინე ჯეკსონ პოლოკის, ან თუნდაც პიკასოსა და მატისის ნახატების გვერდით პიეროს ტილოები. თვალები ამ ტილოებზე. ნათლად ვხედავ ამ თვალებს.

რამდენი რამის თქმა შეუძლია ხელს პიეროს ნახატებში. სახელოს ნაკეცსაც კი. მე ეს ყველაფერი ვიცოდი, ამის შესახებ ბევრჯერ გვითხრეს დამეც არაერთხელ მითქვამს, მაგრამ ნამდვილად მხოლოდ დღეს ვიგრძენი. ვიგრძენი, რომ საუკუნე, რომელშიც ვცხოვრობთ, თვალთმაქცობისა და მისტიფიკაციის საუკუნეა. რამდენი ხალხი ლაპარაკობს ტაშიზმზე, კუბიზმზე. ამ „იზმ“-სა თუ იმ „იზმ“-ზე გრძელ-გრძელ ფრაზებს წარმოთქვამენ - სიტყვებისა და ფრაზების ვეებერთელა, ბლანტ შენა-

დედს, და ეს ყველაფერი მხოლოდ იმისთვის, რომ უბრალო ფაქტი დამალონ: შენ ან შეგიძლია ხატვა, ან - არა.

ბერტა მორიზოსავით მინდა ვხატავდე. მის ფერებსა და ფორმებს არ ვგულისხმობ. მინდა, მისთვის დამახასიათებელი უბრალოება და სინათლე იყოს ჩემს ნახატებში. სულაც არ მინდა ჭკვიანი, დიდი, „მნიშვნელოვანი“ მხატვარი გავხდე. არ მჭირდება ხელოვნებათმცოდნეების მოუქნელი, კაცური ეპითეტები. მე მინდა დავხატო მზის შუქი ბავშვების სახეზე, ყვავილები მწვანე სხლტეზე ან კიდევ ქუჩა გაზაფხულის წვიმის შემდეგ.

არსი და არა საგნები.

როგორ დასთამაშებს სინათლე ყველაფერს, თუნდაც უმნიშვნელოს.

მეტისმეტად სენტიმენტალური ხომ არ ვხდები?

დათრგუნული ვარ.

ისე შორს ვარ ყველაფრისგან. ადამიანური რამეებისგან. სინათლისგან. იმისგან, რაც მინდა ვიყო.

18 ოქტომბერი

ჯ.პ. - შენ მთელი შენი არსებით ხატავ. თავიდან სწავლობ, როგორ გააკეთო ეს. დანარჩენი გამართლებაზეა.

შესანიშნავი გადაწყვეტილებაა: სუსტი არ უნდა ვიყო.

ამ დილით ხილის ვაზის ჩანახატების მთელი სერია გავაკეთე. რახან კალიბანი მონდომებით მამარაგებს, არ მანაღვლებს, რამდენ ქაღალდს დავხარჯავ. „ჩამოვკიდე“ ისინი და ვთხოვე, მათ შორის საუკეთესო ამოერჩია. რა თქმა უნდა, ისინი აარჩია, რომლებიც ყველაზე მეტად ჰგავდა უბადრუკ ხილის ვაზას. შევეცადე რამე გამეგებინებინა მისთვის. ერთ-ერთი ჩანახატით წავიტრაბახე (რომელიც ყველაზე მეტად მომეწონა). ძალიან გამაღიზიანა, ეს ყველაფერი მისთვის არაფერს ნიშნავს და ეს

ცხადად მაგრძნობინა თავისი საცოდავი „მე თქვენს სიტყვას ვენდობის“ წალუღლუღებით. მისთვის პატარა ბავშვი ვარ, რომელიც თავს ირთობს.

ბრმაა. სრულიად ბრმა. სხვა სამყაროდანაა.

ჩემი ბრალია. თავს ვიწონებდი მის წინაშე. როგორ შეეძლო ჩასწვდომოდა ხელოვნების მაგიასა და მნიშვნელობას (ჩემი ხელოვნების კი არა, ზოგადად ხელოვნების), როცა მე ასეთი პატივმოყვარე ვიყავი?

ნასადილევს ვიკამათეთ. ყოველთვის მეკითხება, შეუძლია თუ არა, დარჩეს. ხანდახან ისეთ საშინელ მარტოობას ვგრძნობ, ისე მაქვს ყელში ამოსული ჩემი ფიქრები, რომ ნებას ვრთავ. მინდა, რომ დარჩეს. აი რას უშვება ადამიანს ციხე. უნდა გავაღწიო აქედან, უნდა გავაღწიო.

ატომურ განიარაღებაზე ვკამათობდით. რამდენიმე დღის წინ რაღაცები მეეჭვებოდა. ახლა - აღარ.

საუბარი მირანდასა და კალიბანს შორის

მ. - (მე ჩემს საწოლზე წამომჯდარი ვეწეოდი. კალიბანი თავის ჩვეულ ადგილზე იჯდა, გაღებულ რკინის კართან. გარე სარდაფში ვენტილატორი მუშაობდა) რას ფიქრობთ წყალბადის ბომბზე?

კ. - რა უნდა ვიფიქრო. ბევრს არაფერს.

მ. - რაღაცას ხომ უნდა ფიქრობდეთ.

კ. - იმედი მაქვს, თქვენ არ დაგეცემათ. და არც მე დამეცემა.

მ. - მგონი, არასდროს გქონიათ ურთიერთობა ისეთ ადამიანებთან, რომლებიც სერიოზულად აღიქვამენ იმას, რაც ხდება და სერიოზულად მსჯელობენ მომხდარის შესახებ (სახეზე წყენა დაეტყო). მაგრამ, მოდი, კიდევ ერთხელ ვცადოთ. რას ფიქრობთ წყალბადის ბომბზე?

კ. - თუკი რაიმე სერიოზულს ვიტყვი, თქვენ მაინც არ მიიღებთ სერიოზულად (დაჟინებით მივაჩერდი და თვალი არ მომიცილებია, სანამ არ განაგრძო). აქ ხომ ყველაფერი ცხადია. ჩვენ ვერაფერს ვიზამთ. თავს ვერაფრით ვუშველით.

მ. - თქვენთვის სულ ერთია, კაცობრიობას რა დაემართება?

კ. - და რა მნიშვნელობა აქვს, სულ ერთიც რომ არ იყოს?

მ. - ო, ღმერთო!

კ. - ჩვენ ვინ გვკითხავს რამეს.

მ. - მისმინეთ, თუ ჩვენ ბევრნი ვიქნებით, ჩვენ, ხალხი, ვისაც მიაჩნია, რომ ბირთვული იარაღი ბოროტებაა და წესიერმა ერმა, წესიერმა სახელმწიფომ გულშიც არ უნდა გაივლოს მისი ქონა, როგორი გარემოებაც არ უნდა შეიქმნას, მაშინ მთავრობა იძულებული იქნება ამას ანგარიში გაუწიოს. ასე არ არის?

კ. - ნეტავი თქვენ, რომ ამის იმედი გაქვთ.

მ. - და თქვენ რა გგონიათ, ქრისტიანობა როგორ იწყებოდა? ან კიდევ სხვა რაღაცები. ერთი მუჭა ხალხის მიერ, რომელთაც სწამდათ და სჯეროდათ.

კ. - და რუსები რომ დაგვესხან თავს, მაშინ რა ვქნათ? (ფიქრობს, რომ რაღაც ჭკვიანური თქვა!)

მ. - თუ არჩევანზე მიდგება საქმე, მე ვამჯობინებდი დავეპყარით, ვიდრე ატომური ბომბი ჩაგვეგდო მათთვის. და ამ აზრს არასოდეს შევიცვლი.

კ. - (ქიში და შამათი) ეგ პაციფიზმია.

მ. - რა თქმა უნდა. თქვენ იცით, რომ მე ოლდერმასტონიდან ლონდონამდე ფეხით ვიარე? მართალია, დრო თავზესაყრელად არ მაქვს, მაგრამ არ ვნანობ ქუჩაში საათობით დგომასა და პროკლამაციების გავრცელებას, კონვერტებზე მისამართების წერას, დავას თქვენნაირ უბადრუკ ხალხთან, რომელთაც არაფრის სჯერათ. რომლებიც მართლა იმსახურებენ, რომ ბომბი თავზე დაეცეთ.

კ. - ეგ არაფერს ამტკიცებს.

მ. - სასოწარკვეთილი ვარ (აქ, ცოტა არ იყოს, ვეშმაკობ, რასაც ვწერ, ყველაფერი არ მითქვამს, მაგრამ აქ მინდა ჩავწერო არა მხოლოდ ის, რაც მართლა ვუთხარი, არამედ ისიც, რისი თქმაც მინდოდა), სასოწარკვეთილი ვარ იმის გამო, რომ ადამიანებს ამ სამყაროში არა აქვთ საკმა-

რისი თანაგრძნობა, სიყვარული, საღი აზრი. იმის გამო, რომ ვინმეს შეუძლია თუნდაც ფიქრად გაივლოს ატომური ომი, ბომბის ჩამოგდების ბრძანების გაცემაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. იმის გამო, რომ ჩვენ, ვისაც ეს გვაღელვებს, ძალიან ცოტანი ვართ. იმის გამო, რომ ამდენი სისასტიკე, ბოღმა და ეჭვია ამქვეყნად. იმის გამო, რომ ტოტალიზატორში ბევრი ფულის მოგებამ სრულიად ნორმალური ახალგაზრდა კაცი შეიძლება გააბოროტოს და ის გააკეთებინოს, რაც თქვენ მე გამიკეთეთ.

კ. - ასეც ვიცოდი, რომ ყველაფერი აქამდე მივიდოდა.

მ. - ჰო, თქვენ ამის განუყოფელი ნაწილი ხართ. ყველაფერი თავისუფალი და წესიერი სამყაროში, პატარა, ბინძურ სარდაფებშია ჩაკეტილი ტლანქი, უგულო ადამიანების მიერ.

კ. - გიცნობთ რა შვილებიც ხართ. ყველანი თვლით, რომ მთელი ეს სამყარო ისე უნდა იყოს მოწყობილი, როგორც თქვენ გინდათ. ყველაფერი თქვენს ჭკუაზე უნდა მიდიოდეს.

მ. - აჯობებს ცოტა თავი გაანძრიოთ.

კ. - თქვენ ვერ მასწავლით, ვიცი, რასაც ვამბობ. მე რიგით ჯარისკაცად ვმსახურობდი ჯარში. ისეთებს, როგორიც მე ვარ, მხოლოდ ბრძანების შესრულების უფლება აქვთ (ამ დროს მართლა წონასწორობიდან გამოვიდა - რამდენადაც ეს საერთოდ შეეძლო) და გაჩენის დღეს აწყევლინებენ თუ არ შეასრულებენ.

მ. - თქვენ ვერც კი გაიგეთ, რა მოხდა თქვენს ცხოვრებაში. ახლა თქვენ მდიდარი ხართ და არავითარი მიზეზი არ გაქვთ, რომ ბედს ემდუროდეთ.

კ. - ფულში არ არის საქმე.

მ. - ყოველ შემთხვევაში, ახლა თქვენ ვერავინ ვერაფერს გიბრძანებთ.

კ. - თქვენ ჩემი საერთოდ არ გესმით.

მ. - მშვენივრად მესმის. მე ვიცი, რომ ტედი არა ხართ. მაგრამ სადღაც გულის სიღრმეში სწორედ სიძულვილს მალავთ იმის გამო, რომ მდგომარეობით ვიღაცაზე დაბლა დგახართ, რომ არ შეგიძლიათ თქვენი აზრი

სათანადოდ, მკაფიოდ გამოხატოთ. ვიღაცები ხულიგნობენ და ყველაფერს ლეწავენ გარშემო, თქვენ კი ამ დროს ზიხართ და მთელ სამყაროზე იბოღმებით. ზიხართ და თქვენს თავს ეუბნებით: „არაფერს არ გავაკეთებ ამ სამყაროსთვის, თითსაც არ გავანძრევ კაცობრიობისათვის, მხოლოდ ჩემს თავზე ვიზრუნებ, კაცობრიობას კი ჯანდაბამდე გზა ჰქონია (ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს განუწყვეტლივ სილას ვაწნავდი, ის კი ტკივილისგან ცახცახებდა). თქვენი აზრით, სხვა რა დანიშნულება აქვს ფულს, თუ მას არ გამოიყენებ? გესმით საერთოდ რაზე გელაპარაკებით?

კ. - მესმის.

მ. - აბა, რაზე?

კ. - თქვენ, რა თქმა უნდა, მართალი ხართ. როგორც ყოველთვის.

მ. - თქვენ კი, როგორც ყოველთვის, სარკასტული.

კ. - თქვენ მამიდაჩემს მაგონებთ, ენის. სულ იმაზე ლაპარაკობს, რას ჰგავს ახლანდელი ახალგაზრდობა, როგორ იქცევიან ადამიანებიო. უგულოები არიანო და ასეთი რამეები.

მ. - თქვენ ისე ლაპარაკობთ, თითქოს თავს იწონებთ იმით, რომ მართალი არა ხართ.

კ. - ჩაის დალევთ?

მ. - (ზეადამიანური ძალისხმევით) კარგი, მოდი, დავის გასაგრძელებლად დავუშვათ, რომ ყველა ის სიკეთე, რაც ადამიანს შეუძლია გააკეთოს კაცობრიობისათვის, ფაქტობრივად, არანაირ შედეგს არ გამოიღებს. ეს სასაცილოა, მაგრამ, დავუშვათ, ასეა. მაგრამ ეს ხომ ყველა ჩვენგანს ეხება. მე არ ვფიქრობ, რომ მოძრაობას ბირთვული განიარაღებისთვის თავიდან რამდენადმე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეეძლოს მთავრობის გადაწყვეტილებებზე. ეს ერთ-ერთი პირველი რამ არის, რასაც თვალი უნდა გავუსწოროთ. მაგრამ ამ მოძრაობის მონაწილეებს ღირსების გრძნობა აქვთ და აჩვენებენ თავის თავსაც და სხვებსაც, რომ მათთვის სულ ერთი არაა, რა დაემართება კაცობრიობას. აჩვენებენ სხვა ადამიანებს, ზარმაცებს, დაბოღმილებს, თქვენსავით უიმედოებს, რომ

არიან ისეთები, რომელთათვის ყველაფერი სულ ერთი არაა, ვისაც სამ-ყაროს ტკივილი გულთან მიაქვს. ისინი ცდილობენ შეგარცხვინონ თქვენ და გაიძულონ ამაზე იფიქროთ და იმოქმედოთ (ხმას არ იღებდა და და-ვუყვირე). თქვით რამე!

კ. - მესმის, რომ ეს ბოროტებაა.

მ. - ჰოდა, გააკეთეთ რაიმე, იმოქმედეთ (თვალებდაჭყეტილი მომა-ჩერდა, თითქოს მეთქვას, ატლანტის ოკეანე გადაცურეთ-მეთქი)! მომის-მინეთ, ერთ-ერთი ჩემი მეგობარი ფეხით ჩავიდა ესექსში, რათა ამერიკის სამხედრო ბაზასთან მისულიყო. გსმენიათ ამ მარშის შესახებ? ცხადია, ისინი, ჭიშკართანშეაჩერეს, გარკვეული ხნის შემდეგ კი დაცვის სერჟან-ტი გამოვიდა მათთან სასაუბროდ. კამათი დაიწყეს, ძალიან ცხარე კამა-თი. სერჟანტი ფიქრობდა, რომ ამერიკელები რაღაც შუა საუკუნეების რაინდების მსგავსი იყვნენ, ევროპა კი გასაჭირში ჩავარდნილი მანდი-ლოსანი, რომელიც მათ უნდა გამოეხსნათ. რომ ბომბი აუცილებლად სა-ჭიროაო და ასეთი რამეები. თანდათან, კამათში, მარშის მონაწილეებმა დაიწყეს იმის გაცნობიერება, რომ ის სერჟანტი სულაც არ იყო ურიგო ადამიანი, უფრო მეტიც, მათ ის მოეწონათ, იმიტომ რომ გულწრფელად და პატიოსნად იცავდა თავის შეხედულებებს და სჯეროდა იმის, რასაც ამბობდა. არა მხოლოდ ჩემი მეგობარი ჰყვებოდა ამის შესახებ, არამედ სხვებიც ამ აზრის იყვნენ. ერთადერთი რამ, რასაც მართლა მნიშვნელო-ბა აქვს, ის არის, რომ შენი იდეალების შესაბამისად ცხოვრობდე, თუ, რა თქმა უნდა, ეს იდეალები საკუთარი კეთილდღეობის მოწყობით არ შე-მოიფარგლება. ჩემმა მეგობარმა მითხრა, რომ ის ამერიკელი სერჟანტი უფრო ახლობლად მიაჩნდა, ვიდრე მოხითხითე იდიოტები, მარშის მსვლელობას რომ აყოლებდნენ თვალს. ეს ფეხბურთის თამაშს ჰგავს. ორივე მხარე ცდილობს გაიმარჯვოს, მოწინააღმდეგე დაჯაბნოს. მათ შე-იძლება სძულდეთ კიდეც ერთმანეთი, როგორც მეტოქე თამაშის დროს, მაგრამ თუკი ვინმე მივა და დაარწმუნებს მათ, რომ ფეხბურთი სისულე-ლეა, რომ ფეხბურთის თამაში და მით უმეტეს მასზე ნერვების წყვეტა არ

ღირს, მაშინ მათ ერთიანობის შეგრძნება გაუჩნდებათ და სწორედ ეს შეგრძნებაა ფასეული. ვერ იგებთ ამას?

კ. - მე მეგონა, თქვენ წყალბადის ბომბზე ლაპარაკობდით.

მ. - წადით აქედან, წადით. დამქანცეთ. ისეთ ზღვას ჰგავხართ, რომელშიც წყლის მაგივრად ბამბაა.

კ. - (მაშინვე წამოდგა) მე მართლა მიყვარს თქვენი ლაპარაკის მოსმენა და ყოველთვის ვფიქრობ იმაზე, რაც თქვენ თქვით.

მ. - არა, ასე არ არის. თქვენ თქვენი ტვინი საწყობად აქციეთ, სადაც ყველაფერს, რასაც მე ვამბობ, გულდასმით შეფუთავთ ხოლმე და ის სამუდამოდ ქრება.

კ. - ფულის გაგზავნა რომ მოვინდომო მათთვის... რა ჰქვიათ მაგათ... რა მისამართზე უნდა გავგზავნო?

მ. - რომ ჩემი მოწონება იყიდოთ?

კ. - რა არის ამაში ცუდი?

მ. - ფული, რა თქმა უნდა, გვჭირდება, მაგრამ კიდევ უფრო მეტად თანაგრძნობა გვჭირდება. რომ გასცეთ, გასაცემი უნდა გქონდეთ. მე კი მგონია, რომ თქვენ ამ მხრივ გასაცემი არაფერი გაქვთ. ამ მატჩს მხოლოდ ტოტალიზატორის ბილეთის შევსებით ვერ მოიგებთ.

კ. - (უხერხული პაუზის შემდეგ) კარგი, მაშინ საღამომდე.

(კალიბანი გავიდა. ბალიშს ისე მაგრად დავარტყი მუშტი, რომ მას შემდეგ საყვედურით მიყურებს).

(საღამოს - ვიცოდი, რომ ამას შევძლებდი, ვიცოდი, რომ ჩემსას მივაღწევდი - ხვეწნით, პირფერობით, დაცინვით ვაიძულე ასი გირვანქის ჩეკი გამოეწერა. შემპირდა, რომ ხვალვე გაგზავნის. ვიცი, რომ სწორად მოვიქეცი. სულ რაღაც ერთი წლის წინ საკითხის მორალური მხარე შემაწუხებდა, როგორც მაიორ ბარბარას. მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს მოძრაობას ფული ჰქონდეს, მიუხედავად იმისა, თუ ვინ და რატომ გამოგვიგზავნის).

19 ოქტომბერი

გარეთ ვიყავი გასული.

მთელი დღე პიეროს ასლებს ვაკეთებდი და რაღაც იმის მსგავსი განწყობა მქონდა, ჩვეულებრივ, ნორმალურ პირობებში რომ მიჩნდებოდა ხოლმე: სადმე, გარეთ გასვლა მინდოდა - კინოში ან ბარში - უბრალოდ, გარეთ.

ვეხვეწებოდი, აქედან გავეყვანე. მონასავით მორჩილად ვიქცეოდი. შემკარით, ოღონდ კი სუფთა ჰაერზე გამიყვანეთ-მეთქი, ვუთხარი.

ხელები შემიკრა, პირი ამიკრა, მკლავში ხელი მაგრად ჩამავლო და ბაღში გავედით. საკმაოდ დიდი ბაღია, მაგრამ სრული სიბნელე იყო და ბილიკისა და ხეების გარდა ვერაფერს ვხედავდი. სახლი განმარტოებით, სადღაც მიყრუებულ ადგილას დგას.

შემდეგ, მოულოდნელად, ამ სიბნელეში ვიგრძენი, რომ მას რაღაც ემართება. მისი სახე არ დამინახავს, მაგრამ როგორღაც უცებ შემეშინდა - უცებ მივხვდი, რომ უნდოდა ეკოცნა ან კიდევ რაღაც უარესი. ალაპარაკდა, შეეცადა ეთქვა, რომ ბედნიერია. ძალიან დაძაბული ხმა ჰქონდა, მოგუდული. შემდეგ მითხრა, რომ, ჩემი აზრით, მას ძლიერი გრძნობის განცდა არ შეეძლო, რაც ასე არ იყო. საშინელებაა, როცა ლაპარაკი არ შეგიძლია. ჩვეულებრივ მისგან ჩემი დამცველი ჩემი ენაა - ჩემი ენა და ჩემი გამომეტყველება. ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ საშინლად აღგზნებული იყო.

მე კი მომაჯადოებელ სუფთა ჰაერს ვსუნთქავდი, ბაღის ჰაერს. კარგი იყო, ისეთი კარგი, რომ ვერც კი აღვწერ. ცოცხალი, ბალახისა და ხეების სუნით სავსე, სოფლის და ღამის იდუმალი, ნოტიო სურნელით გაჟღენთილი.

შემდეგ მანქანამ ჩაიარა. გამოდის, რომ სახლის წინ მანქანების სავალი გზაა. როგორც კი ძრავას ხმა გაიგონა, თითები უფრო ძლიერად მომიჭირა მკლავზე. გულში ვლოცულობდი, რომ მანქანას გაეჩერებინა, მაგრამ მისმასინათლემ გაიელვა და სახლს მიღმა გაუჩინარდა.

საბედნიეროდ, ამაზე წინასწარ მქონდა ნაფიქრი. თუკი ოდესმე გაქცევას შევეცდებოდი და არაფერი გამომივიდოდა, გარეთ გამოსვლის ნებას აღარასოდეს დამრთავდა. ამიტომ თავს აჩქარების უფლებას ვერ მივცემდი. იქ, მაშინ, მივხვდი, რომ ის უმალ მომკლავდა, ვიდრე ხელს გამიშვებდა, უცებ გაქცევა რომ მეცადა (თუმცა ვერც ვეცდებოდი, ხელი მარწუხივით ჰქონდა ჩემს მკლავზე შემოჭდობილი).

საშინელება იყო. იცი, რომ ადამიანები ახლოს არიან და არაფერი იციან შენი გაჭირვების შესახებ.

მკითხა, კიდევ ხომ არ შემოვუაროთ ბაღსო, მაგრამ თავი გადავაქნიე. ძალიან შეშინებული ვიყავი.

როცა სარდაფში ჩავედით, ვუთხარი, რომ მინდოდა მასთან სექსთან დაკავშირებული საკითხები გამერკვია.

ვუთხარი, რომ თუ ჩემს გაუპატიურებას მოინდომებდა, წინააღმდეგობას არ გავუწევდი, ნებას მივცემდი გაეკეთებინა რაც სურდა, მაგრამ აღარასოდეს დაველაპარაკებოდი. ვუთხარი, რომ მერე თვითონაც შერცხვებოდა საკუთარი თავის. უბადრუკი არსება - ის უკვე ისედაც საკმარისად დარცხვენილი ჩანდა. ეს მხოლოდ წამიერი სისუსტე იყოო, მიპასუხა და, ნაძლევს ჩამოვალ, შვებით ამოისუნთქა, როცა თავი გარეთ დაიგულა.

ვინ დაიჯერებს, რომ ასეთი რამ შესაძლებელია. მე მთლიანად მის ხელში ვარ, მისი პატიმარი ვარ, მაგრამ სხვა ყველაფერში მდგომარეობის ბატონ-პატრონი მე ვარ. მესმის, რომ ყველა საშუალებით ცდილობს სწორედ ასე ვიფიქრო - ეს მისი ხერხია, იმისთვის გამიზნული, რომ რაც შეიძლება ნაკლები ვინერვიულო.

ასეთივე რამ მოხდა, როცა გასულ ზაფხულს დონალდთან ერთად ვიყავი. შევეჩვიე იმ აზრს, რომ ის ჩემია, რომ მის შესახებ ყველაფერი ვიცოდი და თავი თავმოყვარეობაშელახულად ვიგრძენი, როცა იტალიაში ისე გაემგზავრა, არაფერი მითხრა. არა იმიტომ, რომ სერიოზულად ვიყავი მასზე შეყვარებული, არამედ იმიტომ, რომ ქვეცნობიერად მას ჩემად ვთვლიდი, ის კი ჩემი ნებართვის გარეშე წავიდა.

სრულ იზოლაციაში ვყავარ. არც გაზეთები, არც რადიო. არც ტელევიზორი. საშინლად მინდა ახალი ამბების გაგება. ადრე არაფერი ამის მსგავსი არ მიგრძნია. ახლა კი, ასე მგონია, სამყარომ საერთოდ შეწყვიტა არსებობა.

ყოველდღე ვთხოვ გაზეთები მომიტანოს, მაგრამ ეს ერთ-ერთი რამ არის, რასაც ცოცხალი თავით არ თმობს. მიზეზი ვერ გამიგია. უცნაურია. ვიცი, რომ თხოვნას აზრი არა აქვს, მაინც ვერ გადავათქმევინებ. ეს იგივეა, ვთხოვო, უახლოეს სადგურში მანქანით წამიყვანოს და მატარებელში ჩამსვას.

ხომ ასეა, მაგრამ მაინც არ შევწყვეტ თხოვნას.

თუ რამე საფიცარი აქვს, იფიცებს, რომ ბირთვული განიარაღებისათვის მოძრაობის ფონდს ფული გადაურიცხა, მაგრამ დარწმუნებული არა ვარ, ქვითარი უნდა მოვთხოვო.

საინტერესო შემთხვევა. დღეს სადილად ვუსტერული სოუსი მინდოდა. კალიბანს თითქმის არასდროს ავიწყდება ყველაფრის მოტანა, რაც შეიძლება დამჭირდეს, მაგრამ ამჯერად სოუსი დაავიწყდა. ადგა, გარეთ გავიდა, მოხსნა ურდული, რომელსაც ღია კარი ეჭირა, დახურა და ჩაკეტა კარი, გარე სარდაფში სოუსი აიღო, კარი გააღო, ურდული ხელახლა გაუკეთა და უკან დაბრუნდა. სიცილი რომ დავიწყე, გაკვირვებული მიყურებდა.

კარის გაღება-დაკეტვის პროცედურაში არასდროს არც ერთ დეტალს არ გამოტოვებს. კიდეც რომ მოვახერხო და გარე სარდაფში ხელშეუკრავი გავვარდე, მერე რა? მის გამოკეტვას თავისსავე მიწისქვეშეთში მაინც

ვერ შევძლებ, სარდაფიდან გარეთ გამოსვლასაც ვერ შევძლებ. შანსი მხოლოდ მაშინ შეიძლება მომეცეს, როცა ლანგრით შემოდის. ამ დროს ხანდახან ღია კარს ურდულით არ ამაგრებს, ამიტომ, თუ ამ დროს მის გვერდით გასხლტომას მოვახერხებ, მის ჩაკეტვას შევძლებ. მაგრამ ის არაფრით შემოდის, თუ კართან ახლოს ვდგავარ. ჩვეულებრივ მე მივდივარ და ლანგარს ვართმევ.

რამდენიმე დღის წინ ეს არ გავაკეთე. კედელს მივეყრდენი კართან და გავჩერდი. მითხრა, თუ შეიძლება, იქით გაიწიეთო, მე კი ვუყურებდი და ვდუმდი. მან ლანგარი გამომიწოდა. ყურადღება არ მივაქციე. იდგა და, ეტყობოდა, ყოყმანობდა, შემდეგ ფრთხილად დაიხარა, ისე, რომ თვალი არ მოუცილებია, ჩემს ყველა მოძრაობას აკვირდებოდა, ლანგარი კარის ზღურბლზე დადო და გარე სარდაფში გავიდა.

მე მშიერი ვიყავი. მან გაიმარჯვა.

არაფერი მშველის. არ მეძინება.

რაღაც უცნაური დღე იყო. აქაც კი უცნაურად რომ მოგეჩვენება.

ამ დილით კიდევ გადამიღო სურათები. ბევრად მეტი სურათი. მართლა სიამოვნებს ამის კეთება; სიამოვნებს, როცა ვიცინი ობიექტივის წინ, ამიტომ ორჯერ დავიჭყანე. სულაც არ მოსჩვენებია სასაცილოდ, შემდეგ თმა ხელით ავიწიე და პოზაში დავდექი მოდელივით.

- თქვენგან შესანიშნავი მოდელი დადგებოდა, - მითხრა. - ვერც კი მიხვდა, რომ პაროდირებას ვაკეთებდი და საერთოდ პოზირებას დავცინოდი.

ვიცი, რატომაც მოსწონს ფოტოგრაფიასთან დაკავშირებული ამბები. მას სურს დამიმტკიცოს, რომ თვითონაც ხელოვანია. მაგრამ, რა თქმა უნდა, მას ხელოვანის არაფერი სცხია, არა აქვს ალღო. ფოკუსში მომაქცევს და მეტი არაფერი, არავითარი წარმოსახვა.

წარმოუდგენელია. პირდაპირ რაღაც მისტიკაა, მაგრამ ჩვენ შორის ურთიერთობის მსგავსი რამ მაინც გაჩნდა. მასხრად ვიგდებ, განუწყვეტლივ თავს ვესხმი, მაგრამ მშვენივრად გრძნობს, „რბილი“ როდის ვარ.

როდის შეუძლია საპასუხო თავდასხმა განახორციელოს ისე, რომ არ გამაბრაზოს. თითქმის მეგობრულადაც კი ვკენწლავთ ხოლმე ერთმანეთს. ეს ნაწილობრივ იმიტომ ხდება, რომ ასე მარტო ვარ, ნაწილობრივ კი განგებ ვაკეთებ (მინდა რომ მოდუნდეს, რაც მისთვისაც სასარგებლო იქნება, რადგან ყოველთვის ძალიან დაძაბულია და იმისთვისაც, რომ იქნებ ერთ დღეს შევძლო და შეცდომა დავაშვებინო). ასე რომ, ეს ნაწილობრივ სისუსტეა, ნაწილობრივ ეშმაკობა და ნაწილობრივ ქველმოქმედება. მაგრამ აქ არის კიდევ იდუმალებით მოცული მეოთხე ნაწილი, რომლის სიტყვებით გადმოცემას ვერ ვახერხებ. ეს არ შეიძლება მეგობრობა იყოს. მე ხომ ის მეზიზღება.

შეიძლება საქმე ისაა, რომ მას ვიცნობ. ძალიან ბევრი რამ ვიცი მის შესახებ და როცა ადამიანს კარგად იცნობ, ეს თავისთავად გაახლოებს მასთან, მაშინაც კი, როცა ნატრობ ის სადღაც, სხვა პლანეტაზე ცხოვრობდეს.

ჩემი აქ ყოფნის პირველ დღეებში, როცა ჩემს ოთახში იყო, არაფრის გაკეთება არ შემეძლო. თავს ისე ვაჩვენებდი, თითქოს ვკითხულობდი, მაგრამ კონცენტრირებას ვერ ვახერხებდი. ახლა კი ხანდახან საერთოდ მავიწყდება, რომ აქაა. კართან ჯდება, მე კი ჩემს სავარძელში ვზივარ და ვკითხულობ. დიდი ხნის წინ დაქორწინებულ წყვილს ვგავართ.

ცხადია, არ დამვიწყებია, სხვა ადამიანები როგორ გამოიყურებიან, უბრალოდ, ისინი თითქოს რეალობას მოწყდნენ. ჩემს სამყაროში ერთადერთი რეალური პიროვნება კალიბანია.

შეუძლებელია ამის გაგება, მაგრამ ასეა.

20 ოქტომბერი

დილის თერთმეტი საათია.

ეს-ეს არის გაქცევა ვცადე.

აი რა გავაკეთე: გადავწყვიტე მომეცადა მისთვის, სანამ ურდულს მოხსნიდა - კარი გარეთ იღება - და შემდეგ რაც შეიძლება ძლიერად კარისთვის ხელი მეკრა. კარი ხისაა და ლითონი მხოლოდ ჩემი მხრიდან აქვს აკრული, მაგრამ ძალიან მძიმეა. ვიფიქრე, რომ, თუ დროს კარგად შევურჩევდი, მის წაქცევას შევძლებდი.

როგორც კი კარი გაიღო, ძალა მოვიკრიბე და რაც შემეძლო ძლიერად ვკარი ხელი. წაიქცა და ოთახიდან გამოვვარდი. რა თქმა უნდა, ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, რამდენად ძლიერად მოხვდებოდა კარი, რამდენად დააკარგვინებდა წონასწორობას. მაგრამ კალიბანმა წარბიც არ შეიხარა. დარტყმის მთელი სიმძიმე, ეტყობა, მის მხარზე მოვიდა. კარი ანჯამებში საკმაოდ ნელა მოძრაობს.

შეძლო და ჯემპრში ჩამავლო ხელი. წამიერად მასში იმ მეორე მხარემ გაიელვა, რომელსაც ყოველთვის ვგრძნობდი - აგრესიულობამ, ზიზღმა და ურყევმა გადაწყვეტილებამ, არავითარ შემთხვევაში არ გავეშვი. კარგი-მეთქი, ვუთხარი, ხელი გავაშვებინე და ოთახში შევედი.

მითხრა, შეიძლებოდა ტკივილი მოგეყენებინათ ჩემთვის, კარი ძალიან მძიმეაო.

მე ვუპასუხე, ყოველი წამი, რაც აქ გყავართ დამწყვდეული, ტკივილს მაყენებს-მეთქი.

- მე კი ვფიქრობდი, რომ პაციფისტები ადამიანისთვის ტკივილის მიყენების წინააღმდეგი არიან, - თქვა მან.

მხოლოდ მხრები ავიჩეჩე და სიგარეტს მოვუკიდე. მთელი სხეულით ვკანკალებდი.

ჩვეული დილის რიტუალი ბოლომდე უჩუმრად შეასრულა. ერთიორჯერ დემონსტრაციულად მოისრისა მხარი და ამით დამთავრდა ყველაფერი.

ახლა ვაპირებ ქვებს კარგად დავაკვირდე, იქნებ რომელიმე მორყე-

ულია და პატარა გვირაბის გამოთხრა შევძლო. ამ შესაძლებლობაზე ადრეც ვფიქრობდი, მაგრამ მთელი ეს მიწისქვეშეთი არ შემიმოწმებია, კედელსა და იატაკში თითოეულ ქვაზე არ მიმიკაკუნებია.

საღამოა. ეს-ეს არის წავიდა. ვახშამი მომიტანა, მაგრამ ძალიან წყნარად იყო. გამკიცხავი დუმილი. გამეცინა კიდეც, როცა წავიდა და ჭურჭელი გაიყოლა. ისე იქცევა, თითქოს მე უნდა მრცხვენოდეს ჩემი საქციელის.

კარის ოინზე უკვე აღარ წამოეგება, მორყეული ქვაც ვერ აღმოვაჩინე, ყველა მაგრადაა ჩაკირული. მე მგონი, ესეც გაითვალისწინა - ისე როგორც სხვა ყველაფერი.

თითქმის მთელი დღე ჩემს მდგომარეობაზე ვფიქრობდი. რა დამემართება? არასდროს არ მიგრძნია მომავლის განჭვრეტის შეუძლებლობა ისე აშკარად, როგორც ახლა. რა მოხდება? რა?

არა მხოლოდ დღევანდელ დღეზე და ამ სიტუაციაზე ვფიქრობ. რა იქნება, როცა აქედან გავალ? რას გავაკეთებ? მინდა გავთხოვდე, მინდა შვილები მეყოლოს. მინდა ჩემს თავს დავუმტკიცო, რომ არაა აუცილებელი, ყველა ოჯახი ჩემი მშობლების ოჯახს ჰგავდეს. მე ზუსტად ვიცი, ჩემი ქმარი როგორი უნდა იყოს. მას ჯ.პ.-ის ინტელექტი უნდა ჰქონდეს, ოღონდ ასაკით გაცილებით ახლოს უნდა იყოს ჩემთან, და ისეთი გარეგნობის, მე რომ მომწონს და მისი ის ერთი საშინელი მიდრეკილება არ უნდა ჰქონდეს. მინდა იმის ხორცშესხმა შევძლო, რასაც ცხოვრების შესახებ ვგრძნობ. არ მინდა ჩემიშესაძლებლობები ამაოდ გავფლანგო. არ მინდა მხოლოდ იმისთვის შევქმნა, რომ რაღაც შევქმნა. მე მინდა მშვენიერება შევქმნა. ქორწინება და დედობა სწორედ ამიტომ მაშინებს - არ მინდა ყოველდღიურ საოჯახო საქმეებში ჩავეფლო - ჩვილის, კერძის მზადების, საყიდლების სამყაროში. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ჩემი არსების ის ნაწილი, რომელსაც სახელად უქნარა ძროხა შეეფერება, გაიხარებდა, თუ ამ ყველაფერში ჩაეფლობოდა, დაივიწყებდა, რა მისწრაფებები ჰქონდა ოდესღაც, ან რაღაც უბადრუკი წვრილმანი საქმეებით

დაკავდებოდა, იაფფასიანი ილუსტრაციებით და კომერციული რაღაცებითაც კი, რომ ოჯახს წაშველებოდა. ან დ-ის მსგავს საცოდავ, ბუზღუნა ლოთად იქცეოდა (არა, მისი მსგავსი ნამდვილად არასოდეს გავხდები) ან, რაც კიდევ უფრო ცუდია, კეროლაინისნაირი გახდებოდა, რომელიც ასე გულისამაჩუყებლად ცდილობს მისდიოს თანამედროვე ხელოვნებას და თანამედროვე შეხედულებებს, მაგრამ ვერ ახერხებს, რადგან გულის სიღმეში ეს ყველაფერი მისთვის სრულიად უცხოა და ამას ვერ იგებს.

აქ, ამ მიწისქვეშეთში, სულ ვფიქრობ და ვფიქრობ. ისეთი რამეების გაგებას ვიწყებ, რაზეც ადრე არ მიფიქრია.

ორი რამ. პირველ რიგში დ. ადრე არასოდეს ვფიქრობდი დ-ზე ობიექტურად, როგორც სხვა ადამიანზე, არამედ მხოლოდ როგორც დედაზე, რომელიც არ მიყვარდა და რომელიც მერცხვინებოდა. არადა, ის ყველაზე უბედურია იმ უბედურთაგან, ვინც კი ოდესმე მინახავს, ან ვის შესახებაც ოდესმე მსმენია. არასოდეს გამომიხატავს მისდამი თანაგრძნობა. მთელი წლის განმავლობაში, რაც ლონდონში წავედი, იმის მეათედი ყურადღება არ გამომიჩენია მის მიმართ, რაც ამ ზემოთ მცხოვრები პირუტყვის მიმართ გამოვიჩინე მხოლოდ ამ ბოლო კვირაში. ახლა ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ განვაცვიფრებდი, გავაშტერებდი ჩემი სიყვარულით. არასდროს ადრე, მთელი ამ წლების მანძილზე, არ გამჩენია ასეთი შეცოდების გრძნობა მის მიმართ. ყოველთვის თავს ვიმართლებდი, საკუთარ თავს ვეუბნებოდი, რომ მის გარდა ყველას მიმართ კეთილი და მომთმენი ვარ, და რადგან მხოლოდ მასთან არ შემიძლია ვიყო ასეთი, ერთი გამონაკლისი ხომ მაინც უნდა ჰქონდეს წესს-მეთქი. მაგრამ, რა თქმა უნდა, მართალი არ ვიყავი. სწორედ ის არ შეიძლებოდა ყოფილიყო საერთო წესიდან გამონაკლისი.

მე და მინი ხშირად ვერ ვიტანდით მ-ს იმის გამო, რომ დედას ეგუებოდა, არადა ამის გამო მუხლი უნდა მოგვეყარა მის წინაშე.

მეორე, ვისზეც ვფიქრობ, ჯ.პ.-ია.

მასთან პირველი შეხვედრის შემდეგ ყველას ვეუბნებოდი, არაჩვეულებრივი ადამიანია-მეთქი, შემდეგ საწინააღმდეგო რეაქცია მქონდა - ვფიქრობდი, რომ, ქარაფშუტა სკოლის გოგონასავით, კერპს ვქმნიდი მისგან. ეს მეორე უკიდურესობა იყო. ეს ყველაფერი მაღელვებდა. იმიტომ რომ მან ისე შემცვალა, როგორც არავის და არაფერს შევუცვლივარ. უფრო მეტად, ვიდრე ლონდონმა, უფრო მეტად, ვიდრე სლეიდის სასწავლებელმა.

არა მხოლოდ იმიტომ, რომ მას გაცილებით მეტი უნახავს ცხოვრებაში, გაცილებით დიდი გამოცდილება აქვს მხატვრობაში და ცნობილი ადამიანია. საქმე ისაა, რომ ის რასაც ფიქრობს, იმას ლაპარაკობს და ყოველთვის მაიძულებს ვიაზროვნო - ეს კი ძალიან ბევრს ნიშნავს. მაიძულებს შეკითხვები გამიჩნდეს საკუთარი თავის მიმართ. ხშირად არ ვეთანხმებოდი, მაგრამ მოგვიანებით აღმოვაჩენდი ხოლმე, რომ სხვას ვუმტკიცებდი იმას, რასაც ის მიმტკიცებდა, რომ მისი კრიტერიუმებით ვმსჯელობდი ადამიანებზე.

მან თითქოს ჩამომფერთხა მთელი ჩემი სისულელე (ყოველ შემთხვევაში, მისი ნაწილი მაინც), ჩემი აბდაუბდა, კუდაბზიკა წარმოდგენები ცხოვრებასა და თანამედროვე ხელოვნებაზე, ჩემი „არაამქვეყნიურობა“. სრულიად სხვა გავხდი მას შემდეგ, რაც მან განაცხადა, რომ „არაამქვეყნიურ“ ქალებს ვერ იტანს. ეს სიტყვაც კი მისგან ვისწავლე.

აი ჩამონათვალი იმ პრინციპებისა, რომლებიც მან მაიძულა მიმეღო, ან პირდაპირ, ან იმით, რომ მოწონებას გამოხატავდა ამა თუ იმ შემთხვევაში.

1. თუ შენ ჭეშმარიტი ხელოვანი ხარ, მთლიანად უძღვნი შენს თავს ხელოვნებას. თუნდაც მცირედი გადახრა და შენ ხელოვანი აღარ ხარ. ყოველ შემთხვევაში, არ ხარ „შემოქმედი“ - როგორც ის ეძახის.

2. ერიდე უხვსიტყვაობას. ნუ ლაქლაქებ წინასწარ მომზადებულ თემებსა და იდეებზე, რათა მსმენელებზე შთაბეჭდილება მოახდინო.

3. პოლიტიკაში მემარცხენეების თვალსაზრისზე უნდა იდგე, რადგან

მხოლოდ სოციალისტები, მიუხედავად მათი შეცდომებისა, არ არიან გულგრილი. მათ თანაგრძნობის უნარი გააჩნიათ. ისინი ცდილობენ სამყარო უკეთესობისკენ შეცვალონ.

4. შენ ყოველთვის უნდა ქმნიდე. თუკი რაიმესი გჯერა, უნდა იმოქმედო. მხოლოდ ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რის გაკეთებას აპირებ, იმას ჰგავს, იტრაბახო ნახატით, რომელიც ჯერ არ დაგიხატავს. ეს უკვე უბრალოდ ცუდი კი არა, უკიდურესად ცუდი ტონია.

5. თუ რაიმეს ღრმად გრძნობ, ნუ გრცხვენია მისი გამჟღავნება.

6. შეეგუე იმას, რომ ინგლისელი ხარ. ნუ ცდილობ გახდე ფრანგი ან იტალიელი, ან კიდევ ვიღაც (მაგალითად, პირსი ყოველთვის ყველას ეუბნება, რომ ამერიკელი ბებია ჰყავს).

7. ნუ წახვალ კომპრომისზე საკუთარ თავთან. მოიკვეთე შენში ყველაფერი, რაც ხელს გიშლის შემოქმედი გახდე. თუ პროვინციელი ხარ (დ. და მ. ტიპური პროვინციელები არიან, მიუხედავად იმისა, რომ დასცინიან თავიანთ პროვინციულ გარემოს), მოიშორე პროვინციული გავლენა. თუმუშათა კლასს ეკუთვნი, მუშათა კლასის გავლენები მოიშორე. და საერთოდ ყველანაირი კლასის გავლენა უნდა მოიშორო, რადგან სისულელე და პრიმიტივიზმია, საკუთარი თავი რომელიმე კლასის ცნობიერებით შეზღუდო.

(და არა მხოლოდ მე მაიძულა. როცა ლუიზას მეგობარი, უელსელი მეშახტის ვაჟი ჯ. პ-ს შეხვდა, კამათი მოუვიდათ, კინაღამ მუშტიკრივამდე მივიდა საქმე. ჩვენ ყველანი ჯ.პ-ის წინააღმდეგ განვეწყვეთ, რადგან ის ზიზღით ლაპარაკობდა მუშათა კლასზე და მათი ცხოვრების ნირზე. ისინი ადამიანები კი არა, ცხოველები არიანო, ამბობდა და დევიდ ევანსი, გაფითრებული და სიბრაზისგან ენადაბმული, ეუბნებოდა, როგორ ბედავთ იმის თქმას, რომ მამაჩემი პირუტყვია და წიხლებით უნდა ჩამოვიშორო გზიდანო. ჯ.პ. კი პასუხობდა, მე ცხოველისთვისაც კი არ დამირტყამს არასდროს ცხოვრებაში, იმისთვის, რომ ადამიანს დავარტყა, ყო-

ველთვის მოიძებნება მიზეზი, მაგრამ ადამიანები, რომლებიც იძულებულები არიან ცხოველებივით იცხოვრონ, გულწრფელ თანაგრძნობას იმსახურებენო. ცოტა ხნის შემდეგ, გასულ თვეში, დევიდი მოვიდა ჩემთან და აღიარა, იმ საღამომ მაიძულა ჩემი შეხედულებები შემეცვალაო).

8. გძულდეს ეროვნულ საკითხებთან დაკავშირებული პოლიტიკური ამბები. გძულდეს ყველაფერი პოლიტიკაში, ხელოვნებაში, ნებისმიერ სხვა სფეროში, რაც არ არის ჭეშმარიტი, ღრმა, სასიცოცხლოდ აუცილებელი. ნუ ფლანგავ დროს სულელურ, ტრივიალურ რამეებზე. იცხოვრე სერიოზულად. ნუ წახვალ სულელური ფილმების სანახავად, მაშინაც კი, თუ ძალიან გინდა. ნუ კითხულობ იაფფასიან გაზეთებსა და ჟურნალებს, ნუ უსმენ იმ აბდაუბდას, რადიოთი და ტელევიზიით რომ გადმოსცემენ. ნუ ფლანგავ დროს ყბედობაში, უაზრო ლაპარაკში. გამოიყენე შენი ცხოვრების ყოველი წუთი.

მე ალბათ ყოველთვის მინდოდა ამ პრინციპებით მეცხოვრა. როგორღაც ქვეცნობიერად ვიზიარებდი მათ ჯერ კიდევ მასთან შეხვედრამდე, მაგრამ სწორედ მან მაიძულა მიმეღო ისინი და ჯ.პ.-ზე ფიქრისას სინდისის ქენჯნას ვგრძნობ, თუკი წესებს ვარღვევ.

და თუ მან მაიძულა ამ პრინციპების მიღება, ეს იმას ნიშნავს, რომ სწორედ მან შექმნა ჩემი ახალი „მე“, ყოველ შემთხვევაში - მისი დიდი ნაწილი.

მე რომ ჯადოქარი ნათლია მყავდეს, რომელიც ნატვრას შემისრულებდა... გევედრები, გააახალგაზრდავე ის ოცი წლით და ფიზიკურად მიმზიდველი გახადე ჩემთვის.

როგორი ზიზღით ჩაიცინებდა, ეს რომ გაეგონა.

რა უცნაურია (ცოტა არ იყოს, დამნაშავედაც კი ვგრძნობ თავს), დღეს, წინა დღეებთან შედარებით, ბედნიერი ვარ. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდება. ნაწილობრივ იმიტომაც, რომ ამ დილით რაღაც გავაკეთე - გაქცევა ვცადე. გარდა ამისა, კალიბანმა მიიღო ჩემ მიერ წაყენებული პირობები. იმის თქმა მინდა, რომ თუ ის

ოდესმე თავს დამესხმება, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მას განვარისხებ (როგორც დღეს). ხანდახან საოცარი თვითკონტროლის უნარს ამჟღავნებს.

გულზე კიდევ იმიტომ მომეშვა, რომ თითქმის მთელი დღე აქ არ ვყოფილვარ. ძირითადად ჯ.პ.-ზე ვფიქრობდი, ფიქრით მასთან ვიყავი, მის სამყაროში, და არა აქ. იმდენი რამ გამახსენდა. სიამოვნებით ჩავიწერდი ამ ყველაფერს. მოგონებებში გადავეშვი. ამ მიწისქვეშა სამყაროში ჯ.პ.-ის სამყარო ისეთი რეალური გეჩვენება, ისეთი ცოცხალი და მშვენიერი. მისი არასახარბიელო მხარეებიც კი.

და ნაწილობრივ იმიტომაც, რომ ჩემს პატივმოყვარეობას მალამოდ ედებოდა ჯ.პ.-ის სიტყვების გახსენება, რომლებიც ჩემთვის ან სხვებისთვის უთქვამს. ვფიქრობდი, რომ მე მაინც განსაკუთრებული ადამიანი ვარ, ჭკვიანი, და, ჩემი თანატოლების უმრავლესობისგან განსხვავებით, ცხოვრებისეულ საკითხებში უკეთ გარკვევას ვიწყებ. . იმდენი ჭკუაც მყოფნის, რომ არ ვიამაყო ამით, პატივმოყვარეობამ არ ამიტანოს, არამედ ვიყო მადლობელი, ვიყო უსაზღვროდ ბედნიერი (მით უმეტეს, ამ ყველაფრის შემდეგ), რომ ცოცხალი ვარ, რომ ვარ ის, ვინც ვარ - მირანდა, ერთადერთი და განუმეორებელი.

არავის არასდროს ვაჩვენებ ამ ჩანაწერებს. მაშინაც კი, თუ ეს ყველაფერი ჭეშმარიტებაა, მეტისმეტად პატივმოყვრულად ჟღერს.

ზუსტად ისევე, როგორც არასდროს ვამჟღავნებ იმას, რომ ვიცი - ლამაზი ვარ. სხვებს წარმოდგენაც კი არა აქვთ, რომ ნემსის ყუნწში ვძვრებოდი, ოღონდ კი ამ უპირატესობით არ მესარგებლა. იმიტომ, რომ ეს უსამართლობაა. გულგრილობით ვპასუხობდი მამაკაცების აღტაცებულ მზერებს, მათ შორის ძალიან სიმპათიური მამაკაცებისაც.

მინი. ერთხელ აღფრთოვანებული ვაქებდი მის ახალ კაბას, რომლითაც საცეკვაოდ აპირებდა წასვლას, მან კი მითხრა:

- მოკეტე რა. შენ ისეთი ლამაზი ხარ, მორთვაც არ გჭირდება.

ჯ.პ.-მ კი მითხრა:

- თქვენი სახე ყველანაირი შეიძლება იყოს.

რა სისასტიკეა.

21 ოქტომბერი

იძულებულს ვხდი უკეთესად მოამზადოს საჭმელი. ავკრძალე გაყინული პროდუქტები. ჩემთვის ხილი, მწვანილი, ახალი ბოსტნეულია საჭირო. სტეიკი მოამზადა. ორაგული იყიდა. გუშინ კი ხიზილალა შევუკვეთე. ჩემს თავზე ვბრაზდები იმის გამო, რომ ვერ გამიხსენებია ის დელიკატესები, რომლებიცარასდროს გამისინჯავს, არადა მინდოდა.

რა ღორი ვარ.

ხიზილალა კი მართლა არაჩვეულებრივია.

კიდევ ერთხელ მივიღე აბაზანა. ვერ გამიბედა უარის თქმა. როგორც ჩანს, მიაჩნია, რომ თუ „ლედი“ აბაზანას ვერ იღებს, როცა სურს, მაშინ ის, უბრალოდ, ეცემა და კვდება. უნიტაზში წერილი ჩავუშვი. პლასტმასის პატარა ფლაკონით. ფლაკონს გრძელი, წითელი ლენტი შემოვახვიე. იმედი მაქვს, რომ ლენტი გაიშლება და ვინმე დაინახავს. სადღაც. ოდესღაც. სახლის მოგნება ძნელი არ იქნება. კალიბანმა სისულელე ჩაიდინა, როცა მითხრა, რომ შემოსასვლელს წელი აწერია. წერილის დამთავრება შემდეგი სიტყვებით მომიწია: ეს ტყუილი არ არის. ძალიან ძნელია ასეთი რამ ისე დაწერო, რომ ადამიანს სულელურ ხუმრობად არ მოეჩვენოს. წავაწერე, რომ ყველა, ვინც მ-სთან დარეკავს, 25 გირვანქას მიიღებს. ყოველ ჯერზე, როცა აბაზანას მივიღებ, ბოთლს გავუშვებ ზღვაში. (ჰეჰ!)

კიბიდან და კიბის ბაქნიდან ყველა ზიზილ-პიპილა მოაშორა, ჰოლიდან კი - საშინელი სურათები, მწვანე, ფორთოხლისფერი და წითელი ტონებით შესრულებული, რომლებზეც მაიორკას მეთევზეების სოფლები ეხატა. საცოდავმა სახლმა შვებით ამოისუნთქა.

ზემოთ ყოფნა მომწონს. თავისუფლებასთან იქ უფრო ახლოს ვარ. ყველაფერი ჩაკეტილ-ჩარაზულია. გზისკენ გამავალ ყველა ფანჯარას შიგა დარაბა აქვს, დანარჩენებს კი ურდული ადევს (დღეს სახლს მხოლოდ ორმა მანქანამ ჩაუარა. ეტყობა, ძალიან მიყრუებული გზაა). მის განათლებას მივყავი ხელი. დღეს დასასვენებელ ოთახში (ხელები, რა თქმა უნდა, შეკრული მქონდა) რეპროდუქციების ალბომი დავათვალიერეთ. საკუთარი აზრი არ გააჩნია. მგონი, ნახევრად არც კი მისმენს, რას ვეუბნები. იმაზე ფიქრობს, რომ ახლოს იჯდეს ჩემთან, თან ისე, რომ ღმერთი არ გაუწყრეს და არ შემეხოს. არ ვიცი, იმის ეშინია, ვაითუ თავს ვერ მოერიოს, თუ იმის, რაიმე ოინის გაკეთება არ მქონდეს გულში.

თუ მაინც მოახერხებს და ცოტა ხნით ნახატებზე შეაჩერებს ყურადღებას, მზადაა ყველაფერზე დამეთანხმოს, რასაც ვამბობ. რომ ვთქვა, მიქელანჯელოს „დავითი“ რაღაცით ტაფას ჰგავს-მეთქი, რა თქმა უნდაო, დამეთანხმება.

ასეთი ხალხიც არსებობს! მე ალბათ მათთან ერთად ვიდექი მეტროში, ქუჩაში გვერდით ჩამივლია, მესმოდა მათი საუბარი და, რა თქმა უნდა, ვიცოდი მათი არსებობის შესახებ, მაგრამ გულის სიღრმეში არასოდეს მჯეროდა, რომ ისინი რეალურად არსებობდნენ. ბრმები და ყრუები ყველაფრისადმი ამქვეყნად. ეს შეუძლებელი მეგონა.

დიალოგი. ძალიან წყნარად იჯდა, ალბომს ჩასჩერებოდა და მთელი თავისი გამომეტყველებით თითქოს უნდოდა ეთქვა, რომ ხელოვნება მშვენიერია (ცხადია, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემთვის ესიამოვნებინა, და არა იმიტომ, რომ თვითონ ფიქრობს ასე).

მ. - იცით, რა არის ყველაზე უცნაური ამ სახლში? საერთოდ არ არის წიგნები, გარდა იმ წიგნებისა, რომლებიც ჩემთვის იყიდეთ.

კ. - ზემოთ არის.

მ. - პეპლების შესახებ.

კ. - სხვებიც არის.

მ. - რამდენიმე უბადრუკი დეტექტივი. ოდესმე კარგი წიგნი წაგიკითხავთ? ნამდვილი წიგნი? (ხმას არ იღებს) წიგნი მართლა მნიშვნელოვანი რამეების შესახებ, იმ ადამიანების მიერ დაწერილი, რომლებიც მართლა ღრმად გრძნობენ ცხოვრებას. არა ის, იაფფასიანი გამოცემები, დროის მოსაკლავად რომ აქვთ გადაშლილი მეტროსა თუ მატარებლებში. გესმით, რას გეუბნებით? წიგნი.

კ. - მე უფრო მსუბუქ საკითხავს ვეტანები (იმ მოკრივესავითაა, რომლის ყურებისას ერთადერთი სურვილი გიჩნდება - ნოკაუტში ეგდოს).

მ. - კარგი იქნებოდა, „კლდის პირზე, ჭვავის ყანაში...“ წაგეკითხათ. მე უკვე თითქმის დავამთავრე. ორჯერ მაქვს წაკითხული და მე ხომ თქვენზე ხუთი წლითა ვარ უმცროსი.

კ. - წავიკითხავ.

მ. - ეს სასჯელი არაა.

კ. - გადავხედე, როცა ვიყიდე.

მ. - არ მოგეწონათ?

კ. - ვეცდები წავიკითხო.

მ. - მომბეზრდით.

ამას სიჩუმე მოჰყვა. მეჩვენებოდა, რომ ეს ყველაფერი სინამდვილეში არ ხდებოდა. თითქოს რაღაც პიესაში ვთამაშობდი და ვერ ვიხსენებდი, რა როლი მქონდა ამ პიესაში.

დღეს, სანამ ეს დიალოგი შედგებოდა, ვკითხე, პეპლების კოლექციას რატომ აგროვებთ-მეთქი.

კ. - ეს საშუალებას გაძლევს, წესიერ ადამიანებს შეხვდე.

მ. - მაგრამ ხომ არ შეიძლება, კოლექციონერი მხოლოდ ამის გამო გახდე.

კ. - არა, ერთი მასწავლებელი მყავდა. მაშინ ძალიან პატარა ვიყავი. მან მასწავლა, როგორ უნდა მეკეთებინა ეს. თვითონ აგროვებდა. თუმცა ბევრი არაფერი იცოდა. ძველებურად ამაგრებდა პეპლებს ფიცარზე (აქ

ლაპარაკია იმაზე, თუ რომელი კუთხით უნდა დაამაგრო ფრთები. თანამედროვე მეთოდი მოითხოვს, რომ მართი კუთხე იყოს). და კიდევ ბიძაჩემი. მას ბუნება აინტერესებდა. ყოველთვის მეხმარებოდა.

მ. - ჩანს, კარგი ადამიანი იყო.

კ. - ადამიანები, რომლებსაც ბუნება აინტერესებთ, ყოველთვის კარგები არიან. ის რომ აიღოთ, რასაც ჩვენ ქერცლფრთიანთა სექციას ვუწოდებთ. ეს არის ბუნების ისტორიის საზოგადოების ენტომოლოგიური სექცია ჩვენს ქალაქში. ისინი ადამიანს ისე ეპყრობიან, როგორც ის იმსახურებს. ზემოდან ქვემოთ არ დაგყურებენ. მსგავსი რამ არ ხდება.

მ. - და მათ შორისაც ყველა კარგი არ არის (მაგრამ ვერაფერს მიხვდა).

კ. - თქვენ სნობებს გულისხმობთ, მაგრამ დანარჩენები ისეთები არიან, მე რომ ვთქვი, იმათზე უკეთესები, ვისთანაც გიწევს... მიწევდა შეხვედრა. მე, რა თქმა უნდა, ჩემს თავზე ვლაპარაკობ.

მ. - თქვენი მეგობრები არ დაგცინოდნენ? არ ფიქრობდნენ, რომ ეს ბავშვური გართობაა?

კ. - არანაირი მეგობრები არ მყავს. იყვნენ მხოლოდ ადამიანები, რომლებიც ჩემთან ერთად მუშაობდნენ (ცოტა ხნის შემდეგ აღიარა, რომ ისინი ხანდახან სულელურად ხუმრობდნენ).

მ. - მაგალითად, როგორ?

კ. - უბრალოდ, სულელური ხუმრობები ხომ იცით.

აღარ გავაგრძელე, თუმცა ხანდახან დაუძლეველი სურვილი მიჩნდება ბოლომდე ჩავსდიო, პირიდან ამოვგლიჯო ის, რისი თქმაც არ უნდა. მაგრამ ეს ცუდია. გამოდის, რომ მაინტერესებს მისი საცოდავი, უაზრო, უბადრუკი ცხოვრება.

სიტყვებით რაიმეს აღწერა. რამხელა უფსკრულია სიტყვებსა და აზრებს შორის. მაგალითად, როგორ ზის კალიბანი - ძალიან დაძაბულად და ოდნავ წინ წახრილი. რატომ ასე? უხერხულობისგან? იქნებ ყოველთვის მზადაა ნახტომისათვის, თუ გაქცევას შევეცდები? მე შემიძლია

ამის დახატვა, შემიძლია მისი სახისა და გამომეტყველების დახატვა, მაგრამ სიტყვები... იმდენჯერაა გამოყენებული სხვა ნივთებისა და სხვა ადამიანების აღსაწერად, რომ გაცვდნენ. მაგალითად, მე ვწერ: „მან გაიღიმა“ - რას ნიშნავს ეს? უფრო მეტს არა, ვიდრე საბავშვო ბაღის პლაკატი - თალგამი, ნახევარმთვარის ფორმის მოღიმარი პირით. აი მე რომ ეს ღიმილი დამეხატა...

სიტყვები ისეთი უსახურია, არაზუსტი, საშინლად პრიმიტიული ხატვასთან, ფერწერასთან, სკულპტურასთან შედარებით. „მე ჩემს საწოლზე ვიჯექი, ის კი - კართან. ჩვენ ვსაუბრობდით და მე ვცდილობდი დამერწმუნებინა, რომ ფული თავისი განათლებისთვის გამოეყენებინა. მიპასუხა, რომ თანახმა იყო, მაგრამ არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ამას გააკეთებდა“. საცოდავი ნადღაბნი, თითქოს სუფთა ფურცელზე ცუდად წათლილი ფანქრით ხატავდე.

ეს ყველაფერი ჩემი პირადი მოსაზრებებია.

მე ჯ.პ. მჭირდება. ის ათობით წიგნს მირჩევდა, სადაც ამის შესახებ ბევრად უკეთესადაა ნათქვამი.

როგორ მძულს უმეცრება. კალიბანის უმეცრება, ჩემი უმეცრება, მთელი მსოფლიოს უმეცრება. შემიძლია უსასრულოდ ვისწავლო. ტირილამდე მინდა სწავლა, რაც შეიძლება მეტის სწავლა.

აკრული პირი, შეკრული ხელები.

დღიურს ლოგინში ჩავაწვენ. ჩემი ლეიბის ქვეშ ცხოვრობს. მერე ღმერთს შევთხოვ, რომ მომცეს საშუალება ვისწავლო.

22 ოქტომბერი

დღეს ორი კვირა შესრულდა. დღეებს შირმის კიდეზე ვინიშნავ, რობინზონ კრუზოსავით.

დათრგუნული ვარ, არ მძინავს. მე უნდა, უნდა, უნდა გავიქცე.

ძალიან ფერმკრთალი ვარ. თავს განუწყვეტლივ ცუდად ვგრძნობ. ცუდად, სუსტად.

ეს საშინელი სიჩუმე.

სრულიად ატროფირებული აქვს თანაგრძნობის უნარი. უმოწყალოა. ვერაფერს გაუგებ. რა უნდა? რა მოხდება?

ნუთუ ვერ ხედავს, რომ ავად ვხდები?

ამ საღამოს ვუთხარი, რომ აუცილებლად მჭირდება დღის სინათლე. ვაიძულე ჩემთვის შეეხედა. ვუთხარი, ვერ ხედავთ, რა ფერი მადევს-მეთქი.

სულ ხვალ-ხვალ აკერია პირზე, უარს პირდაპირ არასდროს ამბობს.

დღეს ვფიქრობდი, რომ შეიძლება აქ სამუდამოდ დამტოვოს. ეს დიდხანს არ გასტანს, რადგან მალე მოვკვდები. ეს აბსურდია, ეს რაღაც სატანიზმია, მაგრამ აქედან თავის დაღწევის გზა არ არსებობს. ისევ ვცდილობდი მორყეული ქვა მომეძებნა. შემეძლო გვირაბი გამეთხარა კარის გვერდით, ან პირდაპირ გარეთ. მაგრამ, სულ ცოტა, ოცი ფუტის სიგრძის მაინც უნდა იყოს. ამდენი მიწა! ამის გაკეთებას ვერაფრით შევძლებ. უმალ მოვკვდები. ამიტომ კართან ახლოს უნდა ვცადო. მაგრამ ამისთვის დრო დამჭირდება. დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ ის, სულ ცოტა, ექვსი საათი მაინც არ შემოვა. სამი საათი - გვირაბისათვის, ორი - გარე კარის გასანგრევად. ვგრძნობ, რომ ეს ჩემი ერთადერთი შანსია და მისი ხელიდან გაშვება არ შეიძლება. არ უნდა ვიჩქარო, რომ ცუდად მომზადების გამო მთელი საქმე არ ჩავაფლავო.

ვერ ვიძინებ.

რაღაც უნდა გავაკეთო.

დავწერ პირველად როგორ შევხვდი ჯ.პ.-ს.

ეს ერთ შაბათ დილას მოხდა, მაღაზიაში. კეროლაინმა თქვა „ეს მირანდაა, ჩემი დისშვილი“ და საშინელი რაღაცები უთხრა ჩემ შესახებ. არ ვიცოდი, საით გამეხედა, თუმცა დიდი ხანია, მისი გაცნობა მინდოდა. კეროლაინი ბევრს მიყვებოდა მის შესახებ.

მაშინვე მომეწონა, როგორ ექცეოდა კეროლაინს - საკმაოდ ცივად, არ დაუმალავს, რომ მოსწყინდა. არ უცდია აჰყოლოდა, როგორც ამას სხვე-

ბი აკეთებენ. უკან დაბრუნებისას კეროლაინი მთელი გზა მასზე მესაუბ-რებოდა. ვიცოდი, რომ შოკირებული იყო, თუმცა ამის აღიარება არ სურ-და. ორი განქორწინება და გარდა ამისა სრულიად აშკარა იყო, რომ ჯ.პ. დიდად არ აფასებდა მას. ასე რომ, მე თავიდანვე გამიჩნდა ჯ.პ.-ის დაც-ვის სურვილი.

შემდეგ პარკში შევხვდით. ძალიან მინდოდა კიდევ შევხვედროდი და მრცხვენოდა იმის, რომ ეს მინდოდა.

როგორ მოაბიჯებდა! თავის ფიქრებში ღრმად ჩაფლული. მფრინავის შესანიშნავი, ძველი ქურთუკი ეცვა. თითქმის არ ლაპარაკობდა. მივ-ხვდი, რომ მაინცდამაინც არ სურდა ჩვენთან ყოფნა (კეროლაინთან), მაგრამ ისე მოხდა, რომ გზაზე წამოგვეწია. უკნიდან ალბათ ვერ გვიცნო. შესაძლოა (მე მაინც ალბათ პატივმოყვარე ვარ) ყველაფერი მაშინ და-იწყო, როცა კეროლაინმა სულელურად გაუტია „მოწინავე შეხედულებე-ბის ქალების“ სტილში. მე და ჯ.პ-მ ერთმანეთს გადავხედეთ. მივხვდი, რომ გაღიზიანებული იყო, ის კი მიხვდა, რომ მრცხვენოდა. ჩვენთან ერ-თად წამოვიდა კენვუდში, კეროლაინი კი ისევ თავისას მიერეკებოდა. რემბრანდტის ტილოს წინ თქვა: „ხომ არ გეჩვენებათ, რომ სადღაც, შუა ხატვისას, მას თითქოს ოდნავ მოსწყინდა. გესმით, რის თქმა მინდა? მე ვერასდროს ვახერხებ ვიგრძნო ის, რაც უნდა ვიგრძნო, როცა მის ტილო-ებს ვუყურებ“. და სულელურად გაუცინა, „შემომხედეთ, რაებს ვამბობ“-იერით.

მე კი ჯ.პ.-ს ვუყურებდი და უცებ მისი სახე წამიერად გახევდა, გაქ-ვავდა, სახტად დარჩენილის გამომეტყველება მიიღო. ეს ჩემ დასანახად არ იყო გაკეთებული. პირის ჭრილი მყისიერად შეეცვალა. მხოლოდ ერ-თხელ შეავლო თვალი კეროლაინს. თვალები თითქოს უცინოდა კიდეც, მაგრამ როცა დაილაპარაკა, ხმა ყინულივით ცივი ჰქონდა: „მე ახლა უნ-და წავიდე. ნახვამდის“.

„ნახვამდის“ ჩემთვის იყო განკუთვნილი. მე მკვეთრად გამომაცალკე-

ვა. თითქოს მეუბნებოდა: „თქვენ შეგიძლიათ შეეგუოთ ამას?“ მე ვფიქრობ (ახლა, როცა ამ ყველაფერს ვიგონებ), მას სურდა ჩემთვის გაკვეთილი ჩაეტარებინა. მე უნდა ამერჩია, ვის გავყოლოდი, კეროლაინს თუ მას.

წავიდა. პასუხად ვერაფრის თქმა ვერ მოვასწარით. კეროლაინმა თვალი გააყოლა და მხრები აიჩეჩა, შემდეგ შემომხედა და თქვა: „ჰმ“.

მე კი მას გავყურებდი, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი როგორ მიდიოდა ჩვენგან. გავწითლდი, კეროლაინი კი გაცოფებული იყო, ცდილობდა ამ უხერხული მდგომარეობიდან გამომძვრალიყო („ყოველთვის ეგეთია. განგებ იქცევა ასე“). შინ დაბრუნებისას, მთელი გზა ხატვის მისეულ მანერას დასცინოდა („მეორეხარისხოვანი პოლ ნეშია“ - სასაცილოც კია, იმდენად უსამართლო შენიშვნაა). მე კი ძალიან გაბრაზებული ვიყავი კეროლაინზე და თან მეცოდებოდა. არადა, არ უნდა შემცოდებოდა, იმასაც ვერ ვეუბნებოდი, რომ ჯ.პ. მართალი იყო.

დ-სა და კეროლაინს ყველა ის ქალური თვისება აქვთ, რომელთაც მე სხვა ქალებში ვერ ვიტან. ამ შემთხვევის მერე, დიდი ხნის განმავლობაში, ვფიქრობდი, რა დოზით მაქვს სისხლში გამჯდარი მათი პრეტენზიულობა. ხანდახან კეროლაინი ძალიან მხიბლავს. მომწონს მისი ფერწერა, ენთუზიაზმი, სიკეთე და ზოგჯერ მისი პრეტენზიულობაც კი, რომელიც ასე საშინელია ჭეშმარიტი, ნამდვილი რამეების გვერდით. ასეა თუ ისე, ეს უკეთესია, ვიდრე სულ არაფერი. როცა ჩვენთან მოდიოდა, ჭკუას ვკარგავდი მისთვის. მასთან სტუმრობაც ძალიან მიყვარდა. ის მაგრად დამიდგა გვერდით, როცა დიდი ოჯახური ომი ატყდა ჩემი მომავლის გეგმებთან დაკავშირებით. მიყვარდა, მაგრამ ეს ყველაფერი მანამ, სანამ მასთან ვიცხოვრებდი და სულში ჩავხედავდი. სანამ დავღვინდებოდი (სერიოზული ახალგაზრდა ქალივით კი ვმსჯელობ).

ერთი კვირის შემდეგ მეტროს ლიფტში აღმოვჩნდი ჯ.პ.-სთან ერთად. ლიფტში მხოლოდ ჩვენ ორნი ვიყავით. „სალამი“, როგორღაც ზედმეტად მხიარულად ვუთხარი და ისევ გავწითლდი. მან მხოლოდ თავი დამიქნია, თითქოს ლაპარაკი არ უნდოდა. როცა უკვე ქვემოთ ჩავედით, ვუთხარი,

რომ ძალიან ვწუხვარ იმის გამო, რაც კეროლაინმა თქვა კენვუდში (ცხადია, პატივმოყვარეობა მალაპარაკებდა. არ მინდოდა მე და კეროლაინი ერთნაირები ვგონებოდით).

თქვა, კეროლაინი ყოველთვის მაღიზიანებსო. მივხვდი, რომ ამის შესახებ ლაპარაკი არ უნდოდა. როცა ბაქნისაკენ მივდიოდით, ვუთხარი, მას, უბრალოდ, ეშინია ჩამორჩენილი არ გამოჩნდეს-მეთქი.

- და თქვენ არ გეშინიათ? - გამიღიმა, საკმაოდ მშრალად. გავიფიქრე, არ მოსწონს, რომ ვცდილობ მასთან ერთად ვიყო კეროლაინის წინააღმდეგ-მეთქი.

კინოაფიშას ჩავუარეთ. მითხრა:

- ძალიან კარგი ფილმია. ნანახი გაქვთ? აუცილებლად ნახეთ.

როცა ბაქანზე გავედით, მეუბნება:

- შემოიარეთ ერთ დღეს, მაგრამ თქვენი ცალტვინა დეიდის გარეშე, - და გამიღიმა, გადამდები, ანცი ღიმილით, მისი ასაკისთვის შეუფერებლად, პატარა ბიჭივით. შემდეგ წავიდა, უკვე თავის თავში ჩაკარგული, გულგრილი.

ჰოდა, მეც, რა თქმა უნდა, შევუარე. ერთ შაბათ დილით. ძალიან გაუკვირდა. დაახლოებით ოცი წუთი წყნარად ჯდომა და მასთან ერთად უცნაური ინდური მუსიკის მოსმენა მომიწია. კარი გამიღო, შებრუნდა, პირდაპირ დივნისკენ წავიდა, წამოწვა და თვალები დახუჭა. მაშინვევიგრძენი, რომ მისვლა საჭირო არ იყო (განსაკუთრებით კ-სთვის უთქმელად) და ისიც ვიგრძენი, რომ, ცოტა არ იყოს, ზედმეტი მოსდიოდა, რომ სინამდვილეში ეს პოზა იყო. ვერაფრით შევძელი მოდუნება. ბოლოს მთხოვა, თქვენ შესახებ მომიყევითო. როგორღაც მშრალად თქვა, თითქოს მოსაწყენ რამეზე ლაპარაკობდა. მე კიდევ სულელურად შევეცადე შთაბეჭდილება მომეხდინა მასზე - ყველაზე უარესი რამ, რაც შემეძლო გამეკეთებინა - თავს ვიწონებდი. გამუდმებით იმას ვფიქრობდი, რომ სინამდვილეში ჩემი მისვლა არ სურდა.

უცებ ერთბაშად შემაწყვეტინა, წამიძღვა და სტუდია მომატარა. ყველაფერი დამათვალიერებინა.

მისი სტუდია. ყველაზე მშვენიერი რამ ამქვეყნად. იქ ყოველთვის ბედნიერად ვგრძნობდი თავს. ყველაფერი ისეთი ჰარმონიულია, ყველაფერი მის არსს გამოხატავს (მაგრამ ეს განგებ კი არა. ვერ იტანს „დეკორატიულ ინტერიერებს“, სამშვენისებს, „Vოგუე“-ის სტილის რაღაცებს). მისი სტუდია თავად ის არის. ტუანეტა, თავისი ქალური წარმოდგენებით კარგ გემოვნებაზე (ჟურნალ „სახლი და ბაღი“-დან ჩამოყალიბებული წარმოდგენებით) ამტკიცებს, რომ ოთახი „ხარახურითაა გადაჭედილი“. მზად ვიყავი ენა ამომეძრო მისთვის ამის გამო. იქ გრძნობ, რომ ადამიანი სავსე ცხოვრებით ცხოვრობს, მუშაობს, აზროვნებს. რომ ეს ყველაფერი მისი ნაწილია.

ჩვენი ურთიერთობა დათბა, შერბილდა. აღარ ვცდილობდი უფრო ჭკვიანი გამოვჩენილიყავი.

მიჩვენა, როგორ აღწევს „ბინდის“ ეფექტს. განსაკუთრებული გუაშითა და თავისი ხელით დამზადებული ინსტრუმენტებით.

მისი მეგობრები მოვიდნენ - ბარბერ და ფრანსის კრუკშენკები. ეს არის მირანდა გრეი, რომლის დეიდას ვერ ვიტან, თქვა სხაპასხუპით და მათ გაიცინეს. დიდი ხანია, ერთმანეთს იცნობენ, ძველი მეგობრები არიან. წამოსვლა დავაპირე, მაგრამ სასეირნოდ მიდიოდნენ და ჯ.პ.-ის წაყვანაც უნდოდათ - ამიტომაც შემოევლოთ - და მეც მთხოვეს, მათთან ერთად წავსულიყავი. განსაკუთრებით ბარბერ კრუკშენკმა დაიჟინა. მაცდუნებელი მზერით მიყურებდა.

- ერთიც რომ მოხდეს და დეიდამ დაგვინახოს? - თქვა ჯ.პ-მ. - ბარბერს ყველაზე ბინძური რეპუტაცია აქვს კორნუოლში.

- ჩემი დეიდაა და არა გადია, - ვუპასუხე.

ყველანი პაბში წავედით, შემდეგ კი - კენვუდში. ფრანსისი რაღაცებს მიყვებოდა კორნუოლზე და, პირველად ჩემს ცხოვრებაში, ვიგრძენი, რომ, მართალია, უფროსი თაობის ხალხს შორის ვიმყოფებოდი, მაგრამ

მათი მესმოდა, ერთ ენაზე ვლაპარაკობდით. ნამდვილი ადამიანები იყვნენ. ამავე დროს არ შემეძლო არ დამენახა, რომ ბარბერი თვალთმაქცობდა, როლს თამაშობდა. რაღაც მავნე და სასაცილო ისტორიებს ჰყვებოდა. სერიოზულ საუბრებს კი ჯ.პ. იწყებდა. იმას კი არ ვამბობ, რომ მოსაწყენი იყო და საერთო მხიარულებაში არ მონაწილეობდა, მაგრამ მას აქვს უცნაური უნარი ყველაზე მთავარს, ყველაზე ღირებულს ჩაავლოს. ერთხელ, როცა დასალევის მოსატანად იყო გასული, ბარბერმა მკითხა, რამდენი ხანია ჯ.პ.-ს იცნობო. შემდეგ თქვა, ღმერთო, რა იქნებოდა, ვინმეს ჯ.პ.-ის მსგავსს შევხვედროდი, როცა სტუდენტი ვიყავიო. პატარა, ჩუმმა ფრანსისმა კი დაუმატა, ის უბრალოდ შესანიშნავი ადამიანიაო. ერთ-ერთი მცირეთაგანიო. არ დაუზუსტებია, რომელი მცირეთაგანი, მაგრამ მივხვდი, რასაც გულისხმობდა.

კენვუდში ჯ.პ.-მ მოახერხა და ბარბერსა და ფრანსისს ჩამოვშორდით. მერე პირდაპირ რემბრანდტის იმ ნახატისკენ წამიყვანა და მის შესახებ დაიწყო საუბარი, ისე, რომ ხმა არ დაუდაბლებია. მეყო სიმდაბლე, რომ დამერცხვინა, რადგან სხვა მნახველებმა ყურება დაგვიწყეს. ვფიქრობდი, ალბათ მამა-შვილივით გამოვიყურებით-მეთქი. მესაუბრა ნახატის ისტორიის შესახებ, იმაზე, თუ რა ვითარებაში დაიხატა, რას გრძნობდა ალბათ რემბრანდტი, როცა მას ხატავდა, რის თქმას ცდილობდა და როგორ თქვა. თითქოს სურდა თავი დამეღწია ხელოვნების შესახებ მცდარი წარმოდგენების ბურუსისგან.

შენობიდან გამოვედით და ბარბერსა და ფრანსისს დაველოდეთ. ჯ.პ.-მ თქვა:

- ეს ნახატი ძალიან მოქმედებს ჩემზე, - და ისე შემომხედა, თითქოს ფიქრობდა, რომ დავცინებდი. ხანდახან აქვს ხოლმე სიმორცხვის ასეთი შეტევები.

ვუთხარი, ახლა ის ჩემზეც მოქმედებს-მეთქი.

ჩაიცინა:

- საეჭვოა. ეს თქვენთვის ძალიან ადრეა. ჯერ კიდევ მრავალმა წელმა

უნდა ჩაიაროს.

- თქვენ საიდან იცით?

- მე ვფიქრობ, არის ხალხი, რომლებზეც დიდი ხელოვნება ძლიერ ზემოქმედებას ახდენს, მაგრამ ასეთებს მხატვრებს შორის არასოდეს შევხვედრივარ. თვითონ მეც არ ვარ ასეთი. როცა ამ ნახატს ვუყურებ, იმას ვფიქრობ, რომ უდიდესი ოსტატობითაა შესრულებული. სულ ეს არის. ოსტატობით, რომლის მიღწევას მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ვცდილობ, მაგრამ ვერ მივაღწიე და ახლა ვიცი, რომ ვერც ვერასდროს მივაღწევ. ვერასდროს. თქვენ კი ახალგაზრდა ხართ, თქვენ შეგიძლიათ ამის გაგება, მაგრამ არ შეგიძლიათ იგრძნოთ. ჯერჯერობით.

მე ვუთხარი, მგონი, შემიძლია-მეთქი.

- მაშინ ეს ძალიან ცუდია, - მიპასუხა. - თქვენს ასაკში მარცხს არ უნდაშეუშინდეთ. - შემდეგ დაამატა:

- ნუ ეცდებით, ჩვენსავით მოწიფული ჩანდეთ. შემზიზღდებით, თუ ამას გააკეთებთ. თქვენ იმ ბავშვს ჰგავხართ, რომელიც ცდილობს ძალიან მაღალ კედელს მიღმა გადაიხედოს.

ეს იყო ჩვენი პირველი საუბარი. აბრაზებდა ის, რომ მოვწონდი. თითქოს პროფესორი ჰიგინსი და ელიზა ვიყავით.

მოგვიანებით, როცა კრუკშენკები შენობიდან გამოვიდნენ და ჩვენკენ გამოემართნენ, ჯ.პ.-მ მითხრა:

- ბარბერი მექალთანეა. თუ პაემანი დაგინიშნათ, უარი უთხარით.

გაკვირვებით შევხედე. ის მათ უყურებდა, უცინოდა, მე კი წყნარად მითხრა, თქვენში კი არ არის საქმე, ფრანსისის ტანჯვის ყურება არ შემიძლიაო.

ჰემპსტედში დავბრუნდით. გამოვემშვიდობე მათ და სახლში წავედი. გზაში ვფიქრობდი ყველაფერზე, რაც მოხდა და უცებ მივხვდი, რომ ჯ.პ. ცდილობდა ბარბერ კრუკშენკთან ერთად მარტო არ დავეტოვებინე. კრუკშენკებმა (ბარბერმა!) მთხოვეს, გვეწვიეთ, თუ კორნუოლში მოგიხდეთ ჩამოსვლაო.

ჯ.პ.-მ მითხრა, გნახავთო. ეს ისე თქვა, თითქოს მისთვის სულ ერთი იყო, მნახავდა თუ არა.

კეროლაინს კი ვუთხარი ჯ.პ-ს შემთხვევით შევხვდი-მეთქი. რომ ჯ.პ. მას პატიებას სთხოვდა (ტყუილი). რომ თუ ის წინააღმდეგი იყო, აღარ შევხვდებოდი. რომ ჯ.პ.-სთან ურთიერთობა სტიმულის მომცემი იყო, რადგან ყოველთვის უამრავი იდეა ჰქონდა და ჩემთვის, უბრალოდ, აუ-ცილებელი იყო ასეთ ადამიანებთან შეხვედრა. ეს კარგი არ იყო, მე ხომ ვიცოდი, კეროლაინი ისე მოიქცეოდა, როგორც „წესიერი ადამიანი“, თუ ყველაფერს ასეთნაირად წარმოვადგენდი. მეტყოდა, რომ მე თვითონ ვარ ჩემი თავის ბატონ-პატრონი, რომ შემიძლია ისე მოვიქცე, როგორც მსურს და ა.შ.

მან კი მითხრა:

- ძვირფასო, შენ კი იცი, მორალისტი არა ვარ, მაგრამ მას ისეთი რე-პუტაცია აქვს...

ვუთხარი, გამიგონია ამის შესახებ, მაგრამ ჩემს თავს როგორმე მივ-ხედავ-მეთქი.

თვითონ კეროლაინის ბრალია. არ უნდა დაეჟინა, სახელით მომმარ-თე და როგორც თანატოლ მეგობარ გოგონას, ისე მომექეციო. არ შემიძ-ლია ისე მოვექცე, როგორც დეიდას - სათანადო პატივისცემით, როგორც უფროსს, რომლის რჩევები უნდა გაითვალისწინო.

ყველაფერი იცვლება. გამუდმებით მასზე ვფიქრობ, რა თქვა, მე რა ვუპასუხე და როგორ იყო, რომ არც ერთ ჩვენგანს სინამდვილეში არ ეს-მოდა, მეორე რას გულისხმობდა. თუმცა არა, მას, მე მგონი, ესმოდა. ის ჩემზე ბევრად ადრე ითვლის და აფასებს შესაძლებლობებს. აქ ისე სწრა-ფად ვიზრდები. სოკოსავით. შეიძლება ეს უბრალოდ იმიტომ, რომ წო-ნასწორობის შეგრძნებას ვკარგავ. ან შეიძლება ეს ყველაფერი სიზმარია. ფანქრის წვერი ვიჩხვლიტე, მაგრამ იქნებ ესეც სიზმარია.

ახლა რომ კარში შემოვიდოდეს, გავიქცეოდი და მკლავებში ჩავუვარ-დებოდი. ვისურვებდი ჩემთვის ხელი ჩაეჭიდა და კვირაობით არ გაეშვა.

ახლა ვფიქრობ, შევძლებდი სხვანაირად შემეყვარებინა, ისე, როგორც მას სურს რომ უყვარდეთ.

23 ოქტომბერი

ყველა უბედურების სათავე თავად ვარ. კ-ს ძუკნასავით ვექცევი. არავითარი გულმოწყალება. მთავარი მაინც ისაა, რომ ვერ ვახერხებ მაშინ დავრჩე ჩემთვის, როცა მომინდება. ამ დილით ვაიძულე გარე სარდაფში სიარულის უფლება მოეცა. მომეჩვენა, რომ ტრაქტორის ხმა მესმოდა. ჩიტების ჭიკჭიკი. დღის სინათლე, ჩიტები, თვითმფრინავი. ტირილი ამივარდა.

გრძნობები ისე მაქვს არეული, თითქოს გალიაში გამომწყვდეული დამფრთხალი მაიმუნები იყვნენ. გუშინ ღამით მომეჩვენა, რომ ჭკუიდან გადავდიოდი და ამიტომ დღიურის წერა დავიწყე. ვწერე და ვწერე, სანამ იმ, სრულიად სხვა სამყაროში არ აღმოვჩნდი. მინდოდა აქაურობისთვის თავი დამეღწია, სულიერად მაინც. მინდოდა საკუთარი თავისთვის დამემტკიცებინა, რომ გარე სამყარო კვლავ არსებობს.

ჩანახატებს ვაკეთებდი იმ სურათებისთვის, რომლებსაც აქედან გასვლის შემდეგ დავასრულებ. ბაღის ხედი ღია კარიდან. სიტყვებით გამოხატული სულელურად ჟღერს. მაგრამ ამ ყველაფერს განსაკუთრებულად ვხედავ: ყველაფერი შავი, მუქი. იდუმალი კუთხოვანი ფორმები ბნელ ჩრდილებში, მოშორებით კი რბილი თეთრ-თაფლისფერი, მზის შუქმოფენილი ღია კარის მართკუთხედი.

ვახშმის შემდეგ ვუთხარი, წასულიყო. „ემას“ ვამთავრებდი. მე ემა ვუდჰაუსი ვარ. მე მას თანავუგრძნობ, ვგრძნობ, როგორია, ჩემს თავს ვცნობ მასში. ჩემი სნობიზმი სხვაა და მისი სხვა, მაგრამ მესმის მისი, მესმის, საიდან მოდის მისი პედანტურობა. აღფრთოვანებული ვარ მისი

ამ თვისებით, თუმცა ვიცი, რომ არასწორად იქცევა, ცდილობს სხვა ადამიანების ცხოვრების მოწყობას ისე, როგორც მას მიაჩნია სწორად. ვერ ხედავს, რომ ნაითლი ის ადამიანია, რომლის მსგავსი მილიონში ერთი თუ იქნება. გარკვეული დროის განმავლობაში ემა სულელურად იქცევა, მაგრამ კითხულობ, კითხულობ და თანდათან ხვდები, რომ ღრმა ადამიანია, ჭკვიანი, სიცოცხლით სავსე.შემოქმედებითად აზროვნებს და ესწრაფვის ყველაფერი უმაღლესი პრინციპების მიხედვით გააკეთოს. ნამდვილი ადამიანია. მისი ნაკლოვანებები ჩემი ნაკლოვანებებიცაა. უნდა ვეცადო მისი ღირსებები ჩემი ღირსებებიც გახდეს.

მთელი დღე ვფიქრობდი. ღამით ჯ.პ.-ის შესახებ უნდა ვწერო.

იყო დრო, როცა ზოგი ჩემი ნამუშევარი მასთან მიმქონდა საჩვენებლად. ისეთ ნახატებს ვარჩევდი, რომლებიც, ჩემი აზრით, უნდა მოსწონებოდა (არა მხოლოდ ისეთებს, რომლებიც ითვლებოდა, რომ ძალიან კარგი გამომივიდა, მაგალითად, ლედიმონტის პეიზაჟი შორი პერსპექტივიდან). ჩუმად ათვალიერებდა. ერთ სიტყვასაც არ იტყოდა. როცა ის ნახატები ვანახვე (მაგალითად, „კარმენი ივინგოში“), რომლებსაც მაშინ საუკეთესოდ ვთვლიდი, კარგა ხანს ხმა არ ამოუღია. ბოლოს თქვა, ჩემი აზრით, დიდი არაფერია, მაგრამ მაინც ოდნავ უკეთესია, ვიდრე მოველოდიო. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს სახეში მუშტი დაერტყას და ამის დაფარვას ვერც ვახერხებდი. მან კი მითხრა:

- რა სარგებელი იქნებოდა, თქვენი გრძნობები რომ დამეზოგა. ვხედავ, რომ ხელობას ფლობთ, ფერის კარგი შეგრძნება გაქვთ. ძალიან მგრძნობიარე ხართ. ეს ყველაფერი გაქვთ. რომ არ გქონდეთ, სლეიდში ვერც მოხვდებოდით.

მინდოდა გაჩუმებულიყო, მაგრამ თავისას განაგრძობდა:

- სრულიად ნათელია, რომ თქვენ ბევრი შესანიშნავი ნახატი გინახავთ და ცდილობთ აშკარა პლაგიატს თავი აარიდოთ. მაგრამ აი თქვენი დის სურათი რომ ავიღოთ - ეს ხომ კოკოშკაა, ყოველ შემთხვევაში, ძალიან ჰგავს.

ეტყობა, შეამჩნია, როგორ გავწითლდი, იმიტომ რომ მითხრა:

- ილუზიები ხომ არ დაგემსხვრათ? სწორედ ეგ მინდოდა.

ისე იმოქმედა, კინაღამ მოვკვდი. ვიცოდი, რომ მართალი იყო. მართლა სასაცილო იქნებოდა, რომ ზუსტად ის არ ეთქვა, რასაც ფიქრობდა და კეთილი ბიძიას როლი ეთამაშა. მაგრამ მისი სიტყვები დიდ ტკივილს მაყენებდა, თითქოს სახეში მილაწუნებდნენ და მილაწუნებდნენ. არადა როგორი იმედი მქონდა, რომ ჩემი ნამუშევრებიდან ზოგი მაინც მოეწონებოდა. კიდევ უფრო მძიმე ასატანი მისი ცივი უშფოთველობა იყო, მისი უკიდურესი სერიოზულობა - გეგონებოდათ ავადმყოფობის ისტორიას კითხულობსო. მის ხმაში ოდნავაც არ იგრძნობოდა არც იუმორი, არც შეცოდება, სარკასტული ღიმილიც კი არ აღბეჭდვია სახეზე. უცებ თითქოს ბევრად, ბევრად უფროსი გახდა ჩემზე. მან თქვა:

- უნდა მიხვდეთ, რომ კარგად ხატვის უნარი, აკადემიური და ტექნიკური გაგებით, ჩამონათვალის სულ ბოლოს მოდის. მინდა გითხრათ, რომ თქვენ გაქვთ ეს უნარი და კიდევ ათასი რამ გაქვთ. მაგრამ მე სხვა რამეს ვეძებ თქვენს ნახატებში, ის სხვა რამე კი მათში არ არის. - შემდეგ დაამატა:

- ვიცი, რომ ამის მოსმენა ძალიან მტკივნეულია თქვენთვის. კაცმა რომ თქვას, წეღან ლამის იყო გთხოვეთ თქვენი ნახატები აღარ მოგეტანათ ჩემთვის, მაგრამ შემდეგ ვიფიქრე... თქვენში არის ერთგვარი გზნება, გულმოდგინება. ეს გადაგარჩენთ როგორც მხატვარს.

- თქვენ წინასწარ იცოდით, რომ კარგს ვერაფერს ნახავდით, - ვუთხარი მე.

თითქმის ვიცოდი, რასაც მიპასუხებდა:

- დავივიწყოთ, რომ ნახატები მაჩვენეთ?

ვიცოდი, ეს გამოწვევა იყო. ერთ-ერთი ნახატი გავუწოდე და ვუთხარი, იქნებ დეტალებში ამიხსნათ, რა არ ვარგა აქ-მეთქი. მან თქვა:

- გრაფიკულად აქ ყველაფერი რიგზეა, კომპოზიციურად კარგადაა შესრულებული. არ შემიძლია ყველაფრის დეტალებში გარჩევა, მაგრამ

ეს არ არის ცოცხალი ხელოვნება. ეს არ არის თქვენი არსების ნაწილი. მე არ ველი, რომ თქვენ ამ ასაკში ამის გაგებას შეძლებთ. ამის სწავლება შეუძლებელია. ეს ან მოვა თქვენთან ოდესმე, ან არ მოვა. სლეიდში გასწავლიან, როგორ გამოხატოთ თქვენი პიროვნება, მაგრამ რამდენად კარგადაც არ უნდა ისწავლოთ პიროვნების ხაზებად და ფერებად გარდაქმნა, არაფერი გამოვა, თუ მისი გამოხატვა არ ღირს. ძალიან დიდი რისკია და ძალიან ცოტას თუ უმართლებს.

არათანაბრად ლაპარაკობდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, შემდეგ სულ გაჩუმდა. ვკითხე, რა ვუყო ამ ყველაფერს, დავხიო-მეთქი? მან მიპასუხა:

- ეს უკვე ისტერიკაა.

ვუთხარი, მე ხომ ბევრი რამ მაქვს სასწავლი-მეთქი.

წამოდგა და თქვა:

- მე ვფიქრობ, თქვენში რაღაც არის, რა - არ ვიცი. ქალებში ეს იშვიათია. იმის თქმა მინდა, რომ ქალების უმრავლესობა ცდილობს რაღაც გააკეთოს კარგად. მათ მხედველობაში აქვთ მოხერხებულობა, ალღო, კარგი გემოვნება და ასე შემდეგ. მაგრამ არ ესმით, რომ თუკი ისწრაფვი, რომ შენი არსების უღრმეს შრეებს ჩასწვდე, მაშინ თვით ფორმას, რომელსაც შენი ხელოვნება იღებს, მნიშვნელობა აღარა აქვს შენთვის. იქნება ეს სიტყვები, საღებავები თუ ბგერები. რაც არ უნდა იყოს.

- განაგრძეთ, - ვუთხარი.

- როგორც შენი ხმა. ეგუები საკუთარ ხმას, როგორიც არ უნდა იყოს და ლაპარაკობ ამ ხმით, რადგან არჩევანი არ გაქვს. მაგრამ მნიშვნელოვანია ის, თუ რას ლაპარაკობ. სწორედ ეს განასხვავებს დიდ ხელოვნებას. ხატვის ტექნიკას დაუფლებული თაღლითები ყოველ დროში ბევრნი იყვნენ, დღეს კი საყოველთაო განათლების დიად ეპოქაში, განსაკუთრებით ბევრნი არიან.

დივანზე იჯდა და ჩემს ზურგს ესაუბრებოდა. ფანჯარაში ვიხედებოდი, რადგან მეშინოდა, თუ მოვიხედავ, შეიძლება ავბღავლდე-მეთქი.

- კრიტიკოსებს უყვართ ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით მსჯელობა

ხატვის ტექნიკის უმაღლეს მიღწევებზე. სრული უაზრობაა, უშინაარსო ჟარგონი. ხელოვნება სასტიკია. ნახატი შენი არსების სიღრმეში გამოჭ-რილ ფანჯარას ჰგავს. თქვენს შემთხვევაში კი ბევრი პაწია სარკმელი ჩანს, რომლებშიც მხოლოდ ცნობილი მხატვრების ტილოებს მოკრავ თვალს.

მოვიდა, ჩემ გვერდით დადგა და ერთ-ერთი ეტიუდი შეარჩია, ადრე სახლში რომ მქონდა დახატული.

აქ თქვენ რაღაცას ამბობთ ნიკოლსონის თუ პასმორის შესახებ, მაგ-რამ საკუთარ თავზე - არაფერს. თქვენ თითქოს ფოტოაპარატით მუშა-ობთ. როგორც ტრომპე-ლ'ოეილ მხოლოდ და მხოლო გზასაცდენილი ფოტოგრაფიაა, ხელოვნებაში სხვისი სტილის გამოყენებაც სურათის გა-დაღებაა და მეტი არაფერი. თქვენ აქ ფოტოს იღებთ მხოლოდ. ეს არის და ეს.

- მე ვერასოდეს ვისწავლი.

- თქვენ ახლა ნასწავლის დავიწყება უფრო გჭირდებათ, - თქვა მან. - რაც სასწავლი იყო, უკვე ისწავლეთ. დანარჩენი უკვე გამართლებაა. თუმცა არა მხოლოდ ეს. სულის სიმხნევე და მოთმინებაა საჭირო.

საათობით ვლაპარაკობდით. ის ლაპარაკობდა. მე ვუსმენდი.

ეს ქარსა და მზის შუქს ჰგავდა - ქარი მთელ აბლაბუდას თან რომ გაიყოლებს და ირგვლივ ყველაფერი ნათელი ხდება. ახლა, როცა ვიწერ, რასაც ის მეუბნებოდა, ეს ხომ ისედაც ცხადიაო, იფიქრებ. მაგრამ საქმე ისაა, როგორ ამბობდა ამ ყველაფერს. იმ ადამიანებს შორის, ვისაც მე ვიცნობ, ის ერთადერთია, ვინც ხელოვნებაზე საუბრისას სწორედ იმას ამბობს, რასაც ფიქრობს. და თუ ერთ დღეს სხვანაირად ალაპარაკდება, ეს მკრეხელობას დაემსგავსება.

ფაქტია, რომ ის მართლაც ძალიან კარგი მხატვარია და დარწმუნე-ბული ვარ, რომ ერთ დღეს სახელგანთქმული მხატვარი გახდება. ეს ჩემ-ზე დიდ ზეგავლენას ახდენს, ბევრად მეტს, ვიდრე უნდა ახდენდეს. რო-გორც ჩანს, ჩემთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, ვინ არის ის ახლა,

არამედ ისიც, თუ ვინ გახდება.

მახსოვს, მოგვიანებით მან (ისევ პროფესორ ჰიგინსის სტილში) თქვა:

- არა მგონია, თქვენგან რამე დადგეს. საამისოდ მეტისმეტად ლამაზი ხართ. თქვენი გზა სიყვარულის ხელოვნებაა და არა ხელოვნების სიყვარული.

- ახლავე წავალ და ტბაში დავიხრჩობ თავს, - ვუპასუხე.

- არ უნდა დაქორწინდეთ. ტრაგიკული სიყვარულის ისტორია გჭირდებათ. საკვერცხეები ამოაჭრევინეთ, ან რაღაც ეგეთი, - და ბოროტად შემომხედა. იცოდა ხოლმე ასე, ბოროტად, ალმაცერად შემოხედვა. მაგრამ ამჯერად თვალებში მარტო სიბოროტე არ ედგა. შეშინებული, პატარა ბიჭის მზერა იყო. თითქოს ისეთი რამ თქვა, რაც იცოდა, არ უნდა ეთქვა და ახლა ჩემი რეაქციის გაგება უნდოდა. იმწუთას ჩემზე გაცილებით უმცროსი ჩანდა.

ხშირად ძალიან ახალგაზრდად მეჩვენება ხოლმე და ეს ვერაფრით ამიხსნია. შეიძლება იმიტომ, რომ ჩემი თავი დამანახვა გვერდიდან და მიმახვედრა, როგორი ზედაპირული ვარ, როგორი შეზღუდული და ჩამორჩენილი შეხედულებები მაქვს. ადამიანები, რომლებიც ჩვენ გვასწავლიან, თავს გვიჭედავენ ათასი ხარახურით, დრომოჭმული იდეებითა და შეხედულებებით, პირობითობებითა და ტრადიციებით, თითქოს სუსტ, უძალო ნერგებს მშრალ, უნაყოფო მიწას აყრიდნენ. გასაკვირი არ არის, რომ ამ ნერგებიდან ცოტა თუ იქცევა ქორფა, მწვანე მცენარედ.

მაგრამ ჯ.პ.-მ შეძლო ეს. ძალიან დიდხანს არ შემეძლო დამენახა მასში ეს ქორფა, მწვანე ყლორტები. ახლა შევძელი.

24 ოქტომბერი

კიდევ ერთი ცუდი დღე. ძალიან მოვინდომე, რომ ის კალიბანისთვისაც ცუდი ყოფილიყო. ხანდახან ისე მაღიზიანებს, რომ მინდა დავუკივლო. არა იმდენად იმის გამო, თუ როგორ გამოიყურება, თუმცა ესეც საკმარისი იქნებოდა. ყოველთვის ისეთი გამოწკეპილია, დაუთოებული შარვალი უზადო ნაკეცებით, მუდამ სუფთა პერანგი. ასე მგონია, ახლა რომ მაღალი, გახამებული საყელო იყოს მოდაში, უბედნიერესი ადამიანი იქნებოდა. აი ვინ არის მართლა ჩამორჩენილი! მუდამ ფეხზე დგას. ყველაზე დიდი ფეხმდგომელაა იმათ შორის, ვისაც კი ოდესმე შევხვედრივარ. მუდამ ვწუხვარ-მაპატიეთ-გამომეტყველება სახეზე. მაგრამ ახლა თანდათან ვხვდები, რომ სინამდვილეში ეს გამომეტყველება საკუთარი თავით აბსოლუტურ კმაყოფილებას გამოხატავს. სრული ტკბობა იმით, რომ მე მის ხელში ვარ, რომ შეუძლია ყოველი დღე ჩემს ყურებაში გაატაროს. არ დაეძებს, მე რას ვამბობ ან რას ვგრძნობ, ჩემი გრძნობები მისთვის არაფერს ნიშნავს. მისთვის მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რომ დამიჭირა და აქ ვყავარ.

მთელი დღეც რომ ვუყვირო და ვლანძღო, თვალს არ დაახამხამებს. მას მე ვჭირდები, ჩემი გამომეტყველება, ჩემი გარეგნობა და სრულებითაც არ სჭირდება ჩემი ემოციები, ჩემი გონება, ან ჩემი სული. ჩემი სხეულიც კი არ სჭირდება. არაფერი ადამიანური.

კოლექციონერია. კოლექციონერობა - რაღაც მკვდარი და უსიცოცხლო, რაც მთელ მის არსებას ავსებს.

ყველაზე მეტად მაინც მისი ლაპარაკის მანერა მაღიზიანებს. კლიშეები, კლიშეები, კლიშეები და ყველა - ძველმოდური, თითქოს მთელი ცხოვრება ორმოცდაათს გადაცილებულ ხალხში გაეტარებინოს. დღეს სადილობისას მითხრა: „მაღაზიას ვეწვიე იმ ფირფიტებთან დაკავშირებით, რომელთა შესახებ დაკვეთა მქონდა გაკეთებული“. მე ვუთხარი, უბრალოდ, ადამიანურად რატომ არ იტყვით, რომ იმ ფირფიტების შესახებ იკითხეთ, მე რომ გთხოვეთ-მეთქი.

მიპასუხა:

- ვაცნობიერებ, რომ ჩემი ინგლისური არ არის მთლად გამართული, მაგრამ ვცდილობ კორექტულად ვილაპარაკო.

აღარ შევდავებივარ. ამაში ჩანს მისი არსი. ცდილობს კორექტული იყოს, იქცეოდეს წესიერად, გააკეთოს მხოლოდ ის, რაც „სწორია“ - ყველაფერი იმ ნორმების შესაბამისად, რომლებიც ჩვენს დაბადებამდე არსებობდა.

ვიცი - ეს საცოდაობაა. ვიცი, რომ უბადრუკი მეშჩანური სამყაროსა და უბადრუკი სოციალური კლასის მსხვერპლია, გროტესკულად რომ ცდილობს გადაიღოს „მაღალი საზოგადოების“ ცხოვრების სტილი და ქცევის მანერები. ადრე ის კლასი, რომელსაც დ. და მ. მიეკუთვნებიან, ყველაზე უარესად მიმაჩნდა. მხოლოდ გოლფი, ჯინი და ბრიჯი და სწორედ ასეთი მარკის მანქანა და სწორედ ასეთი აქცენტით მეტყველება, სწორედ ამდენი ფული ბანკში, სწორედ იმ სკოლაში სწავლა და სიძულვილი ხელოვნებისადმი, რომელიც არ იციან და არ ესმით, რადგან თეატრში არაფერი უნახავთ საშობაო წარმოდგენის გარდა, პიკასო და ბარტოკი კი მათთვის მხოლოდ სალანძღავი სიტყვები ანდა სახუმარო თემაა. ცხადია, ეს ყველაფერი საზიზღრობაა, მაგრამ კალიბანის ინგლისი ბევრად უფრო საზიზღარია.

ცუდად ვხდები, როცა ვფიქრობ იმ სიბრმავეზე, ჩამორჩენილობაზე, კვდომასა და ჭუჭყზე, ადამიანები რომ მოუცავს ინგლისში. ყველაზე საზიზღარი მათში ყოვლისშთანმთქმელი, ბნელი შურია.

ჯ.პ. ხშირად ლაპარაკობს „პარიზელ ვირთხებზე“ - მათზე, ვინც ინგლისი მიატოვა, რადგან აქაურობის ატანა აღარ შეეძლოთ. რა კარგად მესმის მათი. შეგრძნება, რომ ინგლისი ყელში უჭერს, ახრჩობს, ლეწავს და ანადგურებს ყველაფერ ახალსა და განსხვავებულს. სწორედ ეს განაპირობებს მეთიუ სმიტისა და ოგასტუს ჯონის მსგავსი ადამიანების ტრაგიკულ მარცხს. ისინი „პარიზელ ვირთხებად“ იქცნენ და მას შემდეგ გოგენისა და მატისის ჩრდილში ცხოვრობენ, ან კიდევ იმათ ჩრდილში, ვინც მათ წარმოსახვას შეანჯღრევს. ჯ.პ. ამბობს, რომ ოდესღაც ბრაკის

ჩრდილში ცხოვრობდა, და უცებ, ერთ დღეს, გამოეღვიძა და მიხვდა, რომ ყველაფერი, რაც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გააკეთა - სიყალბეა, იმიტომ რომ ბრაკის ხედვასა და შეგრძნებებს ეფუძნება, და არა მისას.

ფოტოგრაფია.

რადგან ინგლისში ვერაფრის იმედი გექნება, გიწევს პარიზში გაქცევით უშველო თავს, ან კიდევ სხვაგან. მაგრამ აუცილებელია საკუთარი თავი აიძულო და სიმართლეს თვალებში ჩახედო: პარიზში გაქცევა ყოველთვის დაღმასვლას ნიშნავს (ეს ჯ.პ.-ის სიტყვებია). საქმე პარიზში არ არის. რა უნდა გქონდეს ამ ქალაქის საწინააღმდეგო! უბრალოდ, უნდა გეყოს ვაჟკაცობა, მედგრად დაუდგე ინგლისს, შენ ირგვლივ მყოფი თანამემამულეების გულგრილობას (ეს სულ ჯ.პ.-ის სიტყვები და აზრებია) და საკუთარი მხრებით ზიდო ინგლისური კალიბანობის ვეებერთელა ტვირთი.

მართლა წმინდანები არიან მური და საზერლენდი, რომლებიც იბრძვიან იმისთვის, რომ აქ, თავიანთ ქვეყანაში - ინგლისში იყვნენ ინგლისელი მხატვრები. იგივე ითქმის კონსტებლზე, პალმერსა და ბლეიკზე.

ამას წინათ ჯაზს ვუსმენდით და კალიბანს ვკითხე, მოაქვს-მეთქი? არავის მოაქვს, ფირფიტებს მე ვყიდულობო. მე ვუთხარი, იმდენად ჩამორჩენილი ხართ ცხოვრებას, პირდაპირ დაუჯერებელია-მეთქი. ოჰ, თქვენ სხვა რამე გიგულისხმიათო, შეწუხდა.

წვიმასავითაა, გადაუღებელი, ნაცრისფერი, პირქუში, მოსაწყენი, ფერების მკვლელი წვიმასავით.

ჩაწერა დამავიწყდა: წუხელ ღამით კოშმარი მესიზმრა. როგორც ჩანს, ასეთი სიზმრები გამთენიისას უფრო მესიზმრება, ალბათ იმიტომ, რომ სარდაფი საშინლად ჩახუთულია. იმის გამო, რომ კარი მთელი ღამის განმავლობაში არ იღება, დილით საერთოდ შეუძლებელი ხდება სუნთქვა (როგორი შვებაა, როცა ის მოდის, კარს გააღებს და ვენტილატორს ჩართავს. ვთხოვე ნება მოეცა მაშინვე გარე სარდაფში გავსულიყავი - იქ მეტი ჰაერია, მაგრამ ყოველთვის მაიძულებს ჯერ ვისაუზმო და რადგან

მეშინია, ვაითუ იქ საუზმის მერეც არ გამიშვას, ამიტომ აღარ ვუძალიანდები).

სიზმარი ასეთი იყო: ნახატი დავხატე, არ მახსოვს როგორი, მაგრამ ძალიან კმაყოფილი ვიყავი ნამუშევრით. ეს ჩემს სახლში ხდებოდა. სადღაც წავედი და სანამ შინ არ ვიყავი, ვიგრძენი, რაღაც ცუდი მოხდა. სასწრაფოდ სახლისკენ გავექანე, ოთახში შევვარდი, სადაც დ. მაგიდასთან იჯდა (მინი კედელთან იდგა შეშინებული სახით, მე მგონი ჯ.პ.-ც იქ იყო და კიდევ სხვა ხალხიც რაღაც გაუგებარი მიზეზის გამო). ნახატი გრძელ, წვრილ ზოლებად იყო დაჭრილი, დ-ს კი ხელში სასხლავი ეჭირა და წვერით მაგიდის ზედაპირს არჭობდა, მრისხანებისგან სახე გასთეთრებოდა. და უცებ მეც იგივე ვიგრძენი - რაღაც ველური მძვინვარება და სიძულვილი.

ამ დროს გამეღვიძა.

ასეთი სიძულვილი დ-ს მიმართ არასოდეს მიგრძნია, მაშინაც კი, როცა მთვრალმა სილა გამაწნა იმ საშინელი ბიჭის - პიტერ კეიტსბის თვალწინ.ძალიან კარგად მახსოვს, როგორ ვიდექი მისი სილისგან გახურებული ლოყით - მრცხვენოდა, გამძვინვარებული და თავზარდაცემული ვიყავი, ყველაფერი ეს იყო, მაგრამ... არა სიძულვილი. შემეცოდა. შემდეგ მივედი და მის საწოლზე ჩამოვჯექი. ხელი დავუჭირე, ტირილი ვაცალე, ვაპატიე და დავიცავი, როცა მამიკოსთან და მინისთან მქონდა ამის შესახებ საუბარი. მაგრამ ეს საშინელი სიზმარი... მასში ყველაფერი ისეთი რეალური ჩანდა, თითქოს მართლა მომხდარიყოს.

მე მას ვაპატიე ის, რომ ცდილობდა ხელი შეეშალა ჩემთვის მხატვარი გავმხდარიყავი. მშობლებს არასდროს ესმით თავიანთი შვილების (არა, მე ჩემს შვილებს გავუგებ). მე ვიცი, რომ მათ უნდოდათ ვაჟიშვილი ჰყოლოდათ, რომელიც ქირურგი გამოვიდოდა. მ-მ ხომ ვერ შეძლო ქირურგი გამხდარიყო. სამაგიეროდ კარმენი გახდება სულ მალე ქირურგი. მე იმის თქმა მინდა, რომ ვაპატიე მათ, ჩემი ამბიციების წინააღმდეგ რომ იბრძოდნენ თავიანთი ამბიციების დასაკმაყოფილებლად. მე გავიმარჯვე,

ამიტომ მე უნდა მივუტევო.

მაგრამ ის სიძულვილი იმ სიზმარში. ისეთი რეალური იყო.

არ ვიცი, როგორ გავთავისუფლდე მისგან. ჯ.პ.-ისთვის შეიძლებოდა მომეყოლა, მაგრამ მხოლოდ უძალოდ ვფხაჭნი ფურცელს ფანქრით.

ვერავინ დედამიწის ზურგზე, ვინც მიწისქვეშა დილეგში არ ყოფილა გამომწყვდეული, ვერ წარმოიდგენს, რა აბსოლუტური სიჩუმე დგას აქ. ჩქამიც არ ისმის. მხოლოდ მე ვარღვევ სამარისებურ სიჩუმეს. ამიტომ ხანდახან მეჩვენება, რომ უკვე მოვკვდი. რომ დამმარხეს. ხმა არსაიდან ისმის, არც გარედან, არც შიგნიდან. როგორ გინდა დარწმუნდე, რომ ცოცხალი ხარ. ხანდახან ფირსაკრავს ვრთავ. არა იმისთვის, რომ მუსიკას მოვუსმინო, არამედ იმისთვის, რომ საერთოდ რამე გავიგონო.

ძალიან ხშირად უცნაური შეგრძნებები მაქვს. მეჩვენება, რომ დავყრუვდი და მინდა რაღაც ხმები გამოვცე, რათა დავრწმუნდე, რომ ასე არ არის. ყელს ჩავიწმენდ ხოლმე საკუთარი თავის დასარწმუნებლად, რომ ყველაფერი რიგზეა. ის პატარა ჰიროშიმელი გოგონა მახსენდება, ნანგრევებში რომ ნახეს. ირგვლივ ყველა და ყველაფერი მკვდარი იყო, ის კი თავის თოჯინას უმღეროდა.

25 ოქტომბერი

მე უნდა, უნდა, უნდა გავიქცე.

დღეს მთელი დღე ამაზე ფიქრში გავატარე. ყველაზე ველური აზრები მომდის თავში. ის ძალიან ეშმაკია, ძალიან ფრთხილი. ყველაფრისგან იზღვევს თავს.

შეიძლება ისე ჩანდეს, თითქოს გაქცევას არ ვცდილობ, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ყოველდღე არ შეიძლება ეს ვცადო. ცდებს შორის ხანგრძლივი შესვენებებია საჭირო. აქ გატარებული ყოველი დღე გარეთ

ყოფნის ერთ კვირას უდრის.

ძალით ვერაფერს მივაღწევ. ისევ რაიმე ხერხი თუ მიშველის.

სიმართლეს თუ თვალს გავუსწორებ, მე, უბრალოდ, არ შემიძლია ადამიანს ფიზიკური ტკივილი მივაყენო. ამის გაფიქრებაზეც კი მუხლები მეკეცება. მახსოვს, ერთხელ მე და დონალდი უაიტჩეპელში ყოფნის შემდეგ ისტ-ენდზე ვხეტიალობდით, როცა დავინახეთ, რომ ორ შუახნის ინდიელს ტედების მთელი ჯგრო ერტყა გარს. ცუდად გავხდი. ქუჩის მეორე მხარეს გადავედით. ისინი ღრიალებდნენ, ინდიელებს დასდევდნენ, უბიძგებდნენ და ტროტუარიდან მანქანის სავალ ნაწილზე აგდებდნენ. დონალდმა თქვა, აქ ჩვენ ვერაფერს გავხდებითო. ორივემ ისეთი სახე მივიღეთ, თითქოს ჩვენ ეს არ გვეხებოდა და სწრაფად გავეცალეთ იქაურობას. მაგრამ ეს უღირსი საქციელი იყო - მათი ძალადობა და ჩვენი შიში ძალადობის მიმართ. თვით კ. რომ მოვიდეს ჩემთან ახლა, ცეცხლის საჩხრეკი მომაწოდოს და მუხლებზე დაეშვას ჩემ წინ, მასაც კი ვერ დავარტყამდი.

არაფერი მშველის. ნახევარი საათია, ამაოდ ვცდილობ დავიძინო. ამ ჩანაწერების კეთება ერთგვარი ნარკოტიკია. ეს არის აქ ერთადერთი რამ, რასაც მოუთმენლად ველოდები. დღეს, ნაშუადღევს, გადავიკითხე ყველაფერი, რაც ჯ.პ.-ის შესახებ გუშინწინ დავწერე. მე მგონი, საკმაოდ ცოცხლად გამომსვლია. ვიცი, ცოცხლად იმიტომ ჩანს, რომ ჩემი წარმოსახვა ავსებს იმ ადგილებს, რომლებიც სხვისთვის გაუგებარი იქნებოდა. ცხადია, ჩემში კვლავ პატივმოყვარეობა ალაპარაკდა, მაგრამ შესაძლებლობა იმისა, რომ კვლავ წარსულში ვიცხოვრო, ისეთი იდუმალი და ჯადოსნური მეჩვენება... აწმყოში ცხოვრება არ შემიძლია. გავგიჟდებოდი.

დღეს ვიხსენებდი, როგორ მივიყვანე პირსი და ანტუანეტა მასთან გასაცნობად. მან თავისი ბნელი მხარე გამოავლინა. თუმცა ეს მე მოვიქეცი სულელურად. ისინი ჰემპსტედში მესტუმრნენ, რომ ყავა დაგველია და შემდეგ „ევრიმენში“ წავსულიყავით ფილმის სანახავად. მაგრამ ძალიან

დიდი რიგი იყო და მათ თავისი გაიტანეს - დამითანხმეს ჯ.პ.-სთან შეგვევლო.

ისევ ყველაფერი ჩემი პატივმოყვარეობის გამო მოხდა. ძალიან ბევრს ვყვებოდი მასზე. მათ კი დამიწყეს, ეტყობა, მაინცდამაინც დიდი მეგობრობა არ გაკავშირებს მასთან, აბა, რატომ არ გინდა, რომ ერთად ვეწვიოთ და გაგვაცნოო. მეც ამ ანკეესს წამოვეგე.

შესვლისთანავე მივხვდი, რომ ჩვენი სტუმრობა არ ესიამოვნა, მაგრამ მაინც გვთხოვა ზემოთ, სტუდიაში ავყოლოდით. საშინელება იყო. საშინელება. პირსი განუწყვეტლივ აფრქვევდა თავის იდეებს, ანტუანეტა კი ლამისსაკუთარი თავის პაროდირებას ახდენდა, ატეხილი კატასავით კრუტუნებდა. მე ყველას მაგივრად ყველას წინაშე ვბოდიშობდი. ჯ.პ. რაღაც უცნაურ განწყობაზე იყო. ვიცოდი, რომ შეეძლო საკუთარ თავში ჩაკეტილიყო, მაგრამ ამჯერად ძალიან მოინდომა, რომ უხეში გამოჩენილიყო. ხომ შეეძლო მიმხვდარიყო, რომ პირსი თავის თავში დაურწმუნებლობის დაფარვას ცდილობდა მხოლოდ.

ისინი შეეცადნენ ჯ.პ. მის ნახატებზე აელაპარაკებინათ, მაგრამ ის არ აჰყვა. საზიზღრად იქცეოდა, ბილწსიტყვაობდა კიდეც. ცინიკურად ლაპარაკობდა სლეიდის სასწავლებელსა და სხვადასხვა მხატვარზე. ისეთ რამეებს ამბობდა, რაც ვიცი, რომ თვითონაც არ სჯეროდა. ცხადია, ჩემი და პირსის დაზაფვრა მოახერხა, მაგრამ ანტუანეტა! ცდილობდა ტოლი არაფერში დაედო მისთვის. იმანჭებოდა და იგრიხებოდა, თვალებს აფახულებდა, მასზე უფრო ცინიკურ და ბილწ რაღაცებს ამბობდა. მაშინ ჯ.პ.-მ ტაქტიკა შეცვალა. როგორც კი რაღაცის თქმას დავაპირებდით, მაშინვე გვაწყვეტინებდა (მეც, მათ შორის).

შემდეგ კიდევ უფრო დიდი სისულელე ჩავიდინე, ვიდრე მათი იქ მიყვანა იყო. საუბარში ხანგრძლივი პაუზა ჩამოვარდა და მან, როგორც ჩანს, იფიქრა, რომ ავდგებოდით და წავიდოდით. და ამ დროს ერთი იდიოტური აზრი მომივიდა, ვიფიქრე, პირსსა და ანტუანეტას არ ეგონოთ, რომ მას არც ისე ახლოს ვიცნობ, როგორც ვამბობდი და დაცინვა

არ დამიწყონ-მეთქი. ამიტომ შევეცადე მათთვის დამემტკიცებინა, რომ მისი მორჯულება შემეძლო.

ჯ.პ.-ს ვუთხარი: რაიმე მუსიკა ხომ არ მოგვესმინა?

წამიერად ისე ჩანდა, რომ უარის თქმას აპირებდა, მაგრამ შეყოვნების შემდეგ თქვა:

- რატომაც არა. მოდი, ისეთ ვინმეს მოვუსმინოთ, ვისაც აქვს რაღაც სათქმელი. მრავალფეროვნებისთვის.

და ისე, რომ ჩვენთვის ფირფიტის არჩევა არ შემოუთავაზებია, წავიდა და ფირსაკრავი ჩართო.

მერე დივანზე წამოწვა და თვალები დახუჭა, როგორც ხშირად აკეთებდა ხოლმე, მაგრამ პირსმა და ანტუანეტამ ჩათვალეს, რომ ეს პოზა იყო.

უცნაურმა, ფაქიზმა, მთრთოლარე ხმებმა აავსო ოთახი და დაძაბული, უხერხული ატმოსფერო შექმნა. პირსს სულელური ღიმილი აუთამაშდა სახეზე, ანტუანეტას კი - არა, არ ჩაუხითხითია, მეტისმეტად ელეგანტურია საამისოდ, მაგრამ მისი ბაგეებიდან რაღაც ამის მსგავსი გაისმა. მე გამეღიმა. პირსმა ნეკა თითით ყური გამოიჩხრიკა, შუბლით ხელის გაფარჩხულ თითებს დაეყრდნო და თავს აქეთ-იქით იქნევდა ყოველ ჯერზე, როცა ეს უცნაური ინსტრუმენტი (მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რა ინსტრუმენტი იყო) განსაკუთრებით ძლიერად ვიბრირებდა. ანტუანეტა ლამის სიცილისგან დაიხრჩო. საშინელება იყო. ვიცოდი, რომ ჯ.პ.-ს ყველაფერი ესმოდა.

რა თქმა უნდა, ესმოდა. დაინახა, პირსმა ისევ რომ გამოიჩხრიკა ყური ნეკა თითით. პირსი მიხვდა, რომ შეამჩნიეს, სახეზე ჭკვიანური გამომეტყველება აღიბეჭდა და გაიღიმა, აქაოდა ყურადღებას ნუ მომაქცევთო. ჯ.პ. წამოხტა, ფირსაკრავი გამორთო და გვკითხა:

- არ მოგწონთ?

პირსმა უპასუხა, ეს რა, უნდა მოგვწონდესო?

მე ვთქვი: პირს, ეს სასაცილო არ არის.

პირსმა მიპასუხა: მე ხომ არ ვხმაურობდი. ასე არ არის? უბრალოდ, ვკითხულობ, ეს აუცილებლად უნდა მოგვწონდეს?

- მოშორდით აქედან, - თქვა ჯ.პ.-მ.

ანტუანეტამ კი: იცით, ეს რაღაცას მაგონებს ბიჩემიდან. ორი ჩონჩხის ჟიმაობა თუნუქის სახურავზე.

ჯ.პ.-მ თქვა: (ისეთი სახე ჰქონდა, შეგეშინდებოდა)

- უპირველეს ყოვლისა, ძალიან მესიამოვნა, რომ ბიჩემით ხართ აღტაცებული. ამ პომპეზური, ე.წ. დირიჟორით, რომელსაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჰქონდა გამოცხადებული ყველაფერ შემოქმედებითთან და ცოცხალთან ხელოვნებაში. მეორე ის, რომ თუ თქვენ არ შეგიძლიათ კლავესინი გაარჩიოთ რაღაც ხარახურისგან, მაშინ მე ვერაფერს გიშველით. და მესამეც (პირსს მიუბრუნდა), ცხოვრებაში არ შემხვედრია თქვენნაირი თავხედი და თვითკმაყოფილი უსაქმური. მერე მე მკითხა - ესენი არიან თქვენი მეგობრები?

გაშეშებული ვიდექი და არაფრის თქმა არ შემეძლო. საშინლად აღმაშფოთა მისმა საქციელმა, მათმა საქციელმაც. და მაინც ბევრად უფრო მეტად შეცბუნებული და დაბნეული ვიყავი, ვიდრე აღშფოთებული.

პირსმა მხრები აიჩეჩა. ანტუანეტა უხერხულად გრძნობდა თავს, მაგრამ ჩანდა, რომ ართობდა კიდეც ყველაფერი, რაც მოხდა. მართლა ძუკნაა. მე ყურებამდე ვიყავი გაწითლებული, ის კი არა და ახლაც ვწითლდები, რომ მახსენდება (და კიდევ იმის გახსენებაზე, შემდეგ რაც მოხდა. მაინც რამ გააკეთებინა ეს).

- ეგრეც ნუ განიცდით, - თქვა პირსმა. - ეს ხომ მხოლოდ ფირფიტაა, - ეტყობა, მეტისმეტად გაბრაზებული იყო საიმისოდ, რომ მიმხვდარიყო, რა სისულელეს როშავდა.

- თქვენ მიგაჩნიათ, რომ ეს „მხოლოდ ფირფიტაა“, არა? ამ პატარა ძუკნის დეიდის მსგავსად მიგაჩნიათ, რომ რემბრანდტი ცოტა მოწყენილი იყო, როცა ხატავდა? თქვენ ფიქრობთ, რომ ბახი იმანჭებოდა და იგრიხებოდა და ხითხითებდა, როცა ამ მუსიკას ქმნიდა? ასე ფიქრობთ?

პირსი ცოტა შეშინებულიც კი ჩანდა.

- ჰო, თქვით. ასე ფიქრობთ?

აუტანელი იყო და ამავე დროს მომხიბვლელი. აუტანელიიმიტომ, რომ თვითონ წამოიწყო ეს ყველაფერი და განზრახული ჰქონდა სწორედ ასე მოქცეულიყო. მომხიბლველი კი იმიტომ, რომ ასეთ ვნებას ხშირად ვერ ნახავ. მე ხომ იმ ადამიანებს შორის გავიზარდე, რომლებიც ყოველ-თვის ცდილობდნენ თავიანთი გრძნობების დაფარვას. ის კი შიშველი იყო. მრისხანებისგან თრთოდა.

პირსმა უთხრა, ჩვენ ხომ თქვენხელა არ ვართო. ნათქვამმა პათეტი-კურად გაიჟღერა და მისი ნამდვილი სახე გამოაჩინა.

- ღმერთო, - თქვა ჯ.პ.-მ. - თქვენ ხომ ხელოვნებას სწავლობთ. ხე-ლოვნებას.

იმას ვეღარ დავწერ, რაც ამის შემდეგ თქვა. ანტუანეტაც კი შოკში ჩააგდეს მისმა სიტყვებმა.

გამოვედით. სტუდიის კარი ჯახუნით მოიხურა ჩვენ ზურგს უკან. ქვე-მოთ ჩასვლისას თავიდან მომწყდით-მეთქი, წავისისინე და ორივე გარეთ გავყარე.

- მოგკლავს, ძვირფასო, - მითხრა ანტუანეტამ.

კარი ჩავკეტე და დავიცადე. ცოტა ხნის შემდეგ მუსიკა ისევ აჟღერდა. კიბე ავიარე და კარი ფრთხილად შევაღე. შეიძლება გაიგონა კიდეც, არ ვიცი, მაგრამ არ გამოუხედავს. კართან ახლოს სკამზე ჩამოვჯექი და წყნარად ვუსმენდი, სანამ მუსიკა არ დამთავრდა.

- რა გინდათ, მირანდა? - მკითხა მან.

- მინდა, რომ ბოდიში მოგიხადოთ და თქვენგანაც იმავეს მოველი.

ფანჯარასთან მივიდა და გადაიხედა.

ვუთხარი, ვიცი, რომ სისულელე ჩავიდინე და შეიძლება პატარა მარ-თლაც ვიყო, მაგრამ ძუკნა არ ვარ-მეთქი.

მან მიპასუხა: თქვენ ცდილობთ (იმედი მაქვს, არ გულისხმობდა, რომ ვცდილობდი ძუკნა ვყოფილიყავი).

ვუთხარი, თქვენ პირდაპირ შეგეძლოთ ჩვენთვის გეთქვათ, რომ წავსულიყავით, არ გვეწყინებოდა-მეთქი.

არაფერი უთქვამს. შემდეგ შემობრუნდა და გამომხედა. ვუთხარი, ძალიან ვწუხვარ-მეთქი.

- წადით სახლში, - მითხრა მან, - ჩემს საწოლში ხომ ვერ დაგაწვენთ. - ავდექი და მან განაგრძო:

- მოხარული ვარ, რომ დაბრუნდით. კარგად მოიქეცით. - და დასძინა:

- ვიცოდი, რომ დაბრუნდებოდით.

კიბეს ჩავუყევი. ის უკან გამომყვა.

- სულაც არ მინდა, რომ ერთად დავწვეთ. იმ სიტუაციის შესახებ ვლაპარაკობ, რომელშიც ახლა აღმოვჩნდით. გესმით ჩემი?

- რა თქმა უნდა, მესმის, - ვუპასუხე და კიბეზე ჩასვლა გავაგრძელე. ქალურად მივდიოდი, მინდოდა მეგრძნობინებინა მისთვის, რომ ტკივილი მომაყენა.

როცა ქუჩაში გასასვლელი კარი გავაღე, ზემოდან ჩამომძახა:

- ისევ ძველებურად გავუბერე, - მერე, ეტყობა, მიხვდა, რომ ვერ გავიგე, რას გულისხმობდა, იმიტომ რომ დაამატა:

- ისევ ვსვამ, გაბმულად, - მერე თქვა, დაგირეკავთო.

დარეკა კიდეც და კონცერტზეც წამიყვანა. რუსები შოსტაკოვიჩს უკრავდნენ. თბილად და ალერსიანად მექცეოდა, თუმცა ბოდიში არ მოუხდია.

26 ოქტომბერი

არ მჯერა მისი. სახლი ხომ თავის სახელზე აქვს გაფორმებული. თუ გამიშვებს, მაშინ უნდა მენდოს. ან ეს სახლი უნდა გაყიდოს და გაუჩინარდეს, სანამ მე შევძლებ პოლიციას შევატყობინო. ის არც ერთს იზამს

და არც მეორეს.

მეტისმეტად დამთრგუნველია ეს ყველაფერი. უნდა დავიჯერო, რომ ის თავის სიტყვას შეასრულებს.

უამრავ ფულს მახარჯებს. ალბათ ორას გირვანქამდე ექნება უკვე დახარჯული. ყიდულობს ნებისმიერ წიგნს, ფირფიტას, ტანსაცმელს, რომელსაც კი ვთხოვ. იცის ყველა ჩემი ზომა. ვხატავ ყველაფერს, რაც მინდა. ვაზავებ ხოლმე საღებავებს, რომ მიხვდეს, რა ფერი მჭირდება. საცვლებსაც კი ის მყიდულობს. არ შემიძლია შავისა და ვარდისფრის ჩაცმა, რომლებიც ადრე უყიდია. ვთხოვე, უფრო მოკრძალებული ფერები შეერჩია. მკითხა, შეიძლება ბევრი შევიძინო ერთადო? ცხადია, ჩემთვის ზოგიერთი რამის ყიდვა უხერხულ მდგომარეობაში აგდებს (საინტერესოა, აფთიაქში როგორ გამოიყურება). მე მგონი, ამიტომ ამჯობინებს, რომ ერთ წასვლაზე მოილიოს ჩემი ნივთების ყიდვა. ნეტა რას ფიქრობენ მასზე? ერთი დუჟინი ტრუსები, სამი კომბინაცია და უამრავი ღამის პერანგი და ლიფი. ვკითხე, რა გითხრეს, როცა ეს ყველაფერი შეუკვეთეთ-მეთქი და გაწითლდა. მე მგონი, გაიფიქრეს, ეს მთლად კარგად ვერ უნდა იყოსო, მიპასუხა და ჩემი აქ ყოფნის მანძილზე პირველად იყო, რომ მართლა გამეცინა.

ყოველთვის, როცა რაიმეს ყიდულობს ჩემთვის, ვფიქრობ, აი კიდევ ერთი დადასტურება, რომ მოკვლას ან რაიმე ცუდის გაკეთებას არ მიპირებს-მეთქი.

ვიცი, რომ საშინელებაა, მაგრამ მიხარია, როცა სადილისთვის შინ ბრუნდება საიდანღაც, სადაც დადის. ყოველთვის ბევრი ფუთა მოაქვს. ისეთი შეგრძნება გაქვს, თითქოს სულ შობის წინადღე იყოს, თანაცსანტა-კლაუსისთვის მადლობის გადახდაც არ გჭირდება. ხანდახან ისეთი რამეებიც მოაქვს, რომლებიც არ მითხოვია. ყვავილები არასოდეს ავიწყდება და ეს სასიამოვნოა. შოკოლადებიც მოაქვს, მაგრამ ის უფრო მეტს ჭამს, ვიდრე მე. სულ მეკითხება, რა მინდა, რომ მიყიდოს.

ვიცი, რომ სატანაა და იმ სამყაროს მაჩვენებს, რომელიც შემეძლო

მომეპოვებინა. ამიტომ მე მას არ მივეყიდები. ბევრს ხარჯავს ჩემთვის წვრილმან რამეებზე, მაგრამ ვიცი, რომ უნდა რაღაც დიდი და მნიშვნელოვანი ვთხოვო. საშინლად უნდა, რომ მადლიერების გრძნობა გამიჩნდეს მის მიმართ,მაგრამ ამას ვერ ეღირსება.

დღეს თავში საშინელი აზრი მომივიდა: შეიძლება ჯ.პ.-ზე მიიტანონ ეჭვი. კეროლაინი აუცილებლად მისცემს პოლიციას მის მისამართს. საწყალი კაცი. შეიძლება სარკასტულად უპასუხოს პოლიციის კითხვებს და მათ ეს არ მოეწონებათ.

დღეს მისი დახატვა ვცადე. საოცარია. უიმედო საქმეა, ვერაფრით მივამსგავსე.

ვიცი, რომ მაღალი არ არის, ხუთიოდე სანტიმეტრით თუ იქნება ჩემზე მაღალი (ყოველთვის მაღალ მამაკაცებზე ვოცნებობდი. რა სისულელეა).

გამელოტება ეწყება და ებრაული ცხვირი აქვს, თუმცა ებრაელი არ არის (კიდეც რომ იყოს, ეს არაფერს შეცვლიდა). მეტისმეტად ფართო სახე აქვს, ნაგვემი, დაღლილი და დაღარული. ღარები ნიღაბივით შექვავებია სახეზე და ძნელია დაიჯერო, რომ ეს სახე მართლა გამოხატავს მის გრძნობებს. თითქოს ვლანდავ ნიღაბს მიღმა ნაკვთებს, მაგრამ ბოლომდე დარწმუნებული არასდროს ვარ. ხანდახან მისი სახე განსაკუთრებით მკაცრ გამომეტყველებას იღებს - პირადად ჩემთვის. ვხედავ კიდეც, როგორ ჩნდება ეს გამომეტყველება. მაგრამ ის გაიძვერობას არ გამოხატავს. უბრალოდ, ჯ.პ. ასეთი კაცია. ცხოვრება - ეს რაღაც ხუმრობის მსგავსია და სისულელე იქნება, თუ მას სერიოზულად მიიღებ. სერიოზულ დამოკიდებულებას მხოლოდ ხელოვნება იმსახურებს, ყველაფერ დანარჩენზე კი შეიძლება იხუმრო. ის არაფრით არ იტყვის: „იმ დღეს, როცა ატომური ბომბი ჩამოვარდება“, არამედ „დიდი ბარბეკიუს დღე“ ან „როცა დიდი ბარბეკიუ გაიმართება“. ავადმყოფურად გამახვილებული აღქმა აქვს ყველაფრისა, რაც ხდება. ირონიაა ის, რაც აძლებინებს.

მორჩილი ტანის, ჯმუხი, არწივისებური ცხვირით. ცოტათი თურქს

ჰგავს, ინგლისელის კი არაფერი სცხია.

ნამდვილ ინგლისურ გარეგნობაზე სულელური წარმოდგენა მაქვს. ჟურნალების გარეკანებიდან და სარეკლამო რგოლებიდან ჩამოყალიბებული.

ბიჭები ლედიმონტის სკოლიდან.

27 ოქტომბერი

კართან გვირაბის გათხრა ერთადერთი რამაა, რისი იმედიც შეიძლება მქონდეს. რაც შეიძლება მალე უნდა ვცადო. დღეს კარი ყურადღებით დავათვალიერე. სქელ ფიცრებზე ჩემ მხარეს რკინის ფურცლებია აკრული. საშინლად მყარია. მის გამომტვრევას ან ანჯამებიდან ჩამოხსნას ვერასდროს შევძლებ. ყველანაირად დაიზღვია თავი, რომ აქ ისეთი ვერაფერი მოვიძიო, რაც ამის გაკეთებაში დამეხმარებოდა.

„იარაღების“ შეგროვება დავიწყე. შეიძლება ბოკალის გატეხა. რაც უნდა იყოს, წვეტიანი მაინც იქნება. ჩანგალი და ორი ჩაის კოვზი. მართალია, ალუმინისაა, მაგრამ მაინც შეიძლება გამოყენება. ყველაზე მეტად რაღაც მყარი და წვეტიანი მჭირდება ქვებს შორის ცემენტის ამოსატეხად. თუ ხვრელის გაკეთებას შევძლებ, გარე სარდაფში გაღწევა ძალიან ძნელი არ უნდა იქნეს.

ძალიან პრაქტიკული ვხდები. საქმიანი. თუმცა ჯერ არაფერი გამიკეთებია.

ახლა უფრო იმედიანად ვარ. არ ვიცი რატომ, მაგრამ ასეა.

28 ოქტომბერი

ჯ.პ. ხელოვანია. კეროლაინის შეფასება, რომ ჯ.პ. „მეორეხარისხოვანი პოლ ნეშია“, საზიზღრობაა, მაგრამ მასში მაინც არის რაღაც. რა თქმა უნდა, მის ნახატებში არ არის ის, რასაც თვითონ „ფოტოგრაფირებას“ დაარქმევდა, მაგრამ ისინი არც აბსოლუტურად ინდივიდუალურია. მე მგონი, მათ, უბრალოდ, სამყაროს იდენტური აღქმა აქვთ. შეიძლება ხედავს კიდეც, რომ მის პეიზაჟებში არის რაღაც ნეშისგან, ან შეიძლება ვერც ხედავს. მისი გაკრიტიკება ორივე შემთხვევაში შეიძლება: მაშინაც, თუ ვერ ხედავს ამას და მაშინაც, თუ ხედავს და არ აღიარებს.

ვცდილობ, ობიექტური ვიყო მის მიმართ. ამიტომ ნაკლზე ვლაპარაკობ.

საიდან მოდის მისი სიძულვილი აბსტრაქტული ფერწერისადმი, ისეთი მხატვრების მიმართაც კი, როგორიც არიან ჯეკსონ პოლოკი და ნიკოლსონი? გონებით თითქმის ვეთანხმები მას, მაგრამ ვგრძნობ, რომ ზოგი ნახატი, რომელიც მას არ მოსწონს, მშვენიერია. ვფიქრობ, მას შურს. მეტისმეტად ბევრ რამეს ლანძღავს.

ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. უბრალოდ, ვცდილობ პატიოსანი ვიყო, როცა მასზე და საკუთარ თავზე ვლაპარაკობ. მას სძულს ხალხი,რომელთაც „არ სურთ იფიქრონ“. თვითონ კი ფიქრობს. თანაც ძალიან ბევრს. მას აქვს პრინციპები (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმე ქალებს ეხება). მასთან შედარებით ბევრი ადამიანი, რომელსაც თავი პრინციპულ ადამიანად მიაჩნია, უბრალოდ ცარიელია.

(მახსოვს, ერთხელ მონდრიანის შესახებ თქვა: „საკითხი ისე კი არ დგას, მართლა მოგწონს თუ არა, არამედ, უნდა მოგწონდეს თუ არა ის“. იმის თქმა მინდა, რომ აბსტრაქტულ ხელოვნებას პრინციპულად უარყოფს. იმასაც კი არად აგდებს, თუ რას გრძნობს.)

ყველაზე უარესი ბოლოსთვის შემოვინახე. ქალები.

ეს ჩემი მეოთხე თუ მეხუთე მისვლის დროს მოხდა.

მასთან ერთი ქალი დადიოდა, ნილსენი ჰქვია. მე მგონი (მხოლოდ ახლა ვხვდები), ერთად იწვნენ და ახალი ამდგარი იყვნენ. რა გულუბრყვილო ვიყავი მაშინ! მაგრამ, როგორც ჩანდა, ჩემი მისვლის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდათ. ხომ შეეძლოთ, არც კი გაეღოთ, როცა ზარი დავრეკე. ნილსენი საკმაოდ თბილად და სტუმართმოყვრულად შემხვდა. მთლად ღიმილად იყო ქცეული - უნდოდა ეჩვენებინა, რომ იქ დიასახლისი იყო. დაახლოებით ორმოცი წლის იქნებოდა. ნეტავ რა ნახა მასში. დიდი ხნის შემდეგ, მგონი, უკვე მაისიიქნებოდა, ერთ საღამოს მასთან შევიარე. წინა საღამოსაც ვიყავი მისული, მაგრამ სახლში არ დამხვდა (ან იქნებ ვინმე ჰყავდა და არ გამიღო?), ამჯერად კი შინ მარტო იყო. კარგა ხანს ვისაუბრეთ (ჯონ მინტონის შესახებ მიყვებოდა), შემდეგ კი ინდური ფირფიტა დადო და გავჩუმდით. ამჯერად თვალები არ დაუხუჭავს, მე მიყურებდა და, ცოტა არ იყოს, დავიბენი. როცა მუსიკა დამთავრდა, ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. ვკითხე, შეიძლება ისევ მუსიკა ჩავრთო-მეთქი და არაო, მიპასუხა. დივანზე იწვა, სახეზე ჩრდილი ეცემოდა და კარგად ვერ ვხედავდი.

უცებ მითხრა:

- გინდა ჩემთან მოხვიდე?

- არა, - ვუპასუხე. ეს ისე მოულოდნელი იყო, რომ სახტად დავრჩი. ჩემი ხმა როგორღაც სულელურად ჟღერდა. შეშინებულად.

ისე, რომ თვალი არ მოუშორებია, მითხრა:

- ათი წლის წინ მე თქვენ ცოლად მოგიყვანდით და ეს ჩემი მეორე დამღუპველი ქორწინება იქნებოდა.

სინამდვილეში ეს არც ისე მოულოდნელი უნდა ყოფილიყო. რამდენიმე კვირის განმავლობაში მწიფდებოდა.

ადგა და ჩემთან მოვიდა.

- დარწმუნებული ხარ, რომ არ გინდა?

- აქ ამისთვის არ მოვსულვარ, - ვუპასუხე.

ეს ყველაფერი ისე შეუფერებელი იყო მისთვის, უხეში, პრიმიტიული.

მაგრამ ახლა ვფიქრობ, დარწმუნებულიც კი ვარ, რომ პატიოსნად მოიქ-ცა და სინამდვილეში ჩემ მიმართ სიკეთე გამოიჩინა. განგებ მოიქცა ასე უხეშად და ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა. ზუსტად ისე, როგორც ხანდახან ჭადრაკში მაგებინებს.

თურქული ყავის მოსამზადებლად წავიდა და სამზარეულოდან მით-ხრა:

- თქვენ არასწორად იქცევით. შეცდომაში შეგყავართ, - ავდექი და სამზარეულოს კართან მივედი. ყავას დაჰყურებდა, შემდეგ მე შემომხე-და.

- დავიფიცებ, ხანდახან გინდათ ხოლმე.

- რამდენი წლის ხართ? - ვკითხე.

- მამად გერგებით. ამას გულისხმობთ?

- მძულს განურჩეველი ინტიმური ურთიერთობები, - ვუთხარი. - ამის თქმა მინდოდა.

ჩემკენ ზურგით იდგა. ნაწყენი ვიყავი მასზე. უცებ ისეთი უპასუხის-მგებლო მომეჩვენა. ვუთხარი, ამ თვალსაზრისით სრულებითაც არ ხართ ჩემთვის მიმზიდველი-მეთქი.

ისე, რომ ჩემკენ არ შემობრუნებულა, მითხრა:

- განურჩეველ ინტიმურ ურთიერთობას რას ეძახით?

- როცა ვინმეს ლოგინში მხოლოდ სიამოვნებისთვის უწვები. როცა მხოლოდ სექსია და მეტი არაფერი. უსიყვარულოდ, - ვუპასუხე.

- მაშინ მე საშინლად განურჩეველი ვყოფილვარ. არასოდეს ვწვები იმათთან, ვინც მიყვარს. ერთხელ იყო ასე და კმარა.

მე ვუთხარი, თქვენ თვითონ არ გამაფრთხილეთ, ბარბერ კრუკშენ-კთან დაკავშირებით-მეთქი?

- ახლა კი ჩემთან დაკავშირებით გაფრთხილებთ, - თქვა მან. არ შე-მობრუნებულა. ისევ ყავას უყურებდა. უჩელოს ნახატი თუ გახსოვთ, ეშ-მოლის მუზეუმში. „ნადირობა“. არ გახსოვთ? კომპოზიცია პირველი შე-ხედვისთანავე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს - ჯერ კიდევ მანამ, სანამ

ყველაფერი დანარჩენი: ტექნიკა, დეტალები... მაშინვე აცნობიერებ, რომ უნაკლო ნახატია. პროფესორები მთელი ცხოვრება ცდილობდნენ ჩასწვდომოდნენ იმ დიდ შინაგან საიდუმლოს, იმ რაღაცას, რის გამოც სურათის დანახვისთანავე გრძნობ მის სრულყოფილებას. მე ვხედავ, რომ თქვენშიც არის ეს დიდი შინაგანი საიდუმლო. ღმერთმა იცის, ეს რა არის. მე ხომ პროფესორი არა ვარ და მაინცდამაინც არც მაინტერესებს, ეს როგორ ხდება, მაგრამ ეს თქვენში არის. თქვენ თითქოს შერატონის შედევრი იყოთ, ნაწილებად არ იშლებით.

ეს ყველაფერი გულგრილად, მშრალად თქვა.

- ცხადია, თქვენ გაგიმართლათ. გენები.

ყავადანი გაზქურიდან სულ უკანასკნელ მომენტში აიღო და განაგრძო:

- მაგრამ იცით, რა მაინტერესებს? რა არის ის ალისფერი ანარეკლი თქვენს თვალებში? რა უნდა იყოს? ვნება? შეჩერდი-სიგნალი?

იდგა და მიყურებდა. დაჟინებით, მშრალად.

ვუთხარი, ყოველ შემთხვევაში, თქვენთან დაწოლის სურვილი არაამეთქი.

- და სხვასთან? - მკითხა.

- არავისთან.

დივანზე ჩამოვჯექი, ის კი - მაღალ ტაბურეტზე, დაზგის გვერდით.

- შოკირებული ხართ, არა? - მითხრა.

- მე გაფრთხილებული ვიყავი.

- დეიდამ გაგაფრთხილათ?

- ჰო, დეიდამ.

შებრუნდა, ძალიან ნელა, ძალიან ფრთხილად დაასხა ყავა ფინჯნებში და ისევ ალაპარაკდა:

- მე მთელი ჩემი ცხოვრება ქალები მჭირდებოდა, თუმცა მათ ჩემთვის უმეტესად კარგი არაფერი მოჰქონდათ. განსაკუთრებით იმათ, ვის მიმართაც წმინდა, კეთილშობილური გრძნობები მამოძრავებდა. აი ნახეთ,

- მან თავისი ორი ვაჟიშვილის ფოტოსკენ მიმითითა - ეს არის საუკეთესო ნაყოფი კეთილშობილი, სუფთა ურთიერთობისა.

მე წავედი, ყავა ავიღე და დაზგას მივეყრდენი ჯ.პ.-სგან მოშორებით.

- რობერტი სულ რაღაც ოთხი წლით უმცროსია თქვენზე, - თქვა მან. - ჯერ ნუ დალევთ. აცალეთ, დაილექოს.

ჩანდა, ლაპარაკი ეუხერხულებოდა, მაგრამ აუცილებლად მიაჩნდა, თითქოს თავს იცავდა. უნდოდა ილუზიებისგან გავეთავისუფლებინე და ამავდროულად თანაგრძნობაც გამოეწვია ჩემში.

მან თქვა:

- სექსი სულ უბრალო რამეა. მყისიერად აღწევ ურთიერთგაგებას. ან ორივეს სურს ერთად დაწოლა, ან ერთ-ერთს არ სურს. მაგრამ სიყვარუ-ლი... ქალები, რომლებიც მემიყვარდა, ყოველთვის ეგოიზმში მდებდნენ ბრალს. და სწორედ ამის გამო ვუყვარდი, შემდეგ კი ამის გამო მიძულებ-დნენ. იცით, რა მიაჩნიათ მათ ეგოიზმად? - ცდილობდა წებოს ნარჩენები ჩამოეფხიკა თეთრ-ცისფერი ჩინური ვაზიდან. დამტვრეული იყიდა პორ-ტობელო-როუდზე და ნაწილები ერთმანეთს შეაწება: ორი გაშმაგებული მხედარი პატარა დამფრთხალ ფურირემს მისდევს. მოკლეთითება, მტკი-ცე ხელები.

- საქმე ის კი არ არის, რომ მე ჩემებურად ვხატავ, რომ ჩემებურად ვცხოვრობ, ჩემებურად ვლაპარაკობ. მათ ამის საწინააღმდეგო არაფერი აქვთ. ეს მათ მოსწონთ და აღაგზნებთ კიდეც. მაგრამ რასაც ვერ იტანენ, ის არის, რომ მე ისინი მძულს, როცა თავის თავს ღალატობენ, როცა ის არ არიან, რაც სინამდვილეში არიან.

ისე მელაპარაკებოდა, თითქოს მეც მამაკაცი ვიყავი.

- დეიდათქვენის მსგავსი წყეული ადამიანები ფიქრობენ, რომ მე ცი-ნიკოსი ვარ, ოჯახური კერების დამანგრეველი, თავაშვებული კაცი. მე კი ჩემს ცხოვრებაში ერთი ქალიც არ შემიცდენია. მიყვარს ქალები, მიყვარს ქალის სხეული. მიყვარს, რომ ყველაზე ზედაპირული ქალიც კი მშვენი-

ერ ქალად იქცევა, როცა ტანსაცმლისგან განიძარცვება, როცა მას ჰგონია, რომ მდაბალ, საშინელ ნაბიჯს დგამს. ყველას ასე ჰგონია პირველად. იცით, რა არის თითქმის მთლიანად გამქრალი თქვენი სქესის წარმომადგენლებში?

მან ცერად გადმომხედა. თავი გადავაქნიე.

- უბიწოება. ის მხოლოდ ერთხელ გაიელვებს - როცა ქალი იხდის და თვალს ვერ გისწორებს (როგორც მე ვერ ვუსწორებდი თვალს იმ წამს). მხოლოდ ბოტიჩელის იმ გაელვებაში, როცა ქალი პირველად იხდის. ძალიან მალე ეს ყვავილი ჭკნება. ევას გენს თავისი გააქვს. მეძავი. ანადიომენეს როლი მთავრდება.

- ანადიომენე ვინ არის?

მან ამიხსნა. ვფიქრობდი, რომ მისთვის ჩემთან ასე ლაპარაკის ნება არ უნდა მიმეცა. თითქოს ბადეს ქსოვდა ჩემ გარშემო. ეს კი არ ვიფიქრე, უფრო ვიგრძენი.

- მე თქვენს მსგავს მრავალ გოგონასა და ქალს შევხვედრივარ, - განაგრძო მან. - ზოგიერთ მათგანს კარგად ვიცნობდი. ზოგიერთ მათგანთან მეძინა - ჯობდა კი, ეს არ მომხდარიყო, ორზე დაქორწინებულიც ვიყავი. ზოგიერთს თითქმის არც ვიცნობდი, უბრალოდ, მათ გვერდით მომიწია დგომამ სადმე გამოფენაზე, მეტროში, - რა მნიშვნელობა აქვს, სად.

ცოტა ხნის შემდეგ მკითხა:

- იუნგი თუ წაგიკითხავთ?

- არა, - ვუპასუხე.

- მან სახელი დაარქვა თქვენი სქესის წარმომადგენლებს. თუმცა ეს არაფერს შველის. ავადმყოფობა ისევ ავადმყოფობად რჩება.

- რა სახელი დაარქვა? - ვკითხე.

- აზრი არა აქვს ავადმყოფობას უთხრა, მას რა სახელი ჰქვია, - მიპასუხა მან.

შემდეგ უცნაური სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს ჩვენც და ჩვენ გარშე-

მოც ყველაფერი გაირინდა, გაჩერდა, თითქოს ის ჩემგან რაღაც სხვა რეაქციას ელოდა, შესაძლოა ელოდა, რომ კიდევ უფრო გავბრაზდებოდი, კიდევ უფრო მეტად ვიქნებოდი შოკირებული. ვიყავი კიდეც გაბრაზებული და შოკირებული, მხოლოდ - მოგვიანებით (და არა ამ მიზეზით), მაგრამ მოხარული ვარ, რომ მაშინ არ გავიქეცი. ეს ერთი იმ საღამოთაგანი იყო, რომლის შემდეგერთბაშად იზრდები. უცებ მივხვდი, რომ არჩევანის წინაშე ვიდექი: ან შოკირებული გოგონასავით უნდა მოვქცეულიყავი, სულ რაღაც ერთი წლის წინ სკოლაში რომ დადიოდა, ან ისე, როგორც უფროსს შეეფერებოდა.

ბოლოს დუმილი დაარღვია:

- თქვენ უცნაური გოგო ხართ.

- ძველმოდური, - ვთქვი.

- საშინლად მოსაწყენი იქნებოდით, ასეთი მშვენიერი რომ არ იყოთ.

- გმადლობთ.

- არც ველოდი, რომ ჩემთან დაწვებოდით.

- ვიცი.

შემომხედა და დიდხანს თვალი არ მოუცილებია. შემდეგ განწყობილება შეეცვალა, ჭადრაკი აიღო და ვითამაშეთ. მომაგებინა. არ უღიარებია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ განგებ წააგო. მეტი თითქმის აღარ გვილაპარაკია, ჩვენს აზრებს თითქოს ჭადრაკის ფიგურების საშუალებით გადავცემდით ერთმანეთს და ჩემს გამარჯვებაშიც რაღაც სიმბოლური იყო. მას სურდა, რომ მე მეგრძნო, მაგრამ - რა, ზუსტად არ ვიცი. შეიძლება უნდოდა მეფიქრა, რომ ჩემმა „სათნოებამ“ მის „ცოდვილობას“ სძლია ან იქნებ უფრო ფაქიზი მინიშნება იყო იმაზე, რომ ხანდახან დამარცხება გამარჯვებაა. არ ვიცი.

შემდეგ მისვლაზე თავისი ნახატი მაჩუქა. ყავადანი და ორი ფინჯანი დაზგაზე. შესანიშნავი ნახატი იყო, ძალიან უბრალო, ფაციფუცისა და ნერვიულობის კვალი არ ეტყობოდა და სრულიად თავისუფალი იყო იმ

კეკლუცობისგან, სამხატვრო სასწავლებლის ნიჭიერ სტუდენტს რომ ახასიათებს მარტივი საგნების ხატვისას. ანუ მე რომ მახასიათებს.

უბრალოდ, ორი ფინჯანი, სპილენძის ყავადანი და მისი ხელი. ან ვიღაცის ხელი. ერთ-ერთი ფინჯნის გვერდით, თითქოს თაბაშირისგან ნაძერწი. უკანა მხარეს მიეწერა: თარიღი და Après. და შემდეგ - pour “une” princesse lointaine. “une”-ს ქვეშ სქელი ხაზი ჰქონდა გასმული.

ტუანეტას შესახებ მინდოდა დამეწერა, მაგრამ ძალიან დაღლილი ვარ. როცა ვწერ, სიგარეტის მოწევა მინდებადა აქ კიდევ უფრო იხუთება ყველაფერი.

29 ოქტომბერი

(დილა). ის წასულია. სად? ლუისში ალბათ.

ტუანეტა.

ფირფიტასთან დაკავშირებული ეპიზოდის შემდეგ ერთი თვე გავიდა. მე უნდა მივმხვდარიყავი - ისე კრუტუნებდა და ისე მზაკვრულად მიყურებდა. ვიფიქრე, პირსთან ხომ არა აქვს რაღაც-მეთქი. ერთ საღამოს კარზე ზარი დავრეკე, შევხედე, ღია იყო და შევედი. ზემოთ ავიხედე, ზუსტად ამ დროს ტუანეტამ სტუდიის კარი გააღო და ქვემოთ ჩამოიხედა. ცოტა ხნით ერთმანეთს თვალი გავუსწორეთ, შემდეგ კიბის ბაქანზე გამოვიდა, ნახევრად შიშველი იყო. არაფერი უთქვამს, ხელი დამიქნია - მანიშნა, ზევით ამოდიო. ყველაზე უარესი ის იყო, რომ მე მაშინვე გავწითლდი, ის კი - არა. მისთვის ეს გართობა იყო.

- ნუ ხარ ასეთი დაზაფრული, - მითხრა მან. - ის ახლავე დაბრუნდება. იმისთვის წავიდა, რომ... აღარ გამიგონია, რისთვის გავიდა. მაშინვე გამოვიქეცი.

წესიერად დღემდეც არ გამიანალიზებია, რამ გამაბრაზა და დამზაფრა ასე. რატომ იყო ეს ჩემთვის ასეთი მტკივნეული. დონალდმაც, პირსმაც და დევიდმაც იციან, რომ ტუანეტა ლონდონშიც ისეთივე ცხოვრებით ცხოვრობს, როგორითაც სტოკჰოლმში ცხოვრობდა. თვითონაც უთქვამს ამის შესახებ და სხვებსაც უთქვამთ. ჯ.პ.-მ ხომ ძალიან გასაგებად მითხრა, თვითონ როგორიც არის.

ეს არ იყო მხოლოდ ეჭვიანობა, არამედ ისიც, თუ როგორ შეეძლო ჯ.პ.-ისნაირ ადამიანს ასე დაახლოებოდა ისეთ პრაქტიკულ, ზედაპირულ, ყალბ და გარყვნილ ქალს. ისე, კაცმა რომ თქვას, ჩემთვის რატომ უნდა გაეწია ანგარიში?

ის ოცდაერთი წლით უფროსია ჩემზე. სულ რაღაც ცხრა წლით უმცროსი მ-ზე.

შემდეგ, კარგა ხნის განმავლობაში, ჯ.პ.-ის მიმართ კი არ მქონდა სიძულვილის გრძნობა, არამედ საკუთარი თავის მიმართ, ჩემი ჭკუამოკლეობის მიმართ. თავს ვაიძულებდი ტუანეტას შევხვედროდი, მისი ყბედობისთვის მესმინა; გამარჯვებულის იერი არ ჰქონდა, არ ტრაბახობდა. ალბათ ჯ.პ.-მ აუკრძალა.

იმის შემდეგ, რაც ერთად ვიყავით ჯ.პ.-სთან, მეორე დღეს მარტო მისულა მასთან თითქოსდა ბოდიშის მოსახდელად და, როგორც თვითონ ამბობდა, „ასე გამოვიდა“.

მე ძალიან ვეჭვიანობდი. მათ რომ ვუყურებდი, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მათზე უფროსი ვიყავი. ისინი ანცი ბავშვებივით იქცეოდნენ, უხაროდათ, რომ აქვთ საიდუმლო, ხალისობდნენ. უცებ შემეშინდა, ფრიგიდული ხომ არ ვარ-მეთქი. ჯ.პ.-სთან აღარ დავდიოდი. მისი დანახვაც აღარ შემეძლო. ბოლოს, დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ, მან სახლში დამირეკა, კეროლაინთან. ჩვეულებრივად ლაპარაკობდა, დამნაშავის ტონი არ იგრძნობოდა. ვუთხარი, რომ ძალიან დაკავებული ვიყავი, დროს ვერ ვპოულობდი მასთან მისასვლელად და იმ საღამოსაც ვერ მოვახერხებდი მისვლას. რომ დაეჭინა, ისევ უარს ვეტყოდი, მაგრამ

ისე ჩანდა, უკვე ყურმილის დაკიდებას აპირებდა და ვუთხარი, ხვალ შე-მოვივლი-მეთქი. ძალიან მინდოდა ენახა, როგორი გულნატკენი ვიყავი. ტელეფონით კი ამას ვერ დაინახავდა.

კეროლაინმა მითხრა, მეტისმეტად ხშირად დადიხარ მასთანო.

ვუპასუხე, მას შვედ გოგოსთან აქვს რომანი-მეთქი.

ამ თემაზე ცოტა ვისაუბრეთ კიდეც. მე ობიექტურობის განსახიერება ვიყავი, ჯ.პ.-ს ვიცავდი, მაგრამ, როცა დასაძინებლად დავწექი, ჩემს გულში დიდხანს ვადანაშაულებდი ყოველგვარ ცოდვებში.

მეორე დღეს პირველი, რაც ჯ.პ.-მ მითხრა (არ თვალთმაქცობდა) ის იყო, ალბათ მან ბევრი სისაძაგლე ილაპარაკაო.

მე ვუთხარი, არა, სრულებითაც არა-მეთქი და შემდეგ, ისე თითქოს ჩემთვის სულ ერთი იყო, ვკითხე:

- რატომ უნდა ელაპარაკა?

მან გაიცინა. ვიცი, რასაც განიცდიო, თითქოს მითხრა და სურვილი გამიჩნდა სილა გამეწნა მისთვის. უკვე აღარ შემეძლო თავი ისე მომეჩ-ვენებინა, თითქოს ჩემთვის სულ ერთი იყო და ამიტომ კიდევ უფრო უა-რესად ვგრძნობდი თავს.

მან თქვა: ყველა მამაკაცი გათახსირებულია.

ვუპასუხე, ყველაზე დიდი გათახსირებულობის ნიშანი კი ის არის, რომ მათ ღიმილით შეუძლიათ ამის აღიარება-მეთქი.

- მართალი ხართ, - თქვა მან და სიჩუმე ჩამოვარდა. ვინატრე, ნეტავ არ მოვსულიყავი-მეთქი. ნეტავ ჩემი ცხოვრებიდან მისი ამოშლა შემ-ძლებოდა. საწოლი ოთახის კარს გავხედე. ღია იყო და საწოლის კიდე ჩანდა.

ვუთხარი, ჯერ კიდევ არ შემიძლია ჩემი ცხოვრება ვაგონის კუპეები-ვით დავყო, ამ კუპეში ეს, იმ კუპეში ის, სულ ეს არის-მეთქი.

- მირანდა, მისმინეთ, - თქვა მან. - ის ოცი ხანგრძლივი წელი, რომე-ლიც ჩვენ გვაშორებს... მე თქვენზე უკეთ ვიცნობ ცხოვრებას. მე თქვენზე

მეტი მიცხოვრია და მეტჯერ მიღალატია და ბევრი ისეთი მინახავს, ვისთვისაც უღალატიათ. თქვენ კი ნათელი იდეალებით ხართ სავსე. ეს ბუნებრივია თქვენს ასაკში. თქვენ ფიქრობთ, რომ რადგან მე ხანდახან შემიძლია გავარჩიო, რა არის ხელოვნებაში ტრივიალური და რა მნიშვნელოვანი, ამიტომ ზნეობრივი უნდა ვიყო. მაგრამ ეს ასე არ არის. მე არც ვცდილობ ზნეობრივი ვიყო. ჩემი ხიბლი (თუკი საერთოდ მაქვს) თქვენთვის ის არის, რომ მე გულწრფელი ვარ. და გამოცდილი. და არა ჩემიშესანიშნავი თვისებები, რომლებიც მე არ გამაჩნია. მე არ ვარ კარგი კაცი. შესაძლოა მორალურად მე თქვენზე ახალგაზრდაც ვიყო. გესმით, რის თქმაც მინდა?

სწორედ იმას ამბობდა, რასაც მე ვგრძნობდი, მაგრამ ფორმულირება არ შემეძლო. მე გახევებული ვიყავი, ის კი მოქნილი, არადა, პირიქით უნდა ყოფილიყო. დამნაშავე მხოლოდ მე ვიყავი. მაგრამ არ შემეძლო არ მეფიქრა, რომ მან კონცერტზე წამიყვანა, შემდეგ კი შინ დაბრუნდა მასთან შესახვედრად. გამახსენდა, როგორ დავრეკე კარზე და არავინ გამომეპასუხა. ახლა ვხვდები, რომ ეს ნამდვილი ეჭვიანობა იყო, მაგრამ მაშინ ეს ყველაფერი ღალატად, საკუთარ პრინციპებზე უარის თქმად მეჩვენებოდა (ახლაც არაფერში ვარ დარწმუნებული, თავში დომხალი მაქვს და ჯანსაღი განსჯის უნარი დავკარგე).

ვუთხარი, რომ ძალიან მინდოდა რავი შანკარისთვის მომესმინა. ხომ ვერ ვეტყოდი, გაპატიეთ-მეთქი.

მუსიკას მოვუსმინეთ, შემდეგ ჭადრაკი ვითამაშეთ. მან მოიგო. ტუანეტა არ გვიხსენებია, მხოლოდ შემდეგ, კიბეზე ჩასვლისას, როცა უკვე მივდიოდი, მითხრა, ყველაფერი დამთავრებულიაო.

მე არაფერი ვთქვი.

- მისთვის ეს მხოლოდ გართობა იყო, - მითხრა.

მაგრამ მაინც ყველაფერი ძველებურად აღარ იყო. ჩვენ თითქოს ზავი დავდეთ. კიდევ რამდენჯერმე შევხვდით ერთმანეთს, მაგრამ მარტონი

არასდროს დავრჩენილვართ. ორი წერილი მივწერე, როცა ესპანეთში ვიყავი და მანაც ბარათი გამომიგზავნა. შემდეგ ერთხელ ოქტომბრის დასაწყისში ვნახე, მაგრამ ამის შესახებ სხვა დროს დავწერ. და კიდევ იმ ქალთან, ნილსენთან საუბრის შესახებ მინდა დავწერო.

აი კიდევ რა თქვა ტუანეტამ. ჯ.პ.-ს თავისი ვაჟების შესახებ მოუყოლია მისთვის და გული დამეწვა... თურმე ეხვეწებოდნენ, მდიდრულ კერძო სკოლაში არ მიეკითხა მათთვის, სადმე, სხვა ადგილას შეხვედროდნენ ერთმანეთს ქალაქში. ერცხვინებოდათ მისი, არ უნდოდათ სხვებს დაენახათ. რობერტი (რომელიც ახლა მალბოროს კოლეჯში სწავლობს) ქედმაღლურად მიყურებსო, უთქვამს.

ამის შესახებ ჩემთვის არასოდეს არაფერი მოუყოლია. შესაძლოა იმიტომ, რომ გულის სიღრმეში მეც იმ სამყაროს მიმაკუთვნებს.

საშუალო კლასის პატარა თვითკმაყოფილი გოგონა კერძო პანსიონიდან.

(საღამო). დღეს ისევ შევეცადე ჯ.პ. მეხსიერებით დამეხატა. არაფერი გამოდის. უიმედო საქმეა.

ვახშმის შემდეგ კ. ჩემს ოთახში იჯდა და „კლდის პირზე, ჭვავის ყანაში...“-ს კითხულობდა. რამდენჯერმე დავინახე, გადათვალა, კიდევ რამდენი გვერდი მაქვს დარჩენილიო.

მხოლოდ იმიტომ კითხულობს, რომ მე მაჩვენოს, აქაოდა ნახე, როგორ ვცდილობო.

დღეს, როცა აბაზანის შემდეგ გასასვლელ კარს ჩავუარე, ვუთხარი,„გმადლობთ შესანიშნავი საღამოსთვის. ჩემი წასვლის დროა. ნახვამდის“, და კარი გამოვწიე. რა თქმა უნდა, დაკეტილი იყო. მგონი გაიჭედამეთქი, ვთქვი. არც გაუღიმია. იდგა და მიყურებდა. ვუთხარი, რომ ვხუმრობდი. ვიციო, მიპასუხა. უცნაურია. იდიოტად ვიგრძენი თავი მხოლოდ იმიტომ, რომ არ გაეცინა.

რა თქმა უნდა, ჯ.პ. ყოველთვის ცდილობდა ლოგინში ჩავეწვინე. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ამას ახლა უფრო ნათლად ვხედავ, ვიდრე მაშინ.

გესლიანად დამცინოდა - ამას უხამსად არ აკეთებდა, მაგრამ ჩემს შოკირებას ახერხებდა. ზეწოლას არასდროს ახდენდა ჩემზე, ყოველთვის ირიბად ცდილობდა დავეყოლიებინე. არასდროს, შემთხვევითაც კი, არ შემხებია. იმის თქმა მინდა, რომ მართალია თავისებურად, მაგრამ პატივისცემას იჩენდა ჩემ მიმართ. არ მგონია, ეს თვითონაც ბოლომდე ჰქონოდეს გაცნობიერებული. ცდილობდა ჩემს შოკირებას და ამით მიზიდვას, ან განზიდვას - როგორც გამოვიდოდა.

კ-მ დღეს ისევ ფოტოები გადამიღო. არც ისე ბევრი, რადგან ვუთხარი, თვალებს ძალიან მტკენს-მეთქი. არ მსიამოვნებს, როცა მეუბნება, ესა და ეს პოზა მიიღეო. საშინლად მეპირფერება. „ხომ არ ინებებდით, გეთაყვა“... რა თქმა უნდა, „გეთაყვას“ არ ამბობს, მაგრამ უცნაურიც კი არის, რომ არ ამბობს.

- თქვენ სილამაზის კონკურსში უნდა იღებდეთ მონაწილეობას, - მითხრა, როცა ფირს ახვევდა.

- გმადლობთ, - ვუთხარი (ჩვენ გიჟებივით ვლაპარაკობთ. ამას მხოლოდ ახლა მივხვდი, როცა ვწერდი. ისე მელაპარაკება, თითქოს თავისუფალი ვიყო და როცა მინდა და სადაც მინდა, იქ შემეძლოს წასვლა. და მეც ანალოგიურად ვპასუხობ).

- ნაძლევს დავდებ, მაგარი იქნებოდით იმაში, რა ჰქვია...

გაკვირვებულმა შევხედე.

- ის ფრანგული საცურაო რაღაცა როა...

- ბიკინიზე ამბობთ? - ვთქვი და ცივად შევხედე. ასეთი ლაპარაკის უფლებას ხომ ვერ მივცემ.

- მხოლოდ სურათის გადაღება ვიგულისხმე, - მიპასუხა და გაწითლდა.

უცნაური კია, მაგრამ მჯერა, რომ სწორედ ამას გულისხმობდა და არა რაიმე უხამსობას. არაფერზე გადაუკრავს სიტყვა, უბრალოდ, როგორც ყოველთვის, მოუქნელად გამოხატა სათქმელი... პირდაპირი მნიშვნელო-

ბით ის იგულისხმა, რაც თქვა. საინტერესო იქნებოდა ჩემთვის სურათე-ბის გადაღება ბიკინიში.

ადრე ვფიქრობდი, რომ ეს მასში არის, ძალიან ღრმად ჩამარხული, დათრგუნული, მაგრამ მაინც არის.

თუმცა ახლა ასე აღარ ვფიქრობ. არ მგონია, თავის თავში რაიმეს თრგუნავდეს. უბრალოდ, მას არაფერი აქვს დასამალი, არაფერი აქვს დასათრგუნი.

სასიამოვნო გასეირნება ღამით. უმთვარო, უღრუბლო ცის ფართოდ განფენილი შუქი, ალმასივით მოციალე ვარსკვლავები და დასავლეთი-დან წამოსული საამური სიო. ვაიძულე დიდხანს გვევლო ბაღში. ათი თუ თორმეტი წრე გამოგვივიდა. ფოთლები შრიალებდა, სადღაც შორს, ტყე-ში, ბუ კიოდა. ცა იყო პირველქმნილი და თავისუფალი, ქარი და ჰაერი, სივრცე და ვარსკვლავები.

სიო შორეული ადგილების სურნელით იყო სავსე. იმედებით. ზღვით. დარწმუნებული ვარ, ზღვის სუნი ვიგრძენი. ვკითხე (შემდეგ, როცა დავ-ბრუნდით, ბაღში პირი, რა თქმა უნდა, აკრული მქონდა), ზღვასთან ახ-ლოს ვართ-მეთქი? ათ მილშიო, მიპასუხა. - „ლუისის ახლოს?“ - „ამას ვერ გეტყვით“. ისე თქვა, თითქოს ვინმესგან ჰქონდა აკრძალული (ასეთ რამეს ხშირად ვგრძნობ მასთან ურთიერთობისას: მისი გულკეთილობა - პატარა, საცოდავი, შიშისგან მონურად მოკუნტული - როგორ ემორჩი-ლება ბოროტებასა და სიმდაბლეს).

სახლში სხვანაირადაა. ისევ ვილაპარაკეთ მისი ოჯახის შესახებ. საკ-მაოდ ბევრი დავლიე. (ხანდახან) განგებ ვსვამ, რომ იქნებ იმანაც დალი-ოს, დათვრეს და სიფხიზლე მოადუნოს, მაგრამ ჯერჯერობით ერთი ყლუპიც არ დაულევია, თუმცა ამბობს, საერთოდ კი ვსვამო. ასე რომ, ეს ციხის ზედამხედველის სიფხიზლეა. ცდუნებებს არ ჰყვება.

მ. - მომიყევით კიდევ რაიმე თქვენი ოჯახის შესახებ.

კ. - მეტი არაფერი მაქვს მოსაყოლი. ისეთი, თქვენ რომ დაგაინტერე-სებდათ.

მ. - ეს პასუხი არ არის.

კ. - ადრე ხომ მითქვია.

მ. - მითქვამს.

კ. - ყველა მეუბნებოდა, კარგი ინგლისური გაქვსო. მანამდე, სანამ თქვენ გაგიცნობდით.

მ. - ნუ ბრაზობთ.

კ. - თქვენ ალბათ ყველაფერში მაღალი ნიშნები გქონდათ.

მ. - ჰო, კარგად ვსწავლობდი.

კ. - მე ბიოლოგიასა და მათემატიკას ვსწავლობდი კარგად.

მ. (მე ამ დროს თვლებს ვითვლიდი ძვირ, ფრანგულ, შალის ჯემპრში) - ყოჩაღ. ჩვიდმეტი, თვრამეტი, ცხრამეტი...

კ. - კიდევ ჰობის კონკურსში გავიმარჯვე.

მ. - აი როგორი ჭკვიანი ხართ. კიდევ მითხარით რაიმე მამათქვენის შესახებ.

კ. - ხომ მოგიყევით. ფირმის წარმომადგენელი იყო. საკანცელარიო და საგალანტერიო საქონელი.

მ. - კომივოიაჟერი.

კ. - ახლა მათ წარმომადგენლებს ეძახიან.

მ. - ავტოავარიაში დაიღუპა სწორედ ომის წინ. და დედათქვენი ვი-ღაც კაცთან ერთად გაიქცა.

კ. - ის არარაობა იყო. ისეთივე, როგორიც მე ვარ (ცივად შევხედე. მადლობა ღმერთს, იუმორის გრძნობა ასე იშვიათად, მაგრამ მაინც გაი-ელვებს).

მ. - და მამიდამ აგიყვანათ მოსავლელად.

კ. - ჰო.

მ. - როგორც მისის ჯო და პიპი.

კ. - ვინ?

მ. - არაფერი, ისე ვთქვი.

კ. - ის ძალიან კარგი ქალია. ის რომ არა, ობოლთა თავშესაფარში

მოვხვდებოდი.

მ. - და თქვენი მამიდაშვილი, მეიბლი? მის შესახებ არაფერი მოგიყოლიათ.

კ. - ის ჩემზე უფროსია. ოცდაათი წლისაა. მას კიდევ უფროსი ძმა ჰყავს, რომელიც ომის შემდეგ ავსტრალიაში გაემგზავრა ძია სტივთან. ბიძაჩემი ნამდვილი ავსტრალიელია. ძალიან დიდი ხანია, იქ ცხოვრობს. მე ის არასოდეს მინახავს.

მ. - სხვა ნათესავები არ გყავთ?

კ. - ძია დიკის ნათესავები. მაგრამ მამიდა ენი მათ მაინცდამაინც ვერ ეწყობა.

მ. - თქვენ არ გითქვამთ, მეიბლი როგორი ადამიანია.

კ. - ის ინვალიდია. კრუნჩხვები უვლის. გონებამახვილი კია. ყველაფერში ცხვირს ყოფს, ყველას შესახებ ყველაფერი უნდა რომ იცოდეს.

მ. - სიარული სულ არ შეუძლია?

კ. - ცოტა, სახლში. გარეთ ინვალიდის ეტლით გამოგვყავდა ხოლმე.

მ. - მე მგონი, დამინახავს კიდეც.

კ. - თქვენ ძალიან დაკვირვებული ხართ.

მ. - სულ არ გეცოდებათ?

კ. - ისე გამოდის, რომ ის სულ უნდა გეცოდებოდეს და გეცოდებოდეს. ყველაფერი მამიდა ენის ბრალია.

მ. - განაგრძეთ. თქვით, რას გულისხმობთ.

კ. - ისეთნაირად იქცევა, თითქოს მის გარშემოც ყველა ინვალიდი უნდა იყოს. წესიერად არც შემიძლია ამის ახსნა. თითქოს არავის აქვს უფლება ნორმალური იყოს. იმის თქმა კი არ მინდა, რომ სულ ბუზღუნებს. უბრალოდ, ისეთი მზერა აქვს. სულ ფხიზლად უნდა იყო. დავუშვათ, ერთ საღამოს ჩვეულებრივად, ისე, რომ გულში არაფერი გაგივლია, ამბობ, დილით ავტობუსმა კინაღამ გამასწრო, თავქუდმოგლეჯილი ვირბინე, რომ მიმესწროო. ამ დროს მამიდა შანსს არ გაუშვებს ხელიდან და აუ-

ცილებლად გეტყვის: „ჰო, კარგია, ბედნიერი ხარ, რომ სირბილი შეგიძ-ლია“. მეიბლი საერთოდ არაფერს გეტყვის. გამოგხედავს მხოლოდ.

მ. - რა საშინელებაა.

კ. - ყველაფერი ასჯერ უნდა აგეწონა-დაგეწონა, სანამ ხმას ამოიღებ-დი.

მ. - აგეწონ-დაგეწონა.

კ. - ჰო, აგეწონ-დაგეწონა მინდოდა მეთქვა.

მ. - რატომ არ წამოხვედით მათგან? ბინა რატომ არ იქირავეთ?

კ. - კი მიფიქრია ამაზე.

მ. - იმიტომ, რომ მაშინ ორი ქალი სრულიად მარტო დარჩებოდა. თქვენ ნამდვილად ჯენტლმენურად მოიქეცით.

კ. - ჯენტლმენურად კი არა... ნამდვილი დოყლაპიასავით (მისი უბად-რუკი მცდელობა ცინიკოსად გამოიყურებოდეს).

მ. - ახლა კი ავსტრალიაში არიან და ნათესავებს შეიკლავენ ხელში, არა?

კ. - მე მგონი, კი.

მ. - წერილებს თუ გწერენ?

კ. - მამიდა მწერს, მეიბლი - არა.

მ. - ხომ არ წამიკითხავდით რომელიმეს?

კ. - და რისთვის?

მ. - ჩემთვის საინტერესო იქნებოდა.

კ. - (დიდი შინაგანი ბრძოლა) ამ დილით მივიღე ერთი წერილი. მგო-ნი, აქ უნდა მქონდეს (ბევრი იწილო-ბიწილოს შემდეგ ბოლოს, როგორც იქნა, წერილს ჯიბიდან იღებს). შტერები არიან.

მ. - არა უშავს. წაიკითხეთ. ბოლომდე წაიკითხეთ.

კართან დაჯდა, მე კი ვქსოვდი, ვქსოვდი, ვქსოვდი. წერილი სიტყვა-სიტყვით არ მახსოვს, მაგრამ დაახლოებით ასეთი იყო:

„ძვირფასო ფრედ (ასე მეძახის. სახელი ფერდინანდი არ მოსწონს - დაბნეულობისგან ერთიანად გაწითლდა), მოხარული ვარ, რომ შენგან

პასუხი მივიღე და როგორც ჩემს ბოლო წერილში გწერდი, ეს შენი ფულია. ღმერთმა მოწყალება გაიღო შენ მიმართ. ნუ გაანაწყენებ მას, რომ მისი სიკეთე ბოროტებად არ შემოგიბრუნდეს. კარგი იქნებოდა, ეს ნაბიჯი არ გადაგედგა. ბიძაშენი, სტივი, ამბობს, რომ უძრავი ქონება ხლაფორთია, რადგან დანახარჯს ვერ ანაზღაურებს და ამიტომ არ ღირსო. შენ, ეტყობა, განგებ არ პასუხობ ჩემს შეკითხვებს იმის შესახებ, თუ ვინ გილაგებს სახლს, იქნებდამლაგებელი ქალი აიყვანე. მე კაცებს კარგად ვიცნობ და გაიხსენე, რომ ტყუილად არ ამბობენ: სისუფთავე ჯანმრთელობის საწინდარია და ღვთისმოსაობას თუ ჩამოუვარდებაო. ფრედ, მე არავითარი უფლება არა მაქვს შენს ფულზე და შენ ჩემ მიმართ ძალიან ხელგაშლილი იყავი. ეს კია, რომ ძია სტივს, და ბიჭებს, და გერტის ვერ გაუგიათ, შენც რატომ არ წამოხვედი ჩვენთან ერთად. გერტიმ ისიც კი თქვა, სწორედ ამ დილით, რომ უნდა გრცხვენოდეს, ჩვენთან ერთად რომ არ ხარ. მისი ადგილი ჩვენ გვერდით არისო. მაგრამ არ იფიქრო, რომ მე მადლობელი არ ვარ. იმედი მაქვს, რომ უფალი მაპატიებს, მაგრამ ეს დიდი გამოცდილება იყო და მეიბლს ვეღარც კი იცნობ, ისე გაირუჯა მზეზე. აქ ყველაფერი კარგია და სასიამოვნო, მაგრამ მტვერი არ მომწონს. აქ ყველაფერი მალე ჭუჭყიანდება და ესენი სრულებითაც არ ცხოვრობენ ისე, როგორც ჩვენ ინგლისში ვცხოვრობთ და მათი ინგლისურიც ამერიკულ ინგლისურს (ძია სტივის ინგლისურიც კი) უფრო ჰგავს, ვიდრე ჩვენსას. ასე რომ, ბლეკსტოუნში დაბრუნების წინააღმდეგი არ ვიქნებოდი, ნესტი და მტვერი ისე მოქმედებს ნერვებზე. და კიდევ იმედი მაქვს, რომ შეასრულე, რაც გითხარი - ოთახები გაანიავე, თეთრეული გამოაშრე, როგორც მე გასწავლე და კარგი დამლაგებელი იპოვე. ყველაფერი ისე, როგორც მე გითხარი და როგორც შენ დამპირდი. შენი იმედი მაქვს.

ფრედ, ძალიან ვნერვიულობ, რომ მთელმა ამ ფულმა თავგზა არ აგიბნიოს. ჩვენს დროში იმდენი უპატიოსნო ადამიანი დაძრწის გარშემო, მეშინია არ გაცდუნონ (ქალებს გულისხმობს, ამიხსნა მან). მე შენ ისე გაგზარდე, როგორც შემეძლო და თუ შენ ცუდ გზას დაადგები, ეს ჩემი

ბრალიც იქნება. ამ წერილს მეიბლს არ ვაჩვენებ. ის ამბობს, რომ შენ ასეთი რამეები არ მოგწონს. ვიცი, რომ სრულწლოვანი ხარ (იმის თქმა უნდა, რომ 21-ს გადაცილებული ვარ), მაგრამ მაინც ვნერვიულობ შენზე ყოველივე იმის გამო, რაც მოხდა (გულისხმობს, რომ მშობლები არ მყავს).

მელბურნი მოგვეწონა. დიდი ქალაქია. მომდევნო კვირაში ბრიზბენში დავბრუნდებით და ბობს და მის ცოლს ვესტუმრებით. ბობის ცოლმა სასიამოვნო წერილი მოგვწერა. სადგურზე დაგვხვდებიან. ძია სტივმა, გერტიმ და ბავშვებმა დიდი სიყვარულით მოგიკითხეს. ასევე მოგიკითხავს მეიბლი და მუდამ შენი მოსიყვარულე მამიდა.

შემდეგ მწერს, ფულზე არ ინერვიულო, ჯერ კიდევ არ გამოგვლევიაო. შემდეგ ისევ დამლაგებელი ქალის შესახებ მწერს. ამბობს, რომ იმედი აქვს, მოხუც ქალს შევარჩევ, ახლანდელი ახალგაზრდები როგორც საჭიროა, ისე ვერ ალაგებენო.

(კარგა ხნის მანძილზე ორივე ვდუმდით).

მ. - როგორ ფიქრობთ, ეს კარგი წერილია?

კ. - ყოველთვის ასე მწერს.

მ. - გული კინაღამ ამირია ამ წერილმა.

კ. - ის ხომ ერთი გაუნათლებელი ქალია.

მ. - იმას კი არ ვგულისხმობ, როგორ წერს, არამედ - რას ფიქრობს. გონება საშინლად აქვს დაბინძურებული.

კ. - მან მე ამიყვანა და ამდენი წელი თავისთან ვყავდი.

მ. - აბა, რა, აგიყვანათ და თავისთან ჰყავდით და ახლაც თავისთან ჰყავხართ, არ გიშვებთ. დაგაჩლუნგათ და უნდა, რომ მუდამ ასე ჩლუნგი დარჩეთ.

კ. - დიდი მადლობა.

მ. - სწორედ ეს უნდა.

კ. - მართალი ხართ. მართალი ხართ, როგორც ყოველთვის.

მ. - ნუ ამბობთ ასე (ქსოვა შევწყვიტე, ნაქსოვი გვერდზე გადავდე და

თვალები დავხუჭე)!

კ. - ის იმის ნახევარს არ უფროსობდა ჩემზე, რასაც თქვენ მეუფროსებით.

მ. - მე თქვენ არ გეუფროსებით. ვცდილობ გასწავლოთ რაღაც.

კ. - თქვენ მე მასწავლით, რომ ის უნდა მძულდეს და თქვენნაირად ვიფიქრო. მერე თქვენ წახვალთ და მე საერთოდ აღარავინ მეყოლება.

მ. - ოჰ, როგორ გეცოდებათ საკუთარი თავი.

კ. - ეს ისეთი რამ არის, რასაც თქვენ ვერასოდეს გაიგებთ. საკმარისია ოთახში შეხვიდეთ და ადამიანები სიამოვნებით გხვდებიან, ყველას მოსწონხართ, და ყველას შეგიძლიათ ესაუბროთ, ყველაფერში ერკვევით. მაგრამ როცა მე...

მ. - მოკეტეთ რა. ნუ ზლუქუნებთ. ისედაც არ გაკლიათ სიმახინჯე.

საქსოვი ავიღე და შევინახე. როცა შევხედე, პირდაღებული იდგა და რაღაცის თქმას ცდილობდა. მივხვდი, რომ ტკივილი მივაყენე. რა თქმა უნდა, იმსახურებს, მაგრამ უცებ როგორღაც შემეცოდა. ძალიან შეურაცხყოფილი ჩანდა. სულის სიღრმემდე. გამახსენდა, რომ ბაღში გასეირნების ნება დამრთო. რა საზიზღარი ვარ-მეთქი, ვიფიქრე.

მივედი, პატიება ვთხოვე და ხელი გავუწოდე, მაგრამ არ ჩამომართვა. უცნაურია, თავი ღირსეულად ეჭირა, მართლა შეურაცხყოფილი იყო (შეიძლება ამიტომ?) და არც მალავდა ამას. ამიტომ მკლავში ხელი მოვკიდე, დავსვი და ვუთხარი, ახლა მინდა ზღაპარი მოგიყვეთ-მეთქი.

იყო და არა იყო რა (დავიწყე მე. -ის დაღონებული ჩასჩერებოდა იატაკს), იყო ერთი საშინელი ურჩხული, რომელმაც პრინცესა ჩაიგდო ტყვედ და თავისი კოშკის დილეგში გამოამწყვდია. ყოველ საღამოს ურჩხული მოითხოვდა პრინცესასგან მის გვერდით დამჯდარიყო და ეთქვა: „თქვენ მშვენიერი ხართ, მილორდ“. მაგრამ პრინცესა ყოველ საღამოს ამბობდა: „თქვენ მახინჯი ხართ, ურჩხულო“. ეს ურჩხულს ძალიან სტკენდა გულს და ისდაღონებული ჩასჩერებოდა იატაკს. ჰოდა, ერთხე-

ლაც, საღამოს, პრინცესამ თქვა: „თუ თქვენ გააკეთებთ ამას და ამას, მაშინ მართლა მშვენიერი გახდებით“. „არ შემიძლია, არაფრით არ შემიძლია“, უპასუხა ურჩხულმა და პრინცესამ თქვა: „სცადეთ, იქნებ გამოგივიდეთ“. „არა, არ შემიძლია, არ შემიძლია“. ასე მეორდებოდა ყოველ საღამოს. ურჩხული სთხოვდა პრინცესას ეცრუა, ის კი ყოველთვის სიმართლეს ეუბნებოდა. და მაშინ პრინცესამ იფიქრა: „შეიძლება მას სიამოვნებს კიდეც, რომ ურჩხულია და მახინჯი“. და აი ერთხელ მან დაინახა, რომ ურჩხული ტიროდა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მან მეასეჯერ გაიმეორა, რომ ის მახინჯი იყო. ჰოდა, უთხრა მას: „შენ შეგიძლია ძალიან ლამაზი გახდე, თუ იმას გააკეთებ, რასაც მე გთხოვ. დამპირდი, რომ გააკეთებ“. ურჩხული ბოლოს და ბოლოს დათანხმდა და უთხრა, რომ შეეცდებოდა მისი თხოვნა შეესრულებინა. და მან სთხოვა: „გამიშვი აქედან, გამათავისუფლე“. და ურჩხულმაც გაუშვა. და უცებ, ერთბაშად, ის უკვე ურჩხული აღარ იყო - ის მშვენიერ უფლისწულად იქცა, რომელიც ადრე მოეჯადოებინათ. და ის თან გაჰყვა კოშკიდან გასულ პრინცესას და მათ დიდხანს და ბედნიერად იცხოვრეს.

სისულელე ჩავიდინე. ამას მანამდე მივხვდი, სანამ მოყოლას დავამთავრებდი. ხმა არ ამოუღია. ისევ იატაკს ჩასჩერებოდა.

ვუთხარი, ახლა თქვენი ჯერია ზღაპარი მოჰყვეთ-მეთქი.

მან კი მხოლოდ ეს თქვა:

- მე თქვენ მიყვარხართ.

იმ საღამოს მას თავი მართლაც ჩემზე ღირსეულად ეჭირა და ისეთი გრძნობა დამეუფლა, რომ პატარა, უსინდისო ადამიანი ვიყავი. ყოველთვის დავცინოდი, მასხრად ვიგდებდი, მძულდა და აშკარად გამოვხატავდი, რომ მძულდა. უცნაურია, ჩვენ არ ვლაპარაკობდით, ერთმანეთის პირისპირ ვისხედით და მე გამიჩნდა შეგრძნება, რომლის მსგავსიც აქამდეც ერთი-ორჯერ მქონია - რაღაც აუხსნელი სიახლოვისა მის მიმართ - არა სიყვარულის, ან სიმპათიის, არამედ მისი და ჩემი ბედის ურთიერთკავშირის. თითქოს გემის დაღუპვის შემდეგ ერთად მოვხვდით უკაცრიელ

კუნძულზე, ან ტივზე. საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, მაგრამ ორნი - ერთად.

უცებ ვიგრძენი, როგორი უბადრუკია მისი ცხოვრება, ისევე როგორც მამიდამისის, მისი მამიდაშვილისა და მისი ავსტრალიელი ნათესავების ცხოვრება. ვიგრძენი ასეთი ცხოვრების მძიმე, ჩლუნგი, ყოვლისმომცველი უიმედობა. იმის მსგავსი, ჰენრი მურს რომ აქვს თავის ნახატზე: ადამიანები დაბომბვისას მეტროს ბნელ ვაგონებში. ხალხი, რომელიც ვერასოდეს დაინახავს, იგრძნობს, იცეკვებს, დახატავს, იტირებს მუსიკის მოსმენისას, შეიგრძნობს სამყაროს, დასავლეთის ქარს. ისინი არასოდეს იცხოვრებენ, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით.

მხოლოდ სამი სიტყვა: მე თქვენ მიყვარხართ. მათ ისე უიმედოდ გაიჟღერეს. ისე წარმოთქვა ეს სიტყვები, თითქოს ეთქვას: „მე კიბო მაქვს“.

სულ ეს იყო მისი ზღაპარი.

31 ოქტომბერი

არაფერი შველის. დღეს ფსიქოანალიზი ჩავუტარე.

ჩემ გვერდით როცა ზის, სულ დაძაბულია.

გოიას ოფორტებს ვათვალიერებდით. შეიძლება ყველაფერი ოფორტების გამო იყო, მაგრამ მომეჩვენა, რომ მხოლოდ ზის და თავს ისე მაჩვენებს, თითქოს ათვალიერებს. სინამდვილეში კი იმაზე ფიქრობს, რა ახლოს ვზივართ ერთმანეთთან.

მისი ეს მუდმივი შებოჭილობა. ეს ხომ აბსურდია. ისე ველაპარაკე, თითქოს ნორმალური ადამიანი იყოს. თითქოს მანიაკი კი არ იყოს, რომელსაც აქ ვყავარ გამომწყვდეული, არამედ სასიამოვნო ახალგაზრდა კაცი, მხიარული მეგობარი გოგონასგან ცოტა შეფუცხუნება რომ სჭირდება.

ამის მიზეზი ის არის, რომ მის გარდა ვერავის ვნახულობ. ის ნორმა ხდება. არავინაა გვერდით ისეთი, ვისაც შეიძლება შეადარო.

ისევ ჯ.პ.-ის შესახებ. ეს იმ ცივი შხაპის (როგორც ის უწოდებს ჩემი ნამუშევრების მისეულ დახასიათებას) შემდეგ მოხდა. ერთ საღამოს თავს როგორღაც მოუსვენრად ვგრძნობდი, ადგილს ვერ ვპოულობდი. მასთან სახლში მივედი. დაახლოებით ათი საათი იქნებოდა. ხალათით გამოვიდა.

- დაწოლას ვაპირებდი, - მითხრა.

- ვიფიქრე, ცოტა ხანს მუსიკას მოვუსმენ-მეთქი, - ვთქვი მე. - ახლავე წავალ, - მაგრამ არ წავედი.

- უკვე გვიანია, - მითხრა მან.

ვუთხარი, რომ ძალიან დათრგუნულად ვგრძნობდი თავს. საზიზღარი დღე მქონდა და ვახშამზე კიდევ კეროლაინმა მომიშალა ნერვები თავისი სისულელეებით.

მან სტუდიაში ასვლის ნება დამრთო, დივანზე დამსვა, მუსიკა ჩართო და ნათურა ჩააქრო. ოთახში მთვარის შუქი შემოვიდა და მუხლებზე დამეფინა. ფანჯრიდან შემოსული მთვარის შუქი მოეფინა ჭერსაც - მშვენიერი, ვერცხლისფერი მთვარისა, ნებიერად რომ მიცურავდა ცაზე. ის სავარძელში ჩაჯდა, ჩემ პირდაპირ, სადაც მთვარის შუქი არ აღწევდა.

ოჰ, რა მუსიკა იყო.

გოლდბერგის ვარიაციები.

იქ არის ერთი მელოდია. სულ ბოლოში, ძალიან დაბალ ტემპში, ძალიანუბრალო და სევდიანი, მაგრამ ისე სულისშემძვრელად ლამაზი, რომ გადმოცემა შეუძლებელია სიტყვებით, ნახატით, და საერთოდ არაფრით, გარდა თვითონ მუსიკისა, ასეთი საოცარი მუსიკისა მთვარის შუქზე. მთვარის მუსიკა - ასეთი ნათელი, შორეული, ამაღლებული.

და ჩვენ ორნი ამ ოთახში. არც წარსული, არც მომავალი. მხოლოდ ამ წამის განუმეორებლობის მკვეთრი, ღრმა შეგრძნება. შეგრძნება იმისა,

რომ ყველაფერი უნდა დამთავრდეს, გაქრეს: მუსიკა, ჩვენ, მთვარე, ყველაფერი. რომ თუ საგნების არსს ჩასწვდები, ყველგან კვლავ და კვლავ სევდას წააწყდები, მაგრამ მშვენიერ, ვერცხლისფერ სევდას, იესოს სახის მსგავსს.

იღებ ამ სევდას, იცი, რომ არ შეიძლება ითვალთმაქცო, თითქოსდა ცხოვრება მხიარულებაა, ვინაიდან ეს ღალატია, ღალატი მათ მიმართ, ვინც ახლა სევდიანია და მათ მიმართ, ვინც ოდესმე ყოფილა სევდიანი, და ამ მუსიკის მიმართ, ასეთი ჭეშმარიტების მიმართ.

ლონდონური ცხოვრების მთელ იმ ორომტრიალში, სერიოზულ მუშაობასა და ამაო გარჯაში, ხელოვნების შესწავლასა და გამოცდილების რაც შეიძლება მალე შეძენის დაუოკებელ სურვილში - ამ ყველაფრის შუაგულში, უცებ ვერცხლისფერი, მუსიკით სავსე ოთახის სიჩუმე და მდუმარება.

თითქოს გულაღმა წევხარ, როგორც მაშინ, ესპანეთში (ეზოში გვეძინა), ზემოთ იყურები და ზეთისხილის ტოტებს მიღმა ვარსკვლავების ტალანებს, ვარსკვლავების ზღვებსა და ოკეანეებს გაჰყურებ. და გრძნობ, რომ შენც სამყაროს ნაწილი ხარ.

ვტიროდი. ჩემთვის, წყნარად.

ბოლოს მან თქვა:

- ახლა მაინც შემიძლია წავიდე და დავიძინო? - რბილად, ცოტა დამცინავი ტონით მითხრა, თითქოს ამ ცოდვილ მიწაზე დამაბრუნა. და მე წამოვედი. მგონი, საერთოდ არაფერი გვითქვამს ერთმანეთისათვის. ყოველ შემთხვევაში, ვერ ვიხსენებ. თავისი ძლივსშესამჩნევი, მშრალი ღიმილით მიღიმოდა. ხედავდა, რომ გულაჩუყებული ვიყავი.

უკიდურესად დელიკატური იყო. მე კი იმ ღამით მასთან დავწვებოდი. რომ ეთხოვა. ჩემთან რომ მოსულიყო და ეკოცნა.

მისი გულისთვის კი არა. უბრალოდ, იმის შესაგრძნობად, რომ ცოცხალი ვარ.

1 ნოემბერი

ახალი თვე და ახალი იმედები. გვირაბის გათხრის აზრი არ მასვენებს, მაგრამ საქმე ისაა, რით გინდა ეს ჩაცემენტებული ფილები გამოამტვრიო. ასე ვფიქრობდი გუშინდელ დღემდე, და აი გუშინ, როცა გარე სარდაფში „ციხის ვარჯიშებს“ ვასრულებდი, ლურსმანი დავინახე. დიდი, დაჟანგული ლურსმანი შორეულ კუთხეში, კედელთან ეგდო. ცხვირსახოცი დავაგდე, რომ დახრისას უფრო კარგად შემეთვალიერებინა. მისი აღება არ შეიძლებოდა, რადგან ის თვალმოუცილებლად მიყურებს. თან შეკრული ხელებით მოუხერხებელი იყო ამის გაკეთება. დღეს კი, როცა სულ ახლოს ვიყავი იმ კუთხესთან (ის ყოველთვის კიბის ყველაზე მაღალ საფეხურზე ზის), ვთხოვე (განგებ) წასულიყო და სიგარეტი მოეტანა ჩემთვის. სკამზე დევს, კართან-მეთქი. რა თქმა უნდა, შემეწინააღმდეგა. მითხრა, რაღაც გაქვს განზრახულიო.

მე ვუთხარი, აქ ვიდგები, ფეხს არ მოვიცვლი-მეთქი.

- რატომ თქვენ თვითონ არ წახვალთ და მოიტანთ?

- იმიტომ, რომ ხანდახან მსურს გავიხსენო ის დრო, როცა მამაკაცები გალანტურები იყვნენ ჩემ მიმართ. სულ ეს არის, - ვუპასუხე.

არ ვფიქრობდი, რომ რამე გამოვიდოდა. მაგრამ გამოვიდა. უცებ გადაწყვიტა, რომ იქ არაფრის გაკეთება არ შემეძლო, ვერაფერს ვნახავდი, რომ ამეღო (როცა გარე სარდაფში გამოვდივარ, ყველაფერს კარადაში კეტავს) და ოთახში შევიდა. მხოლოდ ერთი წამით. მე ელვისებურად დავიხარე, ლურსმანი ავიღე, კაბის ჯიბეში ჩავიდე (სპეციალურად ჩავიცვი იმ დღეს) და როცა უკან შემოვარდა, ზუსტად ისე ვიდექი, როგორც მისი გასვლისას. ასე მოვახერხე ლურსმნის ხელში ჩაგდება და მისი დარწმუნება, რომ შეეძლო მე მნდობოდა. ერთი გასროლით ერთბაშად ორი კურდღელი მოვკალი.

თითქოს არაფერი, მაგრამ უზარმაზარ გამარჯვებად მეჩვენება. ჩემი გეგმის შესრულება დავიწყე. უკვე რამდენიმე დღეა კალიბანს ჩავჩიჩინებ, რომ არ მესმის, რატომ უნდა იყვნენ დ. და მ. და სხვებიც გაურკვევლობაში იმის შესახებ, მე ცოცხალი ვარ თუ არა. ის მაინც შეატყობინოს, რომ ცოცხალი ვარ და კარგად ვარ. ამ საღამოს ვახშმის შემდეგ ვუთხარი, რომ შეეძლო კონვერტი და საწერი ქაღალდი ეყიდა „ვულვორტსში“, ხელთათმანი გამოეყენებინა და ა.შ. როგორც ყოველთვის, ცდილობდა თავი დაეძვრინა, მაგრამ არ მოვეშვი. ყველა დასაბუთება, თუ რატომ არ უნდა გაეკეთებინა ეს, გავაბათილე. ბოლოს მართლა მომეჩვენა, რომ შეიძლებოდა ეს გაეკეთებინა ჩემთვის.

ვუთხარი, რომ შეუძლია წერილი ლონდონიდან გაგზავნოს, პოლიციისთვის გზა-კვალის ასარევად. რომ ლონდონში ბევრი რამის ყიდვა მინდა. ჩემთვის აუცილებელია, რომ სამი-ოთხი საათი მაინც არ დაბრუნდეს უკან. იმიტომ, რომ კარს სიგნალიზაცია ადევს. და მე ამასობაში ხვრელს გამოვთხრი. ვფიქრობ, რომ რადგან ჩემი სარდაფის კედლები (ისევე, როგორც გარე სარდაფის) ქვის ფილებისგანაა და არა ლოდებისგან, ქვისფილის უკან მიწა უნდა იქნეს. როგორმე ამ ქვის გარსიდან უნდა გავაღწიო, იქ კი რბილი მიწა დამხვდება (როგორც მე წარმომიდგენია).

შეიძლება ეს ყველაფერი სიგიჟეა, მაგრამ ციებ-ცხელებით ატანილს ვგავარ. ერთი სული მაქვს, როდის ვცდი.

ნილსენის შესახებ.

მას კიდევ ორჯერ შევხვდი, როცა ჯ.პ.-ს სტუმრები ჰყავდა. ერთ-ერთი მათგანი ამ ქალის ქმარი იყო, დანიელი, რომელიც რაღაცის იმპორტირებითაა დაკავებული. ინგლისურს სრულყოფილად ფლობს, და ამიტომ მისი სიტყვები როგორღაც არასწორად, არაბუნებრივად ჟღერს.

ერთხელ ნილსენს საპარიკმახეროში შევხვდი. უკვე გადიოდა, როცა შევედი. კეროლაინმა მთხოვა, პარიკმახერს მოელაპარაკე, რომელ საათზე შემიძლია მივიდეო. მის სახეზე ის სპეციფიკური, გულისამრევად დათაფლული გამომეტყველება აღიბეჭდა, როგორსაც მისი ხნის ქალები

სპეციალურად იღებენ ჩემი ასაკის გოგონების დანახვისას. მინი ამას კეთილი-იყოს-თქვენი-ფეხი-მოწიფულ-ქალთა-კლუბში-გამომეტყველებას ეძახის. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი როგორც თანასწორს, ისე უნდა მოგეპყრონ, მაგრამ სინამდვილეში თავი შენს თანასწორად სულაც არ მიაჩნიათ და შურთ შენი.

მითხრა, ყავაზე დაგპატიჟებთო. სისულელე გავაკეთე. რაღაც უნდა მომემიზეზებინა და არ გავყოლოდი. დაიწყო ტკბილ-მწარე, გულისგამაწვრილებელი საუბარი ჩემზე, მის ქალიშვილზე, ხელოვნებაზე. ცნობილ ადამიანებს იცნობს და ცდილობდა შთაბეჭდილება მოეხდინა ჩემზე მათი სახელებით, მაგრამ მე პატივისცემით ვიმსჭვალები იმ ადამიანების მიმართ, ვისაც ხელოვნება ესმით, ღრმად გრძნობენ მას და არა მათ მიმართ, ვინც სახელგანთქმულ ადამიანებს იცნობს.

რა თქმა უნდა, ლესბოსელი არ არის, მაგრამ ჩემი ტუჩებისთვის თვალი არ მოუცილებია, ყოველ ჩემს სიტყვას იჭერდა. ეშინოდა იმაზე ლაპარაკი, რაც ისედაც ყველასთვის ცხადია და თან აშკარად ეტყობოდა, სურდა ამის შესახებ გეკითხა მისთვის.

თავისი გამომეტყველებით თითქოს გეუბნებოდა: „თქვენ არ იცით, რა მოხდა და რა ხდება ახლა ჩემსა და ჯ.პ.-ს შორის. მკითხეთ რა ამის შესახებ!“

ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა პოეტებსა და მხატვრებზე, ოცდაათიანი წლების მიწურულზე და ომზე, დილან ტომასთან შეხვედრაზე და ბოლოს ჯ.პ.-ის ჯერიც დადგა.

- მას თქვენ მოსწონხართ, - მითხრა.

- ვიცი, - ვუპასუხე მე.

მაგრამ შოკირებული ვიყავი, იმით, რომ ეს იცოდა (ნუთუ მან უთხრა) და იმითაც, რომ ამ თემაზე საუბარი სურდა ჩემთან. ვგრძნობდი, რომ ეს ძალიან უნდოდა.

- მას მხოლოდ ძალიან ლამაზები უყვარდება, - მითხრა.

არა, მართლა ძალიან უნდოდა ამაზე გვესაუბრა.

შემდეგ თავის ქალიშვილზე გადავიდა.

- ის ახლა თექვსმეტი წლის არის. ვერაფერი გავაწყვე მასთან. ხანდახან, როცა ვესაუბრები, ზოოპარკის ცხოველი მგონია საკუთარი თავი. ის კი თითქოს გისოსებს მიღმა დგას და მიყურებს.

მაშინვე ვიგრძენი, რომ ეს სადღაც ადრეც ექნებოდა ნათქვამი ვინმესთვის, ან შეიძლება სადმე ჰქონდა ამოკითხული. ამას ყოველთვის ამჩნევ.

მისი ტიპის ქალები ყველანი ერთნაირები არიან. საქმე ის კი არ არის, რომ დღევანდელი თინეიჯერები შეიცვალნენ - ჩვენ არ შევცვლილვართ, ჩვენ, უბრალოდ, ახალგაზრდები ვართ. ეს ახლანდელი სულელი შუახნის ხალხი აღარ არის ისეთი, როგორიც ადრე. ისინი მთელი ძალით ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდები არიან, ცდილობენ ჩვენი ცხოვრებით იცხოვრონ. ეს ხომ სულელური, უიმედო მცდელობაა. მათ არ შეუძლიათ ისეთები იყვნენ, როგორიც ჩვენ ვართ. ჩვენ ეს არ გვინდა. არ გვინდა, რომ მათ ჩვენნაირად ეცვათ, ჩვენნაირად ლაპარაკობდნენ. და ჩვენნაირი ინტერესები ჰქონდეთ. უფროსები ისე უნიჭოდ გვბაძავენ, რომ შეუძლებელია მათ მიმართ პატივისცემის გრძნობა გაგიჩნდეს.

ასე იყო თუ ისე, სწორედ ამ შეხვედრამ დამარწმუნა, რომ ჯ.პ.-ს მართლა ვუყვარდი (რომ ჩემ მიმართ ლტოლვა ჰქონდა), რომ ჩვენ შორის ღრმა კავშირი არსებობდა, რომ მე მას ვუყვარდი - თავისებურად, მე კი ის ძალიან მომწონდა (უფრო მეტიც, მიყვარდა კიდეც, მაგრამ არა - ხორციელად) - ჩემებურად. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ჩვენ ერთმანეთისკენ ხელის ცეცებით მივიკვლევდით გზას ერთიანობის ძიებაში, დაუკმაყოფილებელი სურვილისა და ნათელი სევდის ნისლში, ჩვენ შორის რომ იდგა. ეს ისეთი რამ არის, რასაც ნ-ის მსგავსი ქალები ვერასოდეს ჩასწვდებიან.

ორი ადამიანი უდაბნოში, რომლებიც ცდილობენ იპოვონ არა მხოლოდ ერთმანეთი, არამედ ოაზისიც, სადაც ერთად იცხოვრებენ.

აქ სულ უფრო და უფრო ხშირად ვფიქრობ იმაზე, რა სასტიკად მოგვექცა ბედი, ოცი წლით რომ დაგვაშორა ერთმანეთს. რატომ არ შეიძლებოდა ის ჩემი ხნის ყოფილიყო, ან მე ვყოფილიყავი მისი ხნის. ახლა ჩემთვის ასაკში განსხვავება არ არის ის მთავარი ფაქტორი, რომლის გამო სიყვარულზე ლაპარაკიც აღარ შეიძლება. ასაკი ბედისწერის მიერ ჩვენ შორის აღმართული პირქუში კედელია. მაგრამ მე უკვე აღარ ვფიქრობ, რომ ეს ყრუ კედელია. უფრო ტიხარია, რომელიც ხელს გვიშლის ერთმანეთთან მისვლაში.

2 ნოემბერი

ვახშმის შემდეგ კ-მ საწერი ქაღალდი მომიტანა და აბსურდული წერილის ტექსტი მიკარნახა. სხვა რა გზა მქონდა, იძულებული ვიყავი რასაც მკარნახობდა, ის დამეწერა.

შემდეგ უსიამოვნებები დაიწყო. მე წერილი მქონდა მომზადებული, რომელიც თამბაქოს გასახვევ ქაღალდზე უწვრილესი ასოებით დავწერე და როცა არ მიყურებდა, კონვერტში ჩავაცურე, ძალიან პატარა ზომის იყო და როგორც საუკეთესო დეტექტივებშია ხოლმე, ვერ უნდა შეემჩნია.

მაგრამ შეამჩნია.

წერილმა დაზაფრა. აიძულა რეალობის ცივ შუქზე შეეხედა ყველაფრისთვის, რაც ხდებოდა. მაგრამ ყველაზე მეტად მაინც იმან გააოგნა, რომ მე თურმე მისი მეშინოდა. ვერც კი წარმოედგინა, რომ შეეძლო მოვეკალი ან გავეუპატიურებინე. ეს კი უკვე რაღაცას ნიშნავს.

მცირე ხნით საშუალება მივეცი, სიბრაზე გადმოენთხია, მაგრამ მერე შევეცადე სითბო გამომეჩინა მის მიმართ (ხომ უნდა დამერწმუნებინა, რომ წერილი გაეგზავნა). იოლი საქმე არ იყო. ასეთი გამძვინვარებული არასოდეს მინახავს.

- ბოლოს და ბოლოს იქნებ დავამთავროთ ეს ყველაფერი და სახლში

გამიშვათ?

- არა.

- მაშინ რა გსურთ ჩემგან? გინდათ ლოგინში ჩამიწვინოთ?

ისე შემომხედა, თითქოს საშინლად უმსგავსოდ ვიქცეოდი.

შემდეგ შთაგონება მეწვია და პატარა სპექტაკლი გავითამაშე. აღმოსავლელი მონა, რომელიც მთლიანად მის ხელშია. ძალიან მოსწონს, როცა ასეთ სისულელეებს ვაკეთებ. ყველაზე სულელური რამეებიც კი, თუკი მე ვაკეთებ, მახვილგონიერების მწვერვალად ეჩვენება. ხანდახან იმასაც კი ცდილობს, რომ ამყვეს, თვითონაც მონაწილეობა მიიღოს - ამას ისე გაუბედავად, მოუქნელად აკეთებს (არც მე ვბრწყინავ მაინცდამაინც), ჟირაფი მოგაგონდება.

მოკლედ, ნება დამრთო, რომ კიდევ ერთი წერილი დამეწერა. კონვერტი გულდასმით შეამოწმა.

შემდეგ ვთხოვე, რომ ლონდონში წასულიყო (ჩემი გეგმის მიხედვით). საყიდლების ძალიან გრძელი სია მივეცი (რომელთა უმრავლესობა არაფერში მჭირდებოდა, მაგრამ იმისთვის დავავალე, რომ რაც შეიძლება დიდხანს ყოფილიყო დაკავებული). ვუთხარი, რომ შეუძლებელია ლონდონიდან გაგზავნილი წერილის კვალში ჩადგომა-მეთქი. ბოლოს, როგორც იქნა, დავითანხმე. ძალიან მოსწონს, როცა ვეხვეწები და ფეხქვეშ ვეგები. ნამდვილი პირუტყვია.

კიდევ ერთი თხოვნა. თუმცა, როცა ნივთების ყიდვაზე მიდგება საქმე, მე კი არ ვთხოვ, არამედ მოვითხოვ. ვუბრძანე, ყოველი ღონე ეხმარა და როგორმე ჯორჯ პესტონის ნახატი ეშოვა და ჩემთვის ეყიდა. იმ გალერეების სია მივეცი, სადაც შეიძლებოდა ჯ.პ.-ის ნახატს წასწყდომოდა. იმაზე დაყოლიებაც კი ვცადე, რომ პირდაპირ მის სტუდიაში წასულიყო.

მაგრამ როგორც კი ჰემპსტედს მოჰკრა ყური, მაშინვე რაღაც იყნოსა. მოინდომა გაეგო, ვიცნობდი თუ არა იმ ჯორჯ პესტონს. ვუპასუხე, რას ამბობთ, უბრალოდ, ცნობილი მხატვარია-მეთქი. მაგრამ ნათქვამი მაინცდამაინც დამაჯერებლად არ ჟღერდა. გარდა ამისა, ვშიშობდი, რომ

ჯ.პ.-ის ნახატს ვერსად იყიდდა. ამიტომ ვუთხარი, რომ სასხვათაშორისოდ ვიცნობდი მას, რომ ის საკმაოდ ხნიერია, მაგრამ ძალიან კარგი მხატვარია და ფული ძალიან სჭირდებოდა, მისი რამდენიმე სურათი ძალიან მომწონდა და შეგვეძლო კედელზე ჩამოგვეკიდა. რომ თუ უშუალოდ მისგან იყიდდა, გალერეებისთვის საკომისიოს გადახდა არ დასჭირდებოდა და იაფად გამოვიდოდა, მაგრამ ვხედავ, რომ გეშინიათ მასთან მისვლა, ამიტომ მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს-მეთქი. ცხადია, ანკესზე არ წამოეგო.

დაინტერესდა, ეგ ერთი თანამედროვე მთითხვნელი ხომ არ არისო. სწრაფად გავხედე.

კ. - უბრალოდ ვიხუმრე.

მ. - არ გინდათ ასეთი ხუმრობა.

ცოტა ხნის შემდეგ თქვა, ის მოინდომებს გაიგოს, ვინ ვარ და საიდან ვარო.

ვუთხარი, რა შეეძლო ეპასუხა. ვიფიქრებ ამაზეო, თქვა, რაც კალიბანის ენაზე „არას“ ნიშნავს. რა თქმა უნდა, მეტისმეტს ვითხოვდი და საერთოდ, ძალიან საეჭვოა, რომ მისი ნახატები რომელიმე გალერეაში იყოს.

მაინცდამაინც არც ვნაღვლობ, რადგან ხვალ ამ დროისთვის აქ ყოფნას არ ვაპირებ. გაქცევა მაქვს დაგეგმილი.

საუზმის შემდეგ გავა სახლიდან. სადილს წინასწარ მომიმზადებს და დამიტოვებს. ასე რომ, ჩემს განკარგულებაში ოთხი-ხუთი საათი იქნება (თუკი არ მომატყუებს და იმ ნივთების გარეშე არ დაბრუნდება, მე რომ ჩამოვუწერე. თუმცა ადრე ასეთი რამ არასოდეს გაუკეთებია).

ამ საღამოს კალიბანის მიმართ შეცოდების გრძნობა გამიჩნდა. მართლა დაიტანჯება, როცა მე წავალ. მარტოდმარტო, პირისპირ დარჩება თავის სოციალურ და სექსუალურ კომპლექსებთან, თავის უსარგებლობასა და სიცარიელესთან. მისი ბრალია და სინამდვილეში არც მეცოდება, მაგრამ ისეც არ არის, რომ სრულიად გულგრილი ვიყო.

4 ნოემბერი

გუშინ წერა ვერ შევძელი. ყელში ამოვიდა ყველაფერი.

რა შტერი ვარ. გუშინ მოვახერხე მთელი დღე გამეშვა სახლიდან, რამდენიმე საათი მქონდა გასაქცევად, მაგრამ აღმოჩნდა, რომ კარგად ვერ გამითვლია, რა სიძნელეებს შეიძლებოდა წავწყდომოდი. დარწმუნებული ვიყავი, რომ რბილ, ფხვიერ მიწამდე მივაღწევდი და პეშვით ამოვყრიდი. ლურსმანი უვარგისი გამოდგა, ცემენტი კი - მაგარი და ძალიან მიჭირდა მისი ამომტვრევა. მეშინოდა, ლურსმანი არ გატეხილიყო. ძალიან ძნელი სამუშაო იყო. საათები დასჭირდა ერთი ფილის გამოღებას, ხოლო მის უკან მიწა კი არა, ქვა აღმოჩნდა, თანაც გაცილებით დიდი ზომის, ვიდრე ის ფილა. კირქვა იყო, კიდეებიც კი ვერ მოვუნახე. კიდევ ერთი ფილის გამოღება მოვახერხე ჯახირით, მაგრამ ამანაც ფუჭად ჩაიარა - მის უკანაც ის ვეებერთელა ქვა აღმოჩნდა. სასოწარკვეთილებამ შემიპყრო, მივხვდი, რომ ხვრელს ვერ გავაკეთებდი. კარს მივვარდი და მუშტები დავუშინე, მერე ლურსმნით ვეწვალე. ხელი ვიტკინე და შედეგი სულ ეს იყო - გადაყვლეფილი ხელები და დამტვრეული ფრჩხილები.

ხელსაწყოების გარეშე ძალა არ მეყოფა. ხელსაწყოებიც რომ მქონდეს, მაინც არაფერი გამომივა.

ბოლოს ფილები თავის ადგილზე ჩავდგი, ცემენტი დავფშვენი (იმდენად, რამდენადაც შევძელი), წყალსა და ტალკს შევურიე და ნაპრალები ამოვგმანე, რომ ხვრელი როგორმე შემენიღბა. ის განწყობა დამეუფლა, რომლის ტყვეობაშიც აქ ხშირად ვარ: უცებ საკუთარ თავს ვუთხარი, რომ ხვრელის გამოთხრას მრავალი დღე დასჭირდებოდა, და შტერი ვიყავი, როცა ვფიქრობდი, რომ ამას ერთ დღეში მოვახერხებდი.

კვალის წაშლას კარგა ხანს ვცდილობდი.

მაგრამ ამაოდ, პატარა ნამტვრევები ცვიოდა და ცვიოდა. თანაც ისეთი თვალში მოსახვედრი ადგილი იყო, რომ შეუძლებელი იქნებოდა, არ

შეემჩნია.

ამიტომ ხელი ჩავიქნიე. უცებ გადავწყვიტე, რომ ეს უმნიშვნელოა, სისულელეა, უსარგებლოა, ისე როგორც ცუდი ნახატი, რომელსაც აღარაფერი ეშველება.

როცა ბოლოს და ბოლოს დაბრუნდა, მაშინვე დაინახა. ყოველთვის შემოსვლისთანავე მიყნოს-მოყნოსავს ხოლმე ყველაფერს. შემდეგ შეამოწმა, რამდენად ღრმად შევძელი გათხრა. საწოლზე ვიჯექი და ვუყურებდი. ბოლოს ლურსმანი ვესროლე.

ფილები უკან ჩააწყო და ჩააცემენტა. თქვა, სარდაფი მთლიანი ქვებითაა ნაშენიო.

მთელი საღამო ხმა არ გამიცია და არც მის ნაყიდ ნივთებს მივკარებივარ, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ჩარჩოიანი ნახატი დავინახე.

როგორც კი ვივახშმე, ძილის წამალი დავლიე და დავწექი.

ამ დილით (ძალიან ადრე გამეღვიძა), სანამ ის ჩამოვიდოდა, გადავწყვიტე ისე მოვქცეულიყავი, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. ჩვეულებრივად, როგორც სხვა დროს.

არ უნდა დავნებდე.

ფუთები გავხსენი. პირველ რიგში ნახატი. ჯ.პ.-ის ნახატი აღმოჩნდა. შიშველი გოგონა (ახალგაზრდა ქალი). სრულებითაც არ ჰგავდა მის იმ ნამუშევრებს, რომლებიც აქამდე მინახავს. მე მგონი, დიდი ხნის წინ აქვს დახატული. მაგრამ ნამდვილად მისია, მისეული. ხაზების დამახასიათებელი უბრალოება, სიძულვილი მანჭვა-გრეხისადმი. ნახევრად ზურგშექცევით მდგარი ქალი საკიდზე კაბას კიდებს (თუ საკიდიდან იღებს). ლამაზი სახე აქვს? ძნელი სათქმელია. საკმაოდ მძიმე, მაიოლისებური სხეული. ბევრი მისი ნახატია ამაზე უკეთესი.

მაგრამ ესეც ნამდვილია.

როცა ნახატი ამოვიღე, ვაკოცე. ხაზებს ისე კი არ ვუყურებდი, როგორც უბრალოდ ხაზებს, არამედ რაღაც ისეთს, რასაც მისი ხელი შეეხო. მთელი დილის განმავლობაში ვუყურებდი. და ახლაც.

არა სიყვარული. კაცთმოყვარეობა.

კალიბანი რომ შემოვიდა და ასეთი მხიარული დავხვდი, გაოცდა, მე კი მადლობა გადავუხადე ყველაფრისთვის, რაც იყიდა და ვუთხარი, რაღა პატიმარი ხარ, თუ გაქცევაზე არ ფიქრობ-მეთქი.

- მოდი, ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ. შევთანხმდით?

მითხრა, რომ ყველა გალერეაში დარეკა, რომლებიც მე დავუსახელე და მხოლოდ ეს ერთი ნახატი აღმოჩნდა.

- ძალიან დიდი მადლობა. შეიძლება აქ, ჩემს ოთახში, ჩამოვკიდო? როცა წავალ, თქვენ დაგიტოვებთ (არაფერსაც არ დავუტოვებ. მით უმეტეს, რომ თქვა, მირჩევნია ზემოთ თქვენი რომელიმე სურათი ჩამოვკიდოო).

ვკითხე, წერილი თუ გაგზავნეთ-მეთქი. კიო, მიპასუხა, მაგრამ დავინახე, სახეზე ალმური როგორ მოედო. ვუთხარი, რომ მჯეროდა მისი, რადგან იმ წერილის არგაგზავნა დიდი სიმდაბლე იქნებოდა მისი მხრივ და ამიტომ დარწმუნებული ვიყავი, რომ გაგზავნა.

თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ დახია და გადააგდო. სწორედ ისე, როგორც ჩეკი. ასეთია. მაგრამ რაც არ უნდა ვუთხრა, არაფერი გამოვა. ამიტომ გადავწყვიტე თავი ისე მოვაჩვენო, თითქოს დავიჯერე, რომ წერილი გაგზავნა.

შუაღამეა. წერა უნდა შევწყვიტო. ის მოვიდა.

მის მიერ ლონდონიდან ჩამოტანილ ფირფიტებს მოვუსმინეთ.

ბარტოკის მუსიკა დასარტყმელი ინსტრუმენტებისა და ჩელესტისათვის.

არაჩვეულებრივია.

ამ მუსიკამ რატომღაც შარშანდელი ზაფხული გამახსენა. ჩვენ ოთხნი კოლიურში გავემგზავრეთ და ფრანგ სტუდენტებთან ერთად ზემოთ, კოშკისკენ მივდიოდით ჭყორის ჭალის გავლით. ჭყორი. ფერების სრულიად ახალი შეხამება: საოცარი წაბლისფრის, მოწითალო-ყავისფრის, ჟანგისფერ-ალისფერი წითლის, სისხლისფრის - იქ, სადაც კანი ჰქონდათ

აცლილი. ჭრიჭინობელები. ველური ლაჟვარდოვანი ზღვა ხეებს მიღმა, პაპანაქება და იმ ყველაფრის სურნელი, რაც ამ პაპანაქებაში დნება და იწვის. პირსმა, მე და სხვებმაც, გარდა მინისა, ცოტა დავლიეთ. ჩრდილში დავიძინეთ და როცა გაგვეღვიძა, ფოთლებს შორის კობალტისფერი ცა მოჩანდა. მე გავიფიქრე: შეუძლებელია ამ ყველაფრის დახატვა, შეუძ-ლებელია უსულო ფერებით გადმოსცე ეს ცოცხალი, მთრთოლარე სი-ლურჯე. უცებ ვიგრძენი, რომ ხატვა აღარ მინდოდა, რომ ხატვა მხოლოდ თავის მოწონებაა. საჭიროა იცხოვრო, განიცადო, შეისრუტო შენში გა-რემომცველი სამყარო, შეიცნო ის, გამდიდრდე შთაბეჭდილებებითა და გამოცდილებით.

აუწერლად ლამაზი და სპეტაკი მზე სისხლისფერ-წითელ ხის ტანებ-ზე.

როცა დავბრუნდით, ხანგრძლივი საუბარი მქონდა ერთ სანდომიან, მორცხვ ბიჭთან - ჟან ლუისთან. მის ცუდ ინგლისურსა და ჩემს დამტვრე-ულ ფრანგულს ხელი არ შეუშლია, ერთმანეთისთვის კარგად გაგვეგო. საშინლად მორიდებული იყო. ეშინოდა პირსის და ეჭვიანობდა მასზე. შურდა, რომ ამ თავხედ, გაუთლელ პირსს ვითომც არაფერი, ხელი ჰქონ-და ჩემთვის შემოხვეული. შემდეგ გაირკვა, რომ ის მღვდლობისთვის ემ-ზადებოდა.

პირსი საშინლად უხეში გახდა მის მიმართ. ოჰ, ეს იდიოტური, მოუქ-ნელი, ტიპური ინგლისური სისასტიკე: ნამდვილმა მამაკაცმა სისუსტე არაფერში არ უნდა გამოავლინოს. პირსს ვერ გაეგო, რომ თუკი საცოდავ ჟან ლუის მოვწონდი და თუკი ჩემ მიმართ ლტოლვა ჰქონდა (და ეს, რა თქმა უნდა, ასე იყო), როგორ შეეძლო ასეთი მორიდებული ყოფილიყო. მაგრამ ეს არც იყო მორიდებულობა. ეს იყო მტკიცე გადაწყვეტილება, საერო ცხოვრებითაც ისე ეცხოვრა, როგორც მღვდელს. კოლოსალური ნებისყოფით, დაუჯერებელი ძალისხმევით მიეღწია თანხმობისთვის სა-კუთარ თავთან. ეს იმას ჰგავს, ყველა შენი ნახატი ერთი ხელის მოსმით

რომ გაანადგურო და ყველაფერი ნულიდან დაიწყო. მაგრამ მას ყოველ-დღე უწევდა ამის გაკეთება. ყოველ ჯერზე, როცა მისთვის მოსაწონ გო-გონას დაინახავდა. პირსმა კი უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა და მხოლოდ ეს თქვა:

- ნაძლევს ჩამოვალ, ბინძური ფანტაზიები აქვს შენ მიმართ.

როგორი გულისამრევია პრივილეგირებული კერძო სკოლების ბიჭე-ბის ეს ქედმაღლობა, ეს უგრძნობლობა. პირსს სულ ის აკერია პირზე, რომ ვერ იტანს თავის სკოლას სტოუში. თითქოს ამას რაიმე მნიშვნელო-ბა ჰქონდეს, თითქოს რაიმეს სიძულვილი იმას ნიშნავდეს, რომ ის გავ-ლენას აღარ ახდენს შენზე. ყოველთვის ვამჩნევ, როცა პირსი რაღაცას ვერ იგებს, მაშინვე ცინიკური ხდება და რაღაც საზიზღრობებს ამბობს.

როცა დიდი ხნის შემდეგ ჯ.პ.-ს მოვუყევი ამის შესახებ, მან მხოლოდ ეს თქვა:

- საწყალი ბაყაყი. ალბათ დაიჩოქა და ილოცა, რომ თქვენ დაევიწყე-ბინეთ.

ჩვენ ვუცქერდით, როგორ ისროდა პირსი კენჭებს ზღვაში - სად იყო ეს? - სადღაც ვალენსიასთან ახლოს. ისეთი მშვენიერი იყო - ჭაბუკ ღმერთს ჰგავდა, მზისგან გარუჯული ოქროსფერ-ყავისფერი სხეულით, გრუზა თმით, ვიწრო საბანაო ტრუსით. და მინიმ თქვა: (ჩემ გვერდით იწვა. ოჰ, ღმერთო, როგორ ცხადად წარმომიდგა ეს ყველაფერი)

- არ აჯობებდა, ხმას საერთოდ არ იღებდეს?

მერე მკითხა:

- გახდებოდი მისი საყვარელი?

- არა, - ვუთხარი. შემდეგ კი:

- არ ვიცი.

ამ დროს პირსი მოვიდა და ჰკითხა, რა გაცინებსო.

- ნანდამ ერთი საიდუმლო მითხრა, - თქვა მინიმ. - შენ შესახებ.

პირსი შეეცადა გაეხუმრა, მაგრამ უმარილო ხუმრობა გამოუვიდა და პიტერთან ერთად მანქანისკენ წავიდა სადილის მოსატანად.

- მაინც რა საიდუმლოა ასეთი, მაინტერესებს, - ვკითხე მე.

- სხეული სძლევს გონებას, - მიპასუხა მან.

- ეს კარმენ გრეია, ჭკვიანი გოგო,

ყოველთვის რომ იცის, რა თქვას და როგორ.

- ვიცოდი, რომ ამას იტყოდი, - თქვა მან. თითებით რაღაცას ხატავდა სილაზე, მე კი მუცელზე ვიწექი და მის ხელს ვაყოლებდი თვალს.

- მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ ფიზიკურად იმდენად კარგია, ხანდახან გავიწყდება კიდეც, როგორი შტერია. შეიძლება ისეთი აზრიც მოგივიდეს, მოდი, რაც იქნება, იქნება, ცოლად გავყვები და მერე რაღაცას შევასმენო. ხომ ასეა? მაგრამ შენ ხომ გესმის, რომ ეს შეუძლებელია. ან კიდევ, ერთ დღეს შეიძლება ადგე და მისი საყვარელი გახდე, ისე, ინტერესის გულისთვის, თავის შესაქცევად. და ერთ მშვენიერ დღეს აღმოაჩენ, რომ მის სხეულზე ხარ შეყვარებული და მის გარეშე ცხოვრება არ შეგიძლია. და ამ დამპალი, ბინძური გონების გვერდით მოგიწევს მთელი დარჩენილი ცხოვრების გატარება.

შემდეგ მკითხა:

- არ გაშინებს ასეთი პერსპექტივა?

- უფრო მეტად არა, ვიდრე ბევრი სხვა რამ.

- არა, სერიოზულად გეუბნები. თუ ცოლად გაჰყვები, იცოდე, აღარასოდეს დაგელაპარაკები.

მართლაც სერიოზულად მეუბნებოდა. ნაცრისფერი თვალების უხერხული მზერა. სახეზე აღბეჭდილი მტკიცე გადაწყვეტილება. ნამდვილი პატარა მებრძოლი. ლოყაზე ვაკოცე, წამოვდექი და ბიჭების შესახვედრად წავედი. ის კი იჯდა და თავდახრილი ისევ რაღაცას ხატავდა სილაზე.

საშინელებაა, რომ ჩვენ, ორივე, მეტისმეტად ბევრს, მეტისმეტად ღრმად ვხედავთ. ამას ვერაფერს მოუხერხებ. კიდევ, მინი ყოველთვის ამბობს, მე ამასა და ამაში დარწმუნებული ვარ, მე ასე და ასე მოვიქცევიო. და კიდევ, მიაჩნია, რომ ის ისეთი ადამიანი უნდა იყოს, სულიერად, სულ

ცოტა, შენს ტოლად მიგაჩნდეს, სულ ცოტა, შენზე ნაკლებად არ უნდა შეეძლოს დანახვა და ჩაწვდომა. გარეგნობა კი მეორეხარისხოვანი უნდა იყოს და არა მთავარი. მე მალულად, ჩემთვის, ხშირად მიდარდია, ჩვენს ოჯახში კიდევ ერთი შინაბერა ხომ არ იქნება-მეთქი. ყველაფერი ეს ძალიან ჩახლართულია და რაღაც სქემებში ვერ ეტევა.

მაგრამ ახლა ჯ.პ.-ზე ვფიქრობ და მას პირსს ვადარებ. პირსის სასარგებლოდ არაფერი მეტყველებს. მხოლოდ ოქროსფერ-ყავისფერი სხეული. ბიჭუკელა, რომელიც უაზროდ ისვრის კენჭებს ზღვაში.

5 ნოემბერი

ამ საღამოს შავი დღე ვაყარე. ზემოთ ვიყავით.

იატაკზე ნივთების დაყრა დავიწყე. ჯერ ბალიშების, შემდეგ - თეფშების, რომელთა დამტვრევა დიდი ხანია მინდოდა.

მართლა უმსგავსოდ ვიქცეოდი, განებივრებული ბავშვივით. მან კი ყველაფერი მოითმინა. სისუსტე გამოიჩინა. ერთი კარგად უნდა გაელაწუნებინა.

მხოლოდ ხელები დამიჭირა, რომ მისი კიდევ ერთი, საცოდავი დეკორატიული თეფში არ გამეტეხა. ძალიან იშვიათად მეხება. საშინლად უსიამო იყო. ყინულივით ცივი ხელები აქვს.

ლექცია ჩავუტარე, ვუთხარი, როგორ უნდა მოიქცეს, რა უნდა გააკეთოს ცხოვრებაში. არც კი მისმენდა. მოსწონს, როცა მის შესახებ ველაპარაკები, იმას კი, თუ რას ვეუბნები, მნიშვნელობა არა აქვს.

ახლა წერას ვწყვეტ. „გონება და გრძნობას“ ვკითხულობ და მინდა მალე გავიგო, მერიენის ამბავი როგორ დასრულდება. მერიენი - ეს მე ვარ. ელინორიც მე ვარ. ისეთი, როგორიც უნდა ვიყო.

რა მოხდება, ის რომ ავარიაში მოხვდეს და დაიღუპოს? ან დამბლა

დაეცეს. ან კიდევ სხვა რაღაც.

მე მოვკვდები.

აქედან ვერაფრით გავაღწევ. ეს ჩემმა გუშინწინდელმა უშედეგო მცდელობამაც დაამტკიცა.

6 ნოემბერი

შუადღეა. სადილი არ მოუტანია.

გაქცევის კიდევ ერთი მცდელობა. ერთ მომენტში ისე ჩანდა, თითქოს ახლოს ვიყავი მიზანთან. მაგრამ არაფერი გამოვიდა. ის სატანაა.

მოვიგონე, ვითომ ბრმა ნაწლავის შეტევა მქონდა. ეს დიდი ხნის წინ მოვიფიქრე და მარაგად ვინახავდი, როგორც უკანასკნელ საშუალებას. მინდოდა ყველა დეტალი გამეთვალისწინებინა, რომ მოუმზადებლობის გამო ეს ცდა არ ჩამფლავებოდა. აქაც კი არ ჩამიწერია ამ მცდელობის შესახებ - ხომ შეიძლებოდა ჩემი ჩანაწერებისთვის მიეგნო.

სახეზე ტალკი წავისვი. შემდეგ, როცა კარზე დამიკაკუნა, სასწრაფოდ გადავყლაპე წინასწარ მომარაგებული მარილი წყალთან ერთად და ორი თითი პირში ჩავიყავი. გამოთვლა ზუსტი აღმოჩნდა. შემოვიდა და დაინახა, რომ მაღებინებდა. დიდი სპექტაკლი გავითამაშე. გაჩეჩილი თმა, საწოლში ვიკრუნჩხები, ორივე ხელს მუცელზე ვიჭერ. მხოლოდ პიჟამა და ღამის ხალათი მაცვია და ვკვნესი, მაგრამ არცთუ ხმამაღლა, თითქოს ტკივილს ვაჟკაცურად ვიტან, ის კი საწოლთან დგას და მიმეორებს:

- რა მოხდა. რა დაგემართათ?

და დაიწყო გულისგამაწვრილებელი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი საუბარი. კალიბანი ცდილობს თავი დაიძვრინოს და საავადმყოფოში არ წამიყვანოს, მე კი ვითხოვ, რომ აუცილებლად წამიყვანოს. და უცებ თითქოს ფარ-

ხმალი დაყარა, წაიბურტყუნა, „ყველაფერი დამთავრდაო“ თუ რაღაც ამგვარი და გარეთ გავარდა.

გავიგონე (სახით კედლისკენ ვიწექი) როგორ დაიკეტა რკინის კარი. მაგრამ ურდულის დადების ხმა არ გამიგონია, შემდეგ გარე კარი და სიჩუმე ჩამოვარდა. უჩვეულო იყო, საოცარი, მოულოდნელი. როგორც იქნა! გაამართლა! პირველად რაც მომხვდა ხელში, ის წინდები ჩავიცვი, ფეხსაცმელებში ფეხები ჩავყავი და რკინის კართან მივვარდი. გამოვწიე,რამდენიმე სანტიმეტრი მომყვა, ე.ი. დაკეტილი არ იყო. ვიფიქრე, ეს მახე არ იყოს-მეთქი და სპექტაკლი გავაგრძელე. კარი გამოვაღე, სუსტი ხმით დავუძახე, ბორძიკ-ბორძიკით, მოკუნტულმა, გარე სარდაფი გავიარე და კიბეს ავუყევი. ღრიჭოდან სინათლე შემოდიოდა. მაშასადამე, გარეთა კარიც არ დაუკეტავს. თავში გამიელვა, რომ ასეც მოიქცეოდა. ექიმთან კი არ წავიდოდა, გაიქცეოდა, შეეშინდებოდა. მაგრამ მაშინ მანქანა უნდა გამოეყვანა და მე ძრავას ხმა უნდა გამეგონა. მაგრამ არაფერი ისმოდა. რამდენიმე წუთს შევიცადე, უნდა მივმხვდარიყავი, მაგრამ ამ გაურკვეველი მდგომარეობის ატანა აღარ შემეძლო. კარი გამოვაღე და გარეთ გავვარდი. ის იქიდგა. დღის კაშკაშა სინათლეში.

მიცდიდა.

თავს ისე ვეღარ მოვაჩვენებდი, რომ ცუდად ვიყავი. მე ხომ ფეხსაცმელები ჩავიცვი. ხელში რაღაც მძიმე ეჭირა (ჩაქუჩი?) და უცნაური, გაფართოებული თვალებით მიყურებდა. დარწმუნებული ვარ, მზად იყო თავს დამსხმოდა. ერთხანს ასე ვიდექით, გარინდებულნი, ერთმანეთის პირისპირ. არ ვიცოდით, რა გვექნა - არც მე, არც მან. შემდეგ შევბრუნდი და უკან გავიქეცი. არ ვიცი, რატომ, მექანიკურად, მოუფიქრებლად გავაკეთე. გამომეკიდა, მაგრამ, როცა დაინახა, რომ სარდაფისკენ გავრბოდი, გაჩერდა (ქვეცნობიერად ვიცოდი, რომ ასეც მოიქცეოდა. მისთვის ერთადერთი უხიფათო ადგილი ხომ ეს მიწისქვეშეთია). კარის დაკეტვისა და ურდულის დადების ხმები გავიგონე.

დარწმუნებული ვარ, რომ სწორად მოვიქეცი. ამან გადამარჩინა. რომ

დამეყვირა, ან გაქცევა მეცადა, ცემით სულს ამომხდიდა. არის წუთები, როცა ის მთლად არანორმალური ხდება და ვეღარ აკონტროლებს საკუთარ თავს.

მან გაიმარჯვა. უფრო ჭკვიანი გამოდგა.

(შუაღამე) ვახშამი ჩამომიტანა. ხმა არ ამოუღია. შუადღის შემდეგ ვხატავდი. ნახატებით მოყოლილი ამბავი. კალიბანის თავგადასავალი. „საშინელი ზღაპარი უწყინარ ბიჭზე“. აბსურდია, მაგრამ რაღაცით ხომ უნდა შევიქციო თავი, რომ თავზარდამცემ რეალობას მოვწყდე, შიში მოვიშორო. ზღაპარი სასიამოვნო, უწყინარი კლერკის თავგადასავლით იწყება და იმით მთავრდება, თუ როგორ იქცა ის საშინელებათა ფილმის მოღრიალე ურჩხულად.

როცა წასვლა დააპირა, ნახატი ვაჩვენე. არ გაუცინია, ყურადღებით შეხედა მხოლოდ. ბოლოს თქვა:

- რას იზამ, ასეა. ბუნებრივია, - იმის თქმა უნდოდა, ბუნებრივია, რომ შენ დამცინიო.

მე მისი კოლექციის ერთ-ერთი ეგზემპლარი ვარ და ვეზიზღები, როცა თავის დაღწევას ვცდილობ. მას მკვდარი ვჭირდები, ქინძისთავზე წამოგებული, ყოველთვის ერთნაირი, ყოველთვის ლამაზი, რომ თვალს ვუხარებდე. მან იცის, ჩემი სილამაზე ნაწილობრივ იმის შედეგია, რომ ცოცხალი ვარ, მაგრამ მთლად ცოცხალიც არ ვუნდივარ. მას ცოცხალ-მკვდარი ვჭირდები. განსაკუთრებით ნათლად ეს დღეს ვიგრძენი. ის, რომ მე ცოცხალი ვარ, ხასიათი მეცვლება, მისნაირად არ ვფიქრობ, ხშირად ცუდ ხასიათზე ვდგები - ეს ყველაფერი აღიზიანებს.

ის მყარია. მძიმე. სქელკანიანი. რკინისებური ნებისყოფის. ადგილიდან ვერ დაძრავ. ვერაფერს შეასმენ. ერთ დღეს რაღაც ბოთლი მაჩვენა, რომელსაც თვითონ სიკვდილის ბოთლს ეძახის. პეპლების მისაძინებელი. მეც სწორედ ასეთ ბოთლში ვზივარ, ფრთებს ვაფარფატებ მინის კედლებს შორის და რადგან მინა გამჭვირვალეა, ჯერ კიდევ ვფიქრობ, რომ ბოთლიდან თავის დაღწევა შესაძლებელია. რომ იმედი ჯერ კიდევ არის,

მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ილუზიაა.

მინის სქელი მრგვალი კედლები.

7 ნოემბერი

როგორ იწელება დღეები. აუტანლად გრძელი დღევანდელი დღე.

ჩემი ერთადერთი ნუგეში ჯ.პ.-ის ნახატია. სულ უფრო და უფრო მიტაცებს. ერთადერთი ცოცხალი აქ ის არის - საოცარი, განუმეორებელი ქმნილება. ის არის პირველი, რასაც დილით, გაღვიძებისას ვხედავ და ბოლო, რასაც ძილის წინ ვუყურებ. მის წინ ვდგავარ, შევცქერი, თვალს არ ვაცილებ. თითოეული ხაზი ზეპირად ვიცი. ერთ-ერთი ფეხი მაინცდამაინც კარგად არ გამოუვიდა. მთელ კომპოზიციაში ბალანსი თითქოს ოდნავ დარღვეულია, თითქოს სულ მცირე რაღაც აკლია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის ცოცხალია.

ვახშმის შემდეგ (ნორმალური ურთიერთობა განახლდა) კალიბანმა „კლდის პირზე, ჭვავის ყანაში...“ გამომიწოდა და თქვა, წავიკითხეო. მისი ტონის მიხედვით მივხვდი, რასაც გულისხმობდა. უნდოდა ეთქვა, დიდი ვერაფერი შვილიაო.

არ მეძინება. ამ დიალოგს ჩავწერ.

მ. - აბა, რას იტყვით?

კ. - ვერაფერ აზრს ვერ ვხედავ მასში.

მ. - ნუთუ ვერ ხვდებით, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო კვლევაა მოზარდის ფსიქოლოგიისა, რაც კი ოდესმე დაწერილა.

კ. - მე მგონი, თავში დომხალი აქვს.

მ. - რა თქმა უნდა, დომხალი აქვს და ამას აცნობიერებს კიდეც. ცდილობს გამოთქვას, რასაც გრძნობს. ნამდვილი, ცოცხალი ადამიანია, მთელი თავისი ნაკლოვანებებით. ნუთუ არ შეგეცოდათ?

კ. - არ მომწონს, როგორც ლაპარაკობს.

მ. - მე კი ის არ მომწონს, თქვენ როგორ ლაპარაკობთ. მაგრამ მე თქვენ არ გეპყრობით, როგორც ჩემზე დაბლა მდგომს, რომელიც სერიოზულ ყურადღებასა და თანაგრძნობას არ იმსახურებს.

კ. - ჰო, ალბათ ეს ძალიან ჭკვიანური წიგნია, ჭკვიანურად დაწერილი.

მ. - ეს წიგნი იმიტომ მოგეცით წასაკითხად, რომ მეგონა, საკუთარ თავს დაინახავდით. თქვენც ხომ ერთგვარად ჰოლდენ კოლფილდი ხართ. ის ვერაფერში ეწერება და თქვენც ასე ხართ.

კ. - და ეს არცაა გასაკვირი. შეხედეთ, როგორ იქცევა. ის არც ცდილობს ჩაეწეროს.

მ. - ის ცდილობს თავის სიცოცხლეს თუნდაც რაღაც აზრი შესძინოს. წესიერ ადამიანად დარჩეს.

კ. - ეს დამაჯერებელი არ არის. მდიდრების სკოლაში დადის, მშობლები ფულში ცურავენ. ის ასე არ უნდა იქცეოდეს. ჩემი აზრით.

მ. - მე ვხვდები, თქვენ ვინც ხართ. თქვენ ხართ ზღვის ბერიკაცი.

კ. - ეგ ვინღაა?

მ. - საშინელი ბებერი, რომლის თრევა სინდბადს ზურგით მოუწია. აი ვინ ხართ თქვენ. ზურგზე მოაჯდებით ყველაფერს ცოცხალს, მფეთქავს, პატიოსანს, თავისუფალს და გუდავთ.

აღარ გავაგრძელებ. ვიდავეთ, თუმცა ამას დავა არ ჰქვია. მე რაღაცებს ვეუბნები და ის ცდილობს თავი დაიძვრინოს.

სიმართლე იყო, რაც ვუთხარი. ის ზღვის ბერიკაცია. ვერ ვიტან კალიბანისნაირ ჩლუნგებს, თავიანთივე წვრილმანობა, სიმდაბლე, ეგოიზმი რომ სრესთ. და უმცირესობა იძულებულია ეს ტვირთი ზიდოს. ექიმები, მასწავლებლები, ხელოვანები - რა თქმა უნდა, მათ შორისაც არიან მოღალატეები, მაგრამ თუკი რაიმე იმედი დარჩა, მთელი იმედი მათზეა. ჩვენზე.

მეც ხომ ერთ-ერთი მათგანი ვარ.

ერთ-ერთი მათგანი ვარ, მე ამას ვგრძნობ და ვცდილობ დავამტკიცო.

ამას ჯერ კიდევ სკოლაში, ლედიმონტში მივხვდი, სწავლის ბოლო წელს. ძალზე ცოტანი ვიყავით ისეთები, რომლებსაც გული შეგვტკიოდა. ჩლუნგები, სნობები, მეჯლისების მომავალი დედოფლები, მამიკოების გულის ვარდები, ჩაცმას გადაყოლილები, კატებივით ატეხილები კი თავზესაყრელად იყვნენ. ლედიმონტში აღარასოდეს დავბრუნდები, იმიტომ რომ ვერ ვიტანდი იმ ჩახუთულ ატმოსფეროს: ყველაფერი ისე უნდა იყოს, „როგორც მიღებულია“, ურთიერთობა მხოლოდ „შესაფერის ხალხთან“ შეიძლება. თავი „ღირსეულად“ უნდა გეჭიროს (ბოადისიამ ჩემს თხზულებას მიაწერა: „მიუხედავად მისი უცნაური პოლიტიკური შეხედულებებისა“... როგორ გაბედა). არ მინდა ასეთ გარემოში თავისიანად მთვლიდნენ.

რატომ უნდა ავიტანოთ მათი პირუტყვული კალიბანობა? ცოცხალი, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული, კეთილი, პატოსანი ადამიანები რატომ უნდა ეწამებოდნენ უმრავლესობის უფორმო, რუხი მასის გამო.

ამ სიტუაციაში უმცირესობის ტიპური წარმომადგენელი ვარ.

წამებული. ზრდის, განვითარების შესაძლებლობას მოკლებული ტუსაღი. ამ მარადიული წყრომის განსახიერების წყალობის შემყურე, მოკაკული სიძულვილისა და შურის დოლაბქვეშ, რომელსაც კალიბანობა ჰქვია. და ეს იმიტომ, რომ მათ ჩვენ ვეზიზღებით, რადგან თვითონ ისეთები არ არიან, როგორიც ჩვენ ვართ. კალიბანები ჩვენ გვდევნიან, გვავიწროებენ, სასაკლაოზე გვგზავნიან, დაგვცინიან, მასხრად გვიგდებენ, პირში გვამთქნარებენ, თვალებსა და ყურებს იხშობენ, რომ არ შეგვამჩნიონ, არ გამოამჟღავნონ, თუნდაც შემთხვევით, პატივისცემა ჩვენ მიმართ, ვიდრე ცოცხლები ვართ. სამაგიეროდ მუცელზე დაღოღავენ ჩვენ შორის უდიადესთა წინაშე, როდესაც ვკვდებით. მზად არიან ათიათასობით, ასიათასობით გადაიხადონ ვან გოგისა თუ მოდილიანის ნახატისათვის, რომელსაც აფურთხებდნენ, როცა მათი შემქმნელი ცოცხალი იყო. ხარხარებდნენ და ბილწსიტყვაობდნენ მათზე.

მეზიზღებიან.

მეზიზღებიან გაუნათლებლები და უმეცრები. ქედმაღლები და ყალბები. მეზიზღებიან შურიანები და დაბოღმილები, მუდამ მობუზღუნე, სულმდაბალი და წვრილმანი ადამიანები. მეზიზღება უფერული, ჩლუნგი, პატარა კაცუნები, რომლებსაც არ რცხვენიათ, რომ ჩლუნგები და პატარები არიან. მეზიზღებიან ისინი, ვისაც ჯ.პ. „ახალ ადამიანებს“ უწოდებს. ეს ნუვორიშები მთელი მათი მანქანებით, ფულით და ტელევიზორებით, მეზიზღება მათი ჩლუნგი ვულგარულობა, მუცელზე ღოღვა ძველი ბურჟუაზიული ოჯახების წინაშე და მათი მიბაძვისადმი მონური სწრაფვა.

მე მიყვარს პატიოსნება, თავისუფლება და გაცემის სურვილი. მიყვარს შექმნა და შემოქმედება. მიყვარს სისხლსავსე ცხოვრება. მიყვარს ყველაფერი, რაც პასიურ დამკვირვებლობას, მიმბაძველობას, სულის გახევებას ეწინააღმდეგება.

ჯ.პ. დამცინოდა იმის გამო, რომ ლეიბორისტი ვიყავი (დიდი ხნის წინათ). ერთ დღეს მახსოვს, მითხრა:

- გესმით, რომ იმ პარტიას უჭერთ მხარს, რომელმაც მთელი ეს „ახლები“ წარმოშვა?

გავოგნდი, რადგან იმის მიხედვით, რასაც ის ყოველთვის ლაპარაკობდა, ჩემი აზრით, თვითონ სწორედაც რომ ლეიბორისტი უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა, ვიცოდი, რომ ადრე კომუნისტი იყო. ვუპასუხე, ეს „ახლები“ მირჩევნიაღარიბ-ღატაკებს-მეთქი.

მან მითხრა: ეს „ახლებიც“ ასევე ღარიბ-ღატაკები არიან. ეს სიღატაკის ახალი ფორმაა. ღარიბებს ფული არა აქვთ, ამათ კი - სული.

მერე უცებ მკითხა: „მაიორი ბარბარა“ თუ წაგიკითხავთ? იქ ამტკიცებენ, რომ ადამიანები ჯერ მატერიალური სიდუხჭირისგან უნდა ვიხსნათ და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ვიფიქროთ მათი სულების ხსნაზე. იცით, მათ რა ავიწყდებათ? საყოველთაო კეთილდღეობას მიაღწიეს, თვითონ ბარბარა კი მიივიწყეს. სიუხვე, სიუხვე და ამ დროს სულიერის ჭაჭანებაც არაა თვალსაწიერში.

მე ვიცი, რომ ის რაღაც-რაღაცებში ცდება. აჭარბებს. ადამიანი მე-მარცხენე უნდა იყოს. ყველა წესიერი ადამიანი, ვისაც კი ოდესმე შევ-ხვედრივარ, კონსერვატორებს უპირისპირდება. მაგრამ იმასაც ვხვდები, ის რას გრძნობს და მსგავსი გრძნობა მეც სულ უფრო და უფრო ხშირად მეუფლება. ეს გაქსუებული „ახალი ფენა“ როგორ რყვნის, ხრწნის და ვულგარულს ხდის ყველაფერს. ძალადობს ბუნებაზე, (როგორც მ. ამ-ბობს ხოლმე, როცა მასში სკვაირი იღვიძებს). ყველაფერი მასობრივი ხდება. მასობრივი წარმოება, მას-კულტურა, მას-ყველაფერი.

ვიცი, რომ უკან არ უნდა დავიხიოთ. ჩვენს კონტროლქვეშ უნდა მო-ვაქციოთ და წარვმართოთ მასების სტიქიური მოძრაობა, იმის მსგავსად, ველურ დასავლეთზე ფილმებში რომ ხდება. ვიღვაწოთ ამ ადამიანების-თვის, მომთმენნი ვიყოთ მათ მიმართ. მე არასოდეს დავიმალები სპილოს ძვლის კოშკში. ეს ყველაზე დიდი საზიზღრობა იქნებოდა - არჩიოცხოვ-რებისგან განდგომა, იმიტომ რომ ის შენთვის მიუღებელია. მაგრამ ხან-დახან იმაზე ფიქრიც კი დაგაფრთხობს, რას და როგორ უნდა ებრძოლო, თუკი ცხოვრებას სერიოზულად მოეკიდები.

მაგრამ ეს ყველაფერი ჯერჯერობით მხოლოდ საუბარია. შეიძლება შევხვდე კაცს, რომელსაც შევიყვარებ, ცოლად გავყვები და ყველაფერი სხვანაირად მომეჩვენება, აღარაფერი შემაწუხებს, პატარა, სასიამოვნო ქალად ვიქცევი. ანუ ჩემი ახლანდელი მტრების ბანაკში გადავალ.

მაგრამ ახლა სწორედ ასე ვფიქრობ და ვგრძნობ. ვგრძნობ, რომ ადა-მიანთა იმ გარკვეულ ჯგუფს ვეკუთვნი, რომელთა მოწოდებაა წინ აღუდ-გეს დანარჩენებს. მე არც კი ვიცი, ვინ არიან ისინი, ცნობილი ადამიანები, წასულები თუ ცოცხლები, ვინც მართალი საქმისთვის იბრძოდნენ, ქმნიდნენ, ხატავდნენ. და კიდევ ისინი, ჩემ გარდა რომ არავინ იცნობს, ტყუილის თქმა რომ არ შეუძლიათ და ცდილობენ გაისარჯონ, ცხოვრება უქმად არ გალიონ, ჰუმანური, გონიერი ადამიანები იყვნენ. ჰო, სწორედ ჯ.პ.-ის მსგავსი ადამიანები, მიუხედავად მისი ნაკლოვანებებისა. მისი ნაკლისა.

იმასაც კი ვერ იტყვი, რომ ეს ხალხი კარგია. ყველა მათგანს თავისი სისუსტეები აქვს. ზოგი აღვირახსნილ ცხოვრებას ეწევა, ზოგი ლოთობს. ხანდახან სიმხდალეს იჩენენ, ფულს ხარბდებიან, ხან სპილოს ძვლის კოშკში ნებივრობენ, მაგრამ მათი სულის რაღაც ნაწილი ყოველთვის ჩვენთანაა.

ჩვენთან, სულ რამდენიმესთან.

9 ნოემბერი

პატივმოყვარე ვარ. მე არ ვარ ერთ-ერთი მათგანი. მინდა, რომ ვიყო, მაგრამ ეს ერთი და იგივე არ არის.

კალიბანი, რა თქმა უნდა, ტიპური „ახალი“ არ არის. უიმედოდ ჩამორჩენილია ცხოვრებას (მაგალითად, ფირსაკრავს გრამოფონს ეძახის) და კიდევ თვითდაჯერებულობა აკლია. „ახლებს“ კი არასრულფასოვნების კომპლექსი არ აწუხებთ, საკუთარი თავი არ ერცხვინებათ. მახსოვს, ერთხელ მ-მ თქვა, ყველა ისინი ჩვენი საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლების ტოლად მიიჩნევენ თავს, რადგან ტელევიზორი და მანქანა აქვთო. თუმცა სულის სიღრმეში კალიბანი ისეთივეა, როგორიც ისინი: სიძულვილი ყოველივე უჩვეულოსადმი, სურვილი იმისა, რომ ყველა ერთნაირი იყოს, ყველა ერთ თარგზე იყოს მოჭრილი. და კიდევ ფულის უაზრო ფლანგვა. რატომ უნდა ჰქონდეს ფული ადამიანს, რომელმაც არ იცის, რაში დახარჯოს ის.

გული მერევა, როცა მახსენდება, რომ მან ამდენი ფული მოიგო. და კიდევ მისმა მსგავსებმა რომ მოიგეს.

ასეთმა ეგოისტებმა, ასეთმა ბოროტებმა.

იმ დღეს ჯ.პ.-მ თქვა, პატიოსანი ღარიბი ოდნავ თუ განსხვავდება „ახლებისგან“ - მხოლოდ იმით, რომ ფული არა აქვსო. სიღარიბე აიძულებს

ადამიანს იამაყოს თავისი ღირსებებით (და ეცადოს ჰქონდეს ის, რითაც იამაყებდა) და არა ფულით, რომელიც არა აქვს. შემდეგ, ერთ დღეს, როდესაც ასეთი ადამიანი ერთბაშად გამდიდრდება, აღარ იცის, ფულს რა უყოს. მას ავიწყდება თავისი ძველი ღირსებები, რომლებიც არც არასდროს ყოფილა ნამდვილი. მიაჩნია, რომ ერთადერთი ღირსება ბევრი ფულის შოვნა და ხარჯვაა. მას ვერც კი წარმოუდგენია, რომ არის ხალხი, რომლებისთვისაც ფული არაფერს ნიშნავს, რომ ყველაზე მშვენიერ რამეებს ამქვეყნად თავისთავადი ღირებულება გააჩნია, რასაც ფულთან არავითარი კავშირი არა აქვს.

მე ახლა გულწრფელი არ ვარ, რადგან მაინც მინდა, რომ ფული მქონდეს. თუმცა ვიცი, რომ ეს არ არის კარგი. მე მჯერა ჯ.პ.-ის. იმიტომ კი არა, რომ ის ამბობს ამას, არამედ იმიტომ, რომ თვითონ ვხედავ და ვგრძნობ - ეს მართლაასეა. ის ფულზე თითქმის არ ფიქრობს. იმისთვის კი საკმარისად აქვს, რომ ხატვისთვის საჭირო მასალები იყიდოს, იცხოვროს, ყოველწლიურად საქმიან შვებულებაში წასვლა მოახერხოს - მოკლედ, თავი გააქვს. და ასეთები ათობითაა: პიტერი, ბილი, მაკდონალდი, სტეფანი. ისინი ფულის სამყაროს მიღმა ცხოვრობენ. თუ ფული აქვთ - ხარჯავენ, თუ არა და მის გარეშეც ახერხებენ ცხოვრებას.

კალიბანის მსგავსმა ადამიანებმა არ იციან, ფული როგორ ხარჯონ. მათ ამის უნარი არა აქვთ. საკმარისია ფული ჩაუვარდეთ ხელში, თუნდაც არცთუ ძალიან ბევრი, და ისინი, ეს „ახლები“, ღორებად იქცევიან. უბადრუკი ადამიანები, რომლებსაც ჩემთვის ფულის მოცემა დაენანათ, როცა ბავშვთა საქველმოქმედო ფონდისათვის თანხას ვაგროვებდი. ერთი შეხედვაც საკმარისი იყო, რომ ყველაფერს მივმხვდარიყავი. ძველი ბურჟუაზიული ოჯახები, თუკი ჩააჯინდებოდი, ბოლოს და ბოლოს გაძლევდნენ ფულს, რადგან უხერხულად გრძნობდნენ თავს. განათლებული ადამიანებიც გაძლევდნენ, ანდა პატიოსნად გეუბნებოდნენ, არ მოგცემთო. უარის თქმის არ ერიდებოდათ. აი ეს „ახლები“ კი მეტისმეტად ძუნ-

წები არიან საიმისოდ, რომ რამე მოგცენ, და მეტისმეტად პატარები საიმისოდ, რომ ეს აღიარონ. ისე როგორც ერთმა გულისამრევმა ტიპმა ჰემპსტედში (მართლა ერთ-ერთმა იმათგანმა) გვითხრა, ნახევარ დოლარს მოგცემთ, თუ დამარწმუნებთ, რომ ის ვინმეს ჯიბეში არ წავაო. ალბათ ფიქრობდა, რა მაგრად გავიხუმრეო.

ზურგი შევაქციე და წამოვედი, რაც არასწორი იყო, რადგან ჩემი თავმოყვარეობა ნაკლებმნიშვნელოვანია, ვიდრე ბავშვების პრობლემები. შემდეგ მე დავდე ნახევარკრონიანი მის მაგივრად.

დღემდე გულსმირევს მისი გახსენება.

კ-ს შემთხვევაში კი ის ქარის მოტანილი ფული ისე იყო, თითქოს მას მთელი ბოთლი ვისკი დაალევინეს, სმა კი არ შეეძლო. ერთადერთი რამ, რაც მას წესიერების ფარგლებში აკავებდა, მისი სიღარიბე იყო. უფულობა მას თავის სახლთან და სამსახურთან აჯაჭვავდა.

ეს იმას ჰგავს, ბრმა მანქანის საჭესთან დასვა და უთხრა, სადაც გინდა და როგორც გინდა წაიყვანეო.

დღევანდელ დღიურს სასიამოვნო რამით დავამთავრებ: დღეს ბახის ფირფიტა მომივიდა. უკვე ორჯერ დავუკარი. კალიბანმა თქვა, ძალიან კარგია, მაგრამ მე მუსიკალური არ ვარო. თუმცა მოსმენისას სახეზე „სათანადო“ გამომეტყველება ჰქონდა აღბეჭდილი. მინდა კიდევ მოვისმინო ის ადგილები, რომლებიც განსაკუთრებით მომეწონა. ლოგინში ჩავწვები, სინათლეს ჩავაქრობ და ვეცდები წარმოვიდგინო, თითქოს ჯ.პ.-ის სტუდიაში ვარ, ის კი იქვე, ტახტზეა წამოწოლილი თვალებდახუჭული, ნაოჭებით დაღარული სახითა და ებრაული ცხვირით, თითქოს აკლდამაში იწვეს. ოღონდ ცოცხალი.

რა არ ხდება. დღეს კალიბანმა ვახშამი დაგვიანებით ჩამომიტანა.

- სად იყავით ამდენ ხანს? - მივახალე. გაკვირვებით შემომხედა და არაფერი მიპასუხა. ვუთხარი, მომეჩვენა, რომ ძალიან დაიგვიანეთ-მეთქი.

სასაცილოა პირდაპირ. მინდოდა, რომ მოსულიყო. ხშირად მინდება,

რომ მოვიდეს. ასეთი აუტანელია სიმარტოვე.

10 ნოემბერი

ამ საღამოს მის ფულთან დაკავშირებით ვიდავეთ. ვუთხარი, რომ ფულის უმეტესობა უნდა გაეცა. ვამუნათებდი, ვარცხვენდი, ვანამუსებდი. ვცდილობდი იმისთვის მაინც მიმეღწია, რომ ნაწილი გაეცა. მაგრამ არაფრის სჯერა. ესაა მთელი მისი უბედურება. იმ ჰემპსტედელი კაცის მსგავსად, კ-საც არ სჯერა, რომ ისინი, ვინც ამბობს, ფულს ამა თუ იმ მიზნისთვის ვაგროვებთო, მას დანიშნულებისამებრ გამოიყენებენ. ის ფიქრობს, რომ ყველა ფულის გამოა გამწარებული, ცდილობს რაც შეიძლება ბევრი ფული ჩაიგდოს ხელში და დააგროვოს.

ჩემი ლაპარაკი არ ჭრის. ამაოდ ვუმტკიცებ, რომ ვიცი, ეს ფული მათთან მიდის, ვისთვისაც გროვდება, რომ მას არავინ იჯიბავს. რატომ ხართ დარწმუნებულიო, მეკითხება, და მე, რა თქმა უნდა, ვერაფრით ვუმტკიცებ. შემიძლია მხოლოდ ის ვუპასუხო, რომ ამაში აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ. ამაზე ისე ჩაიცინებს, თითქოს მე გულუბრყვილო გოგონა ვიყო და ასეთ რამეებში ჭკუა არ მომეკითხებოდეს.

ვუსაყვედურე (არცთუ ძალიან მკაცრად), რომ ბირთვული განიარაღების მოძრაობას ფული არ გაუგზავნა. აბა, ქვითარი მაჩვენეთ, თუ მართლა გაგზავნეთ-მეთქი, შევუტიე. მიპასუხა, ეს ანონიმური საჩუქარია და ჩემი მისამართი არ გამიგზავნიაო. ენაზე მადგა, წავალ და შევამოწმებ, როცა აქედან გავთავისუფლდები-მეთქი, მაგრამ არ ვუთხარი. იმიტომ რომ ეს კიდევ ერთი მიზეზი იქნებოდა მისთვის, რომ აქედან არ გავეშვი. ისე გაწითლდა, დარწმუნებული ვიყავი, რომ ცრუობდა, ისევე როგორც მ-სა და დ-სთან წერილის გაგზავნასთან დაკავშირებით იცრუა.

საქმე გულუხვობის ნაკლებობა ან სიძუნწე არ არის. იმის თქმა მინდა

(თუ ერთი წუთით დავივიწყებ იმ სიტუაციის აბსურდულობას, რომელშიც ვიმყოფები), რომ ჩემ მიმართ ხელგაშლილია. ფული არ ენანება ჩემთვის. ასობით გირვანქას მახარჯებს. შემიკლა თავისი სიკეთით. შოკოლადებით, სიგარეტებით, კერძებით, ყვავილებით. ამას წინათ, ერთ საღამოს, ვუთხარი, კარგი იქნებოდა, ფრანგული სუნამო რომ მქონდეს-მეთქი. უბრალოდახირება იყო, ენაზე მომადგა და ვთქვი, თუმცა ესეც არის, რომ ოთახი სადეზინფექციო საშუალების სუნით ყარს. აბაზანას საკმაოდ ხშირად ვიღებ, მაგრამ ისე სუფთად მაინც ვერ ვარ, როგორც მინდა, რომ ვიყო. მერე დავამატე, რა კარგი იქნებოდა, რომ შემეძლოს აქედან წავიდე, სხვადასხვა სუნამო მე თვითონ დავყნოსო და საუკეთესო ავირჩიო-მეთქი. მეორე დილით თოთხმეტი ფლაკონი სუნამო მომიტანა. ლუისის ყველა აფთიაქი და პარფიუმერიის მაღაზია გადაუქოთებია. ეს ხომ სიგიჟეა. ორმოცი გირვანქა გადაუხდია. თითქოს ათას ერთი ღამის ზღაპარში ვცხოვრობ. ყველაზე საყვარელი ცოლი ჰარემში. სინამდვილეში, ცხადია, არანაირი სუნამო არ მინდა. ჩემი სუნამო აქედან გასვლაა.

რომ შემეძლოს მის წინ შიმშილისგან სიკვდილის პირას მისული ბავშვი დავსვა, საკვები მივცე და მას ვაყურებინო, ბავშვი როგორ მოდის ჯანზე თანდათან, როგორ ივსება ფერ-ხორცით ყოველდღიურად. აი მაშინ კი, დარწმუნებული ვარ, ფულს არ დაიშურებდა. მაგრამ ყველაფერი ის, რაც ჩვეული, ყოველდღიური ყოფის მიღმაა და რაშიც მაშინვე ვერ იღებს გადახდილის საფასურს, მას აეჭვებს. არ სჯერა, რომ შესაძლოა არსებობდეს სხვა სამყარო, გარდა იმისა, რომელშიც ცხოვრობს და რომელსაც თვალნათლივ ხედავს. ასე რომ, სინამდვილეში ტუსაღი თვითონ არის - თავისი უბადრუკი, ვიწრო, ჩახუთული სამყაროსი. მხოლოდ აწმყოში ჩაკეტილი ტუსაღი.

12 ნოემბერი

წინ კიდევ ერთი ღამეა. ფიქრსაც კი ვერ ვბედავ ამაზე. რომ არ გამოვიდეს? ამ ბოლო ხანებში ვახსენებდი ხოლმე ვადის შესახებ, მაგრამ ახლა ვფიქრობ, რომ აჯობებდა მოულოდნელად, უეცრად შემეხსენებინა მისთვის. დღეს აზრად მომივიდა ხვალ, ბოლო საღამოს, პატარა სადღესასწაულო სუფრა გავშალოთ. მინდა ვუთხრა, რომ მის მიმართ დამოკიდებულება შემეცვალა, რომ მინდამისი მეგობარი ვიყო და ლონდონში მასზე ვიზრუნო.

ეს მთლად ტყუილიც არ იქნება. მის მიმართ ერთგვარ პასუხისმგებლობას ვგრძნობ, რისი ახსნაც მე თვითონ მიჭირს. ისე ხშირად იწვევს სიძულვილს, რომ ბუნებრივი იქნებოდა ერთხელ და სამუდამოდ შემძულებოდა. მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის. შეცოდების გრძნობა იმარჯვებს და მართლა მიჩნდება მისი დახმარების სურვილი. ვფიქრობ, ვის შეიძლება გავაცნო. შეიძლება კეროლაინის მეგობართან (ფსიქიატრთან) მივიყვანო. ემასავით ვიქნები მისთვის და ვეცდები დავაქორწინო, მაგრამ მისი ქორწინება ბედნიერი უნდა გამოდგეს. ვინმე პატარა ჰარიეტ სმიტი უნდა მოვუძებნო, ვისთანაც წყნარად, ნორმალურად და ბედნიერად იცხოვრებს.

ვიცი, რომ გული უნდა გავიმაგრო, მზად უნდა ვიყო იმისთვისაც, რომ არ გამიშვებს. გამუდმებით ვეუბნები ჩემს თავს, ასიდან ერთი შანსია, რომ თავისი სიტყვა შეასრულოს-მეთქი.

მაგრამ უნდა შეასრულოს.

ჯ.პ.

უკვე ორი თვეა არ მინახავს. უფრო მეტიც კი. ჯერ საფრანგეთში ვიყავი, შემდეგ ესპანეთში, შემდეგ სახლში დავბრუნდი (ერთი-ორჯერ სტუდიაში მივაკითხე, მაგრამ არ დამხვდა, სექტემბერში წასული იყო). ჩემს წერილებზე ღია ბარათით მიპასუხა და სულ ეს იყო.

როგორც კი კეროლაინთან დავბრუნდი, პირველივე საღამოს დავუ-

რეკე და ვკითხე, შეიძლება მოვიდე-მეთქი? ხვალ მოდით, დღეს სტუმრები მყავსო, მითხრა.

ჩანდა, რომ ჩემი ნახვა გაუხარდა. ვცდილობდი ისეთი სახე მიმეღო, თითქოს ჩემთვის სულ ერთი იყო, როგორ გამოვიყურებოდი, სინამდვილეში კი ძალიან ვცდილობდი ლამაზი გამოვჩენილიყავი.

მოვუყევი საფრანგეთისა და ესპანეთის შესახებ, გოიას ნახატებზე, ტულუზ-ლოტრეკის მუზეუმზე ალბიში და საერთოდ ყველაფერზე. პირსის შესახებაც. ის მისმენდა. არ უთქვამს, თვითონ რას აკეთებდა ამ დროის განმავლობაში. შემდეგ რამდენიმე ნახატი მაჩვენა, რომელიც ჰებრიდის კუნძულებზე ყოფნისას დაეხატა და მე შემრცხვა, რადგან არც ერთ ჩვენგანს ზაფხულში არაფერი დაგვიხატავს. ისედაც ბევრი საქმე გვქონდა (ბევრი სიზარმაცე! ხუმრობა საქმე ხომ არაა მზეზე გარუჯვა), დიდი მხატვრების ტილოებს ვათვალიერებდით.

ვუთხარი (მას შემდეგ, რაც ერთი საათი ენა არ გამიჩერებია), ძალიან ბევრს ვლაპარაკობ-მეთქი.

მან მიპასუხა:

- ილაპარაკეთ. მე გისმენთ.

რკინის ძველ ბორბალს ჟანგს აშორებდა რომელიღაც მჟავათი. ედინბურგში სადღაც დახლზე მოუკრავს თვალი და ლონდონში ჩამოუტანია. ბორბლის ფერსოს უცნაური ბლაგვი კბილანები ჰქონდა შემოყოლებული და მან თქვა, ძველი ეკლესიის საათის ნაწილი უნდა იყოსო. კონუსისებური, გამოზნექილი მანები. ძალიან ლამაზი იყო.

კარგა ხნის განმავლობაში ხმა არ ამოგვიღია. მის გვერდით ვიდექი დაზგაზე ჩამოყრდნობილი და ვუყურებდი, ჟანგს როგორ აშორებდა. შემდეგ მითხრა:

- მომენატრეთ.

- შეუძლებელია, - ვუპასუხე მე.

- მაღელვებთ ხოლმე, - მითხრა.

- ანტუანეტა არ გინახავთ? (მხედრით პაიკს დავეცი!)

- არა, - მიპასუხა მან, - მე მგონი, უკვე გითხარით, რომ აქედან მივაბრძანე, - და ცერად გადმომხედა. - კიდევ მაგაზე ფიქრობთ?

მე თავი გადავაქნიე.

- ე.ი. მეპატია?

- საპატიებელი არაფერი გაქვთ, - ვუპასუხე.

- იქ, ჰებრიდის კუნძულებზე, სულ თქვენზე ვფიქრობდი. მინდოდა თქვენთვისაც მეჩვენებინა ის ყველაფერი, რაც იქ ვნახე.

- მე კიდევ მინდოდა ესპანეთში ჩვენთან ერთად ყოფილიყავით.

ახლა მთელი ყურადღება კბილანებზე ჰქონდა მიპყრობილი. ზუმფარის ქაღალდით წმენდდა.

- ძალიან ძველია. ნახეთ, როგორ გამოჭმულია ჟანგით, - თქვა. შემდეგ იმავე ტონით განაგრძო:

- სიმართლე გითხრათ, გადავწყვიტე, რომ თქვენი ცოლად შერთვა მინდა.

არაფერი მითქვამს. თავიც არ ამიწევია.

- მე გთხოვეთ, აქ მაშინ მოსულიყავით, როცა მარტო ვიქნებოდი, იმიტომ რომ ბევრი ვიფიქრე ამის შესახებ. მე თქვენზე ორჯერ უფროსი ვარ და ასეთ რამეებს თავი კი უნდა გავართვა - ღმერთმა ხომ იცის, ეს პირველად არ ხდება... არა, დამამთავრებინეთ. გადაწყვეტილი მაქვს, აღარ გნახოთ. რომ მოხვედით, მაშინვე დავაპირე ამის თქმა. მე არ შემიძლია თქვენ სულიერი სიმშვიდე დაგარღვევინოთ. ამიტომ აქ აღარ უნდა მოხვიდეთ. არ გეგონოთ, რომ ქარაგმულად გელაპარაკებით და ცოლად გამოყოლას გთხოვთ. მე ვცდილობ ეს საერთოდ შეუძლებელი გავხადო. თქვენ იცით, მე როგორიც ვარ, იცით, რომ ასაკით მამად გერგებით, არასანდო ადამიანი ვარ და თანაც თქვენ მე არ გიყვარვართ.

მე ვუთხარი, რომ ამის ახსნა არ შემეძლო. საჭირო სიტყვებს ვერ ვპოულობდი.

- სწორედ ასეა, - თქვა. - ბენზინით იბანდა ხელებს. გულგრილი სახით, როგორც ქირურგი კლინიკაში. ამიტომ მინდა გთხოვოთ დამტოვოთ,

რათა სულიერი სიმშვიდე დავიბრუნო.

მის ხელებს ვუყურებდი თვალმოუცილებლად. დაზაფრული ვიყავი.

მერე მითხრა:

- რაღაც მხრივ თქვენ ჩემზე უფროსი ხართ. ნამდვილი სიყვარულით არავინ გყვარებიათ და შესაძლოა ვერც შეიყვაროთ. სიყვარულის უნარი ასაკზე არ არის დამოკიდებული. სიყვარული თავისით შეგემთხვევა თუ შეგეყრება. შენ ისევ ოცი წლის ხდები და ისევე იტანჯები, როგორც ოცი წლის ასაკში. სწორედ ისევე კარგავ თავს. თქვენ ახლა შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ მე მეტისმეტად რაციონალურად განვსჯი, მაგრამ ეს ასე არ არის. როცა დამირეკეთ, აღელვებისგან კინაღამ ჩავიფსი. მე შეყვარებული მოხუცი კაცი ვარ. კომედიის გაცვეთილი პერსონაჟი. ისეთი, ვისზეც უკვე აღარც ეცინებათ.

- რატომ გგონიათ, რომ ნამდვილი სიყვარულით არავინ შემიყვარდება? - ვკითხე.

აღარ დაადგა საშველი მისი ხელების ბანის დამთავრებას. ბოლოს თქვა:

- მე ხომ გითხარით, „შესაძლოა“-მეთქი.

- მე ხომ ჯერ მხოლოდ ოცი წლის ვარ.

- ნერგში ხის ყველა ნიშან-თვისებაა. თუმცა მე ვთქვი „შესაძლოა“.

- თქვენ სულაც არა ხართ მოხუცი. ჩვენი ასაკი არაფერ შუაშია.

ოდნავ ნაწყენი სახით შემომხედა, გამიღიმა და მითხრა:

- თქვენ, რა თქმა უნდა, ცდილობთ რაღაც ხელჩასაჭიდი დამიტოვოთ.

სამზარეულოში შევედით ყავის მოსამზადებლად. საშინლად ვიწრო სამზარეულო აქვს და გავიფიქრე, სულ ერთია, მასთან ერთად აქ, ასე მოუწყობლად ცხოვრებას მაინც ვერ შევძლებდი-მეთქი. ბურჟუას გულისამრევმა სიმხდალემ დამრია ხელი მოულოდნელად.

ჩემკენ ზურგშექცევით მდგომმა მითხრა:

- სანამ წახვიდოდით, მეგონა, ეს ჩვეულებრივი გატაცება იყო. ყოველ შემთხვევაში თავს ვაიძულებდი, ასე მეფიქრა. ამიტომაც მოვიქეცი ასე.

იმ თქვენ შვედ მეგობართან დამოკიდებულებას ვგულისხმობ. რომ გავ-თავისუფლებულიყავი თქვენგან, დამევიწყეთ, ჩემი ცნობიერებიდან გან-მედევნეთ. მაგრამ იქ, ჩრდილოეთში, ჩემი ფიქრები ისევ თქვენ გიბრუნ-დებოდათ. კვლავ და კვლავ, სულ უფრო და უფრო მძაფრად. ღამით გა-რეთ, ბაღში გამოვდიოდი და სამხრეთისკენ ვიყურებოდი. გესმით ჩემი?

- ჰო, მესმის.

- თქვენ მჭირდებით. - და დაამატა:

- ხანდახან ისეთი გამომეტყველება გაქვთ... სრულიად არაბავშვური.

- მაინც როგორი გამომეტყველება?

- ქალის გამომეტყველება. იმ ქალის, რომელიც ოდესმე გახდებით.

- კარგი ქალის?

- ბევრად მეტის, ვიდრე უბრალოდ კარგი ქალის.

სიტყვები ვერ მიპოვია იმის აღსაწერად, თუ როგორ თქვა ეს. სევდი-ანად, თითქმის უნებურად. ნაზად, მაგრამ როგორღაც მწარედ. და გულ-წრფელად. არა აგდებით, არა მშრალად და ცივად. ეს სიტყვები მისი არ-სების სიღრმიდან მოდიოდა, მისი ნამდვილი მე-დან. მთელი ჩვენი საუბ-რის განმავლობაში თავდახრილი ვიყავი, მაგრამ ამან მაიძულა თავი ამეწია და ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა. იმ წამს ჩვენ შორის რაღაც მოხდა. მე ეს ვიგრძენი. ლამისფიზიკურად შევეხეთ ერთმანეთს და ყვე-ლაფერი შეიცვალა. ჩვენ შევიცვალეთ. მან აღმოთქვა რაღაც თავისი არ-სების სიღრმიდან და მე მას გავუგე.

თვალს არ მაცილებდა და თავს უხერხულად ვგრძნობდი. ის კი მიყუ-რებდა და მიყურებდა. ვუთხარი, გთხოვთ, ასე ნუ მიყურებთ-მეთქი.

შემდეგ ჩემთან მოვიდა, მკლავები მხრებზე შემომხვია. ძალიან ნაზად კარისკენ წამიყვანა და მითხრა:

- თქვენ ძალიან ლამაზი ხართ, ზოგჯერ კი - ულამაზესი. ძალიან ფა-ქიზი აღქმა გაქვთ და სიცოცხლით და ენერგიით ხართ სავსე. ყოველთვის ცდილობთ გულწრფელი და პატიოსანი იყოთ. როგორღაც ახერხებთ ბავ-

შვურობა და უშუალობა ერთგვარ თავმომწონეობასა და ძველმოდურობას შეუთავსოთ. ჭადრაკსაც კი საკმაოდ კარგად თამაშობთ. მოკლედ, ვისურვებდი, რომ სწორედ თქვენნაირი ქალიშვილი მყავდეს. შეიძლება ამიტომაც მჭირდებოდით ამ ბოლო თვეების განმავლობაში.

კარში რბილად მიბიძგა და გარეთ გამომაგდო, სახით კიბისკენ, ისე, რომ მისი დანახვა არ შემძლებოდა.

- მე თქვენ ამას ისე ვერ გეტყოდით, თუ თავი მიბრუნებული არ გექნებოდათ. ახლა კი წადით.

წამიერად ვიგრძენი, რომ მხარზე ხელი ოდნავ მომიჭირა, კეფაზე მაკოცა და მსუბუქად მიბიძგა. კიბის ორი თუ სამი საფეხური ჩავიარე, სანამ შემოვბრუნდებოდი და შევხედავდი. ის მიღიმოდა, მაგრამ ძალიან სევდიანი ღიმილით.

ვუთხარი, ძალიან გთხოვთ, დიდხანს ნუ გავაგრძელებთ ამას-მეთქი.

მან მხოლოდ თავი დამიქნია. არ ვიცი, რისი თქმა უნდოდა. „არა, დიდხანს არ გაგრძელდება“ იგულისხმა, თუ „ტყუილად ნუ გვექნება იმედი, რომ ეს დიდხანს არ გაგრძელდება“. შეიძლება თვითონაც არ იცოდა. მაგრამ სევდიანად კი გამოიყურებოდა, ძალიან სევდიანად.

მეც სევდიანად გამოვიყურებოდი, მაგრამ სინამდვილეში სევდიანი სულაც არ ვიყავი. ყოველ შემთხვევაში ეს ის სევდა არ იყო, გულს რომ გტკენს და მთლიანად მოგიცავს. ერთგვარად თითქოს ნასიამოვნებიც კი ვიყავი. ხომ ღორობაა, მაგრამ ასე იყო. სახლისკენ მივდიოდი და ვღიღინებდი. რომანტიკა, იდუმალება. რა კარგია ცხოვრება.

ვფიქრობდი, დარწმუნებული ვარ, არ მიყვარს-მეთქი. ვფიქრობდი, რომ ამ თამაშში გავიმარჯვე.

რა მოხდა მას შემდეგ?

პირველი ორი დღე სულ მეგონა, რომ დამირეკავდა. რომ ეს მისი ერთგვარი ახირება იყო მხოლოდ. შემდეგ შემეშინდა, რომ მას თვეებისა და შესაძლოა წლების განმავლობაში ვერ ვნახავდი. და ეს როგორღაც სასა-

ცილო იყო, უაზრო, არასაჭირო, დაუჯერებლად სულელური. მაღიზიანებდა მისი სისუსტე (როგორც მაშინ ვთვლიდი). ვფიქრობდი, თუკი ასეთია, ჯანდაბამდის გზა ჰქონია-მეთქი.

მაგრამ ასეთი განწყობილება დიდხანს არ გამყოლია. გადავწყვიტე, რომ ეს ყველაფერი უკეთესიც კი იყო. ჯობდა ერთხელ და სამუდამოდ დავშორებულიყავით, ჩემს საქმეებში ჩავფლულიყავი, ვყოფილიყავი პრაქტიკული, საქმიანი, სერიოზული, ისეთი, როგორიც სინამდვილეში არ ვარ.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ვფიქრობდი, მიყვარდა თუ არა. ცხადია, არა - როცა ამდენი ეჭვია, როგორ შეიძლება გიყვარდეს.

ახლა კი ის უნდა დავწერო, რასაც ახლა ვგრძნობ. იმიტომ რომ ისევ შევიცვალე. ვიცი ეს. ვგრძნობ.

გარეგნობა. ვიცი, რომ იდიოტობაა, გარეგნობასთან ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული დამოკიდებულება გქონდეს. ღელავდე, როცა პირსი გკოცნის, თვალს ვერ აშორებდე (არა მაშინ, როცა იცის, რომ უყურებ, თორემ გაყოყოჩდება), მძაფრად გრძნობდე მის სილამაზეს, თითქოს მახინჯი ნატურის ბრწყინვალედ შესრულებული ნახატი იყოს. მე ხომ ვიცი, რომ პირსი მორალურად და ფსიქოლოგიურად მახინჯია. უბრალოდ, ჩლუნგია, მოსაწყენი, ყალბი.

მაგრამ ამასთან დაკავშირებითაც კი ჩემში რაღაც შეიცვალა.

ვფიქრობ, ჯ..პ-მ მხრებზე რომ მომხვია მკლავები.

საძაგელი ცნობისმოყვარე ვარ და გარყვნილი წარმოსახვა მაქვს - იმას ვგულისხმობ, რომ ჯ.პ.-ს ამდენი ქალი ჰყოლია და ლოგინის ამბებში ალბათ ძალიან გამოცდილი იქნება.

შემიძლია წარმოვიდგინო თავი მასთან ლოგინში და ეს ჩემში ზიზღის გრძნობას არ იწვევს. როგორ მეხვევა, რბილად, თავდაჯერებულად. საინტერესოა, რომ ყველაფერი შემიძლია წარმოვიდგინო, გარდა თვით აქტისა.

და კიდევ მისი ის სისუსტე. შეგრძნება, რომ ის ოდესმე მიღალატებს.

მე კი ქორწინება ყოველთვის ერთგვარ წარმტაც ავანტიურად წარმომედგინა. ორი თანატოლი ახალგაზრდა ერთად დაადგება გზას, სადაც მათ ელით აღმოჩენები, სადაც ისინი ერთად იზრდებიან. მაგრამ მე ხომ მისთვის არაფერი მექნება მოსაყოლი, არაფერი მექნება საჩვენებელი. ვერაფრით დავეხმარები, ის თუ დამეხმარება მხოლოდ.

მე ხომ ძალიან ცოტა რამ მინახავს ამქვეყნად. ვიცი, რომ ჯ.პ. ადამიანის იდეალს წარმოადგენს მრავალი თვალსაზრისით. მას აქვს უნარი გაარჩიოს, რა არის ჭეშმარიტად ღირებული; დამოუკიდებელია, არ მიაჩნია, რომ ისე უნდა მოიქცეს, როგორც ყველა იქცევა. არავის ჰგავს. მე სწორედ ამ თვისებების მქონე ადამიანი მჭირდება. ეს თვისებები, მათ შორის, ვისაც მევიცნობ, მხოლოდ ჯ.პ.-ს აქვს. ჩვენს სასწავლებელშიც არიან ისეთები, ერთი შეხედვით, ამ თვისებებით რომ გამოირჩევიან, მაგრამ ისინი ახალგაზრდები არიან, ჩემი თანატოლები. ჩვენს ასაკში კი ადვილია გულწრფელი იყო. ჯანდაბამდის გზა ჰქონია პირობითობებს, როცა ასე ახალგაზრდა ხარ.

ერთი-ორჯერ ისიც ვიფიქრე, ამ ყველაფრით მახეს ხომ არ მიგებს-მეთქი. აი ისე, ფიგურას რომ წირავენ ჭადრაკში. იმაზე ხომ არ ჰქონდა გათვლილი, რომ მე კიბეზე შემოვბრუნდებოდი და ვეტყოდი, რაც გინდათ ის მიყავით, ოღონდ არ გამაგდოთ-მეთქი.

არა, მისგან ასეთ რამეს ვერ დავიჯერებ.

რას ნიშნავს დრო. ორი წლის წინ ვერც კი დავუშვებდი, რომ ჩემზე ამდენად უფროსი კაცი შემიყვარდებოდა. ლედიმონტში ყოველთვის თანაბარი ასაკის მომხრედ გამოვდიოდი. მახსოვს, ერთ-ერთი იმათგანი ვიყავი, ვინც ყველაზე მეტად აღშფოთდა, როცა სუზან გრილეტი თავისზე სამჯერ უფროს მახინჯ ბარონეტს გაჰყვა ცოლად. მე და მინი (დ-ს და მ-ს შემხედვარე) ხშირად ვმსჯელობდით იმის შესახებ, რომ უნდა ერიდო ურთიერთობას „მამიკოს“ ტიპის კაცებთან, და, მით უმეტეს, ცოლად არ უნდა გაჰყვე „მამა-ქმარს“. მაგრამ ახლა ჩემი დამოკიდებულება შეიცვა-

ლა. მე ვფიქრობ, რომ ჩემზე ბევრად უფროსი მამაკაცი მჭირდება გვერ-დით, იმიტომ რომ ჩემს თანატოლებს კარგად ვიცნობ. გარდა ამისა, არ ვფიქრობ, რომ ჯ.პ.-ს შეუძლია თავის ცოლს მამასავით მოექცეს.

აზრი არა აქვს ამ ყველაფერს. მთელი ღამეც რომ ვწერო, მაინც ვერ გამოვლევ დადებით და უარყოფით მხარეებს.

მე ემა ვარ. არც ისე გამოუცდელი გოგონა, მაგრამ ჯერ კიდევ არც მთლად მოწიფული ქალი. „ერთადერთი“ მამაკაცის პრობლემა. კალიბა-ნი - მისტერ ელტონია, პირსი - ფრენკ ჩერჩილი, მაგრამ ჯ.პ. თუა მისტერ ნაითლი?

ცხადია, ჯ.პ.-ის ცხოვრების სტილი და შეხედულებები რომ სცოდნო-და, მისტერ ნაითლი საფლავში ამობრუნდებოდა. მაგრამ მისტერ ნაით-ლის არ შეეძლო ყალბი ყოფილიყო. იმიტომ, რომ ვერ იტანდა სნობიზმს, პრეტენზიულობას, ეგოიზმს.

გარდა ამისა, ორივეს ჰქვია სახელი, რომელსაც ვერ ვიტან. ჯორჯი. რამე ფარული აზრი დევს ამაში?

18 ნოემბერი

ხუთი დღეა არაფერი მიჭამია. ცოტა წყალს ვსვამ მხოლოდ. საჭმელი შემოაქვს, მაგრამ მე პირს არაფერს ვაკარებ.

ხვალ დილით ისევ დავიწყებ ჭამას.

დაახლოებით ნახევარი საათის წინ წამოვდექი და ვიგრძენი, რომ გო-ნებას ვკარგავდი. იძულებული ვიყავი დავმჯდარიყავი. აქამდე არც ისე ცუდად ვგრძნობდი თავს. მუცელი მტკიოდა მხოლოდ და ცოტა სუსტად ვიყავი. მაგრამ ეს რაღაც სხვა იყო. გაფრთხილება.

არ მინდა ამ არარაობის გამო მოვკვდე.

შიმშილს სრულებით არ ვგრძნობდი, ისე ვარ სავსე სიძულვილით ამ

პირუტყვის მიმართ.

მისი ღვარძლიანი სიმხდალე.

მისი ეგოიზმი.

მისი კალიბანობა.

19 ნოემბერი

მთელი ამ ხნის განმავლობაში წერა არ მინდოდა. ხანდახან მიჩნდებოდა სურვილი დღიურის წერა განმეგრძო, შემდეგ მეჩვენებოდა, რომ ეს სისუსტეა - მიღებაა ყველაფრის, რაც ხდება. ვიცოდი, რომ როგორც კი ჩავიწერდი, მაშინვე დავწყნარდებოდი, მოვეშვებოდი. მაგრამ ახლა ვფიქრობ, რომ აუცილებელია ყველაფერი ჩავიწერო. როგორც ერთგვარი ანგარიში.

იმიტომ, რომ მან ეს გააკეთა.

სიბილწე.

თუკი ჩვენს ურთიერთობაში არსებობდა რაღაც მეგობრობის, ადამიანობის, კეთილგანწყობის მსგავსი, ყველაფერი გაქრა.

ამიერიდან ჩვენ მტრები ვართ. მე და ის. ისეთი რამეები მითხრა, რომ აშკარაა, მასაც ვძულვარ.

მისთვის თვით ჩემი არსებობაა საძულველი. სწორედ ეს არის.

მას ეს ჯერ შეიძლება ბოლომდე გაცნობიერებული არ ჰქონდეს, იმიტომ რომ ახლა ცდილობს თავაზიანი იყოს ჩემ მიმართ, მაგრამ ეს დროც მალე დადგება. ერთ დილით გაიღვიძებს და თავისთვის იტყვის: „მე ის მძულს“.

რა საზიზღრობაა.

როცა ქლოროფორმის შემდეგ გონზე მოვედი, ვნახე, რომ საწოლში

ვიწექი. მხოლოდ ლიფი და ტრუსი მეცვა. ყველაფერი დანარჩენი მას გაუხდია.

თავიდან გამძვინვარებული ვიყავი. ლამის გავგიჟდი, ისეთმა ზიზღის გრძნობამ მომიცვა. წარმოვიდგინე მისი ვეებერთელა, გულისამრევი ხელები როგორ ფათურობდნენ ჩემს სხეულზე, როგორ მხდიდა წინდებს. საძაგლობაა.

შემდეგ ვიფიქრე, რა შეეძლო გაეკეთებინა და არ გააკეთა. გადავწყვიტე,სკანდალი აღარ მომეწყო.

მაგრამ ჩუმად ყოფნაც...

თუ ვინმეს უყვირი, ეს იმას ნიშნავს, რომ კონტაქტი ისევ არსებობს.

მას შემდეგ ორი რამ მომივიდა თავში.

პირველი: ის იმდენად უცნაური და გაუგებარია, შეეძლო ისე გავეხადე, რომ არაფერ „ისეთზე“ არ ეფიქრა, მხოლოდ მისთვის ცნობილი წარმოდგენების გამო იმის შესახებ, თუ რა არის „მართებული“ და რა - არა. შესაძლოა მან, უბრალოდ, იფიქრა, რომ ლოგინში ჩაცმული წოლა „მართებული“ არ არის.

ან შეიძლება უნდოდა ჩემთვის შეეხსენებინა, რა შეეძლო გაეკეთებინა, მაგრამ არ გააკეთა. აქაოდა, როგორი კეთილშობილი ვარო. ამას შემიძლია დავეთანხმო. ამ მხრივ გამიმართლა.

მაგრამ ამან შემაშინა კიდეც. რატომ არაფერი გააკეთა? რას წარმოადგენს ის ბოლოს და ბოლოს?

ჩვენ შორის ახლა დიდი ნაპრალია, რომელიც არასოდეს ამოივსება.

ახლა მეუბნება, ოთხი კვირის შემდეგ გაგიშვებო. ცარიელი სიტყვებია. მე მისი არ მჯერა. ამიტომ გავაფრთხილე, რომ მის მოკვლას შევეცდებოდი. მართლა მოვკლავდი - ისე, რომ თვალსაც არ დავახამხამებდი.

ახლა ვხედავ, როგორ ვცდებოდი ადრე, როგორი ბრმა ვიყავი.

ქუჩის ქალივით მივეყიდე კალიბანს. იმას ვგულისხმობ, რომ ნებას ვაძლევდი, ამდენი ფული ეხარჯა ჩემზე. და თუმცა საკუთარ თავს ვარწმუნებდი, რომ ეს სამართლიანია, სინამდვილეში სულაც არ იყო ასე. მე

მაინც მქონდა ერთგვარი მადლიერების გრძნობა მის მიმართ და ამის გამო ვცდილობდი კარგად მოვპყრობოდი. მაშინაც კი, როცა დავცინოდი და მასხრად ვიგდებდი, მაშინაც კი, როცა ვაფურთხებდი და მის ძვირფას თეფშებს ვესროდი, რადგან ეს ყველაფერი ამტკიცებდა, რომ ის ჩემთვის რაღაცას ნიშნავდა. ჩემი დამოკიდებულება მის მიმართ ისეთი უნდა ყოფილიყო, თითქოს ის ჩემთვის არ არსებობდა. ამიერიდან ასეც იქნება. მხოლოდ ყინული.

სასიკვდილო ტემპერატურამდე გავყინავ.

ის ყველა მხრივ ჩემზე დაბლა დგას. მისი ერთადერთი უპირატესობა ისაა, რომ აქ ვყავარ გამოკეტილი. მხოლოდ ამით ამოიწურება მისი ძალაუფლება ჩემზე. ვერაფერში გამეჯიბრება, ვერც ილაპარაკებს ჩემსავით, ვერც მოიქცევა. საერთოდ ვერაფერს გააკეთებს ჩემსავით. მასზე ყველაფერში ერთი თავით მაღლა ვდგავარ. ნამდვილი ზღვის ბერიკაცია და ისე ვერ მოიშორებ, თუ ზურგიდან არ ჩამოაგდე.

ძალა უნდა გამოვიყენო.

აი ახლა ვზივარ და ღმერთზე ვფიქრობ. მე მგონი, ღმერთი უკვე აღარ მწამს. არა მხოლოდ იმის გამო, რაც მე მჭირს. ვფიქრობ იმ მილიონობით ადამიანზე, ვინც იძულებული იყო ასე ეცხოვრა ომის დროს. ანა ფრანკზე და ბევრ მის მსგავსზე. და კიდევ შორეულ წარსულზე, ისტორიაზე. ახლა ვგრძნობ, ვიცი, რომ ღმერთი ადამიანების საქმეებში არ ერევა. ის უშვებს, რომ ჩვენ ვიტანჯოთ. თუ მას თავისუფლებას შესთხოვ, შეიძლება გულზე მოგეშვას, უბრალოდ, მხოლოდ იმიტომ, რომ ლოცულობ, ან შეიძლება მოვლენები ისე განვითარდეს, რომ მართლა განთავისუფლდე. მაგრამ ღმერთს არ ესმის. არ შეუძლია გაიგონოს. მასში არაფერია ადამიანური. მას არც სმენა აქვს, არც მხედველობა, არც შეცოდების გრძნობა, არც დახმარების სურვილი. მე ვფიქრობ, რომ შესაძლოა ღმერთმა შექმნა კიდეც სამყარო, მატერიისა და ევოლუციის ფუნდამენტური კანონები, მაგრამ მას არ შეუძლია იზრუნოს თითოეულ ჩვენგანზე. მან ალბათ ასეც ჩაიფიქრა, რომ ზოგი ადამიანი ბედნიერი უნდა იყოს, ზოგი - მწუხარე,

ზოგს უნდა უმართლებდეს, ზოგს - არა. მან არ იცის და არც აინტერესებს, ვინ გახარებულია, ვინ დამწუხრებული. ანუ სინამდვილეში ის არ არსებობს.

ამ ბოლო დღეებში ვგრძნობ, რომ ღმერთის რწმენა დავკარგე. უცნაური შეგრძნებაა, თითქოს განვიწმინდე, გონება გამინათდა, თვალი ამეხილა. ღმერთის ისევ მწამს, მაგრამ ის ისეთი მიუწვდომელია, ისეთი ცივი, ისეთი ანგარიშიანი. ახლა ვხვდები, რომ ჩვენ, ყველამ, ისე უნდა ვიცხოვროთ, თითქოს ღმერთი არ არსებობდეს. ლოცვები, თაყვანისცემა, საგალობლები - ეს ყველაფერი ბრიყვული და უსარგებლოა.

ვცდილობ ავხსნა, რატომ ვამბობ უარს საკუთარ პრინციპებზე (იმის შესახებ, რომ ძალადობას არასოდეს უნდა მიმართო). მე ამ პრინციპზე უარს არ ვამბობ, მაგრამ ვხედავ, რომ ხანდახან მისი დარღვევაა საჭირო, თუ გინდა თავი გადაირჩინო. არაფერს გარგებს ბრმად ბედს მინდობა, განგების იმედად ყოფნა და რწმენა იმისა, რომ ღმერთი მოწყალე იქნება შენ მიმართ. შენ უნდა გაისარჯო, იბრძოლო საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად.

ზეცა ცარიელია. სუფთა, მშვენიერი, მაგრამ ცარიელი.

ხომ ვერ წარმოიდგენ, რომ არქიტექტორებსა და მშენებლებს შეეძლოთ ყველა იმ სახლში ცხოვრება, რომლებიც მათ ააგეს. ეს შეუძლებელი იქნებოდა. ეს ყველაფერი იმდენად ცხადია, რომ მიკვირს, რატომ ადრე არ მესმოდა. ღმერთი ალბათ არსებობს, მაგრამ ჩვენ შესახებ არაფერი იცის.

(იმავე საღამოს) მთელი დღე საზიზღრად ვექცეოდი. რამდენჯერმე შეეცადა დამლაპარაკებოდა, მაგრამ მოვაკეტინე. რაიმე ხომ არ მინდა, რომ მომიტანონ? არაფერი არ მინდა. მე ტყვე ვარ. თუ საჭმელს მომცემთ, შევჭამ, რომ მშიერი არ მოვკვდე. აქედან მოყოლებული ჩვენი ურთიერთობა პატიმრისა და ზედამხედველის ურთიერთობა უნდა იყოს. ახლა კი, თუ შეიძლება, დამტოვეთ.

საბედნიეროდ, აქ ბევრი წიგნი მაქვს. სიგარეტით მამარაგებს (თუ არ

მოიტანს, არც ვთხოვ) და საჭმელიც მოაქვს. მეტი არც არაფერი მინდა მისგან.

ის ადამიანი არ არის. სიცარიელეა, რომელიც ცდილობს, ადამიანის ფორმა ჰქონდეს.

20 ნოემბერი

ისეთ დღეში ჩავაგდებ, ინანებს, ოდესღაც თვალი რომ დამადგა. სადილად ლობიო მომიტანა. ლოგინში ვიწექი და ვკითხულობდი. ცოტა ხანს იდგა და შემდეგ კარისკენ წავიდა. მაგიდასთან მივვარდი, თეფში ავიღე და ვესროლე. ვერ ვიტან ლობიოს და მან ეს იცის. მე მგონი, უბრალოდ იზარმაცა. წონასწორობიდან არ გამოვსულვარ. თავი მოვაჩვენე მხოლოდ. ცხვრის გამომეტყველებით იდგა, როგორც ყოველთვის სუფთა და უზადოდ გაუთოებულ ტანსაცმელს გულისამრევი სოუსის შხეფები უმშვენებდა. არ მინდა თქვენი სადილი-მეთქი, ვუკივლე და ზურგი შევაქციე.

მთელი დღე შოკოლადს ვჭამდი. კ. ვახშმამდე აღარ გამოჩენილა. ხიზილალა, შებოლილი ორაგული და შემწვარი წიწილა მოიტანა (სადღაც ყიდულობს გამზადებულს). იცის, რომ ეს საჭმელები ძალიან მიყვარს. კიდევ ბევრი გემრიელი რამ მოიტანა. ყველაფერი ისეთი, რაც მიყვარს. ვირეშმაკა პირუტყვი. ვირეშმაკობა ის კი არ არის, რომ ამ საჭმელებს ყიდულობს, არამედ ის, რომ არ შემიძლია მადლობელი არ ვიყო ამის გამო (მადლიერება არაფრით გამომიხატავს, მაგრამ ისეთი უხეშიც ვეღარ ვიყავი მის მიმართ). გარდა ამისა, ეს ყველაფერი ისეთი მორჩილი სახით მოაქვს, ისეთი მავედრებელი გამომეტყველებით („სამადლობელი-რა-არის“ და „ოჰ-არ-ღირს“). როცა ვახშმისთვის სუფრას აწყობდა, ლამის დაუძლეველი სურვილი გამიჩნდა ჩამეხითხითა. საშინელებაა. მინდოდა

საწოლზე დავვარდნილიყავი და მეკივლა. ის თავისი თავის ერთგული რჩება, მე კი დამწყვდეული ვარ და გამოსავალი არ ჩანს.

აქ, სარდაფში, ჩემი განწყობილება დაუჯერებელი სისწრაფით იცვლება. ამ წუთში რომ მგონია, მტკიცედ გადავწყვიტე ასე მოვიქცე-მეთქი, ერთი საათის შემდეგ სრულიად საპირისპირო გადაწყვეტილებას ვიღებ.

არა. არაფერი გამოვა. მე სიძულვილი არ შემიძლია. ბუნებით ვარ ასეთი. თითქოს ჩემი ორგანიზმი ყოველდღიურად გარკვეული რაოდენობის სიკეთესა და სითბოს გამოიმუშავებს, მას გამოსავალი უნდა მიეცეს და ძალითაც რომ შევეცადო მის დახშობას, მაინც გამოხეთქავს გარეთ.

არა, სულაც არ ვყოფილვარ კეთილი მის მიმართ. არც მინდა, რომ ვიყო და არც მომავალში ვიქნები. მაგრამ საკუთარ თავთან ბრძოლა მჭირდება, რომ ნორმალურად არ მოვექცე (ისეთ პატარა რამეებს ვგულისხმობ, როგორიცაა მადლობის გადახდა, იმის თქმა, რომ ყველაფერი გემრიელი იყო). არც მითქვამს არაფერი. როცა მკითხა, კიდევ რამეს ხომ არ ინებებთო (თითქოს ოფიციანტი იყოს), არა, შეგიძლიათ წახვიდეთ-მეთქი, ვუთხარი და ზურგი შევაქციე. მაშინ რომ ჩემი სახე დაენახა, ალბათ დამბლა დაეცემოდა: ჩემთვის ვიცინოდი. როცა კარი ჩაკეტა, სიცილის შეკავება ვეღარ შევძელი, თავს ვეღარ მოვერიე და ისტერიკა დამეწყო.

ამ ბოლო დღეებში ათასი რამით ვიქცევ თავს. დიდხანს ვუმზერ საკუთარ თავს სარკეში. ხანდახან მგონია, არარეალური ვარ, თითქოს ჩემ წინ სულაც არ იყოს ჩემი გამოსახულება. არადა, სულ რაღაც ერთი თუ ორი ფუტის მანძილზეა ჩემგან. მზერის გადატანა მიწევს. შემდეგ ვათვალიერებ ჩემს სახეს, თვალებს. ვცდილობ მივხვდე, რას მეუბნებიან ისინი. ვინ ვარ. რატომ ვარ აქ.

ეს იმიტომ, რომ ასე მარტო ვარ. მინდა ხანდახან მაინც შევავლო თვალი აზრიანი ადამიანის სახეს. იმედი მაქვს ყველა, ვინც ოდესმე ჩემსავით

დამწყვდეული ყოფილა, გამიგებს. ისე როგორც არასდროს, იწყებ საკუთარი თავის, საკუთარი არსებობის გაცნობიერებას. ჩვეულებრივ ცხოვრებაში შენი არსების დიდ ნაწილს უძღვნი ადამიანებს, ბევრ რამეს თრგუნავ საკუთარ თავში. ვათვალიერებ ჩემს სახეს, თვალს ვადევნებ მიმიკას, თითქოს ვიღაც სხვას ვუყურებდე. დაჟინებით თვალს თვალში ვუყრი საკუთარ გამოსახულებას.

საკუთარ თავთან მაქვს ურთიერთობა.

ხანდახან ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მოჯადოებული ვიყო და საკუთარ თავს ხან ენას ვუყოფ და ხან ვემანჭები, რომ ამ მდგომარეობიდან გამოვიდე.

ვზივართ მე და ჩემი ანარეკლი ამ მიწისქვეშეთში, აბსოლუტურ სიჩუმეში და თითქოს იდუმალ არყოფნაში ჩაძირული.

ტრანსში.

21 ნოემბერი

უკვე შუაღამეა. ვერ ვიძინებ.

საკუთარი თავი მეზიზღება.

დღეს კინაღამ მკვლელად ვიქეცი.

ამიერიდან აღარასოდეს ვიქნები იგივე, რაც ვიყავი.

მიჭირს წერა. ხელები შეკრული მაქვს. ალიკაპი ძლივს მოვიშორე.

ყველაფერი სადილის შემდეგ დაიწყო. მივხვდი, საკუთარი თავთან უნდამებრძოლა, რომ მას ადამიანურად არ მოვპყრობოდი. რადგან ვგრძნობდი, რომ აუცილებელი იყო ვინმეს დავლაპარაკებოდი. თუნდაც მას. რაც უნდა იყოს, ადამიანია. როცა სადილის შემდეგ მიდიოდა, კინაღამ ვუთხარი, დარჩით და მელაპარაკეთ-მეთქი. რასაც მაშინ ვგრძნობდი, ბევრად განსხვავდებოდა იმისგან, რაც ორი დღის წინ გადავწყვიტე,

რომ უნდა მეგრძნო. ასე რომ, ახალი გადაწყვეტილება მივიღე. აქ, ქვემოთ, მე ვერასოდეს შევძლებ მას დავარტყა. ყოველთვის თვალს ვადევნებ, როგორ დგას. ზურგით არასოდეს დგება. გარდა ამისა, რა უნდა დავარტყა, აქ არაფერია. ამიტომ ვიფიქრე, როცა ზემოთ როგორმე მოვხვდები, იქნებ იქ ვიპოვო რაიმე-მეთქი. რაღაც მოვიფიქრე.

სხვანაირად, ვშიშობდი, რომ ადრინდელივით მახეში აღმოვჩნდებოდი - ისევ შემეცოდებოდა.

ამიტომ ვახშმის დროს შედარებით ნორმალურად მოვექეცი და ვუთხარი, რომ აბაზანის მიღება მჭირდებოდა (მართლა ასე იყო). წავიდა, შემდეგ დაბრუნდა და ერთად ავედით ზემოთ. იქ, რაღაც სასწაულად, თითქოს საგანგებოდ ჩემთვის, სამზარეულოს ფანჯრის რაფაზე, კართან, პატარა ნაჯახი იდო. ეტყობა კ. შეშას ჩეხდა გარეთ და მისი შენახვა დავიწყდა. მე ხომ ახლა ყოველთვის ქვემოთ ვარ.

ძალიან სწრაფად ჩავიარეთ და ვერაფრის გაკეთება ვერ მოვასწარი.

მაგრამ როცა აბაზანაში ვიწექი, ვფიქრობდი, როგორ მოვქცეულიყავი. გადავწყვიტე, რომ ამის გაკეთება აუცილებელი იყო. ნაჯახი უნდა ამეღო და ბლაგვი მხარით ჩამერტყა, რომ გამეთიშა. წარმოდგენა არ მქონდა, თუ სად, ან რამდენად ძლიერად უნდა დამერტყა.

შემდეგ ვთხოვე, მაშინვე ქვემოთ ჩავეყვანე. როცა სამზარეულოს კარში გავდიოდით, რაღაცები განგებ დავყარე ძირს და გვერდზე გავდექი, ფანჯარასთან ახლოს, თითქოს მინდოდა შემეხედა, სად დამივარდა ეს ნივთები. მან სწორედ ის გააკეთა, რაც მე მინდოდა, რომ გაეკეთებინა: დაიხარა და მათი აღება დაიწყო. ოდნავაც არ ვნერვიულობდი, ნაჯახი ძალიან ფრთხილად ავიღე, ბლაგვი მხარით მოვუღერე და შემდეგ... ეს კოშმარული სიზმრისგან გამოღვიძებას ჰგავდა. უნდა დამერტყა მისთვის და არ შემეძლო, მაგრამ მაინც უნდა დამერტყა.

მან წამოდგომა დაიწყო (ეს ყველაფერი წამში მოხდა) და აი მაშინ დავარტყი, მაგრამ შებრუნდა და ნაჯახი პირდაპირ არ მოხვდა, ან დარ-

ტყმა საკმარისად ძლიერი არ იყო. იმის თქმა მინდა, რომ დარტყმის მომენტში უკვე პანიკამ მომიცვა. კ. გვერდზე დაეცა, მაგრამ ვიცოდი, რომ გათიშული არ იყო, ისევ ჩაბღუჯული ვყავდი, მაგრად ვეჭირე და მივხვდი, რომ თუ მე არ მოვკლავდი, ის მომკლავდა. ისევ დავარტყი, მაგრამ თავი ხელებით დაიფარა, იმავდროულად წიხლი დამარტყა და წამაქცია.

საშინელება იყო. მიწაზე დაცემულები ვიგრიხებოდით, ვქოშინებდით. მხეცებს ვგავდით. უცებ დავინახე როგორი - არ ვიცი რა დავარქვა - არაღირსეული იყო ეს ყველაფერი. აბსურდულად ჟღერს, მაგრამ ასეა. როგორც წამოქცეული ქანდაკება. როგორც ფაშფაშა ქალი, რის ვაი-ვაგლახით რომ ცდილობს მიწიდან წამოდგომას.

წამოვდექით და მან უხეშად მიბიძგა კარისაკენ. ისევ მაგრად ვეჭირე, მაგრამ სულ ეს იყო. უცნაური განცდა მქონდა, რომ ისიც იმავეს გრძნობდა, რასაც მე - ზიზღს.

ვიფიქრე, იქნებ ვინმემ გაიგონა-მეთქი, მიუხედავად იმისა, რომ არ დამიყვირია (ალიკაპი მეკეთა), მაგრამ ქარიანი დღე იყო, თან წვიმიანი და ცივი. ვინ იქნებოდა გარეთ ასეთ ამინდში.

საწოლზე დავწექი. ტირილი მალე შევწყვიტე. დიდხანს ვიწექი სიბნელეში და ვფიქრობდი.

22 ნოემბერი

ძალიან მრცხვენია. ასე როგორ ვუღალატე საკუთარ თავს.

ბევრს ვფიქრობ და რაღაც გადაწყვეტილებამდე მივედი.

ძალადობა, ძალის გამოყენება, არ არის სწორი გზა. თუ ძალას ვიყენებ, მის დონეზე ვეშვები. ეს იმას ნიშნავს, რომ სინამდვილეში გონების ძალის, თანაგრძნობის, ადამიანურობის აღარ მჯერა და გაჭირვებაში

მყოფებს მხოლოდ ჩემი პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებისათვის შემიძლია დავეხმარო და არა ჭეშმარიტი თანაგრძნობის გამო. გავიხსენე ლედიმონტი და გოგონები, რომელთაც იქ ვმეურვეობდი. სელი მერჯისონი, მაგალითად. მას, უბრალოდ, იმიტომ ვმეურვეობდი, რათა მისი აღმზრდელებისთვის დამემტკიცებინა, რომ მათზე ჭკვიანი ვიყავი. რომ სელი ჩემი გულისთვის ისეთ რამეებს გააკეთებდა, რასაც მათთვის არასდროს იზამდა. რა თქმა უნდა, დონალდსა და პირსს ვეხმარებოდი (ერთგვარად პირსსაც ვმეურვეობდი), მაგრამ ისინი, ორივე, ახალგაზრდა, მიმზიდველი მამაკაცები არიან. ცხადია, იყო და იქნება ასობით სხვა ადამიანი, რომელთაც დახმარება, გვერდში დგომა, თანაგრძნობა გაცილებით მეტად სჭირდებათ, ვიდრე ამ ორს. მიუხედავად ამისა, გოგონების უმრავლესობა პირდაპირ ნემსის ყუნწში ძვრებოდა, რომ სწორედ ამ ორისთვის გაეწიათ მეურვეობა.

კალიბანზე ძალიან ადრე ჩავიქნიე ხელი. სრულიად განსხვავებული დამოკიდებულება უნდა დავამყარო მასთან. „ზედამხედველი-ტუსაღის“ პრინციპი სისულელეა. სიმშვიდე უნდა შევინარჩუნო, როცა მაღიზიანებს. მოვეპყრო, როგორც ადამიანს, რომელიც თანაგრძნობასა და გაგებასსაჭიროებს. ვეცადო, ხელოვნებაში რაღაცები გავაგებინო. და არა მარტო ხელოვნებაში.

ამის გაკეთების მხოლოდ ერთი გზა არსებობს. მართებული გზა. მართებული არა იმ აზრით, როგორც ეს ლედიმონტში ესმოდათ, არამედ ისე, როგორც მე მიმაჩნია სწორად. ჩემებურად მართებულად.

მე ზნეობრივ ადამიანად მიმაჩნია თავი და არ მრცხვენია იმის, რომ ასეთი ვარ. ნებას არ მივცემ კალიბანს უზნეოდ მაქციოს. მიუხედავად იმისა, რომ ჩემგან სიძულვილსაც, ღვარძლსაც და თავში ნაჯახის ჩარტყმასაც იმსახურებს.

(მოგვიანებით) ნორმალურად მოვექეცი. არა ისე, ანჩხლი კატასავით, როგორც ამ ბოლო დროს. როგორც კი შემოვიდა, მოვახერხე დამეყოლიებინა, რომ თავი ეჩვენებინა და ჭრილობაზე „დეტოლი“ წავუსვი. ძალიან

ნერვიულობდა, შიშისგან ხტოდა. აღარ მენდობა. ასეთ დღეში არ უნდა ჩამეგდო.

თუმცა ეს ყველაფერი ძალიან ძნელია. როცა მას არაადამიანურად ვექცევი, ისეთ საცოდავ გამომეტყველებას იღებს, რომ საკუთარი თავი მეზიზღება. მაგრამ როცა კარგად ვეპყრობი, მის ხმასა და მანერებში თვითკმაყოფილება იგრძნობა (თუმცა ძალიან ფრთხილობს. მთელი დღის განმავლობაში პირდაპირ თავმდაბლობის განსახიერება იყო, წინა ღამის შესახებ, რა თქმა უნდა, საყვედური არ დასცდენია) და ისევ მომინდა გამებრაზებინა, გამეღიზიანებინა, სილა გამეწნა.

თითქოს დაჭიმულ თოკზე გავდივარ.

თუმცა ატმოსფერო განიმუხტა.

(ღამე) ვახშმის შემდეგ ვცდილობდი ამეხსნა მისთვის, რა უნდა ეძიოს აბსტრაქტულ ხელოვნებაში. უიმედო საქმეა. ამ საცოდავმა ერთხელ და სამუდამოდ ჩაიჭედა დებილ თავში, რომ ხატვა - ეს უბრალოდ ფანქრის ან ფუნჯის გასმა-გამოსმაა ქაღალდზე, სანამ ზუსტ ფოტოგრაფიულ მსგავსებას არ მიაღწევ. მიაჩნია, რომ შესანიშნავი უსიუჟეტო კომპოზიციის შექმნა (ვთქვათ, ბენ ნიკოლსონისნაირი) როგორღაც ამორალურიც კია. კ. ამბობს: „ვხედავ, რომ ლამაზ ორნამენტებს აკეთებს“, მაგრამ არაფრით თანხმდება იმაზე, რომ „ლამაზი ორნამენტების კეთება“ ხელოვნებაა. საქმე ისაა, რომ ზოგიერთი სიტყვა მისთვის უცნაურ, იდუმალ მნიშვნელობას, იდუმალ ჟღერადობას იძენს. ყველაფერი, რასაც ხელოვნებასთან კავშირი აქვს, აბნევს, აცბუნებს (მე მგონი, ჰიპნოზურ ზეგავლენასაც კი ახდენს მასზე). ხელოვნება საერთოდ როგორღაც ამორალურია მისთვის. იცის, რომ ნამდვილი ხელოვნება ეს ნამდვილი ხელოვნებაა, მაგრამ „ნამდვილი“ მისთვის მუზეუმებში ჩაკეტილს ნიშნავს და მის შესახებ მსჯელობა მხოლოდ თავის მოწონების სურვილია და მეტი არაფერი. ცოცხალი ხელოვნება, თანამედროვე მხატვრები და მათი ნახატები ზაფრავს. ამის შესახებ ვერც კი დაელაპარაკები. თვით სიტყვა „ხელოვნება“ აშკარად შფოთვას, დანაშაულის გრძნობას იწვევს მასში.

მაინტერესებს, ნეტავ ბევრი თუა ამქვეყნად მისი მსგავსი. მე, რა თქმა უნდა, ვიცი, რომ უმრავლესობას, - განსაკუთრებით ამ „ახლებს“ - ხელოვნება არ აინტერესებს. მაგრამ რის გამო? იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც კ-ს თუ მათთვის, უბრალოდ, სულ ერთია? ანუ ის მაინტერესებს, ხელოვნება მათთვის უბრალოდ მოსაბეზრებელია (და სრულიად არასაჭირო, „ცხოვრებაში არაფერში გამოსადეგი“) თუ როგორღაც, იდუმალი გზებით, ზაფრავს და თავზარს სცემს მათ და ისინიც იძულებულნი არიან თავი ისე მოაჩვენონ, თითქოს მობეზრდათ?

23 ნოემბერი

ეს-ეს არის დავამთავრე „შაბათი საღამო და კვირა დილა“. წიგნმა შემძრა. შემძრა თავისთავადაც და იმის გამოც, რა მდგომარეობაშიც ახლა ვიმყოფები.

შეძრწუნებული და აღშფოთებული ვარ, ისე როგორც შარშან ვიყავი, როცა „გზა მაღალი საზოგადოებისკენ“ წავიკითხე. მე ვიცი, რომ ისინი ძალიან ჭკვიანები და ნიჭიერები არიან. რა შესანიშნავია, როცა ალან სილიტოუსავით შეგიძლია წერო. ზუსტად, სიყალბის გარეშე. მოახერხო სწორედ იმის თქმა, რაც გსურს, რომ თქვა. რა კარგი იქნებოდა, რომ ის მხატვარი ყოფილიყო (ჯონ ბრეტბის მსგავსი იქნებოდა. უკეთესიც კი). შეძლებდა ნოტინგემის აღბეჭდვას ტილოზე. რა ლამაზი იქნებოდა. სილიტოუ მშვენივრად შეძლებდა ყველაფერ იმის გადმოცემას, რაც უნახავს. ყველა აღტაცებული იქნებოდა. მაგრამ როცა წერ, უბრალოდ კარგად წერა საკმარისი არ არის (ზუსტი სიტყვების შერჩევა და ასე შემდეგ), რომ კარგი მწერალი იყო. მე, მაგალითად, მგონია, რომ „შაბათი საღამო და კვირა დილა“ საზიზღარი წიგნია. არტურ სიტონი საზიზღარია. ყვე-

ლაზე დიდი საზიზღრობა კი ის არის, რომ ალან სილიტოუ არ გვაჩვენებს, თვითონ როგორ ეზიზღება ეს ახალგაზრდა პერსონაჟი. მე მგონი, სინამდვილეში ეს მწერლები თავიანთ პერსონაჟებს მშვენიერ ახალგაზრდებად თვლიან.

გულს მირევს ის, რომ არტურ სიტონს საერთოდ არ აინტერესებს, რა ხდება მისი პატარა სამყაროს მიღმა. ის არამზადაა, გონებაშეზღუდული, ეგოისტი და დაუნდობელი. იმის გამო, რომ თავხედია, თავის სამუშაოს ვერ იტანს და ქალებში წარმატებით სარგებლობს, მას ყველა სიცოცხლითა და ენერგიით სავსე კაცად უნდა მიიჩნევდეს.

ერთადერთი, რაც მომწონს, ის შეგრძნებაა, რომ არის მასში რაღაც კარგი, მაგრამ ამ კარგამდე უნდა მიხვიდე, განავითარო ის და გამოიყენო.

ასეთი ხალხი მთლიანად ჩაფლულია საკუთარ თავში. არას დაგიდევენ, რა ხდება დანარჩენ სამყაროში. რა ხდება ცხოვრებაში.

თითქოს ყრუ, ბნელ ყუთში იყვნენ.

შეიძლება ალან სილიტოუს უნდოდა გაეკრიტიკებინა საზოგადოება, რომელიც ასეთ ინდივიდებს შობს, მაგრამ მან ეს მკაფიოდ ვერ აჩვენა. მე ვიცი, მას რაც დაემართა: მას შეუყვარდა ის, რასაც აღწერდა. მან დაიწყო სიმახინჯის აღწერით, ისეთის, როგორიც არის, მაგრამ შემდეგ ამ სიმახინჯემ ჩაითრია და მან უკვე თაღლითობა დაიწყო. შეალამაზა.

წიგნმა კალიბანის გამოც შემაძრწუნა. დავინახე, რომ მასში არის რაღაც არტურ სიტონისეული, მაგრამ შებრუნებულად, თავდაყირა. ანუ, იმის თქმა მინდა, რომ მას სწორედ ასევე ეზიზღება ყველაფერი უჩვეულო და ყველა, ვინც მისნაირი არ არის. ისიც ისეთივე ეგოისტია, მაგრამ მისი ეგოიზმი პატიოსანი ეგოიზმიც კი არ არის. კ-ს მიაჩნია, რომ თვითონ ცხოვრებაა ასეთი და ყველა დამნაშავეა იმაში, ის რომ ასეთია, ეს კი მას უფლებას აძლევს მხოლოდ საკუთარ თავზე იზრუნოს ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე. ისიც ისევე ჯიუტია, როგორც სიტონი.

წიგნმა იმიტომაც შემაძრწუნა, რომ, მე მგონი, ახლა ყველა, ჩვენ გარდა (არც ჩვენ ვართ ანგელოსები) ასევე ეგოისტი და დაუნდობელია. ეს

არის მხოლოდ, რომ ზოგიერთში ეს შეფარულია და მახინჯ ფორმებს იღებს, ზოგიერთში კი აშკარად და უხეშადაა გამოხატული. რელიგია სიკვდილის პირასაა. არაფერია ისეთი, რაც ამ „ახლებს“ შეაჩერებს. ისინი სულ უფრო და უფრო ძლიერდებიან, ძალას იკრებენ და მალე ყველას შთანგვთქამენ.

არა, ვერ იზამენ ამას. იმიტომ რომ არსებობენ ისეთები, როგორიც არის დევიდი, როგორიც არის ალან სილიტოუ (წიგნის გარეკანზე წერია, რომ ის მუშის შვილია). იმის თქმა მინდა, რომ გონიერი „ახლები“ ყოველთვის აღდგებიან ყოველივე უსახურის წინააღმდეგ და ჩვენს მხარეზე გადმოვლენ. „ახლები“ საკუთარ თავს ინადგურებენ, იმიტომ რომ ჩლუნგები არიან. ისინი ვერ მოახერხებენ, გონიერი ადამიანები გვერდით იყოლიონ, განსაკუთრებით - ახალგაზრდები. ჩვენ რაღაც მეტი გვინდა, ვიდრე ფული და იმაზე ფიქრი, როგორმე მეზობლებს არ ჩამოვრჩეთ დაგროვებაში.

ეს კი ბრძოლაა. თითქოს ალყაშემორტყმულ ქალაქში ვიყოთ. გარშემო სულ ისინი არიან. მაგრამ უნდა გავუძლოთ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს.

ეს არის ბრძოლა კალიბანსა და ჩემ შორის. ის „ახლებს“ წარმოადგენს, მე კი - „უმცირესობას“.

მე ჩემი იარაღით ვიბრძოლებ და არა მისი იარაღით. არ შემიძლია ვიბრძოლო ეგოიზმითა და სისასტიკით, წყენითა და სიძულვილით.

კ. ბევრად უარესია, ვიდრე არტურ სიტონი.

თუ არტურ სიტონი თანამედროვე სკულპტურას ნახავს და არ მოეწონება, ის მას ნამსხვრევებად აქცევს. კალიბანი კი მას ბრეზენტს გადააფარებს. მე არ ვიცი, რომელი უარესია. მაინც ვფიქრობ, რომ მეორე.

24 ნოემბერი

სასოწარკვეთილებამდე ვარ მისული, ისე მინდა აქედან გასვლა. შვებას ვერც ხატვა მაგრძნობინებს, ვერც მუსიკის მოსმენა, ვერც კითხვა. მწველი, მწველი სურვილი მკლავს (როგორც ალბათ ყველა პატიმარს), ვნახო სხვა ადამიანები. კალიბანი მხოლოდ ნახევრად თუა ადამიანი, ისიც თავის საუკეთესო გამოვლინებებში. ათობით და ასობით უცხო ადამიანის სახეს მინდა ვხედავდე, თითქოს უდაბნოს ხვატში წყალი მენატრებოდეს. სწორედ ასე. ადრე სადღაც წამიკითხავს, რომ არავის შეუძლია ციხეში ათ წელზე მეტი გაძლოს, ცალკე საკანში კი ერთ წელზე მეტი.

თუ თავად არ გამოგიცდია, ვერც კი წარმოიდგენ, ციხე რა საშინელებაა. შეიძლება გეგონოს კიდეც, იქ ბევრი დრო მექნება საფიქრალად და საკითხავად და, კაცმა რომ თქვას, შეიძლება არც ისე ცუდი იყოსო. მაგრამ ასე არ არის. საშინელებაა შენელებული დრო. თავს დავდებ, რომ ყველა საათი მსოფლიოში საუკუნეებით ჩამორჩა მას შემდეგ, რაც აქ ვარ.

არ უნდა ვიწუწუნო. მე ხომ კეთილმოწყობილ ციხეში ვარ.

ეს მისი ვირეშმაკობა გაზეთებთან, რადიოსთან და ა.შ. დაკავშირებით. გაზეთებს მაინცდამაინც არასოდეს ვეტანებოდი და არც ახალი ამბების მოსმენით ვიკლავდი თავს, მაგრამ ასეთი ტოტალური იზოლაცია... უცნაურია, ვგრძნობ, რომ სრულიად ვკარგავ ორიენტაციას.

ვწევარ და საათობით ვფიქრობ იმაზე, როგორ დავაღწიო თავი აქაურობას.

უსასრულოდ.

25 ნოემბერი

(შუადღე) ამ დილით კ-ს ვესაუბრე. ვაიძულე დამჯდარიყო, რომ დამეხატა. შემდეგ ვკითხე, ბოლოს და ბოლოს რა უნდოდა ჩემგან. რომ მისი საყვარელი გავმხდარიყავი? გაოგნებულმა შემომხედა, გაწითლდა და თქვა, მაგის ყიდვა ხომ ლონდონშიც შეიძლებაო.

მე ვუთხარი, თქვენ ჩინური ყუთი ხართ-მეთქი. მართლა ასეა.

ამ ყუთში ყველაზე ღრმად დამალული სურვილი ის არის, რომ მე ის უნდა შევიყვარო. სულით და სხეულით. პატივს ვცემდე მას და ხელისგულზევატარებდე. ესხომ სრულიად შეუძლებელია. მაშინაც კი, მის მიმართ ფიზიკური ზიზღის დაძლევა თუ მოვახერხე, სხვანაირად როგორ შევძლებ ვუყურო, თუ არა ზემოდან ქვემოთ.

შუბლით უნდა ქვის კედლის გატანა.

არ მინდა სიკვდილი. შინაგანად მზად ვარ, რომ ყველაფერს გავუძლო. ყოველთვის მექნება გადარჩენის სურვილი. და გადავრჩები კიდეც.

26 ნოემბერი

ერთადერთი უჩვეულო რამ მასში არის ის, თუ როგორ ვუყვარვარ. „ახლებს“ არაფრის სიყვარული არ შეუძლიათ ისე, როგორც მას მე ვუყვარვარ. ეს ბრმა სიყვარულია. აბსოლუტურად ბრმა. როგორც დანტეს სიყვარული ბეატრიჩესადმი.

ტკბობას განიცდის თავისი უიმედო სიყვარულის გამო. მე მგონი, დანტეც ამავეს განიცდიდა. სევდიანი ოცნება უიმედო სიყვარულზე და შემოქმედებითი იმპულსის მიღება ამგვარი გამოცდილებიდან.

თუმცა, რა თქმა უნდა, კალიბანი ამ გამოცდილებიდან ვერაფერს მიიღებს, უბადრუკი სიამოვნების გარდა.

ადამიანები, რომლებსაც არაფრის შექმნა არ შეუძლიათ. მეზიზღებიან.

როგორ მეშინოდა სიკვდილის იმ პირველ დღეებში. არ მინდა სიკვდილი. სულ მომავალზე ვფიქრობ. სასოწარკვეთილებამდე მსურს ვიცოდე, რას მიმზადებს მომავალი. რა მოხდება ჩემს ცხოვრებაში, რა გამოვა ჩემგან, როგორი ვიქნები ხუთი წლის შემდეგ, ათი წლის შემდეგ, ოცდაათი

წლის შემდეგ. ვის გავყვები ცოლად, სად ვიცხოვრებ, რა ადგილებს მოვინახულებ, რას შევიმეცნებ. ბავშვები. ეს არ არის ეგოისტური ცნობისმოყვარეობა. ეს კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე უარესი დროა სიკვდილისათვის. კოსმოსში გაფრენა, მეცნიერება, მთელი მსოფლიო იღვიძებს და წინ და ზემოთ მიიწევს. ახალი ერა იწყება. მე ვიცი, რომ საფრთხეებიც მრავლად იქნება, მაგრამ მშვენიერია ამ დროში ცხოვრება.

ეს ჩემი საუკუნეა. მიყვარს, ვაღმერთებ მას.

დღეს თავში უამრავი აზრი მომივიდა. ერთი ასეთი იყო: არაშემოქმედებითი ადამიანი პლუს შექმნის შესაძლებლობა უდრის ცუდ ადამიანს.

მეორე: მისი მოკვლა ჩემი პრინციპების წინააღმდეგ წასვლას ნიშნავს, ყველაფერ იმის წინააღმდეგ წასვლას, რისიც მე მჯერა. ვინმემ შეიძლება თქვას, შენი პრინციპების წინააღმდეგ წასვლა მხოლოდ ზღვაში წვეთია, ეს არაფერს ნიშნავსო. მაგრამ სამყაროს ყველა ბოროტება ასეთი პატარა წვეთებისაგან შედგება. სისულელეა ილაპარაკო იმაზე, რომ პატარა წვეთებს მნიშვნელობა არა აქვს. პატარა წვეთები და ოკეანე ერთი და იგივეა.

წარმოვიდგინე (ეს პირველი შემთხვევა არ არის), რომ ჯ.პ.-სთან ვცხოვრობ. ის მღალატობს, სასტიკი და ცინიკურია ჩემ მიმართ, მტოვებს, მე სასოწარკვეთილება მიპყრობს. ამ ფიქრებში სექსი მაინცდამაინც არ ფიგურირებს. უბრალოდ, ერთად ვცხოვრობთ. საკმაოდ რომანტიკულ გარემოში. ჩრდილოეთის ლანდშაფტი, ზღვა და კუნძული, თეთრი კოტეჯები. ხანდახან - ხმელთაშუა ზღვა. ჩვენ ერთად ვართ, სულიერად ძალიან ახლო. დეტალები სულელური მოდური ჟურნალებიდანაა აღებული. მაგრამ სულიერი სიახლოვე არსებობს. ამას წყალი არ გაუვა. და ის სიტუაციაც, მე რომ წარმოვიდგენ (როცა ის მტოვებს), რეალურია. იმის თქმა მინდა, რომ ამაზე ფიქრი გულს მიკლავს.

ხანდახან თითქმის სრული სასოწარკვეთილება მიპყრობს. არავინ იცის, რომ ისევ ცოცხალი ვარ. მკვდრად მთვლიან, იმედი დაკარგეს და ამ

აზრს შეურიგდნენ. ეს ასეა. ამას ვერსად გაექცევი. ასეთია რეალური სიტუაცია. ასეთია აწმყო. მე კი ვზივარ აქ, საწოლზე, და მომავალზე ვფიქრობ: ვიღაც მამაკაცზე ვარ შეყვარებული მთელი არსებით. მე ხომ ვიცი, რომ სანახევროდ არაფრის კეთება არ შემიძლია, ნახევრად სიყვარული არ შემიძლია. სიყვარულითაა მოცული მთელი ჩემი არსება და მე მზად ვარ მივუძღვნა ყველაფერი - გული, სული და სხეული ისეთ ცინიკოსს, როგორიც არის ჯ.პ., რომელიც მიღალატებს. ვგრძნობ ამას. ამ ოცნებებში მასთან ერთად ცხოვრებაზე თავიდან ყველაფერი ნაზია და გონივრული, მაგრამ ვიცი, რომ სინამდვილეში შეუძლებელია ასე მოხდეს. იქნება ვნება და მძვინვარება. ეჭვიანობა. სასოწარკვეთილება. სიმწარე. რაღაც ჩაკვდება ჩემში. და მასშიც.

თუ მართლა ვუყვარვარ, როგორ შეეძლო გამოვეგდე.

თუ მართლა ვუყვარვარ, როგორ შეეძლო არ გამოვეგდე.

27 ნოემბერი

შუაღამე.

ვერასოდეს მოვახერხებ აქედან გაქცევას. ეს მაგიჟებს. უნდა, უნდა, უნდა ვიღონო რაღაც. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ დედამიწის წიაღში ვიმყოფები. მთლად მის გულში. და დედამიწის მთელი სიმძიმე ამ პატარა ყუთს აწვება. ყუთი სულ უფრო და უფრო პატარავდება, პატარავდება, პატარავდება. ვგრძნობ, როგორ იკუმშება.

ხანდახან ძალიან მინდება ვიკივლო. ხმის ჩახლეჩამდე. სიკვდილამდე.

არ შემიძლია ამის აღწერა. სიტყვებით ამის გადმოცემა შეუძლებელია.

სრული სასოწარკვეთილება.

მთელი დღე ასეთი განწყობილება მქონდა. დაუსრულებელი, სულის-შემხუთავი პანიკა. შენელებული დრო.

რას ფიქრობდა, როცა პირველად აქ მომიყვანა? რაღაც არ გამოვიდა. ისე არ წავიდა საქმე, როგორც მას ჰქონდა ჩაფიქრებული. მე არ ვიქცევი ისე, როგორც ის თავისი ოცნების გოგონასგან მოელოდა.

იქნებ სწორედ ამიტომ არ მიშვებს აქედან? იმედი აქვს, რომ მისი ოცნების მირანდად ვიქცევი?

შესაძლოა მე მისი ოცნების გოგონად უნდა ვიქცე. მკლავები კისერზე შემოვხვიო და ვაკოცო. ვაქო, თავზე ხელი გადავუსვა, ვეფერო, ვკოცნო.

არა,ამას სრულებითაც არ ვგულისხმობდი, მაგრამ დავწერე და ჩავ-ფიქრდი.

შეიძლება მართლა უნდა ვაკოცო. და უფრო მეტიც, არა მხოლოდ ვა-კოცო, შევიყვარო, ლოგინში ჩავუწვე. რათა საზიზღარი ჯადო ავხსნა მომხიბლავ უფლისწულს.

დავწერ ერთ წინადადებას და მომდევნო წინადადების დაწერამდე საათობით ვფიქრობ.

როგორღაც ისე უნდა მოვიქცე, რომ იგრძნოს, თითქოს მისმა კეთილ-შობილებამ და ერთგულებამ ბოლოს და ბოლოს გული გამილღვო...

დაუჯერებელია.

მას რაღაცნაირად მოუწევს ამაზე რეაგირება.

დარწმუნებული ვარ, ამის გაკეთებას შევძლებ. ეს მაინც არის, რომ ზედმიწევნით სუფთაა. საპნის გარდა მისგან არასდროს არაფრის სუნი არ მიგრძნია.

ჯობია ახლა დავიძინო.

28 ნოემბერი

დღეს ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მივიღე.

წარმოვიდგინე, რომ მასთან ვწევარ.

მხოლოდ კოცნა შედეგს არ გამოიღებს. საჭიროა ისე დაიზაფროს, ისეთი თავზარი დაეცეს, რომ აქედან გამიშვას. რადგან პატიმრობაში ვერ იყოლიებ იმას, ვინც საკუთარი თავი გიძღვნა.

მთლიანად მის ხელში ვიქნები. ვერ შევძლებ მივმართო პოლიციას. ერთადერთი სურვილი მექნება - როგორმე ყველაფერი მივჩქმალო.

ეს ხომ ცხადია. ეს ისეთი აშკარაა, ისეთი თვალში საცემი.

როგორც ფიგურის გაწირვა ჭადრაკში.

როგორც ხატვისას. ხაზის გავლებისას თუ მერყეობ, მაშინ არაფერი გამოგივა. ხაზი - ეს სიმამაცეა.

სექსთან დაკავშირებით ყველაფერი კარგად მოვიფიქრე. რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა, მეტი ვიცოდე მამაკაცების შესახებ, ჩემი გამოცდილებით ვიცოდე და არა მონათხრობიდან და წაკითხულიდან. ვაპირებ იმის ნება მივცე, რაც პირსს სურდა ესპანეთში ყოფნისას. ჩამიწვინოს ლოგინში, მომეფეროს... მაგრამ არა სულ ბოლომდე. თუ ძალიან შორს წასვლას შეეცდება, ვეტყვი, რომ ციკლი მაქვს. მაგრამ, ვფიქრობ, ისეთი შოკირებული იქნება, რომ რასაც მინდა, იმას გავაკეთებინებ. ანუ იმის თქმა მინდა, რომ მაცდუნებელი მე ვიქნები. ვიცი, რომ ასიდან ოთხმოცდაცხრამეტ კაცთან ეს საშინელი რისკი იქნებოდა, მაგრამ, ვფიქრობ, ის სწორედ მეასეა. მაშინ შეჩერდება, როცა მე ვეტყვი.

მაგრამ თუნდაც ბოლომდე მივიდეს, თუნდაც არ შეჩერდეს, მაინც უნდა გავრისკო.

აქ ორი რამეა. პირველი - უნდა ვაიძულო გამიშვას. მეორე იმას ეხება, რაც 7 ნოემბერს ჩავწერე დღიურში: „მიყვარს სისხლსავსე ცხოვრება. მიყვარს ყველაფერი, რაც პასიურ დამკვირვებლობას, მიმბაძველობას, სულის გახევებას ეწინააღმდეგება“. მაგრამ სავსე ცხოვრებით სულაც არ ვცხოვრობ. სწორედ რომ პასიური დამკვირვებელი ვარ და არა მარტო აქ, ჯ.პ.-სთანაც.

ყოველთვის გულს მირევდა აღმზრდელების საუბრები იმის შესახებ, რომ იმ ერთადერთი მამაკაცისთვის, „ცხოვრების თანამგზავრისთვის“, უნდა შეინახო თავი. თუმცა ყოველთვის რაღაც მაკავებდა.

უნდა დავძლიო საკუთარ თავში ეს სიმხდალე.

რაღაც უცნაური სასოწარკვეთილება მიპყრობს. საკუთარ თავს ვეუბნები, რომ რაღაც მოხდება. მაგრამ არაფერი არ მოხდება ჩემი მონაწილეობის გარეშე.

მოქმედებაა საჭირო.

კიდევ ერთი რამ, რაც ადრე ჩავიწერე: „მე ჩემი იარაღით ვიბრძოლებ და არა მისი იარაღით. არ შემიძლია ვიბრძოლო ეგოიზმითა და სისასტიკით, წყენითა და სიძულვილით“.

ანუ ჩემი იარაღი იქნება სულგრძელობა (საკუთარ სხეულს მივართმევ), სინაზე (ურჩხულის კოცნა მომიწევს), სინანულისგან გათავისუფლება (რასაც ვაკეთებ, ჩემი ნებით ვაკეთებ) და პატიება (ის ისეთია, როგორიც არის. ვერაფერს გააწყობ).

ბავშვიც კი. მისი ბავშვი. ყველაფერი, ოღონდ კი გავთავისუფლდე.

რაც უფრო მეტს ვფიქრობ ამის შესახებ, მით მეტად ვრწმუნდები, რომ ეს ერთადერთი გამოსავალია.

რაღაც საიდუმლო მაინც არსებობს. შეუძლებელია, რომ მას ფიზიკური ლტოლვა არ ჰქონდეს ჩემ მიმართ.

შეიძლება, როგორც მამაკაცი, არაფრის მაქნისია.

ასეა თუ ისე, ყველაფერი უნდა გაირკვეს.

მეცოდინება მაინც.

ბოლო დღეებში ჯ.პ.-ის შესახებ ბევრი არაფერი დამიწერია. მაგრამ ვფიქრობ მასზე. ყოველ დღეს მისი ნახატის ყურებით ვიწყებ და ვამთავრებ. სიძულვილის გრძნობა მიჩნდება ამ ჩემთვის უცნობი გოგოს, მენატურეს მიმართ. ალბათ საყვარლები იყვნენ. შეიძლება მისი პირველი ცოლი იყო. ვკითხავ, როცა აქედან გავალ.

იმიტომ რომ პირველი, რის გაკეთებასაც ვაპირებ, ყველაზე საჭირო,

ნამდვილი საქმე, ოჯახის მონახულების შემდეგ, ის არის, რომ მასთან წავიდე. უნდა ვუთხრა, რომ მუდამ მასზე ვფიქრობდი, რომ ის ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანია ჩემს ცხოვრებაში. ყველაზე ნამდვილი. რომ ვეჭვიანობ ყველა იმ ქალზე, რომელთანაც ის ოდესმე წოლილა. ახლაც ვერ ვიტყვი, მიყვარს თუ არა. მაგრამ თანდათან ვხვდები: ეს იმიტომ, რომ მე არ ვიცი, რა არის სიყვარული. მე ემა ვარ, მისი სულელური თეორიებით სიყვარულსა და ქორწინებაზე. სიყვარული კი ისეთი რამ არის, რაც სხვადასხვანაირად მოდის, სხვადასხვა სამოსით, სხვადასხვა გზით, სხვადასხვა სახით და შესაძლოა ბევრი დრო დასჭირდეს, რომ გაიგო, მიიღო და თავისი სახელი დაარქვა.

შეიძლება მშრალად და ცივად მომეპყროს. მითხრას, რომ ძალიან ახალგაზრდა ვარ, რომ არასოდეს მიუღია ჩვენი ურთიერთობა სერიოზულად და კიდევ ასეთი სულელური რამეები, მაგრამ მე არ მეშინია. უნდა გავრისკო.

არადა, შეიძლება რომანი აქვს გაჩაღებული ვიღაცასთან.

ვეტყვი, თქვენთან იმიტომ დავბრუნდი, უკვე აღარ ვარ დარწმუნებული, რომ არ მიყვარხართ-მეთქი.

ვეტყვი, რომ კაცმა, რომელიც მეზიზღება, შიშველი მნახა. რომ ასე დავეცი.

და ყველაფრის ნებას მივცემ.

მაგრამ მაინც ვერ ავიტან, მან რომ სხვა ქალთან მიღალატოს. ყველაფერი რომ სექსამდე დაიყვანოს. თუ ასე მოხდება, ჩემში ყველაფერი დაჭკნება, მოკვდება.

ვიცი, რომ ჩამორჩენილად ჩამთვლიან.

მაგრამ რაც ვარ, ის ვარ. ასე ვფიქრობ, ასე ვგრძნობ.

სექსი არ არის მთავარი. მთავარი სიყვარულია.

დღეს გადავწყვიტე კალიბანისთვის მეთხოვა ჯ.პ.-ისთვის წერილი გაეგზავნა. ჩემგან. რა სიგიჟეა. რა თქმა უნდა, უარს მეტყვის. ეჭვიანობას დაიწყებს. მე კი ისე მინდა კიბე ავირბინო, სტუდიის კარი ხელის კვრით

შევაღო და დავინახო, დაზგასთან მდგარი როგორ გამომხედავს მხარს ზემოდან. თითქოს სულაც არ აინტერესებდეს, ვინ შევიდა. დავინახო მისი მსუბუქი, ოდნავ შესამჩნევი ღიმილი და თვალები, რომლებიც წამში ხვდებიან ყველაფერს.

უაზრობაა. ჯერ ნახატის ხატვა არ დამიწყია და იმას ვფიქრობ, რამდენს გადამიხდიან.

ხვალ. ახლავე უნდა დავიწყო მოქმედება.

სინამდვილეში უკვე დავიწყე კიდეც. სამჯერ ფერდინანდი დავუძახე (და არა კალიბანი) და კომპლიმენტი ვუთხარი ახალშეძენილ საშინელ ჰალსტუხთან დაკავშირებით. ვუცინოდი და ვცდილობდი თავი ისე მომეჩვენებინა, თითქოს ყველაფერი მომწონდა მასში. ცხადია, არ გამოუმჟღავნებია, რომ ეს შეამჩნია. ჯერ სადაა.

ვერაფრით ვიძინებ. ავდექი და ჯ.პ.-ის საყვარელი ფირფიტა დავდე. ნაწარმოებები კლავიკორდისთვის. შეიძლება ისიც ამას უსმენს ახლა და ჩემზე ფიქრობს. მას მეხუთე ინვენცია მოსწონს, მე კი მეექვსე. ასე რომ, ბახში გვერდიგვერდ ვართ. ადრე ბახს მოსაწყენად ვთვლიდი. ახლა კი მთლიანად მიპყრობს, ისეთი ადამიანურია, ისე სავსე გრძნობით, სინაზით, ისეთი მელოდიურია, ისეთი უბრალო და ღრმა. კვლავ და კვლავ იმავე ფირფიტას ვუსმენ, ისევე როგორც ადრე კვლავ და კვლავ ვაკეთებდი ჩემი საყვარელი მხატვრების ნახატების ასლებს.

ვფიქრობ, უბრალოდ, კოცნით ხომ არ შემოვიფარგლო-მეთქი. კისერზე ხელი რომ მოვხვიო და ვაკოცო. მეტი არაფერი. მაგრამ რომ მოეწონოს ეს და მერე ასე გაიწელოს და გაიწელოს უსასრულოდ? არა, მისი შოკირებაა საჭირო.

ყველაფერი, რაც მოხდა, ცხოვრებისადმი ჩემს დამოკიდებულებას უკავშირდება. მე ყოველთვის ზუსტად ვიცოდი, სად მივდიოდი, რა მინდოდა, როგორ უნდა ყოფილიყო ყველაფერი. და ყველაფერი ისე ხდებოდა, როგორც მე მინდოდა. ეს ნორმად მიმაჩნდა, რადგან ვიცოდი, რა მინ-

დოდა და რა უნდა მეკეთებინა. მე კი, უბრალოდ, მიმართლებდა. ყველაფერში მიმართლებდა.

ყოველთვის ვცდილობდი ცხოვრება მემართა. ახლა კი დროა, ცხოვრებას მივცე საშუალება მე მმართოს.

30 ნოემბერი

ღმერთო.

რაღაც საშინელება ჩავიდინე.

უნდა ჩავწერო ეს ყველაფერი. დავინახო.

გამაოგნებელია, რომ მე ეს გავაკეთე. რომ მოხდა ის, რაც მოხდა. რომ ის ისეთია, როგორიც არის. რომ მე ისეთი ვარ, როგორიც ვარ. რომ ყველაფერიისე დარჩა, როგორც იყო.

ადრინდელზე უარესადაც კი.

გადავწყვიტე ეს ამ დილით გამეკეთებინა. ვიცოდი, რომ რაღაც ექსტრაორდინარული იყო საჭირო, ისეთი რამ, რაც შოკი იქნებოდა ჩემთვისაც და მისთვისაც.

მოველაპარაკე აბაზანის შესახებ. მთელი დღე თბილად ვექცეოდი.

აბაზანის შემდეგ დიდხანს ვილამაზებდი თავს. ბლომად „მიცუკო“. ბუხრის წინ დავდექი, რომ ჩემი შიშველი ფეხებისთვის ეცქირა. საშინლად ვნერვიულობდი. არ მეგონა, თუ თავის გართმევას შევძლებდი. თანაც შეკრული ხელებით. სამი ჭიქა ხერესი დავლიე ერთმანეთის მიყოლებით.

თვალები დავხუჭე, გავახილე და საქმეს შევუდექი.

ვაიძულე დამჯდარიყო და კალთაში ჩავუჯექი. ისეთი გახევებული იყო, ისეთი შოკირებული, რომ ისევ მე მომიწია გაგრძელება. ხელი რომ

მოეხვია, ჩავებღუჯე, ალბათ შევჩერდებოდი. ხალათი შემეხსნა, თითქოსდა შემთხვევით, ის კი იჯდა და არ ინძრეოდა. თითქოს პირველად შევხვდით ერთმანეთს ახალგაზრდულ საღამოზე და სულელურად ვერთობოდით. ორი უცხო ადამიანი, ერთმანეთი მაინცდამაინც რომ არ მოეწონათ.

საზიზღრად აღვეგზნე. ქალი ჩემში ცდილობდა მისწვდომოდა კაცს მასში. არ შემიძლია ამის ახსნა. მაგრამ შეიძლება ისიც იყო, რომ ვგრძნობდი, არ იცოდა, რა გაეკეთებინა. აშკარად ეტყობოდა, რომ ქალთან არასოდეს ყოფილა. „ერთხელ კორკელმა დედაბერმა ჩაჰკიდა ხელი და სასეირნოდ გაიტყუა ჭაბუკი მღვდელი“. ხერესმაც, ეტყობა, ძლიერად იმოქმედა.

მომიწია მეიძულებინა, რომ ჩემთვის ეკოცნა. როგორღაც, სუსტად, შეეცადა თავი ისე მოეჩვენებინა, თითქოს ეშინოდა საკუთარ თავზე კონტროლი არ დაეკარგა. ასეც რომ იყოს, მერე რა მოხდა-მეთქი, ვუთხარი და ვაკოცე. მერე კიდევ ერთხელ ვაკოცე. ამჯერად კოცნით მიპასუხა, მაგრამ ისე, თითქოს უნდოდა ყბა მოემტვრია თავისი საშინელი, თხელი ტუჩებით, აქამდე რომ არავისთვის უკოცნიათ. უსიამო შეგრძნება არ გამჩენია. ნაზი კანი აქვს და სისუფთავის სუნი ასდის. თვალები დავხუჭე.

მაგრამ უცებ ადგა, ფანჯარასთან მივიდა და გაჩერდა, უკან აღარ მობრუნდა. გაქცევა უნდოდა, მაგრამ ვერ შეძლო, საწერი მაგიდისკენ წავიდა და ზურგშექცევით დადგა. მე ნახევრადშიშველმა ბუხრის წინ ჩავიმუხლე და თმა ჩამოვუშვი. თუ ცდუნებაა, ცდუნება იყოს. ბოლოს იძულებული გავხდი ავმდგარიყავი, მასთან მივსულიყავი და ბუხართან დამებრუნებინა. ვთხოვე, ხელები შეეხსნა ჩემთვის. თითქოს ტრანსში იყო. გავხადე და მეც გავიხადე.

ვუთხარი, რომ არ ენერვიულა, რომ მე თვითონ მინდოდა ამის გაკეთება. ვთხოვე, ბუნებრივად, თავისუფლად მოქცეულიყო. მაგრამ არაფერმა უშველა, არაფერმა. ყველაფერი გავაკეთე, რაც კი შემეძლო.

არაფერი არ მოხდა. არ გალღვა. მართალია, ერთხელ მაგრად მომეხვია, მაგრამ ესეც არაბუნებრივად გააკეთა. ეტყობოდა, ეს მხოლოდ სასოწარკვეთილი მცდელობა იყო იმისა, რაც მიაჩნდა, რომ ასეთ შემთხვევაში უნდა გაეკეთებინა. საცოდავი, არადამაჯერებელი მცდელობა.

მას არ შეუძლია ამის გაკეთება.

ის კაცი არ არის.

მაშინ ავდექი (დივანზე ვიწექი), მის გვერდით მუხლებზე დავდექი და ვუთხარი, არ ენერვიულა. დედასავით ალერსიანად ველაპარაკებოდი. მერე ჩავიცვით.

თანდათან ყველაფერი გაირკვა. მთელი სიმართლე მის შესახებ. და მოგვიანებით ისიც, თუ რა არის მისი არსი, როგორია სინამდვილეში.

ვიღაც ფსიქიატრს უთქვამს მისთვის, რომ ქალთან ურთიერთობას ვერასოდეს შეძლებდა. მითხრა, რომ ხშირად წარმოიდგენდა ხოლმე, როგორ ვიწექით ერთად. მხოლოდ ვიწექით და მეტი არაფერი. მოდი, ასეც გავაკეთოთ-მეთქი, ვუთხარი, მაგრამ არ მოინდომა. სადღაც, მისი სულის მთლად სიღრმეში, სისასტიკესა და გაბოროტებასთან უმანკოება თანაარსებობს. ის წარმართავს მის საქციელს. მან ის უნდა დაიცვას, მოუფრთხილდეს.

ისიც კი მითხრა, რომ ვუყვარვარ. ვუპასუხე, რომ მას მე კი არ ვუყვარვარ, თავისი სიყვარული უყვარს. რომ ეს სიყვარული კი არა, ეგოიზმია. რომ ის ჩემზე კი არ ფიქრობს, არამედ იმაზე, თვითონ რას გრძნობს ჩემ მიმართ.

- მე არ ვიცი, ეს რა არის, - თქვა მან.

შემდეგ შეცდომა დავუშვი. ვგრძნობდი, რომ ჩემ მიერ გაღებული მსხვერპლი ამაო აღმოჩნდა და მინდოდა დაეფასებინა მაინც, რაც მისი გულისთვის გავაკეთე და აქედან გავეშვი. შევეცადე ეს მეთქვა მისთვის. და მან თავისი ნამდვილი არსი გამოავლინა.

საშინლად გაბრაზდა, პირდაპირ გამხეცდა. აღარ მპასუხობდა.

ჩვენ უფრო მეტად დავშორდით ერთმანეთს, ვიდრე ოდესმე. ვუთხარი, რომ მეცოდებოდა და ამან მთლად გააცოფა. საშინელება იყო. ტირილი დავიწყე.

საშინელი სიცივე. არაადამიანურობა.

ისევ მის ტყვეობაში. უიმედოდ. უსასრულოდ.

შეუძლებელია ამის გაგება. რას წარმოადგენს? რა უნდა? რატომ ვარ აქ, თუ ჩემი სხეულიც კი არ აინტერესებს?

თითქოს სიბნელეში ცეცხლი დავანთე, რომ ორივენი გავეთბეთ. და ამ ცეცხლის სინათლემ მხოლოდ მისი ჭეშმარიტი სახე დამანახვა.

ბოლოს რაც ვუთხარი ის იყო, რომ აღარ შეგვეძლო უცხოები ვყოფილიყავით, ჩვენ ხომ შიშვლები ვიყავით ერთმანეთის თვალწინ.

მაგრამ უცხოები ვართ.

ახლა ცოტა უკეთესად ვგრძნობ თავს. მოხარული ვარ, რომ უარესი რამ არ მოხდა. სიგიჟე იყო ასეთ რისკზე წასვლა.

კიდევ მადლობელი უნდა ვიყო, რომ გადავრჩი.

1 დეკემბერი

ქვემოთ იყო ჩამოსული და გარე სარდაფში გამიშვა. გაბრაზებულია ჩემზე. ასე გაბრაზებული ადრე არასოდეს ყოფილა. უბრალოდ კი არ იბუტება ადრინდელივით. ეს ღრმად ფესვგადგმული ბრაზი და ღვარძლია.

ეს მაცოფებს. ვერავინ ვერასდროს გაიგებს ბოლომდე, რად მიღირდა გუშინდელი დღე. როგორი ძალისხმევა დამჭირდა იმისთვის, რომ ამაზე წავსულიყავი, გამერისკა და საკუთარი თავი შემეძლია, ვცდილიყავი გამეგო მისთვის, ყველა ბუნებრივი გრძნობა და ინსტინქტი დამეძლია.

თვითონ არის დამნაშავე. ეს უცნაურობა ყველა კაცს სჭირს. ახლა მე

მისთვის მიმზიდველი აღარ ვარ. ისინი იბუტებიან, თუ უარს ეუბნები და ვერ გიტანენ, თუ თანხმდები. ყველა აზრიან კაცს უნდა ეზიზღებოდეს საკუთარი თავი ამის გამო. ამ არალოგიკურობის გამო.

გაბოროტებული მამაკაცები და თავმოყვარეობაშელახული ქალები.

ახლა ვიცი მისი საიდუმლო. ეს აცოფებს.

გამუდმებით ვფიქრობ ამაზე.

მან ხომ თავიდანვე იცოდა, რისი შემძლეც იყო. და მაინც სულ სიყვარულზე მელაპარაკებოდა. რას ნიშნავს ეს?

მე ვფიქრობ, საქმე ისაა, რომ რადგან მას არ შეუძლია ჩემთან სექსით სიამოვნება მიიღოს როგორც ნორმალურმა მამაკაცმა, ამიტომ სიამოვნებას სხვა გზით იღებს: დაპატიმრებული ვყავარ. მოსწონს იმაზე ფიქრი, როგორ შეშურდებოდათ მისი სხვა მამაკაცებს, ეს რომ იცოდნენ. ის ხომ მე მფლობს - თავისებურად.

ამიტომ სასაცილოა ყველა ჩემი ცდა, რომ კეთილად მოვეპყრო. განზრახული მაქვს ისე მოვექცე, რომ ვერავითარი სიამოვნება ვერ მიიღოს ჩემი აქ გაჩერებით. ისევ შიმშილობა უნდა დავიწყო. არაფერი საერთო არ უნდა მქონდეს მასთან. არ დაველაპარაკები.

უცნაური აზრები მომდის თავში. პირველად ჩემს ცხოვრებაში რაღაც ორიგინალური გავაკეთე და ისიც კ-სთვის. რაღაც ისეთი, რასაც ჩემ გარდა არავინ გააკეთებდა. მთელი ჩემი ძალები მოვიკრიბე, როცა ერთმანეთის წინ შიშვლები ვიყავით. მივხვდი, რას ნიშნავს „მთელი ძალების მოკრება“.

ჩემი ლედიმონტელი „მე“ აღარ არსებობს. ის ჩაკვდა ჩემში.

მახსოვს, პირსის მანქანა მიმყავდა. სადღაც კარკასონთან ახლოს. ყველას უნდოდა, რომ გამეჩერებინა, მე კი ასით მივქროდი. ვაჭერდი და ვაჭერდი პედალს. შიშისგან ყველას ფერი ჰქონდა დაკარგული. მეც მათ შორის.

მაგრამ მაინც დავამტკიცე, რომ შემეძლო.

(ნაშუადღევს) ისევ „ქარიშხალს“ ვკითხულობ. მთელი დღე. სრულიად განსხვავებულ შთაბეჭდილებას ახდენს. იმის შემდეგ, რაც მოხდა. თანაგრძნობა, რომელსაც შექსპირი იჩენს თავისი კალიბანისადმი. და რასაც მე ვგრძნობ (სადღაც, სიღრმეში, სიძულვილისა და ზიზღის მიღმა) ჩემი კალიბანის მიმართ.

ნახევრად ურჩხულები.

„ადამიანის არ ებოძა ფორმა და სახე“.

„ვინც არადეს ტკბილი სიტყვით არ გვიპასუხებს“.

„ო, ცრუ მონავ, კეთილ მოპყრობას

შენ ცემა-ტყეპა გირჩევნია“.

პროსპერო:

„ჩემთანვე ქოხში გეძინა ღამით,

ვიდრე ბოლოს არ განიზრახე ჩემი ასულის გაბახება“.

კალიბანი:

„ოჰო ჰო, ჰო, ჰო!

ნეტავი მართლა ასე მექნა, შენ შემიშალე,

თორემ ამ კუნძულს კალიბნებით დავასახლებდი“.

პროსპეროს სიძულვილი მისდამი. რწმენა, რომ სიკეთე კალიბანის მიმართ უსარგებლოა.

სტეფანო და ტრინკულო - ტოტალიზატორი. მათი ღვინო - მოგება.

მოქმედება 3. სცენა 2. „მაგრამ უეცრად ვიღვიძებ და კვლავ სიზმარს ვნატრობ“. საცოდავი კალიბანი. საცოდავი მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ მოიგო.

„ამიერიდან დავბრძენდები, დავჭკვიანდები“.

„საუცხოო ახალი სამყარო“.

საშინელი ახალი სამყარო.

ეს-ეს არის წავიდა. ვუთხარი, რომ ვიშიმშილებდი, სანამ ზემოთ არ გადამიყვანდა. მე სინათლე და სუფთა ჰაერი მჭირდება - ყოველდღე. შე-

ეცადა პასუხისთვის თავი აერიდებინა. საზიზღრად იქცეოდა. სარკასტულად მელაპარაკებოდა. ისიც კი მითხრა, რომ მე „მავიწყდება, ვინ არის აქ უფროსი“.

ძალიან შეიცვალა. მაშინებს მისი ეს ცვლილება.

ხვალ დილამდე მივეცი დრო გადაწყვეტილების მისაღებად.

2 დეკემბერი

ზემოთ გადავდივარ. მითხრა, რომ ერთ-ერთ ოთახს გადააკეთებს ჩემთვის. დაახლოებით ერთი კვირა დასჭირდებაო. დავეთანხმე, მაგრამ თუ ეს კიდევ ერთი გადავადებაა...

ვნახოთ.

წუხელ ვიწექი და ჯ.პ.-ზე ვფიქრობდი. ლოგინში წარმოვიდგინე თავი მასთან ერთად. მინდოდა მასთან. ისე მჭირდება ის - საუცხოო, ფანტასტიკური, ადამიანური, ჩვეულებრივი.

მისი უწესობა და თავშეუკავებლობა შემოქმედებითია. სიცოცხლით მფეთქავი. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მტკენს გულს. ის ქმნის სიყვარულს, სიცოცხლესა და მღელვარებას. სიცოცხლით არის სავსე და ისინი, ვისაც ის უყვარდა, ვერ ივიწყებენ.

ხანდახან მეც გამჩენია ასეთი ცხოვრების სურვილი. თავისუფალ სიყვარულს ვგულისხმობ. ზოგჯერ წარმოვიდგენდი კიდეც, როგორ ვნებდები მამაკაცს, თუნდაც სრულიად უცხოს. ვთქვათ, ახალგაზრდა ბიჭს რომ დავინახავდი მეტროში, ან მოწიფულ კაცს. ვუყურებდი მის ტუჩებს, ხელებს... მკაცრ გამომეტყველებას ვიღებდი და წარმოვიდგენდი ლოგინში...

აი ტუანეტა რომ ავიღოთ. უარს არავის ეუბნება. ადრე ვფიქრობდი, რომ ეს საზიზღრობაა, სისაძაგლეა. მაგრამ სიყვარული ხომ მშვენიერია. ნებისმიერი სიყვარული. თუნდაც მხოლოდ დროებითი გატაცება იყოს.

ერთადერთი ნამდვილი სიმახინჯე - ეს გაყინული, უსიცოცხლო, აბსოლუტურად უსიყვარულო ურთიერთობაა კალიბანსა და ჩემ შორის.

ამ დილით წარმოვიდგინე, რომ გაქცევა მოვახერხე და კალიბანი სასამართლოს წინაშე წარდგა. მე მას ვიცავდი, ვამბობდი, რომ ეს მისი ტრაგედიაა. რომ მას სჭირდებოდა თანაგრძნობა, ფსიქიატრიული მკურნალობა. მიტევება.

არა, ეს ჩემი მხრივ კეთილშობილების გამოვლენა არ იყო. ის იმდენად აუტანელია ჩემთვის, რომ მისი სიძულვილიც კი არ შემიძლია.

უცნაურია. მე ალბათ მას დავიცავდი.

მეცოდინებოდა, რომ აღარასოდეს შევხვდებოდი.

მის განკურნებას ვერასდროს შევძლებ. მისი ავადმყოფობა მე ვარ.

3 დეკემბერი

ჯ.პ.-სთან რომანი მექნება.

ცოლად გავყვები, თუკი მოინდომებს.

წავალ ამ ავანტიურაზე. გავრისკავ და ცოლად გავყვები.

მომწყინდა ჩემი ახალგაზრდობა, გამოუცდელობა.

თითქოს ამდენი რამ ვიცი, მაგრამ თავად ცხოვრება არ ვიცი.

მინდა მისგან ბავშვები მეყოლოს.

ჩემი სხეული - ჩემთვის ახლა ის ბევრს არაფერს ნიშნავს. თუ ჯ.პ.-ს ის სჭირდება, დაე, ასე იყოს. მე მაინც ვერ გავხდები ტუანეტა. კაცების შემგროვებელი.

ადრე ვფიქრობდი, რომ ბევრ მამაკაცზე ჭკვიანი ვარ. ჩემს ნაცნობ ყველა გოგოზე უფრო ჭკვიანი ხომ ვარ და ვარ. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ მათზე მეტი ვიცი, მათზე უფრო ღრმად ვგრძნობ, მათზე მეტი მესმის.

მაგრამ მე ისიც კი არ ვიცი, კალიბანს რა მოვუხერხო.

ლედიმონტიდან გამოყოლილი ცოდნის ნამსხვრევები. იმ დღეებიდან შემორჩენილი, როცა პატარა, საყვარელი გოგონა ვიყავი საშუალო შეძლების ბურჟუაზიული ოჯახიდან. ექიმის ქალიშვილი. ამ ყველაფერს ახლა არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. როცა ლედიმონტში ვსწავლობდი, ვფიქრობდი, რომ ფანქარს საკმაოდ კარგად ვფლობდი. ლონდონში წასვლის შემდეგ კი თანდათან მივხვდი, რომ ეს ასე არ იყო. გარშემორტყმული ვიყავი ხალხით, რომლებიც ოდნავაც არ ჩამომრჩებოდნენ, ზოგი მათგანი კი ბევრად მჯობდა. მე იმის გაგებაც კი არ დამიწყია, ჩემს ცხოვრებას რა მოვუხერხო, სხვისაზე რომ არაფერი ვთქვა.

მეურვეობა სწორედ მე მჭირდება.

ეს იმ დღეს ჰგავს, როცა უცებ აცნობიერებ, რომ თოჯინები მხოლოდ თოჯინებია და მეტი არაფერი. ვაკვირდები საკუთარ თავს, ადრინდელს, და გაოგნებული ვარ. სათამაშო, რომლითაც მეტისმეტად დიდხანს ვთამაშობდი, რომელსაც მეტისმეტად შევეჩვიე. სევდისმომგვრელი, როგორც ძველი ნაჭრის თოჯინა კარადის ძირზე.

გულუბრყვილო, უსარგებლო, ამაყი და სულელი.

ჯ.პ.

მე ვიქნები გულნატკენი, დაბნეული, ნაგვემი. თავმოყვარეობაშელახული, მაგრამ ამ შავი ხვრელის შემდეგ ეს კაშკაშა, თვალისმომჭრელ სინათლის ნაკადში ცხოვრება იქნება. ყველაფერი ძალიან მარტივადაა. ის ცხოვრების საიდუმლოებას ფლობს. თითქოს ანკარა წყარო იყოს.

ეს იმას ჰგავს, თითქოს აქამდე მხოლოდ ბინდბუნდში ვხედავდი, ახლა კი უცებ განთიადის მზის სხივებში დავინახე. ის იგივეა, მაგრამ ყველაფერი დანარჩენი შეიცვალა.

დღეს სარკეში ჩავიხედე და ჩემმა თვალებმა გამაკვირვა. დაბერებული მეჩვენა, და იმავდროულად გაახალგაზრდავებულიც. შეუძლებელია ამისსიტყვებით გამოხატვა, მაგრამ ასეა. მე უფრო მოხუციც გავხდი და უფრო ახალგაზრდაც. მოხუცი იმიტომ, რომ ვისწავლე, ჩემით,

უშუალოდ. ახალგაზრდა იმიტომ, რომ ჩემი „მე“ მნიშვნელოვანწილად იმისგან შედგებოდა, რაც უფროსებისგან ვისწავლე. „მე“-ს აკიდებული დრომოჭმული წარმოდგენების მძიმე ტვირთი. თითქოს ტალახი აგკვროდეს ახალ ფეხსაცმელზე.

ქალების ძალაუფლება! ადრე არასდროს მიგრძნია ჩემში ასეთი სისრულით იდუმალი, აუხსნელი ძალა. მაინც რა სულელები არიან მამაკაცები.

ჩვენ ისეთი სუსტები ვართ ფიზიკურად, ისეთი უმწეოები. ახლაც კი, ჩვენს დროში. მაგრამ მაინც მათზე ძლიერები ვართ. შეგვიძლია მათი სისასტიკე ავიტანოთ, მათ კი ჩვენი სისასტიკის ატანა არ შეუძლიათ.

ისევ იმაზე ვფიქრობ. ჯ.პ.-ს ვუბოძებ თავს. შეეძლება, რომ დამეუფლოს. მაგრამ როგორც არ უნდა მომექცეს, მე მაინც დავრჩები ის, ვინც ვარ. ჩემს სიღრმისეულ ქალურ არსს ის ვერ შეეხება.

რაზეც ახლა ვწერ, ველურობაა. მაგრამ მე მისწრაფებებით ვარ სავსე. რაღაც ახალი დამოუკიდებლობის შეგრძნებით.

„ახლაზე“, დღევანდელ დღეზე არ ვფიქრობ. ვიცი, რომ მოვახერხებ თავის დაღწევას. მე ამას ვგრძნობ. არ შემიძლია ამის ახსნა, მაგრამ კალიბანი ვერასდროს იზეიმებს გამარჯვებას ჩემზე.

ვფიქრობ ჩემს მომავალ ნახატებზე. გუშინ ღამით წარმოვიდგინე, როგორ დავხატავ კარაქივით ყვითელ (სოფლის კარაქივით!) მინდორს, თეთრ, კაშკაშა ცას რომ ერწყმის სადღაც შორს და მზე ეს-ეს არის ამოდის. უცნაური მოწითალო ვარდისფერი. ეს ძალიან მკაფიოდ წარმოვიდგინე. მდუმარება ყველაფრის დაწყების წინ. ტოროლას სიმღერა ტოროლების გარეშე.

ორი უცნაური, ერთმანეთის საპირისპირო შინაარსის სიზმარი.

პირველი ძალიან უბრალოა. სადღაც მინდორში ვსეირნობდი. ვიღაც იყო ჩემთან ერთად, არ ვიცი, ვინ, მაგრამ ჩემთვის ძალიან ძვირფასი ადამიანი, მამაკაცი. შეიძლება ჯ. პ. მზე ჯეჯილს დაჰნათოდა. და უცებ ძალიან დაბლა მფრენი მერცხლები დავინახეთ. ვხედავდი მზეზე მუქი

ლურჯი აბრეშუმივით მოელვარე მათ ზურგებს. ძალიან დაბლა დაფრენ-დნენ, ჩვენ გარშემო დაფრთხიალებდნენ და ჟივჟივებდნენ. ყველას ერთი და იგივე გეზი ეჭირა, იმავე მიმართულებით მიფრინავდნენ, საითკენაც ჩვენ მივდიოდით, ჩვენსავით ბედნიერები და მხიარულები. ისეთი ბედ-ნიერების გრძნობა დამეუფლა, ვთქვი, ნახე, რა საოცრებაა, ერთი შეხედე ამ მერცხლებს-მეთქი. ყველაფერი ძალიან უბრალო იყო. მოულოდნე-ლად გამოჩენილი მერცხლები, მზე და ჯეჯილი. ბედნიერებით ვიყავი სავსე, გაზაფხულის შეგძნებით, შემდეგ გამომეღვიძა.

მოგვიანებით მეორე სიზმარი ვნახე. უზარმაზარი სახლის (ლედიმონ-ტში?) მეორე სართულზე ვდგავარ ფანჯარასთან, ჩემ ქვემოთ კი შავი ცხენია. ბრაზიანია, მაგრამ არ მეშინია. მე ხომ ზემოთ ვარ, ფანჯრის მიღმა. მაგრამ უცებ შემობრუნდა და სახლისკენ ჭენებით დაიძრა. უცებ, უზარმაზარი ნახტომით, კბილებდაკრეჭილი პირდაპირ ჩემკენ წამოვი-და. ფანჯრის მინა ზრიალით დაიმსხვრა. იმ საშინელ წამსაც კი ვფიქ-რობდი, რომ ცხენი მოკვდებოდა, მე კი არავითარი საფრთხე არ მემუქ-რებოდა. მაგრამ უცებ ზურგზე დავარდა და ჰაერში ტლინკების ყრა და-იწყო, თან სულ უფრო და უფრო ახლოს მოიწევდა, ოთახი კი პატარა იყო და უცებ მივხვდი, რომ ჩემზე თავდასხმას აპირებდა, გასაქცევი კი არსად მქონდა და ამ დროს გამომეღვიძა. სინათლის ანთება მომიწია.

ძალადობა. რაც ყველაზე მეტად მეზიზღება. რისიც ყველაზე მეტად მეშინია.

4 დეკემბერი

როგორც კი აქედან გავაღწევ, დღიურების წერას შევწყვეტ. ეს არ არის ჯანსაღი. თუმცა აქ, მიწისქვეშეთში, მეხმარება, რომ საღი აზრი

შევინარჩუნო, ფიქრები გავუზიარო. მაგრამ თან პატივმოყვარეობას აღ-ვივებს შენში. შენ ხომ იმას იწერ, რისი მოსმენაც გსურს საკუთარი თავის შესახებ.

რა უცნაურია. ხატვის დროს, ვთქვათ, როცა ავტოპორტრეტს ხატავ, არ გიჩნდება სურვილი საკუთარ თავს ასიამოვნო. არ გიჩნდება სურვილი ითაღლითო.

ეს არ არის ჯანსაღი. ავადმყოფურია საკუთარ თავში ასე ჩიჩქნა. პა-თოლოგიაა.

ისე ძალიან მინდა სულ ახალ-ახალი რამეები ვხატო: მინდვრები, სამ-ხრეთული სახლები, პეიზაჟები, უზარმაზარი ღია სივრცეები, შუქით უხ-ვად მოფენილი.

სწორედ ამით ვიყავი დღეს დაკავებული. შუქის ცვალებადობა: მო-გონებები ესპანეთზე. ჟანგმიწა კედლები, მზის შუქით სითეთრემდე გა-მომწვარი. ავილას კედლები. კორდობას ეზოები. მე ადგილის ასახვას არ ვცდილობ, სინათლის გადმოცემა მინდა ამ ადგილზე.

Fiat lux !

ისევ და ისევ ვუსმენდი „Modern Jazz Quartet“-ის ფირფიტას. მათ მუსიკაში საერთოდ არ არის ღამე. სინათლის აფეთქება, ნაპერწკლები და ციალი, ვარსკვლავური ბრწყინვა და ხანდახან შუადღის სინათლე, ვეებერთელა ყოვლისმომცველი სინათლე, ზეცაში მოლივლივე ალმასის კანდელაბრები.

5 დეკემბერი

ჯ.პ.

ინტელექტი წაკუზეს.

ფულიანმა ბრბომ, „ახლებმა“.

ის, რასაც ჯ.პ. ამბობს, შოკს იწვევს, მაგრამ გამახსოვრდება. სამუდა-მოდ რჩება გონებაში. ძლიერი, შთამბეჭდავი სიტყვები, მთელი ცხოვრება

რომ გაგყვება.

მთელი დღე ცას ვხატავდი. უბრალოდ, ხაზს ვავლებდი რამდენიმე სანტიმეტრში ქვედა კიდიდან. ეს მიწაა. ამის შემდეგ არაფერზე ვფიქრობ, გარდა ცისა. ივნისის ცა, დეკემბერი, აგვისტო, გაზაფხულის წვიმა, მეხი, განთიადი, ბინდი. უკვე ათობით ცა დავხატე, სუფთა ცა, მეტი არაფერი. მხოლოდ ხაზი და ცა ზემოთ.

უცნაური აზრი: არ ვისურვებდი, რომ ეს არ მომხდარიყო. იმიტომ რომ, თუ აქედან გავაღწევ, სრულიად განსხვავებული ადამიანი ვიქნები, იმედი მაქვს - უკეთესი ადამიანი. იმიტომ რომ, თუ აქედან ვერ გავალ, თუ რაღაც საშინელება მოხდება, მაინც მეცოდინება, რომ ახლა სულ სხვა ადამიანი მინდა ვიყო, არა ისეთი, როგორიც ვიყავი და როგორიც დავრჩებოდი, ეს რომ არ მომხდარიყო.

ეს თეფშების მიზანში ამოღებას და სროლას ჰგავს. ამ დროს იმაზე ხომ არ ფიქრობ, თეფში არ გატყდეს, არ დაზიანდესო.

კალიბანი გაყურსულია. რაღაც ზავის მსგავსი ჩამოვარდა.

ხვალ მინდა ვთხოვო ზემოთ ამიყვანოს. მაინტერესებს, მართლა ამზადებს თუ არა ოთახს ჩემთვის.

დღეს ვთხოვე, შემკარით, პირი ამიკარით და ღია კართან დამსვითმეთქი. ზემოთ კი არა, სარდაფის კიბის ყველაზე ქვედა საფეხურზე. ბოლოს და ბოლოს დამთანხმდა. ასე რომ, შემეძლო ზემოთ ახედვა და ცის დანახვა. გაცრეცილი რუხი ცა. ჩიტები დაფრინავდნენ. მგონი, მტრედები. ხმები მესმოდა. პირველად ორი თვის განმავლობაში ნამდვილი დღის სინათლე. ცოცხალი სინათლე. ტირილი დავიწყე.

6 დეკემბერი

ზემოთ ვიყავი აბაზანის მისაღებად და ის ოთახი დავათვალიერე, რომელშიც უნდა გადავიდე. რაღაცები უკვე გაკეთებული აქვს. ძველებური, ვინძორული სავარძლის ყიდვას აპირებს ჩემთვის. დავუხატე, როგორი მინდა.

ლამის ბედნიერად ვიგრძენი თავი.

ვერ ვისვენებ. წერაც არ შემიძლია. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ სანახევროდ უკვე თავი დავაღწიე აქაურობას.

ეს საუბარი მაფიქრებინებს, რომ კ. ახლა უფრო ნორმალურია, ვიდრე ადრე.

მ. - (ჩემს მომავალ ოთახში ვიყავით) რატომ არ შეიძლება აქ, უბრალოდ, თქვენი სტუმარივით ვიცხოვრო. პატიოსანი სიტყვა რომ მოგცეთ.

კ. - ორმოცდაათი პატიოსანი, მართლა პატივსაცემი ადამიანიც რომ მოვიდეს ჩემთან და რაც კი საფიცარი გააჩნიათ, დაიფიცონ, მაინც ვერ ვენდობოდი მათ. არავის არ ვენდობოდი მთელ მსოფლიოში.

მ. - როგორ გინდათ იცხოვროთ, თუ არავის ენდობით.

კ. - თქვენ არ იცით, რას ნიშნავს მარტო ცხოვრება.

მ. - თქვენი აზრით, ეს ორი თვე მარტო არ ვცხოვრობ?

კ. - ნაძლევს დავდებ, რომ თქვენზე ბევრი ხალხი ფიქრობს. ბევრს ენატრებით. ჩემზე კი... საერთოდ არავის აინტერესებს, ცოცხალი ვარ თუ უკვე დიდი ხანია მოვკვდი.

მ. - მამიდათქვენსაც არა?

კ. - ის...

(სიჩუმე ჩამოვარდა).

კ. - (უცებ თქვა, შეიძლება არც უნდოდა თქმა) თქვენ არც კი იცით, ვინ ხართ ჩემთვის. თქვენ ყველაფერი ხართ. მე აღარაფერი დამრჩება, თუ თქვენ წახვალთ (ხანგრძლივი დუმილი).

7 დეკემბერი

სავარძელი იყიდა და აქ, ქვემოთ ჩამომიტანა. არ მინდა, რომ აქ იდგეს. არ მინდა, რომ იქ, ზემოთ, აქედან რამე ავიტანო. მინდა ყველაფერი სხვანაირად იყოს.

ხვალიდან სამუდამოდ გადავალ აქედან. ზემოთ გადავინაცვლებ. გუშინ ვთხოვე და დამთანხმდა. მთელი კვირა ცდა აღარ მომიწევს.

ლუისში წავიდა, რომ კიდევ რაღაცები იყიდოს ოთახისთვის. ამ საღამოს უნდა აღვნიშნოთ. სადღესასწაულო სუფრა გვექნება.

ბოლო ორი დღეა, ბევრად უფრო თბილად მეპყრობა.

ვეცდები თავგზა არ ამებნეს და პირველი შესაძლებლობისთანავე გაქცევას არ შევეცადო. ის მუდამ ჩემს თვალთვალში იქნება. დარწმუნებული ვარ. აბა, სხვას რას იზამს. ფანჯარა ფიცრებით იქნება აჭედილი და კარს ჩაკეტავს. მაგრამ რაღაც საშუალება მოიძებნება, რომ დღის სინათლევიხილო. არ შეიძლება ადრე თუ გვიან გაქცევისთვის ხელსაყრელი შემთხვევა არ მომეცეს (თუ ის თავისი ნებით არ გამიშვებს).

მაგრამ ისიც უნდა ვიცოდე, რომ ეს ერთადერთი შანსი იქნება. თუ დამიჭირა, ისევ უკან, მიწისქვეშეთში დამაბრუნებს.

ამიტომ ეს უკანასკნელი შანსი აუცილებლად უნდა გამოვიყენო.

ვიმოქმედო მხოლოდ მაშინ, როცა დარწმუნებული ვიქნები.

საკუთარ თავს ვარწმუნებ, რომ უარესისთვისაც მზად უნდა ვიყო.

რაღაც ისეთს ვგრძნობ მასში, რაც მაფიქრებინებს, რომ ამჯერად თავის სიტყვას შეასრულებს.

სურდო გადამედო მისგან. ეგ არაფერი.

ღმერთო, ღმერთო. ნუთუ თავის მოკვლის მეტი არაფერი დამრჩენია.

ისეთ დღეში მაგდებს, რომ სასოწარკვეთისგან მოვკვდები.

ისევ სარდაფში ვარ. არც არასდროს უფიქრია ჩემი ზემოთ გადაყვანა.

უნდა, რომ სურათები გადამიღოს. ეს არის მისი საიდუმლო. უნ-

და,რომ გამაშიშვლოს და... ოჰ, ღმერთო, აქამდე არც კი ვიცოდი, სიძულ-ვილი რა იყო.

ენით აუწერელი რამეები მითხრა. რომ მე ქუჩის ქალი ვარ, თავი შე-ვაძლიე, მის დაყოლიებას ვცდილობდი...

სიბრაზისაგან ჭკუიდან კინაღამ გადავედი. ტუშის ბოთლი ვესროლე.

მითხრა, რომ თუ ამას არ გავაკეთებდი, აბაზანაში აღარ ამიყვანდა, გარე სარდაფში გასვლის ნებასაც არ მომცემდა და საერთოდ აქედან ვერ გავიდოდი.

სიძულვილი ჩვენ შორის. ბოლოს მაინც გადმოხეთქა.

მისი საზიზღარი სურდო გადმომედო. აზრების მოკრება მიჭირს.

თავის მოკვლა არ შემიძლია. მეტისმეტად გაბრაზებული ვარ მასზე.

ყოველთვის შეურაცხყოფას მაყენებდა. სულ თავიდან მოყოლებული. ის მოგონილი ამბავი ძაღლთან დაკავშირებით. თამაშობს ჩემი გრძნობე-ბით, გულით, შემდეგ ფეხქვეშ თელავს მათ.

ვძულვარ. ცდილობს დამამციროს, გამტეხოს, გამანადგუროს. უნდა საკუთარი თავი ისე შემაძულოს, რომ თვითგანადგურების სურვილი გა-მიჩნდეს.

მისი ბოლო სულმდაბლობა. ვახშამი არ ჩამომიტანა. ყველა სიკეთეს-თან ერთად შიმშილობაც მომიწევს. შეიძლება ჩემს შიმშილით მოკვლას აპირებს. არც ამაზე დაიხევს უკან.

თავს მოვერიე. ის ვერ მაჯობებს. არ დავნებდები. ვერ გამტეხს.

სიცხე მაქვს. უკვე მართლა ავად ვარ.

ყველაფერი ჩემ წინააღმდეგაა, მაგრამ მაინც არ დავნებდები.

ლოგინში ვწევარ, გვერდით ჯ.პ.-ის ნახატია. ცალი ხელით ჩარჩოს ვე-ჭიდები. თითქოს ჯვარცმა იყოს.

მე გადავრჩები. გავაღწევ აქედან. ფარ-ხმალს არ დავყრი.

ფარ-ხმალს არ დავყრი.

მეზიზღება ღმერთი. მეზიზღება ძალა, რომელმაც ეს სამყარო შექმნა.

ადამიანების მოდგმა შექმნა, კალიბანისნაირი ადამიანების არსებობა გახადა შესაძლებელი. ასეთი სიტუაციები დაუშვა.

თუკი ღმერთი საერთოდ არსებობს, ის უზარმაზარი საზიზღარი ობობა იქნება, სიბნელეში აბლაბუდის მქსოველი.

ის შეუძლებელია კეთილი იყოს.

როგორი ტკივილი, რა საშინელი ხილვა ცოცხლობს ჩემში ახლა. ეს არ იყო აუცილებელი. უწყვეტი, ყოვლისმომცველი ტკივილი. მას ვერაფრით გამოისყიდი. ის არაფერს შობს.

ყველაფერი ამაოა. ფუჭი.

რაც უფრო ბერდება სამყარო, ეს უფრო ცხადი ხდება. ატომური ბომბი, ადამიანების წამება ალჟირში, შიმშილისგან დახოცილი ბავშვები კონგოში.

უფრო და უფრო მეტი ტანჯვა, უფრო და უფრო მეტი ტანჯული, უფრო და უფრო ამაოდ.

თითქოს მოკლე ჩართვა მოხდა. სინათლე ჩაქრა. და მე აქ ვარ, შავბნელ ჭეშმარიტებაში.

ღმერთი იმპოტენტია. მას ჩვენი სიყვარული არ შეუძლია. მას ვძულვართ, იმიტომ რომ არ შეუძლია ვუყვარდეთ.

მთელი ეს სულმდაბლობა, ეგოიზმი და სიცრუე.

ადამიანებს არ სურთ ამის აღიარება. ისინი მეტისმეტად არიან დაკავებული მომხვეჭელობით, რომ შეამჩნიონ სინათლის გაქრობა. ისინი ვერ ამჩნევენ წყვდიადს და ობობას სახეს აბლაბუდას დიდი ქსელის მიღმა. ვერ გრძნობენ, რომ ყოველთვის და ყველგან ქსელი დაგხვდება, სადაც კი ბედნიერებისა და სიკეთის თხელ შრეს გადაფხეკ.

წყვდიადი, წყვდიადი, წყვდიადი.

მე არამცთუ მსგავსი არაფერი განმიცდია, უბრალოდ, ვერც კი წარმომედგინა, რომ ასეთი რამ შესაძლებელია. სიძულვილზე უფრო მეტი, სასოწარკვეთილებაზე უფრო ღრმა. შეუძლებელია გძულდეს ის, რასაც ვერ ეხები. მე უკვე აღარც კი შემიძლია ვიგრძნო ის, რასაც ადამიანები

სასოწარკვეთილებას უწოდებენ. მე სასოწარკვეთის მიღმა ვარ. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ საერთოდ ვერაფერს ვგრძნობ. ყველაფერს ვხედავ, მაგრამ ვერაფერს ვგრძნობ.

ოჰ, ღმერთო, თუკი შენ არსებობ.

ჩემი სიძულვილი უფრო მეტია, ვიდრე სიძულვილი.

ახლახან იყო აქ. გაუხდელად მეძინა გაუშლელ ლოგინში. მაციებს.

საშინლად ჩახუთული ჰაერია. ეტყობა, გრიპი მაქვს.

საზიზღრად ვგრძნობდი თავს. არაფერი მითქვამს. იმის ძალაც არ შემწევს, რომ მის მიმართ სიძულვილი გამოვხატო.

საწოლი დანესტიანებულია. მკერდში ტკივილს ვგრძნობ.

ერთი სიტყვაც არ მითქვამს მისთვის. მეტისმეტად შორს წავიდა საამისოდ. რაღა მნიშვნელობა აქვს სიტყვებს. ნეტავ გოია ვიყო, რომ შემეძლოს იმ უსაზღვრო სიძულვილის გამოხატვა, რომელსაც მის მიმართ ვგრძნობ.

ძალიან შეშინებული ვარ. წარმოდგენაც კი ძნელია, რა შეიძლება მოხდეს, თუ სერიოზულად ვარ ავად. არ ვიცი, რატომ მტკივა მკერდი ასე ძლიერ ამ ბოლო დღეებში, თითქოს ბრონქიტი მქონდეს.

ექიმი უნდა გამოიძახოს. მას შეიძლებოდა მოვეკალი, მაგრამ ალბათ ასე გულხელდაკრეფილმა არ უნდა უყუროს, როგორ ვკვდები.

ღმერთო, რა საშინელებაა.

(საღამო) თერმომეტრი მოიტანა. სადილის წინ 37,7 მქონდა, ახლა 38,3 მაქვს. საშინლად ვარ.

მთელი დღეა, ვწევარ.

ის ადამიანი არ არის.

ღმერთო, მე ისე მარტო ვარ. სრულიად მარტო.

არ შემიძლია წერა.

(დილა) ეტყობა, მართლა გრიპი მაქვს. მაკანკალებს.

ცუდად მეძინა. საშინელი სიზმრები. უცნაური, ძალიან ცხადი სიზმრები. ერთ-ერთში ჯ. პ. იყო. ტირილი დავიწყე. ძალიან მეშინია.

ჭამა არ შემიძლია. ზურგი მტკივა, იმ ადგილას, სადაც ფილტვებია. სუნთქვა მიჭირს. სულ ვფიქრობ, ფილტვების ანთება ხომ არ მაქვს-მეთ-ქი. არა, შეუძლებელია.

არ მოვკვდები. არ მოვკვდები, კალიბანის ჯიბრზე.

სიზმარი ვნახე. სრულიად უჩვეულო.

ჭალაში ვსეირნობ ლ-ში. ხეებს შორის ზემოთ ვიხედები. ლურჯ ცაზე თვითმფრინავს ვხედავ. ვიცი, რომ ჩამოვარდება. შემდეგ კატასტროფის ადგილს ვხედავ. მეშინია გზის გაგრძელება. გოგონა მოდის ჩემკენ. მინი? ვერ ვარჩევ. უცნაური ტანსაცმელი აცვია, რაღაც ბერძნულის მსგავსი. თეთრი. კაშკაშა მზის სხივებში ჩანს, ხეებს შორის. საოცარი სიწყნარეა, სიოც არ იძვრის. მგონი, ეს გოგონა მიცნობს, მაგრამ მე ვერ ვცნობ (მინი არ არის). ახლოს არ მოდის. მინდა მასთან ვიყო. ახლოს. ამ დროს მეღ-ვიძება.

თუ მე მოვკვდები, ვერავინ ვერასდროს გაიგებს.

ამის გაფიქრებაზე კანკალმა ამიტანა. წერა აღარ შემიძლია.

(ღამე) არა სიბრალული. არა ღმერთი.

ვუყვირე და საშინლად დაიბოღმა. ძალიან სუსტად ვიყავი და ვერა-ნაირი წინააღმდეგობა ვერ გავუწიე. შემკრა, პირი ამიკრა და გადამიღო ის საზიზღარი ფოტოები.

აღარ დავეძებ ტკივილს. აღარ დავეძებ დამცირებას.

გავაკეთე, რაც უნდოდა. რომ როგორმე დამთავრებულიყო.

ჩემს თავს უკვე აღარ დავეძებ.

მაგრამ, ღმერთო, რა სიმხეცეა.

ვტირი და ვტირი. წერა აღარ შემიძლია.

არ დავნებდები.

არ დავნებდები.

ვერ ვიძინებ. ჭკუიდან გადავდივარ. სინათლის ანთება მიწევს. საში-ნელი სიზმრები. მე მგონი, ოთახში ხალხია. მ. მინი.

ფილტვების ანთება მაქვს.

ექიმი უნდა მომიყვანოს.

ეს მკვლელობაა.

აღარ შემიძლია ამაზე წერა. სიტყვები უძლურია.

(ის მოვიდა) არ მისმენს. ვევედრე. ვუთხარი, რომ ეს მკვლელობაა. ძალიან სუსტად ვარ. 39 გრადუსი. რამდენჯერმე მაღებინა.

გუშინდელ ამბავზე არაფერი გვითქვამს. არც მე და არც მას.

მოხდა კი ეს საერთოდ? ციება. მაბოდებს.

ნეტავ ის მაინც ვიცოდე, რა დავაშავე.

აზრი არა აქვს.

მე არ მოვკვდები. არ მოვკვდები.

ძვირფასო, ძვირფასო ჯ. პ. ეს...

ღმერთო, ღმერთო. ოღონდ ნუ მომკლავ.

ღმერთო, ოღონდ ნუ მომკლავ.

ოღონდ ნუ მომკლავ.

3

იმის თქმა მინდა, რომ ყველაფერი მოულოდნელად მოხდა.

ყველაფერი ძალიან ცუდად დაიწყო, რადგან როცა რვის ნახევარზე ქვემოთ ჩავედი, შირმასთან იწვა, შირმა კი ძირს ეგდო. ეტყობა, გადმოაყირავა, როცა წაიქცა. მის გვერდით ჩავიჩოქე, ხელები ყინულივით ცივი ჰქონდა, მაგრამ სუნთქავდა, თუმცა უცნაურად, ხრინწიანად და სწრაფ-სწრაფად. როცა ავიყვანე, რომ საწოლზე დამეწვინა, გონზე მოვიდა. ეტ-ყობა, გონება მაშინ დაკარგა, როცა შირმისკენ მიდიოდა. სხეული ყინულივით ცივი ჰქონდა და საშინელი კანკალი აუვარდა. მერე ოფლმა დაასხა, ბოდვა დაიწყო და სულ იმეორებდა „მომიყვანეთ ექიმი, მომიყვანეთ ექიმი. გთხოვთ, ექიმი მომიყვანოთ“ (ხანდახან კი, ეტყობა, მისი პირადი ექიმის სახელსა და გვარს ამოკლებდა და იმეორებდა: „დაუძახეთ ჯ.პ.-ს, ჯ.პ.-ს, ჯ.პ.-ს“). ეს მისი ჩვეულებრივი ხმა არ იყო, მზერას ვეღარ აჩერებდა ჩემზე, ფოკუსირებას ვერ ახერხებდა. ცოტა ხნით გაჩერდა და

მერე უცებ სიმღერა დაიწყო „იანკი დუდლ დენდი“. მაგრამ სიტყვებს ძნელად თუ გაარჩევდი, გეგონებოდა, მთვრალიაო და შუაში შეწყვიტა. ორჯერ დაიძახა „მინი, მინი“ (თავის დას ეძახდა), თითქოს ის გვერდით ოთახში ეგულებოდა. მერე ბუტბუტი დაიწყო. ბევრ სახელს ამბობდა და რაღაც სიტყვებს, ნაწყვეტ-ნაწყვეტ წინადადებებს. არეულ-დარეულად. შემდეგ ადგომა მოინდომა და მისი შეჩერება მომიწია. მაგრად მებრძოდა და მეწინააღმდეგებოდა. ვცდილობდი დამეწყნარებინა, ის კი ერთ წუთს გაჩერდებოდა, მაგრამ როგორც კი ჩაის ასადუღებლად ან სხვა რამისთვის გავიდოდი, მაშინვე საწოლიდან ხტებოდა. მერე საწოლზე წამოვაჯინე, რომ ჩაი დაელია, მაგრამ ხველება აუტყდა და თავი გვერდზე მიაბრუნა. არ მოინდომა დალევა. დამავიწყდა მეთქვა, რომ ტუჩთან საზიზღარი ყვითელი მუწუკები გამოუვიდა და ძველებურად სისუფთავის სუნი აღარ ასდიოდა.

ბოლოს და ბოლოს ვაიძულე ტაბლეტების ორმაგი დოზა დაელია. წამლების კოლოფზე კი ეწერა, მითითებულ დოზაზე მეტის მიღება არ შეიძლებაო, მაგრამ ვიღაცისგან გამიგონია, რომ, რასაც აწერენ, იმაზე ორჯერ მეტი უნდა მიიღო. თურმე, უბრალოდ, ფრთხილობენ, რომ წამალმა ძალიან ძლიერად არ იმოქმედოს და კანონთან პრობლემები არ შეექმნათ.

იმდენად ვწუხდი, რომ იმ დილით ხუთჯერ თუ ექვსჯერ მომიწია მასთან ქვემოთ ჩასვლა. უკვე გონზე იყო მოსული და ხვდებოდა, რაც ხდებოდა, მაგრამ მაინც მითხრა, არაფერი მჭირდებაო. ყოველ შემთხვევაში, თავი გადააქნია. სადილად ცოტა ჩაი დალია და ჩაეძინა, მე კი გარე სარდაფში გავედი. როცა დავბრუნდი და სინათლე ავანთე, ეს იყო დაახლოებით ხუთ საათზე, უკვე აღარ ეძინა. ძალიან მისუსტებული ჩანდა, სახე ერთიანად აწითლებული ჰქონდა, მაგრამ, ეტყობოდა, გონზე იყო - იცოდა, სად იმყოფებოდა და მე ვინ ვიყავი. თვალსაც ძალიან ნორმალურად მაყოლებდა და მე ვიფიქრე, ყველაზე უარესი უკან დარჩა, კრიზისმა გაიარა-მეთქი.

ცოტა ჩაი კიდევ დალია და შემდეგ მომიწია დავხმარებოდი, რომ შირმის უკან გასულიყო. ძლივს ახერხებდა გადაადგილებას. რამდენიმე წუთით დავტოვე, მერე უკან დავბრუნდი და საწოლთან მივიყვანე. ცოტა ხანს იწვა გახელილი თვალებით და ჭერს უყურებდა. ისევ ძალიან მძიმედ სუნთქავდა და წასვლა დავაპირე, მაგრამ შემაჩერა. დაბალი, ხრინწიანი ხმით დამიწყო საუბარი, თუმცა ჩვეულებრივად აზროვნებდა.

- ფილტვების ანთება მაქვს. თქვენ ექიმი უნდა გამოიძახოთ, - მითხრა.

ვუთხარი, რომ კრიზისმა უკვე გაიარა და ახლა ბევრად უკეთ გამოიყურებოდა.

- პენიცილინი მჭირდება, ან რაღაც ასეთი, - თქვა და ხველება აუტყდა. სულის მოთქმას ძლივს ახერხებდა და ერთიანად ოფლმა დაასხა. შემდეგ მოინდომა გაეგო, რა სჭირდა ღამით და დილით და მე ვუთხარი.

- კოშმარები მესიზმრა, - თქვა მან.

ვუთხარი, რომ ღამით იქ დავრჩებოდი, რომ უკვე ბევრად უკეთ გამოიყურებოდა და მკითხა, დარწმუნებული ხართ, რომ მართლა უკეთ გამოვიყურებიო. რა თქმა უნდა, დარწმუნებული ვარ-მეთქი, ვუპასუხე. მინდოდა, უკეთ ყოფილიყო, ამიტომ მეჩვენებოდა, თითქოს მართლა მომჯობინდა.

დავპირდი, რომ თუ მომდევნო დღეს უკეთ არ იქნებოდა, ზემოთ ავიყვანდი და ექიმს გამოვუძახებდი. მაშინვე მოინდომა ზემოთ ასვლა და დროის გაგებაც კი მოინდომა და არც დავფიქრებულვარ, ისე ვუთხარი. თქვა, უკვე გვიანი ღამეა და ვერავინ დამინახავსო. მე ვუპასუხე, ოთახები განიავებული არაა და არც საწოლი მაქვს მზად-მეთქი.

მერე რაღაცნაირად შეიცვალა და მითხრა:

- ისეთი შეშინებული ვარ. ალბათ მალე მოვკვდები, - ნელა ლაპარაკობდა, ხანგრძლივი პაუზებით.

შემდეგ განაგრძო:

- მე ხომ ვცადე თქვენი დახმარება. ახლა თქვენც შეეცადეთ, რომ დამეხმაროთ.

რა თქმა უნდა, დაგეხმარებით-მეთქი, ვუთხარი. სახიდან ოფლი ღრუბლით მოვწმინდე, თითქოს იძინებდა და მეც სწორედ ეს მინდოდა, მაგრამ ისევ ალაპარაკდა:

ხმამაღლა თქვა:

- მამა, მამიკო.

- დაიძინეთ, - ვუთხარი. - ხვალ გამოჯანმრთელებული იქნებით.

ისევ ტირილი დაიწყო, მაგრამ ეს ჩვეულებრივი ტირილი არ იყო. უბრალოდ იწვა ცრემლებით სავსე თვალებით, თითქოს არციცოდა, რომ ტიროდა. შემდეგ მოულოდნელად მითხრა:

- რას იზამთ, თუ მე მოვკვდები?

მე ვუთხარი, არ მოკვდებით, რა სისულელეებს ამბობთ-მეთქი.

- შეატყობინებთ ვინმეს ამის შესახებ?

- არც ვაპირებ ამაზე გელაპარაკოთ, - ვუთხარი.

- არ მინდა მოვკვდე, - თქვა და შემდეგ ისევ:

- არ მინდა მოვკვდე. - შემდეგ ისევ გაიმეორა, მესამეჯერ და ყოველ ჯერზე ვეუბნებოდი, არ გინდათ ამის შესახებ ლაპარაკი-მეთქი, მაგრამ თითქოს არც ესმოდა.

- თქვენ აქედან წახვალთ, თუ მე მოვკვდები?

ვუთხარი, გიჟი ხართ-მეთქი.

- თქვენს ფულს რას უზამთ?

მე ვუთხარი, თუ შეიძლება სხვა რამეზე ვილაპარაკოთ-მეთქი, მაგრამ ისევ და ისევ მიმეორებდა. შემდეგ გაჩერდა და ისევ ალაპარაკდა, ნორმალურად, მაგრამ ხანგრძლივი, უცნაური შუალედებით. დროდადრო უცებ იმავეს იმეორებდა. მე ვუთხარი, არ ვიცი, ამაზე არ მიფიქრია-მეთქი. უბრალოდ, გამხნევებას ვცდილობდი.

- ბავშვებს დაუტოვეთ.

ვკითხე, რომელ ბავშვებს-მეთქი და მან მიპასუხა:

- გასულ სემესტრში ჩვენ მათთვის ფული შევაგროვეთ. ისინი მიწას ჭამენ. - და შემდეგ, ცოტა მოგვიანებით:

- ჩვენ ყველანი ღორები ვართ. ახია სიკვდილი ჩვენზე.

როგორც დავასკვენი, ეტყობა, ის ფული ჩაიჯიბეს, რომელიც ბავშვებისთვის უნდა გადაეცათ. შემდეგ ჩაეძინა. ალბათ ათ წუთს ეძინა. მე არ გავნძრეულვარ, მეგონა, მაგრად იყო ჩაძინებული, მაგრამ მოულოდნელად თქვა:

- დაუტოვებთ ბავშვებს? - ისე მკითხა, თითქოს ლაპარაკი არც შეგვეწყვიტოს. შემდეგ:

- აქ ხართ? - და წამოჯდომასაც კი შეეცადა, რომ ჩემთვის შეეხედა. შევეცადე დამემშვიდებინა, მაგრამ უკვე მთლიანად გამოფხიზლდა და ისევ და ისევ იმ ბავშვთა ფონდზე ლაპარაკობდა, რომლისთვისაც ის და მისი მეგობრები ფულს აგროვებდნენ.

უკვე აღარ ვეუბნებოდი, რომ ეს ყველაფერი სისულელე იყო. ამის ნაცვლად ვუთხარი, რომ ბავშვებს ფულს გადავურიცხავდი, მაგრამ ის არ მოკვდებოდა და ასეთი რამეები.

- მპირდებით?

- გპირდებით.

შემდეგ თქვა: დაპირებები. ცოტა ხნის მერე კი: ისინი მიწას ჭამენ. ეს ორჯერ თუ სამჯერ გაიმეორა, მე კი ისევ ვცდილობდი დამემშვიდებინა, თავზე ხელს ვუსვამდი, იმიტომ რომ, როგორც ჩანდა, იმ ბავშვების მდგომარეობა მართლა ძალიან აწუხებდა. ბოლო, რაც მან მითხრა იყო:

- მე თქვენ გპატიობთ.

ბოდავდა, რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც ვუთხარი, ძალიან ვწუხვარ-მეთქი.

აქედან მოყოლებული ყველაფერი შეიცვალა. დავივიწყე ყველაფერი, რაც მან წარსულში ჩაიდინა და შემეცოდა. გულწრფელად ვნანობდი იმის გამო, რაც იმ საღამოს გავაკეთე, მაგრამ საიდან უნდა მცოდნოდა,

რომ მართლა ავად იყო. რაც იყო, იყო და დამთავრდა, აღარაფერი ეშველება.

უცნაური კია, რომ სწორედ მაშინ, როცა მეგონა, რომ ის ყელში ამომივიდა, ყველა ძველი გრძნობა დამიბრუნდა. გამუდმებით ვფიქრობდი იმ კარგ რამეებზე, რაც ჩვენ შორის იყო, ხანდახან ხომ მშვენივრად ვეწყობოდით ერთმანეთს. ვფიქრობდი იმაზე, თუ რას ნიშნავდა ის ჩემთვის, როცა მეტი არაფერი გამაჩნდა. მთელი ის ნაწილი ჩვენი ურთიერთობისა, როცა მან ტანსაცმელი გაიხადა და პატივს აღარ ვცემდი, არარეალურად მეჩვენებოდა. თითქოს ორივემ გონება დავკარგეთ. იმას ვგულისხმობ, რომ უფრო რეალურად მეჩვენებოდა ჩვენი ურთიერთობის ის პერიოდი, როცა ავად გახდა და მე ვუვლიდი.

გარე სარდაფში დავრჩი, როგორც წინა ღამით. დაახლოებით ნახევარი საათი წყნარად იწვა, შემდეგ კი საკუთარ თავთან დაიწყო ლაპარაკი. ვკითხე, ხომ კარგად ხართ-მეთქი და ცოტა ხნით შეჩერდა, მაგრამ მოგვიანებით ისევ ალაპარაკდა. კი არ ალაპარაკდა - აბუტბუტდა. შემდეგ ჩემი სახელი დაიძახა, ძალიან ხმამაღლა. თქვა, რომ სუნთქვა აღარ შეეძლო. მერე ლორწო წამოუვიდა პირიდან, რაღაც უცნაური ფერის - მუქი ყავისფერი. არ მომეწონა, რომ შევხედე, მაგრამ ვიფიქრე, შეიძლება ტაბლეტებმა მისცეს ასეთი ფერი-მეთქი. ამის შემდეგ, ეტყობა, ჩაეძინა. დაახლოებით ერთი საათი ეძინა და უცებ კივილი დაიწყო. ხმა არ ჰქონდა, მაგრამ ცდილობდა რაც შეიძლებოდა ხმამაღლა ეკივლა. ოთახში რომ შევვარდი, საწოლიდან უკვე ნახევრად გადმოსული იყო. არ ვიცი, რის გაკეთებას აპირებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ვერ მიცნო და ვეფხვივით გააფთრებით იბრძოდა, მიუხედავად იმისა, რომ ასე მისუსტებული იყო. მართლა ბრძოლა მომიწია, რომ როგორმე ლოგინში ჩამეწვინა.

მერე საშინლად გაოფლიანდა. პიჟამა სულ გაჟღენთილი ჰქონდა და როცა შევეცადე გამეხადა და ახალი ჩამეცმია, ისევ გამიძალიანდა. გამძვინვარებით მებრძოდა, ლოგინზე გიჟივით გორავდა და კიდევ უფრო

გაოფლიანდა. ცხოვრებაში ამაზე საზარელი ღამე არ მქონია. იმდენად-საზარელი იყო, რომ აღწერაც არ შემიძლია. ვერ იძინებდა და იმდენი დასაძინებელი ტაბლეტი მივეცი, რამდენიც გავბედე, მაგრამ წამალმა, ეტყობა, არ იმოქმედა. ცოტა ხანს წაიძინებდა და შემდეგ ისევ შფოთავ-და, ცდილობდა ლოგინიდან წამომდგარიყო (ერთხელ ვერ მივუსწარი, საწოლიდან ჩამოვარდა). ხანდახან ბოდავდა, ჯ.პ.-ს ეძახდა და ვიღაც ხალხს ელაპარაკებოდა, ალბათ თავისნაცნობებს. ამას არ დავეძებდი, ოღონდ კი ლოგინიდან არ გადმოვარდნილიყო და წყნარად წოლილიყო. სიცხე გავუზომე. ორმოცზე მეტი ჰქონდა და ახლა უკვე დანამდვილებით ვიცოდი, რომ ავად იყო.

შემდეგ დილას, დაახლოებით ხუთ საათზე, ზემოთ ავედი, რომ სუფთა ჰაერი ჩამესუნთქა. თითქოს სხვა სამყაროში მოვხვდი და გადავწყვიტე, რომ მას ზემოთ ავიყვანდი და ექიმს გამოვიძახებდი. მეტი გადადება აღარ შეიძლებოდა. ათი წუთი ვიდექი ღია კართან, შემდეგ გავიგონე, რომ მეძახდა. ისევ მუქი ყავისფერი ლორწო წამოუვიდა პირიდან და მე-რე აღებინა. მომიწია მისი სავარძელში გადაყვანა და საწოლის ხელახლა დაგება. ყველაზე საშინელი მისი სუნთქვის მოსმენა იყო, აჩქარებულად, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ქშინავდა, გეგონებოდა, სადაცაა დაიხრჩობაო.

იმ დილით (თითქოს შედარებით დაწყნარებული ჩანდა) ესმოდა, რა-საც ვეუბნებოდი და ვუთხარი, რომ ექიმის მოსაყვანად მივდიოდი. თავი დამიქნია და ჩავთვალე, რომ გაიგო, თუმცა ხმა არ ამოუღია. ეტყობა, იმ ღამემ არაქათი გამოაცალა და წყნარად იწვა, გაუნძრევლად.

შემეძლო სოფელში წავსულიყავი და იქიდან დამერეკა, ან ექიმი წა-მომეყვანა, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო იქ არავისთან მქონდა ურ-თიერთობა. იცით, რაც არის სოფლის ჭორები.

თანაც უძილობისგან იმ მდგომარეობამდე ვიყავი მისული, რომ ნახე-ვარჯერ არც ვიცოდი, რას ვაკეთებდი. და როგორც ყოველთვის მარტო ვიყავი. არავინ მყავდა ისეთი, ვისთვისაც შემეძლო მიმემართა.

ლუისში წავედი (დაახლოებით ცხრა საათი იყო), პირველივე ღია აფთიაქში შევედი და ვიკითხე, ახლომახლო ექიმს სად ვნახავ-მეთქი. აფთიაქარმა გოგონამ სიაში ჩაიხედა და მითხრა. ექიმის სახლი ჩემთვის უცნობ ქუჩაზე იყო. კარზე წარწერა იყო: „მიღება 8:30-დან“. უნდა მივმხვდარიყავი, რომ იქ, როგორც ხდება ხოლმე, ბევრი ხალხი იქნებოდა, მაგრამ რატომღაც წარმოვიდგინე, როგორ შევდივარ და პირდაპირ ექიმთან ვხვდები. ალბათ სულელურად გამოვიყურებოდი ხალხით სავსე მისაღებში. ყველამ მე შემომხედა. სკამები დაკავებული იყო. ერთი ახალგაზრდა კაცი ფეხზეც იდგა. ასე მეგონა, ყველა მე მომჩერებოდა. ძალა ვერ ვიპოვე საკუთარ თავში, რომ პირდაპირ ექიმთან შევსულიყავი და კედელთან დავდექი. მაშინვე რომ შევსულიყავი ექიმთან, ყველაფერს ისე გავაკეთებდი, როგორც საჭირო იყო და ყველაფერი კარგად იქნებოდა. ეს იმიტომ მოხდა, რომ მისაღებში იმ ხალხთან ერთად მომიწია დგომამ. დიდი ხანია, რაც ამდენ ხალხთან ერთად შენობაში არ ვყოფილვარ. მაღაზიაში კი არის ბევრი ხალხი, მაგრამ იქ შედიხარ და გამოდიხარ, აქ კი ყველაფერი უცნაურად მეჩვენებოდა. როგორც ვთქვი, თითქოს ყველა მე მომჩერებოდა. განსაკუთრებით ერთი მოხუცი ქალი, რომელიც თვალს არ მაცილებდა. ვიფიქრე, ალბათ რაღაც ისე ვერ გამოვიყურები-მეთქი. მაგიდიდან გაზეთი ავიღე, მაგრამ, რა თქმა უნდა, არ ვკითხულობდი.

როცა ვიდექი, დავიწყე ფიქრი ყველაფერზე, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო. ერთი-ორი დღე ყველაფერი კარგად იქნებოდა, ექიმი და მ. ალბათ ბევრს არ ილაპარაკებდნენ, მაგრამ შემდეგ... ვიცოდი, ექიმი რასაც იტყოდა. რომ საჭიროა მისი საავადმყოფოში გადაყვანა, რადგან მე ვერ შევძლებ მის სათანადოდ მოვლას და ასეთი რამეები. და მაშინ ვიფიქრე, მომვლელი ქალი ხომ არ ამეყვანა, მაგრამ მას ბევრი დრო არ დასჭირდებოდა იმის მისახვედრად, რაც ხდებოდა. მამიდა ენი ყოველთვის ამბობდა, თუ ვინმეს თავისი გრძელი ცხვირის ჩაყოფა უყვარს სხვის საქმეებში, პირველ რიგში მომვლელ ქალებსო და ის ასეთ გრძელცხვირებს ვერ იტანდა. ჩემი არ იყოს. სწორედ ამ დროს ექიმი გამოვიდა, რომ შემდეგი

პაციენტისთვის დაეძახა. მაღალი კაცი იყო, ულვაშებიანი და სიტყვა „შემდეგი“ ისე წარმოთქვა, თითქოს დასანახად ვერ იტანდა იქ მყოფ ხალხს. იმის თქმა მინდა, რომ ეს მართლა გაღიზიანებული ხმით თქვა - არა მგონია, მხოლოდ მე მომჩვენებოდეს ასე. დავინახე, როგორი სახით გადახედა ერთმა ქალმა თავის მეზობლად მჯდომს, როცა ექიმი კაბინეტ-ში შებრუნდა.

ექიმი ისევ გამოვიდა, არმიის ოფიცერს ჰგავდა. ის ტიპი იყო, ვისგანაც თანაგრძნობას არ უნდა ელოდე. მხოლოდ ბრძანებებს რომ გასცემს და თუ მის წრეს არ ეკუთვნი, ისე გიყურებს, როგორც ნაგავს.

ამას ისიც დაემატა, რომ ის მოხუცი ქალი ისევ მომაშტერდა და ტან-ში ჟრუანტელმა დამიარა. თანაც მთელი ღამე არ მძინებია და ალბათ ამიტომ ნერვებად ვიყავი ქცეული. ასე იყო თუ ისე, მეტს ვეღარ ავიტან-დი. შემოვბრუნდი, გარეთ გამოვედი და ფურგონში ჩავჯექი.

ყველაფერი ამ ხალხის გამო იყო. მათმა დანახვამ მიმახვედრა, რომ მირანდა იყო ერთადერთი ადამიანი მსოფლიოში, რომელთან ერთად ცხოვრება მსურდა. ამ ხალხის ყურება კი გულს მირევდა.

შემდეგ რაც გავაკეთე ის იყო, რომ აფთიაქში წავედი და გართულე-ბული გრიპის საწინააღმდეგო წამალი მოვითხოვე. იმ აფთიაქში ადრე არასოდეს ვყოფილვარ და, საბედნიეროდ იქ, იმ დროს, ჩემსა და აფთია-ქარის გარდა არავინ იყო, ასე რომ, ჩემი შეთხზული ამბავი გადმოვულა-გე. ვუთხარი, რომ ძალიან თავისებური მეგობარი მყავს (ექიმების რომ არაფერი სწამთ, ისეთი)და გრიპი ძალიან გაურთულდა, შეიძლება ფილ-ტვების ანთებაშიც კი ჰქონდეს გადასული და ჩუმად რაღაც წამალი უნ-და შევაპაროთ-მეთქი. მაგრამ აფთიაქარმა იგივე წამლები შემომთავა-ზა, რაც ადრე უკვე მქონდა ნაყიდი და ვკითხე, პენიცილინი ან რამე ამ-გვარი ხომ არ აჯობებდა. მიპასუხა, პენიცილინს ექიმის რეცეპტი სჭირ-დებაო. საუბედუროდ, ამ დროს მისი უფროსი გამოვიდა და აფთიაქარ-მაც უთხრა, რაში იყო საქმე. უფროსმა მირჩია, ექიმი უნდა ნახოთ და ყველაფერი აუხსნათო. მე ვუთხარი, რამდენსაც მეტყვით, გადაგიხდით-

მეთქი, მან კი თავი გადააქნია და თქვა, ეს კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა. შემდეგ დაინტერესდა, ეგ თქვენი მეგობარი სად ცხოვრობს, ლუისელია თუ არაო და მე წამოვედი, სანამ თავისი გრძელი ცხვირის კიდევ უფრო ღრმად ჩაყოფას მოინდომებდა. კიდევ ორ აფთიაქში ვცადე, მაგრამ ორივეგან იგივე მითხრეს და სხვა აფთიაქებში წასვლა უკვე შემეშინდა, ამიტომ სხვა წამალი ვიყიდე - ისეთი, რომელიც ურეცეპტოდ გაიცემოდა და შინისაკენ გავეშურე. მანქანა ძლივს მიმყავდა, ისე ვიყავი დაღლილი.

როგორც კი სახლში დავბრუნდი, ქვემოთ ჩავედი. ისევ ისე იწვა და ძლივს სუნთქავდა. დამინახა თუ არა, ლაპარაკი დაიწყო. ეტყობა, ვიღაც სხვა ვეგონე, რადგან მკითხა, ლუიზა ხომ არ გინახავსო (ადრე ლუიზა არასოდეს უხსენებია). საბედნიეროდ, პასუხს არ დაელოდა, რომელიღაც თანამედროვე მხატვარზე დაიწყო ლაპარაკი. შემდეგ მწყურიაო, თქვა. არეულად ლაპარაკობდა, თითქოს მის თავში აზრები შედიოდნენ და მაშინვე გამოდიოდნენ. წყალი დავალევინე და ცოტა ხანს წყნარად იწვა, შემდეგ თითქმის ნორმალურ მდგომარეობას დაუბრუნდა (გონებრივად), რადგან იკითხა, მამიკო როდის მოვა, გააგებინეთ ჩემი ამბავიო? მე მოვატყუე, მაგრამ ეს გამართლებული ტყუილი იყო. ვუთხარი, მალე მოვამეთქი. მითხრა, სახე მომბანეთო და როცა მოვბანე, თქვა, არ მინდა დაინახოს, რომ მაღებინაო. კი ვამბობ, თქვა-მეთქი, მაგრამ უკვე ვეღარ ლაპარაკობდა, ჩურჩულებდა.

შემდეგ თქვა:

- რა კარგი იქნებოდა, დაძინება რომ შემეძლოს.

- სიცხის ბრალია, - ვუთხარი და მან თავი დამიქნია. ცოტა ხნის განმავლობაში ყველაფერი ესმოდა, რასაც ვეუბნებოდი და არავინ დაიჯერებს, მაგრამ გადავწყვიტე უკან, ლუისში წავსულიყავი და ექიმი მომეყვანა. მივეხმარე, რომ შირმის უკან გასულიყო. ისე სუსტად იყო, ეტყობოდა, რომ გაქცევას ვერ შეძლებდა, ამიტომ გადავწყვიტე წავსულიყავი

და ორი საათი წამეძინა, შემდეგ ზემოთ ამეყვანა და სხვა ექიმის მოსაყვანად ლუისში წავსულიყავი.

არ ვიცი, ეს როგორ დამემართა. ყოველთვის მაშინვე ვდგები, როგორც კი მაღვიძარა დარეკავს. ეტყობა, ძილში გადავწვდი და გამოვრთე, იმიტომ რომ არ მახსოვს. ასეა თუ ისე, რომ გამეღვიძა, უკვე პირველის ნახევარი კი არა, ოთხი საათი იყო. რა თქმა უნდა, მაშინვე ქვევით ჩავვარდი, რომ მენახა, რა ხდებოდა.

საბანი გადახდილი ჰქონდა და მკერდი მოშიშვლებული, მაგრამ, საბედნიეროდ, ოთახში საკმარისი სითბო იყო. საერთოდ კი, არ ვფიქრობ, რომ ამას რაიმე მნიშვნელობა ჰქონდა, სიცხისგან იწვოდა, ბოდავდა და ვერ მიცნო, როცა ხელში ავიყვანე, რომ ზემოთ წამეყვანა. შეეცადა წინააღმდეგობა გაეწია, შეეცადა დაეკივლა, მაგრამ ისე სუსტად იყო, ვერ შეძლო. ხველება აუტყდა და ამანაც შეუშალა ხელი. ამ დროს თითქოს გონს მოეგო და გაიაზრა, სად ვიყავით. გვარიანად ძნელი საქმე იყო მისი ზემოთ აყვანა, მაგრამ როგორც იქნა მოვახერხე, თავისუფალ ოთახში შევიყვანე და ლოგინში ჩავაწვინე (ოთახი წინასწარ კარგად გავათბე). თითქოს აქ უკეთ იგრძნო თავი. არაფერს ამბობდა. როცა კიბეზე ამყავდა, ცივ ჰაერზე ხველება აუტყდა. ისევ ლორწო წამოუვიდა პირიდან და სახეზე უცნაური ლურჯ-წითელი ფერი დაედო. ვუთხარი, მალე ექიმი მოვა-მეთქი და, მგონი, გაიგო.

ცოტა ხანს იქ დავრჩი, რომ შემეხედა, როგორ იქნებოდა. ვშიშობდი, იმდენი ძალა ხომ არ ჰქონდა შერჩენილი, რომ ფანჯრამდე მიეღწია და ვინმე გამვლელის ყურადღება მიეპყრო. კაცმა რომ თქვას, ვიცოდი, რომ ამის ძალა აღარ ჰქონდა, მაგრამ, ეტყობა, საბაბს ვეძებდი, რომ არ წავსულიყავი. რამდენჯერმე მისი ოთახის გაღებულ კართან მივედი, ის იქ სიბნელეში იწვა. მესმოდა, როგორ სუნთქავდა, ხანდახან ლუღლუღებდა. ერთხელ მე დამიძახა. მივედი და მის გვერდით დავდექი. „ექიმი, ექიმი“, ჩურჩულით იმეორებდა და იმეორებდა და ვუთხარი, ექიმი ახლავე მოვა,

ნუ ნერვიულობთ-მეთქი და სახეზე ოფლი მოვწმინდე, მაგრამ ისევ ღვარად ჩამოსდიოდა. არ ვიცი, მაშინ რატომ არ წავედი. შევეცადე, მაგრამ ვერ შევძელი. ვერ შევძელი ჩემი თავი მეიძულებინა მას მოვშორებოდი, არ მცოდნოდა, ის როგორ იქნებოდა, არ შემძლებოდა მენახა, როცა მომინდებოდა. თითქოს ისევე ვიყავი მასზე შეყვარებული, როგორც ადრე. და კიდევ ერთი რამეც იყო: მთელი იმ დღეების განმავლობაში ვფიქრობდი, რომ ის დიდხანს იავადმყოფებდა, დიდი ხანი დასჭირდებოდა მის გამოჯანმრთელებას, მე კი მთელი ამ დროის განმავლობაში საჭირო ვიქნებოდი მისთვის და ყველაფერი კარგად იქნებოდა, როცა ცუდ ამბებს უკან მოვიტოვებდით.

არ ვიცი, რატომ, მაგრამ იმასაც ვფიქრობდი, რომ ახალი გარემო მოუხდებოდა. მისი ახალ ოთახში გადაყვანა რაღაცას შეცვლიდა.

ეს იმას ჰგავდა, ადრე მეიბლი რომ უნდა გამეყვანა სასეირნოდ ინვალიდის ეტლით. ყოველთვის შემეძლო უამრავი მიზეზი მომეძებნა, რომ ეს არ გამეკეთებინა. „ღმერთს მადლობა შესწირე, რომ ფეხები გაქვს, რომხელები გაქვს და შეგიძლია ინვალიდის ეტლს მიაწვე“, - მეუბნებოდა მამიდა ენი (ყველამ იცოდა, რომ არ მიყვარდა ხალხში ინვალიდის ეტლთან ერთად გამოჩენა). მაგრამ ეს ჩემს ხასიათშია და ამას აღარაფერი ეშველება.

დრო გადიოდა, ალბათ უკვე შუაღამე გადასული იქნებოდა, მივედი, რომ მენახა როგორ იყო, ფინჯან ჩაის ხომ არ დალევდა, მაგრამ პასუხი ვერ მივიღე. სუნთქვა ახლა უფრო ხშირი ჰქონდა, ვიდრე ოდესმე. საშინლად ქშინავდა, გეგონებოდა, ჰაერს პირი უნდა ჩაავლოს, მაგრამ ვერ მოუხერხებიაო. შევანჯღრიე, მაგრამ, ეტყობა, ეძინა, თუმცა ღია თვალებით. სახე გალურჯებოდა და თვალები ჭერისთვის გაეშტერებინა. მართლა შემეშინდა. გადავწყვიტე, ნახევარ საათს ვუყურებ ასე, მერე კი წასვლაა საჭირო-მეთქი. მის გვერდით ჩამოვჯექი. ვხედავდი, რომ ყველაფერი უარესობისკენ მიდიოდა, მთლად ოფლში ცურავდა და სახე საშინელი

გაუხდა. იმ დღეებში კიდევ ერთი რამ დასჩემდა - თითებით ისეთ მოძრაობას აკეთებდა, თითქოს რაღაცას იღებდა ზეწრიდან, საბნიდან. მუწუკები უკვე პირის ორივე მხარესა და ტუჩებზე ჰქონდა მოდებული.

ბოლოს მისი ოთახის კარი ჩავკეტე, სიფრთხილეს თავი არ სტკივა, და ისევ ლუისში წავედი. მახსოვს, იქ 1:30-ზე ჩავედი. რა თქმა უნდა, ყველაფერი დაკეტილი იყო. პირდაპირ იმ ქუჩისკენ წავედი, სადაც ის ექიმი ცხოვრობდა და ფურგონი მისი სახლიდან ცოტა მოშორებით გავაჩერე. ვიჯექი სრულ სიბნელეში და ვემზადებოდი, რომ გადავსულიყავი და კარზე დამერეკა. ვაზუსტებდი, რა უნდა მეთქვა და ასეთი რამეები. უცებ შუშაზე დააკაკუნეს. პოლიციელი იყო.

თავზარი დამეცა. შუშა ჩავწიე.

- აქ რას აკეთებთ? - მკითხა.

- ახლა არ თქვათ, რომ აქ გაჩერება არ შეიძლება.

- გააჩნია, რა საქმისთვის ხართ გაჩერებული.

მართვის მოწმობა მომთხოვა და ჩემი ნომერი ჩაიწერა, ძალიან გულმოდგინედ. ხნიერი კაცი იყო, ეტყობა, დიდი ვერაფერი შვილი პოლიციელი, თორემ მის ასაკში ისევ კონსტებლი არ იქნებოდა.

- აქ ცხოვრობთ? - მკითხა.

- არა, - ვუპასუხე.

- ვიცი, რომ არა, - თქვა. - სწორედ ამიტომ გეკითხებით, აქ რას აკეთებთ.

- ჯერ არაფერი გამიკეთებია, - ვუთხარი. - შეგიძლიათ ფურგონში შეიხედოთ. - ასეც მოიქცა, ეს გამოშტერებული ბებერი. ამან დრო მომცა, რომ გონს მოვსულიყავი და რაღაც ამბავი შემეთხზა. ვუთხარი, რომ უძილობა მჭირდა, გადავწყვიტე მანქანით გამესეირნა, გზა ამებნა და გავჩერდი, რომ რუკაზე დამეხედა. არ დამიჯერა. ყოველ შემთხვევაში ისეთი სახე ჰქონდა, რომ, ეტყობოდა, არ დამიჯერა და მითხრა, სახლში წადითო.

იქიდან წამოსვლა მომიწია. მანქანიდან ხომ ვერ გადმოვიდოდი და

პოლიციელის თვალწინ ექიმის სახლისკენ ხომ ვერ წავიდოდი. მაშინვე მიხვდებოდა, რომ რაღაც ისე არ იყო. ვიფიქრე, სახლში წავსულიყავი და დამეხედა, უფრო უარესად თუ იყო და ასეთ შემთხვევაში პირდაპირ საავადმყოფოში წამეყვანა, რომ იქ სხვისი სახელით დამეტოვებინა. მე კი გაქცევა მომიწევდა, შეიძლება ინგლისის დატოვებაც. იმის იქით, რომ მას საავადმყოფოში დავტოვებდი, ჩემი ფიქრები აღარ მიდიოდა.

ისევ იატაკზე დამხვდა. ალბათ ტუალეტში უნდოდა გასვლა, ან იქნებ გაქცევა სცადა. ასე იყო თუ ისე, ავიყვანე და ლოგინში ჩავაწვინე. ნახევრად კომაში იყო. რაღაც სიტყვებს ამბობდა, მაგრამ ვერ ვარჩევდი, რას, ჩემი ნათქვამი კი არ ესმოდა.

თითქმის მთელი ღამე მასთან გავატარე, ხანდახან პირდაპირ სკამზე მეძინა. ორჯერ დააპირა ლოგინიდან წამოხტომა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მთლად ღონემიხდილი იყო. მე სულ ვუმეორებდი, რომ ექიმი მოვიდოდა და ეს თითქოს აწყნარებდა. ერთხელ მკითხა, რა დღეა დღესო და მოვატყუე, ვუთხარი, ორშაბათი-მეთქი (სინამდვილეში ოთხშაბათი იყო). ამანაც თითქოს დააწყნარა. გაიმეორა „ორშაბათი“, მაგრამ ჩანდა, რომ ეს მისთვის არაფერს ნიშნავდა. ეტყობოდა, ავადმყოფობამ მის გონებაზეც იმოქმედა.

მივხვდი, რომ კვდებოდა. მთელი იმ ღამის განმავლობაში ვიცოდი, რომ კვდებოდა.

ვიჯექი და ვუსმენდი მის სუნთქვას და ბუტბუტს (კარგად არც კი ეძინა, დაძინებაც არ შეეძლო) და სულ იმაზე ვფიქრობდი, როგორ შეტრიალდა ყველაფერი. ვფიქრობდი ჩემს დამპალ ცხოვრებაზე, მის ცხოვრებაზე და რა ვიცი, ათას რამეზე.

ვინმეს რომ ენახა, მიხვდებოდა, რა იყო ეს ყველაფერი. ნამდვილად სასოწარკვეთილი ვიყავი. არაფრის გაკეთება არ შემეძლო. მე ხომ არ მინდოდა, რომ ის მომკვდარიყო, მაგრამ არ შემეძლო გარისკვა, არ შემეძლო ექიმის მოყვანა. ძალიან დათრგუნული ვიყავი, ამას ყველა მიხ-

ვდებოდა. მთელი იმ დღეების განმავლობაში ვიცოდი, რომ ვერავის შე-ვიყვარებდი ისე, როგორც ის მიყვარდა. ჩემთვის მთელი ცხოვრება მხო-ლოდ მირანდა არსებობდა და ამას კარგად მივხვდი მაშინ. და კიდევ ერ-თი რამ იყო მნიშვნელოვანი: მხოლოდ მან იცოდა, რომ მე ის მიყვარდა, მხოლოდ მან იცოდა, როგორი ვარ სინამდვილეში. არავის შეეძლო ისე გაეგო ჩემთვის, როგორც მას.

მალე გათენდა და უკანასკნელი დღე დადგა. უცნაურია, მაგრამ შესა-ნიშნავი დღე იყო, ლამაზი, ცაზე მთელი დღე ღრუბელი არ გამოჩენილა. ზამთრის ცივი დღე იყო, ისეთი, ქარი რომ არ ქრის და ცა ლურჯად კრია-ლებს.თითქოს ვიღაცამ მოაწყო საგანგებოდ ასე, ძალიან მოინდომა, რომ ის მშვიდად წასულიყო იმქვეყნად. უკანასკნელი სიტყვები, რომელიც მან წარმოთქვა (მე ვფიქრობ, ათი საათი იქნებოდა) იყო „მზე, მზე“ (და სწო-რედ ამ დროს მზემ შემოანათა ფანჯარაში) და ის შეეცადა წამომჯდა-რიყო, მაგრამ ვერ შეძლო.

ამის შემდეგ ერთი სიტყვაც აღარ უთქვამს ისე, რომ მისი გარჩევა შე-საძლებელი ყოფილიყო. კიდევ მთელი დილა გაძლო, დღის მზიანი ნაწი-ლიც და მერე მზესთან ერთად წავიდა. მისი სუნთქვა ოდნავ ისმოდა და (რომ აგიხსნათ, როგორ მდგომარეობაში ვიყავი) ერთი პირობა ისიც კი გავიფიქრე, როგორც იქნა ჩაეძინა-მეთქი. არ ვიცი, ზუსტად როდის გარ-დაიცვალა, მხოლოდ ის ვიცი, რომ დაახლოებით ოთხის ნახევარზე ჯერ კიდევ სუნთქავდა. ამ დროს ქვემოთ ჩავედი, რომ მიმელაგებინა და თან ცოტა აზრზე მოვსულიყავი. როცა დავბრუნდი, დაახლოებით ოთხ საათ-ზე, უკვე აღარ სუნთქავდა.

საწოლზე იწვა, თავი ცალ მხარეს გადაეგდო და საშინლად გამოიყუ-რებოდა. პირი ღია ჰქონდა და გათეთრებული თვალების მზერა ფანჯა-რაზე შეჰყინვოდა, თითქოს უკანასკნელად სურდა მზისთვის თვალი შე-ევლო. შუბლზე შევეხე. ცივი ჰქონდა, თუმცა სხეული ჯერ კიდევ ინარ-ჩუნებდა სითბოს. სარკის მოსატანად გავიქეცი. ვიცოდი, ასე აკეთებენ, რომ გაარკვიონ, სუნთქავს თუ არა ადამიანი. სარკე ტუჩებთან მივუტანე.

არ დაიორთქლა. მკვდარი იყო.

პირი დავუხურე და თვალები დავუხუჭე. არ ვიცოდი, მეტი რა გამეკეთებინა. წავედი და ჩაი ავიდუღე.

როცა დაბნელდა, მისი ცხედარი ქვემოთ, სარდაფში ჩავიტანე. ვიცოდი, რომ მკვდარი უნდა გაბანო, მაგრამ ამის გაკეთება არ მინდოდა, მართებულად არ მიმაჩნდა. ასე რომ, საწოლზე დავასვენე და თმა დავვარცხნე. ერთი კულული ავაჭერი. შევეცადე მისი სახე ისე შემესწორებინა, რომ გაღიმებულს დამსგავსებოდა, მაგრამ არ გამომივიდა. ყოველ შემთხვევაში, ძალიან დაწყნარებული სახე ჰქონდა. შემდეგ მუხლებზე დავდექი და ლოცვა წარმოვთქვი. მხოლოდ ერთი ლოცვა ვიცი, „მამაო ჩვენო“ და ისიც მთლიანად არა. ბოლოს „უფალო, განუსვენე“ ვთქვი. იმიტომ კი არა, რომ რელიგიის რამე მწამდეს, მაგრამ მართებულად ჩავთვალე. შემდეგ ზემოთ ავედი.

არ ვიცი, რატომ მოხდა ასე, მაგრამ ყველაფერი ერთმა წვრილმანმა შემაგრძნობინა. ვინმემ შეიძლება იფიქროს, რომ ეს მაშინ მოხდა, როცა ის მკვდარი ვნახე, ან მაშინ, როცა ქვემოთ უკანასკნელად ჩამყავდა. არა, ეს მაშინ მოხდა, როცა მისი ფლოსტები დავინახე ზედა ოთახში, ავიღე და უცებ გავაცნობიერე, რომ ის მათ ველარასდროს ჩაიცვამდა და მეც სარდაფში ჩასვლისას კარში ურდულის გაყრა აღარ დამჭირდებოდა (უცნაურია, რომ ახლაც კი მის ოთახს ურდული დავადე), რომ ეს ყველაფერი ჩემს ცხოვრებაში მეტად აღარ განმეორდებოდა - არც კარგი და არც ცუდი. უცებ მივხვდი, რომ მკვდარი იყო, მკვდარი კი სამუდამოდ წასულს ნიშნავს და ის უკვე აღარასოდეს, აღარასოდეს დაბრუნდებოდა.

ბოლო დღეებში არ შემეძლო არ შემცოდებოდა (როცა მივხვდი, რომ კი არ თამაშობდა, მართლა ავად იყო). ვაპატიე, იმ საღამოს რომ ცუდად მოიქცა. არა მაშინ, სანამ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, არამედ მერე, როცა მივხვდი, რომ უკვე მკვდარია. ნამდვილად მხოლოდ მაშინ ვაპატიე. სასიამოვნო ამბები მახსენდებოდა. დასაწყისი, ქალაქის საბჭოში მუშაო-

ბის დღეები, როცა ვხედავდი, როგორ გამოდიოდა სახლიდან, როგორ ჩავუვლიდი მას ქუჩის მეორე მხარეს და ახლა ვერაფრით გამეგო, როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ ის უკვე აღარ იყო, რომ სარდაფში იწვა, მკვდარი.

ეს ყველაფერი სათამაშო სათაგურს ჰგავდა, რომელიც ერთხელ სადღაც ვნახე. მასში თაგვი შედიოდა და ყველაფერი მოძრაობაში მოჰყავდა. მას უკან დაბრუნება აღარ შეეძლო, მხოლოდ წინ და წინ მიდიოდა და უფრო და უფრო რთულ მოწყობილობებში ხვდებოდა. და ასე გრძელდებოდა ბოლომდე. ვფიქრობდი იმაზე, თუ როგორი ბედნიერი ვიყავი, როგორი გრძნობები მქონდა მთელი იმ დროის განმავლობაში. ასეთი რამ ხომ ადრე არასდროს განმიცდია და ვერც ვეღარასდროს განვიცდიდი.

რაც უფრო მეტს ვფიქრობდი ამის შესახებ, მით უფრო უარესად ვგრძნობდი თავს.

შუაღამე იყო, მე კი არ მეძინებოდა. ყველგან სინათლეები ავანთე. მოჩვენებების არ მჯერა, მაგრამ ასე უკეთ ვგრძნობდი თავს.

ისევ მასზე ვფიქრობდი. ისიც კი გავიფიქრე, სულაც ჩემი ბრალი ხომ არ იყო, რომ მან გააკეთა ის, რაც გააკეთა და ჩემი პატივისცემა დაკარგამეთქი. მერე ვიფიქრე, რომ ყველაფერი მისი ბრალი იყო და ის მიიღო, რაც დაიმსახურა. შემდეგ საერთოდ აღარ ვიცოდი, რა მეფიქრა. თავში თითქოს რაღაც გუგუნებდა, გუგუნებდა, გუგუნებდა და მივხვდი, რომ ამ სახლში ცხოვრებას ვეღარ შევძლებდი. მომინდა აქედან გავქცეულიყავი და აღარასოდეს დავბრუნებულიყავი.

ვიფიქრე, ყველაფერი ხომ არ გამეყიდა და ავსტრალიაში ხომ არ გავმგზავრებულიყავი, მაგრამ ჯერ კვალის წაშლა იყო საჭირო. ეს ძალიან ძნელი იქნებოდა. შემდეგ პოლიციაზე ფიქრი ამეკვიატა. გადავწყვიტე პოლიციაში მივსულიყავი და ყველაფერი მომეყოლა მათთვის. ქურთუკსაც კი წავავლე ხელი, რომ ლუისში წავსულიყავი.

შემდეგ ვიფიქრე, ხომ არ ვგიჟდები-მეთქი და სარკეში დავიწყე ყურება,სახეზე სიგიჟის რაიმე ნიშნები ხომ არ მქონდა. შემეშინდა, საშინელი

აზრი მომივიდა, რომ შეიძლება არანორმალური ვიყავი და ამას ჩემ გარდა ყველა ხედავდა. ვიხსენებდი, როგორ მიყურებდნენ ხანდახან ადამიანები ლუისში, მაგალითად, ექიმის მისაღებში. თითქოს იცოდნენ, რომ გიჟი ვიყავი.

თითქმის ორი საათი იყო. არ ვიცი, რატომ, მაგრამ უცებ გავიფიქრე, რომ ეს ყველაფერი შეცდომა იყო და ის არ მომკვდარა, რომ მას, უბრალოდ, ეძინა. სარდაფში ჩასვლა მომიწია, რომ ამაში დავრწმუნებულიყავი. საშინელება იყო. როგორც კი გარე სარდაფში ჩავედი, რაღაც საზიზღრობები წარმოვიდგინე. რომ ის ნაჯახით ხელში ბნელი კუთხიდან გამოდის, ან რომ ის იქ აღარ დამხვდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ კარი ჩაკეტილი იყო და ურდული ედო, მაინც სადღაც გაქრებოდა. მოკლედ, ისეთი რამეები, საშინელებათა ფილმებში რომ ხდება.

ის იქ იყო, სრულ სიჩუმეში იწვა. ხელი დავადე. ისეთი ცივი იყო, რომ შემაჟრჟოლა კიდეც. მაინც ვერ ვრწმუნდებოდი, რომ ეს სიმართლე შეიძლებოდა ყოფილიყო. ის ხომ სულ რამდენიმე საათის წინ ცოცხალი და თბილი იყო, რამდენიმე დღის წინ კი აქ დადიოდა, ხატავდა, ქსოვდა. და ახლა - აი ეს.

შემდეგ უცებ სარდაფში რაღაც შეინძრა. კუთხეში, ზუსტად კართან. ალბათ ორპირი ქარის გამო. ნერვებმა მიმტყუნა. ჭკუაზე აღარ ვიყავი. თავქუდმოგლეჯილი გამოვვარდი, გარე სარდაფის კიბეზე წავფორხილდი და წავიქეცი. წამოვხტი და ისევ გავიქეცი. სარდაფის კარი ჩვეულებრივზე ორჯერ სწრაფად ჩავკეტე, სახლში ავირბინე, ყველა კარი დავკეტე და ურდული დავადე.

კანკალმა არც ისე მალე გამიარა, მაგრამ თანდათან დავწყნარდი. თუმცა ვეღარაფერზე ვფიქრობდი გარდა იმისა, რომ ყველაფერი დამთავრდა. რომ ვერ ვიცხოვრებდი, თუ ის იქ, ქვემოთ იწვებოდა.

მაშინ იყო, რომ ის აზრი მომივიდა და სულ მიტრიალებდა თავში. ვგრძნობდი, რომ ასე უკეთესიც კი იყო, რომ მას გაუმართლა და მისთვის ყველაფერი დამთავრდა. არც სანერვიულო ექნებოდა, აღარც დამალვა

დასჭირდებოდა. არც იმაზე ფიქრი შეაწუხებდა, ვინ უნდა გამხდარიყო (და სინამდვილეში ვერასოდეს გახდებოდა). მისთვის ეს ყველაფერი დამთავრებული იყო ერთხელ და სამუდამოდ.

რაც უნდა გამეკეთებინა, სულ ის იყო, რომ თავი უნდა მომეკლა. სხვებს რაც უნდოდათ, ის ეფიქრათ. იმ ხალხს, ექიმის მისაღებში, ქალაქის საბჭოს ხალხს, მამიდა ენისა და მეიბლს. მე ყველაფრისგან შორს ვიქნებოდი.

დავიწყე იმაზე ფიქრი, როგორ შემეძლო ამის გაკეთება. როგორ წავიდოდი დილით ლუისში როგორც კი მაღაზიები გაიღებოდა და ვიყიდდი ბევრ „ასპირინს“ და ყვავილებს, ქრიზანთემებს, მას რომ ძალიან უყვარდა. „ასპირინს“ დავლევდი, ყვავილებს ავიღებდი, ქვევით ჩავიდოდი და გვერდით მივუწვებოდი. მანამდე პოლიციაში წერილს გავგზავნიდი და ისინი ერთად გვნახავდნენ სარდაფში. ერთად, უკვე საიქიოში გადასულებს.

და ერთად დაგვკრძალავდნენ, როგორც რომეოსა და ჯულიეტას.

ეს ნამდვილი ტრაგედია იქნებოდა. ყოველგვარი სიბინძურის გარეშე.

თუ ამას გავაკეთებ, პატივისცემასაც დავიმსახურებ. თუ ამ ფოტოებს გავანადგურებ, ვერავინ გაიგებს, მას რომ ცუდად მოვექეცი. ყველაფერი ისე გამოჩნდება, როგორც ნამდვილი ტრაგედია.

ეს ყველაფერი კარგად მოვიფიქრე, წავედი და ფოტოები და ნეგატივები მოვამზადე, რომ დილით პირველ რიგში ისინი დამეწვა.

ვფიქრობდი, რომ ერთი განსაზღვრული გეგმა უნდა მქონოდა და ყველაფერი კარგად იქნებოდა. ნებისმიერი გეგმა, ოღონდ განსაზღვრული.

რჩებოდა ფულის საკითხი, მაგრამ ეს ჩემთვის უკვე სულ ერთი იყო. ის მამიდა ენისა და მეიბლს დარჩებოდათ. მირანდა „გადავარჩინოთ ბავშვების“ ფონდზე ლაპარაკობდა, მაგრამ მაშინ უკვე ჭკუიდან ნახევრად გადასული იყო. ყველა საქველმოქმედო ფონდს თაღლითები მართავენ. „გადავარჩინოთ თაღლითები“ უფრო მოუხდებოდათ სახელად.

რაც მე მჭირდებოდა, იმას ფულით ვერ იყიდი. მე რომ მართლა გაფუჭებული ადამიანი ვყოფილიყავი, ამდენს არ ვიწვალებდი, არ გავაკეთებდი ყველაფერ იმას, რაც მისთვის გავაკეთე. უბრალოდ, პედინგტონსა და სოჰოში ქალებს მოვნახავდი და რაც მომესურვებოდა, ყველაფერს გავაკეთებინებდი. ბედნიერებას კი ვერ იყიდი. ეს ასჯერ მაინც გამიგონია მამიდა ენისგან. ჰა, ჰა, ყოველთვის მეცინებოდა, ამაზე რომ ვფიქრობდი. დამაცადეთ, ვცადო-მეთქი. ჰოდა, აი ვცადე.

მთავარი მაინც გამართლებაა. ეს ტოტალიზატორს ჰგავს. აქ ვერ გაიგებ, რომელია კარგი გუნდი და რომელი ცუდი გუნდი და კენჭისყრა როგორ ჩატარდება. ვერ მიხვდები, რა როგორ შეტრიალდება. უბრალოდ, A - B-ს წინააღმდეგ, C - D-ს წინააღმდეგ. არავინ იცის, ვინ არიან და რა არიან ეს A, B, C, და D. სწორედ ამიტომ, ღმერთი არასოდეს მწამდა. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ მხოლოდ მწერები ვართ, ვცხოვრობთ რაღაც დროის განმავლობაში, შემდეგ ვკვდებით, და ეს არის სულ. არ არსებობს არავითარი გულმოწყალება, არ არსებობს საიქიო. არაფერი არ არსებობს.

სამი საათისთვის ძილი მომერია, ამიტომ გადავწყვიტე წავსულიყავი და კარგად გამომეძინა. ლოგინში ვიწექი და ვფიქრობდი, როგორ წავიდოდი ლუისში დილით, როცა გავიღვიძებდი. დაბრუნებისას ყველაფერს დავწვავდი, რაც დასაწვავი იყო. ყველგან ყველაფერს ჩავკეტავდი (უკანასკნელად შევავლებდი თვალს ჩემს კოლექციას) და ქვემოთ ჩავიდოდი. ის იქ მელოდა, ქვემოთ. პოლიციისთვის დასატოვებელ წერილში დავწერდი, რომ ჩვენერთმანეთი გვიყვარდა. ერთობლივი თვითმკვლელობა. და ეს იქნებოდა დასასრული.

4

მაგრამ ყველაფერი სხვანაირად გამოვიდა.

ათს გადაცილებული იყო, როცა გამეღვიძა. კიდევ ერთი მშვენიერი დღე დადგა. ვისაუზმე და შემდეგ ლუისში წავედი. „ასპირინი“ და ყვავილები ვიყიდე, სახლში დავბრუნდი, ქვემოთ ჩავედი და უცებ გავიფიქრე, მის ნივთებს უკანასკნელად გადავხედავ-მეთქი. ჩემი ბედი, რომ ეს გავაკეთე. მისი დღიური ვიპოვე, რომლიდანაც ჩანს, რომ მას მე არასოდეს ვყვარებივარ. მთელი ამ დროის განმავლობაში საკუთარ თავზე და ვიღაც სხვა კაცზე ფიქრობდა.

როგორც ხდება ხოლმე, დილით, თავში უფრო ჭკვიანური აზრები მომივიდა. საერთოდ ასე მახასიათებს: ღამით ყველაფერს შავ ფერებში ვხედავ, დღისით კი უკვე სულ სხვაა.

ეს აზრები მაშინ მომივიდა, როცა ვსაუზმობდი. ასე ფიქრი საგანგებოდ არ დამიწყია, უბრალოდ, თავისთავად მოხდა. იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მომეცილებინა ცხედარი. გავიფიქრე, თუ უახლოეს საათებში

არ მოვკვდები, ამის და ამის გაკეთება შესაძლებელი იქნება-მეთქი. ბევრი აზრი მერეოდა თავში. ვიფიქრე, კარგი იქნებოდა, თუ დავამტკიცებდი, რომ ამის გაკეთება შესაძლებელი იყო. ისე, რომ ვერავის გაეგო.

მშვენიერი დილა იყო. ლუისის შემოგარენი ძალიან ლამაზია.

კიდევ ის გავიფიქრე, ისე ვიქცევი, თითქოს მე მომეკლას, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, ის ხომ თავისით მოკვდა-მეთქი. ჩემი აზრით, ექიმიც ვერაფერს უშველიდა, ავადმყოფობა უკვე შორს იყო წასული.

კიდევ ერთი რაღაც მოხდა იმ დილით. ეს უკვე ნამდვილი დამთხვევა იყო. ზუსტად მაშინ, როცა მანქანით ყვავილების მაღაზიისკენ მივდიოდი, შევჩერდი, რომ ფეხით მოსიარულეებისთვის გზა დამეთმო და ამ დროს ჩემ წინ, ქუჩის გადასასვლელზე უნიფორმიანი გოგო გადავიდა. წამიერად გავიფიქრე, რომ მოჩვენებას ვხედავდი და უცებ შევკრთი კიდეც. ზუსტად ისეთივე თმა ჰქონდა, ოღონდ უფრო მოკლე. ზუსტად მირანდას სიმაღლის იყო და მისი სიარულის მანერა ჰქონდა. თვალს ვერ ვაშორებდი და ისე მიმიზიდა, ჩემდა უნებურად მანქანა პირველივე ადგილას გავაჩერე, სადაც კი გაჩერება შეიძლებოდა და იმ ადგილას მივბრუნდი, სადაც ის დავინახე. ბედმა გამიღიმა - სწორედ იმ დროს მოვკარი თვალი, როცა „ვულვორტსში“ შედიოდა. შევყევი და გავიგე, რომ საკონდიტრო განყოფილებაში მუშაობს.

მირანდასთან ჩავედი, ნაყიდ ყვავილებს ადგილი მივუჩინე და უკვე მივხვდი, იმის სურვილმა, რომ ის მეორე რაღაც გამეკეთებინა, გადამიარა. ვიფიქრე, უკეთესი იქნებოდა, თუ ყველაფერს კიდევ კარგად ავწონდავწონიდი. მაშინ იყო, დღიური რომ ვნახე.

უკვე სამი კვირა გავიდა იმ ყველაფრიდან.

რა თქმა უნდა, სტუმარი უკვე აღარასოდეს მეყოლება, თუმცა ახლა, როცა მამიდა ენიმ და მეიბლმა გადაწყვიტეს იქ, ქვემოთ (ავსტრალიაში), დარჩენა, ეს ძნელი არ იქნებოდა.

ისე, ინტერესის გულისთვის, „ვულვორტსის“ გოგონასთან დაკავში-

რებულ სიძნელეებზე ვფიქრობდი. ის სოფელში ცხოვრობს. ლუისის მეორე მხარეს. ავტობუსები მისი სახლიდან საკმაოდ შორს ჩერდება, დაახლოებით მეოთხედ მილში. სოფლის მიყრუებული გზა უნდა გაიაროს, რომ იქამდე მივიდეს. ასე რომ, შესაძლებლობა არსებობს (უკვე ჭკუა რომ არ მქონდეს ნასწავლი). რა თქმა უნდა, მირანდასავით ლამაზი არ არის. კაცმა რომ თქვას, ერთი ჩვეულებრივი გამყიდველი გოგონაა, მაგრამ ჩემი შეცდომა სწორედ ის იყო, რომ მეტისმეტად რთული მიზანი დავისახე. ჯერ კიდევ ადრე უნდა მივმხვდარიყავი, რომ ისეთისგან, როგორიც მირანდა იყო - მთელი მისი სნობური იდეებითა და ვერაგული ხრიკებით - ვერასოდეს მივიღებდი იმას, რაც მინდოდა. მე ისეთი ვინმე უნდა მყოლოდა, ვისაც მეტი პატივისცემა ექნებოდა ჩემ მიმართ. ვინმე ჩვეულებრივი, ვისი სწავლებაც მე შემეძლებოდა.

ის ახლა ყუთში წევს, რომელიც მე შევკარი. ვაშლის ხის ქვეშ. სამი დღე დამჭირდა, რომ ორმო გამეთხარა. იმ საღამოს, როცა სარდაფში ჩავედი, ყუთში ჩავასვენე და გარეთ გავიტანე, მეგონა, გავგიჟდებოდი. არ მგონია, რომ ბევრი შეძლებდა ამის გაკეთებას. ყველაფერი მეცნიერულად გავაკეთე. კარგად დავგეგმე, რისი გაკეთებაც საჭირო იყო. ჩემს გრძნობებს უკვე ყურადღებას არ ვაქცევდი. ფიქრიც არ მინდოდა იმაზე, რომ მისთვის კიდევ ერთხელ შემეხედა. გამიგონია, რომ ისინი მწვანე და მეწამული ლაქებით იფარებიან, ასე რომ, ქვემოთ საბნით ხელში ჩავედი, რომელიც საგანგებოდ ვიყიდე და წინ მქონდა აფარებული, სანამ საწოლამდე მივედი და ცხედარს გადავაფარე. საბანში ლოგინის თეთრეულთან ერთად შევახვიე, ყუთში ჩავდე, სახურავი დავახურე და ხრახნით ჩავამაგრე. სუნი ოთახიდან ფუმიგატორისა და ვენტილატორის საშუალებით განვდევნე.

ოთახი ახლა სუფთაა და ახალივით გამოიყურება.

მის ნაწერებს, მისი თმის კულულთან ერთად, სხვენში ავიტან და საქმიანი ქაღალდების ყუთში ჩავდებ, რომელიც ჩემს სიკვდილამდე არ გაიხსნება, ამას კი ორმოცი-ორმოცდაათი წელი არ ველი. საბოლოოდ ჯერ

კიდევ არ გადამიწყვეტია მერიენის შესახებ (კიდევ ერთი მ! გავიგონე, განყოფილების გამგემ მიმართა ამ სახელით), ოღონდ ამჯერად სიყვარული აღარ იქნება. მხოლოდ ინტერესი, რომ ისინი ერთმანეთს შევადარო. და კიდევ ერთი რამე, რაც ახლა მინდა უფრო დეტალურად დავამუშაო და მე თვითონ ვასწავლო, როგორ უნდა ამის გაკეთება. ტანსაცმელიც ყველა მოერგება. რა თქმა უნდა, თავიდანვე გავაგებინებ, ვინ არის აქ უფროსი და რას ველი მისგან.

მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ იდეაა. დღეს ქვემოთ გამათბობელი ჩავრთე.ოთახს გამოშრობა ისედაც სჭირდება.